

ခ ၁၄၁ၬ ခ ၂၉၄၁၂၁၂၁

# ရွှေအနောက်စွဲ



କାନ୍ତାଳ ମହାଦେବ

ଜଣନେତ୍ରମଧ୍ୟରୀ

ଅନୁଷ୍ଠାନିକ  
ପ୍ରକାଶନ  
୨୦୧୫

მოდებაძეების საგვარეულო სიგელში ნათქვამია: ქართულ საისტორიო წყაროებში მოდებაძენი XVI საუკუნიდან მოიხსენებიან. 1515 წლის შედეგნილ აბულახსარ ამირეჯიბის და მისი თანამეცხედრის დადიან-გურიელის ასულ ქეთევანის წყალობათა სიგელში ნათქვამია, რომ მოდებაძეებს გადაეცათ კაცხის მონასტრის პირას წალკოტი სასახლე ადგილი.

XVI-XIX საუკუნეების ქართულ სიგელ „გუჯარში“ მოდებაძენი ჩანან ვითარცა მონმენი და სანდონნი მეფეთა, დედოფალთა, კათალიკოსთა, თავადთა, აზნაურთა და ყმათა.

ღმერთის წყალობით, საქართველოსა და ბაგრატიონთა ტახტის ძლიერებისათვის მოდებაძეთა გვარის მეომრები კომლის კოტად გამოდიოდნენ.

ქართლის სამეფო ლაშქარში მოდებაძეები აპაშიძეთა, წერეთელთა და ამილახვართა თავადთა სადროშოებში ალმისმპყრობელები იყვნენ და მტერს პირველები ხვდებოდნენ.

მამამ, ვლადიმერ მოდებაძემ, რომელიც რეჟისორი და მხატვარი გახლდათ, დაბადების დღეზე თავისი ნახატი „ქართული პეიზაჟი“ მაჩუქა, რომელსაც ასეთი ნარნერა დაურთო „სახსოვრად ჩემს ძვირფას შვილს, ჩემს ვაჟკაცურ და კეთილშობილ მერაბს! მამის-ავან ვლადიმერ მოდებაძისაგან. 1992 წლის 20 მაისი.

ამ მოთხოვნათა კრებულს ვუძღვი მამის ხსოვნას, რომლის გმირებშიც თქვენ აღმოაჩენთ ვაჟკაცობას და კეთილშობილებას.

**მერაბ მოდებაძე.**

გამომცემლობა თექა და კომპანია 2015 წ.

**რედაქტორი ნაბო გაგრიაშვილი  
დამკაბადონებელი გერონიქა არუთინიანი**

ISBN 978-9941-0-7353-3

© ავტორის უფლებები დაცულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ.

## ზღვის რაინდი

სკანდინავიის მცხოვრებლები ნორმანები, განაფული ნაოსნები, და პირველი ევროპელები იყვნენ, რომლებმაც დედამიწის დასავლეთ ნახევარსფეროს მიაგნეს. ეს იყო XI საუკუნის დასაწყისი, ისინი გადასხდნენ ჯერ ირლანდიასა და გრელანდიაში, ხოლო შემდგომ ჩრდილოეთ ამერიკაში გადავიდნენ. მაგრამ მათი აღმოჩენა ყველასათვის უცნობი დარჩა და მალე დაივიწყეს. უცნობ შორეულ ქვეყნებამდე შემდგომ ყველაზე ადრე პორტუგალიელმა და ესპანელმა მეზღვაურებმა მიაღწიეს. 1640 წელს ისინი ამერიკიდან ოქროს დიდი ნადავლით დაბრუნდნენ.



თვალუწვდენელ ოკეანეში დამქანცველი და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ ქრისტეფორე კოლუმბის გემიდან მიწა შენიშნეს, 1492 წლის 12 ოქტომბერს იგი ხმელეთზე გადავიდა და მუხლებით დაემხო მიწაზე, ღმერთს მადლობა უთხრა, ხოლო იმ კუნძულს მაცხოვრის პატივსაცემად სანსალვადორი „წმინდა მაცხოვარი“ უწოდა. ესპანეთის მეფის სახელით კოლუმბი კუნძულის მფლობელი გახდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ მან ინდოეთს მიაღწია და იქ მცხოვრებ ველურებს ინდიელები უწოდა. ესპანეთში დაბრუნების შემდეგ მას „ოკეანის ადმირალის“ ტიტული უბოძეს.

იტალიელმა მოგზაურმა ამერიგო ვესპუჩიმ დაასაბუთა, რომ კოლუმბის მიერ აღმოჩენილი მიწა ახალი კონტინენტი იყო.

1519 წელს მაგელანი ხუთი გემით და 150 ადამიანით გავიდა ატლანტიკის ოკეანეში, მან გაიარა სამხრეთ ამერიკასა და ცეცხლოვან მიწას შორის მდებარე სრუტე, რომელსაც

შემდგომ მაგელანის სახელი ეწოდა. 1521 წელს მაგელანი ფილიპინების კუნძულებთან ადგილობრივ მცხოვრებლებთან შეტაკების დროს დაიღუპა, მისი ხუთი გემიდან სამშობლოში მხოლოდ ერთი ვირჟინია დაბრუნდა. ჩამოტანილმა სიმდიდრემ ექსპედიციის ხარჯები მთლიანად დაფარა.

სიმდიდრის მოპოვების მიზნით ესპანელები ხშირად გზავნიდნენ ამერიკის ნაპირებისაკენ თავიანთ გემებს, მათ გაძარცვეს აცტეკების ქვეყანა, რომლებმაც ესპანელები დიდი პატივით მიიღეს. 1531 წელს ესპანელებმა დაიპყრეს ინკების დიდი იმპერია. XVI საუკუნეში ესპანელებმა აქ დაიპყრეს ვრცელი ტერიტორიები რომლებზეც ოქრო დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა. ესპანეთის მიერ დაპყრობილ ბევრ რეგიონში, ვერცხლის მდიდარი საბადოები იქნა აღმოჩენილი. მექსიკასა და სამხრეთ ამერიკაში ყველაზე მეტად იყო გავრცელებული ასეთი საბადოები.

გეოგრაფიულ აღმოჩენათა შედეგად ინგლისი ახალი საგზაო გზების ცენტრში აღმოჩნდა. ლონდონი გადაიქცა დიდ ნავსადგურად, სადაც ძალზედ ბევრი იყო ნავმისადგომები და საწყობები. მისი მოსახლეობა იმ პერიოდიში 200 ათას კაცს აღწევდა. საზღვაო ვაჭრობაში ინგლისის მთავარი მეტოქე იყო ესპანეთი, რომელიც ფლობდა ყველაზე დიდ კოლონიებს. ესპანეთის მთავრობა უკრძალავდა ყველა უცხოელ ვაჭარს თავის კოლონიებთან ვაჭრობას, მაგრამ ინგლისელები არ ეპულებოდნენ მათ. მდინარეების შელდის და რაინის ქვემო წელზე მდებარეობდა ქვეყანა, რომელსაც შუა საუკუნეებში, ნიდერლანდებს უწოდებდნენ „რაც დაბლობ მიწებს“ ნიშნავს. XVI საუკუნის შუა ხანებში ეს პატარა ქვეყანა მთელს ევროპაში ყველაზედ მჭიდროდ იყო დასახლებული. აქ ცხოვრობდა 3 მილიონი ადამიანი, ეს პატარა ქვეყანა 300-მდე ქალაქს და 6500 სოფელს ითვლიდა. ნიდერლანდების მოსახლეობა ძალზედ შრომისმოყვარე იყო, ისინი საუკუნეების მანძილზედ მტკაველ-მტკაველ ართმევდნენ ზღვას სანაპირო მიწას, აშრობდნენ და ამაგრებდნენ ჯები-

რებით მას. ნიდერლანდები ევროპის ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა იყო, მის ქალაქებში განვითარებული იყო ისეთი მანუფაქტურები, სადაც მზადდებოდა მაუდი, ხომალდის სხვა-დასხვა აღჭურვილობა. გემთსაშენებში აგებდნენ სწრაფ-მავალ ხომალდებს.

XVI საუკუნის შუა ხანებში ნიდერლანდები ესპანეთის ხელქვეით იმყოფებოდა. ესპანელებს ჰყავდათ ევროპაში დაქირავებული ძლიერი არმია და დიდი სამხედრო ფლოტი. ნიდერლანდები ესპანეთის ყველაზე ძვირფას სამფლობელოს წარმოადგენდა და ოთხჯერ მეტ შემოსავალს აძლევდა ესპანეთს, ვიდრე ოკეანის გაღმა არსებული კოლონიები. ესპანეთის მეფე ნიდერლანდების მოსახლეობისაგან ძალზედ დიდ გადასახადს კრეფდა. ამიტომ ნიდერლანდების მოსახლეობას სძულდა ესპანელები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა ნიდერლანდებში, როდესაც ესპანეთის ტახტზე ფილიპე მეორე ავიდა. იგი იყო სასტიკი და გონიერბაჩლუნგი დესპოტი, რომელიც ოცნებობდა ესპანელი ჯარისკაცების დახმარებით მთელი ევროპა დაეპყრო. ფილიპე მეორემ ნიდერლანდებში ინკვიზიცია შემოიღო, რის შემდეგ საეკლესიო სასამართლოები მხეცური წამების შემდეგ კოცონზე წვავდნენ ასობით ადამიანს. ინკვიზიციის ასეთი მოქმედება სასტიკ აღშფოთებას იწვევდა ქვეყანაში.

ასეთი ვითარება იყო ნიდერლანდებში, როდესაც ლეიდენის განაპირას ერთ ძველ სახლში ჩარლზ მილტონი 14 წლის შესრულდა, მაგრამ სამწუხაროდ მისი დაბადების დღე არავის არ გახსენებია დედის გარდა, რომელმაც პატარა ჩარზლს თავის გამომცხვარი კვერი მიართვა, ხუჭუჭ თმაზე ხელი გადაუსვა და დაბადების დღე მიუღოცა, გილოცავ ჩემო პატარავ მიმართა მან, მამაშენივით მამაცი ვაჟკაცი გამოსულიყავი და ჩვენი ქვეყნის გათავისუფლების საქმეში შენი სიტყვა გეთქვას. პატარა ჩარლზი საწოლიდან წამოდგა და დედის კალთაში ჩადო თავი, შემდეგ იგი თვალებში შეაცერდა მშობელს და თითქოს ცდილობდა ეს მისთვის სანუკ-

ვარი წამები სამუდამოდ დაემახსოვრებინა, რადგან რაღაც შინაგანი ძალით გრძნობდა, რომ დედის ეს სიტყვები უკანასკნელი დარიგება უნდა ყოფილიყო მისთვის. ჩვენი ოჯახური მდგომარეობა არ არის სახარბიელო, გააგრძელა დედამ, მამაშენი აგერ უკვე მეათე დღეა რაც მძიმედ დაჭრილი საწოლს არის მიჯაჭვული, შვილო, მის ჭრილობას არა და არ დაადგა საშველი, სიმართლე უნდა გითხრა ექიმმა თქვა, რომ მისი იარა ძალზედ საშიშია და შეიძლება ვერ გადაიტანოს. ამიტომ შენ ყველაფრისითვის მზად უნდა იყო. ჩარლზის მამა ოლივერ მილტონი ხელოსანი კაცი იყო, ესპანელების სისასტიკით აღშფოთებული იგი პარტიზანულ რაზმს შეუერთდა და მან მრავალ თანამებრძოლთან ერთად ტყეს შეაფარა თავი, პარტიზანებს ტყის გიზებს უწოდებდნენ რაც „დაკონკილს“ ნიშნავდა ეს სახელი მტრებმა შეარქვეს მათ. გეოზები ანუ ტყის ყაჩალები თავს ესხმოდნენ ესპანელ ჯარისკაცებს და ულეტდნენ მათ და ხელთ იგდებდნენ ხშირად მათ იარაღს. ქვეყნის ჩრდილოეთში მეთევზები და მეზღვაურები თავიანთი აფრიანი ხომალდებით გადიოდნენ ზღვებში და ძარცვავდნენ ესპანელების ხომალდებს. დღე და ღამ ისინი მტრის ძებნაში იყვნენ, მათ ესპანელი ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი იარაღითა და ფულით დატვირთული მრავალი ხომალდი იგდეს ხელთ. ჩარლზის მამა ტყის პარტიზანი იყო და ერთ-ერთ შეტაკების დროს ესპანელმა ჯარისკაცებმა იგი სასიკვდილოდ დაჭრეს, შემდეგ ის თანამებრძოლებმა სახლში ჩამოიყვანეს. ოლივერ მილტონი მალე გარდაიცვალა. ოჯახმა იგი გაჭირვებით მიაბარა მინას. ჩარლზი დამწუხრებული მეორე დღეს მამის სასაფლაოზე ავიდა და ქვაზე ჩამოჯდა. მას ერთი ბოშა ქალი მიუახლოვდა და მკითხაობა შესთავაზა. არ მინდა მკითხაობა მიუგო ჩარზმა, ნუ ჩქარობ პატარა ბიჭო თვალებში გატყობ ძლიერი და შეუპოვარი ადამიანი გახდები, შენი ბედი ზღვას-თან არის დაკავშირებული. შენი თვალები უძირო ზღვის ფსკერს მაგონებს. იქ ძალზედ ბევრი სიმდიდრეს ვხედავ,

მაგრამ ყველაზე დიდი სიმდიდრე შენთვის ერთხელ მოსული დიდი სიყვარული იქნება. დიახ ლირსეული სიყვარული გაანათებს შენს ცხოვრებას და ბობოქარ ზღვის ტალღებში კვლავ გაქრება, შენი აღსასრულიც ზღვაზე იქნება, მაგრამ ნუგებად რაღაც ძვირფასი გრჩება ამ ქვეყანაზე. მე ფული არა მაქვს უთხრა ჩარლზიმ და ვერაფერს მოგცემ, არც არაფერი მინდა შენგან, მხოლოდ ერთსა გთხოვ: მდიდარი და დიდი კაცი თუ გახდი, არ დაივიწყო ერთი ბოშა ქალის ეს ნათქვამი, მაშინ მე აღარ ვიქნები ამ ქვეყანაზე და ერთი სანთელი მაინც დამინთე. არა მჯერავს შენი, მაგრამ სიტყვას გაძლევ დაგინთებ სანთელს და ამ სიტყვებით ჩარლზი ბოშას გაცილდა, მან იმ წუთშივე დაივიწყა ყოველი მისი ნათქვამი. იგი ამ შეხვედრას მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გაიხსენებს. ამ დროს კი ლეიდენში დიდი ამბები დაიწყო. ნიდერლანდებში ესპანელების წინააღმდეგ ბრძოლამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ფილიპე მეორე უძლური აღმოჩნდა აჯანყების ჩასახ-შობად, რომელსაც ვილჰემ ორანელი ხელმძღვანელობდა. აჯანყებულებს დიდ დახმარებას უწევდნენ ზღვის მეგობრები. ესპანელებმა ჩრდილო ნიდერლანდის ქალაქ ლეიდენს 1579 წელს ალყა შემოარტყეს, მოსახლეობა შეუპოვრად იგერიებდა ესპანელების იერიშებს და შეტევაზეც გადა-დიოდნენ როგორც კი ამის შესაძლებლობა ეძლეოდათ, ქალები და ბავშვები ქალაქის სიმაგრეების აგებაში ეხმარე-ბოდნენ თავდამცველებს. თანდათან ალყაშემორტყმულებს სურსათი გამოელიათ, ქალაქში შიმშილი ჩამოვარდა, მაშინ ზღვის ყაჩაღებმა მათი დახმარება გადაწყვიტეს. ლეიდენი ზღვის დონიდან დაბლა მდებარეობდა. ამით ისარგებლეს ზღვის გეზებმა და დაანგრიეს კაშხალები, ნიაღვარად გად-მოხეთქილმა წყალმა ბევრი ესპანელი დაახრჩო, გადარჩე-ნილებმა კი გაქცევით უშველეს თავს, თვით ქალაქი არ დაზიანდა, რადგან გალავანმა დაიცვა ის. ზღვის ყაჩაღებმა თავიანთი ხომალდებით ქალაქელებს სურსათ სანოვაგე მია-წოდეს. ამ პერიოდში ჩარლზ მილტონს მეორე უბედურება

დაატყდა. მას შიმშილით და ავადმყოფობით დედა გარდაეცვალა. დასაფლავებას ათიოდე ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის მისი მამის მეგობარი და თანამებრძოლი სმიტი, რომელმაც დასაფლავების შემდეგ ჩარლზს ხელი გადახვია მამაშვილურად და კითხა: რას აპირებ ჩარლზ? არ ვიცი ძია სმიტ მიუგო მან, გინდა მამაშენივით უშიშარი მებრძოლი გახდე, კითხა მან, მინდა მიუგო ჩარლზმა. მაშ მომენდე მე ჩემო პატარავ და სულ მალე უშიშარ ზღვის რაინდად გაქცევ, მამაშენი და მე მეგობრები ვიყავით და მის შვილს მე უპატრონოდ არ დავტოვებ, ოლონდ მამისგან განსხვავებით შენ ზღვის რაინდი გახდები რათა ღირსეულად გააგრძელო შენი მშობლის გზა და სამშობლოს საკეთილდღეოდ შენი წვლილი გაიღო. ჩარლზს თვალებზე ცრემლი მოადგა და წარმოთქვა. ვფიცავ ჩემი მშობლების სულებს რომ მთელს ჩემს სიცოცხლეს მივუძღვნი ამ კეთილშობილ საქმეს. ღმერთმა გისმინოს ჩემო პატარა, მიუგო სმიტმა და ჩარლზი გულში ჩაიკრა.

1587 წლის თებერვალში, როდესაც ლონდონის ტაუერში სიკვდილით დასჯილ იქნა შოტლანდიის დედოფალი მარია სტიუარტი და გაიხსნა შეთქმულება ინგლისის დედოფალ ელიზაბეტის წინააღმდეგ, რომის პაპმა სიკისტ IV მოუწოდა კათოლიკებს ინგლისის წინააღმდეგ ომისაკენ. ესპანეთმა კი გადაწყვიტა, რადაც არ დასჯდომოდა, გაბატონებულიყო ზღვაზე და დაიწყო მზადება ომისათვის ინგლისის წინააღმდეგ. ამ მიზნით ესპანეთის მეფის ფილიპე მეორის ბრძანებით დაიწყო უზარმაზარი საზღვაო ფლოტის „უძლეველი არმადის“ მშენებლობა, მის გეგმებში შედიოდა ფლოტის გაგზავნა ნიდერლანდისაკენ. იქ გაანადგურებდა ინგლისის ფლოტს, ხოლო შემდგომ მიადგებოდა ლონდონს და დაიპყრობდა მას.

1588 წლის 12 ივლისს 130 გემი, რომელზედაც განლაგებულ იქნა 2431 ზარბაზანი და 27 ათასი ადამიანი — ლამანშის სრუტეში შევიდა და დადგა რეიდზე ქალაქ დიუნკერ-

კისთან. აღნიშნულ არმადასთან ინგლისელებმა ჩუმად მიაცურეს დენთით დატვირთული ცეცხლმოკიდებული რვა ხომალდი. აფეთქების შედეგად ხანძარი სწრაფად გადაედო ესპანელების ხომალდებს და ესპანელების გემების ეკიპაჟი პანიკამ მოიცვა და მათ ნავსადგურიდან ღია ზღვაში იწყეს გასვლა, სადაც მათ ინგლისის ფლოტი უცდიდა, რომელმაც ესპანეთის ხომალდებს ზარბაზნებიდან სროლა აუტეხა. ინგლისელებს ამინდიც უწყობდათ ხელს, ესპანელთა გადარჩენილი ხომალდები ქარიშხალმა ჩრდილოეთისაკენ გარეკა. ესპანელების ფლოტს ხელმძღვანელობდა დონ-ალონსო-პერეს-დე გესმან-ელ-ბეგნო, რომელიც ესპანელი ძველი თავადაზნაურების გვარს ეკუთვნოდა და მეტად გამოუცდელი იყო ასეთი დიდი ექსპედიციისათვის, მან გასცა ბრძანება ესპანეთში დაბრუნების, ინგლისის, შოტლანდიის და ისლანდიის შემოვლით უცნობი და ბობო-ქარი ზღვის გავლით. რაც ტრაგიკულად დამთავრდა. შოტლანდიისა და მიმდებარე კუნძულების ზღვისპირა კლდეებმა და ძლიერმა ქარიშხალმა საბოლოოდ გაანადგურა უძლიერესი არმადა, 130 გემიდან მხოლოდ 30-მა მიაღწია ესპანეთამდე. ესპანეთის არმადის განადგურებაში დიდი როლი ითამაშეს ზღვის ყაჩალებმა, რომლებსაც ინგლისის დედოფალი მფარველობდა. ამ ზღვის ყაჩალთა რიცხვში იყო ჩვენი ჩარლზ მილტონიც, რომელიც უკვე 23 წლის დავაუკაცებული და სახელგანთქმული ზღვის გიზების გემის კაპიტანი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა თავისი რაზმით დიუნკერკის ბრძოლაში. მან მიზნად დაისახა ბოლომდე ებრძოლა და ესპანელების არცერთი გემი არ გაეშვა სამშვიდობოს, მან გადაწყვიტა უზარმაზარ არმადის დარჩენილ ხომალდებს ინგლისის, შოტლანდიისა და ისლანდიის სახიფათო საზღვაო გზის შემოვლით კი არ დადევნებოდა, არამედ ლამანშის სრუტის გავლით სამხრეთ ატლანტიკის ოკეანეში გასულიყო და აღმოსავლეთ ირლანდიის ნაპირების ბლეკ-სოლის ყურესთან დადარაჯებოდა

ესპანეთის გადარჩენილ ხომალდებს. ჩარლზი ზღვის ყაჩალის ფორმაში იყო გამოწყობილი. მას ვაჟკაცური სახე მზისგან გარუჯვოდა, შავ გრძელ თმებზე შავი ხილაბანდი გაეკრა, მის განიერ მხრებს და ვიწრო წელს შავი აბრეშუმის ხალათი ამშვენებდა, რომელიც განიერი ტყავის ქამრით ქონდა დამაგრებული, ხოლო ქამარში ორი დამბაჩა მოუჩანდა, ამავე ქამარზე ეკიდა გრძელი ხმალი. გემს მან მამის საპატივცემოდ „ოლივერი“ დაარქვა. იგი შესანიშნავი გემი იყო იმ დროისათვის, მისი სიგრძე 60 მეტრი იყო, სიგანე 11 მეტრი, იგი წყალში 4 მეტრით იჯდა, მთავარი ანძა 45 მეტრისა იყო, მისი წყალწყვა შეადგენდა 130 ტონას, მასზედ 120 კაცი იმყოფებოდა, მის თვითონეულ ბორტზე სამ რიგად განლაგებული იყო 64 ბრინჯაოს 24 ფუთიანი ზარბაზანი, რომელიც 80 ტონას იწონიდნენ, ეს გემი ერთ-ერთი საუკეთესო გემი იყო ესპანელების, იგი ერთ-ერთი თავდასხმის დროს იგდო ხელთ ჩარლზმა. მას შემდეგ ამ გემით მას მრავალ საზღვაო ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. — მარჯვნივ ჰორიზონტზე ესპანელების გემი გამოჩნდა, — უცბად იყვირა ერთ-ერთმა მეზღვაურმა, ჩარლზმა დურბინდში გაიხედა და მართლაც დაინახა გემი. მან მისი სახელიც კი გაარჩია, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა „რა-რატა“ მასზედ ესპანელების დროშა ფრიალებდა, გემი ქარიშხალისგან დაზიანებული ჩანდა. მას დიდი ანძა გადატეხილი ქონდა და მძიმედ მოძრაობდა, მან კურსი ბლექსოლის ყურისაკენ აიღო. ყველანი ადგილებზე, დაიღრიალა ჩარლზმა და თავის თანაშემწე მამის მეგობარი სმიტი დაიბარა და უთხრა, რომ ხედავ გემს? კი, მიუგო მან, რაღაც ნელა მოძრაობს, დაზიანებული ჩანს და ჩვენ მისი განადგურება არ გაგვიჭირდება სმიტ, მაგრამ რატომლაც გული არ მიმიწევს მის გასანადგურებლად. შენ იცი, რომ ზოგჯერ ესპანელების გემებზე დიდძალი სიმდიდრეა. რა იცი იქნებ ამ გემზედაც იყოს ჩვენთვის რამე. ამიტომ ჩვენ იგი ხელში დატარანებით უნდა

ჩავიგდოთ. გეთანხმები მიუგო სმიტმა, მაგრამ მიგვიშვებს კი სატარანოდ. მას როგორც ჩანს ზარბაზნები სრულ წესრიგში აქვს და მან დურბინდში გაიხედა. ჩვენს ზარბაზნებს ის ვერ გაუძლებს, მიუგო სმიტმა. ამიტომ ჩვენ შემდეგნაირად ვიმოქმედებთ სმიტ და მილტონმა მას შეტევის გეგმა გააცნო. იგი ჩვენ ჯერ ვერ გვხედავს, ყურეს მიუახლოვდება თუ არა ჩვენს საფარიდან სწრაფად უნდა გამოვიდეთ, აფრებს ავუშვებთ, სწრაფად მისკენ ავიღებთ გეზს, სასროლ მანძილზე მივუახლოვდებით, გვერდით შემოვტრიალდებით და ცეცხლს გავუხსნით, ამით მათ მწყობრიდან გამოვიყვანთ, შემდეგ კი ხელში ჩასაგდებად მივუახლოვდებით. სროლის გამო გემი შეიძლება დაზიანდეს ისე რომ ჩაიძიროს, მაგრამ ჩვენ ჩაიძირვამდე უნდა მის გემპანზედ მოვხვდეთ და რაც ძვირფასია ჩვენს გემზე გადავიტანოთ. გასაგებია კაპიტანო. მაშინ იმოქმედეთ, მიუგო ჩარლზმა. გემმა ლუზა აუშვა, აფრები ქარმა დაბერა, ხოლო მთავარ ანძაზე ზღვის ყაჩალთა დროშა აფრიალდა, ოლივერი სწრაფად დაიძრა მტრის ხომალდის მიმართულებით. გემზე „ლა-რატზე“ შენიშნეს ყურიდან გამოსული ყაჩალთა გემი და კაპიტანმა დე-დეიკამ ბრძოლისათვის მზადება გამოაცხადა — სწრაფად დატენეთ ზარბაზნები იღრიალა მან, ზღვის ყაჩალთა გემი მარცხნიდან დიდი სისწრაფით გვიახლოვდება, დაიწყეთ გემის შემოტრიალება მარცხენა მხარით, იქ ჩვენ დაუზიანებელი ზარბაზნების მეტი რაოდენობა გვაქვს და სროლისათვის მოემზადეთ. ამ დროს გემის კაპიტნის კაიუტიდან კაცის კვნესის ხმა გაისმა. იქ ერთი ინგლისელი ლორდი თავის ქალიშვილთან ერთად ტყვედ ყავდა კაპიტანს, ინგლისელებთან ბრძოლის დროს გემის კაპიტანმა ლორდი გამილტონი თავის ქალიშვილთან ერთად დაატყვევა. მას იმედი ჰქონდა, რომ ამ ტყვეებში იგი დიდ გამოსასყიდს აიღებდა. გარდა ამისა გემის ბორტზე დიდი არმადის გადარჩენილი განძის დიდი ნაწილი ინახებოდა. ლორდი დაჭრილი იყო მკლავში და მას თავის ქალიშვილი უვლიდა, იგი ტანმორ-

ჩილი, ქერათმიანი, ლამაზი ქალიშვილი იყო, მან მამას შეშფოთებით კითხა — ნეტა რას უნდა ნიშნავდეს ეს ხმაური გემზე, ალბათ მოწინააღმდეგის გემი გამოჩნდა და იქნება გვეშველოს რამე და ჩვენს ტყვეობას საშველი დაადგეს, წარმოთქვა ლორდმა. გემები კი სასიკვდილო შერკინებისათვის სწრაფად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. სასროლ მანძილზე ორივე გემი შემოტრიალდა საპირისპიროდ და საბრძოლველად მოემზადა, პირველი გასროლა ლა-რატის გემიდან განხორციელდა. 15 ზარბაზანმა დაიგრიალა და ყუმბარებმა მოწინააღმდეგის გემამდე ვერ მიაღწია და ზღვაში აფეთქდა. მანძილი შორი აღმოჩნდა — ხოლო სროლა ნაადრევი, ამის შემდეგ სულ მალე ჩარლზმა ცეცხლის გახსნა ბრძანა და „ოლივერის“ ოცმა ზარბაზანმაც დაიგრიალა და მოწინააღმდეგის გემი წყლის ქაფში და კვამლში გაახვია, რამდენიმე ყუმბარა გემს მოხვდა და საგრძნობლად დააზიანა იგი. მისი გამონგრეული გვერდებიდან წყალმა იწყო დენა. გემი ჩასაძირად იყო განწირული. სწრაფად მტრის გემისკენ, აბორდაჟზე, გასცა ბრძანება ჩარლზმა. ოლივერი სწრაფად უახლოვდებოდა მოწინააღმდეგის ხომალდს, რომელიც ზღვაში თანდათან იძირებოდა. მასზედ საშინელი პანიკა სუფევდა, კაპიტანი დეიკა სრულიად დაბნეული იყო, გემი იძირებოდა, მასთან ერთად კი დიდი რაოდენობის ოქროს და ვერცხლის მონეტები, რომელიც სამ დიდ ყუთში იყო ჩალაგებული. მან გადაწყვიტა ბოლომდე შებრძოლებოდა მოწინააღმდეგებს, ჯარისკაცებო მიმართა მან ხომალდზე მყოფ დაბნეულ ადამიანებს, ჩვენ ერთი გზა დაგვრჩა ხსნისა, მტერს ჩვენ გემზე არსებული საგანძურო იზიდავს. ჩვენ ისინი გემზე უნდა ამოუშვათ და აქ გავანადგუროთ, ხოლო შემდეგ ჩვენი ქონება მათ გემზე გადავიტანოთ. ამიტომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა იბრძოლოთ, რათა გადავარჩინოთ ჩვენი სიცოცხლე და მასთან ერთად ჩვენი ქონებაც. დატენეთ დაუზიანებელი ზარბაზნები და მოახლოებულ მტერს ცეცხლი გაუხსენით. მათ რამდენიმე გასროლა მოახერხეს,

მაგრამ უშედეგოდ. ოლივერის გემიდან გაისმა თოფების სროლა, რომელსაც მეზღვაურებმა რკინის კაუჭზე გამობ-მული თოკების სროლა მოაყოლეს და მოწინააღმდეგის გემი ობობას ქსელივით თოკის ბადეში გაახვიეს, შემდგომ კი სწრაფად იწყეს მასზე გადასვლა. ჩასაძირად განწირულ მოწინააღმდეგის გემზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა. კაპიტანი ჩარლზი პირველი აღმოჩნდა მოწინააღ-მდეგის გემზე. იგი დამბაჩის სროლითა და ხმლის ქნევით იკვლევდა გზას კაპიტნის კაიუტისაკენ, სადაც საბრალო ტყვეები იტანჯებოდნენ. უცბად მას წინ „ლა რატის“ კაპი-ტანი დე დეიკა ხმლით ხელში გადაეღობა და ორი კაპიტანი ერთმანეთს სასიკვდილოდ ეკვეთა, მაგრამ ჩარლზმა იმარჯ-ვა და დე-დეიკა ხმლის გულში ძერებით მოკლა, კაპიტნის დაღუპვამ მეზღვაურებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ცოცხლად დარჩენილებმა შეწყვიტეს წინააღმდეგობა და იარაღი დაყარეს. ჩარლზი კაპიტნის კაიუტაში შევარდა, სადაც ინგლისელი მომაკვდავი ლორდი აღმოჩნდა თავის ლამაზ ქალიშვილთან ერთად. ვინ ხართ თქვენ? კითხა ჩარლზმა, რომელსაც ხელში გასისხლიანებული ხმალი ეჭირა, შიშისაგან შემკრთალმა ლორდის ქალიშვილმა წამოი-ძახა, ჩვენ ინგლისელი ტყვეები ვართ, სერ, გთხოვთ გვიშ-ველოთ, ინგლისელები, დალახვროს ეშმაკმა, აქ როგორ აღმოჩნდით მიმართა ჩარლზმა. ესპანელებმა ინგლისში დაგ-ვატყვევეს სერ, ჩარლზმა მათ სწრაფად ხელები აუხსნა და გარეთ გამოიყვანა, შემდეგ ბრძანება გასცა სწრაფად გაეჩხრიკათ გემი, მალე მისმა მეზღვაურებმა ოქროთი და ვერცხლით დატვირთული სამი დიდი ყუთი აღმოაჩინეს და თავის გემზე გადაიტანეს. კაპიტანო რა ვუყოთ ცოცხლად დარჩენილ ესპანელებს? გათოკეთ და გემზე დატოვეთ. დანარჩენებმა კი სწრაფად დატოვეთ გემი, სულ მალე ყველა ოლივერზე გადავიდა. მათ შორის იყვნენ ინგლისელი ტყვეე-ბიც, ლორდი და მისი ქალიშვილი ჯენი. სასწრაფოდ თოკები გადაჭერით, გემი მალე ჩაიძირება, იჩქარეთ, გასცა ბრძანება

ჩარლზმა. ის იყო თოკები გადაჭრეს და გემმა სწრაფად იწყო ჩაძირვა. მასზედ ხელ-ფეხ შებოჭილი ესპანელები ტყუულად ითხოვდნენ შველას. ისინი განწირული იყვნენ, კაპიტანო მიმართა სმიტმა, იქნებ ტყვეები გადმოვეყვანა, რას ამბობ სმიტ, განა ისინი დაგვინდობდნენ, შენ დაგავიწყდა რა სასტიკები არიან, მერე მათთვის არც სურსათი გაქვს და არც წყალი. გემი თან ძალზე სწრაფად იძირება. მართლაც გემი რამდენიმე წუთში ჩაიძირა. ჩარლზმა ლორდი და მისი ქალიშვილი თავის კაიტაში ჩაიყვანა და მოასვენა. თქვენ, ალბათ მოგშივდათ, სერ, ჰეიტხა ჩარლზმა ლორდსა და მის ქალიშვილს, მათ მორცხვად დახარეს თავი. ახლავე ყოველივეს მოგართმევენ, გატყობთ მაინცდამაინც კარგ პირობებში არ უნდა ყოფილიყავით. დიახ კაპიტანო მიუგო ჯენიმ. ჩვენ მხოლოდ წინა დღით, თქვენს თავდასხმამდე ამოგვიყვანეს ქვედა ტრიუმიდან, მანამდე სინესტესა და სიბნელეში ვყავდით, ამან კი მამაჩემზე ძალზე ცუდად იმოქმედა მას შემდეგ ხველა დასჩემდა. ჩვენი ექიმი მას აღმოუჩენს დახმარებას ქალბატონო. შემდგომ კი მე თქვენ ინგლისში გადმოგვამთ და მალე თქვენს სახლში აღმოჩნდებით. სამწუხაროდ, კაპიტანო, ჩვენ სახლი აღარა გვაქვს, ესპანელებმა გადაწვეს ჩვენი სახლ-კარი, ხოლო ჩვენ ტყვედ წამოგვიყვანეს, აღნიშნა ჯენიმ. ძალზედ სამწუხაროა ქალბატონო. კაპიტანო, თქვენ რა გქვიათ? ჰეიტხა ჯენიმ, მე ჩარლზი მქვიან, მე კი ჯენი. მამათქვენი ოფლში იწურება, ჯენი გავალ წამალს მოვუტან. ჩარლზი გარედ გავიდა და განკარგულება გასცა ლტოლვილებისთვის მიეხედათ და მათთვის არაფერი მოეკლოთ. ლორდმა კი ამოიოხრა და ჯენის მიმართა, შვილო, ეს ადამიანი ცუდი კაცი არა ჩანს და იგი შეასრულებს დანაპირებს და ჩვენ ინგლისში გადმოგვსხამს. მინდა ჩემს მიწაზე მოვკვდე და არა ზღვაში გადამაგდონ თევზების საჭმელად. რას ამბობ მამა სიკვდილზე ნაადრევია ლაპარაკი, ჩვენ დავბრუნდებით სამშობლოში და ახალ სახლს ავაშენებთ, ჯენის ცრემლები მოადგა თვალზე.

ღმერთმა გისმინოს შვილო, მაგრამ მე ამას ვერ მოვესწრები — ამოიოხრა ლორდმა, ჯენი თრვალცრემლიანი წამოდგა და გარეთ გავიდა ჩარლზის სანახავად. იქ კი ზღვის ყაჩაღებს ნამდვილი ლრეობა მოეწყოთ. კაპიტანი ჩარლზი შუა გემზედ იდგა. მის წინ კი ოქროს და ვერცხლის მონეტებით სავსე ყუთები იდო. იგი თავის მეზღვაურებ, ყოველივე ამას, მათი დამსახურებისამებრ უნანილებდა. მეზღვაურების სიხარულს საზღვარი არა ქონდა, ისინი რომით ჩარლზის სადღეგრძელოს სვავდნენ და თან დამბარებს ჰაერში ისროდნენ. ამ დროს ჩარლზი ბაქანზე ავიდა და იქიდან მიმართა თავის მეზღვაურებს: ახლა კი დროა მეგობრებო ჩვენი მომავალი გეგმების შესახებ ვილაპარაკოთ. ჩვენი უფროსი მეგობარი ზღვის გიზი დრეიკი ინგლისის დედოფალმა დაიბარა დასაჯილდოებლად. მასთან ერთად ჩვენც იმ გემების კაპიტნები, რომლებმაც „დიდი არმადის“ განადგურებაში მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენ გავემგზავრებით ლონდონში, იქ მე შევეცდები დედოფალს ვთხოვთო ამერიკის სამხრეთ სანაპიროზედ არსებულ კუნძულებთან გამოგვიყოს სტრატეგიული დანიშნულების კუნძული, სადაც ჩვენ დავფუძნდებით და იქიდან ესპანელების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას შევძლებთ. ცნობილია, რომ მათი გემები ძარცვავენ ამერიკის სანაპიროებს და იქ მცხოვრებ მოსახლეობას. ესპანელები უამრავი ოქროთი დატვირთული გემებით ესპანეთში მიემგზავრებიან. ჩვენ მათ ამის საშუალებას არ მივცემთ. ვინც თანახმაა ის გამომყვეს სიმდიდრისა და თავისუფლების მოსაპოვებლად. ვინც არა და იგი დათხოვნილი იქნება ჩვენგან და ის თავის წილი ოქროთი ინგლისში ჩასვლის შემდეგ წავა თავის გზით. გაუმარჯოს კაპიტან ჩარლზის. ჩვენ შენთან ერთად მოვდივართ ერთხმად აღრიალდნენ მეზღვაურები. ყოველივე ამას უყურებდა ჯენი, რომელიც აღფრთოვანებული იყო ახალგაზრდა კაცის სიმამაცით და წინდახედულებით. მას იგი იმ წუთიდან თავდავიწყებით შეუყვარდა. ჩარლზმა თვალი მოკრა ჯენის და მისკენ გაეშურა.

გილოცავთ გამარჯვებას კაპიტანო, მიუგო ჯენიმ, თქვენ  
შესანიშნავი მეზღვაურები გყავთ, რომლებსაც სჯერათ  
თქვენი. მართალი ბრძანდებით, დღეს ისინი ნამდვილი  
გმირები იყვნენ და კიდეც დაიმსახურეს ჯილდოები. მაგრამ  
თქვენ უფრო დიდი გეგმები გქონიათ, დიას მართალია,  
ამერიკის ნაპირებისკენ მინდა ჩემს მეზღვაურებთან ერთად  
ვიმოგზაურო. რატომ არ ისვენებთ კაპიტანო, განა არ სჯო-  
ბია ამ განძით, რომელიც თქვენ გაგარინიათ ინგლისში  
უშფოთველად იცხოვროთ — კითხა ჯენიმ. არა, ქალბატონო,  
უშფოთველი ცხოვრება ეს ჩემი მოწოდება არ არის, ცხოვრე-  
ბის ინტერესს მხოლოდ ზღვასავით მშფოთვარე ცხოვრებაში  
ვხედავ, ვინც თავის ბედს ზღვას დაუკავშირებს მისი  
ცხოვრება ზღვის ტალღებივით ბობოქარი ხდება. გასაგებია  
კაპიტანო, მაგრამ ასეთ სასტიკ ბრძოლებში გამარჯვებული  
მუდამ ვერ იქნება ადამიანი და ისეთ ახალგაზრდა კაცს,  
როგორც თქვენ ბრძანდებით, რომელიც გამოირჩევა სიმა-  
მაცით და გამბედაობით, ერთხელაც შეიძლება უმუხთლოს  
ბედმა, განა შეიძლება ასე სიცოცხლის სასწორზე შეგდება,  
თქვენ რომ რამე მოგივიდეთ ბევრ ლამაზ ქალიშვილს  
დაწყდება გული. მათ შორის თქვენც ქალბატონო? — კითხა  
ჩარლზმა, დიას, მათ შორის მეც, იყო პასუხი. სხვა ქალებს მე  
არავის ვიცნობ ჯენი. ამ სიტყვების შემდეგ ჩარლზი ახლოს  
მივიდა ჯენისთან და თვალებში ჩახედა და ყურში ჩასჩურ-  
ჩულა, თქვენ ერთად-ერთი ქალბატონი ხართ, რომელსაც მე  
სიკვდილის კარამდე არ დავივიწყებ და ამ სიტყვებით იგი  
ჯენის ლოყაზედ ეამბორა, ჯენის ლოყები აელენა და ოდნავ  
შემკრთალმა ჩარლზს მიმართა, მე და მამაჩემი თქვენგან  
დავალებულები ვართ, გთხოვთ დაგვრთოთ ნება მე და მამა-  
ჩემს იქ ლონდონში ჩვენი მხრიდან დახმარება აღმოგიჩინოთ,  
დედოფლის კარზედ ჩვენ ბევრი მეგობარი გვყავს, ისინი ჩვენ  
ყველაფერში დაგვეხმარებიან. კეთილი მე თანახმა ვარ ჯენი.  
ჯენი შვილო მოისმა კაპიტნის კაიუტიდან. ეს მამაჩემია,  
ჯენი და ჩარლზი კაიუტაში შევიდნენ. ლორდ მილტონი

დივანზედ იწვა და სახეზედ ოფლის წვეთები ჩამოსდიოდა, ჯენიმ ცხვირსახოცი აიღო და მას შუბლიდან ოფლი მოსწმინდა, შემდეგ წყალი დაალევინა. ჯენი, მე ვკვდები ასე უდროოდ, შვილო, გთხოვ მაპატიო, რომ სათანადოდ ვერ დაგიცავი იმ ყაჩალებისაგან, იქ ინგლისში. კაპიტანო ჩარლზ, მიმართა მან ჩარლზს, გთხოვთ, მე თუ რაიმე მომივიდა ყურადღება არ მოაკლოთ ჩემს ერთად-ერთ ქალიშვილს და ინგლისში ჩემს ძმას ჩააბაროთ. სიტყვას გაძლევთ სერ, რომ მე მას ყურადღებას და მზრუნველობას არ მოვაკლებ, ღმერთმა ხელი მოგიმართოს შვილო — აღმოხდა ლორდს.

მეორე დღეს ლორდი გარდაიცვალა, ხოლო გემი ოლივერი მალე ინგლისის ნაპირებს მიადგა. ლორდი გემიდან გადმოასვენეს და მიწას მიაბარეს. ჩარლზი, მისი მოადგილე სმიტი და ჯენი ლონდონს გაემგზავრნენ ინგლისის დედოფალ ელიზაბეტ მეორესთან შესახვედრად.

ჩარლზმა თავისი საგანძურიდან ძვირფასი ოქროს ყელსაბამი შეარჩია, რომლის შუაგულში დიდი ბრილიანტი იყო დამაგრებული, იგი ჩარლზმა დიდი არმადის განადგურების დროს ერთ-ერთ ესპანელ გემის კაპიტანს წაართვა.

და დადგა ნანატრი წუთები, დედოფლის სასახლეში მრავალ ადამიანს მოეყარა თავი. აქ იყვნენ ვაჭრები, დიპლომატები, ელჩები და მრავალი სხვა, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ მისი უდიდებულესობის გამოჩენას და აი დედოფალი გამოჩნდა თავის ძვირფას სამოსელში. იგი ჩაეშვა თავის სამეფო სავარძელში და დარბაზი გადაათვალიერა. მისი მზერა შეჩერდა ზღვის ადმირალებზე, რომლებიც ბრწყინვალე მუნდირებში გამოწყობილები დედოფლის წყალობას ელოდნენ. აქ იყვნენ ზღვის ყაჩალთა წარმომადგენელი კაპიტნები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ესპანელების დიდი არმადის განადგურებაში. აქვე იდგნენ ჩვენი გმირებიც. დედოფალი ადგა და სიტყვით მიმართა იქ მყოფთ — მან მადლობა გადაუხადა ყველას ვინც კი ინგლისის დიდებისათვსი იბრძოდა. შემდგომ კი დედო-

ფალმა ტიტულებით და მამულებით მრავალი ადამიანი დაა-ჯილდოვა. ჩარლზმა დრო იხელთა და ახლოს მდგომ დედოფალს მიმართა, დედოფალო მიიღეთ გემ „ოლივერის“ კაპიტ-ნისაგან ეს მოკრძალებული საჩუქარი. იგი ესპანელებს თავის დედოფლისათვის ქონდათ განკუთვნილი, მაგრამ იგი თქვენ უფრო დაგამშვენებთ. და დედოფალს ძვირფასი ყელსაბამი ბრილიანტის ქვით მიართვა, დედოფალმა დახედა საჩუქარს და ძალზედ კმაყოფილი დარჩა, თქვენ რა გქვიათ კაპიტანო — მე ჩარლზ მილტონი გახლავართ დედოფალო, ჩარლზ მილტონ მე თქვენთვის ინგლისის ფლოტის კაპიტონ-ბა მიბოძებია. და სამხრეთ ამერიკის მიდამოებში არსებული ნებისმიერი კუნძულის გუბერნატორობა, რომელსაც თქვენ დაიპყრობთ. გმადლობთ დედოფალო, მე თქვენს წყალობას სიკვდილამდე არ დავივიწყებ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ თქვენი დიდებისათვის. მე ინგლისის ფლოტს არასოდეს შევარცხვენ. გისურვებთ წარმატებას კაპიტანო, მიმართა მას დედოფალმა და ლიმილით გაეცალა ჩარლზს. ჩარლზის სიხარულს საზღვარი არა ქონდა, მისი წარმატება ჯენისაც უხაროდა და თავის სიხარულს ვერ მალავდა — მან ყოველივე თავის ყურით მოისმინა. ჩარლზ გილოცავ ამ შენს მართლაც დიდ წარმატებას და იცოდე მეც შენთან ერთად მოვდივარ უცნობი კუნძულის დასაპყრობად. ქალს იქ რა უნდა უცნობ კუნძულზედ, სადაც მრავლადაა გარეული ცხოველები და ველური ინდიელები. შენ აქ დარჩები ჯენი და ჯობს მამისეული სახლი აღადგინო, ფულს ამისათვის მე მოგცემ, ფული არ მინდა მე შენთან ერთად წამოსვლა მინდა. ეს შეუძლებელია ჯენი, იქ ჩვენ სასტიკი შეტაკებები გველის ესპანელებთან, თან ქალს მეზღვაურების რწმენით უბედურება მოაქვს გემზედ. ეგ ტყუილია, მე შენ მხოლოდ ბედნიერებას მოგიტან. შენ ინგლისში დარჩები, ჯენი მიმართა ჩარლზმა. ჯენიმ მას გაბრაზებულმა შეხედა და დარბაზიდან გავიდა. მალე ჩარლზმა პორტსმუტის ნავსადგურში ესპანელების დაზიანებული სამხედრო გემი

შეიძინა, რომელიც შეაკეთა და სათანადოდ აღჭურვა, კარგი ეკიპაჟით დააკომპლექტა და სურსათ-სანოვაგით მოამარა- გა. მალე ორივე გემმა ღუზა აუშვა და ზღვაში გავიდა. ჩარლზი დიდი სიყვარულით გამოემშვიდობა ჯენის ნაპირზე, ერთის მხრივ მას რა თქმა უნდა გული სწყდებოდა, რომ ტოვებდა საყვარელ ადამიანს, მეორეს მხრივ უხაროდა რომ იგი უცნობი ნაპირებისაკენ მიიკვლევდა გზას, რომელიც შემდგომ ორივეს ბედნიერებას მოუტანდა. მგზავრობის მეორე დღეს მისმა მეზღვაურებმა ჩარლზს ვიღაც უცნობი ბიჭი მოუყვანეს, უცნობი ყმაწვილი ამოიპარა გემზე და ამბობს რომ შენი მეგობარია ჩარლზ, ჩარლზმა ერთი ახედა უცნობ ყმაწვილს და ბრძანა. მე მაგას არ ვიცნობ, როზგები მაგას და პირველსავე ნაპირზე ჩამოსვით, მოიცათ, იყვირა ყმაწვილმა და ჩარლზს მიმართა. ვერ მიცანით კაპიტანო ჩარლზ მილტონო, მე ხომ ჯენი ვარ. ჯენი შენ აქ როგორ მოხვდი. აბა რა გეგონა, მარტო გაგიშვებდი კაპიტანო და ორივე ერთმანეთს გადაეხვია. ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთით, ახლანდელ კუბასთან ახლოს, ატლანტიკის ოკეანის ამ დასავლეთ ნაწილში, შესანიშნავი კუნძულები გადაიშალა ჩარლზის გემების ეკიპაჟის თვალწინ. სხვადასხ- ვა ზომის ბაგამის კუნძულები გემიდან კარგად მოჩანდა, მათ შორის ერთ-ერთი მეტად მოსახერხებელი ჩანდა გემების მისადგომად, მაგრამ იგი დასახლებული აღმოჩნდა ველური ტომებით. ოლივერი ნელა უახლოვდებოდა უცნობ კუნძულს, აფრები აკეცეთ და ღუზა ჩაუშვით. მოამზადეთ ნავები ჩასაშვებად, ბრძანა ჩარლზმა. მალე სამი ნავი 18 ადამიანით გემს მოშორდა და ნაპირისაკენ დაიძრა. პირველ ნავში ჩარლზი და ჯენი ისხდნენ. მათთან ერთად ხუთი მეზღვაური თოფებით შეიარაღებული, ისინი პირველნი მიადგნენ ნაპირს. ჩარლზი ნავიდან გადმოხტა, ჯენი ხელში აიყვანა და ნაპირზე გადაიყვანა. მათ პირველებმა დაადგეს უცნობ ნაპირს ფეხი, ჩარლზი პირქვე დაემხო მიწაზედ და მას ეამბ- რა. ჯენის სიხარულს საზღვარი არა ქონდა. მეზღვაურებიც

გადმოვიდნენ, ჩარლზმა ინგლისის დროშა გაშალა, წინასწარ გამზადებულ ხის ტარზედ დაამაგრა, ამაღლებულ ბორცვზე ავიდა და იგი მიწაში ღრმად ჩაარჭო. ამ კუნძულს ვაცხადებ ინგლისის საკუთრებად, ხოლო მე ინგლისის წარმომადგენელი, მისი გუბერნატორი ვარ დღეიდან, წარმოთქვა მან და იგი ჯენის გადახვია. ამ დროს ნაპირს დანარჩენი ნავებიც მოადგნენ. მეზღვაურები ნაპირზე სიხარულით გადმოვიდნენ. ჩარლზს ულოცავდნენ, ზოგმა თოფიც კი გაისროლა. მეგობრებო, მიმართა მათ ჩარლზმა, გილოცავთ ამ პირველ გამარჯვებას, მაგრამ ჩვენ სიფრთხილე გვმართებს, რადგან კუნძული შეიძლება ველურებით იყოს დასახლებული, ნაპირის იქით გაუვალი ტყეები მოჩანს, ყველა ერთად დავიძრათ კუნძულის შუაგულისკენ და თოფები მზად გქონდეთ, თავდასხმა გამორიცხული არ არის. ყოველი ხის ძირას შეიძლება საფრთხე იმალებოდეს. ნავებთან რამდენიმე კაცი დარჩით და უყარაულეთ. გემებზე ჩემი ბრძანებით ზარბაზნები ნაპირისკენ არიან მიმართული და ჩემი ნიშნის შემთხვევაში ისინი მოწინააღმდეგეს ცეცხლს გაუხსნიან. ახლა კი წინ კუნძულის დასაპყრობად. 15 კაციანი შეიარაღებული ჯგუფი ის იყო ტყეში უნდა შესულიყო რომ ამ დროს ვიღაცის ნასროლმა რამდენიმე ისარმა ჩარლზს თავზედ გადაუქროლა. ჩარლზის გვერდით მდგომი ჯარისკაცი მკლავში დაიჭრა. ჯარისკაცმა დაიყვირა და ჩარლზმა გასცა ბრძანება, რომ ყველანი ხეებს ამოფარებოდნენ, მაგრამ ამ დროს ველურთა ყიფინამ გააყრუა იქაურობა და ისინი შუბებით შეიარაღებულები ტყიდან გამოვარდნენ და ჩარლზის რაზმისკენ დაიძრნენ. როგორც კი ისინი სასროლ მანძილზედ მოუახლოვდნენ მათ, ჩარლზმა სროლის ბრძანება გასცა და თოფებმაც იგრიალა, ათამდის ველური მოცელილივით დაეცა ძირს. სროლები რამდენჯერმე გამეორდა, ისროდა ჯენიც და ტყის ნაპირი ველურთა გვამებით აივსო, შემდეგ მათ შეწყვიტეს თავდასხმა და უკან გაიქცნენ. ამის შემდეგ ისინი არ გამოჩენილან, შუადღე უკვე გადასული იყო როდესაც ჩარლზმა იხმო მოად-

გილე სმიტი და უბრძანა, ორივე გემის მეზღვაურებს ჩემი ბრძანება გადაეცი რომ კიდევ 30 კაცი მოგვაშველონ გემებიდან. მოხსნან პატარა რამდენიმე ზარბაზანი გემიდან და აქ მოიტანონ, ჩემს ნიშანზე გემზე დარჩენილებმა ეს სანაპირო ზოლი მიზანში ამოიღონ და ველურებს ცეცხლი გაუხსნან. დარწმუნებული ვარ ისინი აქ, ამ ადგილას იმალებიან, ზარბაზნები მათ მიმოფანტავთ და ჩვენც მაშინ შევალთ ტყეში და მათ საბოლოოდ გავანადგურებთ. სურსათი და ტყვიანამალი არ დაგავინყდეს, აბა შენ იცი. ყოველივე მოაგვარე და მალე დაბრუნდი. ჯენი შენც ხომ არ წაყვებოდი სმიტს, გემზე უფრო უსაფრთხოდ იქნები. არა, მე შენს გვერდით დავრჩები. კეთილი. ჩარლზ — იქნებ ჩვენ მოლაპარაკების გზით ვეცადოთ მათთან საერთო ენის გამონახვა, აღნიშნა ჯენიმ, მაგრამ როგორ, ჩვენ მათი ენა არ ვიცით და თან ისინი ისრებს გვესვრიან. მათ თვითონ გააკეთეს თავიანთი არჩევანი, მაგრამ ჩარლზ ისინი ხომ თავიანთ მიწას იცავენ, მართალი ხარ, მაგრამ ჩვენ მათ სამტროდ არ მოვსულვართ. ჯენი, როგორ არ გესმის, რომ ჩვენ მათვის სიკეთე გვინდა, ჩვენ მათ ბევრ სასარგელო საქმეს ვასწავლით და უკეთესად ვაცხოვრებთ, ვიდრე ეხლა ცხოვრობენ. მაგრამ ისინი თავისუფალი და ბედნიერნი არიან, აღნიშნა ჯენიმ. ჯენი ჩვენ მათ ცივილიზაციას ვაზიარებთ და ისინი მართლა ბედნიერები იქნებიან. შევეცადოთ ჩარლზ ისინი აღარ დავხოცოთ. ვეცდები ჯენი. უცბად კვნესის ხმა გაისმა, ეს დაჭრილი ველური ადამიანის ხმა იყო. ჩარლზმა ორ მეზღვაურს დაავალა მისი მოყვანა. მეზღვაურებმა დაჭრილი ტყის პირიდან ჩარლზთან ამოიყვანეს ხელში აყვანილი, დაჭრილი ველური, ტკივილისაგან კვნესოდა. იგი ტყვიით ფეხში იყო დაჭრილი. ტყვია უნდა ამოუღოთ, იგი ფეხის ძვალში აქვს გაჩერილი. ველური გაკვირვებული უყურებდა უცხო თეთრკანიან ადამიანებს და თავისთვის რაღაცს ბუტ-ბუტებდა. ამ დროს გაისმა მეზღვაურთა შეძახილები და ნაპირს ექსვსი ნავი მოადგა, ნაპირზე 30 შეიარაღებული

მეზღვაური გადმოვიდა და ჩარლზის რაზმს შეუერთდა. შეტევისათვის მოვემზადოთ, მანამდე კი გემის მეზარბაზნე-ებს ნიშანს მივცემ, რათა მათ სანაპირო ტყის ზოლს ესრო-ლონ და ჩვენ შეტევა გაგვიადვილონ. ჩარლზმა შავი თავსაკრავი მაღლა ასწია და გემებს ნიშანი მისცა. გემებიდან კვამლი ავარდა და ათამდე ყუმბარა ტყეში ზღვის გაყოლე-ბით აფეთქდა, იქიდან ველურების განწირული ყვირილი გაისმა, ახლა კი დროა შესძახა ჩარლზმა და და 40 შეიარაღებული მეზღვაურს წინ წარუძღვა. ტყეში შესულები წააწყდნენ ველურთა გვამებს. ცოცხლად დარჩენილები თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ და მათ კვალდაკვალ ჩარლზის რაზმი მისდევდა. მალე ტყე დამთავრდა და კლდოვანი ბორცვი დაიწყო, რომელიც ველურებმა სწრაფად აირბინეს მაგრამ ზოგიერთებმა ვერ მოასწრეს და მეზღვაურთა ნასროლმა ტყვიამ კიდევ რამდენიმე ველური გამოასალმა სიცოცხლეს. ჩარლზის რაზმი ბორცვს გადავი-და და მათ თვალწინ შესანიშნავი ხედი გადაიშალა, ყვავ-ილებიან ფართე მდელოს შუაში გველივით დაკლაკნილი მდინარე ჩამოუდიოდა, რომელიც სათავეს მთებში იღებდა. იგი ზღვაში იმ ადგილას ჩაედინებოდა, სადაც ბუნებრივი ნავსაყუდელი იყო და რამდენიმე გემი თავისუფლად შეაფარებდა თავს. მეზღვაურებმა სწრაფად გადაკვეთეს მდელო და კლდოვან ფერდობზე ავიდნენ, სადაც ტყე იწყე-ბოდა. რამდენიმე ხანში მეზღვაურები სხვა ველურებს წააწყდნენ, რომლებიც თავის მოძმის ხორცს მიირთმევდნენ. ველურები ყიუინით ეტაკნენ მომხდურებს, მაგრამ თოფების სროლამ ისინი შეაჩერა, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს. მათ ნაპირზე ნავები ქონდათ, შიგ ჩასხდნენ და გაურკვეველი მიმართულებით გაცურეს. ჩარლზმა ბრძოლის ადგილი შეათვალიერა და ცუდ გუნებაზე დადგა ძალზე ბევრი მსხვერპლია. წარმოთქვა მან ნაღვლიანად და აღნიშნა. ცხა-დია ისინი ამ კუნძულზე არ ცხოვრობდენ. ისინი ველური კაციჭამიები არიან, რომლების სხვა კუნძულიდან მოვიდნენ

თავის ბინძური საქმის გასაკეთებლად. ისინი ადამიანის ხორცს ჭამენ, აღელვებით წარმოთქვა ერთმა მეზღვაურმა და ლირსი არიან, რაც ჩვენ მათ დავმართეთ. იმედია მათ მადა დაუკარგეთ და აქ აღარ დაბრუნდებიან.

ჩარლზის რაზმი უკან დაბრუნდა.

მალე დაიწყო კუნძულის ათვისება და საცხოვრებლად მოწყობა. კუნძულს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ქონდა. მის სიღრმეში შეღწევა დაუბრკოლებლად მხოლოდ აღმოსავლეთის მხრიდან მდებარე ზღვის უბით შეიძლებოდა. უბეში გემით რომ შესულიყავი ორ კლდეს შორის უნდა გაგევლო, ორივე კლდე ძალზე ახლოს იყო ერთმანეთთან, ისე რომ ხიდის გადებაც კი შეიძლებოდა. კლდის კიდეებზე თუ ზარბაზნები განლაგდებოდა, ამ შემთხვევაში მტრის გემები განწირული იყო და უბეში დაუზიანებლად ვერ შევიდოდა. უბეში უკვე მოხვედრილი გემები უხიფათოდ შეიძლება ყოფილიყვნენ. წლის ნებისმიერ დროს ზღვის ღელვა მათ ვერაფერს დააკლებდა. უბის დასავლეთ მხრიდან მდინარე ჩაედინებოდა და მისი შესართავი მეტად ნაყოფიერი იყო, იგი მდელოს წარმოადგენდა. სწორედ აქ გადაწყვიტა ჩარლზ მილტონმა თავისი ოცნების ციხექალაქის აშენება. იგი გემებით აღნიშნული უბის გავლით ნაპირს მიადგა და ღუზა ჩაუშვა. ნავებიდან სუსველა ნაპირზე გადმოვიდა, მთელი გემის ეკიპაჟი, რომელიც ას კაცამდე იქნებოდა და ამ 100 ადამიანს ახალ ამერიკის კოლონიაში ახალი ცხოვრება უნდა დაეწყო, ფაქტიურად ცარიელ ადგილზე. გასაკეთებელი კი ბევრი რამ იყო. მაგრამ ჩარლზი და მისი მეგობრები ძალზედ მოწადინებულები იყვნენ, რათა ცხოვრება კოლონიაში ისე მოეწყოთ, რომ არაფერი დაჰკლებოდათ და ბედნიერები ყოფილიყვნენ. იქ ევროპაში, რასაც ვერ მიაღწიეს მათ, უნდოდათ აქ მიეღწიათ და თავისუფალი ყოფილიყვნენ. ამისათვის მათ ქონდათ დიდი ნებისყოფა, სურვილი და სიმდიდრეც, რომელიც მეტად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ მთავარი მაინც საქმის

ორგანიზებული და სწორი წარმართვა იყო, რომელსაც ჩარლზი წარმატებით ახორციელებდა, მან მეტად ჭკვიანური, მოხერხებული ნაბიჯები გადადგა. უპირველეს ყოვლისა მან შეკრიბა პირველსავე დღეს ყველა და თავის გეგმები გააცნო ციხე ქალაქის მშენებლობაზე და პირველი განკარგულებაც გასცა. კერძოდ მან განუცხადა თავის მეზღვაურებს, რომ დღეიდან კუნძული მთლიანად ინგლისის მფლობელობაში გადადიოდა, რომლის გუბერნატორიც ის იყო და მას განსაზღვრული აქვს კუნძული გადააქციოს ძლიერ ციხესიმაგრედ ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ საპრძოლველად, რომლებიც უმოწყალოდ ანადგურებდნენ ამერიკის მკვიდრ მოსახლეობას, რომ ესპანელებმა მთლიანად გაანადგურეს და გაძარცვეს ინკების, აცტეკების და მაიას ტომის მოსახლეობა, მათი უდიდესი ქონება ოქროს სახით გაიტანეს გემებით ესპანეთში. ჩვენი მიზანია დამპყრობლებს ხელი ავალებინოთ ამ ყაჩაღობისაგან და მხარში ამოვუდგეთ ადგილობრივ მოსახლეობას. მათი ქონება ცივილიზაციული ინგლისის საშუალებით დავაბანდოთ მომგებიან საქმეებში. ავაშენოთ მათ ქვეყნებში ინგლისის ახალშენები, რომლებიც დიდ წვლილს შეიტანენ მათი ცივილიზაციის საქმეში. მათი ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენ გვეძლევა ამჟამად საშუალება მივიღოთ მონაწილეობა ამ ისტორიულ საქმეში, ჩვენი ციხესიმაგრე იქნება დასაყრდენი ძალა ესპანელი კოლონიზატორების წინააღმდეგ საპრძოლველად. მათ ნაძარცვი ქონება ჩამოერთმევათ და გადავა ჩვენს ხელში, რომელსაც შემდგომ ჩვენ გამოვიყენებთ ზემოთ აღნიშნული კეთილშობილი მისიისათვის, კერძოდ ჩვენი, ინგლისისა და ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ, ეს კუნძული და კიდევ სხვებიც, რომელსაც ჩვენ დავიპყრობთ, იქნება ჩვენი და ინგლისის საკუთრება. აქ თქვენ შეგიძლიათ ააშენოთ სახლები, ფერმები. უნდა შექმნათ ოჯახები და რაც შეიძლება სწრაფად. მომავალში კი ჩვენი შვილები გააგრძელებენ ჩვენ დაწყებულ საქმეს. მეგობრებო მშენებლობა

დავიწყოთ აი აქ, ამ ადგილას, სადაც ვდგევართ. აქ დიდი სახლი ავაშენოთ. ის იქნება საფუძველი მთავარი ციხესიმა-გრის. ყურეში შემოსასვლელ ნაპირებზე აშენდება სადარა-ჯო კოშკები, რომელშიც განთავსდება ზარბაზნები, ისინი არცერთ მტრის ხომალდს არ შემოუშვებენ ჩვენს სამფლო-ბელოში.

დრო სწრაფად გადიოდა, კუნძული არნახული ტემპებით შენდებოდა და მშვენდებოდა. სულ მალე აღნიშნული ადგილი კოხტა და ძლიერ ციხესიმაგრედ გადაიქცა მდინარის პირას, დამთავრდა მთავარი სახლის მშენებლობა, რომელიც გუბერნატორის რეზიდენციის მოვალეობას ასრულებდა. სამშენებლო მასალად კოლონისტები ძირითადად კუნძულზე არსებულ რესურსებს იყენებდნენ, როგორიც იყო ქვის და ხის მასალა. სახლი ორსართულიანი იყო, პირველი სართული სხვადასხვა სათავსოებისათვის იყო განკუთვნილი, მეორეზე სასადილო, საძინებელი და მისაღები ოთახები იყო. იქვე ახლოს დანარჩენმა კოლონისტებმაც დაიწყეს თავიანთი სახლ-კარის მშენებლობა. ნავსადგურის შემოსასვლელ ადგილას კლდეების განაპირას საგუშაგოები განთავსდა, სადაც გემებიდან მოხსნილი ზარბაზნები დადგეს. 8 ზარბაზანი საიმედოდ იცავდა ნავსადგურის შემოსასვლელს. ამის შემდეგ ჩარლზმა გადაწყვიტა პირველი სადაზვერვო გასვლა მოეწყო თავის გემებით გაშლილ ზღვაში და ესპანელების აღმოჩენის შემთხვევაში ბრძოლა გაემართა მათთან. ჯენის-თან ერთად კუნძულზე მან მხოლოდ საყარაულო გარნიზონი დატოვა, მალე გემები ზღვაში გავიდნენ, ჩარლზისათვის ცნობილი იყო, რომ მექსიკის დედაქალაქი მეხიკო სასტიკად იძარცვებოდა ესპანელი კონკისტადორების მიერ და ისინი მექსიკის უბის და კუბის გავლით ატლანტიკის ოკეანეში გადიოდნენ, შემდგომ ნაძარცვი ქონება ესპანეთში გადაჰქონდათ. გზად ჩარლზმა რამდენიმე კუნძული გაიარა, მაგრამ არ შეჩერებულა. მისი გემები კუბისაკენ მიიჩნევდნენ. გასცდნენ თუ არა ერთ-ერთ კუნძულს, ჰორიზონტზე, რამ-

დენიმე გემი გამოჩნდა. მათ იალქნები ფართოდ გაეშალათ და მთელი სისწრაფით ჩარლზის გემებისაკენ მოემართებოდნენ. პირველი განგაშის ნიშანი ჩარლზის გემის ბოცმანმა ატეხა, ჰორიზონტზე ესპანელების გემები გამოჩნდნენ — დაიყვირა მან, ჩარლზი იმ წუთს ჭოგრიტს ეცა და გაიხედა. მართლაც ჰორიზონტზე ესპანეთის გემებზე სამეფო დროშები ფრიალებდნენ. სრული სვლით წინ მოწინააღმდეგის გემებისაკენ — ბრძანა ჩარლზმა, მოემზადეთ შეტევისათვის, დატენეთ ზარბაზნები. ჩარლზის ორივე გემი ბრძოლისათვის მზად იყო. მოწინააღმდეგის სამი სამხედრო ხომალდი ორის წინააღმდეგ ეს არც ისე სახარბიელო მდგომარეობა იყო ჩარლზის მეზღვაურებისათვის, მაგრამ მათ სჯეროდათ თავისი კაპიტნის სამხედრო ნიჭის და არც შემცდარან. ჩარლზის ბრძოლის გეგმა მარტივი იყო, მოწინააღმდეგის რიგებში სროლით შეღწევა და შემდეგ თოკებისა და კაუჭების საშუალებით მოწინააღმდეგის გემებზე გადასვლა და მტრის განადგურება ხელჩართული ბრძოლით. მოწინააღმდეგის ორი გემი წინ წამოვიდა და თავის მესამე გემს წინ ამოეფარა. ჩარლზი ყველაფერს მიხვდა, მან თანაშემწედა დაიბარა და ბრძოლის გეგმა გააცნო — მოწინააღმდეგის ორი გემი აპირებს შეტევას და მესამე კი ეცდება თავს უშველოს. ცხადია რაღაც ძალზე ფასიანია იმ გემზე და ჩვენი მიზანია ამ ორი გემის განადგურება, ხოლო მესამის დაუზიანებლად ხელში ჩაგდება. ორივე გემს მე შევუტევ, მათ შუაგულში შევაღწევ და ცეცხლს ორივე ბაქნიდან გავუხსნით. თქვენ გადაეცით ჩვენს გემს, რომ იგი მესამე გემს გამოუდგეს და ის ეცადოს აბორდაჟზე აიყვანოს. ისე რომ გემი არ ჩაძირონ, რადგან გული მიგრძნობს იქ ძვირფასი ტვირთი უნდა იყოს. ყველაფერს ისე გავაკეთებთ როგორც თქვენ ბრძანეთ კაპიტანო. და მან იმ წუთში მეორე გემს ხელების ქნევით ბრძანება გადასცა. გემები კი სწრაფად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს. მოწინააღმდეგის ორმა გემმა საკმაოდ ჩამოიტოვა მესამე გემი, ჩარლზმა კურსი მათ

შორის არსებულ გასასვლელისკენ აიღო, ხოლო მეორე გემი მას ოდნავ ჩამორჩა და დასავლეთიდან დაუწყო შემოვლა მტრის მესამე გემს. ინგლისის სამეფო დროშები მაღლა, გასცა ბრძანება ჩარლზმა და რამდენიმე წუთში მის ორივე გემს ინგლისის სამეფო დროშები ამშვენებდნენ. ამას ესპან-ელების მხრივ პირველი გასროლა მოყვა, მაგრამ უშედეგოდ. მათი გასროლილი ყუმბარები ჩარლზის გემების ახლოს აფეთქდა. მთელი სვლით წინ, ზარბაზნებიდან ცეცხლი — ბრძანა ჩარლზმა. მათ მიერ გასროლილი რამდენიმე ყუმბარა მიზანს მოხვდა. ესპანელების გემებზე პანიკა დაიწყო. ამ დროს გემები ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ჩარლზის გემი მათ შუაში მოექცა და ჩარლმა ბრძანება გასცა და გემმა ორივე ბაქნიდან ცეცხლი გახსნა. 60 ზარბაზანმა ერთდროულად იგრიალა, ყოველივე კვამლში გაეხვია, რაიმეს გარჩევა ძნელი იყო. მტრის გასროლილმა ყუმბარებმაც „ოლივერი“ სახიფათოდ დააზიანა. ჩარლზი არ დაიბნა და ბრძანა მოწინააღმდეგისათვის კვლავ გაეხსნათ ცეცხლი ზარბაზნებიდან, ამ გასროლებმა ესპანელების გემებს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა, კვამლი რომ გაიფანტა ჩარლზის თვალწინ საშინელი სურათი გადაიშალა. მტრის ორივე გემი მწყობრიდან იყო გამოსული. მათ ხანძარი ქონდათ გაჩენილი ზარბაზნის ნაღმებისაგან. მათ გვერდებიდან წყალი სწრაფად ავსებდა გემების ფსკერს. გემები იძირებოდნენ და მასზედ მყოფი ესპანელები ზღვაში გადახტომით შველოდნენ თავს, მაგრამ ჩარლზის მეზღვაურები მათ მუშკეტებიდან ესროდნენ და კლავდნენ. არც „ოლივერი“ იყო სახარბიელო მდგომარეობაში. წყალი მასშიც შედიოდა და ისიც თანდათან იძირებოდა. ყველანი ნავებში, გასცა განკარგულება ჩარლზმა და მეზღვაურებმა ნავები სწრაფად ჩაუშვეს ზღვაში. ჩარლზმა უკანასკნელად შეავლო თვალი თავის გემს და გულდაწყვეტილმა სწრაფად სვლა ბრძანა თავის მეორე გემისაკენ. ჩარლზის გემს იერიში პირდაპირ მიეტანა მოწინააღმდეგის გემზე და ის აბორდაჟზე ჰყავდა აყვანილი

ესპანელების გადარჩენილ გემზე ჩარლზის მეზღვაურები ხელჩართულ სამკუდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდნენ. ჩარლზი მოწინააღმდეგის გემს მიუახლოვდა და მან და მისმა მეზღვაურებმა სწრაფად დაიწყეს მასზედ ასვლა. ორმხრივმა შეტევამ შედეგი გამოიღო და ესპანელები დამარცხდნენ. გემზე მრავლად აღმოჩნდა ტყვეები როგორც ინდიელები, ასევე ზანგები, და რაც მთავარია იქ აღმოჩნდა დიდძალი სიმდიდრე ოქროს შესანიშნავი ნაკეთობათა სახით, ტყვეების უმეტესობა ქალები იყვნენ. ჩარლზს აგრეთვე ტყვეთ ჩაუვარდა გემის კაპიტანი როდრიგესი. ჩარლზი მის დასაკითხად ქვემოთ ტრიუმში ჩავიდა, სადაც ყოფილი კაპიტანი ხელფეხშეკრული ეგდო იატაკზედ. აბა გამოტყდი ვაჟბატონო, საიდან ამდენი ნაძარცვი იქრო და სად მიგქონდათ. სერ ჯერ ერთი ეს ოქრო არის ესპანეთის საკუთრება, როგორც ის მიწა-წყალი, სადაც ის მოვიპოვეთ, მეორეც თქვენ ჩადიხართ სასტიკ დანაშაულს, როდესაც ამდენ უდანაშაულო ადამიანს კლავთ და სხვის ქონებას ითვისებთ. გამწარებულმა მიაყარა როდრიგესმა.

არა, თქვენ ცდებით, ეს თქვენ ხართ ყაჩაღები და მძარცველები, აღშფოთდა ჩარლზი, თქვენ უკანონოდ ძარცვავთ ადგილობრივ მოსახლეობას, ატყვევებთ მათ, ხოლო მათ ქონებას ითვისებთ. ჩვენ კი სამართლიანად ვიქცევით, როდესაც მათ ვათავისუფლებთ, ხოლო ნაძარცვ ქონებას მათსავე მიწაზედ ვაბრუნებთ. ახლა კი სერ, ნება იბოძეთ, გადახტით გემიდან, აუსხენით ხელ-ფეხი ბრძანა ჩარლზმა და ტყვეს ხელ-ფეხი აუხსნეს. მე თქვენ გაგანთავისუფლებთ სერ და თუ თქვენ ესპანეთამდე ცურვით ჩააღწევთ, აუცილებლად მოკითხვა გადაეცით თქვენს მეფეს ჩარლზს მილტონისაგან. ეს უკანონობაა სერ და თქვენ მასზედ პასუხს აგებთ, იყვირა როდრიგესმა, მაგრამ მას უკვე არავინ უსმენდა და ჩარლზის მეზღვაურებმა იგი ზღვაში მოისროლეს და მას ზედ მისი ქუდი მიაყოლეს. ეხლა კი მეგობრებო გამარჯვებულები შინისაკენ გავემგზავროთ. ჩარლზის ბრძანებით

ორივე გემი თავისუფლების კუნძულისაკენ გაემართა. ეს სახელწოდება მას ჩარლზმა დაარქვა. მალე გამარჯვებული გემები კუნძულის ყურეში შევიდნენ და ღუზა ჩაუშვეს. მათ ხმელეთიდან ზარბაზნების სროლით შეეგებნენ. ჩარლზი და მისი მეზღვაურები ნავებში სწრაფად ჩასხდნენ და ნაპირისაკენ გაცურეს. იქ კი ჩარლზს ყველაზე ძვირფასი ადამიანი ელოდებოდა, ეს ჯენი გახლდათ, რომელიც სულმოუთქმელად ელოდა ჩარლზს. ჩარლზი ნაპირზე გადავიდა და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ხანი გავიდა და კოლონიაც სწრაფად გაიზარდა. გაჩნდა პირველი ოჯახები, რომლებსაც შვილები ეყოლათ, მოიმატა კოლონიაში ადამიანთა რაოდენობამ, რომელიც უკვე სამასამდე ადამიანს ითვლიდა. კუნძული ნაყოფიერი იყო და სრულიად საკმარისი, რათა გამოეკვება უფრო მეტი რაოდენობის ადამიანიც კი. ჩარლზმა კიდევ რამდენიმე წარმატებას მიაღწია ზღვაზე ბრძოლის დროს და მისი ქონება გაიზარდა, რომლის ნაწილსაც იგი ინგლისში აგზავნიდა, მოიმატა ხომალდების რაოდენობამაც. ჩარლზის ფლოტი ათი პატარა და დიდი გემისგან შედგებოდა. ჩარლზს და ჯენის შეეძინათ შვილი, რომელსაც პატარა ჩარლზი დაარქვეს. მისი გაზრდით ძირითადად ჯენი იყო დაკავებული. მამა მას ნადირობას და მეზღვაურობას ასწავლიდა. პატარა ჩარლზი ათი წლისა იყო და თავისუფლების კუნძულზედ ბედნიერად ცხოვრობდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ტრაგიკულად დამთავრდა მილტონების ოჯახის ბედნიერება. ეს ის დრო იყო, როდესაც XVII საუკუნის დასაწყისისათვის ინგლისის მეფე ჯეიმს პირველმა ჩრდილოეთ ამერიკაში ინდიელებით დასახლებულ ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე ახალშენის დაარსების ნებართვის სიგელი გასცა. ამ კოლონიას ვირჯინია ეწოდა. აღნიშნულ საუკუნეში ჩრდილოეთ ამერიკაში ატლანტიკის ოკეანის სანაპიროს გასწვრივ თანდათან შეიქმნა 13 ინგლისური კოლონია, სადაც მოყავდათ ევროპელებისათვის უცნობი საკვები პროდუქტი, როგორიც იყო სიმინდი,

კარტოფილი, პომიდორი, კაკაო, თამბაქო. აღნიშნული პრო-დუქტები ჩარლზის კუნძულზეც მოდიოდა.

ასეთი ვითარება იყო, როდესაც ესპანელებმა მიაგნეს ჩარლზის კუნძულს და გადაწყვიტეს კუნძულზე არსებული ციხესიმაგრე გაენადგურებინათ და კუნძული მიეთვისებინათ. ამისათვის მათ საკმაოდ დიდ ძალებს მოუყარეს თავი და ერთ მშვენიერ დღეს 13 სამხედრო გემი კუნძულს მიუახლოვდა. ამ დროს ჩარლზი თავის სახლში იმყოფებოდა და პატარა ჩარლზთან ერთობოდა, რომელიც უკვე 12 წლის იყო და დედის წყალობით იმ დროისათვის საკმაოდ კარგი განათლება მიეღო. მან იცოდა ინგლისური და ესპანური ენები. ჯენი ყოველთვის იმის მომხრე იყო რომ პატარა ჩარლზს სწავლა ინგლისში გაეგრძელებინა. ჯენიმ დაითანხმა დიდი ჩარლზი, ამ წინადადებაზე და ისინი მალე ჩარლზის გამგზავრებას აპირებდნენ ინგლისში ჯენის ნათესავებთან. ამისათვის სათანადოდ აღჭურვილი გემი მზად იყო და ეკიპაჟიც სრულ მზადყოფნაში იყო, გემის კაპიტანი ჩარლზის მარჯვენა ხელი, მისი მამის ძველი მეგობარი სმიტი იყო. გამგზავრების წინა დღე იყო და პატარა ჩარლზი მოგზაურობის წინ მშობლებთან ნებივრობდა. ჩემო შვილო იცოდე, რომ ჩვენ შენ ძალიან გვიყვარხარ და შენს სანახავად ხშირად ჩამოვალთ, სწავლის გაგრძელება შენთვის აუცილებელია. ამ კუნძულზედ შენ მოგწყინდება, იქ კი ინგლისში ფართო ასპარეზი გექნება. შენ კარგი იურისტი უნდა გამოხვიდე, ხოლო ეს კუნძული კი შენია და როდესაც მოგესურვება ჩამოხვალ. ინგლისში მე შენ საკმაოდ თანხას გაგატან, რათა იქ შენ არაფერი მოგაკლდეს. ეხლა კი ჩემო შვილო, მოდი ერთ ბოშა ქალს სანთელი დაუნთოთ და მან ხატთან სანთელი აანთო, მოვიგონოთ იგი. დაახლოებით შენი ასაკისა ვიყავი, როცა მან მიმკითხავა და ეს ჩვენი ლამაზი ცხოვრება დამიხატა. მე ყოველივე მისი ნათქვამი შეუსრულებელი ოცნება მეგონა, მაგრამ ყოველივე ახდა, ღმერთსა ვთხოვ მისი ბოლო ნათქვამი აღარ ახდეს. ამ საუბარში იყვნენ, როდესაც სმიტი

შემოვიდა ოთახში და ჩარლზს აცნობა, რომ ყურესთან ესპანელების გემები გამოჩნდნენ. ჩარლზმა ცოლშვილი გადაკოცნა, სმიტ, მიმართა მან, შენ ჯენისთან და ჩარლზთან დარჩები, რაც არ უნდა მოხდეს, შენ ხვალ დილით მათთან ერთად ინგლისში გაემგზავრები. არა მე აქ დავრჩები, შენთან, მიუგო ჯენიმ. არა, აქ არც ისე უსაფრთხოდ იქნები ძვირფასო, ისე რომ ჯობს გაემგზავრო ჩარლისთან ერთად ინგლისში. ესპანელები ეტყობა ძალზედ დიდი ძალებით გვიტევენ. მე აქ დავრჩები ჩარლზ, არა ამჯერად გაემგზავრები, მტკიცედ თქვა ჩარლზმა. ჯენიმ მორჩილად დახარა თავი. ჩარლზმა ოთახი დატოვა. ჩარლზი ექვსი გემით ნავსადგურიდან გავიდა, ხოლო ოთხი გემი მან ყურეში დატოვა. ექვსი გემი სრული აღჭურვილობით მზად იყო საბრძოლველად, გემების შეტაკება მოწინააღმდეგესთან იქვე ყურესთან მოხდა. ჩარლზმა, ვერ განსაზღვრა ესპანელების სიმრავლე და პირდაპირ მისთვის ჩვეული ტაქტიკით შეტევაზე გადავიდა. მას ეგონა, რომ მის წინააღმდეგ ხუთი გემი იყო, რადგან მოწინააღმდეგემ ეშმაკობა იხმარა და გემები ყურეს მოაფარა. ესპანელები საჭირო დროს მთელი შემადგენლობით შეტევაზე გადავიდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩარლზის გემებს სამივე მხრიდან ოთხ-ოთხი გემი უტევდა. მის წინააღმდეგ არა ხუთი არამედ 13 გემი იბრძოდა, მაგრამ უკან დახევის დრო აღარ იყო. ჩარლზი მედგრად ჩაება არათანაბარ ბრძოლაში, რომელიც მისთვის სავალალო შედეგით დამთავრდა. ესპანელებმა ჩარლზის გემები ალყაში მოაქციეს და მათ ყოველი მხრიდან საშინელი ცეცხლი გაუხსნეს. ტრაგიკული შედეგიც სახეზე იყო, ჩარლზის ოთხმა გემმა ჩაძირვა დაიწყო, ხოლო მოწინააღმდეგის ხუთი გემი მწყობრიდან გამოვიდა საპასუხო სროლის შედეგად. ჩარლზის გემი თავგანწირვით ეკვეთა მარცხნით მდებარე სამ გემს, რათა გაერღვია მოწინააღმდეგის ბლოკადა და მშობლიურ ყურისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ ესპანელების მწყობრიდან გამოსული გემების ადგილი ბრძოლის-

უნარიანმა გემებმა დაიკავეს და ჩარლზის გემებს საშუალება არ მისცეს ალყის გარღვევის. არათანაბარ ბრძოლაში ჩარლზმა კიდევ ორი გემი დაკარგა. თვით ის გემიც, რომელზედაც კაპიტანი იმყოფებოდა იძირებოდა, ამიტომ ჩარლზმა და მისი ეკიპაჟის წევრებმა ნავებში ჩაჯდომით უშველეს თავს და ყურეში დარჩენილ გემისაკენ აიღეს გეზი, მაგრამ ესპანების გემს შეეჯახნენ, რომელიც დაზიანებული იყო და იძირებოდა. მიუხედავად ამისა ჩარლზმა შეტევა ბრძანა და მისი მეზღვაურები ხელჩართული ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგის გემზედ აღმოჩნდნენ, მაგრამ ძალები მაინც არათანაბარი იყო, ჩასაძირად განწირული ესპანების გემზე მათ ძლიერი წინააღმდეგობა შეხვდათ და აი ჩარლზმა თავის მებრძოლები უკანასკნელ შეტევაზე გადაიყვანა, ძმებო სიკვდილი ან გამარჯვება, მომყევით — მიმართა მან უკანასკნელად თავის მეზღვაურებს. თანამებრძოლები ერთი მეორის მიყოლებით იღუპებოდნენ და ბოლოს ჩარლზის ჯერიც დადგა, იგი დაშნით მამაცურად და თავგანწირვით იგერიებდა ურიცხვ მტერს, მაგრამ საბოლოოდ სასიკვდილოდ დაიჭრა, ესპანელებმა იგი დაშნებით აკუნეს და ზღვაში გადააგდეს. ასე დაიღუპა ზღვის რაინდად წოდებული ჩარლზ მილტონი, რომელმაც მთელი ცხოვრება შესწირა თავისუფლებისათვის ბრძოლას. დარჩენილმა ესპანელების გემებმა გეზი სრუტისაკენ აიღეს და ყურეში შევიდნენ. ამ დროს ნაპირებიდან მათ ცეცხლი გაუხსნეს და რამდენიმე მტრის ხომალდი მწყობრიდან გამოვიდა. მტერმა სროლითვე უპასუხა კუნძულის დამცველ გარნიზონს და მათი ზარბაზნები მწყობრიდან გამოიყვანა. ამის შემდეგ გზა კუნძულისაკენ ხსნილი იყო, ექვსი გემი ყურეში შევიდა და იქ მდგომ 4 გემს ცეცხლი გაუხსნა, და საპასუხო ცეცხლის შემდეგ გემები ერთმანეთს მიუახლოვდნენ. ორივე მხარის მეზღვაურები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ მტერი მეტად მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა. ჩარლზის სიკვდილმა კუნძულის დამცველებზე დამთრგუნველად იმო-

ქმედა და მათი თავდაცვისუნარიანობა შესუსტდა. ჩარლზის გარეშე ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ, რათა მტრისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. მალე ესპანელები ნავების საშუალებით ნაპირზე გადავიდნენ და კუნძულის მცხოვრებ უდანაშაულო მოსახლეობას უმოწყალოდ დაერივნენ. ამ კრიტიკულ ჟამს პატარა ჩარლზი და ჯენი კაპიტან სმიტთან ერთად კუნძულის საწინააღმდეგო მხარეს მდგომ გემისაკენ ბრძოლით მიიკვლევდნენ გზას, რათა კუნძული სწრაფად დაეტოვებინათ, მაგრამ მათ ფეხდაფეხ ესპანელები მისდევდნენ და გზის გაკვლევა მეტად ჭირდა. ბოლოს რამდენიმე ჩარლზის გადარჩენილი მეზღვაური მიეშველა და ისინი, როგორც იქნა, გემზედ ავიდნენ. აფრები აუშვეს და ის იყო ზღვაში გასვლას აპირებდნენ, როდესაც ნაპირზე ესპანელების რაზმი გამოჩნდა და მათ მუშკეტებიდან გემის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. ჯენი ჩარლზს მკერდით გადაეფარა და სასიკვდილოდ დაიჭრა, გემი კი უკვე სრული სვლით ზღვაში გავიდა. პატარა ჩარლზმა ერთ დღეს დედა და მამა დაკარგა. იგი ზეცას შეჰყურებდა და შველას ითხოვდა, გემი კი ზღვის ტალღებს მიაპობდა და პატარა ჩარლზი მისთვის უცხო ქვეყნისკენ მიჰყავდა. რას მოუტანდა მას ეს ქვეყანა, განა მოიპოვებდა იგი იქ ისეთ ბედნიერებას და სიყვარულს, როგორიც მის მშობლებს ქონდათ თავისუფლების კუნძულზე, ეს არავინ უწყის, მაგრამ მის თვალებში მამის ძლიერი ნაპერწკალი ელავდა და ეს დიდი ჩარლზის საქმის გაგრძელების საწინდარი იყო.

# 0 მარატონის ქალიშვილი



კაცობრიობის განვითარების რთულსა და ეკლიან გზაზე ბევრი გასაჭირი გა-დახდა სხვადასხვა ქვეყნებსა და ერებს. ზოგი მთლიანად აღიგავა მიწისაგან, ზოგი კი გადარჩა და თავის განვითარების გზას განაგრძობდა. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. ბრძოლაში და შრომაში იწრთობოდა ქართველი ხალხი და ურთულეს სოცია-ლურ და ეკონომიურ ვითარებაში ინარჩუნებდა თავის სახ-ელმწიფოებრიობას და ეროვნებას. XVI საუკუნის ბოლოს იგი დიდი არჩევანის წინაშე დადგა: ან მუსლიმანთა ოკეანე უქადდა მას წალეკვას ან კი ერთმორწმუნე რუსეთისათვის უნდა დაეხარა თავი. წინააღმდეგობებით აღსავსე ვითარებაში იკვეთებოდა გადარჩენის გზა. ქართველი მეფები ნელი ნაბიჯებით მიიწევდნენ ერისათვის გადამწყვეტი მოვლენი-საკენ, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის საქართველოს ისტორიას.

1587 წლის 28 სექტემბერს რუსეთსა და საქართველოს შო-რის გაფორმდა ხელშეკრულება „ფიცის წიგნი“, რომლის ძა-ლითაც კახეთი რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა. კახე-თის მეფემ ალექსანდრე მეორემ დადო ფიცი, რომ რუსეთის მტრები მისი მტრებიც იქნებოდნენ, ხოლო რუსეთი დაიცავდა კახეთს სხვადასხვა მტრებისაგან. რუსეთი ვალდებულებას იღებდა, რომ ჩადგამდა ციხეებს თერგზე და კახეთისაკენ გზა გაიხსნებოდა. 1539 წელს რუსეთის მეფემ კახეთის მეფეს გამოუგზავნა „წყალობის სიგელი“, რომელშიც დადასტურებული იყო „ფიცის წიგნით“ გათვალისწინებული პირობები. ამით ხელშეკრულება ორივე მხრიდან იქნა დამტკიცებული.

კახეთის მეფემ თეიმურაზ პირველმა 1639 წელს გაანახლა რუსეთის ერთგულების „ფიცის წიგნი“ როსტომ მეფისა და თეიმურაზ პირველს შორის მოხდა ბრძოლა, რომელშიც გაიმარჯვა როსტომმა. 1648 წელს დაიღუპა თეიმურაზის ერთად-ერთი ვაჟი დავითი, „დათუნა“ უფლისწული. განადგურებული თეიმურაზი იმერეთში გაიხიზნა და არაერთი ელჩობა მიავლინა რუსეთში. მისი ინიციატივით რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა იმერეთის მეფე ალექსანდრემაც, ხოლო 1653 წელს მოსკოვში თავისი შვილიშვილი ერეკლე ბატონიშვილი გაგზავნა. რომანოვების სასახლეში ქართველი ბატონიშვილი, ანუ ცარევიჩი ნიკალაი უახლოესი ადამიანი შეიქმნა.

1568 წელს თეიმურაზ მეფე პირადად ეწვია მოსკოვში ალექსი რომანოვს, რუსეთის ხელმწიფეს, მაგრამ რუსეთი ომს ანარმოებდა პოლონეთთან და შვეიციასთან და ქართველ მეფეს დახმარებაზე უარი უთხრა. წასვლის წინ შვილი-შვილს შეხვდა უკანასკნელად თეიმურაზი. ნიკოლოზ ბატონიშვილი დაარიგა, რუსის ქალებსა და სასმელს ნუ მიეძალები. ქართველი ბატონიშვილი დიდ პატივში იყო მოსკოვის სამეფო კარზე. 1671 წლის იანვარში რუსეთის მეფე ალექსი რომანოვი მეორედ დაქორწინდა 19 წლის ნატალია კირილეს ასულ ნარიშკინაზე და მათ ქორწილში ბატონიშვილი მეჯვარე ანუ ხელის მომკიდე იყო მეფე-დედოფლის. იგი განუყრელად თან ახლდა შეუღლებულებს. ჯვარსაწერად მიუძღვდა მეფე-დედოფალს, საქორწინო ბეჭდებსაც თვითონ უცვლიდა შეუღლებულებს, სანადიმო სუფრასაც იგი მეთვალყურეობდა და საძინებელშიც კი წინ მიუძღვდა მეფე-დედოფალს.

1672 წლის მაისის ბოლოს ნატალია ნარიშკინამ შვარუსეთის მომავალი ხელმწიფე პეტრე პირველი. ერეკლეს ირანის შაჰის წერილი მოუვიდა, იგი წერდა, რომ სპარსეთს მეწვიე და ჩაგაბარებ კახეთის მეფობას და სარწმუნოების გამოცვლას არ მოგთხოვო. ერეკლემ დაუჯერა შაჰს და

გაემგზავრა. ერეკლე ბატონიშვილის ილბალზე ერთდღროულად საქართველოში განთავისუფლდა ორივე ტახტი: ქართლისა და კახეთის. სულეიმან ფაშამ ორივე შესთავაზა მას, სამაგიეროდ ქრისტიანობა უნდა უარყოო და მაჰმადიანობა მიიღოო. ერეკლემ შაპს უარი უთხრა, იგი განრისხდა, ერეკლე ბატონიშვილს ციხეში უკრა თავი. იგი მეფობას მხოლოდ 1688 წელს ეღირსა, მაგრამ უკვე გათათოებული იყო. მისი თათრული სახელი იქ გახდა ნაზარი ალი ხანი, ხოლო მეფეთა ნუსხაში იგი დამკვიდრდა როგორც ერეკლე პირველი. იგი უკვე 46 წლის კაცი იყო, საქართველო მას მხოლოდ ბავშვობიდან და ყმობიდან ახსოვდა. 22 წელინადი მან რუსეთში გაატარა, 14 წელინადი სპარსეთში, მისი შინაგანი სამყარო საგრძნობლად შეიცვალა უცხოეთში ხანგრძლივი ცხოვრების გამო. თამარ მეფის ქმრის, გიორგი რუსის შემდეგ საქართველოს ტახტს არ ახსოვს ასეთი მსმელი და ქალების მოყვარული გვირგვინოსანი როგორც ერეკლე პირველი. მან იმედა საკმაო უფერული მეფობით 1703 წლამდე.

მაგრამ, დავუბრუნდეთ რუსეთში მიმდინარე მოვლენებს. პეტრე ათი წლის იყო მეფედ რომ გამოაცხადეს. რუსეთს მისი უფროსი და სოფიო მართავდა, ის წინააღმდეგობას უწევდა ყოველივე ახალს, რაც ქვეყნის ცხოვრებაში მძლავრად იჭრებოდა. მტკიცედ იცავდა ძველ წესებს. როცა პეტრე წამოიზარდა, სოფიო მილოსლავსკაია, რომელიც ალექსი რომანოვს პირველი მეუღლისაგან შეეძინა, შეეცადა საბოლოოდ დაუფლებოდა სამეფო ტახტს. მაგრამ პეტრემ თავის მომხრებზე დაყრდნობით ჩაშალა სოფიოს მზაკვრული განზრახვა და იგი მონასტერში გამოამწყვდია.

1689 წელს ხელისუფლება, ჩვიდმეტი წლის პეტრე პირველის ხელში გადავიდა. მისი დედა, დედოფალი ნატალია კირილოვნა ნარიშკინა ამის შესახებ წერდა ერეკლე პირველს. ჯერ იგი კახეთის მეფობას ულოცავდა და შემდგომ აღნიშნავდა, რომ პეტრე ძალიან გავს მას შეხედულებით, ხასიათით და კეთილნიშნად მიიჩნევდა პეტრეს გამეფებას

რუსეთში, ხოლო ერეკლე პირველისას საქართველოში და სთხოვდა, რომ ერეკლე ჩამოსულიყო მასთან და ენახა ნატალია კირილოვნა და პეტრე. მაგრამ ეს წერილი უპასუხოდ დარჩა, რადგან საქართველოში არსებული ვითარება არ იძლეობა საშუალებას, რომ ერეკლე გამოხმაურებოდა აღნიშნულ წერილს.

დრო კი გადიოდა და რუსეთის ხელმწიფე თანდათან ძალას და გამოცდილებას იკრებდა. პეტრეს ძალზედ უყვარდა ცეკვა, გართობა, ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა სხვადასხვა მეცნიერების შესწავლას. იგი ფიზიკურ შრომასაც არ თაკილობდა, მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა ბალ-მასკარადების გამართვა. ერთ-ერთი ასეთი გართობის დროს ერთმა ქართველმა ბატონიშვილმა მას ქართველი თავადის ულამაზესი ასული დარეჯანი გააცნო, პეტრე მოიხიბლა მისი სილამაზით და დარეჯანთან დაახლოება გადაწყვიტა. საცეკვაოდ გაიპატიუა და დარეჯანიც დათანხმდა. მათ შესანიშნავად იცეკვეს, მთელი დარბაზი უყურებდა და აღფრთოვანებას ვერ მაღავდა ლამაზად მოცეკვავეთა მიმართ. დარეჯანს შურით შეჰერებდნენ რუს ბოიართა ქერათმიანი მანდილოსნები. ცეკვა დამთავრდა თუ არა, პეტრემ დარეჯანი ბაღში გაიხმო სასეირნოდ და ახალგაზრდა მომავალი იმპერატორი ისეთი თავშეუკავებელი აღმოჩნდა, რომ პირველივე საღამოს დარეჯანს სიყვარული აუხსნა და მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა თავისი საქციელისათვის ლოყაზე მხურვალედ აკოცა, დარეჯანმა ეს შეიცხადა და პეტრეს მძლავრი მკლავებიდან თავი გაითავისუფლა და ბაღში მიიმაღა, პეტრე განბილებული დაბრუნდა. მას გიორგი, ქართველი თავადიშვილი შეხვდა, მას ყოველივე აცნობა და დაამატა, რომ რუსი ქალიშვილები ასე არ იქცევიან. გიორგიმ სიცილით მიაძახა, რომ ქართველი ქალიშვილები ამაყები არიან და მათთან ურთიერთობა ძალზედ თავდაჭერილად მართებდა მას. მათი შეხვედრა კიდევ რამდენიმეჯერ მოხდა. ბოლო და გადამწყვეტი შეხვედრა სასახლეში

მოხდა, სრულიად შემთხვევით დარეჯანი აღმოჩნდა სასახლეში დედოფალ ნატალიასთან, პეტრეც იქ გახლდათ და დაინახა თუ არა დარეჯანი, მისკენ გაემართა. მიუახლოვდა, თავი ოდნავ დახარა და დარეჯანს მკლავი გაუყარა, გვერდზე გაიხმო და მგზნებარე სიტყვებით მიმართა.

- რაზედ შეწუხებულხართ ძვირფასო დარეჯან.

- დედოფალთან მაქვს სათხოვარი, მიუგო დარეჯანმა.

- მერე არა სჯობს მე მიმსახუროთ? მე მგონი ხელმწიფე უფრო მეტის გაკეთებას შესძლებს ვიდრე დედაჩემი.

- გეთანხმებით თქვენ მეტი შესაძლებლობა გაგაჩნიათ, მაგრამ ვფიქრობ ჩემი თხოვნის შესრულება დედოფალს უფრო ხელთენიფება, რადგან საქმე მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს ეხება, რომლებიც მოკლებული არიან თავის სამშობლოს სავალალო მიზეზთა გამო და მათ საბოლოოდ გადაგვარება ელით. განსაკუთრებით აქ დაბადებულ ბავშვებს, რომლების სწავლა-აღზრდა რუსულად მიმდინარეობს და თავიანთი მშობლიური ენა კი მიავინყდათ. სწორედ ეს იყო ჩემი სათხოვარი დედოფლისადმი, რომ იქნებ რაიმე თანხა გამოეყოს ელემენტარული სკოლის გასახსნელად საქართველოდან გადმოხვეწილ თავადაზნაურთა შვილებისათვის.

მოუსმინა რა პეტრემ დარეჯანის გულისტკივილს, სინანულით მიუგო მას, რომ რუსეთი ამჟამად იმყოფება უაღრესად მძიმე მდგომარეობაში, რომ თავად რუსებისთვის არ არსებობს სათანადო სწავლისა და განათლების პირობები, რუსეთში კვალიფიცირებული მასწავლებლების უქონლობის გამო. ძვირფასო დარეჯან, აღნიშნა მან, მე ყველაფერს ვიღონებ, რათა ქართველთა ნიჭი და ძალისხმევა უქმად არ დაიკარგოს რუსეთში და ყოველმა ქართველმა ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს, მე ჩაფიქრებული მაქვს მოვაწყო დიდი ელჩობა საზღვარგარეთ, სადაც რუს თავადაზნაურებთან ერთად, ქართველებსაც წავიყვან სხვადასხვა სპეციალობების შესასწავლად, ხოლო იქიდან დაბრუნებულები საკმაოდ განსწავლულები იქნებიან და მთელ თა-

ვიანთ ცოდნას მოახმარენ რუსეთის იმპერიის განმტკიცებას, ხოლო ნაწილს კი მოუწევს სამხედრო სამსახურში მოღვაწეობა რუსეთის არმიაში, ქართველები ხომ ბრწყინვალე მეომრები არიან.

ეს ყოველივე ძალზედ კარგად თქვით ხელმწიფევ, მაგრამ სამშობლოში წასასვლელ გზას ნუ მოგვიჭრით. სამშობლოში დაბრუნება ხომ ყველა ქართველის ოცნებაა. სამშობლოში დაბრუნება მეც არ მასვენებს, მაგრამ იქ ვითარება მეტად რთულია. ოსმალეთი თუ ირანი მოსვენებას არ აძლევს ჩვენს ქვეყანას. კარგი იქნებოდა ერთმორნმუნე მართლმადიდებელ რუსეთს აღმოეჩინა დახმარება საქართველოსთვის.

პეტრე დაფიქრდა და მიუგო: - ეს საკითხი მართლა მოსაგვარებელია. სამხრეთის საზღვრები რუსეთის გამაგრებას მოითხოვს აზოვის ზღვაში გასასვლელი ჩვენთვის აუცილებელია. კარგი იქნებოდა ეს საკითხი საქართველოსთან ერთად მოგვეგვარებინა. ამ საკითხით, მე აუცილებლად დავინტერესდები და პირობას გაძლევთ, ეს პრობლემა მოგვარდება ისე, როგორც ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება. მუსულმანთა აგრესიას კავკასიაში ჩვენ ბოლოს მოვუღებთ. ახლა კი გთხოვთ, მე გამომყევით, თორემ დედაჩემი უკვე ღელავს, რომ ამდენ ხანს ვლაპარაკობ თქვენთან, მე თქვენს სასახლეს დაგათვალიერებინებთ. თქვენ კმაყოფილი დარჩებით. - მან დარეჯანს მკლავი გაუყარა და დედოფლის ოთახიდან გაიყვანა.

დიდებული იყო პეტრეს სასახლე, ლამაზად მორთული ოთახები ერთმანეთს ცვლიდნენ. ერთ ოთახში საბრძოლო იარაღების გამოფენა იყო, მეორეში სხვადასხვა მხატვრების სურათები, მესამეში ყვავილების, მეოთხეში კი დიდი საძინებელი აღმოჩნდა, განიერი მეფის საწოლით და ფარდებით.

- ეს ვისი ოთახია, იკითხა დარეჯანმა.  
- ეს მე და შენი ოთახი იქნება ჩემო დედოფლალო — მიუგო პეტრემ, მე თქვენ პირველივე დანახვით შემიყვარდით და ჩემი ცოლი უნდა გახდეთ.

- ეს შეუძლებელია დიდო ხელმწიფევი, მიუგო დარეჯანმა.  
- განა რამ უნდა შეგვიშალოს ხელი. ის, რომ თქვენ ბაგრა-  
ტიონების შთამომავალი ხართ და მე კი რომანვების, ორივე  
ხომ ძველი სამეფო გვარებია და ყველანაირად შევეფერებით  
ერთმანეთს, მე მგონი ყველაფერი გასაგებია.

- არა პეტრე ბატონო, თქვენ კიდევ არ იცით ყველაფერი.  
- მე ყველაფერი ვიცი ძვირფასო.

ამ სიტყვებით პეტრე დარეჯანს ნაზად მოეფერა და  
ტუჩებში აკოცა, დარეჯანი შეეცადა გაეწია წინააღმდეგობა,  
მაგრამ პეტრეს ძლიერი მკლავებიდან დაღწევა, არც თუ ისე  
ადვილი აღმოჩნდა და საბოლოოდ დარეჯანი დანებდა პეტ-  
რეს.

მხურვალე იყო მათი სიყვარული, ხანგრძლივი და მგზნე-  
ბარე. მხოლოდ საღამოს ჟამს მოახლის ძახილმა გამოაფხი-  
ზლა ორივენი. პეტრე სწრაფად წამოხტა, ტანთ ჩაიცვა,  
ვნებიანად აკოცა დარეჯანს და სთხოვა, რომ იგი ადგომას  
ნუ იჩქარებდა, თვითონ კი დედოფალს ეახლებოდა და ყოვე-  
ლივეს აუხსნიდა და მათი ქორწილისათვის თანხმობასა და  
კურთხევას სთხოვდა.

პეტრე გავიდა, დარეჯანი კი დარჩა მარტო უზარმაზარ  
ოთახში, მოახლოვებულ საღამოსთან ერთად ოთახი სულ  
უფრო მუქ ელფერს ღებულობდა, დარეჯანი საშინელმა  
გრძნობამ შეიძყრო. პეტრეს წასვლასთან ერთად თითქოს  
გაქრა რაღაც იმედი, სითბო და სიყვარული, რომელსაც იგი  
განიცდიდა პეტრესადმი. დიახ, იგი გამოუტყდა თავის თავს,  
რომ მას უყვარდა იგი. მაგრამ ამ დიდ საძინებელში სრული-  
ად მარტო იყო და რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტად  
ეუფლებოდა მის სულს შიშის გრძნობა, რომ არ დაბრუნდეს,  
დედოფალმა რომ უარი უთხრას მას, რაც ადვილი შესაძლე-  
ბელია. დრო გადიოდა, მაგრამ პეტრე არ ჩანდა. დარეჯანი  
ადგა ტანთ ჩაიცვა, ოთახიდან გავიდა. უკაცრიელი დარბაზე-  
ბი პირქუშად იმზირებოდნენ, კაციშვილის ჭაჭანება არ იყო.  
სასახლე თითქოს დაცარიელებულიყო. მან ერთ-ერთ ანთე-

ბულ შანდალს ხელი მოკიდა და გზა გაინათა. დარბაზის კედლებიდან იმზირებოდნენ დიდებულთა სახეები. რუსეთის მეფეები და დედოფლები, ისინი თითქოს ესალმებოდნენ დარეჯანს და ამავე დროს უწყრებოდნენ მას მომხდარის გამო. დარეჯანი ცდილობდა სწრაფად გასცლოდა ამ სულის შემხუთავ გარემოს, მან ნაბიჯს აუჩქარა და როგორც იქნა ოთახში ამოყო თავი, საიდანაც მისი მოგზაურობა დაიწყო სასახლეში. მაგრამ ოთახი ცარიელი იყო, იქ არავინ იყო, დედოფალი ნატალია იქ არ იყო. სეფე ქალებიც სადღაც გამქრალიყვნენ, მხოლოდ ერთი მოახლე შერჩენოდა ამ დიდ დარბაზს და ისიც ბოლო შანდალს აქრობდა, როდესაც დარეჯანის ნაბიჯების ხმაზე შემოტრიალდა და გაკვირვებით ჰკითხა, ხომ არაფერი სურდა ქალბატონს.

- გთხოვთ გეთაყვა გასასვლელი მიჩვენოთ, მე გზა ამერია.
- რა თქმა უნდა, ქალბატონო, მიუგო მან და სანთლის შუქით დარეჯანი

სასახლის გასასვლელთან მიაცილა. დარეჯანი გარეთ აღმოჩნდა. მთვარიანი ნათელი ღამე იყო, ჩრდილოეთიდან გრილი სიო უბერავდა, დარეჯანმა შვებით ამოისუნთქა, იგი ნელი ნაბიჯით გაუყვა გზას დამძიმებული ფიქრებით და გაურკვეველი მომავლით.

ამ დროს დედოფლის ოთახში პეტრეს დიდი კამათი ჰქონდა გამართული დედასთან, გაიგო რა ნატალია დედოფალმა პეტრეს განზრახვა, იგი სალი კლდესავით აღიმართა შვილის ამ უგნური, როგორც თვით ამბობდა გადაწყვეტილების გამო.

დედოფალმა უარყო შვილის არჩევანი. პეტრე ევედრებოდა დედას, აეხსნა რაში მდგომარეობდა მიზეზი.

- კი მაგრამ ამიხსენი, რა დაგიშავა იმ ღირსეულმა მანდილოსანმა, იგი ხომ გლეხის ქალი არ არის, ის ისეთივე მეფის გვარის შთამომავალია, როგორც მე.

- სწორედ ეგ არის მიზეზი ჩემი შვილო, რომ შენც და ის ერთი გვარისა ხართ და ნათესავები ხართ.

- ეგ როგორ, არაფერი მესმის როგორ თუ ერთი გვარისა. მე ხომ რომანოვი ვარ, რომანოვი.

- შენ ისეთივე ბაგრატიონი ხარ, როგორც ის. თქვენ ძარღვებში ბაგრატიონების სისხლი სჩექებს და შენ მორალური უფლება არა გაქვს სისხლის აღრევის. მე რომ გაპატიო ღმერთი არ გაპატიებს ამას, იცოდე ეს ჩემო შვილო.

- მაში, მამაჩემი ალექსი მიხაილოვიჩი არარის? მაში ვინ არის მამა ჩემი დედა?

- მამაშენი ცარევიჩი ნიკალაი ბაგრატიონია, რომელიც ახლო ნათესაურ კავშირში იმყოფება დარეჯანთან, რომლის მოყვანა შენ ცოლად გაგინზრახავს. ახლა შენ ყოველივე სიმართლე იცი და ამ სიმართლისთვის მე შენ პატიებას გთხოვ და გთხოვ რომ სამუდამოდ დაივიწყო დარეჯანი. მე შენ ღირსეული საცოლე შეგირჩიე.

პეტრე სკამიდან წამოხტა და ოთახში ჩქარი ნაბიჯებით სიარული დაიწყო, არაფრის გაგონება არ სურდა.

- დედა, შენ კიდევ ყველაფერი არ იცი. მე და დარეჯანმა ამ საღამოს დრო ერთად გავატარეთ და ჩვენ ორივემ შევცოდეთ. მე მას სიტყვა მივეცი, რომ ცოლად მოვიყვანდი და ახლა მას როგორ ვუდალატო?

- სახელმწიფო ინტერესები პირადულზე მაღლა უნდა დავაყენოთ შვილო, განა მე არ მიყვარდა მამაშენი, მაგრამ ჩვენი შეუღლება შეუძლებელი იყო, ამას დიდი არეულობა მოყვებოდა. შენი ნამდვილი მამა ამჟამად იბერთა სახელმწიფოს მეფეა. დაივიწყე დარეჯანი, მე მივხედავ მას და არაფერს მოვაკლებ, - შენ კი სხვა დედოფალი შეგირჩიე.

- ვინ არის იგი?

- ევდოკია ლაპუხინა, ის არის მდიდარი და არისტოკრატ რუს ოჯახიდან, მათი გვარის მხარდაჭერა ახლა ჩვენ ძალზედ გვარდება, შენ კარგად იცი შენი და ეგრე ადვილად არ აიღებს ხელს ძალაუფლებისაგან და ჩვენს პოზიციებს გამაგრება სჭირდება. ამას მოითხოვს რუსეთის სახელმწიფოს ინტერესი და შენ უარის თქმის უფლება არ გაქვს.

- თუ ასეა, მაშინ მე თანახმა ვარ, დედა.

ამის შემდეგ სულ მალე პეტრე დაქორწინდა. დარეჯანი კი სულ მარტო დარჩა, რთულმა ეკონომიურმა მდგომარეობამ მისი ნათესავები იძულებული გახადა სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. მშობლები კი მას ადრეულ ასაკში დაეხოცა. ასე, რომ იგი სულ მარტო დარჩა ერთი მოახლე ქართველი ქალისა და დედის ნაჩუქარი ოქროს ჯვრისა და ჯაჭვის ამარა. ყველასგან მიტოვებული დარეჯანი სასონარკვეთილებას მიეცა, თითქოს გამოსავალი არ ჩანდა და დარეჯანმა თავის მოკვლა განიზრახა. ერთ საღამოს იგი სანთლის შუქზე წერილის წერას შეუდგა. თბილისში თავის დეიდას წერდა, წერდა ყოველივეს, რაც მას თავს გადახდა და პატიებას სთხოვდა თავისი დაუფიქრებელი საქციელის გამო და იმასაც არ უმაღლავდა, რომ მის მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა თავის მოკვლა. მართალია, ეს საქციელი არაქრისტიანულია, მაგრამ იგი სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა. წერილი მან საგანგებოდ მომზადებულ კონკერტში ჩადო, მისამართი დააწერა და თავის მოახლე ქალს დაუძახა, რომელიც მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა თავის ქალბატონს არ ღალატობდა და არ მიდიოდა მისგან.

- დარიკო, მიმართა მან მოახლეს, ამ წერილს ამილახვრის დეიდაშვილს გადასცემ, იგი მეფის კავალერიაში მსახურობს და მალე მას შვებულებით სამშობლოში დაბრუნება მოუწევს, ეს წერილი დეიდაჩემს გადასცეს. დარიკო კეთილი გულის გოგონა ხარ და ამ ჩემს უკანასკნელ თხოვნას იმედია შემისრულებ.

- რას ბრძანებთ ქალბატონო, რატომ უკანასკნელს, თქვენ მალე მოგიწევთ ალბათ სამშობლოში გამგზავრება, თქვენი ნათესავები და ახლობლები ხომ გაემგზავრნენ.

- კი დარიკო, მაგრამ მგზავრობისათვის დიდი ფულია საჭირო, რომელიც მე არ გამაჩინია.

- ვიმუშავებთ და გვექნება ქალბატონო. მე უკვე მივიღე შეკვეთა მდიდარი ბოიარებისაგან სარეცხის დასარეცხად.

- ჩემო ერთგულო დარიკო, ეგ საკმარისი არ არის დასაბრუნებლად, თუმცა შენ კი ელირსები ალბათ ოდესადაც სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ მე ვერასოდეს, ჩემი ბედი გადაწყვეტილია, სამუდამოდ აქ უნდა დავრჩე, წადი წერილი წაიღე.

ორივე ქალს თვალზე ცრემლი მოადგა. დარიკომ მას წერილი გამოართვა და უხმოდ გავიდა ოთახიდან. დარეჯანი კი მარტო დარჩა თავის ფიქრებთან, მას გაახსენდა თავისი ბავშვობა, მამაპაპური სახლი, თავიანთ მამულში ცხენებზე ჯირითი და პირველი კოცნა ჭაბუკი თავადაზნაურის, რომელიც სულ მალე დაიღუპა ერთ-ერთ ბრძოლაში. ბავშვური ოცნებები, რომელიც მას გაუფრინდა, ყოველივე ამ მოგონებებმა ლამაზი ცხოვრების წამივით ჩაიარა მის მოგონებებში და გაქრა წყვდიადში. ბედის უკუღმართობის გამო მას სამშობლოს დატოვება მოუწია და დაიწყო ლტოლვილობის მძიმე დღეები. მას რაღაც სტანჯავდა, მას არ სჯეროდა, რომ პეტრემ ასე მწარედ მოატყუა, ნუთუ ყოველივე ტყუილი იყო: მისი სიტყვები და დაპირება. არა, მას არ სჯეროდა, რომ პეტრე ამას იზამდა და ასე შერცხვენილს მიატოვებდა. მე იგი უნდა ვნახო, გადაწყვიტა მან, უნდა პირადად დაველაპარაკო. ამ ფიქრებში ჩაეძინა.

დღეები გადიოდა, მაგრამ დარეჯანი პეტრეს ნახვას ვერ ახერხებდა, თითქოს ჯადოსნური, გაუვალი კედელი აღიმართა მასსა და პეტრეს შორის. სასახლეში მისი სახელის გაგონებისთანავე ყველა თავს არიდებდა. მისი ძველი მეგობარი დედოფლის მხევალი ქალებიც კი ცდილობდნენ მასთან არ ელაპარაკათ. ყოველივე ეს უცნაურად ეჩვენებოდა დარეჯანს. გრძნობდა, რომ ვიღაცის ძლიერი ხელი საშუალებას არ აძლევდა მას შეხვედროდა პეტრეს, ლოდინი მას დიდხანს არ დასჭირდა, დედოფალმა ნატალია ნარიშკინამ მას აუდიენცია დაუნიშნა. ეს მას დედოფლის ერთგულმა სეფე ქალმა ამცნო. კვირას საღამოს დედოფალი გელით თქვენ, მასთან სამუშაო კაბინეტში, მიუგო მან ცივად დარეჯანს და თან

მიწვევა გადასცა. დარეჯანი დალონებული წამოვიდა სახლში და გულის ფანცქალით ელოდა კვირის დადგომას, რომ საბოლოოდ გაერკვია მისი ურთიერთობა პეტრესთან, იგი იმე-დოვნებდა, რომ დედოფალი მას მხარს დაუჭერდა და ყოველივე მოგვარდებოდა კარგად. მაგრამ დარეჯანი მნარედ ცდებოდა. დანიშნულ დღეს, როდესაც დარეჯანი სასახლეში გამოცხადდა იგი რატომლაც სასახლის ცენტრალური შესასვლელიდან კი არა, უკანა მხრიდან შეიყვანა მხევალმა და განმარტოვებით ერთ-ერთ ოთახში დატოვა, მას ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, დედოფალი მალე გამოცხადა. დარეჯანს ცივად მიესალმა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

- ჩემთვის ცნობილია ყოველივე. ჩემმა შვილმა არაფერი დამიმალა და მე ძალზედ ამაღელვა თქვენმა საქციელმა. ქალბატონო, თქვენი გვარის წარმომადგენელს არ შეშვენის ასეთი საქციელი, – მიმართა მან დარეჯანს.

- კი მაგრამ, ასეთი რა ჩავიდინე დიდო ქალბატონო, თქვენო ბრწყინვალებავ, მე დამნაშავე არაფერში ვარ.

- კმარა, მოჭრა დედოფალმა, რაც იყო, ამას არაფერი ეშველება, ყველაზე მთავარი სახელმწიფო ინტერესებია, ხოლო რუსეთის სახელმწიფო ინტერესები ამჟამად მოითხოვს, რომ მეფის ხელისუფლება განმტკიცდეს. სახელმწიფოს შიგნით პეტრეს პოზიცია არ არის ამჟამად მყარი, ჩვენ გვარს მხარდაჭერა სჭირდება და უპირველეს ყოვლისა სამეფო კარის გავლენიანი გვარებისაგან და სწორედ ასეთი წრიდან არის უკვე შერჩეული პეტრეს საცოლე, რომელზეც პეტრემ თანხმობა განაცხადა. ძალიან ვწუხვარ ქალბატონო დარეჯან, მაგრამ თქვენ სასახლის დატოვება მოგიწევთ. მე ვიზრუნებ იმაზე, რომ თქვენ სამშობლოში გაგამგზავრონ.

- ნუ წუხდებით ქალბატონო, თქვენ დახმარებას არ ვსაჭიროებ, ჩემს თავს თვითონვე მივხედავ. თქვენ ყოველთვის წინ აყენებდით სახელმწიფო ინტერესს პირადულზე, ეს თქვენთვის პირველი შემთხვევა არ არის, მაგრამ ყოველივე ეს თქვენს სინდისზე იყოს და ღმერთი იყოს თქვენი მსა-

ჯული. ამაყად მიუგო დარეჯანმა და დედოფალი გაოგნებული დატოვა. იგი დარბაზიდან გავიდა.

სახლში დაბრუნებული დარეჯანი სასოწარკვეთილებას მიეცა, მას ნათლად წარმოუდგა თვალწინ თავის სავალალო ყოფა. ამ ყოფაში იხილა რა თავის ქალბატონი დარიკომ, გული დაეთუთქა, ახლოს მიუჯდა თავის ქალბატონს და ანუგეძა.

- დათიკომ შემოგითვალათ შემოდგომით ვაპირებ წასვლას და თქვენს თხოვნას აუცილებლად შეგისრულებთო, გადავცემ თქვენს წერილს დეიდათქვენსო.

- როგორ შემოდგომამდე არ მიემგზავრება? მაშ რა აზრი აქვს ამ წერილს.

- იქნებ ჯობდეს ქალბატონო, რომ შემოდგომით ჩვენც გავემგზავროთ დათოსთან ერთად დეიდათქვენთან. მანამდე ფულსაც დავაგროვებთ.

- არ ვიცი დარიკო ჯობს ყოველივე კარგად მოვიფიქროთ.

დრო კი გადიოდა, რამდენიმე თვეში დარეჯანმა მუცელში ტკივილი იგრძნო. იგი სასწრაფოდ გაესინჯა მკურნალ ქალს და გაოგნებული დარჩა, როცა მან გამოუცხადა, რომ ორსულად ხარო. მისი მდგომარეობა უფრო დამამძიმებელი გახდა. მას ვერ წარმოედგინა, რომ იგი რუსეთის იმპერატორის მემკვიდრეს ატარებდა მუცლით. იმ წუთიდან მან თავის მოკვლა გადაიფიქრა, რადგან მთელი სიცხადით შეიგნო შვილის სიყვარული. ახლა პირიქით, დარეჯანმა გადაწყვიტა თავს გაფრთხილებოდა და შვილიც ჯანმრთელი გაეჩინა. იგი აუცილებლად უნდა გასცლოდა აქაურობას, რადგან მის ორსულობის შესახებ ხმები სასახლემდეც მიაღწევდა და მაშინ კი ყველაფერი იყო მოსალოდნელი დედოფლისაგან. დარეჯანს ეს შეიძლება სიცოცხლის ფასად დაჯდომოდა. ამიტომ მან მტკიცედ განიზრახა საქართველოში გამგზავრება და იქ შვილის გაჩენა, ხოლო შემდეგ მის შვილს ყოველთვის შეეძლო განეცხადებინა თავისი უფლებები რუსეთის მეფის ტახტზე. ამ ფიქრებში მან გაატარა აგვისტო და მალე სექტემბერიც დადგა.

მას მუცელი თანდათან ეტყობოდა. დარეჯანი მეხუთე თვეში იყო და ეუფლებოდა აზრი იმის შესახებ, რომ მის ასეთ მდგომარეობაში სამშობლოში დაბრუნება არასახარპიელო იყო. სასურველი იქნებოდა ჯერ გაეჩინა შვილი და მერე გამგზავრებულიყო. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინ-ოდაო. სწორედ მის შესახებ იყო ნათქვამი. დარეჯანმა ვერ შესძლო საიდუმლოს შენახვა, დედოფლის მსტოვრებმა ყოველივე შეიტყვეს და დედოფლი მარიამს მოახსენეს ყოვე-ლივე დაწვრილებით. შედეგმაც არ დაიგვიანა. ოქტომბრის ბოლო იწურებოდა, როდესაც გამგზავრებისთვის ყოველივე მზად იყო. დარეჯანი, მეფის კავალერიის ოფიცერი დათიკო და მოახლე დარიკო გასამგზავრებლად მზად იყვნენ. საკვე-ბის ფული და ცხენები არაფერი გამორჩენოდათ თითქოს ყოველივე წინასწარ განსჭვრიტეს, გარდა დედოფლის ბოროტებისა და ავკაცობისა, რომელიც მან დარეჯანისა და თავისი შვილიშვილის მიმართ ჩაიფიქრა. დარეჯანი თითქოს გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს და გამგზავრების წინ დარიკოს შესჩივლა, რომ ცუდი წინათვრძნობა ჰქონდა, მაგრამ დარჩენას მაინც გამგზავრება არჩია. ქალაქს გასცდ-ნენ თუ არა, მათ დედოფლის დაქირავებული მკვლელი კაზა-კები დაეხსნენ თავს. შეტაკება უთანასწორო იყო და სავა-ლალოდ დამთავრდა ქართველთა სამკაციანი ჯგუფისათვის დათიკო დამბაჩითა და ხმლით შეეგება მტერს, რამდენიმე კაზაკი სიცოცხლეს გამოასალმა, მაგრამ თვითონაც სასიკვდილოთ დაიჭრა. ხოლო ქალებს კაზაკები ადვილად გაუმკლავდნენ. მართალია დარეჯანის ხანჯალმაც იელვა და დასჭრა კაზაკი, მაგრამ თვითონაც თავისივე ხანჯლით დაიჭრა. კაზაკებმა შებოჭეს ქალები და გასაუპატიურებლად გაიტაცეს ისინი, რომელიღაც გამოქვაბულში შეათრიეს. ქალების ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა, კაზაკ ყაჩალთა ცალთვალა ატამანმა პირველმა გააუპატიურა ქალები და შემდეგ ისინი დანარჩენებს მიუგდო რომლებმაც, თავის ბინ-ძური საქმის აღსრულების შემდეგ საშინლად სცემეს ქა-

ლები. დარიკომ როგორლაც მოახერხა და ერთ ბანდიტს დამბაჩა გამოსტაცა, მაგრამ გამოყენება ვერ შესძლო, ყაჩალმა იმავე დამბაჩით განგმირა დარიკო და ხევში გადააგდო. ასეთივე ბედი ეწია დარეჯანსაც. იგი ცოცხალ-მკვდარი ხევში გადააგდეს, შემდეგ კი ბანდიტები მიიმაღნენ, მათ აგრეთვე გაიტაცეს ქართველთა მცირე ქონებაც.

დარეჯანმა თვალი გაახილა და საშინელი ტკივილი იგრძნო წელში და მუცელში. მისი უდღეული ნაყოფი, ქვეყნად გამოსვლას ლამობდა. დარეჯანმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და ბავშვი დაბადა. შემდეგ ჯიბიდან ღვთისმშობლის გამოსახულებით ვერცხლის მედალიონი ამოილო და პატარას კისერზე ჩამოკიდა. ერთი გადაავლო თვალი, დალოცა და სული განუტევა. მან არც კი იცოდა დაბადებული, ვაუი იყო თუ ქალი. პატარამ ტირილი მორთო.

გზად მიმავალ ერთ ქვრივ ქალს შემოესმა ბავშვის ტირილი, რომელიც სწრაფად დაეშვა ხევში და საშინელი სურათი იხილა. მკვდარ დედის კალთას პატარა მიკვროდა და საშინლად ტიროდა. სწრაფად აიყვანა ქვრივმა მარიამ პატარა ხელში. მოეფერა და სწრაფად გაეცალა ამ საშინელ ადგილს, მას თავისებიც ბევრი ჰყავდა, მაგრამ პატარა არ მიატოვა და სახლში წაიყვანა.

მას შემდეგ ათი წელი გავიდა. მოსკოვის ახლოს ერთ-ერთ გუბერნიის სოფელში გაჭირვებაში იზრდებოდა რუსეთის იმპერატორის ქალიშვილი, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცოდა. მას დიანა დაარქვეს. უდღეული დიანა საკმაოდ ჯანმრთელი და ლამაზი ბავშვი გამოდგა. მას ხშირად მძიმე სამუშაოების გაკეთება უწევდა სახლში. მისი ყველაზე საყვარელი საქმიანობა საქონლის მწყემსობა იყო. იგი ხშირად მოახტებოდა ხოლმე ცხენს და მთასა და ველს უვლიდა ხოლმე. იგი შესცეროდა მთებსა და მდინარეებს და თითქოს რაღაც მშობლიური უკვე ნანახი და განცდილი აგონდებოდა. ბიჭივით იზრდებოდა. მან კარგი ცხენზე ჯირითი და იარაღის ხმარებაც იცოდა. თხუთმეტი წლისა იყო, როდესაც

მასზედ მინდობილი საქონელის გატაცება მოინდომეს ყაჩაღებმა. უფროს მეგობრებთან ერთად დიანამ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია მომხვდურს და სოფლელების პატი-კისცემა დაიმსახურა. დიანას დედა მალე გარდაიცვალა და იგი ობილი დარჩა. თუმცა მას გერი და ძმა დარჩა, მასზედ ბევრად უფროსები, მაგრამ ისინი დიანას ცუდი თვალით უყურებდნენ. ამიტომ დიანა სერიოზულად ფიქრობდა სახლ-იდან წასვლას.

იმ დროს სოფლამდე მოაღწია ხმებმა იმის შესახებ, რომ პეტრე პირველმა ჩამოაყალიბა სემიონოვსკისა და პრეობრა-ჟენსკის პოლკები, სადაც ყველას შეეძლო მსახური განუკით-ხავად წარმოშობისა და ქონებისა. მისი რამდენიმე ბავშვო-ბის მეგობარი უკვე მსახურობდა აღნიშნულ პოლკებში, მაგრამ მისთვის გზა გადაკეტილი იყო, რადგან იგი გოგონა იყო და მას არ დართავდნენ ნებას. მაგრამ დიანას ძალზედ უნდოდა იქ მსახური და გადაწყვიტა ბიჭის ფორმაში გადაც-მულიყო და ისე ემსახურა სხვისი გვარითა და სახელით.

დიანამ მოახერხა და იშოვა სემიონოვსკის ბატალიონის რიგითი ჯარისკაცის ფორმა, ღამით გადაიცვა და სარკეში ჩაიხედა. ნამდვილი პეტრეს გვარდიელს გავდა, მის მოხდე-ნილ ტანს ფორმა ძალზედ მოუხდა. დილამდე თვალი არ მოუხუჭავს. დილას კი ცხენს მოახტა და პრეობრაჟენსკის სასახლისკენ მოჰკურცხლა თავისი ცხენით. მიუახლოვდა თუ არა სასახლეს, რამდენიმე მხედარმა მას გზა გადაუჭრა.

- ვინა ხარ და აქ რა გინდა? - ჰერიტეს მათ.
- მე დიმა ვარ ივანეს ძე, პეტრესთან მივალ საქმეზე.
- რა საქმე გაქვს ასეთი ჩვენს ხელმწიფესთან.
- მინდა მის გვარდიაში ვიმსახურო.
- შენნაირებისათვის აქ ადგილი არ არის, გასწი აქედან — მია-ხეს მცველებმა, გვარდიელის ფორმაში გადაცმულ დიანას.
- ამ საკითხს პეტრე გადაწყვიტავს და არა თქვენნაირი უქნარები.

მათრახი გადაუჭირა ცხენს და დაუკითხავად სასახლის-

კენ გააჭენა. მცველები მას გამოუდგნენ, მაგრამ დიანა ისე მარდად მართავდა ცხენს, რომ მას ვერცერთი დაეწია. დიანამ ისინი საკმაოდ აწვალა მოქანცა დევნით და შემდეგ სასახლეში შეაჭენა თავის ცხენი, ჩამოქვეითდა და სასახლეში შევიდა.

დიდ ოთახში აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა კაცი ძვირფას სადილს მიირთმევდა, მათ გაკვირვებული შეხედეს დიანას. ამ დროს სასახლეში დაფეთხებული მცველები შემოცვივდნენ და დიანას ეტაკნენ, თან მონიწებით შუაში მჯდომ ახალგაზრდა კაცს მიმართავდნენ.

- ბატონო, ჩვენ არ უშვებდით, მაგრამ მან ძალით მაინც შემოაღწია.

- რადგან გაჯობათ და ჩემთან შემოაღწია, მაშ ხელი უშვით და მოუსმინოთ რა უნდა.

დიანამ ხელები გაითავისუფლა და რაღაც წინათვრძნობით მიხვდა, რომ მის წინ პეტრე უნდა ყოფილიყო, მან რაღაც არნახული სითბო და სიყვარული იგრძნო ამ ახალგაზრდა კაცის მიმართ და მღელვარე ხმით მიმართა მას.

- მე პეტრესთან მსურს საუბარი.

- მე ვარ პეტრე.

- დიდო ხელმწიფევ, მე ერთი ღარიბი ბიჭი ვარ სლობოდიდან. ბავშვობა მძიმე მქონდა. მაგრამ იარაღის ხმარება ვიცი. დიდი სურვილი მაქვს თქვენთან ჯარში ვიმსახურო.

-კი მაგრამ, მე მგონი შენ ჯერ ბავშვი ხარ, შენ ცამეტი წლისაც არ იქნები, — წარმოთქვა პეტრესთან მჯდომმა მეორე ახალგაზრდამ.

- მაშ შემეჯიბროს ნებისმიერი თქვენთაგანი ცხენში ჯირითში ან ხმალში ან თოფის სროლაში.

დიანამ ხმალი წააძრო იქვე მდგარ მცველს. რომელმაც დაბნეულობისაგან პირი დააღო, ხოლო მეორემ არ დააყოვნა და ხმალი იშიშვლა და დიანას მიეჭრა. გაიმართა საინტერესო ხმალთა ჭიდილი, რომელშიც დიანა აშკარად ჯობნიდა თავის მოწინააღმდეგეს.

- კმარა, — ბრძანა პეტრემ. ვხედავ მამაცი ჭაბუკი ხარ, დარჩი ჩვენთან, მე მგონი გამოგვადგები.

დიანას სიხარულით აევსო თვალები.

- მიხედეთ ყმაწვილს და მიუჩინეთ თავისი ადგილი და საქმე. ბრძანა პეტრემ.

იმ დღიდან დაიწყო დიანას სამხედრო სამსახური, რომელ-იც მეტად რთული აღმოჩნდა მისთვის, როგორც ქალიშვი-ლისათვის. განსაკუთრებით მას დაუახლოვდა ერთი იქაური ბიჭი. ისიც პრეობრაჟენსკის ჯარისკაცი იყო, სახელად — გენა ერქვა. სამხედრო სამსახურის შემდეგ ისინი ხშირად იყვნენ ერთად. ერთმანეთს თავის თავგადასავალს უყვებოდ-ნენ. დიანა უკვე მეორე თვეს მსახურობდა და ეჭვი არავის აუღია მასზედ, რომ იგი გოგო იყო და არა ბიჭი.

დიანა არ იყო გულგრილი გენადისადმი, მოსწონდა მისი გულახდილობა, მამაცობა, გულკეთილობა, სამხედრო საქ-მის ცოდნა. ბუნება. ცხოველები განსაკუთრებით კი ცხენები ორივეს გატაცება იყო, და ცდილობდა თავისუფალ დროს მასთან ყოფილიყო. გენას უყვარდა დიანა, მეგობრული გულწრფელი სიყვარულით. კვირაში ერთხელ გვარდიელები რაზმის უფროსს აბანოში დაყავდათ. ამ დღეს დიანა ყოველთვის შეუძლოდ ხდებოდა და ან სხვადასხვა მიზეზის გამო არასოდეს არ მიყვებოდა გვარდიელებს აბანოში. შემდგომ იგი ჩუმად ახერხებდა მდინარის პირას ბანაობას. ეს ყველასათვის შეუმჩნეველი რჩებოდა, მაგრამ ერთ დღეს, როდესაც მისი რაზმი დასაბანად აბანოში აპირებდა წასვ-ლას, მან კვლავ ავადმყოფობა მოიმიზეზა, მაგრამ რაზმის მეთაურმა ივან ივანიჩ ბორისოვმა შენიშნა, რომ იგი არ დაუშვებს უსუფთაობას მის რაზმში, რომელიც ინფექციური დაავადების წყაროდ შეიძლება გახდეს და კატეგორიულად მოსთხოვა დიმას, როგორც მას ჯარისკაცები ეძახდნენ, წამოსულიყო რაზმთან ერთად და ტანი დაებანა. - ამჯერად არაფერი გამოგივათ, სასწრაფოდ მოემზადეთ და ჩვენთან ერთად წამოდით.

ასეთი მკაცრი მითითების შემდეგ დიანა იძულებული იყო დათანხმებოდა, მაგრამ თან გული ეკუმშებოდა იმის წარმოდგენით, რომ მისი საიდუმლო აშკარა გახდებოდა ყველასათვის და მას სამარცხვინოდ გააძევებდნენ პეტრეს გვარდიდან. ორიოდე სიტყვა, თუ რას წარმოადგენდა იმ დროინდელი აბანო: - მდინარის პირას იყო გაშენებული ხის მოგრძო ფიცრული, ქვის მოპირკეთებული იატაკით სადაც ერთდროულად შეეძლო ტანი დაებანა 36-მდე ჯარისკაცს, შიგნით იყო რამდენიმე ათეული დასაწოლი და ტანის დასაზელი, ფიცრისგან გაკეთებული საწოლები, რამდენიმე ბუხარი, სადაც თუჯის ქვაბში დუღდა წყალი, რომელსაც შეშით აცხელებდნენ, იქვე იყო დიდი აუზი მიწაში ამოთხრილი და აგურით ამოშენებული, სადაც ცივი წყალი მიღებით გადიოდა. თაროებზე ეწყო ათობით ხის ცოცხი. წყალი, როდესაც გაცხელდებოდა, ჯარისკაცები ხის ვედრით იღებდნენ და ტანს იბანდნენ. ამავე დროს წყალს ცეცხლზედ ასხამდნენ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას, თიხის ფირფიტებზე ისე რომ ცეცხლი არ ჩამქრალიყო. ამას მოყვებოდა ორთქლი დიდი რაოდენობით, რაც სითბოსაც აყენებდა და უფრო ადვილი ხდებოდა ტანიდან ჭუჭყის აძრობა ხის ცოცხების საშუალებით, ამის შემდეგ წყალს გადაივლებდნენ და აუზში ხტებოდნენ გასაგრილებლად. ამას ეწოდებოდა ორთქლის რუსული აბანო.

აი, ასეთ აბანოში უნდა ებანავა ჩვენს დიანას ისე, რომ არავის შეეტყო მისი ქალობა. რაც პრატიკულად შეუძლებელი იყო. გვარდიელებს უყვარდათ აბანოში წასვლა, რადგან აქ ისინი შვებას პოულობდნენ, ზოგი ტანს იბანდა, ზოგი კი თავის სარეცხის რეცხვით იყო გართული. დიანამ ვეღარ აიტანა ამის ყურება და ალმოდებული გარეთ გამოვარდა სასწრაფოდ და სასახლისკენ მოკურცხლა თავის ცხენით.

სასახლეშიც ვერ მოისვენა და მდინარისკენ გააქროლა თავისი ცხენი. იქ ერთ უკაცრიელ ნაპირთან ჩამოქვეითდა, ტანთ გაიხადა და მდინარის გრილ ტალღებში გადაეშვა.

ტანზე მოდებული ალმური ცოტა დაუამდა. იგი უშიშრად მიიწევდა მდინარის შუაგულისაკენ შემდეგ პირალმა დაწვა და დინებას მიენდო. მალე მას ნაპირიდან ძახილის ხმა მოეს-მა. იგი შეკრთა ხმაში გენადი ამოიცნო. გადმოტრიალდა და ნაპირისკენ აიღო გეზი. აქ კი მართლაც გენადი უცდიდა. საი-დან მომაგნო, გაიფიქრა დიანამ და თავისი მდგომარეობის უსუსურობა შეიგრძნო.

- რამე ხომ არ შეგემთხვა? ვინმემ ხომ არ გაწყენინა აბანოში? მითხარი, მე მათ ყველას მოვუვლი.

- არაფერია, მინდოდა მარტო მებანავა, - მიუგო დიანამ.

- დამიცადე შენთან გავჩნდები ახლავე, მეც მდინარეში ბანაობა მირჩევნია, ტურტლიან აბანოს.

გენადიმ ტანთ სწრაფად გაიძრო და წყალში გადაეშვა ისე, რომ დიანამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო. მან ცხადად შეიგ-რძნო, რომ ასე დიდხანს გაგრძელება აღარ შეიძლებოდა და ადრე თუ გვიან მისი საიდუმლოება ყველასთვის ნათელი გახდებოდა.

მართალია დიანას ტანსაცმელი ნაპირთან ახლო იყო, მიცურვა იქამდე ისე, რომ გენას არ შეემჩნია შეუძლებელი იყო, მაგრამ მაინც შეეცადა. მან სწრაფად გაცურა ნაპი-რისაკენ და სანამ გენა რამეს მიხვდებოდა, მან უკვე ნაპირს მიაღწია, სწრაფადვე გამოვიდა და თავის ტანსაცმლისკენ მოჰკურცხლა სველ ტანზე სწრაფად გადაიცვა.

- წყლიდან რა სწრაფად გამოხვედი- უთხრა გენამ.

- ხო ცოტა შემაცივა, მიუგო დაბნეულმა დიანამ.

გენადი დიანასთან ახლოს ჩამოჯდა და მდინარეში რაღაცას მიაშტერდა, შემდეგ დიანას მიუგო.

- მე ყველაფერს ვხვდები ძვირფასო, შენ ბიჭი არა ხარ, შენ გოგო ხარ, ეს მე უკვე დიდიხანია ვიცი, მაგრამ არ გეუბნებო-დი.

-ეგ როგორ? შეკრთა დიანა, ნუთუ მართლა ხვდებოდი ყველაფერს.

- კი ყველაფერს ვხვდებოდი, მაგრამ შესაფერ დროს ვუც-

დიდი, რომ შენთვის მეთქვა და ეს დრო დადგა. დიანა მე შენ ძალიან მიყვარხარ და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია.

- ჩემი აქ გაჩერება შეუძლებელია, აქ ქალი ვერ გაჩერდება.

- გეთანხმები, — მიუგო გენამ, რას აპირებ?

- უნდა დავტოვო სამხედრო სამსახური.

- მეც შენთან ერთად წამოვალ დიანა, ჩემი და შენი გზა დღეიდან განუყრელია.

მათ გადაწყვიტეს მეორე დღესვე შესდგომოდნენ მგზავრობისთვის სამზადისს, მაგრამ სასახლეში მომხდარმა მოვლენებმა შეცვალა მათი გეგმები: 1697 წელს მოსკოვიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა დიდი ელჩობა, რომელსაც ევროპაში მოკავშირები უნდა მოენახა თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის; ელჩობასთან ერთად საზღვარგარეთ გაემგზავრა პეტრეც, რომელმაც თავის თავს პრეობრაჟენსკის ურიადნიკი პეტრე მიხაილოვი უწოდა. გამგზავრების წინ იგი თავის გვარდიელებს შეხვდა, სემიონოვსკის და პრეობრაჟენსკის გვარდიელები ჩამნერივდნენ მის წინ და პეტრემ მგზებარედ წარმოსთქვა: - მე უნდა გავეცნო ევროპის ქვეყნების ცხოვრებას, შევისწავლო გემთმშენებლობის ხელოვნება და საარტილერიო საქმე. შემდგომ ჩვენ აქ დიდი საქმეები გველის, უნდა შევქმნათ ძლიერი ფლოტი და ვიბრძოლოთ ბალტიის ზღვის სანაპიროებისათვის, ამისათვის მოგვიწევს შვეციასთან ომი, სადაც გადამწყვეტი სიტყვა სწორედ თქვენ გეკუთვნით. შემდეგ მან ჩამოუარა გვარდიელებს და დიანასთან შეჩერდა, დიანას დააკვირდა, თითქოს რაღაც გაახსენდა.

- ერთი ნაბიჯი წინ - მიუგო.

დიანამ სწრაფად გადაადგა ნაბიჯი და წარმოთქვა.

- რიგითი დიმა სლობოდიდან გისმენთ.

- საიდან გაქვთ თქვენ ეს ნივთი.

დიანა დაიბნა, პეტრე მიუთითებდა მის მკერდზე დაკიდებულ ვერცხლის ღვთისმშობლის გამოსახულებაზე, რომელიც მისმა დედინაცვალმა მისცა მას გარდაცვალების წინ.

შეატყო რა პეტრემ დაბნეულობა, უბრძანა, რომ იგი მას-თან სასახლეში გამოცხადებულიყო.

დიანას გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მასთან გენა მივიდა.

- ნეტავი რას ჩაგაცივდა, რად უნდა შენი მედალიონი?

- არ ვიცი, მიუგო დიანამ.

- ვისია?

- ჩემმა დედინაცვალმა სიკვდილის წინ გადმომცა — ეს შენი ნამდვილი დედის ნაქონი ნივთიაო და შენ გეკუთვნისო.

გენამ დიანა სასახლეში მიაცილა და ანუგეშა, ნუ გეშინია ყოველივე მოგვარდება, პეტრეს ყველაფერი აუხსენი და ის გაიგებს.

დიანამ სასახლეში შიშით შეაბიჯა, მას ლაქია დახვდა და დიანა პეტრესკენ გააცილა. გზად დიანა გაკვირვებული უყურებდა გასაოცარ სურათებს, დიდებულად მოწყობილ ოთახებს და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მას ეს ყოველივე ენახა. მისთვის ყოველივე ეს სასიხარულოც იყო და მოსაწყენიც.

წინ დიდი კარები გაიღო. დიდ დარბაზში პეტრე დიდ სავარძელში იჯდა და რაღაცას კითხულობდა. დიანა უხმოდ მიუახლოვდა და მის წინ აიტუზა. როგორც იქნა პეტრემ დაამთავრა კითხვა და დიანას მიუგო.

- მოიხსენი ყელსაბამი.

დიანამ უხმოდ მოიხსნა მისთვის ძვირფასი ნივთი და პეტრეს გაუწოდა. მან გამოართვა და დიდხანს ატრიალა ხელში, შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდაო, თავისთვის ჩაილაპარაკა: ღვთისმშობლის გამოსახულება ქართული წარწერით, ძალზედ მეცნობა. საიდან გაქვთ ეს თქვენ?

- მე ობოლი ვარ ხელმწიფევ, ერთმა კეთილმა ქალმა მიპოვა ხევში მკვდარ დედასთან ერთად, რომელიც ყაჩაღებს საშინლად უწამებიათ და მოუკლავთ, ყელზედ ეგ ღვთისმშობლის გამოსახულებით ვერცხლის ამულეტი მკიდებია. სახლში წამიყვანა და მიშვილა გაჭირვებაში გამზარდა და დედობა გამიწია, მისი გარდაცვალების შემდეგ კი გადავწყვიტე თქვენს სამსახურში ვყოფილიყავი.

- სამწუხარო ამბავი მითხარი, თქვა პეტრემ და კვლავ ვერ-ცხლის ჩამოსაკიდი ღვთისმშობლის გამოსახულებას აკვირ-დებოდა. თითქმის თქვენი ტოლი ვიქნებოდი, როდესაც ერთი ქართველი თავადის ქალი გავიცანი, მას დარეჯანი ერქვა, იგი ძალზედ მიყვარდა, მარგამ ჩვენი გზები გაიყარა დიდი ხნის წინათ, მას შემდეგ მის შესახებ არაფერი მსმენია. მახსოვს ესეთი ნივთი მასაც ეკიდა მკერდზე. მაგრამ თქვენ მისი შვილი რომ იყოთ გამორიცხულია, თუმცა ყველაფერია მოსალოდნელი. ნუთუ დარეჯანს ასეთი სავალალო ბედი ენია? ყაჩალები, საზიზღარი ყაჩალები, ყველგან დაძრნიან. ვერა და ვერ მოვსპე ეს ურჯულოები. ნუთუ დარეჯანი მათი მსხვერპლი აღმოჩნდა და შენ კი მისი შვილი? შენ სტყუი, ეშმაკის შვილო, შესძახა განრისხებულმა პეტრემ.

- არა ბატონო არ ვტყუი სრულ ჭეშმარიტებას მოგახ-სენებთ, - მიუგო დიანამ.

- მოიცა მე ყველაფერს გავარკვევ, და ნახავ რა მოგელის ტყუილისათვის.

პეტრემ ხელქვეითს დაუძახა და უბრძანა, რომ მისთვის მოენახათ გიორგი — ქართველი თავადიშვილი. მას მოახსენეს, რომ იგი დრაგუნთა პოლკს გაყვა საწვრთნელ ვარჯიშებზე.

- მომინახეთ და აქ მომგვარეთ, დღესვე, ბრძანა პეტრემ. ეს ვაჟბატონი კი საჯინიბოში გყავდეთ თვალი არ მოაცი-ლოთ, თორემ ტყავს გაგაძრობთ. შეტრიალდა და დარბაზი-დან გავიდა. დიანა კი, საჯინიბოში წაიყვანეს და იქვე ცხე-ნივით დაამწყვდიეს.

დიანა თავის ფიქრებთან მარტო დარჩა. მას ვერაფერი გაეგო, რა შუაში იყო პეტრე ან დედამის რა საერთო ჰქონდა მასთან? საიდან იყო დედამისი წარმოშობით? ან რა უნდა ეთქვა გიორგი ბატონიშვილს, რომელიც ქართველი იყო. იქნებ დიანაც ქართველია? მისი დედა დარეჯანია, იქნებ ისიც ქართველი იყო? ყოველივე ეს აზრები აბნებდა და გზა-კვალს უბნევდნენ დიანას.

იმ საღამოს დიანა არავის შეუწუხებია, მხოლოდ ვახშამი

შემოუტანეს და კვლავ მარტო დატოვეს თავის ფიქრებთან. დიანამ ღამე თეთრად გაატარა, ეტყობა გიორგი ბატონიშვილის მოყვანა იმ დღეს ვერ მოახერხეს. გათენდა. დიანას საუზმე აახლეს, არ გავიდა ნახევარი საათი და იგი კვლავ პეტრესთან გამოიძახეს, ამჟამად სხვა ოთახში შეიყვანეს და დალოდება უბრძანეს.

ამ დროს პეტრეს კაბინეტში აღელვებული გიორგი ბატონიშვილი შევიდა, პეტრემ არ აცალა მისალმება და მიაძახა.

- გახსოვს თავადის ასული დარეჯანი, ერთ დროს თქვენ მე რომ გამაცანით?

- მას რა დამავიწყებს ბატონო.

- მაში ისიც უნდა გახსოვდეს, რომ მე თქვენ გთხოვეთ ყურადღება მიგექციათ მისთვის და ყოველივე ჩემთვის მოგხესენებიათ.

- მე ესეც ვიქცეოდი ხელმწიფევ, თქვენთვის არაფერი დამიმალავს.

მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ მახსოვს, რომ იგი თავის მოახლესა და ერთ მის ნათესავ ოფიცერთან ერთად ამ თხუთმეტიოდე წლის წინ სამშობლოში გაემგზავრა. მაგრამ გზად ყაჩალები დაესხნენ და იგი დაიღუპა, ამის შესახებ მე თქვენ გაცნობეთ, ჩვენ მაშინ, მახსოვს სხვისი ხელით ფულადი დახმარებაც სამგზავროდ მივეცით.

- ეგ ყოველივე მეც ვიცი, მაგრამ მაინტერესებს რა მოხდა იქ. დაწვრილებით, ვინ იყვნენ ის ყაჩალები და რატომ აღმოჩნდა იქ პატარა ბავშვი დარეჯანის ღვთისმშობლის მედალიონით? ის ყმაწვილი ამჟამად ჩემს გვარდიაში მსახურობს და გუშინ სრულიად შემთხვევით მის მკერდზე აღნიშნული ნივთი შევნიშნე და დავკითხე კიდეც, რის შედეგად ირკვევა, რომ იგი დარეჯანის შვილია, რომელიც სხვა მშობლებმა გაზარდეს. თუ ეს ასეა, ვისგან შეიძლება რომ ეს ყმაწვილი შესძენოდა დარეჯანს?

პეტრე გიორგის ჩამტერდა. გიორგიმ თვალი თვალში გაუყარა და წყნარად მიუგო.

- ვისგან და თქვენგან. ჩვენთვის ყოველივე ცნობილია, თქვენ იცხოვრეთ დარეჯანთან და შემდეგ მიატოვეთ. მან ეს ძალიან განიცადა. თავის მოკვლაც კი ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ გადაიფიქრა და თავის სამშობლოში გადაწყვიტა წასვლა, მაგრამ არ დასცალდა, თქვენი შეხვედრის შემდეგ რვა თვეზე მეტი იყო გასული. ისე რომ ადვილი შესაძლებელია ბავშვი თქვენი იყოს, რადგან დარეჯანი ის ქალი არ გახლდათ, რომ საქმე თქვენს შემდეგ სხვა მამაკაცთან დაეჭირა.

- რას ამბობ რას გიორგი? დაფიქრდით, წამოიყვირა პეტ-რემ, ის ყმაწვილი ჩემი შვილია? და იმ ოთახს გახედა, სადაც დიანა იყო.

ოთახი ისე იყო მოწყობილი სარკეებით, რომ იქ მყოფი ვერ ხედავდა გარედან მაცქერალს, პეტრე და გიორგი კედელთან ახლოს მივიდნენ და დიანას დააკვირდნენ.

- როგორი შავგვრემანია ხელმწიფეო. სულ თქვენ გგავთ.

- გაჩუმდი ეს შეუძლებელია.

- არაფერია შეუძლებელი.

- იგი ყმაწვილისათვის მეტად ნაზი მეჩვენება, მიმართა პეტრემ გიორგის. შეიძლება გოგონაც იყოს.

- თქვენს გვარდიაში უკვე იყო ქალების შემოღწევის ცდა, რომლებიც ბიჭის ტანსაცმელს იცვავდნენ ხოლმე. მგონი აქაც ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მას ალბათ ძალიან უნდოდა ჩვენს გვარდიაში მსახური და ბიჭად მოგვევლინა.

- მაშ მომილოცავს ქალიშვილი.

- აპა ერთი უთხარი მოახლე ქალებს ჩემს აპანოში შეიყვანონ და თუ მართლა გოგონაა, ქალის ტანსაცმელში აქ მომგვარონ.

გიორგი გავიდა, სათანადო განკარგულება გასცა და დაბრუნდა. დიანა ორმა მოახლე ქალმა სადღაც გაიყვანეს.

- რას აპირებ პეტრე ბატონო?

- არაფერს თავის სამშობლოში გავამგზავრებ, სათანადო მზითვებსაც გავატან.

- მას იქ არ მიიღებენ.
- სათანადო წერილს გავატან ქართლის მეფე ერეკლე პირველთან, რომელიც დედაჩემის გადმოცემით, მამაჩემია, რომ გაუფრთხილდეს მის შვილიშვილს.
- თქვენ ხუმრობთ, ხელმწიფევ, - მიუგო გიორგიმ.
- ისეთ ხუმრობას რა ვუთხარი, რომ შიგ მართალიც არ ერიოს, თქვა პეტრემ.

დიანა კი მოახლე ქალებმა, პეტრეს სამეფო აბანოში ჩაიყვანეს. დიანა გაკვირვებული დარჩა, როდესაც დიდებულად მოწყობილ აბანოს მოკრა თვალი. დიანა ყოველივეს მიხვდა, რომ მის საიდუმლოს ფარდა აეხადა. ქალებმა დიანა აბანოში შეიყვნეს და მას დაუინებით მოსთხოვეს ბანაობა მათი თანდასწრებით და დახმარებით, რათა შემდგომ ხელმწიფესთან ახალი ტანსაცმლით გამოცხადებულიყო. ეს მათი თქმით ჰიგიენის მიზნით ტარდებოდა. დიანამ არ დააყოვნა ტანთ გაიხადა და აუზი თავით გადაეშვა. გაოცება აღმოხდათ ქალებს პირიდან, როდესაც დიანას საოცრად ლამაზ ქალურ ტანს მოკრეს თვალი. დიანამ კარგა ხანს იცურავა, შემდეგ ამოვიდა. მას ტანის დაბანვაში ქალები ეხმარებოდნენ, რომელებიც გაოცებას ვერ მალავდნენ. ასეთი გარდაქმნის გამო, დიანას მშვენიერი, იმ დროინდელი მოდის ქალური ტანსაცმელი შემოუტანეს, ჩააცვეს, თმები დავარცხნეს და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მათ თვალწინ ვიღაც არა გახუნებულ ფორმაში მყოფი გვარდიელი, არამედ მშვენიერი შავთმიანი, ცისფერთვალება, ლამაზი, მდიდრულ კაბაში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი ემმაკურად იცქირებოდა და იცინოდა. ასეთი ფორმით იგი წარსდგა პეტრესა და თავადიშვილ გიორგის წინაშე. მათ თვალწინ ნამდვილი თავადის ასული დარეჯანი იდგა. ამაყი, ლამაზი, წარმტაცი თვალწარბით, ქართული იერით, მოხდენილი ტან-ფეხით. პეტრე და გიორგი გაოცებული შეჰერებდნენ დიანას თავის მღელვარებას ვერ მალავდნენ, თითქოს ცხონებული გაცოცხლებულიყოს და მათ წინაშე

წარმდგარიყოს. ყველას იქ მყოფთ ენა ჩაუვარდათ, მხოლოდ დიანა იცინოდა ეშმაკურად და ლამაზ კაბას ექეთ იქით აფრიალებდა.

- რა გქვია შენ? - მიმართა პეტრემ დიანას აღელვებულმა.

- მე დიანა მქვია, მე თქვენს გვარდიაში ძალიან მინდოდა სამსახური და ამიტომაც გადავიცვი ჯარისკაცის ტანსაც-მელი. გთხოვთ მაპატიოთ ეს საქციელი.

- თქვენი გვარის წარმომადგენლებისთვის უცხო არა-სოდეს ყოფილა სამხედრო სამსახური და ბუნებრივია თქვე-ნი საქციელი, თქვენს ძარღვებში ქართველი მეომარი ხალხ-ის სისხლი სჩექებს, ჩვენ ვიცნობდით დედათქვენს. იგი მამაცი, ლამაზი ქალბატონი იყო. იგი პატრიოტი იყო თავისი ხალხისა და ქვეყნისა, მაგრამ არ დასცალდა სამშობლოში წასვლა. ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. თქვენ ჩემს სამსახურში კვლავ დარჩებით, ოღონდ ჯარისკაცად კი არა, არამედ რუსეთის ელჩიად საქართველოში. მე თქვენ წერილს გაგა-ტანთ, ქართლის მეფე ერეკლე პირველთან. მე ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია საქართველოსთან ურთიერთობა ურჯულოთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მე მიყვარს საქართველო ისე, როგორც მიყვარდა დედაშენი. ჩემს ძარღვებშიც ჩქებს ბაგრატიონთა სისხლი. იგი ამ სიტყვებით დიანას გადაეხვია, დალოცა და გიორგის უბრძანა, მოემზა-დებინა ყველაფერი დიანას გასამგზავრებლად.

- ხელმწიფევ, გთხოვთ, ჩემთან ერთად გენაც გამოუშვათ, ისიც ჩემსავით თქვენთან მსახურობს.

- თანახმა ვარ, მაგრამ შენთან ერთად გიორგიც წამოვა. აქ მომიცადეთ. იგი კარიდან გავიდა და მალე რაღაც ნივთით უკან დაბრუნდა.

- ეს შენ სახსოვრად უნდა გაჩუქო, ეს ნივთი თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანია საქართველოდან და თავისი შვილისთვის ერეკლესთვის გადაუცია, რომელმაც იგი შემდგომ დედაჩემს დაუტოვა.

მან ხელში რაღაც ოთხუთხა ნივთი აათამაშა. დიანა

ყურადღებით დაკვირდა ნივთს, იგი პატარ-პატარა ოთხ-კუთხეებისგან შედგებოდა, რომლებიც ხელით გადატრია-ლების დროს მოძრაობაში მოდიოდნენ და მათზე რაღაც გამოსახულებები ისახებოდა. ნივთი სხვადასხვა ძვირფასი ოთხკუთხა ქვებისაგან შედგებოდა, რომელზედაც ქართული ძველი ასოები და რაღაც ფიგურები ეხატა.

- ამის მნიშვნელობა არავინ იცის, აღნიშნა პეტრემ, მაგრამ ნივთი ძვირფასია, რადგან იგი ძვირფასი ქვებისგან შედგება ძველებურია და იძერთა მეფეთა საგანძურს ეკუთვნის. მე მას შენ გჩუქნი დიანა. იგი შენ ბედნიერებას მოგიტანს იცოდე, შენ იძერ მეფეთა მემკვიდრე ხარ, იგი შენ გეკუთვნის.

ამ სიტყვების შემდეგ, მან დიანა გადაკოცნა და ყურში ჩასჩურჩულა.

- მშვიდობით შვილო.

და დარბაზიდან გავიდა.

რამდენიმე დღეში რვაკაციანი მგზავრთა ჯგუფი კავკასი-ისკენ მიმავალ გზას დაადგა. სექტემბერი იდგა გრილი ნიავი უკვე მოქროდა ჩრდილოეთიდან. დიანა, გიორგი და გენა ეტლში ისხდნენ. სურსათი და იარალი საკმაოდ მიჰქონდათ, ხუთი მცველი ცხენებზე ამხედრებულ ეტლს მიაცილებდნენ. დიანა ბედნიერი იყო, რადგან მისთვის ბევრი რამ გასაგები გახდა, კერძოდ ის, რომ იგი ქართველი თავადის ასული დარეჯანის შვილი იყო, რომელიც გვარად ბაგრატიონების შთამომავალი იყო, მაგრამ მამის ვინაობა მისთვის გაუ-რკვეველი იყო, თუმცა პეტრეს კი წამოსცდა. გიორგიმ აუხს-ნა მას, რომ ეს პეტრემ მოფერებით უთხრა და რომ ის, ყვე-ლას მოფერებით შვილს ეძახის. პეტრემ და გიორგიმ ეს საიდუმლო არ გაუმხილეს დიანას, სახელმწიფო ინტერესე-ბიდან გამომდინარე.

მოსკოვს გასცდნენ და რიაზანის გზას დაადგნენ. გზად გიორგი და გენადი, დიანას სხვადსხვა საინტერესო ამბებს უყვებოდნენ, თან კი იმ სათამაშო ნივთს ამოცნობას ცდი-ლობდნენ, რომელიც პეტრემ აჩუქა. დიანას ყოველი გადა-

ტრიალების დროს მის ლამაზ ქვებზე, ყოველთვის სხვადსხვა ასოები და ციფრები ამოდიოდა ისე, რომ ყოვლად გაუგებარი იყო რაიმეს გარკვევა. დიანა მღელვარებამ მოიცვა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი მისთვის კეთილად ვითარდებოდა, რაღაცისადმი მღელვარების და შიშის გრძნობა არ სცილდებოდა, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ველურ სტეპებს, მისი მღელვარება მატულობდა. მას რაღაცის ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. ქალაქებში და სოფლებში რომ შედიოდნენ იქ მათ კარგად ხვდებოდნენ და მასაც გული უნათდებოდა, მაგრამ როგორც კი გაცდებოდნენ დასახლებულ ადგილებს რაღაც უსიამოვნო გრძნობა იპყრობდა მას, იგი ბუნებით მშიშარა არ იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მას შიშის გრძნობა არ ტოვებდა.

უღრან ტყეს უახლოვდებოდნენ, მას რომელილაც მდინარე მოყვებოდა და ტყესა და მთებს შორის იკარგებოდა. მოსალამოვდა კიდეც და საჭირო იყო თავშესაფარი ეძებნათ სადმე. გზის მეგზურად ერთი გლეხი ჰყავდათ, რომელიც ერთ-ერთ სასტუმროში გაიცნეს, ის მათ დაპირდა, რომ გზის მეკვლედ იქნებოდა, ძნელად გასასვლელ ადგილებში, რა თქმა უნდა გარკვეული ანაზღაურების ფასად. დიანას ეს კაცი თავიდანვე არ მოეწონა და ამის შესახებ უთხრა კიდეც გიორგის, მაგრამ მან არავითარი ყურადღება არ მიაქცია და მერე მწარედაც ინანა.

ტყეში შეუხვიეს თუ არა, მეგზური სადღაც გაქრა, ტყეში კი თანდათან ბნელდებოდა.

- უნდა შევისვენოთ, აღნიშნა გიორგიმ.

- ჩვენი მეგზურიც სადღაც გაქრა, შესაძლებელია წინავიდა გზის გასაკვალად, — აღნიშნა გენამ.

ჩვენ ალბათ ღამის გათევაც მოგვიწევს აქ, — თქვა დიანამ.

- ურიგო არ იქნება დაემოწმა გიორგი, მაგრამ საამისოდ საგანგებო ადგილი უნდა შევარჩიოთ.

სუყველა ცხენებიდან ჩამოქვეითდა და შესაფერისი ადგილის ძებნა დაიწყეს. ტყეს ერთ მხარეს სალი კლდე ერტყმო-

და, ჩვენი მგზავრები დაბლა მოკალათდნენ, კოცონი გააჩადეს და გემრიელი ვახშმის მზადება დაიწყეს, ვახშმად კი სანოვაგე საკმაოდ ჰქონდათ. ყველანი კოცონს შემოუსხდნენ მცველები კარგი მხიარული ადამიანები გამოდგნენ. მათ კავკასიამდე უნდა მიეცილებინათ ჩვენი მგზავრები, საიდანაც ისინი დამოუკიდებლად გააგრძელებდნენ გზას, თან მეფე ერეკლეს შეატყობინებდნენ მათ ჩამოსვლას. ხუთი მცველი 18-19 წლისანი თუ იქნებოდნენ, ისინი პეტრეს ერთგულნი იყვნენ და მათი ნდობა შეიძლებოდა. კოცონმა მგზავრებს თავისებური სიხალისე შემატა. ყველა გემრიელ ვახშამს მიირთმევდა, რომელიც გიორგის მიერ მოკლული ირმის შემწვარი ხორცისაგან შედგებოდა თან არაყს აყოლებდნენ და საინტერესო ამბებს ყვებოდნენ. მხოლოდ დიანა იყო რაღაც მოწყენილი და ვახშამს უხალისოდ მიირთმევდა.

ტყეში სტვენა გაისმა, მას მეორე მოყვა. გენა და გიორგი წამოცვივდნენ. - რაღაც არ მომწონს ეს სტვენა, ყაჩალთა ნიშანს მაგონებს, -თქვა გიორგიმ და თოფს სტაცა ხელი და ხმამაღლა ბრძანება გასცა, ყველამ იარაღი აისხით, კოცონი ჩააქრეთ და ხებს ამოეფარეთ, მაგრამ გვიანი იყო. თოფის ხმა გაისმა, ერთ ერთი მცველი მოცელილივით დაეცა ხებს ამოფარებული, ვიღაცის ლანდებიც გამოჩნდნენ თავდამცველებმა საპასუხო სროლით უპასუხეს. გაისმა დაჭრილთა ყვირილი, მერე ყოველივე აირია. ყაჩალთა ბრძო, შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ საპასუხო ცეცხლი მათ აკავებდა. დიანამ მოახერხა და კვლავ ბიჭის ტანსაცმელი გადაიცვა, თოფი მოიმარჯვა და რამდენჯერმე სიბნელეში მოძრავ ყაჩალებს ესროლა. გიორგიმ მიირბინა მათთან და უბრძანა, რომ ის და გენა გასცლოდნენ აქაურობას და მცველი ჯარისკაცები კი ყაჩალებს შეაკავებდნენ.

გენამ დიანას ხელი წაავლო და ტყისკენ გააქანა. დიანამ მოასწრო პეტრეს მიერ ნაჩუქარი სათამაშოს აღება და ისინი ტყეს შეეფარნენ. მაგრამ ყაჩალები ბევრი იყვნენ და მათ შენიშნეს ბანაკიდან ორი ადამიანის გაპარვა და დაედევნენ.

დიანამ ხეებს შორის ნაცნობ მეგზურს მოკრა თვალი, რომელსაც ყაჩალივით ჩაეცვა. სწორედ მან იცნო დიანა და რამდენიმე ყაჩალთან ერთად მათ გამოუდგა. გენა და დიანა ხეს მოეფარნენ, მიზანში ამოილეს და ესროლეს ორი ყაჩალი უსულოდ დაეცა. ისინი მდინარისკენ მირბოდნენ, მაგრამ ყაჩალები ენეოდნენ, ეტყობა ცოცხლად ჩაგდება უნდოდათ მათი. გენა უკან ჩამორჩა და რამდენიმე ყაჩალს ხმლით შეება ამ დროს დიანამ მდინარის ნაპირისკენ გაქანდა. იმ ადგილას მდინარე დაგუბებული იყო და მდორედ მიედინებოდა. მან პეტრეს ნაჩუქარი სუვენირი დაგუბებულ მდინარეში მოისროლა. თვითონ კი გზა განაგრძო, მაგრამ დიდხანს არ მოუწია სირბილი, რადგან ყაჩალებმა მას ალყა შემოარტყეს და იგი იძულებული იყო დანებებოდა. დიანას ხელ-ფეხი შეუკრეს და ტყვედ აიყვანეს. მას თვალები შეუკრეს და ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ატარეს. თვალები როცა აუხილეს იგი გამოქვაბულში იწვა მის ახლოს არავინ იმყოფებოდა. გამოქვაბულში ბნელოდა, მაგრამ მაინც გაარჩია რამდენიმე მცველი, რომელიც გამოქვაბულის გასასვლელს დარაჯობდნენ. მის გვერდით არ იყვნენ მისი მეგობრები. სად იყვნენ ისინი? ან რა დაემართათ? მათ შესახებ დიანამ არაფერი არ იცოდა. ცხადი იყო ერთი რამ, დიანა იმყოფებოდა ტყვედ ყაჩალებთან და მისი მომავალი ბუნდოვანი იყო.

გამოქვაბულის შემოსასვლელში ვიღაც მაღალი კაცი გამოჩნდა მცველებთან ერთად. იგი დიანასკენ წამოვიდა ხელში ანთებული ჩირალდანი ეჭირა. მიუახლოვდა დიანას დახედა და ხმამაღლა უხეშად მიმართა.

-ვინა ხარ? და რა მისია გაკისრია. აი ის კითხვა. რომელ-ზეც შენ პასუხის გაცემა მოგინევს, სულ მალე. მოემზადე და მოიფიქრე, თორემ სიკვდილი არ აგცდება.

მან მძლავრი ხელით დიანა წამოაყენა, შემდეგ ერთი ხელი დიანას მკლავზე ძლიერ მოუჭირა ისე, რომ მას სისხლი შეუჩირდა, მეორე ხელით დიანას ერთი ხელის დაქნევით პერანგი შემოახია და სიცილით მიუგო მცველებს.

- გოგო ყოფილა.
  - ეს ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, მიუგეს მცველებმა.
- დიანას მკერდი მოშიშვლებული ჰქონდა. სამივე მუტრუკი კი პირდალებული მისჩერებოდნენ მის მკერდს. პირველი მაღალი ახმახი გამოერკვა და დანარჩენებს მიმართა. ხელ-ფეხი აუხსენით და ერთი ფეხით ჯაჭვით კლდეზე მიაბით. საჭმელი არ მოეკლოთ და არავინ მიუშვათ მასთან, თორემ თავით აგებთ პასუხს. იგი მძიმე ნაბიჯით გავიდა.
- ვინა ხართ და რა გინდათ ჩემგან ან ჩემი მეგობრები სად არიან? - დაუყვირა დიანამ ყაჩალებს.
- ნუ ყვირი, შენი ყვირილის არავის ეშინია. ჩვენ შენით დიდ გამოსასყიდს ავილებთ, ხოლო რაც შეეხება შენს მეგობრებს ისინი თავის სიცოცხლეს მაღვე გამოეთხოვებიან.
- დიანა სასონარკვეთილებაში ჩავარდა, ბედმა მას მწარედ დასცინა, მასაც ისეთივე საშინელი სიკვდილი ელოდა, როგორც დედამის, მისი მეგობრებიც განსაცდელში იყვნენ, მოღალატე გამცილებელმა გასცა ისინი, ის ალბათ რაღაც ეჭვით, მიხვდა, რომ დიანაზე შეიძლებოდა ხელის მოთბობა და ფულის შოვნა და ამიტომაც გაყიდა ისინი და ყაჩალებს ჩაუგდო ხელში, ამ ფიქრებში იყო დიანა, როდესაც მცველი შემოვიდა და საჭმელი მიუტანა.
- დიანას ვახშამი შედგებოდა ღორის შემწვარი ხორცისა, ჰურისა და ერთი ტოლჩა ლუდისაგან. მან ვახშამი მაგიდაზე დადო და გასვლას აპირებდა, როდესაც დიანამ მას ჰკითხა.
  - რა მოელით ჩემს მეგობრებს?
  - მე უკვე გიპასუხე, რომ მათ ხვალ სიკვდილით დასჯიან.
  - კი მაგრამ რატომ? რისთვის? მათ რა დააშავეს ისეთი, რომ სიკვდილი დაიმსახურეს.
  - არაფერი, - მიუგო მცველმა მათ არაფერი დაუშავებიათ, უბრალოდ ხვალ შეჯიბრი გვაქვს ისრით სროლაში და ცოცხალი სამიზნე გვჭირდება, ისინი კი მშვენიერ სამიზნეს წარმოადგენენ.
- დიანა მიხვდა, რომ რაღაც ეშმაკობა უნდა ეხმარა, რომ

დღო მოეგო და როგორმე მეგობრები სიკვდილს გადაერჩინა. მცველს ნაძალადევად გაუცინა და ეშმაკურად შეაპარა.

- მე თქვენ მათ გამოსასყიდს მოგცემთ, მათი სიკვდილით დასჯით კი ვერაფერს მიიღებთ.

- ეს ჩვენს მეთაურთან გაარკვიე, ის შენთან მალე სტუმრობას აპირებს, მან ეშმაკურად გაიცინა და საკანიდან გავიდა.

დიანას რაღაც იმედი გაუჩინდა, რომ მეგობრების სიცოცხლეს როგორმე გადაარჩენდა. ამ იმედით მან საუზმე გემრიელად მიირთვა და ზედ ლუდიც დააყოლა. ლუდმა დიანა გააბრუა.

ამ დროს გამოქვაბულის კარი გაიღო და შიგ ყაჩაღთა ცალთვალა ატამანი შემოვიდა. იგი ორმოც წელს მიტანებული ადამიანი იქნებოდა შავი წვერ-ულვაში ჰქონდა. მოქნილ ტანს კაზაკის ტანსაცმელი უფარავდა, ხოლო თავზე ჭრელი ნაჭერი წაეკრა, რომელიც ხშირ შავ თმებს უმაგრებდა.

- მე, პაპა გრიგოლს მეძახიან. ჩვენთვის ცნობილია, რომ შენ მდიდარი პატრონი გყავს, წერილი უნდა მისწერო შენ მამიკოს, რომ ოქრო არ დაიშუროს შენთვის თუ უნდა, რომ მას შენი თავი საჩუქრად არ გაუგზავნოთ.

- იცოდე მოტყუება არ გაბედოთ, ჩემი მეგობრებიც გაანთავისუფლეთ ისინი უდანაშაულოები არიან, უპასუხა დიანამ.

- ეგ შეუძლებელია. მე ჩემს მებრძოლებს შევპირდი, რომ მათ ხვალვე ზემიზე სამიზნედ გამოვიყენებთ და მათ სიკვდილი არ ასცდებათ.

- მაშინ, მიუგო დიანამ, — მე არავითარ წერილს არ დავწერ და თქვენ ოქროს ვერ მიიღებთ, როგორც ვერ ნახავ საკუთარ ყურებს.

- შენ დაესწრები მათ წამებას, ხოლო შემდეგ მე და შენ ერთად გავერთობით სიყვარულით, ხოლო შემდეგ შენ მამიკოს მისწერ წერილს, სადაც ორი ათას ოქროს მოსთხოვ, წინააღმდეგ შემთხვევაში შენ ჯერ მართლა გაჩვენებთ შენს ყურებს მოჭრილს, ხოლო შემდეგ შენ ჩემი ბიჭების ხარჭა გახდები და სანამ ფულს არ მივიღებთ აქედან ვერ გახვალ, აქედან ჯერ არავინ გაქცეულა.

- მაგრამ მე გავიქცევი და შენც სამაგიეროს გადაგიხდი. ყაჩალი დიანასთან ახლოს მივიდა თვალებში ჩააშტერდა თითქოს რაღაც გაახსენდაო და დინჯად თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

- შენ, მე ერთ კავკასიელ ქალს მაგონებ, რომელიც მე დიდი ხნის წინ, ერთი დიდებული ქალის ბრძანებით ჩავიგდე ხელში. მისი მოკვლისთვის მაშინ დიდი გასამრჯელო ავიღე. მახსოვს ხვეწნა-მუდარის შემდეგ მან იგივე სიტყვები მითხრა, შემდეგ მკითხავმაც რამდენჯერმე მიწინასწარმეტყველა ქალბიჭას ხელით სიკვდილი. შენ მაგ ქალის თვალები გაქვს, ასე მგონია ის შემომცეკერის შენი თვალებით, შურისძიებას ითხოვს. ის ჩვენ ვაწამეთ და ხევში გადავაგდეთ, შემდეგ მითხრეს, რომ იგი ორსულად იყო და შვილიც გაუჩენია. მკითხავი მისი ხელით მიწინასწარმეტყველებს სიკვდილს, მაგრამ მე არ მწამს ასეთი სისულელების.

იგი თითქოს გონს მოვიდა და გამოერკვაო, დიანას შეხედა, შემდეგ ნაჭამ საჭმელს, გაიცინა და დაამატა.

- ეგ კარგია მადა რომ გაქვს, შენ ხვალ დიდი ენერგია გჭირდება, ჩვენ ერთად მთელი ლამე გველის.

დიანა გააოგნა მისმა სიტყვებმა. ყაჩალის ნაამბობი ძალზედ გავდა მის ისტორიას. დიანა რაღაც გამოუცნობი გუმანით გრძნობდა, რომ ეს კაცი დედამისის მკვლელი იყო, რომ სწორედ მისი ნებით იქნა სასიკვდილოდ განწირული დედამისი. მან შური უნდა იძიოს აუცილებლად, მაგრამ როგორ? რანაირად მოახერხებს ამას? დიანას მთელი ლამე თვალი არ მოუხუჭავს, ათასჯერ აწონ-დაწონა თავისი მდგომარეობა, მაგრამ გამოსავალს ვერ მიაგნო. ისევ განგებას უნდა გადაეწყვიტა დიანას ბედი, ან გაეწირა დასაღუპად ან ეხსნა განსაცდელისაგან ბედით ტანჯული ქართველი გოგონა.

მზის სხივმა შემოანათა, რომლებიც დიანას თმებსა და სახეს ეალერსებოდნენ და თითქოს ამხნევებდნენ მას. მზის სხივი ზემოდან ეშვებოდა. გამოქვაბულს მაღლა გასასვლელი ჰქონდა ასვლაც კი იყო შესაძლებელი, მაგრამ დიანა

ერთი ფეხით კლდეზე იყო მიჯაჭვული. მისი ხსნა მხოლოდ სასწაულს თუ შეეძლო. დიანა იმედს მაინც არ კარგავდა. მან მაღლა აიხედა და პატარა ბეღურას მოკრა თვალი, იგი ზემოდან შემოფრენილიყო გამოქვაბულში და იქვე ქვაზე ჩამომჯდარი უცნაურად შეჰყურებდა დიანას და რაღაცას თავისთვის ულურტულებდა. დიანას სიხარულით აევსო გული, იმედის თვალით შეხედა ჩიტუნას და თავისთვის გაიფიქრა. ეს ღმერთის კეთილი ნიშანია ის მე არ გამნირავს, კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტი, ასე იყო მუდამ და ასე იქნება ეხლაც. იგი ფეხზე წამოდგა მთელი ძალით მოწია ხელით ჯაჭვი რომლითაც იგი იყო მიჯაჭვული და მთელ გამოქვაბულში ჯაჭვის ჩერიალის ხმა გაისმა. დიანამ რაც ძალა და ღონე ჰქონდა მორთო ყვირილი, რომელზეც ჩაძინებულ მცველებს გამოეღვიძათ, ფეხზე წამოცვივდნენ და ჩირაღდნებით ხელში სახეშეშლილებმა დიანასთან მიირბინეს და გაკვირვებით დაუწყეს ყურება.

- რასა ღრიალებ შე პატარა ქაჯო? რათ გვიფრთხობ ძილს.
- დამიძახეთ პაპა გრიგოლს, რაღაც მაქვს სათქმელი, - მიუგო დიანამ.

- მალე ელირსები მაგ ბედნიერებას შე ჭინკავ შენა, იგი რომ მძლავრად ჩაგეხუტება, მერე ნახე შენ ყვირილი, ჯობს ხმას გაუფრთხილდე გომბიო, — მიაძახა ერთმა ახმახმა მცველმა და დიანას ერთი კარგად უთავაზა წიხლი.

დიანა გამოქვაბულს მიენარცხა და პირველად თვალიდან ცრემლი წამოუვიდა. ხმა აღარ ამოუღია და არც თავი აუწევია, იგი ბედს თავდახრილი ელოდა.

გარეთ ყაჩაღებს კი დიდი სამზადისი ჰქონდათ. გამოქვაბულის წინ დიდი მოედანი იყო, რომელსაც გულმოდგინედ ასუფთავებდნენ. მოედნის შუაგულში დიდი ხის ბოძი აღემართათ. გვერდზე კი რამდენიმე ყაჩაღს მშვილდ-ისარი მოემზადებინათ და აღმართული ბოძებისკენ სასროლად გაემზადებინათ. შემდეგ სათითაოდ ისროდნენ, ზოგი ახვე-დრებდა ბოძს, ზოგი კი ვერა, ასეთ სამზადისში იყვნენ

ყაჩალები, როდესაც მეორე გამოქვაბულში გიორგიმ ერთ-ერთ მცველს ჰკითხა, თუ რას უპირებდნენ მათ. ყაჩალი დაჯდა და გიორგის აგდებულად მიუგო.

- დღეს თქვენ სუყველას ისრებით დაგცხილავენ, ხოლო შემდეგ კლდიდან გადაგაგდებენ ყვავ-ყორნების საჯიჯგნად, ჩვენ ასე ვერთობით ტყვეებით. სხვას რას უნდა ელოდოთ.

- გიორგი მიხვდა, რომ სიკვდილი მათ არ აცდებოდათ, მაგრამ რას უპირებენ დიანას, თუ გაიგეს რომ ქალია, აუცილებლად გააუპატიურებენ. გიორგი საშინლად განიცდიდა ყოველივე ამას და გამოსავალს ეძებდა, მაგრამ გამოსავალი არ ჩანდა.

- გენა, შენ როგორმე უნდა გაიქცე აქედან და დიანა ნახო და დაეხმარო. მას ჩვენთან ერთად არ მოკლავენ, მე მგონი უკვე იციან რომ იგი ქალია და მათი ბელადი მასთან გართობას მოინდომებს, მერე როცა მოპეზრდებათ მოკლავენ. მათ უნდა გაიგონ, რომ დიანა იბერთ მეფის მემკვიდრეა და ამ შემთხვევაში ისინი ოქროს უფრო დახარბდებიან და ქართველებს გამოსასყიდს მოსთხოვენ დიანაში. ამ მიმოწერას კი დრო უნდა და დიანა შეიძლება გადარჩეს, ამიტომ მე უნდა გადავცე მათ ბელადს პეტრეს ბარათი, რომელშიც იგი ერეკლეს, იბერთ მეფეს სთხოვს დიანასადმი დახმარებას, როგორც მის წარგზავნილს და იბერთა მეფეთა გვარის წარმომადგენელს.

ღრეობა კი გრძელდებოდა, ყაჩალები ხის მაგიდებზე ჩამოჯდნენ და ლვინითა და ქალებით ირთობდნენ თავს, რომლებიც საკმაოზე მეტი იყვნენ მათ ბუნაგში, გიორგის პაპა გრიგოლი უახლოვდებოდა. მას თან ორი ქალი მოყვებოდა, რომლებიც ნასვამები იყვნენ და უსირცხვილოდ ეხვეოდნენ თავიანთ ბელადს.

- იქნება ჩვენც გვეშველოს დიანასთან ერთად, - თქვა გენამ და გიორგის მიაჩერდა. პეტრე არ დაიშურებს თანხას და გაგვანთავისუფლებს.

- შენ არ იცნობ პეტრეს ის ფულს ჩვენში არ გადაიხდის, ის

თუ შეიტყობს შეეცდება ჩვენს დახსნას ძალის საშუალებით, რომელიც აუცილებლად კრახით დამთავრდება. ასე რომ არ ღირს ამის თქმა ბელადთან. ჩვენ დიანას უნდა უშველოთ.

პაპა გრიგოლი მათ მიუახლოვდა და დამცინავად მიუგო გიორგის.

- აბა რა არის თქვენი უკანასკნელი თხოვნა.

- ჩემი თხოვნაა დიანას გადარჩენა, თქვენ მის თავში დიდძალი ფულს მოგცემენ იბერთა მეფენი. მე ამინ დასამტკიცებელი საბუთიც გამარჩნია და გიორგიმ ჯიბიდან პეტრეს დალუქული ბარათი ამოილო.

- გრიგოლმა ბარათი გამოართვა გადახედა, გახსნა, მაგრამ ვერ წაიკითხა, რადგან კითხვა არ იცოდა. მან ვიღაც იხმო, რომელიც დიანასა და მისი ამალის გამცილებელი გლეხი აღმოჩნდა, რომელმაც პეტრეს ბარათი ხმამაღლა წაიკითხა. ყველა იქ მყოფმა გაოცებისაგან პირი დააღო თვით ყაჩაღთა უფროსმაც ვერ შეიკავა თავი.

- ყოჩალ, ეს რა ჩიტი ჩაგვაგდებინე ხელში და მოლალატეს მხარზე ხელი დაჰკრა.

- მე ხომ გეუბნებოდი პაპა გრიგოლ, რომ მათში ჩვენ დიდ ფულს ავიღებდით.

- ნამდვილად სასიხარულო ამბავია. ეხლა ჩვენ ორივე ხელმწიფე ხელში გვყავს, რუსებისა და ქართველების, ორივე კარგად მოვწველოთ ძროხასავით. თქვენ კი აღარა მჭირდებით გაათრიეთ ესენი მოედანზე, ბოძებზე მიაბით და ისრებით დაცხრილეთ, ამის შემდეგ იგი ბარათით დიანასკენ გაემართა.

- შენ ჩვენთან ერთად წამოხვალ, მიუგო მან ერთ-ერთ ქალს, მეორე დაითხოვა. თუ იმ ჭინკამ წინააღმდეგობა გამინიოს მოსათვინიერებლად შენ მიგიშვებ.

- იმედი გქონდეს მე მას მოვუკლი გრიგოლ - უპასუხა ქალმა.

გამოქვაბულში პაპა გრიგოლი კარგ ხასიათზე შევიდა. მცველები დაითხოვა და დიანასთან მივიდა იარაღით ხელში.

თვალებში ნაპერწკალი უელავდა. დიანა გამოქვაბულის კუთხეში იწვა და განაჩენს ელოდა.

- გიხაროდეს, მიაძახა ყაჩალმა, - ბედი გქონია, შენ თავში ჩვენ დიდძალ ფულს ავიღებთ, ორივე ხელმწიფისგან. შენ ჩემი ოქროს ჩიტი ხარ, რომელსაც მოფერებას და სიამოვნებას არ მოვაკლებ ფულისმიღებამდე, მერე კი ვნახოთ როგორ მოიქცევი. იქნებ ისე შეგიყვარდე, რომ წასვლაც კი აღარ მოგინდეს.

- ეგ არასოდეს მოხდება — მიაძახა დიანამ.

- ეს დღეს მოხდება.

ყაჩალმა ტანთ გაიძრო და დიანას მხეცივით ეტაკა, დიანა კედელს გააკრა და საზიზლარი ტუჩებით კოცნა დაუწყო.

დიანა რაც შეეძლო ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მას ძალა არ ყოფნიდა მის წინააღმდეგ, ამიტომ მან ეშმაკობას მიმართა, გაყუჩდა და თავი ისე მოაჩვენა, თითქოს დანებდა და სთხოვა:

- ხომ ხედავ მაინც შენი ვარ, ამიშვი ჯაჭვიდან, რომ უფრო კარგად, გასიამოვნო.

მაგრამ პაპა გრიგოლი ისე იყო გართული სასიყვარულო ხვევნა-კოცნაში, რომ ვერც კი გაიგო დიანას თხოვნა: ყოველი წუთი კი შეიძლება დიანასთვის სავალალო ყოფილიყო. ყაჩალმა დიანას ტანთ მთლიანად შემოახია ტანისამოსი. დიანა მთლად შიშველი იყო, კედელზე აკრული, ასევე შიშველ მდგომარეობაში ყაჩალი მას ოფლიანი ტანით მჭიდროდ ეკვროდა და მთელ ტანს ულოკავდა.

დიანა საცოდავი სანახავი იყო, ბუმბერაზი შავი ბანჯგვლიანი ყაჩალი და ნაზი, კლდეზე მიჯაჭვული დიანა. ფეხებს შორის მთელი ძალით ფეხი ამოჰკრა ყაჩალს, დაიღმულა მოძალადემ, მაგრამ დიანას თავს არ ანებებდა.

- გთხოვ ფეხი ამიხსენი, უფრო რომ გასიამოვნო.

- აუხსენი ფეხი, — მიმართა ყაჩალმა მის მოახლე ქალს და ღვინოც მოგვიტანე. იგი უკვე ჩემია. მას მე შევუყვარდი, ხომ ეგრეა ძვირფასო და დიანას მოეხვია.

ამ დროს კი გენამ მეორე გამოქვაბულში ჯაჭვი გაქლიბა

და დიანასკენ გადაცმული მოიჩქაროდა. დიანას ბედი კი ბეწვზე ეკიდა. მას მიუახლოვდა მოახლე ქალი და დაიხარა დიანას ფეხთან, გასაღები გადაწია და ფეხი გაუნთავისუფლა, მას ერთ ხელში გასაღები ეჭირა მეორეში კი შუბი.

- აბა ეხლა კი დამატებე ძვირფასო, მიუგო ყაჩალმა.

იგი დიანას ფეხებთან იწვა და ღვინოს დოქიდან მიირთმევდა, მას მთელ ტანზე ესხმებოდა ღვინო. დიანამ მას ზიზღით დახედა და სხეულში რაღაც დიდი ძალა იგრძნო. მას ნინ წარმოუდგა თავისი დედა ამ ნადირისაგან შეურაცხყოფილი და განგმირული. შურისძიების გრძნობით აღივსო. ერთ წუთში გამოსტაცა შუბი მხევალ ქალს და რაც ძალა და ღონე ჰქონდა შიგ გულში ჩასცა ყაჩალთა მეთაურს. არნახული ღრიალი აღმოხდა ყაჩალს. დიანამ მარჯვენა ფეხი მკერდზე დაადო შუბი მკერდში დაუტრიალა და მიაძახა.

- ეს შენ დედაჩემისთვის.

ყაჩალმა ერთიც დაიღრიალა და სული განუტევა, ეს ყოველივე ძალზედ სწრაფად მოხდა. მხევალი ქალი გონის მოვიდა და დიანასკენ ხანჯლით გაიწია, მაგრამ დიანას ნასროლმა შუბმა მას გული გაუპო. დიანას დრო არ დაუკარგავს, მან სწრაფად მხევალი ქალის ტანსაცმელი გადაიცვა და ის იყო გამოსვლას აპირებდა, რომ გენას შეეჩეხა გასასვლელში.

- დიანა! მიაძახა მან, — სწრაფად ცხენებისაკენ, უნდა გავეცალოთ ამ წყეულ ადგილიდან.

- სად არის გიორგი.

- სამწუხაროდ მას ჩვენ ვეღარ უშველით, იგი და ჩვენი დარჩენილი მცველები ბოძზე გააკრეს და ისრებით ცხრილავენ, ჩვენ მათ ვეღარ ვუშველით უნდა ვიჩქაროთ.

- არა მე არ წამოვალ, თუ გიორგის არ ვუშველი.

დიანა მოედნისაკენ გაემართა. ყაჩალთა ბრბო ისე იყო გართული ბარბაროსული სანახაობით, რომ მათ ვერაფერი გაიგეს, თუ რა მოხდა გამოქვაბულში. მოედანზე კი საშინელი რამ ხდებოდა, დიანამ თვალს არ დაუჯერა, დაახლოებით ოცი მშვილდოსანი ყაჩალი ყოველ წუთს ესროდნენ

ბოძზე მიღურსმულ რამდენიმე გასაცოდავებულ ადამიანს, რომლებშიც დიანამ გიორგი ბატონიშვილი ამოიცნო. მას ამაყად აენია თავი და პირდაპირ უყურებდა სიკვდილს, რამდენიმე ისარი მოჩანდა მის სხეულში, რომლებიდანაც სისხლი ნაკადად მოედინებოდა. მაგრამ მას ღირსეულად ეჭირა თავი და ერთი კვნესაც არ აღმოხდენია. ბოლოს ისარმა მას მკერდი გაუპო და საბოლოოდ გამოასალმა წუთისოფელს. დიანას კვნესა აღმოხდა, მაგრამ იგი უკვე ვერაფრით უშველიდა გიორგის. მან გმირულად დალია სული. დედამისსაც ხომ ღირსეული ქართველი მამულიშვილი უმშვენებდა გვერდს ბოლო წუთებში, რომელიც გმირულად დაიღუპა, მაგრამ მან მაშინ ვერ გადაარჩინა თავისი ქალბატონი, გიორგი ბატონიშვილმა კი ეს შესძლო.

გენამ დიანას მკლავში ძლიერად მოკიდა ხელი და ძალით გასასვლელისკენ გაიყვანა. ისინი ორივე ყაჩალებივით იყვნენ ჩაცმულნი და ყურადღებას არავინ აქცევდა მათ.

- უნდა ვიჩქაროთ დიანა, ყოველ წუთს შეიძლება დაგვიჭირონ, ჩემი გაქცევა უკვე იციან და მეძებენ. მალე შენს გაქრობასაც გაიგებენ, უნდა ვიჩქაროთ.

მათ სწრაფად დატოვეს ყაჩალთა ღრეობა და გამოქვაბულის განაპირა მხარეს დაბმული ცხენებისაკენ გაემართნენ. გზად მიმავალმა გენამ ერთერთ ღვინით დამთვრალ მცველს, რომელსაც ჩასძინებოდა იარაღი ჩამოხსნა, საგზალი და ღვინოც არ დავიწყებია, იქვე დაბმული ორი ცხენი აუშვა, ერთს დიანა მოახტა, მეორეზე კი გენა ამხედრდა და ორივემ უკან მიუხედავად მოკურცხლეს. დიანამ გენას შეყვირა, მდინარისაკენ ჩაუხვიე და თვითონ პირველმა გადაუხვია გზას. გენა მას კვალდაკვალ მიჰყვა, დიანამ მალე მიაგნო იმ ადგილს, სადაც მან პეტრეს მიერ ნაჩუქარი ნივთი ისროლა. ცხენიდან ჩამოვიდა და ტანთ გაუხდელად პირდაპირ მდინარეში გადაეშვა. გენა გაოგნებული შესჩერებოდა დიანას და ვერ მიმხვდარიყო, თუ რას ეძებდა დიანა მდინარეში. დიანამ თავი ამოყო წყლიდან და გენას შესძახა.

- რაღას უყურებ მომეხმარე პეტრეს საჩუქრის ძებნაში, ის მე ამ ნაპირას ჩავაგდე, როდესაც ყაჩალები გამოგვიდგნენ.

- გენა ახლა კი მიხვდა ყოველივეს და ისიც წყალში გადაეშვა. ათ წუთზე მეტი გავიდა, მაგრამ ძვირფასი ნივთის პოვნა არ ხერხდებოდა.

- დიანა უნდა ვიჩქაროთ ყაჩალები სადაცაა ყველაფერს მიხვდებიან და ძებნას დაგვინებენ.

- მე ნივთის გარეშე არ წამოვალ, — მიუგო დიანამ და კვლავ ჩაყვინთა.

ამჯერად მისი თავგანწირვა შედეგიანი გამოდგა, მან წყლიდან ხელი ამოყო და გენას ძვირფასი ნივთი დაანახა. ისინი წყლიდან სწრაფად გამოვიდნენ. ნივთი დიანამ ტომარაში მოათავსა და ცხენებს ისე მოახტნენ, რომ ტანსაცმელი არ გაუშრიათ. მათ შეუჩერებლად რამდენიმე საათს ირბინეს ცხენებით და ბოლოს ერთ დიდ მდინარეს მიადგნენ. რომლის ნაპირიდან ის იყო მენავეები გადაცურვას აპირებდნენ. მათ ცხენები იქვე უპატრონოთ მიაგდეს და ნავში ჩასხდნენ და მენავეებმა ისინი მეორე ნაპირზე მშვიდობიანად გადაიყვანეს. გასამრჯელო გადაუხადეს მათ და გზა ფეხით განაგრძეს. მაგრამ დიანას რატომძაც უჭირდა სიარული. სულ მალე იგი გაჩერდა. გენამ მას ხელი შუბლზე დაადო და დარწმუნდა, რომ მას შუბლი ცხელი ჰქონდა და ოფლში იღვრებოდა. საჭირო იყო სადმე გაჩერება, მაგრამ ისინი უკაცრიელ ადგილას იყვნენ, მათ ახლოს არავინ ცხოვრობდა. გენამ დიანა ხის ძირას მოათავსა და თვითონ გარემოს დასათვალიერებლად გაემართა.

ამ დროს კი ყაჩალთა ბანაკში ყოველივე შეიტყვეს და გაქცეულებს მდევარი დაადევნეს. ლტოლვილებზე ჯილდო იყო გამოცხადებული და ასამდე ყაჩალი დაიძრა მათ დასაჭერად. ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით, ზოგი კი ნავით ყველა ცდილობდა პირველებს აღმოეჩინათ დიანა. მაგრამ დიანას ღმერთი სწყალობდა. დიდი მდინარე, რომელსაც გამოსცდნენ დონი იყო, ხოლო ისინი ამჟამად დონის კაზაკთა ატამანთა სამფლობელოში იმყოფებოდნენ.

გენა გავიდა თუ არა გზაზე, იმ წუთას ცხენოსან კაზაკებს გადაეყარა, რომლებმაც მას ალყა შემოარტყეს. ერთ-ერთი კაზაკი, რომელიც ეტყობა მათი უფროსი იყო, გენას მიუახლოვდა და უკრაინულად ჰკითხა, თუ ვინ იყო და საით მიდიოდა. გენა ყოველივეს მიხვდა. მან მათ ჯვარი აჩვენა და რუსულად აუხსნა, რომ მგზავრია და თან ავადმყოფი ამხანა-გი ახლავს. რაზმის უფროსმა უბრძანა კაზაკებს გაყოლოდ-ნენ მგზავრს და მისი ამხანაგით ატამანთან მოეყვანათ.

დიანამ თვალი გაახილა უცნობ ოთახს თვალი მოავლო, სის ხატაში იმყოფებოდა მის გვერდით გენა იჯდა.

- სადა ვარ? იკითხა დიანამ და გენას მიაცერდა.

- ჩვენ მეგობრებთან ვართ დაწყნარდი, კაზაკთა ატამანის სახლში ვართ, რომლებიც მტრულ დამოკიდებულებაში არიან ყაჩაღებთან. ჩვენ მათთან საფრთხე არ გვემუქრება.

ამ დროს ატამანიც შემოვიდა, იგი მაღალი ლამაზი კაცი იყო. დიანას მიესალმა, თავზე ხელი გადაუსვა. მამაშვილურად და დინჯად მიუგო:

- ჩვენ აქ რუსეთის მეფის სადარაჯოზედ ვართ და არავის მივცემთ უფლებას, რომ მეფის დესპანს შეურაცხყოფა მიაყენონ, მაგრამ სამწუხაროდ პირსისხლიანი ყაჩაღები დაძრწიან ირგვლივ და ჩვენ ვცდილობთ მათ განადგურებას, მაგრამ მათ ხელს ადგილობრივი მოსახლეობა უნიყობს. ჩემთვის ყოველივე ცნობილია დიანა. თქვენ მამაცი ქალიშვილი ბრძანდებით, რომელმაც ღირსეული პასუხი გასცა მოღალატე ყაჩაღს და იგი ჩააძალლა, რაც მამაც მამა-კაცსაც გაუჭირდებოდა. თქვენ ყველანაირ ქებას იმსახურებთ. როგორც კი მომჯობინდებით ჩემი ხალხი თქვენ სამშვიდობოს გაგიყვანთ. ასტრახანამდე წაგიყვანთ, იქ კი შევეცდებით დაღესტნის გავლით საქართველოში გაგიყვანოთ.

- დიდად გმადლობთ ატამანო თქვენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებთ და შესაძლებლობა მოგვეცემა თუ არა, ყოველივეს ხელმწიფეს ვაცნობებთ.

ამით დამთავრდა საუბარი, რომელმაც ჩვენ გმირებს იმედი მისცა და ისინი გულდასმით შეუდგნენ გამგზავრების-თვის მზადებას. დიანას ძალზედ უნდოდა საქართველოს ნახვა. საქართველოში კი მძიმე ეკონომიური და პოლი-ტიკური მდგომარეობა იყო.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლისა და კახეთის სათავეში მაჰმადიანი ქართველები იდგნენ, რომლებიც ხელისუფლებას ირანის შაჰებისაგან იღებდნენ. ამ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოში გაძლიერდა სპარსულ-ყიზილ-ბაშური გავლენა. ქართველი მოსახლეობის მდგომარეობას განსაკუთრებით აუტანელს ხდიდა დაღესტნელ ფეოდალთა მიერ მოწყობილი ყაჩაღური თავდასხმები, რომლის დროსაც იტაცებდნენ ქალებს და ბავშვებს, საქონელს, დოვლათს, საერთოდ ყველაფერს, რისი წაყვანაც და წაღებაც შეიძლებოდა. ქართლში კი მეფობდა „გათათრებული“ ერეკლე ბატონიშვილი, მისი თათრული სახელი იყო ნაზარ-ალი-ხანი. ანუ ერეკლე პირველი.

ქართლის ტახტისათვის ბრძოლა არ ცხრებოდა. ერეკლეს წინააღმდეგ გიორგი გამოდიოდა, მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა. ირანის შაჰ სულთან ჰუსეინის მკაცრი მოთხოვნით, გიორგი ირანში გამგზავრებულიყო სამუდამოდ. ქართლის ტახტზე დარჩა ერეკლე პირველი.

დიანა თავის პატარა რაზმით საქართველოსკენ მოიწევდა. მას გზაზე არანაკლები ხიფათი გადახდა, მაგრამ მას განგების ძალა ფარავდა. დაღესტანში ჩასულებს, მათ რამდენ-ჯერმე სიკვდილის საფრთხე დაემუქრათ. დიანა ყოველთვის პოულობდა გამოსავალს. მას თან განუყრელად ჰქონდა თავის საყვარელი ნივთი, რომელსაც ის ხშირად ათვალიე-რებდა და ცდილობდა გაერკვია მისი მნიშვნელობა. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან გამოუცნობი ნივთი საიდუმლოებით იყო აღსავსე. ოთხკუთხედი კუბიკი ერ-თიანად მოძრაობდა და ტრიალებდა და თითოეულ ძვირფას ქვაზე რაღაც გამოსახულება ჰქონდა. ეს ხან ვარსკვლავი

იყო, ხან ცხენი, ხან კი გული და ფარი. ალბათ ყოველივეს თავის დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ დიანა ამას ვერ ხვდებოდა.

გზად დიანას და მის რაზმს ერთი გამაპმადიანებული ქართველი დაემგზავრა, რომელიც ამ გზებით უკვე ნამყოფი იყი საქართველოში და მან მეტად გაუადვილა მგზავრობა. ისინი ისეთი გზებით ატარა, რომ ხიფათს ბევრჯერ მოარიდა. დიანას იგი დაუმეგობრდა და ბევრი საინტერესო ამბავი მოუთხრო აღმოსავლეთ ქვეყნებზე.

ერთხელ დიანა თავის სათამაშოთი იყო გართული, როდესაც ჰაჯი (ასე ერქვა მას, ეს მისი თათრული სახელი იყო), მას მიუახლოვდა და გაოცებისაკენ პირი დააღო.

- ეს რა ნივთი გაქვს ხელში დიანა, — გაკვირვებით შეეკითხა იგი.

- ეს ჩემი ბაბუის საჩუქარია, — წამოსცდა დიანას.
- რომელი ბაბუის, — უფრო გარკვევით ჰკითხა ჰაჯიმ.
- რომლის და ქართლის დიდი მეფის — თეიმურაზის, მაგრამ ვერაფერი გამიგია რა დანიშნულება აქვს ამ ნივთს, იქნებ შენ დამეხმარო ჰაჯი მის გამოცნობაში.
- დიდი სიამოვნებით, — მიუგო მან.

ნივთი გამოერთვა და დიდის ყურადღებით დააცქერდა, ჰაჯის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა იგი პირდაღებული შესცეკეროდა ოთხკუთხა ქვას და ხელში ატრიალებდა. შემდეგ დიანას მიუგო.

- ასეთი ნივთი მე შახის კარზე მინახავს. სათამაშოა ძვირფასი ქვებისგან შეკრული, რომელთა გადაადგილებით სასაცილო სურათები იხატება, მაგრამ აქ ამ ქვაზე სასაცილო არაფერია, პირიქით, მეტად სერიოზული ნახაზები და საგნები ჩანს. ამ ჰატარა ქვების გადაადგილებით შეიძლება რაიმე გამოსახულება მივიღოთ.

მან გულმოდგინედ დაიწყო ნივთის შესწავლა ყველა კუთხიდან. ბევრი იწვალა, მაგრამ ამჯერად მის შრომას ნაყოფი არ მოჰყოლია. დიანაც ხშირად ეხმარებოდა მას.

გავიდა რამდენიმე დღე, როგორც იქნა ისინი საქართველოს საზღვარს მიუახლოვდნენ და ქართულ მიწაზე ფეხი დადგეს.

დიანა პირველი დაემხო და ლოცვას მოყვა. მას სხვებმაც მიპაძეს. დიანამ აისრულა თავისი და დედის წადილი, იგი საქართველოს მიწაზე იდგა. ეს ვერ მოახერხა საბრალო დარეჯანმა, მაგრამ დიდი წვალების შემდეგ მოახერხა მისმა ტანჯულმა შვილმა დიანამ.

მალე კაზაკებთან გამომშვიდობების დრო მოვიდა. დარჩნენ დიანა, გენა და ჰაჯი. ისინი უკვე ალაზნის ნაპირას იყვნენ. დიანამ ის იყო პირი წყლით დაიბანა, როდესაც ჰაჯის ყვირილი მოესმა. გენამ და დიანამ ყველაფერს თავი დაანებეს და მასთან მოირბინეს.

- რაშია საქმე ჰაჯი, რა დაგემართა, — კითხა დიანამ.

- რა დამემართა და მგონი მივაგენი თქვენი სათამაშოს საიდუმლოებას. მაგრამ მაინც ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ.

- მაინც რას მიაგენი?

- ჩემო ქალბატონო, ოთხკუთხედი ქვის ერთ მხარეს, აი ეს გამოსახულება მივიღე.

და დიანას ქვის ერთი მხარე აჩვენა, რომელზეც მართლაც იყო გამოსახული უცნაური გერბი, რომელიც ისრებით იყო გადაკვეთილი. ისრებს შუა მთა იყო აღმართული, რომელიც უფრო ციხესიმაგრეს გავდა, ერთი ისარი მის შუაში ჩადიოდა და მთის ძირას მოთავსებულ, რაღაც საგანძურს მიუთითებდა.

- ეს ხომ იბერიის მიწების გერბია, — სიხარულით წამოიძახა ჰაჯიმ.

- დიახ, ეს იბერიის მიწების გერბია.

- თქვენი ბაბუა ტყუილად არავის მისცემდა აღნიშნულ ნივთს. თქვენ მისი მემკვიდრე ხართ და აქედან გამომდინარე იბერთ მეფეთა საგანძურიც თქვენ გეკუთვნით. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ნივთში იმაღლება საიდუმლოება, რომელსაც ჩვენ აუცილებლად ამოვხსნით.

- ალბათ ყოველივე ცხადი გახდება, თუ ჩვენ ქართლის მეფეს, ერეკლე პირველს ვინახულებთ. პეტრემ მასთან გამომგზავნა და იგი ჩვენ ბევრ რამეში დაგვეხმარება, ნივთი ხომ თეიმურაზმა მას დაუტოვა, მოსკოვში წასვლის შემდეგ მან კი ნივთი დედოფალ ნატალიას გადასცა, რომელმაც თავის მხრივ პეტრეს მისცა და არავინ იცოდა ამ ნივთის ნამდვილი დანიშნულება, თეიმურაზის მეტმა, რომელიც გარდაიცვალა, ხოლო ერეკლე მისი შვილი კი როგორც ვაჭრებმა გვითხრეს მომაკვდავი წევს: ჩვენ უნდა ვიჩქაროთ ერეკლეს ნახვა, რათა ყოველივეს ფარდა აეხადოს.

- მე მგონი ისედაც ყოველივე ნათელია, მიუგო დიანას ჰაჯიმ. რუსეთის იმპერატორი ერეკლე პირველის შვილია, თქვენ კი პეტრეს უკანონო შვილი და შვილიშვილი ქართლის მეფისა იბერ მეფეთა საგანძურიც თქვენ გეკუთვნით სამართლიანად დედათქვენის და თქვენი ტანჯვა წამების საზღაურად, რომელიც თქვენ გადაიტანეთ, ისე რომ ყველაფერი გარკვეულია. ეხლა მთავარია, ამ სათამაშოზე აღნიშნული მეორე მხარის ნიშნების ამოხსნა და განძი თქვენი იქნება.

- კი მაგრამ თქვენ ვინ ხართ, რომ ასე დაზუსტებით ლაპარაკობთ ყოველივეს.

- არ გაგიკვირდეთ ჩემო დედოფალო, მე თქვენი კეთილი ანგელოზი ვარ, რომელსაც თქვენთვის მხოლოდ სიკეთე უნდა.

- ამას მომავალი გვიჩვენებს, — მიუგო გენადიმ და დიანას მრავალმნიშვნელოვნად გადახედა.

- ჰაჯი შენ მართლაც ძალზედ სწრაფად და საზრიანად ამოიცანი ზოგიერთი ნიშანი, მაგრამ ეს ხომ ჯერ ყველაფერი არ არის.

- ხოდა მოდი გავაგრძელოთ დიანა, ჩვენი გამოკვლევა, ვნახოთ რა აისახა სხვა გვერდებზე.

მართლაც ყველაზე საინტერესო, საწინააღმდეგო გვერდზე აისახა. მას სამივე დააკვირდა და მართლაც ზოგი რამ გასაგები ხდებოდა, კერძოდ ჰაჯი სწრაფად მიხვდა, რომ ის-

რების მიმართულებით უნდა ამოეცნოთ ნახატები და პირველი ციფრები იყო 42 და 47. ეს გრძელი და განედია, რომელზეც საქართველოა მოთავსებული. შემდეგი ასოები ს. ი. უ.

- რას უნდა ნიშნავდეს?

- მე მგონი ს- საქართველოა, — თქვა დიანამ.

- ი-კი იბერია, თქვა გენამ, ხოლო უ- კი რომელიმე ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში. ძველი ალბათ, რომელიც ციხესიმაგრე იქნებოდა, რადგან ციხესიმაგრის ნიშანი არის ისრის მეორე მიმართულებით.

- ეს ალბათ უჯარმა უნდა იყოს.

- დიახ, რა თქმა უნდა უჯარმა, რადგან ის იყო ძველი კახეთის ციხესიმაგრე, იქ გორგასლის სასახლეც არის, — თქვა ჰაჯიმ, შემოვლილი მაქვს ეს ადგილები, დანამდვილებით ვიცი ეგ უნდა იყოს.

შემდეგ ისარი ქვემოთ ეშვება და ჭურჭელია მითითებული. სადაც განძი ინახება, მაგრამ მანამდე ჩვენ ეკლესია გვაქვს მოსაძებნი, შემდეგ რაღაც კიბის მაგვარია გამოსახული, ალბათ ჩასასვლელია.

ეს ყოველივე ადგილზე უნდა ინახოს, — თქვა დიანამ და ჰაჯის გადახედა, რომელიც ისე იყო გართული, რომ დიანას და გენას ეჭვიან მზერას ვერ გრძნობდა. ეს ხვალისათვის გადავდოთ დანარჩენი, დღეისათვის საკმარისია, დიანამ ამ სიტყვებით ჰაჯის ნივთი გამოართვა და შეინახა.

იდგა ქრისტეშობიდან 1703 წელი, მშვენიერი დილა გათენდა. ადრეული შემოდგომა იდგა კახეთში. ალაზნის ხეობა ლამაზი ფერებით შეუმკია დედა ბუნებას. ჩვენმა მგზავრებმა ღამე სახელდახელოდ მომზადებულ ხის ქოხში გაატარეს. დიანა დილის ძილში იყო, როდესაც სანადირო ბუკის ხმა შემოესმა. თვალი გაახილა და გაეღიმა. გენამ მას გადახედა და სახეზე ღიმილი რომ შენიშნა, გაკვირვებულმა კითხა.

- რატომ გეღიმებათ ქალბატონო?

- სასიამოვნო სიზმარი ვნახე გენა.

- მაინც რა ნახე?

- რა ვნახე და მთის არწივი, რომელიც კავკასიის ქედს დასტრიიალებდა თავზე. ზედ კი არ გაგიკვირდეს, მაგრამ მე ვიჯექი. არწივის კლანჭები ჯაჭვით ჰქონდა შებორკილი, რომელიც ერთი ძლიერი კლანჭის გაქნევით გაწყვიტა და ზეციდან ოქროს ბრჭყვიალა ნაკადი წვიმასავით წამოვიდა და ამ დროს მეც გამეღვიძა, სანადირო ბუკის ხმაზე.

- შენ არ გაგიგია არაფერი.

- არა?

- მე დილით ადრე ავდექი, სანადიროდ გავედი, ერთი კურდღელი და ტყის ქათამი მივინადირე, საუზმეზე გვეყოფა მერე კი ღმერთი მოგვცემს.

- ჰაჯი სად არის? — იკითხა დიანამ.

- ალბათ თავისთვის იქნება. იგი გუშინ ხის ძირას მოკალათდა. იქ მან პატარა სათავსო გაიკეთა.

- ნახე თუ ადგილზეა რაღაც მინდა უთხრა, ჩვენი სათა-მაში გამოცანის შესახებ.

- რაღა გამოცანა მგონი ყველაფერი გარკვეულია.

- ყველაფერი არა, წადი დაუძახე და მეც ახლავე ავდგები.

გენა გავიდა. დიანა წამოდგა და ტანთ სწრაფად ჩაიცვა, ისევ ბიჭურად შეიმოსა იარაღი და ხანჯალი აიკრა და ის იყო გარეთ გამოვიდა, რომ გენადის გაკვირვებული შეძახილი მოესმა.

- დიანა ჰაჯი არსად ჩანს.

- დილით იყო იგი ადგილზე? — კითხა დიანამ.

- მის საძინებელში რაღაც ადამიანის მსგავსი კი იდო, მაგრამ დღეს დავრწმუნდი, რომ ის რაღაც კუნძი იყო.

- ესე იგი დამით არის წასული.

- კი მაგრამ სად უნდა წასულიყო? — იკითხა გენამ.

- მე მგონი ვხვდები საითაც გაუწია გულმა.

- საით?

- საით და საგანძურისკენ.

- მას სურს განძი ხელში ჩაიგდოს და მიითვისოს უკანო-

ნოდ, მაგრამ ვფიცავ, მაღალ ღმერთს ეს მას არ გამოუვა — განრისხებით წამოიყვირა გენამ.

- უნდა ვიჩქაროთ! უჯარმისკენ თქვა დიანამ და სწრაფად თავის ცხენისკენ გაემურა.

ორივეს ბუკის ხმა შემოესმათ. მათ ცხენზე ამხედრებაც კი ვერ მოასწრეს, რომ ხეობაში შეიარაღებული რაზმი გამოჩნდა. მათ წინ ვიღაც ლამაზი, დიდებული მოუძლოდათ.

- შესდექით!

შესძახა მან შორიდან მგზავრებს და მთელი რაზმით მათ წინ გადაუდგა.

- ვინა ხართ და საით გაგიწევიათ?

- ჯერ ეს გვიპასუხე, შენ თვითონ ვინა ხარ და რა გნებავს? მიუგო დიანამ.

- მე ამ მხარეს სადარაჯოზე ვდგევარ. მეფე ერეკლეს დავალებით, თავადი ნუგზარ ამილახვარი, ეს კი ჩემი რაზმია. ახლა გვიპასუხეთ თქვენ ვინ ხართ და საით გაგიწევია?

- ჩევნ რუსეთის იმპერატორის დიდი პეტრეს ელჩები ვართ პეტერბურგიდან მივეშურებით ქართლის მეფესთან ალავერდიხანთან საგანგებო დავალებით.

- რაღაც არ გავხართ ელჩებს. აბა ბიჭებო ერთი ახლოს მომგვარეთ ესენი — უბრძანა ნუგზარ ბატონიშვილმა და იმ წამსვე დიანა და გენა მცველთა ძლიერ მკვლავებში აღმოჩნდნენ.

- რას ჩადიხარ უგნურო, სიცოცხლე მოგბეზრებია — მიაძახა დიანამ.

მაგრამ მცველებს არაფრის გაგონება არ სურდათ. ისინი მხოლოდ ერთ უფროსს ემორჩილებოდნენ, ბატონიშვილ ნუგზარს, რომელსაც ყველა თვალებში შესცეკროდა და ყოველ მის დავალებას ასრულებდა.

- იარალი აყარეთ და ხელები შეუკარით.

- თქვენ ამაზე პასუხს აგებთ ხელმწიფესთან, თავადიშვილო.

- კეთილი, მაშინ ნება იბოძეთ და წარმოადგინეთ რაიმე დამადასტურებული საბუთი თქვენი ელჩობისა.

- რას ბრძანებთ ბატონიშვილი თქვენ ასე ადვილი გგონიათ ამ დროში მოგზაურობა პეტერბურგიდან საქართველოში? საბუთი, რა თქმა უნდა გვეკონდა, ეს წერილი იყო პეტრესი ერეკლესადმი, მაგრამ გზად ყაჩალები დაგვეცნენ და საუკეთესო მეგობარი მოგვივლეს, ხოლო წერილი ყაჩალებს ჩაუვარდათ ხელში, რომლითაც მათ შეიტყვეს ყოველივე და ჩვენით დიდი გამოსასყიდი უნდოდათ ეშოვად თქვენი მეფისაგან.

- რა ერქვა ყაჩალთა მეთაურს? შეეკითხა ნუგზარი.  
- მას პაპა გრიგოლს ეძახდნენ.  
- ეს ნათქვამი სიმართლეს უნდა გავდეს, მიუგო ნუგზარის ერთერთმა მცველმა.

- ჩვენთვის ცნობილია ესეთი ყაჩალი, რომლისგანაც თავის დაღწევა ადვილი არ არის.

- მაგრამ ჩვენ ეს მოვახერხეთ. მეტიც ყაჩალი ამ ვაჟბატონმა გამოასალმა წუთისოფელს, — წამოიყვირა გენამ.

- და ახლა, — გააგრძელა დიანამ როდესაც ამდენი წვალების შემდეგ ჩვენ სამშვიდობოზე აღმოვჩნდით, თქვენ გვაპატიმრებთ და ჩვენ ვინაობას ეჭვის ქვეშ აყენებთ. მე მხოლოდ ერთი დამადასტურებელი ნიშანი მაქვს — დედაჩემის ნაჩუქარი ეს ყელზედ დასაკიდებელი ნივთი წმინდა მარიამის გამოსახულებით, რომელსაც მეორე გვერდზე ბაგრატიონთა გერბი ამშვენებს. და დიანამ ნუგზარის მედალიონის მეორე მხარე დაანახა.

ნუგზარიმ უკან დაიხია და მოწინებით თავი დაუკრა დიანას.

- დაუბრუნეთ მათი იარაღი ბრძანა მან, ხოლო ჩვენ თქვენს განკარგულებაში ვართ. ჩვენ უხილათოდ მიგაცილებთ თბილისში, სადაც ამჟამად მეფე იმყოფება. მისი მდგომარეობა სავალალოა, ავადმყოფობამ იგი საწოლს მიჯაჭვა და მას ბოლო დღეები დარჩენია, უნდა იჩქაროთ, თორემ შეიძლება ვეღარც კი მიუსწროთ.

- გმადლობთ, გულისხმიერებისათვის.

ნუგზარიმ თავის ხელით მიართვა იარაღი დიანას და ხან-ჯალი კი თვითონ შეაბა დიანას წელზე.

როგორც კი დიანამ წელზედ ხელის შეხება იგრძნო, მთელ ტანში ურუანტელმა დაუარა, ერთ წამს მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. დიანამ მას თვალებში ჩახედა და იგრძნო რომ ნუგზარი მას შეუყვარდა ძალზედ.

- ვიწრო წელი გქონიათ, ბატონიშვილო.

- კაცისათვის ვიწრო წელი სჯობია ვიდრე განიერი საჯ-დომი, როგორც ეს თქვენს ზოგიერთ მცველს აქვს და მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ერთ-ერთ ჩასუქებულ ნუგზარის მცველს. ყველას იქ მყოფთ სიცილი აუტყდათ.

- თქვენი სახელი მაჩუქეთ, ბატონიშვილო, — სიცილით მიუგო ნუგზარიმ.

- მე დიმას მექანიან, ჩვენებურად დიმიტრის.

- მზად ვართ გემსახუროთ.

- სამწუხაროდ ჩვენ სოფელ უჯარმაში პატარა საქმე გვაქვს და შემდეგ მეცეს მოვინახულებთ. გთხოვთ, უჯარმის გზა მიგვასწავლოთ.

- დიდი სიამოვნებით.

მართლაც, უმოკლეს გზებით ნუგზარის რაზმმა რამდენ-იმე საათში უჯარმის ციხესთან მიიყვანა.

- ჩვენ აქ ციხეში არსებულ ეკლესიაში სანთელს დავან-თებთ, შემდეგ უჯარმაში ნაცნობებს მოვინახულებთ და თბილისისაკენ გზას დავადგებით, ალბათ ხვალ დილისათვის უკვე გავემგზავრებით უჯარმიდან.

- კეთილი, ჩვენ აქვე შორიახლოს, ტყეში ვიქნებით სანადიროდ და როგორც კი ჩვენი თავი დაგჭირდებათ ამ ბუკს ჩაბერეთ და ჩვენც თქვენთან გავრჩნდებით და ნუგზარმა დიმას თავისი სანადირო ბუკი გადასცა. დიანამ ბუკი გამოართვა და ხელი მაგრამ ჩამოართვა.

- კეთილი, თავადიშვილო, ნახვამდის. და ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

ის იყო ნუგზარის რაზმი თვალს მიეფარა ხეობაში რომ

დიანამ გენას მიმართა, აბა გენა, ახლა კი საქმეს შეუდგეთ და მათ ციხესაკენ გასწიეს.

ციხე-სიმაგრეს დასავლეთის მხრიდან მიუახლოვდნენ.

- დიდი ციხე სიმაგრე ჩანს, წარმოთქვა გენამ.

უჯარმა მართლაც საოცრად ლამაზად გამოიყურებოდა. ივრის მხრიდან ძველებური, მეხუთე საუკუნის ბურჯი იმ-დროინდელი აღმოსავლეთ საქართველოსი. მართალია, მხოლოდ ნანგრევები იყო დარჩენილი, მაგრამ ამ ნანგრევებშიც კი საოცარი სიძლიერე იგრძნობოდა.

ცხენებით ასვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ მათ ცხენები ქვემოთ ივრის პირას, ხესთან დააბეს, იარაღი აიღეს და ნელა შეუყვნენ ციხისაკენ მიმავალ საცალფეხო გზას. იგი ივრის ნაპირებიდან იწყებოდა და ოთხი კოშკი თავის დანგრეული კედლებით მაღლა მიიწევდა, სადაც მთავარი ციხე-ქალაქის საგუშავო კოშკები და ეკლესიის გუმბათი მოჩანდა.

- მაღლა უნდა აუყვეთ ციხეს, იქ მაღლა მოჩანს მთავარი ნაგებობა, - მიუგო დიანამ.

ისინიც სწრაფად მომატებული ნაბიჯით აუყვნენ აღმართს.

- უნდა ვიჩქაროთ დიანა, თორემ საღამო არც ისე შორს არის, თქვა გენამ და დიანას ხელი მოკიდა დასახმარებლად.

ისინი მაღლე ციხის თავზე მოექცნენ. საუკუნეებს თავის კვალი დაუტყვიათ მუნჯი ბუმბერაზისათვის, რომლის ნანგრევებზედ საუკუნის ხეები იყო ამოსული. ისინი ერთ-ერთ ციხის ნანგრევზე ჩამოჯდნენ. დიანამ ამოიღო ოთხკუთხა ქვა და კიდევ ერთხელ ყურადღებით დააცქერდა.

- ცხადია ძველი ეკლესიის ნანგრევი უნდა ვიპოვოთ და შემდეგ იქ ჩასასვლელი ვეძებოთ, ალბათ კიბით.

უცემ მაღლიდან რაღაც ხმაური შემოესმათ, ორივემ მაღლა აიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახეს, გვერდზე აღმართული ციხის ნანგრევების მეტი. ნაპირას მდგარ ციხე კოშკიდან კენჭები ჩამოცვივდა და ქვევით დაეშვა.

- ალბათ რაიმე ნადირია.

ორივემ ციხის შემოვლა დაიწყეს. ზემოთ ციხე რვა ნან-

გრევად ქცეული კოშკისაგან შედგებოდა, როდესაც დასავ-ლეთის მხარის კოშკს მიუახლოვდნენ აშკარად გამოჩნდა ეკლესიის თაღი. დიანამ სიხარულით წამოიყვირა.

- აი, ეკლესიაც, რომელსაც ვეძებდით.

ფრთხილად შეაღწიეს შიგ და სანთელი აანთეს. შიგნითა მხარე მართლაც სალოცავად იყო გამზადებული, სადაც სისუფთავე იყო დაცული.

- ეტყობა აქ ეხლაც ანთებს ხალხი სანთელს, - თქვა გენამ,  
- რადგან სანთლის ახლად დანთებული ნამწვავები ჩანს.

ყურადღებით დაათვალიერეს ყოველი კუთხე. აღმოსავ-ლეთ მხარესთან იატაკში შავი ორმო გამოჩნდა იმხელა რომ კაცი გაეტეოდა მხოლოდ, მაგრამ ორმოზე თლილი ქვა იდო, რომელზედაც ივერიის მიწების გერბი იყო გამოსახული.

-აი ეს გერბიც, რომელიც ჩემს სათამაშოზეა გამოსახული,  
- აღტაცებით შესძახა დიანამ, ალბათ ჩვენ მის ქვეშ უნდა ჩავიხედოთ.

მათ დიდი წვალებით გადაწიეს ქვა და შიგ ვიწრო კიბით ჩავიდნენ, მაგრამ ყოველივეს ეტყობოდა, რომ აქ უკვე ვიღაც ნამყოფი იყო, ეს ლოდი უკვე ვიღაცის მიერ არის ადგ-ილიდან დაძრული. ეს წესით მიწაში უნდა ყოფილიყო, რადგან აქ აშკარად ეტყობა, რომ მიწა ამოთხრილია. ძველ კიბეებს ჩაუყვნენ და აღმოჩნდნენ გასასვლელ გვირაბში, რომელიც ღრმად ივრის მხარეს მიემართებოდა, მაგრამ მათ დიდხანს სიარული არ დასჭირდათ, რადგან წააწყდნენ ამონ-გრეულ კედელს, რომელზეც ისარი იყო გამოსახული.

- ეს ის ისარია, რომელიც ჩვენს ოთხკუთხედზეა გამოსა-ხული.

- კი მაგრამ აქ უკვე ვიღაც იყო დიანა და მათ ამოღებულ თაღში შეიხედეს. დიანამ სანთელით გაანათა ამოღებული თაღი და დაინახა განძის ნარჩენები: რამდენიმე ძველებური ოქროს მონეტა, სიჩქარისგან დარჩენილი, კუთხეში მიტოვე-ბული ვერცხლის თასი.

- ეს ჰაჯის ოინებია. იგი იყო აქ და საგანძურო გაიტაცა.

- ის შორს ვერ წავიდოდა, მიწა ახალი ამოთხრილია და იგი სადღაც აქ იმყოფება ახლოს, შესაძლოა გვითვალთვალებს კიდეც.

ამის თქმა და გვირაბის სიღრმიდან ვიღაცის სიცილი მოისმა და შუქიც გამოჩნდა, ჩირალდნისა.

- სწრაფად იქით, წამოიძახა დიანამ.

ხანჯალი, ქარქაშიდან იძრო და წინ გამოქვაბულის სიღრმისკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა. გენა თან მიყვა, რომელ-მაც მოასწრო ჩირალდნის ანთება და დიანას გზას უშუქებდა.

მალე ნათელ ადგილას გავიდნენ, საიდანაც შუქი ზემოდან ჩამოდიოდა. ისინი დიდი ციხის ოთახში აღმოჩნდნენ, რომლ-იდანაც გზა სამი მიმართულებით მიდიოდა გვირაბით, მალ-ლა ასვლაც შეიძლებოდა კიბით.

- მოდი მაღლა ავიდეთ.

წინ გენადი გაიქცა და-კიბეს შეუყვა, რომელიც მეტად ვიწრო იყო და ორივე ვერ ავიდოდნენ. ჯერ გენა უნდა ასულიყო, მალე იგი გასასვლელს მიუახლოვდა. ის იყო მაღ-ლა გასასვლელში უნდა გასულიყო, რომ ვიღაცის მძლავრმა ხელმა კიბეს უბიძგა, გენამ თავი ვეღარ შეიკავა და დაგორ-და. მან თავი რამდენჯერმე მიარტყა საფეხურს და გონება დაკარგა. დიანამ მასთან მიირბინა და ცხვირსახოცით მას სისხლი შეუწმინდა, რომელიც ცხვირიდან მოსდიოდა.

- გენადი ჩემო ძმობილო, არ მიმატოვო ძვირფასო.

მაგრამ გენადის არ ესმოდა არაფერი. იგი ცოცხალი იყო, მაგრამ გონებაზედ არ იყო. უცებ მაღლა საფეხურზე ვიღაცის ფიგურა გამოჩნდა, რომელიც ნელა ეშვებოდა დაბლა კიბით და დიანას უახლოვდებოდა. მას ხელში ხმალი ეჭირა, მეორე ხელში კი ხურჯინი. იგი თან იცინოდა და დია-ნას უახლოვდებოდა.

- ამ განძისათვის იკლავდი ძუკნა თავს? აი განძი, მოდი აიღე, თუ შეგიძლია, მაგრამ ამას შენ ვერ ელირსები.

სინათლის შუქმა მას სახე გაუნათა და დიანამ მასში ჰაჯი ამოიცნო.

- ვინა ხარ შენ? და რა გინდა ჩემგან?

- მე შენთვის ჰაჯი ვარ, რომელიც საბოლოოდ დაუსვამს წერტილს შენს უნაყოფო ცხოვრებას. ბედი დიდხანს გწყალობდა იმპერატორის ქალიშვილო, მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო და შენც უნდა გამოეთხოვო სიცოცხლეს.

- კი მაგრამ რა დაგიშავე, რომ ასე მიმეტებ ან ჩემი წარსული საიდან იცი?

- ვიცი ჩემო ძვირფასო, მე ყველაფერი ვიცი, აკი გითხარი მე შენი ანგელოზი ვარ მეტეი, ოღონდ კეთილი კი არა, ბოროტი. რა დაგიშავეთ, რომ მეკითხები, გეტყვი ყოველივეს, არაფერს დაგიმალავ სიკვდილის წინ: შენ მე მამა მომიკალი ყაჩალთა ბელადი, პაპა გრიგოლი მამაჩემი იყო, შენ გეგონა ასე ადვილად დააღწევდი ჩვენს კლანჭებს თავს, ქალბატონო? ესეც არ იკმარე და ახლა განძის მითვისებაც მოიწადინე, ნამეტანია დიანა?

- კი მაგრამ, მამაშენი სიკვდილის ლირსი იყო, ხოლო განძი კი მე მეკუთვნის კანონით.

- რომელი კანონით? იბერთა მეფის საგანძურო მეფეთა ნაბუშრების კუთვნილება არასოდეს იქნება. ერთ სიადუმლოსაც გაგანდობ ქალბატონო, დედაშენი მამაჩემმა შენი დიდი ბების, ნატალიას, რუსეთის დედოფლის დავალებით მოკლა. ასევე მისი დავალებით სიცოცხლეს გამოგასალმებ შენ, ხოლო განძს მე დავიტოვებ. ყველაფერი სამართლიანად იქნება განაწილებული. მე მამაჩემის მკვლელს ვკლავ და განძიც მე მეკუთვნის.

ეგ ყაჩალური გადაწყვეტილებაა, რომელსაც სამართლიანობასთან არაფერი აქვს საერთო. — შენ, ისე როგორც მამაშენი, სიკვდილს იმსახურებ, განძი კი საქართველოში უნდა დარჩეს და საქართველოს მოხმარდეს.

- ამ სამართალს ვინ გადაგვიწყვიტავს ძვირფასო, შენი დაშნა ხომ არა დიანა? და ჰაჯიმ გადაიხარხარა.

- რატომაც არა, მიუგო დიანამ და თავისი ხმალი მოიმარკვა.

ჰაჯი ხარხარებდა და თანდათან კიბეზე ეშვებოდა, მან განძი ხურჯინში კუთხეში მიაგდო და დიანასკენ გაექანა. დიანა მას მედგრად დაუხვდა და მოქნეული ხმალი აიცილა.

- ტყუილად ირჯები ქალბატონო, მაინც არაფერი გამოგივა, მაგრამ მე მიყვარს თაგვის დაქანცვა და მერე გადასანსვლა. მე ხმლის ხმარება საკმაოდ კარგად ვიცი და მამარჩემივით შეცდომას არ დავუშვებ.

დიანამ რაც ძალი და დონე ჰქონდა ხმალი ჰაჯის მოუქნია, მაგრამ მან ხმალს ხმალი დაუხვედრა და შეტევაზე გადავიდა. მას მართლაც ეტყობოდა, რომ განაფული იყო. დიანა ატყობდა, რომ ძალა ელეოდა, მაგრამ მაინც ეწინააღმდეგებოდა მტერს. დიანამ შეამჩნია, რომ გენამ თავი აწია და წამოდგომას ცდილობდა. ეტყობა გენას გონება უბრუნდებოდა. დიანას ძალა უფრო მოემატა და იმედი მიეცა გადარჩენის.

- ჰაჯი, შენ ეშმაკის მოციქულო, ნუთუ უნდა ბოროტმა საძლიოს კეთილსა? შენს მოდგმას უცოდველ ადამიანთა სისხლის ზღვა მართებს. უფალი მომცემს ძალას შენს წინააღმდეგ საბრძოლველად და დასამარცხებლად.

- ტყუილად ინუგეშებ თავს საცოდავო, შენი წუთები დათვლილია.

დიანამ კვლავ აიცილა რამდენჯერმე ზედიზედ მოქნეული ჰაჯის მახვილი და დაიჭრა მკლავში, შემდეგ კი თვითონ კიდევ ერთხელ მოუღერა ხმალი, მაგრამ ჰაჯიმ ხელი აუკრა და დიანას ხმალი ხელიდან გააგდებინა. დიანას თითქოს რაღაც გაახსენდაო, ჯიბიდან საყვირი ბუკი ამოილო და მთელი ძალით ჩასძახა, ბუკის ხმამ არემარე გააყრუა. გენა უკვე ფეხზე იდგა. ხანჯალი მოემარჯვებინა ცალი ხელით, ხოლო ცალი ხელით კი კედელს ეყრდნობოდა. ჰაჯიმ აღმართა მახვილი დიანას გასაგმირავად. ამ დროს გენამ მას ხანჯალი მთელი ძალით ესროლა, რომელიც ჰაჯის ზურგში ჩაესო. იგი მოტრიალდა გენასაკენ. ამ დროს დიანამ თავის ხმალი აილო და მთელი ძალით ჩასცა ჰაჯის, მაგრამ იგი არ

მოტრიალებულა ერთი ნახტომით ალმოჩნდა გენასთან და ხმალი მას მთელი ძალით გულში ჩასცა, შემდევ დიანას მოუტრიალდა და მისკენ გაეშურა, მაგრამ უცებ ჩაიკეცა და მიწაზე დაეცა. დიანამ ხმალი მოისროლა და გენასთან მივიდა დაიხარა მისი თავი ხელებში ჩაიდო და უხმოდ აქვითინდა.

მას ამ ახალგაზრდა კაცთან აკავშირებდა გულწრფელი უანგარო მეგობრობა. გენა მისი ერთგული მეგობარი იყო მუდამ და მან ეს ბოლომდე შეასრულა. თავისი ერთგულება დიანას ბოლომდე დაუმტკიცა. დიანას ზემოდან რაღაც ხმაური შემოესმა, ზევით აიხედა და ნუგზარი დაინახა.

- დიმა რა მოგივიდა? შესძახა მან, და ქვევით სწრაფად დაეშვა კიბით.

- მეგობარი დავკარგე, ნუგზარ ბატონო, ჩემი მეგობარი და მას გული წაუვიდა.

ნუგზარმა შენიშნა, რომ დიანა მკვლავში იყო დაჭრილი და ძალზედ დასუსტებული. მან დიანა ამოიყვანა მზის სინათლეზე, სახვევით ჭრილობა გადაუხვია და მოასულიერა წყლით.

- იქ ქვემოთ ჩემი მეგობრის გვამია, გთხოვთ პატივი დასდოთ და როგორც ქრისტიანს შეშვენის ისე დამარხოთ ციხის კედელთან.

ნუგზარის ბრძანება გასცა და მისმა მცველებმა იმ წუთასვე შეუდგენ დიანას ნების აღსრულებას.

- იქ ქვემოთ განძია.

- რა განძი?

- დიანამ მოკლედ ყოველივე მოუყვა ნუგზარ ბატონიშვილს. დიანა ძალზედ დასუსტებული იყო ჭრილობისაგან, რომელიც ჰაჯიმ მიაყენა. მან ბევრი სისხლი დაკარგა და დროდადრო გონებას კარგავდა. საჭირო იყო მისი დროზე წაყვანა ექიმთან და ჭრილობის გადახვევა, რომელიც მეტად უხერხულ ადგილას იყო მიყენებული. იგი მარცხენა იღლიაში იყო დაჭრილი და ნუგზარის გადახვევის საშუალებას არ აძლევდა, გასაგები მიზეზების გამო. მან ნუგზარის ბიჭად

გააცნო თავი და ბოლომდე ცდილობდა სიმართლის დამალვას, მაგრამ მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო მას აღარ შეეძლო ამის გაკეთება. როდესაც მან კვლავ დაკარგა გონება, ნუგზარიმ თავის პერანგის ნაჭერი შემოიხია და დიანას ჭრილობის შეხვევას შეუდგა. მან გულისპირი გაუხსნა და პერანგი ჩაუწია. მის წინ ქალიშვილის ლამაზი მკერდი გადაიშალა. ნუგზარი დაიბნა აღარ იცოდა რა ექნა, ჭრილობა გადაეხვია თუ მკერდი დაეფარა. ის უცბად გამოფხიზლდა, ყოველივეს მიხვდა. სისხლი არყით შეუწმინდა და ჭრილობა გადაუხვია, გულისპირი კვლავ შეუკრა და დიანაც გონს მოეგო.

- რა მოხდა ნუგზარ, შეეკითხა იგი ნუგზარ ბატონიშვილს და თვალებში ჩახედა.

მას თითქოს უნდოდა გაეგო, მიხვდა თუ არა ყოველივეს მისი შეყვარებული. ნუგზარმა თვალი აარიდა, დიანა ყოველივეს მიხვდა, მისი საიდუმლოება გამუღავნებული იყო.

- ნუგზარ უნდა მაპატიო ჩემი ტყუილი, მე იმდენი ტანჯვა და წვალება გამოვიარე ჩემს ცხოვრებაში, რომ არა ეს ტყუილი, კაცად ქცევისა, ალბათ თავს აქამდე ვერ შევინახავდი.

- ყოველივე მესმის ძვირფასო, სჯობს ვიჩქაროთ მეფეს-თან წასვლა, რადგან უკვე გვიანია და შენც ექიმთან ხარ მისაყვანი.

მალე ისინი გასამგზავრებლად მზად იყვნენ. დიანა უკანასკნელად გამოეთხოვა თავის მეგობრის საფლავს, შემდეგ იგი ნუგზარმა შეისვა ცხენზე და გაემართნენ თბილისში.

მეფის სასახლე მათ უკვე მომზადებული შეხვდა, ნუგზარის წინასწარ თადარიგი დაუჭერია და მეფე ერეკლემ უკვე იცოდა მათი მისვლის შესახებ. ვიზიტის წინ დიანამ სასახლის ქალთა ოთახში განმარტოვება ისურვა და სთხოვა სეფექალებს მისთვის სასახლის შესაფერისი ტანისამოსი შეერჩიათ. დიანას თხოვნა სწრაფად შეასრულეს და ჩატრაშიც დაეხმარნენ. ერთი საათის შემდეგ იგი სამეფო კარს წარუდ-

გა როგორც ელჩი რუსეთისა საქართველოში და ამავე დროს ბაგრატიონთა შთამომავალი. მას გვერდიდან არ სცილდებოდა ნუგზარი, რომელიც უზომოდ იყო შეყვარებული დიანაზე, ისე როგორც დიანა.

თბილისის ძველი მეფის სასახლე სავსე იყო თავადი-შვილებით და დიდებულებით, რომლებსაც გვერდს ლამაზი ქალბატონები უმშვენებდნენ. ყველას უნდოდა ეხილა დიანა, რუსეთის იმპერატორის ქალიშვილი, რომელიც მართლაც შესანიშნავად გამოიყურებოდა ქართულ სადედოფლო კაბაში. ნუგზარი და დიანა ძალზედ უხდებოდნენ ერთმანეთს. მეფე სამწუხაროდ არსად ჩანდა. დიანას მოახსენეს, რომ მეფე ერეკლე შეუძლოდ არის და იგი მათ თავის საძინებელ ოთახში ელოდა, რადგან მას ადგომა არ შეეძლო. რა გაეწყობოდა დიანა ნუგზარისთან ერთად მეფეს საძინებელ ოთახში ეახლა.

მეფის დიდებულ საძინებელ ოთახს რატომღაც კედლებზე იარაღი ამშვენებდა. მის საწოლის წინ კედლელი დიდ ხალიჩას ეკავა, სადაც სხვადასხვა იარაღი ეკიდა. თვითონ მეფე დიდ მუხის საწოლში იწვა, რომელიც ჩუქურთმებით იყო გაწყობილი. დიანა გულდასმით დააკვირდა მის წინ ლოგინად ჩავარდნილ მამაკაცს, რომელიც მისი ბაბუა იყო და ქართლის მეფე. იგი 50 გადაცილებული იქნებოდა და წვერში ჭალარა გამორეოდა, მაგრამ მაინც იგრძნობოდა, რომ იგი მეტად შეხედული კაცი იქნებოდა ახალგაზრდობაში, მაგრამ ამჟამად მეტად მოტეხილი და ავადმყოფი იწვა და თვალები დახუჭული ჰქონდა.

- მომიახლოვდი ჩემო გოგონა, — მიმართა მან დიანას.

დიანა ახლოს მივიდა, ერეკლემ თვალი გაახილა და დიანას დააცექერდა.

- რა ახალგაზრდა ყოფილხარ, რა დაგაბარა დიდმა ხელმწიფემ რუსეთისამ.

- პეტრე დიდი მეტად პატივს სცემს საქართველოს და მის ხელმწიფეს, თქვენს უწმინდესობას. მას განზრახული აქვს

საქართველოს რეალური დახმარება აღმოუჩინოს არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც და ამისათვის საქართველოში ჯარი გამოაგზავნოს.

- ეს კარგი რამ განუზრახავს ჩვენც ეგ გვწადია, რადგან ურჯულომ მთლად წალეკა ჩვენი მიწა-წყალი, მაგრამ ეგ არის, რომ მე ალბათ ველარ მოვესწრები ამას, რადგან ძალზედ ავად ვარ. კიდევ რა დაგაბარა?

- სამწუხაროდ, მიუგო დიანამ, მე გზად ყაჩალები დამესხნენ თავს და პეტრეს წერილი თქვენამდე ვერ მოვიტანე, მაგრამ ზეპირად გეტყვით მის შინაარს. მას სურს მე მუდმივად დავრჩე საქართველოში, როგორც რუსეთისა და საქართველოს მეგობრობის სიმბოლო. ეს პატივი ჩემმა წარმოშობამ განაპირობა, მე რუსეთის იმპერატორის პეტრეს უკანონო შვილი გახლავართ, დედაჩემი ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი იყო, რომლებიც ბედის უკულმართობამ სამშობლოდან გადახვეწა და ტრაგიკულად შეეწირა დედოფალ ნატალიას ხრიკებს. მას მეც ბედზე გადავურჩი. ამჟამად ჩემს სამშობლოში ვარ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მას ვემსახურები ისე როგორც შემეძლება. მე ჩემი ბედი აქვიპოვე სამშობლოსა და ბატონიშვილ ნუგზარის სახით.

- მაშ, შენს ძარღვებში ჩემი სისხლიცა ჩქებს, ჩემო კარგო, რუსეთი ძლიერი და საიმედო ქვეყანა ჩვენთვის მისი მფარველობა ახლა ძალზედ გვესაჭიროება, მე მთელი ახალგაზრდობა რუსეთში გავატარე და კარგად ვიცნობ მათ ადათსა და წესს, რომელიც გაცილებით უკეთესია მუსულმანურზე. შენ კი ჩემო კარგო ყველა პირობა გექნება წყნარი და უზრუნველი ცხოვრებისა საქართველოში, დამილოცნიხართ შენ და ნუგზარი.

დიანამ უბიდან თავის სათამაშო გამოცანა ამოილო და ერეკლეს გაუწოდა.

- თუ გახსოვთ ეს ნივთი.

მეფემ გამოართვა და ყურადღებით დაათვალიერა.

- მახსოვს, ეს ნივთი მე პაპაჩემმა თეიმურაზმა ჩამოშიტანა

მოსკოვში და მაჩუქა. მე კი ეს ნივთი ქორწილის დღეს დედოფალ ნატალიას ვაჩუქე. — შენთან როგორ მოხდა დიანა?

- პეტრემ მე მაჩუქა, ისე რომ ალბათ არავინ თქვენ ამ ნივთის დანიშნულება არ იცოდით და უპირველეს ყოვლისა დედოფალმა ნატალიამ, რუსეთის იმპერატორმა პეტრემ კი ეს უძვირფასესი საჩუქარი მე მაჩუქა.

- რომელ საჩუქარზე ლაპარაკობ შვილო?

- მეფევ ბატონო, ნივთი იბერთმეფეთა საგანძურს მიუთითებს, რომელიც უჯარმის ციხეში იყო ჩაფლული. აი კოორდინატები ამ ნივთზე იყო გამოსახული.

ერეკლემ პირჯვარი გადაიწერა და დიანას უპასუხა.

- ეს არის კეთილი ნიშანი უფლისა, რომელმაც ყველაფერი თავის ადგილას დააყენა. განძი შენსა და საქართველოს კეთილდღეობას უნდა მოახმარო შვილო, ასე უნდოდა ალბათ უფალს, ახლა კი დამტოვეთ ჩემო კეთილებო სიკვდილის წინ უნდა ვილოცო ჩემი ცოდვების მოსანანიებლად.

დიანამ დატოვა მისი საძინებელი.

დიანამ და ნუგზარიმ ჯვარი დაიწერეს და ბეჭნიერად ცხოვრობდნენ შვილებში და შვილიშვილებში საუკუნის დასასრულამდე.

## საქართველოს უკანასკნელი დედოფალი

მე-18 საუკუნე ძალზე საოცარი და საინტერესო იყო კაცობრიობის ისტორიაში, სწორედ ამ საუკუნეში მოხდა ძვრები და წინსვლა: კულტურაში, განათლებაში, მეცნიერებაში, ეკონომიკაში. აღნიშნული საუკუნე გამოირჩეოდა ადამიანთა ბრძოლით პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. ინგრეოდა ძველი ფეოდალური ურთიერთობები და მის ადგილზე თანდათან ფეხს იკიდებდა, ფორმირდებოდა ახალი, უფრო პროგრესული ბურჟუაზიული ურთიერთობა, რაც ყველაფერში იგრძნობოდა. დაიწყო სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, კონსტიტუციური მონარქიის განვითარებამ ამ ქვეყანაში ხელი შეუწყო თავისუფალი მენარმეობის განვითარებას, რასაც მნიშვნელოვანი ტექნიკური აღმოჩენები და გამოგონებები მოჰყვა. ეს იყო სამრეწველო გადატრიალების დასაწყისი.



მე-17 მე-18 საუკუნეებში ჩრდილოეთ ამერიკაში ატლანტის სანაპიროს გასწვრივ შეიქმნა 13 ინგლისური კოლონია. 1776 წლის 4 ივლისს მეორე კონტინენტური კონგრესის მიერ დამტკიცებული „დამოუკიდებლობის დეკლარაციით“ ინგლისის ყოფილმა 13 კოლონიამ თავი დამოუკიდებელ სახელმწიფო — შეერთებულ შტატებად გამოაცხადა. ჩრდილოეთ ამერიკაში შეიქმნა ახალი სახელმწიფო - შეერთებული შტატები. მე-18 საუკუნის პირველ მეოთხედში ჩვენს მეზობელ რუსეთში მომხდარი მოვლენები მეტად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. რუსეთში ჩრდილოეთის ომი მიმდინარეობდა (1700-1721 წ.წ.) შვედედთან. მიუხედავად ამისა,

რუსეთი მხედველობიდან აღმოსავლეთსაც არ კარგავდა. კავკასიაში შესაღწევად რუსეთს კასპიის ზღვის სანაპიროზე დამკვიდრება ესაჭიროებოდა. 1722-1723 წლებში პეტრე დიდმა ასტრახანიდან კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროების გასწვრივ სახმელეთო და საზღვაო ლაშქრობის შედეგად მნიშვნელოვანი ტერიტორიები დაიკავა. 1723 წლის პეტერბურგის ზავით სპარსეთმა ცნო რუსეთის დაპყრობილი ტერიტორიები. პეტრე დიდი ამით დაკმაყოფილდა და სპარსეთის ნინააღმდეგ ომში თავისი მოკავშირე ქართლის მეფე ვახტანგ VI გამძვინვარებული მტრის ნინაშე ბედის ანაბარა მიატოვა. კასპიისპირეთში რუსთა ლაშქრობის შემდეგ პეტრე დიდის მოკავშირე ქართლის მეფე ვახტანგ VI იძულებული შეიქმნა დიდი ამაღლითურთ რუსეთს გადასულიყო. 1729 წელს ქართველებს მოსკოვში დასასახლებლად „პრესნიას უბანი“ უბოძეს. აღმოსავლეთ საქართველოს ჯერ თურქები, შემდეგ ირანი დაეპატრონა, მაგრამ საქართველოს დახმარების გარეშე რუსეთმა ამიერკავკასიაში ფეხი ვერ მოიკიდა და 1734 წელს პეტრე დიდის მემკვიდრეებმა კასპიის ზღვის აღმოსავლეთი და სამხრეთი სანაპიროები ირანს დაუბრუნეს. ირანში სეფიანების დამხობის შემდეგ ქართლ-კახეთს ძნელბედობის დრო დაუდგა. ქართველი ხალხი მძიმე უდლის ქვეშ გმინავდა 1723-1735 წლებში თურქეთის „ოსმალობა“, ხოლო 1735-1747 წლებში ნადირ-შაჰის ირანის „ყიზილბაშობა“.

1744 წელს ქართლის მეფედ დანიშნულმა თეიმურაზ II და კახეთის მეფედ დანიშნულმა ერეკლე II კარგად გამოიყენეს ნადირ-შაჰის მკვლელობის შემდგომ ირანში დაწყებული პოლიტიკური არეულობა. ქრისტიანმა მეფეებმა თეიმურაზ II და ერეკლე II ფაქტობრივად დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ამის შემდეგ 50 წელი ქართლ-კახეთი ჩამოცილებული იყო ირანს. ამ გარემოებას ირანში მიმდინარე შიდა ომებმა და ირანის მმართველ ქერიმ ხანთან ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II კეთილგანწყობილმა ურთიერთობამ შეუწყო ხელი.

ირანის მმართველმა ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება ცნო და აღიარა ერეკლე II-ის უფლებები განჯასა და ერევნის სახანოებზე. ერეკლე II კეთილმეზობლური დამოკიდებულების მიუხედავად, ქირიმ-ხანმა ათასობით ფერეიდნელი ქართველი გამოასალმა წუთისოფელს, იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს რჯულის გამოცვლაზე. სიცოცხლე მხოლოდ იმ ქართველებს შეუნარჩუნა, რომლებსაც იძულებით მიაღებინეს მაჰმადიანობა. ირან-საქართველოს ურთიერთობა განსაკუთრებით გამწვავდა მე-18 საუკუნის მიწურულში. ხელისუფლების სათავეში ჯაფართა მოსვლის შემდეგ 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის თბილისზე ლაშქრობამ აღმოსავლეთ საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამყარება დააჩქარა.

1723 წელს თურქებმა ფოთი დაიპყრეს. თურქეთის ხელში იყო ბათუმი და სოხუმიც. ოსმალებმა დაიკავეს, შორაპნისსა და ცეცხვეთის ციხეები იმერეთში. იმავე 1723 წელს მათ აღმოსავლეთ საქართველოც დაიპყრეს. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის უმნიშვნელოვანესი სამხედრო ოპერაციები გაიმართა, რომელიც საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო. 1770 წელს რუსეთის არმიამ რუმიანცევის მეთაურობით, მდინარე ლარგასთან გაანადგურა თურქთა ჯარი. რუსეთის ბალტის ზღვის ესკადრამ ადმირალ სპირიდოვის მეთაურობით შემოუარა ევროპას და გიბრალტარის სრუტით ხმელთაშუა ზღვაში შევიდა. ჩესმენის ყურესთან რუსეთის ესკადრამ დაამარცხა თურქეთის ფლოტი. საომარი მოქმედება გაიშალა კავკასიაშიც. 1770 წლის აპრილში ერეკლე II მეთაურობით რუსეთის მცირერიცხოვან ჯართან ერთად აწყურის ციხეს შემოერტყა. ციხეში თურქთა გარნიზონი იდგა. რუსეთის ჯარი გენერალ ტოტლებენის მეთაურობით, მოულოდნელად უკან გაბრუნდა. მრისხანე მტრის წინაშე ქართველები მარტონი აღმოჩნდნენ, მაგრამ ერეკლე II საზრიანობის და ქართველთა მამაცობის წყალობით ასპისძის ბრძოლაში მათ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების დროს

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია იმერეთმაც. იმერეთის მეფის სოლომონ II და რუსეთის გაერთიანებულმა ლაშქარმა გაათავისუფლა ოსმალების მიერ დაკავებული ქუთაისის და იმერეთის სხვა ციხე-სიმაგრეები. 1774 წელს დაიდო ქუჩუკ-კაინარჯიის საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმად მდინარე ლანგარსა და მდინარე ბეკს შორის ტერიტორია და ქერჩის ნახევარკუნძული რუსეთის ხელში გადადიოდა. რუსეთის გემებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებისკენ გაეხსნათ გზა. ყირიმი თურქეთისაგან დამოუკიდებელ სახანოდ გამოცხადდა. ზავის ერთ-ერთი მუხლი დასავლეთ საქართველოს შეეხებოდა. ამ მუხლის თანახმად, რუსეთი დასავლეთ საქართველოს ოსმალეთის მფლობელობაში ცნობდა. იმ პირობით, რომ თურქეთს უარი უნდა ეთქვა იმერეთისაგან ხარკის აღებაზე. ომის დამთავრების შემდეგ სოლომონ მეფემ ოსმალებს იმერეთის ციხეებში დაბრუნების საშუალება აღარ მისცა. 1783 წელს რუსეთმა ერთ დიდი წარმატებას მიაღწია. ქართლ-კახეთის სამეფოს-თან, გეორგიევსკში დადებული ტრაქტატით აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის მფარველობაში შევიდა.

ამ პერიოდში ევროპის შუაგულში საფრანგეთის დიდი რევოლუცია დაიწყო 1789 წლის 14 ივლის პარიზელებმა შეტევით აიღეს თვითმყრობელობის საყრდენი პარიზში ციხე-სიმაგრე და საპყრობილე ბასტილია. 1792 წლის 22 სექტემბერს საფრანგეთი გამოცხადდა რესპუბლიკად. ლუი XVI სიკვდილით იქნა დასჯილი. 1799 წლის 9 ნოემბერს საფრანგეთში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ხელისუფლების სათავეში ნაპოლეონ ბონაპარტე მოვიდა. ცოტა ხნით ადრე მან ეგვიპტეში ილაშქრა. ნაპოლეონი საქართველოთი სწორედ ეგვიპტის ლაშქრობის დროს დაინტერესდა. გენერალ ბონაპარტეს საქართველოსა და ქართველების შესახებ კარგი ინფორმაცია ჰქონდა. მან იცოდა, რომ მამლუქთა უმრავლესობა ქრისტიანებად იბადებოდნენ. მათ იტაცებდნენ 7-8 წლის ასაკში საქართველოდან, შემდეგ ვაჭრებს

კონსტანტინოპოლში მიჰყავდათ და ეგვიპტეში ჰყიდდნენ. ძირითადად მათგან იყო დაკომპლექტებული ეგვიპტეში განლაგებული მამლუქთა კორპუსი. იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსები დიდი გულისყურით ადევდნენდნენ თვალს ნაპოლეონის საქმიანობას ეგვიპტეში. მათი აზრით ბონაპარტს წარმატებებს ეგვიპტის მფლობელის თურქეთის დასუსტებას გამოიწვევდა და საქართველოს თურქთა მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნების საშუალება მიეცემოდა.

ნაპოლეონის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, იმერეთის მეფე სოლომონ II, ქართველი ბატონიშვილები თეიმურაზი და ალექსანდრე მას წერილებს უგზავნიდნენ, დახმარებას სთხოვდნენ და საქართველოს საფრანგეთის მფარველობის ქვეშ შესვლას სთავაზობდნენ. ნაპოლეონი საქართველოს აღმოსავლური პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად თვლიდა. თბილისი მას მიაჩნდა ტრამპლინად, საიდანაც ინდოეთში შესვლას ითვალისწინებდა. 1799 წელს ბონაპარტემ ეგვიპტიდან ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფესთან ერეკლე II-ის ვაჟთან გიორგი XII მოსალაპარაკებლად თავისი საგანგებო რწმუნებული ტომით ქართველი - როსტომ აბაშიძე გამოგზავნა. ელჩი ახალციხის ფაშაშ შეიძყრო და ციხეში გამოამწყვდია. ნაპოლეონის მიერ თბილისში ელჩის გამოგზავნა იმას მოწმობდა, რომ საფრანგეთისათვის საქართველოს საკითხი აქტიური იყო. ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრიობა სულს დაფავდა, ერთ დროს ძლიერი და აყვავებული ქვეყანა, რომლის საზღვრები გადაჭიმული იყო ნიკოფისიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არაგანამდე.

მე-18 საუკუნის მიწურულს დასუსტებული და გაპარტახებული იყო საქართველო. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე ერეკლე II 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა. ტახტი უფროსმა შვილმა გიორგი XII დაიკავა. მისი მეფობა მეტად რთულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებას დაემთხვა. ქართლი და კახეთი ამ პერიოდში ძალზედ დასუსტებული

იყო. 1795 წელს გადახდილი ომი ირანის ბრძანებელ აღა-მაჰ-მად-ხანთან ჯერ კიდევ მონელებული არ იყო. გიორგი XII ისევე, როგორც მამამის ერეკლე II, რუსეთთან ურთიერთობა მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და ყველანაირად ცდილობ-და განემტკიცებინა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა. ამის წინააღმდეგ გამოდიოდა მეფის კარის ოპოზიცია. გიორგის დედის დარეჯან დედოფლის ხელმძღვანელობით, რომლებსაც არ სურდათ რუსეთთან არანაირი ურთიერთობა და ცდილობდნენ მეფედ გიორგის ძმა დავითი დაესვათ. დარეჯან დედოფლი ყველანაირად ცდილობდა შეევიწ-როებინა გიორგი XII და მისი მეუღლე მარიამ დედოფლალი. ასეთ რთულ ვითარებაში იყო საქართველო, როდესაც ნაპოლეონის დესპანი, რომელიც საქართველოსკენ მოეშუ-რებოდა, ახალციხის ფაშამ დააპატიმრა და ციხეში გამო-ამწყვდია. როსტომ აბაშიძე იმ ქართველ თავად-აზნაურთა ბრწყინვალე შთამომავალი იყო, რომელთაც სამშობლოსა და მამულისათვის არაფერი დაუზოგავთ. უყოყმანოდ ჩადგნენ ქართველ მეფეთა სამსახურში და ყოველთვის თავდაუზო-გავად ემსახურებოდნენ მათ. მისი ბაბუა, ლევან აბაშიძე, სულხან საბა ორბელიანს გაჰყოლია საფრანგეთში დიპლო-მატიური მისით. საფრანგეთის მეფესთან ლუდოვიკო XIV-სთან ვიზიტი უშედეგოდ დამთავრდა, საფრანგეთმა დახ-მარება ვერ აღმოუჩინა გასაჭირში ჩავარდნილ საქართვე-ლოს. ლევან აბაშიძეს ერთი დიდებული ფრანგი ქალი მოსწონებია და სამუდამოდ დარჩენილა პარიზში საცხოვრე-ბლად. შემდგომში საფრანგეთის მეფის სამსახურისთვის იგი ბევრჯერ დაუჯილდოებიათ გაწეული ამაგისათვის. მისთვის პარიზთან ახლოს მამული უბოძებიათ. როსტომის მამა ზურაბ აბაშიძე საფრანგეთის იმპერიის განმტკიცების ერთ-ერთ ბრძოლას შეეწირა. პატარა როსტომი ობლად დარჩა, მას დედაც ადრე გარდაეცვალა. მისი ერთადერთი პატრონი ზურაბ აბაშიძის ერთგული მსახური ჩინელი ჩინ-ჰანი იყო. პატარა როსტომს საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეობა ხვდა

წილად, რომელსაც ზურაბ აბაშიძის გარდაცვალების შემდეგ როსტომის სრულწლოვანებამდე ჩინ-ჰანი განაგებდა. ჩინელი აღმზრდელი ძალ-ლონეს არ იშურებდა, რათა როსტომი-სათვის სათანადო აღზრდა და განათლება მიეცა. როსტომს მოწვეული მასწავლებლები ასწავლიდნენ, შემდეგ სწავლა-განათლება კოლეჯში განაგრძო. ჩინელმა აღმზრდელმა როსტომის ჩამოყალიბებაში წარუშლელი კვალი დატოვა, რომელიც შემდგომში როსტომს ყოველთვის სიკეთით ადგებოდა: ეს გახლდათ ჩინ-ჩუი-ჰანის დიდი ცოდნა და გამოცდილება, აღმოსავლური ორთაბრძოლები, მისი სამხედრო ხელოვნება და ფილოსოფიური აღზრდა სრულიად განსხვავებული იყო ევროპულისაგან. სწავლა მან როსტომს ხუთი წლიდან დააწყებინა. ჯერ იოლი ვარჯიშებით, ხოლო შემდგომში უფრო რთული. თვითონ იგი ბრნჟინვალე მებრძოლი გახლდათ. თავის დროზე სათანადო ჯილდოებიც ჰქონდა მიღებული შეჯიბრებებში.

ახლა, როდესაც როსტომი ახალციხის ფაშის საპყრობილები აღმოჩნდა, გადარჩენის ყოველგვარი იმედი გადაეწურა. მის თვალწინ გაირბინა ბავშვობამ ყმანვილ-კაცობამ სიყვარულმა და თვალზედ ცრემლი მოადგა. გაიხსენა თუ რა მძიმე იყო მისთვის ჯერ დედის, ხოლო შემდეგ მამის დაკარგვა. შემდგომში მან თავის ყურადღება ჩინურ და ევროპულ ორთაბრძოლებზე გადაიტანა, ამაში ეხმარებოდა თავის ერთგული მშობელი და მასწავლებელი ჩინ-ჩუი-ჰანი. როსტომს გაახსენდა მასწავლებელს როგორ მიჰყავდა იგი ტყეში, სადაც მდინარე მოჩუხჩუხებდა და მდინარეში საათობით ხმლით ავარჯიშებდა. წლები მიღიოდა და როსტომს ძალა და ცოდნა ემატებოდა. არ დარჩენილა აღმოსავლური და ევროპული არცერთი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ჩინებული ხმარება მას არ შესძლებოდა.

1789 წლის 14 ივლისს, როდესაც პარიზელებმა ბასტილია აიღეს, როსტომი 21 წლის იყო. პარიზის სამხედრო სასწავლებელი მან წარმატებით დაამთავრა. სწორედ აქ შეხვდა

პირველად, შემდგომში ბრწყინვალე მხედართმთავრად აღიარებულ, ნაპოლეონ ბონაპარტს. ისინი ბრიენის სამხედრო სკოლაში ერთად სწავლობდნენ და სწრაფად დამეგობრდნენ, რადგან მათ ბევრი საერთო ჰქონდათ. სკოლის დამთავრების შემდეგ, მათი გზები გაიყარა, მაგრამ არა სამუდამოდ. ერთი პერიოდი როსტომი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ თავის მამულში ცხოვრობდა ჩინელ მამობილთან ერთად. საფრანგეთის რევოლუციის დროს იგი მტკიცედ იდგა რევოლუციის მხარეზე და ერთ-ერთ რევოლუციურ არმიაში მსახურობდა. შემდგომი მისი და ნაპოლეონის შეხვედრა ტულონის ციხე-სიმაგრის აღების დროს მოხდა, როდესაც ტულონი ინგლისელებმა ხელში ჩაიგდეს.

ტულონს დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რევოლუციურმა მთავრობამ ტულონის განთავისუფლება ნაპოლეონს მიანდო. ნაპოლეონი გაეცნო რა ტულონის თავდაცვის გეგმას, მიხვდა რომ დიდი მოსამზადებელი სამუშაოები იყო ჩასატარებელი. ინგლისის გემები ტულონს ზღვიდან იცავდნენ და საჭირო იყო მათი განდევნა. ამისათვის ფრანგებს უნდა დაეკავებინათ კერის ნახევარკუნძული და ფორტზე ეგიეზე და ბალაგიეზე დაედგათ ზარბაზანები ინგლისის გემების გასადევნად, ამის შემდეგ ტულონი მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა ინგლისის ფლოტისაგან. მაგრამ პორტების აღება ძნელი საქმე იყო, რადგან იქ უკვე ინგლისელები იყვნენ და ზარბაზნებიც განლაგებული ჰქონდათ. ამ პერიოდში ნაპოლეონის გვერდით მოუწია ბრძოლა როსტომ აბაშიძესაც. გააფრთხებული ბრძოლა გაიმართა. ინგლისელებმა თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწიეს ფრანგებს და მათი კოლონები უკუ აქციეს. კრიტიკულ მომენტში დიუგო მიემ, რომელიც არმიას ხელმძღვანელობდა, სარეზერვო კოლონას უბრძანა ჩაბმა. ნაპოლეონი თვითონ წაუძღვა მას წინ ხელჩართულ ბრძოლაში ფრანგებმა იმარჯვეს და რეაცუტიც აიღეს. შეტევის დროს ნაპოლეონს ჯერ ცხენი მოუკლეს, მერე კი თავადაც დაჭრეს

ფეხში ხიშტით. ასე იოლად გადარჩენას იგი როსტომ აბაშიძეს უნდა უმადლოდეს, რადგან სწორედ ხელჩართულ ბრძოლის დროს როსტომმა არნახული სიმამაცე და გმირობა გამოიჩინა. იგი ნაპოლეონის წინ იდგა, ხმლით გზას უკაფავ-და და მას მკერდით იცავდა მას. ნაპოლეონი აღტაცებით ადევნებდა თვალს როსტომის განწირულ ბრძოლას. ხიშტით შეტევაზე გადმოსული ინგლისელები ხმლით უცბათ მოცელა როსტომმა, მაგრამ ერთმა მაინც მოახერხა ნაპოლეონის დაჭრა ფეხში. რომელსაც როსტომმა ერთი დარტყმით თავი გააგდებინა და ნაპოლეონის ერთგულება და ნდობა დაიმ-სახურა. მაგრამ როსტომი ინგლისელმა მძიმედ დაჭრეს და იგი ნაპოლეონის ბრძანებით, სასწრაფოდ ლაზარეთში გადა-იყვანეს. ტულონის ბრძოლა მოგებული იყო. ნაპოლეონი კმაყოფილი და ბედნიერი დარჩა, როგორც იქნა ამობრწყინ-და მისი ვარსკვლავი 24 წლის კაპიტანი გენერალი გახდა. როსტომისა და მისი გზები კვლავ გაიყარა, ეს იყო 1793 წელი.

გავიდა წლები და მხოლოდ აღმოსავლეთის კერძოდ ეგვიპტესა და სირიაში ლაშქრობის დროს გაახსენდა ნაპო-ლეონს როსტომ აბაშიძის ხმლის კვეთა, მოძებნა იგი და შესთავაზა მასთან ერთად ეგვიპტეში ლაშქრობა. ეს მოხდა 1799 წელს. როსტომი სიამოვნებით დათანხმდა ნაპოლეონის წინადადებას. ბოლოს მიღებული ჭრილობის შემდეგ თავის მამულში ჩინ-ჩუი-ჰანთან ერთად მეურნეობას მისდევდა და აღმოსავლურ ორთაბრძოლებს ასწავლიდა ახალგაზრდებს. მათ ლიველში კერძო სკოლა გახსნეს. მაგრამ ნაპოლეონთან ერთად იგი მზად იყო 9 მთის იქით ნასულიყო.

1799 წელს ხომალდმა „იორინმა“ ღუზა აუშვა და ისინი ეგვიპტის სანაპიროსკენ გაემართნენ. აფრიკის სანაპიროს ფრანგები ყოველგვარი გართულების გარეშე მიადგნენ, თუმცა მათზე ინგლისის ფლოტი ნადირობდა ადმირალ ნელ-სონისს მეთაურობით. ეგვიპტის მიწაზე ფრანგებმა ფეხი პირველ ივლისს დადგეს, ალექსანდრიასთან ახლოს. სადე-სანტო ოპერაციამ ისე ჩაიარა, რომ რაიმე გართულებას ად-

გილი არ ჰქონია და ქალაქი ალექსანდრია ფრანგების ხელში გადავიდა. კლებერმა და მენუმ სიმაგრეზე პირდაპირი იერიში მიიტანეს და თურქ-არაბულმა გარნიზონმა მაშინვე შეწყვიტა წინააღმდეგობა. შემდეგ ფრანგები ქაიროსაკენ გაემართნენ. სერიოზული ბრძოლა შებრაჲიტთან მოხდა. თურქ მამლუქთა ლაშქარს თვით მურად-ბეი ხელმძღვანელობდა, ფრანგთა და მამლუქთა ამ ბრძოლაში ბევრი ქართველი მონაწილეობდა. მამლუქთა დიდ ნაწილს ხომ „ბედკრული საქართველოს“ მოწყვეტილი შვილები შეადგენდნენ. ქაიროს დასაცავად მურად-ბეიმ 12 ათასი მეომარი გამოიყვანა, მაგრამ ნაპოლეონის გამანადგურებელი არტილერიის წინააღმდეგ მან ვერაფერი გააწყო და ბრძოლაში დამარცხდა. ქაიროს კარებში ფრანგთათვის ლია იყო. ბონაპარტე ეგვიპტის დედაქალაქში შევიდა ზღაპრული ალაფით, ქალაქში რომელიც განთქმულია თავისი სისასტიკით, ვერაგობით და რელიგიური ფანატიზმით მთელს აღმოსავლეთში. მას მეტი სიფრთხილე მართებდა. ათასობით კილომეტრიდან საფრანგეთს მოშორებულს, რაიმე ქმედითი დახმარების იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდა. ფრანგთა ფლოტი 13 სახაზო გემი და 4 ფრეგატი აბუკირის ყურეში 1798 წლის 1 აგვისტოს ინგლისელების ფლოტმა ადმირალ ნელსონის ხელმძღვანელობით გაანადგურეს. ბონაპარტი გაცოფებული იყო, მაგრამ გონს მალე მოეგო. მან თავის ჯარს მიმართა, „ახლა ჩვენ იძულებულნიც კი ვართ, რომ საგმირო საქმეები ჩავიდინოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო შორს გავილაშქროთ და ახალი დიდი იმპერია დავაარსოთ“. ამ გეგმებში შედიოდა ნაპოლეონის ლაშქრობა ინდოეთში, რისთვისაც მას მოკავშირე სჭირდებოდა თურქეთის, ირანისა და საქართველოს სახით. და ამ ქვეყნებთან ურთიერთობას იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამ დიპლომატიური მისით როსტომ აბაშიძე მან საქართველოში გამოაგზავნა.

სიკვდილის მოლოდინში როსტომ აბაშიძე მწარედ იგონებდა ყოველივე მნიშვნელოვანს თავის ცხოვრებიდან და

დამწუხრებული უიმედოდ ემშვიდობებოდა ჩამავალ მზის სხივებს, რომელიც ციხის სარკმლიდან მოჩანდა. ფუჭი გამოდგა მისი ოცნება საქართველოზე, რომლის ნახვის სურვილი კლავდა. თავის სამშობლოში კეთილი მისით მიიჩქაროდა, საგანგებო დავალებით, მაგრამ უმუხლა ბედმა და ალბათ ვეღარ იხილავდა საქართველოს. ასეთი ფიქრებით ემშვიდობებოდა მზის უკანასკნელ სხივებს თავის საპატიმრო საკნიდან. უეცრად კარებში ურდულის ჩხრიალის ხმა გაიგო, როსტომი შეცბა ნუთუ დილამდის არ დააცლიდნენ და ახლავე მოუსწრაფავდნენ სიცოცხლეს. არა, იგი ასე ადვილად და ლარწულად თავს არავის დააჩავრინებდა. მტკიცედ გადაწყვიტა თავის სიცოცხლე ძვირად დაესვა ფაშასათვის. კარებს ამოეფარა და მის გაღებას დაელოდა. კარები გაიდო და საკანში ანაფორიანი უცნობი შემოვიდა, ხელში ბიბლია და ჯვარი ეჭირა. ცოდვების მოსანანიებლად მეწვივნენ გაიფიქრა როსტომმა, ერთი ნახტომით უცნობი ძირს დასცა, რომელიც ადგილიდან აღარ იძროდა. როსტომმა უცნობს დახედა, მას სურდა მისი ტანსაცმლით გარეთ გაპარულიყო, მაგრამ აი, საოცრება. უცნობი ქალი აღმოჩნდა. ამობურცულ მკერდს გაოგნებულნი შეჰყურებდა როსტომი. ქალი თანდა-თან გონს მოეგო და ნაზი, დასუსტებული ხმით როსტომს მიმართა.

- მე მარიამი მქვია, შენს საშველად მოვედი.
- მარიამი? — მე არ ვიცნობ ასეთ ქალს.
- მართალია, არ იცნობ, მაგრამ დღეიდან ხომ გეცოდინებათ. მე გახლავართ საქართველოს დედოფალი მარიამი გიორგი XII მეუღლე, რომელიც ძალზე ავადაა უკანასკნელ დღეშია და დიდი სურვილი აქვს თქვენი ნახვისა. ამ სიტყვებით, მარიამი ფეხზე წამოდგა, კაბა გაისწორა მუქ, ტალღისებურ თმებზე თეთრი, ნაზი და გრძელი თითები გადაისვა. გაკვირვებულ როსტომს თვალებში ჩააშტერდა.
- კი მაგრამ აქ როგორ აღმოჩნდი, მე ხომ ახალციხის ფაშას პატიმარი ვარ და სასიკვდილო განაჩენს ველი მისგან.

თქვენ კი მღვდელი მეგონეთ, რომელიც აღსარებასა და მონანიებას ითხოვდა ჩემგან სიკვდილის წინ, მაგრამ ვატყობ განგებამ მთლად არ გამწირა და თქვენი თავი მშველელად მომივლინა.

- მართალია, არ მელოდით, მაგრამ ჩვენ მოუთმენლად გელოდით, რადგან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ საქართველოში მოეშურებოდით ნაპოლეონ ბონაპარტის საგანგებო მისით.

- ეს თქვენ საიდან იცით? — იკითხა გაკვირვებულმა როსტომმა.

- საქართველოსკენ მომავალი სტამბულის ერთ-ერთ სასტუმროში, შეჩერდით შესასვენებლად, ერთ ქართველ მონა მანდილოსანს გამოექმაგეთ და უთანასწორო ბრძოლაში დაიჭერით. თქვენ იქ გამაჰმადიანებული ქართველი მაჰმუდი გპატრონობდათ და გმკურნალობდათ, მძიმედ დაჭრილმა და სიცხიანმა გონება დაკარგეთ და ბოდვის დროს რამდენიმე სიტყვა დაგცდათ, საქართველოში თქვენი მისის შესახებ. მაჰმუდი ჩვენი შიკრიკია თურქეთში და მან ყოველივე გვაცნობა.

ახლა თქვენ ყოველივე იცით, ცხენები მზად არის ბატონო როსტომ. გთხოვთ, სწრაფად წამოხვიდეთ ჩვენთან ერთად, დროს ნულარ ვყარგავთ, ყოველი წუთი ძვირფასია ჩვენთვის. ამ სიტყვებით მარიამი როსტომს წინ გაუძლვა და ციხის რამდენიმე კარი დაუბრკოლებლად გაიარეს. ციხის მცველები მოსყიდულები იყვნენ. ბოლო კართან მარიამმა, როსტომს მუსულმანური ჩასაცმელი გაუწოდა, მან გადაიცვა და მარიამთან ერთად სწრაფად გაიარეს ბოლო კარები და გარეთ აღმოჩნდნენ. იქ შეკაზმული ცხენები ელოდათ, რომლებსაც ორი მხედარი დარაჯობდა. სწრაფად შესხდნენ ცხენებზე და ჭენებით საქართველოსკენ აიღეს გეზი.

- გზად მიმავალთ დედოფალმა მარიამმა დაწვრილებით აუღწერა როსტომს იმდროინდელი საქართველოს სასახლის კარის მდგომარეობა და ის განჩეთქილება, რომელიც სუფევ-

და სასახლეში. გიორგი XII და მისი დედის დედოფალ დარე-ჯანს შორის, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო რუსეთთან ყოველგვარი ურთიერთობისა, ხოლო გიორგი XII პოლიტიკური ორიენტაცია მტკიცედ იყო რუსეთთან მეგობრობისა მასთან და სამხედრო ეკონომიკური კავშირებისა. ასეთ რთულ, პოლიტიკურ ვითარებაში გიორგი XII და მარიამ დედოფალი, ასევე მათი მომხრეები, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ნაპოლეონ ბონაპარტი საქართველოს დაეხმარებოდა მეფის გიორგის ძალაუფლების განმტკიცებაში და რუსეთთან ერთად ისინი დაიხსნიდნენ საქართველოს თურქეთისა და ირანის აგრესისაგან. ასეთი დასკვნა გამოიტანა როსტომმა დედოფლის სიტყვებიდან. მარიამმა გზად შესვენების დროს მოკრძალებით ჰკითხა როსტომს, თუ რა საგანგებო მისია ჰქონდა მას საქართველოში. როსტომმა პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და თავდაჭერილად უპასუხა, რომ ამას პირადად მეფეს აცნობდა. ასეთი პასუხი მარიამს არ ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია, როსტომი მიხვდა თავის შეცდომას და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

როსტომი გატაცებით უყურებდა საქართველოს ლამაზ ბუნებას და გულს სიხარული ეუფლებოდა; როგორც იქნა მისი დიდი ხნის ოცნება ახდა, იგი საქართველოში იმყოფებოდა, მაგრამ შესძლებდა კი იგი რაიმე დახმარების აღმოჩენას ბედკრული ქვეყნისათვის. უნდა გაემართლებინა ნაპოლეონის იმედები, ის გრანდიოზული ჩანაფიქრი, რომელიც გენერალს ჰქონდა ჩაფიქრებული. რა თქმა უნდა, იგი ყველა ლონეს იხმარდა საფრანგეთისა და საქართველოს საკეთილდღეოდ, მაგრამ იგი უკვე გრძნობდა იმ სიძნე-ლებს, რომელიც წინ ელოდა.

როსტომმა განგებ შეიკავა თავი და დედოფალს პასუხი არ გასცა, არ უნდოდა ეთქვა სიმართლე, რითაც გაანაწყენებდა დედოფალს და არა მარტო მას, მთელს სამეფო კარს, რადგან სწორედ რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული ნაპოლეონის აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველოს მეფის

კარის იმედი იმის შესახებ, რომ საფრანგეთი და რუსეთი საქართველოს გამო ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ დაირაზმებოდნენ დიდი გულუბრყვილობა იყო.

ყოველივე გაცილებით უფრო რთულად იყო. ნაპოლეონი რუსეთის მტერი იყო, საქართველო კი მას როგორც სტრატეგიულ პუნქტად ისე სჭირდებოდა რუსეთის აგრესის შესაჩერებლად აღმოსავლეთში. ნაპოლეონი ირანისა და თურქეთს მოკავშირედ გახდიდა ინდოეთისკენ გზის გასაკაფავად. ასეთ ფიქრებში იყო გართული როსტომი, როდესაც მდევრების ცხენების ფლოქვების ხმა შემოესმათ. ახალციხის ფაშას შეეტყო ძვირფასი პატიმრის გაქცევის ამბავი და სასწრაფოდ მდევარი დაედევნებინა გაქცეულებისათვის. მდევარი სწრაფად უახლოვდებოდა მათ, ისინი საკმაოდ მრავალრიცხოვანნი იყვნენ. როსტომმა მტერი სწრაფად დათვალა, 12 მხედარი თუ იქნებოდა, რომლებიც კბილებამდე შეიარაღებულნი იყვნენ. ლტოლვილები კი ხუთი კაცი: როსტომი, მარიამი და სამი აზნაური. მარიამს შეშფოთება შეეტყო, მაგრამ როსტომმა იგი დააწყნარა. ნუ გეშინიათ დედოფალო, მალე ტყეს შევაფარებთ თავს და იქ ისინი ვერაფერს დაგვაკლებენ. მართლაც, გამოქცეულებმა ტყეს შეაფარეს თავი. როსტომმა სთხოვა თანამგზავრებს, ცხენებიდან ჩამოსულიყვნენ და ხეებს ამოფარებოდნენ. მან ხმალი ერთ-ერთ აზნაურს სთხოვა, მარიამმა გაიკვირვა და როსტომს მიმართა.

- მარტო ხმლით ვერ შეძლებთ მათ გამკლავებას. როსტომმა უპასუხა.

- რომ მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ხმალიც კი ზედმეტად ეჩვენებოდა. გაკვირვებული დედოფალი დიდ მუხის ხეს ამოეფარა და თოფი მოიმარჯვა მტრის მოსაგერიებლად. დედოფლის მაგალითს მიჰპაძეს სამმა აზნაურმაც, მაგრამ მოხდა გასაცარი რამ, რაც მათ იხილეს სხვას დაუჯერებლად მოეჩვენებოდა, რადგან ამ უთანასწორო ბრძოლაში როსტომ აპაშიძე ძალზედ სწრაფად გამოვიდა გამარჯვებული. მარიამი ერთი წამით არ აცილებდა მას თვალს, იგი ისე

სწრაფად მოძრაობდა და იცვლიდა ადგილს, რომ მარიამი თვალის შევლებასაც ვერ ასწრებდა.

მან კარგი სამალავი აირჩია იქ, სადაც მოსალოდნელი იყო მდევრების გამოჩენა. ტყეში შესვლისთანავე მდევარი ჩამოქვეითდა. მათ თოფები მოიმარჯვეს და გაქცეულების ძებნას შეუდგნენ. ფაშას მეომრებს გრძელი და განიერი შარვლები ეცვათ ზედ ქამრები ერტყათ, რომელზედაც მოკაუჭებული ხმლები ეკიდათ, თავზე კი ხილაბანდები ეკრათ. მათ ერთი სული ჰქონდათ მდევრები ხელთ ეგდოთ და ფაშასაგან დაპირებული ჯილდო მიეღოთ. ისინი ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ იმ ხეს, სადაც როსტომი იყო ჩასაფრებული. როსტომს ხმალი ჰქონდა მომარჯვებული და როგორც კი ერთ-ერთი თურქი მოუახლოვდა, იგი სამალავიდან სწრაფად გამოვიდა და ერთი ხმლის დაკვრით მდევარი უხმაუროდ დასცა ისე, რომ ხმაც არ ამოუღია.

მარიამმაც მოიმარჯვა თავისი თოფი და მიზანში ერთი თურქი ამოიღო, მაგრამ თურქი სადღაც გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ახლა მარიამმა მეორე თურქი ამოიღო მიზანში, მაგრამ მასაც იგივე ბედი ეწია, ისიც სადღაც გაქრა. მარიამი ვერაფერს ხვდებოდა. მან მესამე ამოიღო მიზანში და შენიშნა, რომ თურქის უკან როსტომი იდგა და ხმლის ერთი დარტყმით მტერს სული გააფრთხობინა. ეხლა კი მიხვდა მარიამი თუ სად ქრებოდნენ მის მიზანში ამოღებული თურქები. მარიამმა ერთი გასროლაც კი ვერ მოასწრო და ვერც მისმა თანმხლებმა აზნაურებმა, როსტომმა ყველას მოუღო ბოლო. მათ გზა განაგრძეს.

ამის შემდეგ ჩვენი მგზავრები თბილისში უხიდათოდ ჩავიდნენ. მარიამმა როსტომი თავის სასახლეში დააბინავა. როსტომს სასწრაფოდ გამოემშვიდობა თან აღუთქვა, რომ მეფეს ყოველივეს მოახსენებდა და აუდიენციის შესახებ აცნობებდა წინასწარ. როსტომი სკამზე ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა. სამეფო კარი დიდ სამზადისში იყო. მარიამს მისვლისთანავე ახარეს, რომ მას რუსეთის დედოფალი მარი-

ამ თევდორეს ასულისაგან გამოგზავნილი წერილი ელოდებოდა. მარიამმა წერილი გადამალა, თარჯიმანი მოიწვია და სასწრაფოდ წაკითხა. დედოფალი რუსეთისა მარიამს სწერდა, რომ რუსეთის სამეფო კარი საქართველოს მფარველობასა და მოწყალებას არ მოაკლებდა და მეფე გიორგის ეგზავნებოდა სიგელი და ინვესტუსის ნიშანი და რომ ყურადღებას მათ მომავალშიც არ მოაკლებდა. მარიამის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. იგი იმავე წუთს მეფის სანახავად გაეშურა. შესვლისთანავე მიუხლოვდა მეუღლეს, საწოლთან დაიხარა და ხელზე ემთხვია.

- ნაპოლეონის დესპანი ჩამოვიყვანე ძვირფასო, იგი ჩემს სასახლეშია და ხვალვე შეგახვედრებ. მეტად უშიშარი და კარგი მებრძოლი ჩანს, მდევრებს ცხარე დღე აყარა.

- იმედია, ასეთი კაცი ჩვენ სასიკეთოდ გამოგვადგება, - აღნიშნა გიორგიმ. — მაგრამ, განაგრძო მანვე, ჩვენ არა-ნაკლებ სასიხარულო ამბავი მოგვივიდა რუსეთის სამეფო კარიდან, ალბათ გაიგებდით.

- დიახ ჩემო ხელმწიფევ, მე ეხლახან გავეცანი რუსეთის დედოფლის მარიამ თევდორეს ასულის წერილს, სადაც იგი რუსეთის ხელმწიფის მფარველობასა და მოწყალებას გვპირდება.

- დიახ ძვირფასო, მიუგო გიორგიმ, გარსევან ჭავჭავაძემ, ჩაიბარა უმაღლესი სიგელი ჩვენი მეგობრის ლაშქარაშვილის ხელით, ასევე იგი გვაუწყებს, რომ რუსეთის ელჩად საქართველოს კარზე იგზავნება მრჩეველი კოვალენსკი, რომელიც ჩვენ გადმოგვცემს სამეფო ნიშნებს.

გიორგი მეფესთან ერთად, ეს დედოფალ მარიამის პირველი და უკანასკნელი დიპლომატიური და პოლიტიკური გამარჯვება იყო და მეფე-დედოფალი შეეცადნენ დიდი ზეიმით აღენიშნათ ეს მოვლენა. დედოფალ დარეჯანსა და სხვა ბატონიშვილებისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს სამეფო ტახტის საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა ბაგრატიონთა მეფობის უძველესი წესის მიხედვით

და რუსეთი ამას მხარს დაუჭერდა, მაგრამ დარეჯანი და მისი შვილები სხვანაირად ფიქრობდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ რუსეთი საქართველოს აუცილებლად უღალატებდა. რუსეთის იმედი გიორგისა და დედოფალ მარიამს ჯერ კიდევ დაკარგული არ ჰქონდათ. ამის დამამტკიცებელი საბუთი იყო ბატონიშვილ დავითის მემკვიდრედ გამოცხადება და ის საგანგებო „გრამოტები“, რომლითაც რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდოდა საქართველო.

ამასთან დაკავშირებით, სამეფო ნიშნების ჩამოტანის გამო ზეიმის გეგმა მეფე-დედოფალმა საგანგებოდ შეიმუშავა. ამ პერიოდისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები მოხდა საფრანგეთში. როსტომის ეგვიპტიდან წამოსვლის შემდეგ ნაპოლეონის არმია ძალზე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ნაპოლეონი სირიაში შეტევის დროს, არაბთა და თურქთა ჯარების თავგანწირულ წინააღმდეგობას წააწყდა. ნაპოლეონის ჯარები საფრანგეთს მოწყვეტილ იყო და განწირული იქნა დასაღუპავად. ნაპოლეონმა ლვთის ანაბარა მიატოვა თავისი დარჩენილი ჯარების ნაშთები და 1799 წლის ნოემბერში პარიზში დაბრუნდა. პარიზში დირექტორიის წინააღმდეგ შეთქმულნი ბონაპარტს შეხვდნენ, როგორს მხსნელს და მიაღწიეს მის დანიშვნას პარიზის გარნიზონის სარდლად. ბანკირებმა ფული გაიღეს გადატრიალების მოსაწყობად. 1799 წლის 9 ნოემბერს ბონაპარტმა მიაღწია დირექტორიის წევრების გადადგომას, მან ერთგული ჯარების დახმარებით ალყა შემოარტყა საკანონმდებლო კორპუსს. დეპუტატებს წინადადება მიეცათ, რომ ძალაუფლება ჩაებარებინათ სამი კონსულისათვის ბონაპარტეს მეთაურობით. 18 ნოემბერს გადატრიალება მსხვილი ბურჟუაზიის სამხედრო დიქტატურის დამყარებას მოასწავებდა. ბონაპარტე პირველი კონსული გახდა. იგი ისეთ პოლიტიკას ახორციელებდა, რომელიც მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს ემსახურებოდა. ლიკვიდირებულ იქნა საფრანგეთის რევოლუციიდან შემორჩენილი დემოკრატიული თავისუფლების ნაშთები.

ეს ყოველივე როსტომისათვის ცნობილი გახდა სხვადასხვა არხების საშუალებით და იგი აღმოჩნდა ორჭოფულ მდგომარეობაში. მოვლენები ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ ახლა უკვე ძნელი იყო მისთვის ნარმდგარიყო საქართველოს მეფის წინაშე. ოდესლაც ეგვიპტეში მოლაშქრე გენერლის მოთხოვნებით, რადგან ნაპოლეონ ბონაპარტე ახლა უკვე საფრანგეთის მრისხანე პირველი კონსული გახლდათ, როსტომისათვის ცნობილი არ იყო მისი მიზნები და გეგმები. ცხადი იყო, რომ ინდოეთში ლაშქრობა საფრანგეთისთვის ამჟამად უაზრობად გამოიყურებოდა. ასეთ ვითარებაში როსტომმა გადაწყვიტა ემოქმედა დამოუკიდებლად. ერთი რამ მისთვის ცხადი გახდა, საფრანგეთის პოზიცია რუსეთისადმი უარყოფითი იყო. მაგრამ იგი ამჟამად ამას ვერ გა-ამჟღავნებდა, რადგან საქართველოს სამეფო კარი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. რუსეთის პოლიტიკის მომხრეები საქართველოში გიორგი მეფე, დედოფალი მარიამი და მისი მომხრეები იყვნენ, ხოლო რუსეთის პოლიტიკის მოწინააღმდეგები დარეჯან დედოფალი და მისი შვილები. როსტომმა ნეიტრალური პოზიცია აირჩია და მოვლენების განვითარებას დაელოდა.

1799 წლის 12 დეკემბერს საქართველოს მეფის სასახლეში საზეიმო განწყობა სუფევდა. მტერი თუ მოყვარე შეკრებილიყო ამ ზეიმზე. მეფე გიორგი საგანგებოდ შეკვეთილ სამეფო სკამზე იჯდა, მას გვერდს უმშვენებდა დედოფალი მარიამი, რომელსაც სეფე ქალები დასტრიალებდნენ და ყურადღებას არ აკლებდნენ. ყველა ძვირფასს სამოსელში იყო. რაღაცის მოლოდინს შეეპყრო მთელი დარბაზი, ისინი რუსეთის ელჩის, კოვალევსკის ელოდებოდნენ. აქვე იყო როსტომ აბაშიძეც, რომელსაც მარიამ დედოფალმა ნიშანი მისცა და ისიც ეახლა მეფე-დედოფალს. მარიამმა იგი მეფეს წარუდგინა, როსტომი მეფეს რამდენიმე ნაბიჯით მიუაღლოვდა, თავი დაუკრა და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

-თქვენო ბრწყინვალებავ, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ

დღევანდელი დღე და გადმოგცეთ საფრანგეთის პირველი კონსულის მოკითხვა და გისურვოთ გამარჯვება თქვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. იმედი გქონდეთ, რომ საფრანგეთის მთავრობა ყველანაირ დახმარებას აღმოგიჩენთ.

- ჩვენ დიდი სარდლისა და საფრანგეთის პირველი კონსულის თანადგომის იმედს არ ვკარგავთ, - მიუგო მეფე გიორგიმ. და ნაპოლეონის დესპანი ზეიმზე მიინვია. კოვალევსკიმ მეფესთან აუდიენციის დროს საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთის იმპერატორი პავლე პირველი იღებს საქართველოს თავის მფარველობის ქვეშ და ამტკიცებს მის კანონიერ მეფედ გიორგის, ხოლო მის შვილს დავით გიორგის ძეს - ტახტის მემკვიდრედ. ამის შემდეგ კოვალევსკიმ გადასცა გიორგის უმაღლესი „გრამოტა“ და მიართვა ორდენი ანდრია პირველწოდებულისა, რომელიც მეფემ მაშინვე დაიმაგრა. კოვალევსკიმ მისალმების შემდეგ დედოფალს მიართვა ბრილიანტის ორდენი წმინდა ეკატერინესი, მან თვით ჩამოჰკიდა დედოფალს ეს ორდენი.

რუსეთ-საქართველოს ასეთმა მდგომარეობამ უფრო და-ძაბა საქართველოს ურთიერთობა, როგორც ირანთან, ისე თურქეთთან. არ ისვენებდა მეფის ოპოზიციაც, დედოფალ დარეჯანის ხელმძღვანელობით. იგი დიდი ერეკლე II-ის მეუღლე გახლდათ და საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა სამეფო კარზე. დღესასწაულის შემდეგ მალე თბილისში გენერალ ლაზარევის სარდლობით პოლკი შემოვიდა. მისმა ჩამოსვლამ უფრო დაძაბა საშინაო მდგომარეობა საქართველოში. იგი უფრო ინტრიგების მოსაწყობად იყო ჩამოსული, ვიდრე სხვა საქმისთვის. განსაკუთრებით დაიძაბა მდგომარეობა მასსა და დედოფალ მარიამს შორის. ორ ბანაკს შორის ურთიერთობა თანდათან გამწვავდა და ბოლოს ერთმანეთს დაეჯახა. ერთის მხრივ დარეჯან დედოფალს ერეკლე მეორის მეუღლესა და მარიამ დედოფალს შორის დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. დარეჯან დედოფალს სურდა ქართლ-კახეთის მეფედ იულონი ყოფილიყო გიორგი

XII-ის სიკვდილის შემდეგ. რუსეთის სამეფო კარი კი მემკვიდრედ გიორგის შვილს უჭერდა მხარს. ეს ყოველივე ეწერა ზემოთ აღნიშნულ რუსეთის სამეფო კარიდან გამოგზავნილ „გრამოტაში“.

გიორგი მეფესთან ერთად ეს მარიამ დედოფლის დიპლო-მატიური გამარჯვება იყო. ტახტის საკითხი ბაგრატიონთა მეფობის უძველესი წესის მიხედვით, საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო, რუსეთი ამის თავდები გამოდიოდა. აქედან გამომდინარე, დარეჯან დედოფალი მემკვიდრედ დავითის დამტკიცებას უნდა შერიგებოდა და უნდა მომხ-დარიყო მათი რუსეთის ორიენტაციასთან შერიგება, მაგრამ დარეჯან დედოფალი და მისი შვილები ქედის მოხრას არ აპირებდნენ. დარეჯანი ხედავდა, რომ გიორგი მეფე მამის გზას აგრძელებდა. იგი სავსებით ენდობოდა რუსეთის კარს, რაც საბოლოო ჯამში დამლუპველი იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის. დარეჯანი თვლიდა, რომ გიორგი თანდათან ებძმებოდა პეტერბურგიდან ჩამოსული ემისრების ბადეში. დარეჯანს ახსოვდა რუსეთის დალატი, ასე მაგალითად, ტოტლებენის მიერ ასპინძის ომის წინ მეფე ერეკლე II დალატი, ბაკენინის შეთანხმება შეთქმულ ზაალ ორბელიანთან მეფე ერეკლეს ტახტიდან გადმოსაგდებად. ქუჩუკ-კაინარჯის ზავი 1744 წელს, როდესაც აღთქმული სამცხე საათაბაგოს დაბრუნების ნაცვლად რუსეთმა დასავლეთ საქართველო მთლიანად დაუთმო ოსმალეთს. 1795 წელს დედოფალი აფრთხილებდა რუსეთის სამეფო კარს, რომ თუ დაპირებული ჯარი არ მოვიდოდა ადა-მაჰმად ხანი საქართველოს გაანადგურებდა და ასეც მოხდა.

ეს ყველაფერი კარგად ახსოვდა დედოფალ დარეჯანს და განა ამის შემდეგ შეიძლებოდა რუსეთის იმედად ყოფნა. რუსეთის იმედი მეფე გიორგისა და დედოფალ მარიამს ჯერ კიდევ არ დაჰკარგვიათ. ეს გახლდათ დავით ბატონიშვილის დამტკიცება მემკვიდრედ და საგანგებო „გრამოტები“. რუსეთის მფარველობის ქვეშ აყვანილ საქართველოს

თითქოს უნდა ამოესუნთქა. მაგრამ სამეფო კარი შეშ-ფოთებით ადევნებდა თვალყურს ტრაქტატითა და ნოტებით აღთქმულ დახმარებას რუსეთის მხრიდან. გიორგი მეფი-სათვის ცხადი იყო, რომ რუსეთი საქართველოს საკმაო ჯარს არ მიაშველებდა, ვიდრე სამხრეთ კავკასიაში მაგრად არ მოიკიდებდა ფეხს და თვითონ არ გახდებოდა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონ-პატრონი.

რუსეთის რეზიდენტი მუსემ პუშკინი რუსეთის იმპერატორს არწმუნებდა, რომ საქართველოს დაკავება აუცილებელია, რადგან საქართველოს შეერთებით, რუსეთის ხელში გადადიოდა ქვეყნის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე, გაძლიერდებოდა იმპერიის ვაჭრობა სამხრეთიდან და ინდოეთიდან, გაიხსნებოდა სავაჭრო გზა, რომელიც საქართველოზე გაივლიდა და შესაძლებელი იქნებოდა ვოლგა-დონის სავაჭრო ხაზით გადასულიყო აღმოსავლეთში.

ამ დროს საქართველოში ანგირუსული ფრთა დღითი დღე ძლიერდებოდა. მეფე გიორგისა და დედოფალ მარიამის ძალაუფლებას საფრთხე ემუქრებოდა, მათი ადგილისათვის იბრძოდა ერეკლეს ქვრივი და მისი უფროსი ვაჟი იულონი. ორი ბანაკი ერთმანეთს დაეჯახა 1800 წლის 7 ნოემბერს სოფელ ნიახურასთან. ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს მეფე გიორგის მომხრებმა, მათ ეხმარებოდა რუსეთის ჯარი გულიაკოვის ხელმძღვანელობით. დარეჯანი და მისი მომხრეები დამარცხდნენ. ამ ბრძოლაში მონაწილეობდა როსტომ აბაშიძეც, რომელმაც თავი ისახელა და ძალზედ გაახარა დედოფალი მარიამი, რომელსაც ნიახურაზე გამარჯვებამ დიდი იმედები გაუღვიძა. იგი დარწმუნდა, რომ მისი ქმრის გეზი და ზრუნვა გამართლებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოსათვის საბედისწერო უამი ახლოვდებოდა. 1800 წელს 28 დეკემბერს სამუდამოდ დახუჭა თვალი საქართველოს უკანასკნელმა მეფემ გიორგი XII-მ. საქართველოს მეფესთან და საყვარელ მეუღლესთან ერთად დედოფალმა მარიამმა თავისი დიდება, პატივი და სახელი

სამუდამოდ დამარხა. მარიამ დედოფალმა მალე დაინახა, რომ მისი ეჭვები რუსეთის ვერაგობის შესახებ გამართლდა. გენერალ ლაზარევის მუქარა იმის შესახებ, რომ საქართველოს ტახტზე არავის აუშვებდა გამართლდა, მემკვიდრე დავითი იზოლირებული აღმოჩნდა. დედოფალი შვილების ბედზე ფიქრმა შეიძყრო.

პავლე პირველი ალექსანდრე პირველმა შეცვალა, რომელმაც მარიამს ახალი დაპირებები შემოუთვალა. ეს სულ სხვა დაპირებები იყო. იგი მარიამ დედოფალს საქართველოს სრულ შეერთებას პირდებოდა. გენერალ ლაზარევის ხელით, დედოფალი სასოწარკვეთილობამ მოიცვა, ჯერ კიდევ მეფე გიორგი XII სიცოცხლეში, ლაზარევსა და დედოფალ მარიამს შორის ურთიერთობა დაიძაბა და ბოლოს სკანდალით დამთავრდა.

1801 წლის 16 თებერვალს გენ. ლაზარევმა საქართველოს წარჩინებულნი სიონის ტაძარში დაიბარა და მათ სამეფო ტახტის სრული გაუქმება გამოიცხადა.

მარიამ დედოფალი ცხადად ხედავდა, თუ რა მიზნით შემოიყვანა რუსეთმა დიდი ჯარი საქართველოში, რომ ლაზარევი და რუსეთის ყველა მოხელე გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ, ბაგრატიონთა დინასტიას და მასთან ერთად საქართველოს სახელმწიფოსაც აღსრულებულად თვლიდა. გენერალი ლაზარევი აჩქარებდა დედოფალს, რათა უკანასკნელი მეფე სწრაფად გამოეტირა და დაემარხა, რომ შემდგომში თვით დედოფალსა და ყველა ბაგრატიონს გასწორებოდა.

ამ პერიოდში ხდებოდა ორად გაყოფილი სამეფო კარის ინტერესების დამთხვევა რუსეთის წინააღმდეგ. მარიამი და დარეჯან დედოფალი განსაცდელმა დააახლოვა. თუ აქამდე დარეჯან დედოფალი იულონის გამეფებას მოითხოვდა, ხოლო მარიამი დავითისას, ახლა ორივე დედოფალი მოითხოვდა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის მუხლების დაცვას. საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ბატონიშვილებს შორისაც მოხდა

შეთანხმება. გენერალი ლაზარევი ცდილობდა დედოფალი და მისი შვილები საჩქაროდ გაეგზავნათ პეტერბურგში.

სამეფო კარის ნგრევასა და გაპარტახებას გულისტკი-ვილით ადევნებდა თვალს როსტომ აბაშიძე, რომელიც უკვე საკმაოდ გათვითცნობიერდა საქართველოს საშინაო და საგარეო ურთიერთობებში. მან ასევე ცხადად დაინახა ის რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, რომელიც იმ დროს საქართველოში სუფევდა. მან ჯერ კიდევ გიორგი XII-ს შეფიცა ერთგულება და მეფის სიცოცხლის ბოლო წუთამდე ფიცი არ გაუტეხია. მეფე გიორგის მტრებს ნიახურას ბრძოლის დროს, საკადრისი პასუხი გასცა, მაგრამ მისი ერთგულება ამით არ ამოიწურა, რადგან იგი თავს ვალდებულად თვლიდა ერთგულება გამოხატა დედოფალ მარიამისადმი. ნაპოლეონ ბონაპარტე საქართველოდან შორს იყო, მიატოვა თავისი არმია ეგვიპტეში და საფრანგეთში დაბრუნდა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და მას არავითარი ცნობები არ მიუღია საფრანგეთიდან, თუმცა ცდილობდა ვაჭრების საშუალებით მიეწვდინა ხმა საფრანგეთის კონსულისათვის, მაგრამ უშედეგოდ. მის წერილებს არავინ პასუხობდა, მას კი არ ეჩქარებოდა საქართველოდან გამგზავრება, რადგან მიაჩნდა, რომ საქართველოში მისი მისია ჯერ არ იყო ამონურული, ქვეყანა მის მხარდაჭერასა და დახმარებას საჭიროებდა. დედოფალი მარიამი, მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. როსტომი არ იყო გულგრილი დედოფლის მიმართ, მისი შემართება, სამშობლოსა და ერის სიყვარული მას აღაფრთოვანებდა. იგი მზად იყო დედოფლისთვის სიცოცხლეც კი გაეწირა. დედოფალი მარიამი დღითი-დღე იცვლებოდა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იგი ბევრ რამეში დარწმუნდა. უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ერეკლე მეორისა და მისი მეუღლის გიორგის მიერ აღებული ორიენტაცია რუსეთისაკენ დამღუპველი იყო საქართველოსა და მისი სახელმწიფოებრიობისათვის, რომელსაც გაქრობა ელოდა. ამას როსტომიც ცხადად ხედავდა,

მაგრამ რაიმე ქმედითი დახმარება არ შეეძლო. მხოლოდ ერთხელ მიეცა მას საშუალება დედოფლისათვის, სამეფო კარისა და ქართველი ხალხისათვის ღირსეული დახმარება გაეწია და შელახული ავტორიტეტი მტრის სისხლით ჩამოერცეხა.

ეს მოხდა 1803 წელს. რუსეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა საქართველოს ანექსის შემდეგ სამეფო კარი გაესახლებინა. დედოფალ მარიამს ამის შესახებ რამდენჯერმე უთხრეს. განსაკუთრებით ამ საქმის მოგვარებას ენერგიულად ცდილობდა გენერალი ლაზარევი, რომელმაც ერთ დილას თავის ყაზახებთან ერთად ალყა შემოარტყა დედოფლის სასახლეს და თვითონ დედოფალთან შევიდა, იქ იმყოფებოდა მარიამის ქალიშვილი თამარი და ბატონიშვილი ჯიბრაილი. ლაზარევი შევიდა ოთახში ოფიცერთან ერთად და გამოუცხადეს დედოფალს, რომ მისი რუსეთში გამგზავრება აუცილებელი იყო. ბატონიშვილმა ჯიბრაილმა და თამარმა ხანჯლები იშიშვლეს და ოფიცერ რუსკოვს მივარდნენ, რომელმაც ორივე მოიგერია, ხოლო ლაზარევი დედოფალს მივარდა, რათა გარეთ გაეთრია. ამ დროს დედოფალმა გენერალს გულში ხანჯალი ჩასცა და იქვე მოკლეს, შემდეგ დედოფალი გამდვინვარებული მივარდა რუსკოვს, რათა დაეცვა შვილები ძლიერად მოქნეული ხმლისაგან. დაიჭრა მისი შვილი თამარი, გენერალი ლაზარევი ოთახში მკვდარი ეგდო. ეს მკვლელობა დედოფლის ოჯახს ძვირად დაუჯდა, ამ მკვლელობის გამო დედოფალს გადასახლება მიუსაჯეს.

საშინელი დღეები დაუდგა საქართველოს დედოფალს. ყველაფერი საუკეთესო უკვე წარსულს ჩაბარდა. მომავალი კი ბურუსით იყო მოცული და გაურკვეველი. სირცეზილი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვით გამოიხატებოდა, სისხლით ჩამოირეცხა. კენჭი ნაყარი იყო, მისი ბედი გადაწყვეტილი. გენერლის მკვლელობა მას დაბრალდა, მას მთელი ცხოვრება გადასახლებებში, რუსეთის მივარდნილ ადგილებში მოუხდებოდა ყოფნა. დედოფალი

გრძნობდა, რომ იგი საქართველოს ველარასოდეს ნახავდა, მაგრამ რაც მოხდა, არ ნანობდა, რადგან მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რუსეთთან კავშირმა საქართველოს მხოლოდ უბედურება მოუტანა — რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვაში გამოიხატა. მიუხედავად იმისა, რომ დედოფალი იზოლირებული გახლდათ ყველასაგან და მასთან არავის უშვებდნენ, რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები, როსტომ აბაშიძემ მაინც მოახერხა შესვლა. ისინი პირისპირ მარტონი აღმოჩნდნენ. როსტომი მიუხალოვდა დედოფალს და მის ნინ მუხლებზე დაემხო. ხელის მტევანს ეამბორა.

- დედოფალო მე აღფრთოვანებული ვარ თქვენი არნახული თავგანწირვით, — წარმოსთქვა მან. თქვენ საქართველოს ღირსეული და უკანასკნელი დედოფალი ხართ. თქვენ გმირობას არ დაივიწყებს მადლიერი შთამომავლობა.

- სამწუხაროდ ჩემი საქციელი ძვირად დამიჯინა რუსეთის სამეფო კარმა. ისინი გადასახლებაში მაგზავნიან რომელიდაც მივარდნილ ადგილას, იმიუგო დედოფალმა.

- არა მე ამას არ დაუშვებ, — წარმოსთქვა როსტომმა.
- სამწუხაროდ რაიმეს შეცვლა უკვე შეუძლებელია.
- შეუძლებელი არაფერია დედოფალო, იმ რაზმს, რომელიც თქვენ გაგყვებათ გადასახლებაში, თავს დავესხმები და გაგანთავისუფლებთ. შემდეგ დასავლეთ საქართველოში სოლომონ მეფესთან შევაფაროთ თავი და იქიდან დავიწყოთ ბრძოლა რუსეთის ხელისუფლების ნინააღმდეგ. მე თქვენი ერთგული ვიქენები მუდამ სანამ პირში სული მიდგია, ჩემო ძვირფასო დედოფალო, რადგან მე თქვენ მიყვარხართ.

- ბატონო როსტომ მართალი გითხრათ, არც მე გახლავარ გულგრილი თქვენდამი და დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ყოველივე იმისათვის, რაც ჩვენი ოჯახისა და საქართველოს სასიკეთოთ გაგიკეთებიათ, მაგრამ არა მგონია, რაიმე გამოვიდეს თქვენი წამოწყებული საქმიდან, რადგან რუსის ჩექმა, მალე დასავლეთ საქართველოსაც გადათელავს.

- დედოფალო უბრძოლველად არ უნდა დავუთმოთ ქარ-

თული მიწა გადამთიელებს, რომლებიც დიდმა ერეკლემ სამეგობროდ მოიწვია - სტუმარი მტრად გვექცა ამჟამად.

- დიახ, ბატონო როსტომ! ახლა კი ვხვდები, რომ ვცდებოდი, ერეკლეს დროინდელი რუსეთ-საქართველოს სამეგობრო ტრაქტატი ჩვენ სულ სხვაგვარად შემოგვიტრიალდა. მეგობრობიდან ოკუპაციამდე ერთი ნაბიჯი ყოფილა. მე ვგრძნობ, რომ საქართველოს ველარ ვიზილავ. მე და ჩემს მემკვიდრეებს რუსეთისა და ციციანოვების მუდმივი დევნა არ აგვცდება.

- დედოფალო! მე ყველაფერს გავაკეთებ თქვენს დასახმარებლად.

- გმადლობთ ძვირფასო როსტომ, თქვენ ერთგულებაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ რატომლაც თქვენი გამომგზავნი ნაპოლეონ ბონაპარტე დუმს და არ ეხმარება საქართველოს არაფერში. რაშია საქმე, ბატონო როსტომ?!

- დედოფალო! ამჟამად საფრანგეთში მოვლენები ძალზედ სწრაფად ვითარდება. საფრანგეთმა ეგვიპტეზე ხელი აიღო და ნაპოლეონი სამშობლოში დაბრუნდა. ჩემი მონაცემებით 1802 წლის აგვისტოდან ნაპოლეონი მუდმივი კონსულია და იგი მალე საფრანგეთის იმპერატორი გახდება, ხოლო რუსეთთან საფრანგეთს მეტად დაძაბული ურთიერთობა აქვს და მოსალოდნელია საფრანგეთ-რუსეთის ომი. ნაპოლეონი აუცილებლად გაიმარჯვებს იგი დაამარცხებს რუსეთის არმიას და მისი წყალობით დამკვიდრდება მშვიდობა საქართველოში.

- ღმერთმა ქნას, აღნიშნა დედოფალმა, მაგრამ მე ალბათ ამას ველარ მოვესწრები, რადგან ციციანოვი ძალზედ ჩქარობს ჩემს გადასახლებას.

- მე თქვენ დაგიხსნით, ჩემო დედოფალო!

ამ სიტყვებით როსტომი დედოფალს ხელზე ეამბორა და ოთახიდან გავიდა.

1803 წლის 19 აპრილს დედოფალი მარიამი და მისი ოჯახის წევრები თბილისიდან რუსეთს ძალდატანებით გაგზა-

ვნეს, ძლიერ შეიარაღებულ რაზმთან ერთად. ამ რაზმს ტუჩქოვი ხელმძღვანელობდა. მათ მშვიდობიანად გაიარეს დუშეთი, ანანური და ყაზბეგში ჩავიდნენ. აյ დაისვენეს და ტუჩქოვის რაზმს შეემატა ყაზახთა კიდევ ერთი რაზმი. დარიალთან ტუჩქოვის რაზმს დედოფლის გამოსახსნელად დახვდნენ აჯანყებულები, რომელთა შორისაც იყო როსტომ აბაშიძე. ბრძოლა სასტიკი და სისხლისმღვრელი გამოდგა. ხეობა მეტად მოხერხებული იყო თავდასხმისათვის. მაგრამ რუსთა ნაწილები ძალზე მრავალრიცხოვანი იყო. ტუჩქოვმა სამ ნაწილად გაყო თავისი რაზმი და სხვადასხვა მხრიდან შეუტია თავდამსხმელებს. როსტომ აბაშიძემ არნახული ვაჟკაცობა გამოიჩინა მარიამის დასახსნელად. თავისი ჩვეული ხმალთაკვეთით იკაფავდა გზას დედოფლისაკენ. მისთვის ჩვეულ გარემოში იყო და ვერც-ერთი რუსი ყაზახი ვერ ახერხებდა წინააღმდეგობის განევას. იგი მიიჭრა იმ ეტლთან, რომელშიც დედოფალი მარიამი იმყოფებოდა. რამდენიმე რუსი ჯარისკაცი ეტლთან ხმლით აკუნა და კარი გამოაღო დედოფალს ხელი სტაცა და ტყისაკენ გააქანა. მაგრამ უეცრად ტყეში რუსთა ჩასაფრებულ რაზმს წააწყდა, რომლებმაც გაქცეულებს ტყვია დაუშინეს. ერთმა ტყვიამ როსტომი მკლავში დაჭრა და მას ხმალი ხელიდან გაუვარდა. დაჭრილმა როსტომმა დედოფალი ხეს ამოაფარა და ჭრილობის შეხვევა დაიწყო. მარიამმა კაბის კალთა შემოიხია და როსტომს მკლავი გადაუხვია.

- თქვენ მე ერთხელ სიკვდილისგან მიხსენით დედოფალო! ახლა კი ჩემი ჯერია. მე ვალში ვარ, — მიუგო როსტომმა. ხმალი მარცხენა ხელით აიღო და ტყისაკენ გაიჭრა თან დედოფალი გაიყოლია. რუსები ძალზე მრავალრიცხოვანი იყვნენ. ყოველ მხრიდან ტყვიას უშენდნენ, როსტომი კვლავ დაიჭრა, მაგრამ არ იმჩნევდა. რამდენიმე ყაზახი ისევ გამოასალმა სიცოცხლეს ხმლით. იგი სისხლისაგან იცლებოდა და თანდათან კარგავდა ძალას. მარიამმა ერთ ერთი მოკლული ჯარისკაცის თოფი მოიმარჯვა დაუმიზნა რუს ყაზახს

და ერთი სროლით სული გააფრთხობინა. რუსთა რაზმი უფროსის ბრძანებით შედგა. თოფები გატენეს როსტომში და მარიამს დაუმიზნეს და ბრძანებას ელოდნენ. გადამწყვეტი წამები დადგა. როსტომმა უკანასკნელად მოიკრიფა ძალა, უკან გაიხედა და ხევი დაინახა. იგი სწრაფად გადაეფარა დე-დოფალს და ხევისკენ უბიძგა. ზუსტად ამ დროს გაისმა სროლის ხმა და რუსთა ტყვიებმა როსტომს გული დაუფლითა.

დედოფალი გონს რომ მოვიდა, უკვე ეტლში ინვა მკლავ გადახვეული. მას გვერდით შვილი თამარი ეჯდა, რომელიც ყოველ წუთს უცვლიდა სველ ტილოს თავზე. გადავარდნის დროს თავი ხისთვის მიურტყამს დედოფალს.

- თამარ, სად არის როსტომი?!

- როსტომი აღარ არის. ის გმირულად დაიღუპა, - მიუგო თამარმა.

-არ მჯერა, ის აუცილებლად გადარჩებოდა.

ტუჩკოვის რაზმი გავიდა საშიში ხეობიდან და დაჭრილი დედოფალი ვლადიკავკაზში მიიყვანეს, იქ აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. იქიდან დედოფალი გაგზავნეს ვორონეჟში, ხოლო შემდეგ ბელგოროდის მონასტერში მოა-თავსეს. დედოფალი იქიდან ხშირად მიმართავდა რუსეთის იმპერატორს თხოვნით, რათა როგორც უდანაშაულო სას-ჯელისაგან გაეთავისუფლებინათ, მაგრამ მისი თხოვნა უპა-სუხოდ რჩებოდა. დედოფალს ახლდნენ ჯიბრაილი, ილია, ოქროპირი. ირაკლი, თამარი და ანა. რამდენიმე ქართველი თავად-აზნაური, მოძლვარი და სხვა დამხმარე. 1803 წლის 21 ივნისი იყო, როდესაც დედოფლის ეტლი ბელგოროდის მონასტერში შევიდა. დედოფალი ძალზედ დაღლილი ჩანდა, თხოვნის შემდეგ ეტლიდან ჩამოვიდა და მონასტერში მისთვის გამოყოფილი ოთახისაკენ გაეშურა ისე, რომ არც შეუხედავს მის შესახვედრად მოსული მონაზვნებისათვის. სხვადასხვა ოთახებში განლაგდნენ მისი შვილებიც. დედო-ფალი მძიმედ დაეშვა სკამზე და ფიქრებს მიეცა. საფიქრალი და სადარდელი კი ბევრი ჰქონდა. გულს უკლავდა დარდი

მიტოვებულ სამშობლოზე, მშობლებზე და რა თქმა უნდა, როსტომ აბაშიძეზე, რომლის შესახებ იმ საბედისნერო შემთხვევის გარდა, არაფერი სმენია. მალე მას აცნობეს, რომ თავისი შვილები აღსაზრდელად პეტერბურგს უნდა გაეგზავნათ და რუსეთის არმიის შესავსებად სამხედრო სასწავლებელში გაემწესებინათ. აღნიშნულ სასწავლებლებში გაიგზავნენ დედოფლის შვილები ილია, ოქროპირი, ჯიბრაილი. დედოფალს მარტო უმცროსი ვაჟი ირაკლი დაუტოვეს: 1832 წლის შეთქმულებამ საქართველოში ერთხელ კიდევ გაახარა დედოფლის გული, რომელშიც ქართველ თავადი-შვილებთან ერთად მისი შვილი ოქროპირიც ერია, მაგრამ ეს შეთქმულება მარცხით დამთავრდა.

1811 წელს პეტერბურგში რვა წლის ტყვეობის შემდეგ დედოფალი მარიამი გაანთავისუფლეს, მას დართეს ნება მოსკოვში ეცხოვრა თავის ოჯახთან. იმ დროს მოსკოვში საფრანგეთის რევოლუციის ექო მძლავრად ისმოდა. ნაპოლეონ ბონაპარტზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. მოსკოვში გადახვეწილი მარიამ დედოფალი და მისი შვილები. ნაპოლეონი რუსეთის დედაქალაქ მოსკოვს უახლოვდებოდა თავისი ძლევამოსილი არმიით და დედოფლის გული სიამით ძგერდა, რადგან მას იმედი ჩაესახა, რომ დაიბრუნებდა ნაპოლეონის შემწეობით თავის დაკარგულ სამშობლოს და ასევე დაკარგულ სიყვარულს — როსტომ აბაშიძეს. იგი დარწმუნებული იყო, რომ ნაპოლეონის გვერდით აუცილებლად იქნებოდა მისი ერთგული მეგობარი როსტომ აბაშიძე, რომელიც მას ტყვეობიდან დაიხსნიდა და სამშობლოსა და გვირგვინს დაუბრუნებდა. საქართველოდან უკვე მოისმოდა ზარის ხმა. ერეკლეზე შეფიცული კახეთი დაირაზმა და იქ ალექსანდრე ბატონიშვილი ბაგრატიონთა ძველ დროშას აფრიალებდა.

ასეთ დროს დედოფალი მოსკოვს ვერ დარჩებოდა. ერთის მხრივ დარწმუნებული იყო, რომ ნაპოლეონი მოსკოვს აიღებდა და ალბათ სასურველი იქნებოდა შეგებებოდა მის

მხსნელს ნაპოლეონსა და როსტომ აბაშიძეს, მაგრამ მეორეს მხრივ საქართველო თავის დედოფალს ეძახდა. მისი გამოჩენა ბრძოლის ნახევრად გამარჯვებას უდრიდა. დედოფალი ჩუმად გაემგზავრა შვილებით საქართველოსკენ, მაგრამ ეს იმედები გაუცრუვდა, რადგან ნაპოლეონმა მართლა აიღო მოსკოვი და დაამარცხა ბოროდინოს ბრძოლაში რუსეთის არმია, მაგრამ რუსეთის ზამთრის დამარცხება ვერ შეძლო და თავის ერთგული გვარდიით უკან საფრანგეთში დაბრუნდა. ასევე განუხორციელებელი აღმოჩნდა საქართველოში რუსეთის ხელისუფლების დამარცხება. ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში გაიხიზნა, კახეთის აჯანყება დამარცხებული იყო. ამ ცნობამ მარიამს ასტრახანთან მოუსწრო და იგი კვლავ მოსკოვში დაბრუნდა. მარიამი ერთერთი მონაწილე და თანამგრძნობი იყო 1832 წლის შეთქმულებისა საქართველოში. მას დედოფლის ვაჟი ოქროპირი მეთაურობდა. როდესაც შეთქმულება გასცა იასე ფალავანდიშვილმა, შეთქმულები დაკითხეს და მათ არ გასცეს დედოფალი მარიამი.

1841 წელს დედოფალი მარიამი მოსკოვში ინახულა ისტორიკოსმა სულხან ბარათაშვილმა, რომელმაც მას მწარე სინამდვილე აცნობა, რომ როსტომ აბაშიძე იმ საბედისწერო შეტაკებაში დაიღუპა. ამ საშინელმა ამბავმა დედოფალი დაამწუხრა და ის უკანასკნელი იმედიც ჩაუქრა, რომლითაც სულდგმულობდა.

იდგა 1850 წლის 15 მარტი. საქართველოს უკანასკნელი დედოფალი 82 წლისა იყო, მას როგორც იქნა დართეს ნება საქართველოში დაბრუნებულიყო. იგი საგანგებოდ ემზადებოდა დასაბრუნებლად. და აი მან კიდევ ერთხელ გადავლოთვალი თავის წარსულსა და საქართველოს ისტორიას ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ამ პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა. თვით მარიამის მსოფლმხედველობის თვალსაზრისიც. იგი ცხადად ხედავდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და სახ-

ელმწიფოებრიობა, გადაიქცა იგი რუსეთის კოლონიად და გუბერნიად. აშკარა იყო ამ მოვლენის დადებითი მხარეც.

1826 წელს დაიწყო რუსეთ-ირანის ომი. ამ სახელ-მწიფოსთან დადებული ზავით რუსეთმა შემოიერთა ერევნისა და ნახიჭევანის სახანოები. საქართველოს სამხრეთ საზღვრის ეს ნაწილი უვნებელყოფილ იქნა. მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა 1828 წელს დაწყებულ რუსეთ-ოსმალეთის ომს. 1829 წელს ოსმალეთთან დადებული ზავით რუსეთმა შემოიერთა ძველი ქართული ქალაქები — ფოთი, ახალციხე და ახალქალაქი. აგრეთვე ძველი სამცხე-საათაბაგოს ათი რაიონი — ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ხერთვისის, ქვაბლიანის, აბასთუმანის, ჭაჭაოქისა, ფორცხვისა და ჩილდირისა.

1829 წლის ზავმა დაადასტურა მეფის რუსეთის ბატონობის განმტკიცება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ოსმალეთი საბოლოოდ განიდევნა მდ. ყუბანისა და მდ. ჩოლოხის შუა მდებარე სანაპიროდან. ოსმალეთის სახელმწიფო ძველებურად უკვე ველარ დაემუქრებოდა კავკასიის ხალხებს.

ომის დასრულების შემდეგ 1830 წელს რუსთა და ქართველთა რაზმებმა საბოლოოდ შემოიერთეს ჭარ-ბელაქანი, სადაც აგრეთვე რუსული მმართველობა გავრცელდა. ამით ბოლო მოედო ჭარის გზით დაღესტანში მტაცებლურ თავდასხმებს ქართლ-კახეთში. ჭარ-ბელაქანში რუსეთის მთავრობამ დიდად შეამსუბუქა ლეკური მუსლიმანური ზედაფენის მიერ დამონებული ქართველთა ტომის — ინგილოების მდგომარეობა.

ამრიგად, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების დღიდან თითქმის მესამედი საუკუნის მანძილზე საქართველოს მიწა-წყალი და ქართველობა ძირითადად გაერთიანდა რუსეთის იმპერიის მფლობელობაში. გაირღვა საქართველოს მტრული გარემოცვა და უდიდესი მსხვერპლის ფასად, ჩვენი ქვეყანა თანდათანობით გამოვიდა მშვიდობიანი განვითარების

გზაზე. დედოფალი იმედოვნებდა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა, ის დრო არ იყო გვიან, როდესაც რუსეთის დახმარებით თურქეთთან გაასწორებდა ძველ ანგარიშს საქართველო და შემოიერთებდა სამხრეთ-დასავლეთის მნიშვნელოვან ნაწილს. აი ასეთი ფიქრები ამოძრავებდა დედოფალს, ასეთი ანალიზის საშუალებას დედოფალს აძლევდა ის ცნობები, რომლებიც საქართველოს შესახებ მოჰკონდათ მოგზაურებს და ვაჭრებს, რომლებიც დედოფალს ნახულობდნენ.

ამ ფიქრებში იყო დედოფალი, როდესაც გაახსენდა 6. ბარათაშვილის ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, სადაც იგი იზიარებდა იმ დიდ მოვლენებს, რომლებიც იმ პერიოდში ხდებოდა საქართველოში.

„ან არღა ერჩის ქართლის გულს კასპიის ღელვა,  
ვეღარ ურყევს მის განსხვავებას მისი აღტყველვა;  
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა  
მოსისხლე მტერთა,  
ან მოგვიგვრიან მრავლის მხრით ჩვენთა მოძმეთა!“.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოსახლეობა 700 ათას შეადგენდა, 1859 წლისათვის კი იგი ერთ მილიონ-ამდე გაიზარდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად აყვავდა საქართველოს კულტურა, ლიტერატურა.

ახალი აზრებითა და ფიქრებით მოქმებავრებოდა სამშობლოში საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი, მაგრამ მუხანათია წუთისოფელი 1850 წლის 30 მარტს დედოფალი 10 საათზე ქალაქ მოსკოვში 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას საქართველოს ნახვა ვეღარ ეღირსა. მისი ნაშთი დიდი პატივით წამოასვენეს საქართველოში და იგი დაკრძალეს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში მეუღლის გიორგი XII-ის გვერდით.

## მინურულის მინურულის საქართველოში ახალი ეკონომიკური ურთიერთობა მტკიცედ იკიდებდა ფეხს. აღნიშნული საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი შედეგები მოჰყვა. კერძოდ, ფეხს იკიდებდა საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობა, რომელიც პროგრესული მოვლენა იყო. ეს გამოიხატებოდა საქართველოში რკინიგზების მშენებლობით, სატრანსპორტო გზების გაყვანით, რომლებმაც ერთმანეთს დაუკავშირა საქართველოს სხვადასხვა მხარეები. განვითარდა ვაჭრობა, გაჩნდა კერძო სავაჭრო ორგანიზაციები! განვითარდა ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთთან და სხვა ახლომდებარე სახელმწიფოებთან. რუსეთი დაინტერესებული იყო შავი ზღვით, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით. ამას მოჰყვა საქართველოში საპორტო ქალაქების განვითარება. კერძოდ ბათუმის, ფოთის, სოხუმი. ვითარდებოდა როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ფლოტი.



მე-19 საუკუნის მინურულს საქართველოში ახალი ეკონომიკური ურთიერთობა მტკიცედ იკიდებდა ფეხს. აღნიშნული საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას, როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი შედეგები მოჰყვა. კერძოდ, ფეხს იკიდებდა საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობა, რომელიც პროგრესული მოვლენა იყო. ეს გამოიხატებოდა საქართველოში რკინიგზების მშენებლობით, სატრანსპორტო გზების გაყვანით, რომლებმაც ერთმანეთს დაუკავშირა საქართველოს სხვადასხვა მხარეები. განვითარდა ვაჭრობა, გაჩნდა კერძო სავაჭრო ორგანიზაციები! განვითარდა ეკონომიკური ურთიერთობა რუსეთთან და სხვა ახლომდებარე სახელმწიფოებთან. რუსეთი დაინტერესებული იყო შავი ზღვით, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობით. ამას მოჰყვა საქართველოში საპორტო ქალაქების განვითარება. კერძოდ ბათუმის, ფოთის, სოხუმი. ვითარდებოდა როგორც სამოქალაქო, ასევე სამხედრო ფლოტი.

ბავშვობაში მახსოვს გაოცებული შევცექროდი ბათუმში შემოსულ სხვადასხვა ქვეყნების დიდ სავაჭრო გემებს. ოცნებად მქონდა გადაქცეული ასეთი გემით მგზავრობა. რავიცოდი, რომ იმ დროისათვის აუხდენელი ოცნება, რეალურად იქცეოდა და ასეთი გემით მომიხდებოდა მოგზაურობა შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში.

დრო სწრაფად გადიოდა და ვცდილობდი ჩემი ცხოვრების ეს ღამაზი მონაკვეთი ნაყოფიერად გამომეყენებინა და რაც შეიძლება მეტი ცოდნა შემეძინა. თითქოს შინაგანად ვგრძ-

ნობდი, რომ ცოდნა ყოველთვის გამომადგებოდა. ამაში ოჯახიც მიწყობდა ხელს, მშობლები პედაგოგები მყავდა. სკოლა წარჩინებით დავამთავრე. სკოლის პერიოდში ბევრს ვკითხულობდი კლასგარეშე ლიტერატურას. განსაკუთრებით სათავგადასავლო უანრის ნაწარმოებებს. მიყვარდა სპორტი და ნადირობა. სოფელში რომ ჩავიდოდი ბაბუასთან ერთად დავდიოდი სანადიროდ, საიდანაც — ჩვენს მეძებარ ძალლთან ჯეკისთან ერთად ხელცარიელი არასოდეს ვბრუნდებოდით, ხან კურდღელს მოვინადირებდით, ხან მელას, ხან კაკაბსა და მწყერს. მაგრამ მთავარი ჩემთვის ნადირობა არ იყო, უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენებოდა ბუნებასთან სიახლოვე. მდინარეები და ტყე მიზიდავდა თავისი იდუმალებითა და სიმდიდრით. მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეეძლო დაენახა იქ მჩქეფარე სიცოცხლე, ერთი დანახვით ჩუმ, დაბურულ ტყეში როგორ ბობოქრობდა სიცოცხლით სავსე სამყარო. ხშირად წამოვწებოდი ხოლმე ხის ქვეშ და ვუსმენდი ტყის იდუმალ ხმას, თითქოს მეძახდა თავისკენ. ტყე სიხარულსა და მხნეობას მმატებდა, მაგრამ უფრო მეტად ზღვა მიზიდავდა. ზღვა სულ სხვა იყო, ის ტყესთან შედარებით უსასრულო სილამაზითა და საიდუმლოებით იყო მოცული, ვერასოდეს მივხვდებოდი თუ რა იმალებოდა მის სილრმეში. ტყეში თუ ყოველივეს მიგნება შეიძლებოდა, ზღვაში ამას ვერ გააკეთებდი.

იყო აგრეთვე სხვა რამ, რომელიც არანაკლებ მაღლვებდა. ვის არ გამოუკდია სიყვარულის გრძნობა ყმანვილკაცობაში, ამ ნეტარებამ ჩემდა საუბედუროდ მეც არ ამიარა გვერდი და შემოიჭრა ცხოვრებაში, როგორც მძლავრი ნაკადი სიცოცხლისა და სიხარულისა. მთელი ცხოვრება ანთებული ჩირალდანივით მინათებდა გზას ციცინოს სიყვარული. ჩვენ ერთად ვსწავლობდით სკოლაში და აქედან დაიწყო ჩემი სიყვარული. მე-5 კლასში ვიყავი, როდესაც ჩემს კლასში გადმოიყანეს. მამამისი მეტყევედ მუშაობდა ფოთში, გაკოტრების შემდეგ სახლ-კარი გაყიდეს და ბათუმში გადმოვიდნენ

საცხოვრებლად. ციცინოს არაფერი ეტყობოდა გაჭირვებისა, მუდამ სუფთად და ლამაზად ეცვა, გრძელი ნაწნავები ჰქონდა და სახე მუდამ უღიმოდა. სკოლაში წარჩინებით სწავლობდა და სხვასაც ეხმარებოდა. მეგობრობაც გამორჩეული იცოდა, ყველა გაჭირვებულის ტალკვესი იყო, თუმცა მის ოჯახს ყველაზე მეტად უჭირდა. მას ორი და და ერთი ძმა ჰყავდა, უფროსი თვითონ იყო და ოჯახში ყოველთვის ყველაფერში გვერდში ედგა ავადმყოფ დედას, რომელიც ბოლო დროს ლოგინად იყო ჩავარდნილი. მამამისი კი დარდისა და გაჭირვებისაგან სასმელს მიეტანა და ამან უფრო გააუარესა მათი ისედაც გაჭირვებული მდგომარეობა. ციცინო მუდამ თავდაჭერილი იყო, გრძნობდა ჩემს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, სიყვარულს, მაგრამ იგი ჩემთან არ იხსნებოდა. პირიქით, ხანდახან გულჩათხრობილიც კი მეჩვენებოდა. როდესაც მარტო მოვიხელთებდი და სიტყვას მეგობრობასა და სიყვარულზე ჩამოვუგდებდი, მას თვალებში ნაღველი ჩაუდგებოდა და თითქოს ამით მანიშნებდა, რომ მისი მდგომარეობის ადამიანს სიყვარულისთვის დრო არ რჩებოდა. ამ დროს იგი მეტად ლამაზი მეჩვენებოდა. მისი ცისფერი თვალები ზღვასავით უძირო იყო და მასავით ამოუცნობი. ეს უფრო მახარებდა, საოცნებო და სანატრელი იყო — ციცინო და ზღვა. ვერ გამერჩია, რომელი უფრო მიყვარდა ციცინოს ცისფერი თვალები, თუ ცისფერი უძირო ზღვა. ორივე საინტერესო და საიდუმლოებით აღსავსე მეჩვენებოდა და მიზიდავდა. ორივე ძვირფასი იყო ჩემთვის. მინდოდა ორივეს მოვფერებოდი, მაგრამ შეუძლებელი იყო. ვერ ვპოვე რა სათანადო თანაგრძნობა სიყვარულში, ამან უფრო გამახელა, მეტი ძალა შემმატა. წაკითხულიდან ვიცოდი, რომ სუსტი სქესის წარმომადგენელს მხოლოდ ძლიერი მამაკაცი იზიდავს. მშრომელი და ენერგიული, რომელიც არასოდეს არ ყრის ფარხმალს და ცხოვრების რთულ ქარიშხალში მუდამ გამარჯვებული გამოდის.

ადამიანი მომავლის იმედით ცოცხლობს და მეც მქონდა

მომავლის იმედი. სათანადო ცოდნისა და გამოცდილების მიღების შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს ლამაზი გემითა და კაპიტნის ბრჭყვიალა მუნდირით დამშვენებული მივადგებოდი ჩვენს ქალაქს და მაშინ მსოფლიოს ვერც ერთი ქალთაგანი ვერ დამიწუნებდა და ალბათ ციცინოც, ცდუნებას ვერ გაუძლებდა. ამ იმედით თავდავიწყებით გადავეშვი იმ ორომტრიალში, რომელსაც უბრალოდ ცხოვრება ჰქვია თავისი სიხარულითა და თავისი გაჭირვებით, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი მეზღვაური გავმხდარიყავი.

ჩემი თანატოლები და მათი მშობლები დაინტერესებული იყვნენ, რომ რაც შეიძლება სართვიანი პროფესია აერჩიათ ცხოვრებაში. იმ დროს ძალზე პრესტიულად ითვლებოდა ინჟინრობა, ექიმობა, კომერსანტობა. ეს გასაგებიც არის, რადგან ადამიანთა უმეტესობის მიდრეკილება მატერიალური დაინტერესებისაკენ იხრება და ისინი ცდილობენ ცხოვრების დარჩენილი წლები ფუფუნებაში და განცხომაში გაატარონ, დაკმაყოფილონ თავიანთი ფიზიოლოგიური და ეკონომიური მოთხოვნები. ყოველივე ეს ჩემში აღშფოთებას იწვევდა, მეჩვენებოდა და ალბათ არც ვცდებოდი, რომ ცხოვრება უფრო საინტერესო იყო, ვიდრე სიმდიდრე და დროსტარება. ყველაზე დიდ სიმდიდრედ ვთვლიდი ადამიანში იმის შეცნების უნარს, რომ შეუცნობელისკენ ლტოლვის უნარი ჰქონოდა, რათა ჭეშმარიტად ეზიაროს ნამდვილ სიმდიდრეს — უხილავის ნახვას. ასეთად მიმაჩნდა მოგზაურობა ზღვებსა და ოკეანეებში. მაგრამ ისიც კარგად მესმოდა, რომ სათანადო ცოდნის გარეშე შორს ვერ წავიდოდი და გადავწყვიტე ბათუმის საზღვავო სასწავლებელში გამეგრძელებინა სწავლა.

ჩემს ურყევ გადაწყვეტილებას ოჯახში უარყოფითად შეხვდნენ, განსაკუთრებით დედა იყო წინააღმდეგი ერთად-ერთი შვილი ზღვისთვის ენდო, მამა კი საზღვაო საქმის ცოდნაში სათაკილოს ვერაფერს ხედავდა: „საქართველოს სჭირდება მომავალი საუკეთესო მეზღვაურები და კაპიტ-

ნები. დე! ნახოს სხვა ქვეყნებიც, დარწმუნებული ვარ საქართველოზე უკეთესს იგი ვერსად ნახავს და გამოცდილი მეზღვაური უკან დაგვიბრუნდება“. წილი უკვე ნაყარი იყო და დედის კალთას ვერ ამოვეფარებოდი. მე სხვა ბობოქარი ცხოვრება მელოდა.

იმ წელს სკოლა წარჩინებით დავამთავრე და დაუღალავად შევუდექი საზღვაო სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად მზადებას. გამოცდები მკაცრი იყო. სასწავლებელში ირჩევდნენ საზღვაო საქმისთვის შესაფერის ყმანვილებს. ვისაც სათანადო ფიზიკურ მონაცემებთან ერთად კარგად უნდა სცოდნოდა მათემატიკა და რუსული ენა. კონკურსში გავიმარჯვე და კურსანტად ჩავირიცხე საზღვაო სასწავლებელში. სიხარულით შეხვდა ჩემი ოჯახი ჩემს მოწყობას საზღვაო სასწავლებელში, ნაცნობ-მეგობრები მილოცავდნენ.

ერთ დღეს, შემთხვევით ქუჩაში ციცინო შემხვდა, საშინალად დავიბენი, ალარ ვიცოდი რა მეთქვა. უეცარმა შეხვედრამ ამაღლვა, დიდი ხნის ჭრილობა გამიხსნა, რომელიც მიყუჩიებულიყო. მისდამი სიყვარულს გულში საიდუმლოდ ვინახავდი. სწავლითა და ვარჯიშით გრძნობა თითქოს ძალით გავიყუჩე, მაგრამ ეს დროებითი თავის მოტყუება იყო. ჩემი წარმატება ცხოვრებაში მის სახელთან არის დაკავშირებული, იგი მაძლევდა ძალას ცოდნის შესაძენად, მისი სახის წარმოდგენა დიდ ენერგიას მმატებდა კრივში ორთაბრძოლების დროს. იმ დროისათვის ცუდი მოკრივე არ გახლდით და რამდენჯერმე ქალაქის პირველობაშიც კი გავიმარჯვე. მაგრამ ახლა, როდესაც ციცინო დავინახე, ძალა მთლიანად გამომელია და უმწეო მდგომარეობაში ჩავვარდი, ის მიხვდა ჩემს უხერხულობას და შეეცადა გამოვეყვანე მდგომარეობიდან.

- გავიგე შენი წარმატებები სწავლაში, სპორტში და გულით გილოცავ, — ამ სიტყვების შემდეგ თითქოს მხრებიდან ლოდი მომაცილესო, თავისუფლად ამოვისუნთქე.

ხალისი დამიპრუნა მისმა სიტყვებმა, თურმე არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, როგორც მეგონა. მას თურმე ჩემი წარმატებები ახარებდა და იმედი ჩამესახა გულში. მივხვდი, რომ ჩემი სათქმელი უნდა მეთქვა და მოსალოდნელი უნდა მომხდარიყო.

- დიახ, ვუპასუხე მე, — შესაძლებელია, მართლაც რაღაცას მივაღწიე, მაგრამ ეს არაფერია იმ დიდ გრძნობასთან შედარებით, რომლის მოპოვებისათვის ბრძოლაში მე მარცხი განვიცადე.

- რომელ გრძნობაზე მელაპარაკები - მომიგო მან.

- რომელ და შენდამი სიყვარულზე.

- შენ დარწმუნებული ხარ, რომ მარცხი განიცადე, მე ამაში ეჭვი მეპარება?!

- ციცინო, ჩემო ძვირფასო, მივუგე მე და აღტაცებულმა გულში ჩავიკარი.

დრო კი სწრაფად გადიოდა. სასწავლებელში საზღვაო საქმეს გულდასმით ვეკიდებოდი, ცოდნის შეძენის არცერთ შესაძლებლობას არ ვუშვებდი ხელიდან. სწავლის ვადა სამი წელი იყო და მინდოდა ამ ხნის განმავლობაში საზღვაო საქმე კარგად შემესწავლა. სასწავლებლის სასიკეთოდ უნდა ითქვას, რომ იმ დროს მართლაც თავისი საქმის კარგი სპეციალისტები ასწავლიდნენ. სამმა წელმა სწრაფად გაირბინა და მე ახლა უკვე ახლად გამომცხვარი შტურმანი ვიყავი.

ამ ხნის განმავლობაში ჩემსა და ციცინოს შორის დამოკიდებულება არ შეცვლილა, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, კინოსა და თეატრს არ ვიკლებდით. ჩვენ პირობა გვქონდა მიცემული ერთმანეთისათვის, როდესაც გემზე სამუშაოდ მოვეწყობოდი მაშინ უნდა გვექორწინა. უმუშევარი დიდხანს არ გავჩერებულვარ, რადგან პორტში საზღვაო გემები ბევრი იყო, ხოლო — ჩემი სპეციალისტის ახალგაზრდები კი ცოტა.

თავდაპირველად პატარა სავაჭრო გემზე დავიწყე მუშაობა, რომელსაც ტვირთი ბათუმიდან თურქეთის სხვადასხვა

საპორტო ქალაქებში გადაჰქონდა. გემი რუსეთ-თურქეთის ერთობლივ კომპანიას ეკუთვნოდა ამიტომ სურსათ-სანო-ვაგე არ გვაკლდა, ხოლო ჩასაცმელი და სასმელი თურქე-თიდან შემოგვქონდა. კომპანია მოვებას ნახულობდა და ხელფასი სათანადო გვქონდა. სახლშიც ყველა კმაყოფილი იყო, დედა აღარ წუნუნებდა. ოჯახის რჩენა ძირითადად მე დამამავა. მამა ხშირად ავადმყოფობდა და აღარ მუშაობდა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ ჩემს მოუსვენარ ბუნებას შავი ზღვა აღარ აკმაყოფილებდა. თვალი და გული შორეულ ზღვებსა და ოკეანეებზე მეჭირა, ერთი სული მქონ-და ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები გამევლო და ხმელთაშუა ზღვის გავლით გიბრალტარის სრუტით ატლან-ტიკის ოკეანეში მოვხვედრილიყავი. თუმცა ამის შესრულება არც ისე ადვილი იყო, მაგრამ მე ბედი მწყალობდა.

ერთ დღეს ბათუმში დიდი სავაჭრო გემი შემოვიდა, გემი ინგლისის კომპანიას ეკუთვნოდა, მან ხორბალი შემოიტანა, რომლის დაცლასა და ახალი საქონლით დატვირთვას ორი კვირა მაინც დასჭირდებოდა. ამ ხნის განმავლობაში რაღაც უნდა მეღონა და გემზე სამუშაოდ მოვწყობილიყავი. ჩემი ნაცნობებისა და დამტვრეული ინგლისურის წყალობით გემზე აღმოვჩნდი, მეზღვაურებს გავესაუბრე, როდესაც გავაგებინე ჩემი სურვილი, რომ მათ გემზე მსურს მუშაობა, მათ სიცილი დამაყარეს და ამიხსნეს, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან კონტრაქტით მუშაობდნენ, რომელიც ინგლის-ში იყო დადებული და სათანადოდ გაფორმებული. ყველა ადგილი სამწუხაროდ შევსებული იყო. რა გაეწყობოდა, გულდანყვეტილი დავბრუნდი პორტში. ლუდხანაში შევედი და მეგობრებთან ერთად შევექეცი ლუდს.

- რას ჩამოგტირის ცხვირ-პირი, — მითხრა ჩემი გემის კაპიტნის თანაშემწემ, მაშ არ გვინდიხარო მაგ ინგლისელმა ცინგლიანებმა.

- ჩვენ კონტრაქტით ვმუშაობთ და შენი აყვანა შეუძლებელიაო, — ვუპასუხე მე.

- გინდა ერთი ხერხით ვცადოთ შენი გემზე მოსახვედრად, — მითხრა მან.

- ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ იქ სამუშაოდ მოვხვდე, — ვუპასუხე მე.

- მაგრამ თუ მოხვდი იქ სამუშაოდ, ერთი თხოვნა უნდა შემისრულო.

დაუფიქრებლად ვუპასუხე, — კი შეგისრულებ.

- მაშინ მისმინე, — მითხრა ძია სერგომ. მაგ გემის კაპიტანი ირლანდიელი სმიტია ძველი ზღვის მგელი, მე მას კარგახანია ვიცნობ. პირველად დიდი ხნის წინ შევხვდი ბათუმში. ამ შეხვედრის ნიშანი ახლაც მატყვია მარცხენა თვალის არეში ნაჭრილობევი მაჩვენა. ეს მან დამამჩნია, როდესაც აქ ორთაბრძოლაში შევხვდი. იგი კრივის დიდი მოყვარულია და წარსულში კარგი მოკრივე იყო. ამჟამად მის შვილს ლონდონში დიდი სპორტული კლუბი აქვს და ნიჭიერ მოკრივეებს იწვევს სხვადასხვა ქვეყნებიდან, შემდეგ კი სარფიანი გარიგებებით გამოჰყავს საბრძოლველად.

- მერე მე რა კავშირი მაქვს მასთან, — გულუბრყვილოდ ვიკითხე.

- სულელო, ნუთუ ვერ ხვდები?!

- ვერა, — ვუპასუხე მე.

- როგორ, განა შენ მოკრივე არა ხარ, კარგად მახსოვს შენი ლამაზი ორთაბრძოლები, იქნებ აჩვენო შენი მუშტის ძალა, ამ ცინგლიან ინგლისელებს. შეიძლება მოეწონო კაპიტან სმიტს და აგიყვანოს გემზე სამუშაოდ. მას უყვარს ძლიერი ბიჭები, ან შეიძლება თავის შვილის სპორტულ კლუბში ჩაგრიცხოს მოკრივედ.

- მე მეზღვაური ვარ და არა მოკრივე.

- სულელო, განა ყველა მეზღვაური მოკრივე არ არის?! ერთი სიტყვით გადაწყვიტე. მე კარგი რჩევა მოგეცი.

- მერე და როგორ შეიძლება ვაჩვენო ჩემი ბრძოლა სმიტს.

- ეს ადვილი საქმეა — მიპასუხა მან. სმიტსა და მის მეზღვაურებს ბათუმის ერთ-ერთ რესტორანში უყვართ

დღოსტარება და არ მგონია ძველ ჩვევას ულალატონ. ხორბლის გადმოტვირთვას დაამთავრებენ თუ არა, აუცილებლად მივლენ იქ. და ჩვენც იქ დავხვდეთ. მე სმიტს წინასწარ გავაფრთხილებ შეხვედრის შესახებ. დანარჩენი კი შენ იცი და შენმა მარჯვენამ.

- თანახმა ვარ — ვუპასუხე მე.
- მეტოქეს თვით სმიტი შეგირჩევს, მე რესტორნის პატრონს გავაფრთხილებ. რომ ხელი არ შეგვიშალოს. ხვალ რესტორან „ვარძიასთან“ იყავი სმიტი იქ აუცილებლად მოვა. თუ ორთაბრძოლა მოიგე, სმიტი თავის გემზე აუცილებლად აგიყვანს სამუშაოდ, ეს შენი ორთაბრძოლის პირობა იქნება.

სახლში აღელვებული დავბრუნდი. ადგილს ვერ ვპოულობდი. მართალია, კრივი მიყვარდა და რამდენიმე წელი ვვარჯიშობდი ქალაქის სპორტ-კლუბში და ცუდი შედეგებიც არ მქონდა, მაგრამ ეს წარსულში იყო და ბოლო რამდენიმე წელი კრივის ხელთათმანებს არ გავკარებივარ. მეორე დღეს ადრე ავდექი, თავს მხნედ ვერძნობდი. ჩავიცვი სპორტული ფორმა და ქალაქის პარკს რამდენჯერმე შემოვურბინე. შემდეგ სპორტ-კლუბში შევიარე, სადაც ყოველთვის გულლიად მხვდებოდნენ ძველი მეგობრები. მათთან რამდენიმე ხანს კარგად ვივარჯიშე. ვიგრძენი, რომ ცუდ ფორმაში არ ვიყავი და ორთაბრძოლას ნებისმიერ მონინაალმდეგესთან შევძლებდი. ჩემს ყოფილ მწვრთნელს გავუმხილე ყოველივე და მან რამდენიმე სასარგებლო რჩევა მომცა: - ბრძოლა შესაძლებელია ხელთათმანების გარეშე ჩატარდეს. ამ შემთხვევაში კარგი იქნება თუ თავს მიუშვებ დაცვის დროს. ამით მას თითებს დაუზიანებ, რის შემდეგ შენ ბრძოლა გაგიადვილდება, შემდეგ ეცადე დაცვა გაარღვიო და ერთი ძლიერი დარტყმით მონინაალმდეგე ძირს დასცე. მეც შენთან ერთად ვიქნები იქ.

მე დავთანხმდი.

დანიშნულ დრომდე რამდენიმე საათი რჩებოდა და ქალაქში გასეირნება მომინდა. მზე საამურად მიჭვრეტდა და მეალ-

ერსებოდა. ზღვის პირას გავედი და სკამზე ჩამოვჯექი, იდუ-  
მალი ძალით ვგრძნობდი, რომ დღეს მნიშვნელოვანი მოვლე-  
ნა მოხდებოდა, რაც ძირფესვიანად შეცვლიდა ჩემს ცხოვრე-  
ბას. ვგრძნობდი, რომ გავიმარჯვებდი, ზღვას გავხედე  
თვალუწვდენელი სივრცე საოცრად მიზიდავდა. პორტში  
ამაყად იდგა ინგლისის გემი, რომლითაც მგზავრობას ვოც-  
ნებობდი. ამის ახდენა კი მხოლოდ გამარჯვებით შეიძლე-  
ბოდა. გამარჯვება უნდა მომეპოვებინა, რადაც უნდა დამჯ-  
დომოდა. ციცინოს სახლისაკენ გავეშურე. თან მიმდიმდა  
მასთან შეხვედრა, რადგან მას დედა ახალი გარდაცვლილი  
ჰყავდა, მიმდიმდა იმიტომაც, რომ მასთან განშორება მომინ-  
ევდა, რაც ორივესთვის გულდასაწყვეტი იქნებოდა. მაგრამ  
ჩვენი მომავლისთვის ეს აუცილებელი იყო, რადგან ასე მეგ-  
ონა ჩემი გამგზავრებით გარკვეულ კაპიტალს დავაგროვებ-  
დი და მივხედავდი ოჯახს, რომლის მთელი სიმძიმეც მე და-  
მაწვა, რადგან მშობლები არ მუშაობდნენ. შევქმნიდა ახალ  
ოჯახს ციცინოსთან ერთად და არაფერი დაგვაკლდებოდა.

იგი თავის სახლის ზღურბლთან შემხვდა თითქოს მელო-  
და, თვალებში შემხედა თუ არა თითქოს ყველაფერს მიხვდა.

- მოხდა რამე? - მკითხა მან.

- მოხდა,- ვუპასუხე მე. მოხდა ძვირფასო ის, რომ ჩვენდა  
სასიკეთოდ გადავწყვიტე დიდ გემზე მოვეწყო სამუშაოდ.  
გემი ინგლისის დიდ სავაჭრო კომპანიას ეკუთნის, იქ მოხვე-  
დრა არ არის ადვილი. ამისათვის ბრძოლა დამჭირდება.

- რა ბრძოლა?- მკითხა მან.

- ორთაბრძოლა კრივში, თუ გავიმარჯვე, კაპიტანი  
მიმიღებს სამუშაოდ თუ არადა მაშინ განწირული ვარ. ორ-  
თაბრძოლა დღეს უნდა შედგეს საღამოს 6 საათზე, მშობ-  
ლებმა არაფერი იციან, ჯერჯერობით ყველაფერი საიდუმ-  
ლოდ უნდა შევინახოთ. ციცინო, ამას ჩვენი მომავლისათვის  
ჩავდივარ, რათა უზრუნველვყო ჩემი და შენი მომავალი.

- იმ გემზე ჩემი ადგილი არ მოიძებნება, ნეტავი მეც  
შენთან ერთად წამოვიდოდე.

- ეს შეუძლებელია, მაგრამ ორთაბრძოლაზე შენი ყოფნა ძალას შემმატებს.

- აუცილებლად წამოვალ — მიპასუხა მან. და თუ ეს გამარჯვება ჩვენ ბეჭნიერებას მოგვიტანს, მე მზად ვარ დაგელოდო მთელი ცხოვრება.

6 საათზე დანიშნულ ადგილზე ვიყავი. ჩემი მეგობრები იქ დამხვდნენ. ციცინოც ჩემთან იყო. ძია სერგო და ჩემი ყოფილი მწვრთნელიც იქ იყვნენ ლამაზად გამოწყობილები. სულ მალე ინგლისელი მეზღვაურებიც გამოჩნდნენ. შუაში მათ მაღალი, ჩაფსკვნილი კაცი მოუძღოდა, ჭაღარა თმებით, სახენაირევი, ორმოცდათ წელს მიტანებული. ეს არის კაპიტანი სმიტი მითხრა ბოცმანმა. ჩვენ რომ გაგვისწორდნენ ბოცმანმა იგი შეაჩერა და დამტვრეული ინგლისურით აუხსნა მას საქმის ვითარება, შემდეგ ძია სერგომ ჩემზე მიუთითა და დაარწმუნა, რომ კრივში ნებისმიერის გამოწვევას მივიღებდი. და ჩემი პირობებიც გააცნო. კაპიტან სმიტს გაეცინა და ძია სერგოს მეგობრულად დაჰკრა მხარზე ხელი. შემდეგ მე შემომხედა, მომიახლოვდა, ამხედ-დამხედა და ბოცმანს მიუგო, რომ თანახმა იყო. ერთი საათის შემდეგ ქალაქებარეთ სკვერში დაგვინიშნა შეხვედრა.

დათქმულ დროს ყველანი სკვერში შევიკრიბეთ. მანქანა გაჩერდა და იქიდან სმიტი გადმოვიდა. ჩემი მოწინააღმდეგე გადმოსვლას არ ჩქარობდა, სმიტმა ბრძოლის ადგილი დაათვალიერა. საკმაოდ ფართე და სუფთა მინდორი ჩანდა. გადაწყვიტა ორთაბრძოლა აქ ჩატარებულიყო, პირობები კვლავ დავაზუსტეთ. შემდეგ სმიტმა ანიშნა მანქანაში მყოფთ, რომ მისი მოკრივე მომზადებულიყო ორთაბრძოლისათვის. მანქანიდან გადმოვიდა საკმაოდ მაღალი და ათლეტური აგებულების ინგლისელი მეზღვაური. სპორტული მაისური გაიძრო და ჩემს პირისპირ აღმოჩნდა. ბრძოლის ნიშანზე იგი სწრაფად წამოვიდა შეტევაზე და მუშტების კორიანტელი დამაყარა. იძულებულ დაცვაზე გადავედი, მინდოდა დამეღალა მოწინააღმდეგე, რამდენჯერმე თავი

მიუშვირე, რის შედეგად მან რამდენიმე თითო დაიზიანა. ამას მოჰყვა მისი შეტევების შესუსტება მის დარტყმებს სიძლიერე დაეკარგა: დადგა ჩემი მოქმედების დრო. ჩემი მომავალი ხომ ამ პრძოლაზე იქო დამოკიდებული რაც ძალას მმატებდა მის მოქნეულ მარჯვენას დასაცავად ჩემი მარცხენა ხელი დავუხვედრე, ხოლო მარჯვენა რაც ძალა და ღონე მქონდა სახეში მოვუქნიე. მართალია, შეეცადა თავი დაეცვა, მაგრამ დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მოწინააღმდეგე მაგრად შებარბაცდა, მეც აღარ დავაყოვნე და დარტყმა რამდენჯერმე გავიმეორე. იგი ბალახზე გაშელართული აღმოჩნდა, წამოდგომა გაუჭირდა. მაგრამ მაინც ადგა. იგი ღრმა ნოკაუტში იყო და მეორედ დაგდება არ გამიჭირდა, იგი მეორეჯერაც წამოდგა. ვგრძნობდი, გამარჯვება ახლოს იყო. ამით გათამამებულმა დაცვა დავივიწყე და სახეგახსნილი ვეკვეთე მეტოქეს საბოლოო გამარჯვებისთვის, მაგრამ მისმა ძლიერმა შემხვედრმა დარტყმამ მიწაზე გამშელართა, დარტყმა ძლიერი აღმოჩნდა და ადგომას არ ვჩქარობდი. ციცინოსკენ გავიხედე მის ლამაზ თვალებს წავაწყდი, რომელიც ცრემლებს დაენამათ. მისმა თვალებმა ძალ-ღონე დამიბრუნა, სწრაფად წამოვხტი და საბრძოლველად მოვემზადე. ვგრძნობდი, რომ მოწინააღმდეგე ღონეს იკრეფდა და და დავყოვნება არ შეიძლებოდა. თავის დაცვა აღარ მავიწყდებოდა, ხოლო ჩემი ძლიერი დარტყმებით მეტოქე თანდათან სუსტდებოდა, ერთ წამს მან ხელები დაუშვა და მეც არ დავაყოვნე. ჩემმა ძლიერმა დარტყმამ იგი მესამედ და საბოლოოდ დასცა ძირს, რის შემდეგ ვეღარ წამოდგა.

მეორე დღეს, უცხოური გემი ბათუმიდან გაშლილ ზღვაში გავიდა. ვიყურებოდი გემის ბაქნიდან და სიტყვის უთქმელად ვემშვიდობებოდი ჩემს ქალაქს, ბავშვობას, ახლობლებს, ჩემს ციცინოს. წინ თვალუწვდენელი წყლის სივრცე გადაშლილიყო, რომელიც მოულოდნელობით აღსავსე იყო. ჩემთვის გაურკვეველი იყო გემის მარშრუტი, მხოლოდ ერთი იყო გასაგები, რომ გემი მალე უცნობ ზღვებსა და ოკეა-

ნეებში ამოყოფდა თავს და მეც საშუალება მექნებოდა დავმტკბარვიყავი ამ სილამაზით.

სახლში არ მითქვამს ჩემი გამგზავრების ამბავი, მხოლოდ წერილი დავუტოვე მშობლებს. იგი ძია სერგოს უნდა გადაეცა ჩემიანებისთვის. მე კი ლონდონში უნდა მენახა ძია სერგოს ნათესავი და წერილი გადამეცა, ეს მისი პირობა და თხოვნაც იყო.

გემი კი ზღვის ტალღებს მიაპობდა გზა შორი გვერდა, როგორც შევიტყვე ბოსტორისა და დარდანელის სრუტეების გავლით ხმელთაშუა ზღვა უნდა გადაგვეკვეთა და პორტ საიდში ტვირთის აღების შემდეგ სუეცის არხის გავლით გზა ფილიპინების კუნძულებისაკენ გვერდა. გემის ეკიპაჟს მალე დავუმეგობრდი და ყველასათვის სასურველი სტუმარი გავხდი. თვით ჩემი მოწინააღმდეგე ახმახი ჯეკიც კი თბილად და მეგობრულად მეპყრობოდა.

მგზავრობა მშვიდობიანად, უხიფათოდ მიმდინარეობდა. მხოლოდ როდესაც არაბეთის ზღვაზე გავედით, იქ საშინელმა ქარიშხალმა მოგვისწრო. ცხოვრებაში პირველად ვიხილე წყლის საოცარი გაშმაგება და სიძლიერე. მიუხედავად იმისა, რომ „პრიტანია“ საკმაოდ მოზრდილი და ძლიერი გემი იყო, ზღვის ტალღებმა იგი ნაფოტივით აათამაშა, თითქოს მის შთანთქვას ლამობდა. მაგრამ გემი რაღაც უხილავი ძალით კვლავ წყლის ზედაპირზე რჩებოდა. ეს საშინელება სულ ორ დღეს გაგრძელდა და შემდეგ ზღვა უეცრად სრულიად წყნარი და უვნებელი გახდა. მზემ ამოანათა და წყლის ზედაპირი სარკესავით მოიწმინდა.

შრი-ლანკის კუნძულს მივუახლოვდით კოლომბოში სურსათ-სანოვაგე და წყალი ავილეთ. თვით სინგაპური 618 კვ. კილომეტრი ფართისაა, 4 მილიონი მცხოვრებლით. დედა-ქალაქში — სინგაპურში 3 ათასი მცხოვრები იყო იმ დროს, რომელთა 70% ჩინელები შეადგენდნენ. სინგაპურის გავლით გეზი ფილიპინების კუნძულებისაკენ გვერდა. ჩემ ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი პერიოდი იყო ეს. ზღვის

თავისებური არომატი და სურნელი მაღელვებდა და დიდ სიამოვნებას მანიქებდა. მიუხედავად სიცხისა, თავს კარგად ვგრძნობდი. დამხმარე მეზღვაური და კაპიტანი სმიტი სხვადასხვა საქმეს მავალებდა გემზე: ხან გემბანს ვრეცხავ-დი, ხან სამანქანო განყოფილებაში ვეხმარებოდი, ხან რადიოკავშირის განყოფილებაში ვიყავი, ხან სასადილოში. კაპიტანი ხშირად იმეორებდა ინგლისურად, რომ მეზღვაურმა ყველაფერი უნდა იცოდეს. არც-ერთი საქმე არ უნდა ეთაკილებოდეს, თუ უნდა რომ კარგი მეზღვაური გახდეს. მეც ძალ-ღონეს არ ვიშურებდი.

ერთხელ ახმახი ჯონი მოვიდა ჩემთან, რომელთანაც მე ძალზე დავმეგობრდი, მიუხედავად თავისი მარცხისა. ჩემზე წყენა გულში არ გაუვლია, პირიქით, იგი მუდამ მესარჩევ-ბოდა, როდესაც ეს საჭირო იყო. ჩვენ ხშირად ვსაუბრობდით მეგობრულად. მართალია, მე ინგლისურ ენას სათანადოდ ვერ ვფლობდი, მაგრამ ჩვენ მაინც გვესმოდა ერთმანეთის. მან იმ საღამოს ცალკე გამიხმო გემბანზე და მითხრა: ფილიპინებზე რომ მივიდოდით, მანილაში ფილიპინების დედაქალაქში, თურმე ორთაბრძოლები იმართებოდა კრივში, სადაც ფეხის გამოყენებაც დაშვებულია. ეს აღმოსავლეთის ბრძოლების ნაირსახეობაა, მითხრა მან, რომელიც ჩვენთან არ იციან, მაგრამ მეტად გავს კრივს, იმის განსხვავებით, რომ ბრძოლის დროს ფეხის გამოყენება შეიძლება, მაგრამ რაც მთავარია, გამარჯვებულს საკმაოდ დიდ თანხას უხდიდნენ - სამიდან ხუთ ათასამდე. იმის მიხედვით, თუ ვინ ესწრება ორთაბრძოლას, როგორი პოპულარობის მებრძოლები ხვდებიან ერთმანეთს. როდესაც ამ ქვეყანაში ვხვდები, მე შანს ხელიდან არ ვუშვებ და მონაწილეობას ვიღებ ორთაბრძოლებში. ხან მიმართლებს და კარგ ფულს ვაკეთებ, ხან კი ვმარცხდები, მაგრამ უარს ორთაბრძოლაზე არ ვამბობ. ამ ბრძოლებში დამარცხებულსაც არ ტოვებენ უყურადღებოდ, გარკვეული თანხა მასაც ერგება.

- მოიფიქრე, მითხრა ჯონიმ, — თუ მოინდომებ, შენ

შეგიძლია მიიღო მონაწილეობა, ინგლისში უფულოდ ჩასვლა სასურველი არ არის. მართალია, ჩვენი კაპიტანი არ დაგტოვებს უყურადღებოდ, თავის შვილთან მოგაწყობს კლუბში, მაგრამ შენ თავს შენვე უნდა მიხედო, ან რად გინდა იყო მოკრივე, ხომ მეზღვაური ხარ და შენი სტიქია ზღვაა. შენ მხოლოდ იმ პირობით აგიყვანეს გემზე სამუშაოდ, რომ შემდეგ სმიტის შვილთან ლონდონში გემუშავა სპორტკლუბში. გირჩევ ესეთ გადაწყვეტილებაზე ხელი აიღო, რადგან მოკრივეს მძიმე ხვედრი აქვს ცხოვრებაში და ყოველთვის მძიმე შედეგებით მთავრდება. აჯობებს ინგლისში ჩასვლის-თანავე სხვა გემზე დაიწყო მუშაობა ან პროფესია შეიცვალო. მანამდე ფული გჭირდება და ეს ფული შეგიძლია იშოვო მანილაში. მე ცოტა რამ გამეგება ამ სპორტის სახეობაში, თუ თანახმა იქნები, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო, მაშინ ერთად ვივარჯიშოთ. მე დავთანხმდი.

მეორე დღეს შევუდექით ვარჯიშს. ბევრი ახალი ილეთი შემასწავლა ჯონიმ. მან გამიზიარა თავისი მოკრძალებული ცოდნა და გამოცდილება. მანილაში სამი დღე უნდა დავრჩენილიყავით. ჩავედით თუ არა, ჯონი სწრაფად დაუკავშირდა ორთაბრძოლის ორგანიზატორებს. მეორე დღეს მე და ჯონი მანილაში ერთ-ერთ კლუბს ვეწვიეთ. იქ ორთაბრძოლების ორგანიზატორები დაგვხვდნენ. ისინი ძირითადად კორეელი და ჩინელი მწვრთნელები იყვნენ. ახმას ჯონის ისინი იცნობდნენ და მის მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს, ხოლო ჩემზე კატეგორიული უარი განაცხადეს. მათ ეს ახსნეს ჩემი გამოუცდელობით და სწრაფი დამარცხებით, რაც მაყურებლის უკმაყოფილებას გამოიწვევდა. მე სა-სოწარკვეთილებაში ჩავვარდი, უფულოდ მყოფი უცხო მხარეში ვიღაც კაპიტნის იმედით, რომელსაც ინგლისში სავარჯიშო ტომარად ვუნდოდი. რამდენიმე წლის შემდეგ კი, როგორც გამოუყენებელ ნივთს, ისე მომისვრიდნენ სანაგვე ყუთში. ეს დაუშვებლად მიმაჩნდა, საჭირო იყო სწრაფი გადაწყვეტილების მიღება და მეც ჯიქურ მივიჭერი

მწვრთნელებთან. ახმას ჯონის ვთხოვე გადაეთარგმნა, რომ  
მე მოსაცდელ ბრძოლაში ვიწვევდი ნებისმიერ მათ მებრ-  
ძოლს. ჩემმა გაცხარებამ დამაჯერებლად იმოქმედა მათზე  
და ერთ-ერთმა ჩინელმა ოსტატმა მებრძოლის გამოყვანა  
ბრძანა ჩემს წინააღმდეგ. ჩემ წინ ახალგაზრდა იაპონელი  
აიტუზა მე და ჩემი მოწინააღმდეგე პირისპირ აღმოვჩნდით  
რინგზე. იაპონელი ადგილიდან არ იძროდა ჩემ მიახლოვებას  
უცდიდა, მეც გამოუცდელად წინ გავიწიე მისკენ და იმავე  
წუთში ხალიჩაზე გაშხლართული აღმოვჩნდი. ყველამ სიცი-  
ლი დამაყარა, ფეხზე სწრაფად წამოვხტი მან ფეხი იხმარა.  
ფეხით ბრძოლა ჩემი სუსტი ადგილი იყო, მაგრამ დარწ-  
მუნებული ვიყავი, რომ მუშტით ორთაბრძოლაში ვაჯობებ-  
დი. ალღომ არ მიღალატა მისი მუშტის ძალა სუსტი მეჩვენა.  
მთელი ყურადღება მის ფეხებზე გადავიტანე და ძლიერი  
დარტყმისათვის მოვემზადე. ჩემმა სიფრთხილემ გაჭრა. მან  
რამდენჯერმე გაიმეორა ფეხის ილეთი, მაგრამ არაფერი  
გამოუვიდა. ჩემი ჯერიც დადგა. თავს ხელით ბრძოლა  
მოვახვიე, თუმცა მან აქაც საოცარი ოსტატობა გამოიჩინა  
სწრაფად იცდენდა ჩემ მოქნეულ მუშტებს და სამაგიეროსაც  
მთავაზობდა, მაგრამ მისი დარტყმები არ იყო ძლიერი.  
მივხვდი, მის შესაძლებლობები ამონურული იყო. მორიგი  
შეტევის დროს იგი ახლოს მივუშვი და წვიმასავით დამაყარა  
მუშტები, ამ დროს დაცვა მოადუნა, გამოიჩინა თავისი  
დაჯღანული სახე. მეც არ დავაყოვნე და რაც ძალა და ლონე  
მქონდა მუშტი სახეში ვთხლიშე. დარტყმა ძლიერი იყო და  
იგი ზურგზე გაშხლართული აღმოჩნდა, მძიმედ წამოიწია და  
ადგომას არ ჩქარობდა. ვიფიქრე, ალბათ ისვენებს, ძალას  
იკრეფს მეთქი, მაგრამ შევცდი იგი ვერ დგებოდა. მსაჯები  
გაკვირვებული იყვნენ ჩემი ასეთი ძლიერი დარტყმით.  
ბრძოლა შეწყვიტეს. ჯონი ჩემთან მოვიდა და გამარჯვება  
მომილოცა. ცოტა ხნის თათბირის შემდეგ მსაჯებმა ნება  
დამრთეს შეჯიბრებაში მონაწილეობა მიმელო.

მეორე დღეს მე და ჯონი მაიამის ერთ-ერთ ღამის კლუბში

მივედით, მოწინააღმდეგე ჩვენთვის უცნობი იყო. ხელშეკრულებაში, რომელიც ჩვენ დავდეთ შეჯიბრის ორგანიზატორებთან, ნათქვამი იყო, რომ მოგების შემთხვევაში ჩვენ გვერგებოდა 5 ათასი დოლარი, წაგების შემთხვევაში 3 ათასი დოლარი. შუა დღით მე და ჯონიმ კარგად ვისადილეთ გემზე და ქალაქში გავისეირნეთ. ჩვენი მომავალი ბრძოლის შესახებ არავინ არაფერი იცოდა გემზე. შეხვედრა სალამოს 8 საათზე გვქონდა. მაიამი დიდი ქალაქი იყო: ვის არ შეხვდებოდით ევროპელ თეთრკანიანებს, სხვადასხვა ქალაქების ვაჭრებსა და მეზღვაურებს ბუზებივით ირეოდნენ ჩინელები, იაპონელები, კორეელები და ათასი სხვა რჯულის ადამიანები. ლამაზმანებიც ბევრი იყვნენ და ურცხვად გვთავაზობდნენ საკუთარ თავს, რა თქმა უნდა გარკვეული ანაზღაურების საფასურად. მაგრამ ჩვენ ამისთვის არ გვეცალა.

7 საათზე კლუბში მივედით, მისვლისთანავე მსაჯების მითითებით, ტანთ გაგვხადეს და გაგვსინჯეს ბრძოლისათვის მზად ვიყავით თუ არა. შემდეგ შესაფერისი ტანსაცმელი ჩაგვაცვეს, ხელთათმანების მაგივრად უხეში ნაჭრის სახვევები მოგვცეს. გასახდელში ჩვენს გამოძახებას დაველოდეთ. თან რა თქმა უნდა, ერთი თვალი რინგისკენ გვეჭირა. თანდათან გაივსო და გაიჭედა დარბაზი, ტევა აღარ იყო. გასახდელში მონანილენი შემოვიდნენ. გულდასმით ვაკვირდებოდი მათ. ვმარჩიელობდი, თუ რომელი იქნებოდა ჩემი მოწინააღმდეგე. ჩემს მომრევს მათში ვერ ვხედავდი, თითქმის ყველა დაბალი და მსუქანი იყო. 8 საათზე ორთაბრძოლები დაიწყო, გასახდელიდან კარგად ჩანდა რინგი, მსაჯები წინ ისხდნენ რინგთან სპეციალურ სკამებზე, მათ უკან კი მაყურებელი ბობოქრობდა.

თავიდან შეჯიბრი მსუბუქი წონის კატეგორიის სპორტსმენებმა დაიწყეს, მაყურებელი მათ უხალისოდ უყურებდა და დიდ თანხას არავინ ჩადიოდა. შემდეგ წონამ მოიმატა და ინტერესიც გაიზარდა. რინგზე ერთმანეთს ცვლიდნენ სხვადასხვა რჯულისა და ეროვნების ადამიანები. ზოგი იგებდა,

ზოგი აგებდა. ბოლოს მსაჯებმა შესვენება გამოაცხადეს. რინგი ნახევრად შიშველმა ახალგაზრდა გოგონებმა დაამ-შვენეს, ისინი ნაზად ცეკვავდნენ ჩემთვის უცნობი მელოდი-ის ქვეშ. ფილიპინელი ქალები საკმაოდ მიმზიდველნი იყვნენ. შემდეგ ერთ-ერთი ორგანიზატორი ავიდა რინგზე და რაღაც გამოაცხადა. დარბაზი ახმაურდა და ყველა ერთ ადგილს მიაჩერდა. დარბაზს მაღალი კაცი გამოეყო, რინგისკენ გამოემართა, რინგზე მსუბუქად ახტა და სპორტული ხა-ლათი გაიძრო. ათლეტური აღნაგობის ბუმბერაზი ზანგი მაყურებლის წინ წარსდგა. ამ დროს ჩვენთან მენეჯერი შემოვიდა და გვახარა, რომ სწორედ ამ ზანგთან მოგვინევდა ბრძოლა მე და ჯონის. ჯონი საშინლად აღელდა.

- როგორ? — უპასუხა მან, ეს ხომ შარშანდელი ფილიპ-ინების ჩემპიონია, განა ჩვენ შევძლებთ მასთან ბრძოლას.

- რა თქმა უნდა, — გვიპასუხა მენეჯერმა, თქვენ მას ვერ დაამარცხებთ, მაგრამ იგი ცოტას გაივარჯიშებს თქვენთან და შემდეგ ჩემპიონობის პრეტენდენტს შეხვდება.

ყოველივეს მივხვდი, მაგრამ უკვე რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იყო. ჩვენ საზარბაზნე ხორცი ვიყავით და ჩემპიონის გამარჯვება შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგვჯდომოდა. პირველი ჯონი გავიდა და ახმახმა ზანგმა მას საშინელი დღე დააყენა. ჯერ თაგვივით ათამაშა რინგზე, შემდეგ კი ერთი ძლიერი დარტყმით მაყურებლებში მოისროლა. ჯონი ცოცხალ-მკვდარი გაიყვანეს. ჩემი ჯერიც დადგა. მაყურებელი გამარჯვებულს შეძახილებით ამხნევებდა. 20 წლის ვიყავი მაშინ და შიში რა იყო არ ვიცოდი. ცხადად მახსოვს ზანგის დამამცირებელი სახე, როდესაც მე მიხილა. მართლაც, მასთან შედარებით ძალზე სუსტად გამოვიყურებოდი. მას კუნთები ასკდებოდა, ბუღასავით ჩაფსკვნილი იყო. შემომხედა და ზიზლით გადააფურთხა, ასეთმა შეურაცხყოფამ თავმოყვარეობა შემილახა და გადავწყვიტე, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა, ჩემი ძლიერი დარტყმა მასაც ეგემა. ბრძოლა დაიწყო და მან როგორც ჯონის, კატა-

თაგვობანას თამაში დამიწყო. ეს ძალზე ართობდა მას და მაყურებელს, რაც საშინლად მაღიზიანებდა მე. იგი სრული-ად უშიშრად მოიწევდა წინ, სახეს მიჩენდა და დარტყმას მთხოვდა. შემდეგ თითქოს შეეშინდაო რინგის კუთხეში მიიმალებოდა, ასეთმა მისმა საქციელმა ცოტა არ იყოს დამაბნია. მოვინდომე მისთვის სახეში დარტყმა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მას შესანიშნავი რეაქცია ჰქონდა. გადავწყვიტე ხერხი მესმარა, მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ჩემს ძლიერ დარტყმაზე და ჩემგან სახიფათოს არაფერს ელოდა. მეც თავი მოვაჩვენე, რომ არაფერი შემეძლო გარდა მსუბუქი დარტყმისა, რომელსაც ვიყენებდი ჩემთან მისი მოახლოვების დროს. ეს დარტყმები მას რამდენჯერმე სახეში მოხვდა, რაც მასში მხოლოდ ღიმილს იწვევდა. მეც ეგ მინდოდა, ასე შევიჩვიე, რამდენჯერმე გავიმეორე ჩემი სუსტი შეტევა. იგი მომენდო და ხშირად მიხსნიდა სახეს ჩემი სუსტი დარტყმის მისაღებად. ამას ჩემს ასაგდებად და მაყურებლის გასახარად აკეთებდა, მაგრამ ანგარიშში მწარედ მოტყუუდა. ვიგრძენი, რომ თამაში მალე დამთავრდებოდა, იგი წამდვილ შეტევაზე გადმოვიდოდა და აუცილებლად დამჯაბნიდა. ამიტომ უნდა დამესწრო და რაც შემეძლო უნდა გამეკეთებინა, ვიდრე იგი ბოლოს მომიღებდა. ვიცოდი ვერ მოვეროდი, მაგრამ ასე ადვილად ვერ დავნებდებოდი და ძლიერი დარტყმისათვის დავიწყე მზადება ისე, რომ მას არაფერი ეგრძნო. მან მესამედ გაიმეორა თავისი მასხრობა. გამოემართა ჩემსკენ, სახე გამიხსნა და მსუბუქ მოფერებას ელოდა. ჩემსკენ წამოსულსა და მოშვებულს, მისკენ მივარდნილმა, ჩემს პრაქტიკაში ყველაზე ძლიერი დარტყმა მივაყენე, რომელშიც ჩავდე ძალა და სიძულვილი. ასე მეგონა ასეთ დარტყმას ასწლოვანი მუხაც ვერ გაუძლებდა და წაიქცეოდა, მაგრამ ადამიანი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. გაოგნებული შევყურებდი მოწინააღმდეგეს იგი ფეხზე იდგა, არც კი განძრეულა, მაგრამ დამცინავი ღიმილი სახეზე აღარ ეტყობოდა. გონს მოსვლა აღარ ვაცადე და დარტყმა რამდენ-

ჯერმე გავიმეორე. თუმცა დანარჩენ დარტყმებზე რეაგირება მოასწრო. ამ დროს გონგის ხმაც გაისმა, მე ჩემ ადგილს მივაშურე, გაოგნებულმა ზანგის გამძლეობით. მან კი როგორც იქნა გადადგა ნაბიჯი თავის სკამისაკენ, სიარულში დაეტყო, რომ ჩემმა დარტყმებმა მიზანს მიაღწია და შეაზანზარა მოწინააღმდეგე. იგი ძველებურად ველარ დახტოდა. მძიმედ დააბიჯებდა, ასევე მძიმედ ჩაეშვა თავის სავარძელში. ცხადი იყო, იგი გონგმა გადაარჩინა. შეჯიბრის ორგანიზატორები დაიბნენ არ მოელოდნენ ახალბედასაგან ასეთ წინააღმდეგობას. მათ ეს ბრძოლა უნდა მოეგოთ, რადგან ამ შეჯიბრში დიდი თანხები გაიღეს და მე გამარჯვებას, ესე ადვილად არ დამანებებდნენ. გონგს განგებ აგვიანებდნენ. შემდეგ როგორც იქნა დაპკრეს გონგს, ბულა ზანგი მოზვერივით მეტაკა. სადღა იყო მისი დამცინავად მომლიმარი სახე. გამეტებით, მთელი ძალით დამაყარა თავისი უროსავით მძიმე მუშტები. ამოსუნთქვის საშუალება არ მომცა, მას საკმაო ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა იმისათვის, რომ მე დავემარცხებინე. ვიცოდი ასეც იქნებოდა. მაგრამ მე ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი. მის მუშტის დარტყმებს როგორლაც კიდევ გავუძლებდი, მაგრამ როდესაც ფეხს ხმარობდა უძლური ვიყავი. მან იგრძნო და ფეხით შემდგა. ფეხზე ძლივს ვიდექი მაგრამ ბრძოლის შეწყვეტას არავინ აპირებდა. მითუმეტეს, რომ გადარეული მაყურებელი შეძახილებითა და ყვირილით ამხნევებდა ჩემს მოწინააღმდეგეს. ეს ყოველივე მე შეიძლება სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა. ვინ იყო ჩემი მშველელი, ან პატრონი ამ მივიწყებულ მხარეში, ჩემთვის უცხო ხალხში. ჯონი ალბათ სადღაც ცოცხალ-მკვდარი ეგდო. კაპიტანი სმიტი ალბათ არხეინად აბოლებდა თავის ჩიბუხს გემბაზზე. მე კიდე აქ რინგზე მკლავდნენ. ბულა ზანგმა ვერ იქნა და ვერ იჯერა ჩემი ცემით გული. ცხადი იყო, რომ მას ჩემი მოკვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამ გადაწყვეტილებას ასრულებდა, ამაში ხელს არავინ შეუშლიდა. ჩემი მშველელი მხოლოდ ჩემი თავი იყო, როგორმე

უნდა შემეჩერებინა მხეცი, მაგრამ იგი არაფრის საშუალებას არ მაღლევდა, დაუღალავად, გამეტებით მირტყამდა ხელსა და ფეხს ცხვირ-პირში. უკანასკნელად მოვიკრიფე ძალ-ღონე და სახეში მძლავრად ვთხლიშე. მარჯვენა მუშტის დარტყმამ მიზანს მიაღწია, რამდენიმე ხნით შენელდა მისი შეტევა, ოდნავ თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ ეს სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. გონის რომ მოვიდა, სულ გაცეცხლდა, ასე მეგონა, რაღაც მომართული რკინის მანქანა მებრძოდა. მისი შეჩერება შეუძლებელი იყო, თანდათან გონებას ვკარგავდი. ერთ-ერთმა მისმა ძლიერმა დარტყმამ ძირს გამშოტა, ადგომა აღარ მაცალა, მომვარდა, ჰაერში ამიტაცა და მძლავრი ფეხის დარტყმით მაყურებლისკენ მის-როლა. მას შემდეგ არაფრი მახსოვს, გონება დავკარგე.

გონის რომ მოვედი, ვიღაცის ნავში ვიწექი, ხოლო ნავი შუა ზღვაში მიცურავდა. ახლო-მახლო კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. მზე სახეზე მაცხუნებდა ნავში წყლის ქილა აღმოვაჩინე და ხარბად დავეწაფე. წყლით გული რომ ვიჯერე, სანოვაგეც ვიპოვე ნაჭრის ჰარკში. იქვე ანკესი ეგდო. თანდათან გო-ნებას ვიკრეფდი და ვხვდებოდი ჩემი უბედურების მიზეზს, ვიღაცას ჩემი მოცილება უნდოდა. მათ გემით შორს ზღვაში გამიყვანეს შემდეგ ნავში ჩამსვეს და ბედის ანაბრად დამ-ტოვეს. ვიღაც დავთის მოშიშარს ჩემთვის სურსათ-სანოვაგე გაუმეტებია. რაღა უნდა მექნა, მეც მივენდე ჩემ ბედს. ჩემი ორიენტაციით სამხრეთ ჩინეთის ზღვაში უნდა ვყოფილ-იყავი, რადგან მანილადან მხოლოდ ამ ზღვაში აღმოჩნდები და მეც აღმოსავლეთისკენ ავიღე გეზი, მაგრამ შევცდი და უფრო ვშორდებოდი ნაპირს. როდესაც გავერკვიე აღმოვჩნ-დი ფოლინეზიის კუნძულებთან შუაგულში, სადაც ჯერ კიდევ დაუდგენელი და გამოუკვლევი მრავალი კუნძული იყო. ისინი ძირითადად ველური ტომებით იყო დასახლებული. ბედისწერას წინ მივყავდი უცნობ ნაპირებისვენ, თან-დათან ძალა მაკლდებოდა. მესამე დღეს სანოვაგე გამომე-ლია, წყალი გამითავდა. ანკესით ვერაფერს ვიჭერდი,

მეოთხე დღეს ანკესით როგორც იქნა დავიჭირე რაღაც თევზის მაგვარი და გაშმაგებით დავუწყე ჭამა, რამაც წყალი უფრო მომაწყურა. ამის ატანა შეუძლებელი ხდებოდა, ჩემი ძალები ილეოდა. შორს ჰორიზონტზე რაღაც შევნიშნე, ცხა-დად დავინახე ფრინველი, ეს თოლია უნდა ყოფილიყო. ესე იგი ნაპირი ახლოს იყო. მაგრამ იქამდე ვერ მივაღწევდი ამის ძალა არ მეყოფოდა. მალე გონება დავკარგე. გონს რომ მო-ვედი, ჩემს გვერდით უცხო ადამიანები დავინახე. სულ სხვა ნავში ვიწექი და რომელიდაც ნაპირს ვუახლოვდებოდით. გონება კვლავ დავკარგე, გონს ვიღაცის ქოხში მოვედი, თავი სიზმარში მეგონა. ქოხი უბრალო იყო. ბამბუკისა და პალმის ტოტებისგან შეკრული, დიდი ფრინველის ბუდეს მაგონებდა. მე ქოხის კუთხეში ვიწექი თივაზე, რომელზედაც გარეული ნადირის ტყავი ეგდო. ჩემს წინ ანთებულ ლამპით ხელში ნახ-ევრად შიშველი ახალგაზრდა ქალი იდგა და რაღაცას ბუტ-ბუტებდა, ჩემთვის უცნობ ენაზე. თანდათან გონს მოვდიო-დი, გამახსენდა უსასრულო ზღვა და ნავი. მივხვდი, რომ გადავრჩი და რომელიდაც უცხო კუნძულზე ვიმყოფებოდი. მაგრამ რომელზე, ან ეს ლამაზი მულატი ქალი ვინ იყო. თავი წამოვწიე და შევეცადე დალაპარაკება, მაგრამ იმდენად დასუსტებული ვიყავი, რომ მხოლოდ ოდნავ წავიჩურჩულე რაღაც გაუგებრად, ქალს სახეზე ღიმილი დაეტყო და გარეთ გავიდა. ცოტა ხანში ქოხი ველურებით გაივსო. შავკანიანი ველურები გაკვირვებულნი მიყურებდნენ და რაღაცაზე კამათობდნენ. ველურები ნახევრად შიშველები იყვნენ, კისერზე და მკლავებზე მძივები ეკიდათ. მძივები დამზადე-ბული იყო ძვირფასი ქვებისა და ადამიანის კბილებისაგან. მაშ კაციჭამიებთან მქონია საქმე, გავიფიქრე მე. ალბათ ჩემი დღეებიც დათვლილი იყო, მაგრამ ველურები ჩემ შეჭმას რატომდაც არ ჩქარობნენ. ჩემი ყურებით გული რომ იჯერეს, უცბად სადღაც გაქრნენ. დარჩა მხოლოდ სამი ქალი ერთ-ერთი იყო ის მულატი ლამაზი ქალი. წამოვიწიე ასადგომად, მაგრამ ღონე არ მყოფნიდა, კიდურები არ მემორჩილებოდა

და საშინლად მტკიოდა. ქალები კი ჩემს ირგვლივ დადიოდნენ და რაღაცას ბუტბუტებდნენ თავისითვის. შემდეგ ერთ-ერთი ქალი გარეთ გავიდა და ჩემთვის სანოვაგე შემოიტანა. საჭმელი ლოკოკინებსა და კიბორჩხალებს მივამსგავსე, მაგრამ ისე ვიყავი დამშეული, რომ გარჩევის დრო აღარ იყო და მეც ხარბად ვეტაკე მოტანილს. ყოველივე მივირთვი ძალზე სწრაფადაც, ქალები გაოცებული შემომყურებდნენ. წყურვილი მკლავდა და ხელით ვანიშნე, რომ წყალი მწყუროდა. როგორც იქნა გავაგებინე და სამივე გარეთ გავარდა. სულ მალე სამივე წყლის ტოლჩებით დაბრუნდნენ და სამივემ ერთად გამომიწოდა. მე ჩემს პირველ ნაცნობ მულატ ქალს გამოვართვი წყლის ტოლჩა და სულმოუთქმელად დავცალე. ორი ქალი გარეთ გავიდა და მარტო დამტოვეს მულატ ქალთან. იგი ჩემ საწოლს მოუახლოვდა, ნაპირზე ჩამოჯდა და მომანათა თავისი ლამაზი, მაგრამ ველური ვნებით ანთებული თვალები. გვერდით მომიწვა და ალერსი დამიწყო. უცნაური სურნელი ასდიოდა მთელ სხეულზე, რაღაც გამოუცნობი და უცხო იყო ყოველივე ეს ჩემთვის. ცდუნება დიდი იყო. ჩემი ასაკის ახალგაზრდა ძნელად თუ შეიკავებდა თავს. მაგრამ მე სხვა ქალის სიყვარული მწვავდა, მიუხედავად მანძილის სიშორისა და გადახდილი გაჭირვებისა, ციცინოს სიყვარულით სავსე თვალები წინ მედგა და სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. დიდი გაჭირვებით ფეხზე წამოდგომა ვცადე. ქალი მიხვდა, რომ უარვყავი, ისიც წამოდგა და გარეთ გავიდა. მას ამის შემდეგ მხოლოდ საჭმელი შემოჰქონდა ჩემთვის. ასე გაგრძელდა სამი დღე. მეოთხე დღეს ფეხზე თავისუფლად ვდგებოდი და გავლაც კი მოვახერხე. დიდი სურვილი მქონდა გარედ გავსულიყავი და არე-მარე დამეზვერა, როგორც კი უკეთ ვიგრძენი თავი ქობიდან გარეთ გავედი. ჩემი ნაცნობი მულატი ქალი მეხმარებოდა. მას მედეა დავარქვი — კოლხეთის მეფის აიეტის ქალიშვილის საპატივცემლოდ, რადგან მედეასავით მასაც ესმოდა ბალახებით მკურნალობის საიდუმლოება და ხშირად

მისვამდა თავის დამზადებულ წამლებს ნაიარევზე. გარეთ გასვლისთანავე ზღვის სასიამოვნო სურნელი მეცა და ამივ-სო გულმკერდი ზღვის სურნელის არომატით. ამან ძალა და ენერგია შემმატა. წინ თვალუნვდენელი ოკეანე გადამეშა-ლა, მისმა ცისფერმა ლაჟვარდმა მომავლის იმედი და რწმენა შემმატა, რადგან მწამდა ზღვის სიახლოვეს ჩემთვის მხო-ლოდ სიკეთე მოჰკონდა. სანამ ის ჩემთან ახლო იყო ხსნის იმედი გულში ყოველთვის მიღვიოდა.

წალკოტი გადაიშალა ჩემს წინ, სხვადასხვა ფერებში ელვარებდნენ ირგვლივ ტროპიკული მცენარეები, კუნძული მთაგორიანი მეჩვენა, მაგრამ კუნძულზე თუ ვიყავი არც ეგ ვიცოდი დანამდვილებით. მინდოდა გამომეკითხა ჩემი უც-ნობი მასპინძლებისათვის ყოველივე, მაგრამ ეს ძალზედ ძნე-ლი მეჩვენა, რადგან ენის ცოდნის გარეშე ეს შეუძლებელი იყო. მათ ჩემი არ ესმოდათ, მე კი მათი ენის ვერაფერი გამეგებოდა. ასე უხმოდ ვიჯექი ხის კუნძზე და ვტკბებოდი კუნძულის სილამაზით, შემდეგ ისევ თავშესაფარში დავბ-რუნდი. ძალ-ღონეს სწრაფად ვიკრეფდი და არაფერს ვიშუ-რებდი, რომ როგორმე მათი ენა ამეთვისებინა. ამაში მედეა მეხმარებოდა. ჩვენ ხშირად ქვიშაზე ვვარჯიშობდით ხატვაში და ასე ვაგებინებდით ერთმანეთს სათქმელს. ჩვენმა მეცა-დინეობამ უშედეგოდ არ ჩაიარა. მედეამ წრე შემოხაზა და ზედ ხე და ადამიანი გამოსახა, გამაგებინა რომ ჩვენ კუნძულზე ვიმყოფებოდით. როგორც კი გამოვჯობინდი, ტომის ბელადთან წამიყვანეს შესახვედრად. ჩვენ კუნძულის სილრმისაკენ გავეშურეთ, გზა საკმაოდ ხანგრძლივი აღ-მოჩნდა. გზადაგზა ველურთა ახალი ჯგუფები შემოგვიერთ-და, ისინი დიდ ინტერესს იჩენდნენ ჩემს მიმართ და ყველას სურვილი ჰქონდა, რომ მე ხელით შემხებოდა, ეს ყოველივე მშვიდობიან იერს ატარებდა და ჩემს მიმართ არავითარ აგრესიას არ იჩენდნენ. პირიქით, ყველა მიღიმოდა და მეფ-ერებოდა. ველურთა გაკვირვებას იწვევდა ჩემი თეთრი კანი, ჩემი ჩაცმულობა. მართალია, ბევრი არაფერი შემრჩა ტანზე,

მაგრამ რაც მეცვა, ისიც საოცარ გაკვირვებას იწვევდა მათში. ჩემს ჩაცმულობას შეადგენდა დახეული სპორტული შარვალი, ასეთივე წალები და ზედა მოსასხამი. ნავიდან ამო-ლებული ნივთები: ჩანთა და ანკესი. სულ ეს იყო დარჩენილი იმ დიდი ცივილიზაციიდან, რომლიდანაც მე ამ უცნობ კუნძულზე მოვხვდი. ტომის ბელადმა საკმაოდ მეგობრულად მიმიღო. მისი ტომის ხალხს ჩემნაირი ადამიანი არასოდეს ენა-ხათ მოწინებასა და თაყვანისცემას იჩენდნენ ჩემს მიმართ.

ტომის ბელადი საკმაოდ მაღალი და დაკუნთული მამაკაცი იყო, ასაკის დადგენა გამიჭირდა, მაგრამ ახალგაზრდა არ ჩანდა. ტანთ განსხვავებულად ეცვა, ვიდრე მისი ტომის ხალხს. ფეხზე მას ტყავის წალები ემოსა ტყავისავე პერანგი და ქვედა კაბა. მკერდზე ბრჭყვიალა მძივები ეკიდა, მძივებს შუა, ადამიანის კბილები მოჩანდა, რაც არასასიამოვნო გრძნობას იწვევდა ჩემში. თავიდან მეგონა კაციჭამიებთან მქონდა საქმე, მაგრამ ეს ასე არ იყო. მერე როგორც მედეამ ამიხსნა კბილებს ისინი გარდაცვლილ ადამიანთა ხსოვნისა და პატივისცემის ნიშნად ატარებდნენ. მედეა მისი ქალი-შვილი ყოფილა. მის გარდა მას სხვადასხვა ცოლებისგან ხუთი ქალიშვილი და სამი ვაჟი ჰყავდა. მის შემდეგ ტომის ბელადი მისი უფროსი ვაჟი უნდა ყოფილიყო — სახელად ტოგაი. იგი მამასავით ძლიერი მამაკაცი იყო.

დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, დრო გადიოდა თავი სიზმარში მეგონა, არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ მოწყვეტილი აღმოვჩნდი ცივილიზირებულ სამყაროსაგან. აქ, ამ უცნობ კუნძულზე, ჩემი განვლილი ცხოვრება სრულიად სხვანაირი მეჩვენებოდა. მახსენდებოდა ბავშვობაში წაკითხული სათავგადასავლო წიგნები უცნობ კუნძულებზე და ველურებზე. მაგრამ მე რაც გადამხდა, ეს წიგნი კი არა, რეალობა იყო და უნდა შევგუებოდი. ხშირად გავცეროდი პორიზონტს იმ იმედით, რომ იქნებ რომელიმე ქვეყნის გემი გამოჩენილიყო, მაგრამ ამაოდ. კუნძული უცნობი იყო ყველასათვის. სამშობლოზე ფიქრი და ოცნება უაზრობა იყო.

თანდათან შევეჩივიე ჩემ ყოფას. ცხადი იყო, კუნძულის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთი იყო, რომ მისი არსებობა არავინ იცოდა. გემები ამ მიმართულებით არ დადიოდნენ, ველურებს არასოდეს ენახათ გემი. ჩემი ვარაუდით მიკრო-ნეზის ერთ-ერთ მივიწყებულ კუნძულზე ვიმყოფებოდი. იმედს არ ვკარგავდი და ჩემი თავის მშველელი მხოლოდ მე ვიყავი. უნდა გამეძლო ყველაფრისათვის და არ დავმსგავსებოდი ამ ველურებს, პირიქით, ყველაფერი უნდა გამეკეთებინა იმისათვის, რათა ველურები ადამიანებს დამსგავსებოდნენ, გადამეცა ყოველივე ის, რაც მე ვიცოდი დიდი ქვეყნების გამოცდილებიდან. ეს ძალზე რთული საქმე გამოდგა. მთავარი ამ საქმეში მოთმინება იყო, დიდი მოთმინება. მე ყურადღებით დავიწყე იმ გარემოს შესწავლა, რომელიც გარს მერტყა.

კუნძულის დათვალიერება და შესწავლა გადავწყვიტე. ამისათვის ვთხოვე ტომის ბელადს მეგზურად გამოეყო ჩემთვის რამდენიმე კაცი, რომლებიც კარგად იცნობდნენ კუნძულს, რათა უკეთ შემესწავლა მათი ღვთის მიწა, როგორც ისინი თავის კუნძულს უწოდებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ბელადი, ისე როგორც მისი ტომის ყველა წარმომადგენელი, მე მთვლიდნენ ღმერთის მოციქულად და ამან განაპირობა ჩემდამი ასე მოწინებით მოქცევა. მაგრამ უმაღლესი ძალაუფლება კუნძულზე ბელადსა და უხუცესთა საბჭოს ჰქონდა. მათ საქმეში არ ვერეოდი, მხოლოდ ვაკვირდებოდი მათ ყოფასა და ცხოვრებას. ამიტომ ბელადი სიამოვნებით დამთანხმდა. კუნძულის შესასწავლად რამდენიმე მეგზური გამოეყო, რომლებმაც ადგილმდებარეობა კარგად იცოდნენ. მეორე დღეს გზას გავუყევით სურსათითა და სხვა საჭირო იარაღით. მგზავრობა შეიძლება რამდენიმე დღეს გაგრძელებულიყო ჩვენი ადგილსამყოფელი კუნძულის ჩრდილოეთით იყო. მეგზურებს ვთხოვე, რომ საწინა-აღმდეგო მიმართულებით სამხრეთისკენ წავსულიყავით ისე, რომ ზღვისკენ გავსულიყავით. ჩვენი მომავალი

მარშრუტი მათ ქვიშაზე დავუხაზე და არ გაჭირვებიათ ჩემი გაგება, დამთანხმდნენ. როგორც ალვნიშნე კუნძული მთა-გორიანი იყო. იგი ცხელ სარტყელში მდებარეობდა და ცხადია, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო ტროპიკებს რომ შეეფერება, ისეთი იყო და გზის გაკაფვა ქვის ცულებით გვიხდებოდა. მთას ბარი მოჰყვებოდა. ბარს კი მთა. ხშირად გვხვდებოდა მდინარები. ტყეები სავსე იყო ქვეწარმავლებით. მთის ფერდობებს გარეულ თხების პატარ-პატარა ჯოგები გვხვდებოდა, მტაცებელ ცხოველებს არ შევხვედრივარ. გამაკვირვა ფრინველთა სიმრავლემ და ნაირფეროვნებამ. ანკარა სასმელი ცივი წყლები და ფრინველთა სიმრავლე ჩემი აზრით ყველაზე დიდი სიმდიდრე იყო კუნძულზე. კუნძულის შუაგულს რომ მივუახლოვდით, ტყე გამეჩერდა და მთების სიმაღლემაც იმატა. თანდათან სიცხე გრილმა სიომ შეცვალა. ჩვენ კუნძულის ყველაზე მაღალ ადგილზე ვიმყოფებოდით, რომელიც კლდოვანი იყო. ეტობოდა კუნძულის ულკანური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო სიმაღლიდან ლამაზი ხელი გადაიშალა. ჩემს წინაშე საუკეთესო საძოვრები გამოჩენდა. სადაც აუღელვებლად გამოსულა ბალახის საძოვრად ლამაზი ირმების ჯოგი, უფრო შორს კი მოჩანდა ცისფრად მოელვარე ოკეანე, რომელმაც ციცინოს ლამაზი, ცისფერი თვალები გამახსენდა. ნეტა სად არის ჩემი ციცინო ეხლა? რაზე ფიქრობს, ან რას აკეთებს?! ნუუუ დამივიწყა და სხვა შეიყვარა. ფიცი გატეხა, ნეტა ერთი თვალით დამანახა ჩემი მშობლიური ქალაქი და ჩემი ციცინო. ვნატრობდი მე. მეგზურთა ძახილმა გამომაფხიზლა, ისინი ირმებზე მანიშნებდნენ და ამიხსნეს, რომ მათი მონადირენი აქ ნადირობდნენ. ამჟამად ჩვენ მათ გვერდი ავუარეთ, და დიდი ხის ქვეშ შევისვენეთ. დავნაყრდით შებოლილი ხორცით, მაგრამ მაინც დაუკმაყოფილებელი გრძნობა მქონდა. ამდენი ნადირი გვეხვია გარს და ჩვენ კი შაშხს არ მივირთმევდით. ძალზე მომინდა მწვადი და ჩემს მეგზურებს ვკითხე შეიძლებოდა თუ არა ნადირობა ირმებზე რაზეც მათ

დადებითად მიპასუხეს. ნადირი ისეთი სიმშვიდით ძოვდა ბალახს, რომ მონადირე ადვილად მიუახლოვდა შუბის სასროლ მანძილზე და ერთი ტყორცნით ირემი ძირს დასცა. შემდეგ დანით ყელი გამოჭრა და გაატყავა. პირველად ვიხილე დანა ველურის ხელში, როდესაც დანა დავათვალიერე აღმოჩნდა, რომ იგი ბრინჯაოსი იყო. ველურებმა იცოდნენ ბრინჯაოს დამუშავება. ამან ძალზე გამაკვირვა. ხორცი შევწყით და გემრიელად მივირთვით.

გზა განვაგრძელეთ და რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ გამოჩნდა ზღვა. ზღვისპირი სრულიად უკაცრიელი და დაუსახლებელი ჩანდა. ეს მხარე ველურების მიერ აუთვისებელი იყო. უცრად ერთ-ერთი ჩემი მეგზური შედგა და ნაპირზე რაღაცაზე მიგვითითა. ჩვენ იქით გავემართეთ, ეს აღმოჩნდა არც თუ ისე დიდი ხნის წინ დანთებული კოცონის ნარჩენები. კოცონის გვერდით აქეთ-იქით ეყარა ადამიანის ძვლები. ამან ჩემში ეჭვი და უსიამოვნო გრძნობა აღძრა. შევეცადე გამერკვია თუ ვისი ნამოქმედარი შეიძლება ყოფილიყო. ამაზე ჩემმა მეგზურებმა ზღვისკენ გაიშვირეს ხელი და ამით მიმახვედრეს, რომ ვიღაც სხვა უცხო იყო ამის ჩამდენი. ცხადი იყო, რომ ვიღაც მოდიოდა ზღვიდან მათ კუნძულზე და ადამიანის ხორცს მიირთმევდა. ვინ იყვნენ ისინი, საიდან მოდიოდნენ, ჩემთვის გაუგებარი დარჩა. ჩემმა მეგზურებმა დაჩეჩევილ თავის ქალებს დანით კბილები დააცალეს და ჩანთაში გადამალეს. ეს მათ ახსნეს იმით, რომ ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთს აჩვენებდნენ ბელადს და შემდეგ ამავე კბილებისაგან მძივებს აგებდნენ, რომელიც ძალზე ძვირფას ნივთს განეკუთვნებოდა და მკერდს იმშვენებდნენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები.

ბუნებამ ეს მხარე ყველა სიკეთით დააჯილდოვა. ზღაპრულ ქვეყანაში მეგონა თავი. მცენარეთა და ფრინველთა სილამაზე და სხვადასხვა ფეროვნება სამოთხის ელფერს დაჰკრავდა ამ ცივილიზებური სამყაროს მიერ მივიწყებულ კუნძულს. იმ ღამეს იქვე დავრჩით. ირმის ხორცითა და

ახლად დაჭერილ შემწვარი თევზით დავნაყრდით, მეორე დღეს უკან გამოვბრუნდით. ცხადი გახდა, რომ კუნძულზე ყველა პირობა იყო იმისათვის, რათა ადამიანებს ნორმალურად ეცხოვრათ და ათეული წლების განმავლობაში არაფერი მოკლებოდათ. კუნძული გაცილებით მეტი რაოდენობის ადამიანებს გამოკვებავდა, ვიდრე ამჟამად იყვნენ. კუნძული მდიდარი იყო სასმელი წყლის მარაგით, ამაზე მეტყველებდა უხვი მდინარეები და ჩანჩქერები, რომელიც აქ მოედინებოდა, რომელთა სათავეები მაღლა კლდეებიდან იწყებოდა. მდიდარი მცენარეთა და ცხოველთა სამყარო, ულევი მარაგს იძლეოდა. კუნძულის მოსახლეობა ახალგაზრდების, მოხუცებისა და ბავშვების ჩათვლით 600 კაცს არ აღემატებოდა. ასევე გასათვალისწინებელი იყო ზღვაც, რომელშიც თევზი ულევი რაოდენობით მოიპოვებოდა. როგორც შემდგომ გავარკვიე უხუცესებისაგან, კუნძულზე პირველად კაციჭამია ველურები გადმოსულან შორეული კუნძულებიდან. მათ თან ტყვეები მოუყვანიათ, რათა მაშინ მოქმედი ვულკანისთვის შეეწირათ. ვულკანი მათ ღვთაებრივ ძალად ჰქონდათ მიჩნეული, რომლებსაც ადამიანებს სწირავდნენ, რათა შემდგომში ომში გამარჯვებულები გამოსულიყვნენ. ასეთი წესი უძველესი დროიდან ყოფილა დამკვიდრებული კუნძულზე მცხოვრებისათვის. ტყვეები გაპარულან და თავი ტყისთვის შეუფარებიათ. კაციჭამიები ბევრი ძებნის შემდეგ იძულებულები იყვნენ რაც შეიძლება სწრაფად, უკან გაპრუნებულიყვნენ, რადგან კუნძულზე ვულკანი გააქტიურდა და მთის მწვერვალიდან ცეცხლის ენებმა გაიელვეს, რამაც კაციჭამია ველურები ძალზე დააფრთხო, რადგან მათ ეს აღიქვეს, როგორც ღმერთების რისხვა და თავდავიწყებით უკან გაცურეს. გაქცეული ტყვეები შეკავშირებულან ერთიანი ძალითა და შრომით დაუძლევიათ სიძნელეები და კუნძულს სიცოცხლის დასაბამი მისცემია. მას შემდეგ უკვე მეოთხე თაობას არაფერი გაუგია სხვა კუნძულებზე მცხოვრებ კაციჭამია ველურებზე.

პირველ ტყვეთა შორის 5 მამაკაცი და 2 ქალი ყოფილა, რომელთა შთამომავლები ამ დროისათვის 600 კაცს აღემატებოდა. ისინი ძალზე წაგვანდნენ ერთმანეთს და არც არის გასაკვირი, რადგან ერთმანეთის ნათესავები და ახლობლები იყვნენ. ცოლ-ქმრობაზე და ოჯახზე ევროპელებთან შედარებით სხვა წარმოდგენა ჰქონდათ. მივიწყებულ კუნძულზე სექსუალური თავისუფლება სუფევდა, არავითარი შეზღუდვა ამ მხრივ არავისგან არ იყო. აქ ცოლ-ქმრობა არ არსებობდა. ახალგაზრდები თავის სურვილისამებრ ირჩევდნენ პარტნიორებს და შემდგომში მათ ხშირად იცვლიდნენ. აქედან გამომდინარე, მშობიარობა ხშირი იყო და კუნძულზე მოსახლეობა სწრაფად მატულობდა. გადავწყვიტე მომენტსრიგებინა კუნძულზე მცხოვრები ველურების სექსუალური და ოჯახური საკითხები. მათ ცხოვრებაში ახალი წესები და ჩვევები დამენერგა. მაგრამ ეს ადვილი საქმე არ აღმოჩნდა, ვინაიდან, ათეული წლების განმავლობაში დამკვიდრებული ჩვევის მოშლა და ახლის დამკვიდრება დიდ შრომასა და ნებისყოფას მოითხოვდა. კუნძულის მოსახლეობა ნადირობდა და მეთევზეობას მისდევდა. შემგროველობასაც არ თიკილობდა. კუნძული მდიდარი იყო სხვადასხვა საკვები მცენარეულობით, მათ შორის გარეული ფრინველთა კვერცხებსაც იყენებდნენ. ერთად ნადირობდნენ და ნანადირევსაც ერთად იყოფდნენ. აქ არ არსებობდა მდიდარი და ლარიბი. მათში ეს ჯერ არ იყო დამკვიდრებული. როგორც აღვნიშნე, მოსახლეობაში მრავალცოლიანობა იყო გავრცელებული. ერთ ქოხში ერთ მამაკაცთან რამდენიმე ქალი ცხოვრობდა. ბავშვები და მოხუცები კი ცალკე. სოფლიდან ოდნავ მოცილებით იდგა ბელადის სახლი, იგი მოცულობით ყველაზე დიდი იყო და ოთხი ოთახისაგან შედგებოდა. ერთში საჭმელს ამზადებდნენ, მეორეში ცოლები ცხოვრობდნენ, მესამეში თვითონ იყო, მეოთხეში კი მისი საბრძოლო იარაღი ინახებოდა. მათ საბრძოლო იარაღს შეადგენდა გრძელ ხის ჯოხზე დამაგრებული რკინის ბუნიე, რომელსაც საკმაოდ

შორს და ზუსტად ისროდნენ მიზანში. ასევე ხის ტარზე დამ-აგრებული რკინის ნაჯახი და რკინის დანა, რომელსაც ირმის რქის ტარი ჰქონდა. ამ სამი სახეობის იარაღის სხვადასხვა ნაკეთობანი მრავლად ეკიდა მათ ოთახებში. წარმოდგენა არ ჰქონდათ მშვილდ-ისარზე, ასევე არ იცოდნენ მიწის დამუ-შავება, არც მესაქონლეობა.

მათი ძირითადი საქმიანობა მაინც ნადირობა იყო. რამ-დენიმე მონადირეთა ჯგუფი სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა. ნადირობა რამდენიმე დღე გრძელდებოდა და ყოველთვის წარმატებით მთავრდებოდა. ყოველ ჯგუფს თითო ირემი მოჰყავდა, რომელიც რამდენიმე კვირას ყოფნი-და მოსახლეობას. სანადირო და საბრძოლო იარაღებს ისინი სპეციალურ მადნისაგან ჭედდნენ. ამ საქმისთვის მათ მჭედლები ჰყავდათ. შემგროვებლობას უმეტესად ქალები მისდევდნენ და საკვებად გამოსადეგ ხილსა და მცენარეუ-ლობას აგროვებდნენ. კუნძულზე მესაქონლეობა არ იყო განვითარებული, არც-ერთი ცხოველი არ ჰყავდათ მოში-ნაურებული. გადავწყვიტე ზოგიერთი რამ მესწავლებინა მათვის, რომელიც მაღაზე გამოადგებოდათ შრომით საქმიანობაში. ყოველივე ამის განხორციელება დიდი მოთმი-ნებასა და შრომას მოითხოვდა ჩემგან. მაგრამ უკან დასახე-ვი გზა არ მქონდა, მე კი არ უნდა გადავქცეულიყავი ველუ-რად, არამედ ისინი უნდა მექცია ადამიანებად. ეს იყო ჩემი მიზანი, რომლის განხორციელებასაც შევუდექი.

ჩემი გეგმები ჯერ მედეას გავაცანი, რომელიც უცებ მიმ-იხვდა და აღმითქვა დახმარება. მისი საშუალებით გამი-ადვილდებოდა სისრულეში მომეყვანა ჩემი გეგმები. მედეა უკვე საკმარისად ფლობდა ჩემ მშობლიურ ენას და ადგილო-ბრივსაც, რომელსაც მე ვერ ვფლობდი სათანადოდ. შემდეგ ყოველივე ტომის ბელადს გავაცანით, რომელმაც ეჭვი გამოთქვა, განსაკუთრებით მიწათმოქმედებასა და მეცხ-ოველეობაზე. ჩემი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიმეცა. გადავწყვიტე მშვილდ-ისრის დამზადება.

ამისათვის სათანადო ხე შევარჩიე, რომელიც დრეკადობით გამოირჩეოდა, იგი ირმის გამომშრალი ძარღვით დავჭიმე. გავამზადე ისარი, რომელზეც რკინის წვერი დავამაგრე, რომელიც ადრე მქონდა გამოჭედილი, სამიზნედ ცოცხლად დაჭერილი ირემი ამოვიდე. ამ სანახაობისთვის მთელი სოფელი მოვიდა. მეც იმედი არ გავუცრუე. მშვილდი მოვზიდე და ვტყორცნე ირემს, რომელიც უსულოდ გაიშხლართა შუა მოედანზე. ველურების გაოცება დიდი იყო, როდესაც მკვდარი ირემი დაინახეს. ზეციდან მოვლენილი მიწოდეს და ჩემი ნდობითა და პატივისცემით განიმსჭვალდენ.

გულდასმით ვასწავლიდი მშვილდ-ისრის ხმარებას. მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან იგი ბევრ ვარჯის მოითხოვდა. მხოლოდ რამდენიმე ახალგაზრდამ შეძლო 30 ნიბიჯიდან ირმის ტყავში მოხვედრა. კუნძულზე აღმოვაჩინე მეტეორიტული რკინა, რომლის გახურებით შესაძლებელი იყო შრომისა და ბრძოლის იარაღების გამოჭედვა. ჩემთვის და ბელადისთვის რკინის ამ მაღნის გაცხელებით, კარგი რკინის ხანჯლები გამოვჭედე, მართალია, დიდი დრეკადობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ნადირის გატყავება და ხორცის დაჭრა შეიძლებოდა. ახლო-მახლო ტყე და ბუჩქნარი გავჩერეთ და გარეული ვაშლი გავაშენეთ, რომელსაც ძალზე სასიამოვნო სუნი, არომატი და გემო ჰქონდა. ხის წნულები დავამზადე ველურებთან ერთად. სხვადასხვა გარეული ფრინველი დავიჭირეთ და შიგ ჩავსვი. ისინი საკმაო რაოდენობის კვერცხს დებდნენ და მათ საჭმელად ვიყენებდით. ფრინველთა დაჭერის ხერხი ვასწავლე. დაწნული კალათა ხის სარზე შევაყენე, სარს თოკი გამოვაბი და მოშორებით დავუყარაულდით, დიდი დრო არ გასულა ფრინველები მიფრინდნენ კალათასთან, სადაც ხილის ნარჩენები ეყარა. თოკის გამოწევის შემდეგ დაწნულ კალათაში აღმოჩნდნენ. გარეული თხებისა და ირმების მოშინაურებაც შევძელით, ამით საფუძველი ჩაეყარა კუნძულზე მეფრინველობისა და მეცხოველეობის განვითარებას. მაგრამ საქმე იმაში იყო,

რომ კუნძულზე მცხოვრებ ადამიანებს ოჯახი არ ჰქონდათ. აქ ყველაფერი საერთო იყო, მათ შორის ქალებიც. ბევრჯერ ვეცადე დამერწმუნებინა ისინი, რომ ერთ ქალთან ცხოვრება და ცალკე ოჯახის შექმნა გაცილებით უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ისინი მაინც ძველებურად განაგრძნობდნენ ცხოვრებას, როგორც მიჩვეულნი იყვნენ. ეს კი აფერხებდა მათ ცივილიზაციას. საჭირო იყო პირადი მაგალითი. მე შემეძლო მეჩვენებინა მათთვის და მედეა მეთხოვა ცოლად და ცალკე გავსულიყავით საცხოვრებლად და ჩვენი მეურნეობა შეგვექმნა, რათა დაგვენახვებინა სხვებისათვის ასეთი ცხოვრების დადებითი მხარეები. მაგრამ ჩემი გრძნობები ხომ ერთ ქალს ეკუთვნოდა და მე ამ ნაბიჯის გადადგმა ძალზე მიჭირდა. მართალია, ციცინო ჩემგან ძალზე შორს იყო, მაგრამ მისდამი გრძნობები არ გამქრალა ჩემში.

დრო კი თავისას მოითხოვდა. თანდათან შევეჩვიე ჩემ ყოფას, ჩემი ასეთი ყოფის შემამსუბუქებელი მხოლოდ მედეა იყო. საოცარია, მაგრამ მასში კარგი ადამიანური თვისებები აღმოჩნდა. იგი გონიერი იყო და ადვილად უდებდა ალლოს ყოველ ჩემს წამოწყებას და ეს მიმსუბუქებდა მასთან ურთიერთობას. იგი არ ჰგავდა სხვა ველურ ქალებს, სწრაფად ითვისებდა ჩემი ენის გაკვეთილებს ისევე, როგორც მე მისას. ერთმანეთის კარგად გვესმოდა, მიუხედავად იმისა, რომ კუნძულზე სექსუალური თავისუფლება იყო, იგი მეტად თავდაჭერილ ცხოვრებას ეწეოდა. მედეა მთელი დღე ჩემთან იმყოფებოდა და მეხმარებოდა ველურებთან ურთიერთობაში. მართალია, მედეასთან ოჯახის შექმნაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ეს აუცილებელი იყო. ეს თავისთავად მოხდებოდა და ბედს წინ ვერ აღვუდგებოდი, თუმცა კი ვენინააღმდეგებოდი შინაგანად. გადავწყვიტე სოფლიდან მოშორებით სახლი ამეგო ისეთი, როგორიც ადამიანს შეშვენის და ამ მივიწყებულ კუნძულზე ცოტათი მაინც მეგრძნო თავი ადამიანად. ეს ჩემთვის დიდი მიღწევა იქნებოდა და ჩემი თავის გამოცდაც.

სახლისათვის ხის მასალა დავამზადე, რა თქმა უნდა შრომის იარაღების გაკეთებაც დამჭირდა. ისეთი, როგორიც არის ცული, დანები, ხერხი და სხვა. ამ საქმეში მედეა და მისი ძმა ტოგაი მებმარებოდნენ და კიდევ რამდენიმე კარგი ახალგაზრდა მონადირე. ისინი ჩემს მიმართ აღტაცებას ვერ მალავდნენ, რადგან მათთვის ყველაფერი უჩვეულო იყო. სახლის გეგმა მარტივი იყო, იგი სულ ოთხი ოთახისაგან შედგებოდა. შიგნიდან მრგვალი კიბით სხვენზე ასასვ-ლელით. სახლი მორებისგან უნდა ყოფილიყო შეკრული რუსული ოდის მსგავსად. ოთახები გადატიხრული იყო ხის მორებით. ყველა ოთახს ორ-ორი ფანჯარა ექნებოდა. ეს მათ სინათლეს მატებდა. როდესაც სამშენებლო მასალა დავამ-ზადე, რომელიც თვეზე მეტი დასჭირდა, შევუდექი სახლის აწყობას. ზომაზე დაჭრილი მორებით სახლის კედლები ამო-ვიყვანე, იატაკი ქვებით მოვაპირკეთე, შემდეგ აქაც მორები გავდე და ხის იატაკი დავაგე. საკოჭე მასალით სახურავის გაკეთება დავიწყე. ყველაზე რთული კი მაინც გადახურვა იყო, რადგან არ ვიცოდი რით გადამეხურა სახლი, კრამიტი და შიფრერი იქ არ მოიპოვებოდა. პალმის ფოთლები კი არა-საიმედო იყო. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე სახურავი ხის ფიცრებით გადამეხურა, ხოლო ზემოდან კრამიტის მაგივრად თიხით დამეფარა ისე, რომ წვიმის შემთხვევაში (წვიმები კი აქ ხშირი და კოკისპირული იცოდა), წყალი დაბ-ლა სწორ ნაკადად ჩამოსულიყო. ავეჯიც ხისა დავამზადე: მაგიდა და ოთხი სკამი, საწოლები და ხის კარადა. თაროებიც არ დამავიწყდა ჭურჭლისათვის, რომელიც თიხისაგან დავამზადე. შუშუბის მაგივრად თხის გასუფთავებული ტყავები ავაკარი. იატაკიც ტყავებით მოვრთე და ასე თუ ისე, ადამიანის საცხოვრებელს დავამსგავსე. ეზო შემოვლობე და ჭიშკარიც გაუუკეთე. ტუალეტიც არ დამავიწყდა, მოშორებით ორმო ამოვთხარე და ჩვეულებრივი სოფლებში რომ იციან, ისეთი ხის ტუალეტი დავდგი, რამაც ველურები ძალზე გააოცა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ტუალეტზე.

მთელი სოფელი მოვიდა ჩემი ნახელავის სანახავად, რომლის აშენებისათვის სამი თვის განმავლობაში დაუღალავი შრომა დამჭირდა, რა თქმა უნდა, ჩემი მეგობრების დახმარებით. დიდი იყო მათი გაოცება და სიხარული. დილამდე ჩემი სახლის ირგვლივ ცეკვა-თამაში გრძელდებოდა, ყველა მხი-არულობდა. განსაკუთრებით თავის სიხარულსა და აღფრ-თოვანებას ვერ მალავდა ბელადი, მისი შვილი ტოგაი, და რა თქმა უნდა მედეა. მაგრამ მთავარი მაინც ოჯახი იყო და არა სახლი. ჩემი მიზანი იყო ველურებისათვის მესწავლებინა ადამიანური ცხოვრების წესი, რომელიც გამოიხატებოდა დამოუკიდებელი სახლით, ოჯახით, ცოლითა და ბავშვების შემადგენლობით, საკუთარი მეურნეობით, რომელშიც შევიდოდა მოშინაურებული საქონელი. ამის მაგალითი პირველი მე უნდა მიმეცა და შემდგომში ჩემი ნაბიჯი, ცოლის შერთვა უნდა ყოფილიყო. ეს ქალი რა თქმა უნდა მედეა იქნე-ბოდა. მაგრამ მე ხომ სხვა მიყვარდა -ციცინო, რომელიც ამჟამად ჩემთვის სხვა სამყაროდან მანათობელი ვარსკვ-ლავი იყო. სასურველი, მაგრამ მიუწვდომელი, განუხორციე-ლებელი. მედეა კი, რეალური და განუმეორებელი, თავისი ველური ბუნებით, რომელიც ჩემში სიმპათიასა და სიბრა-ლულს იწვევდა. იგი თავისი ნიჭითა და ალლოთი გამოირ-ჩეოდა სხვებისაგან. დიდხანს ვებრძოდი ჩემ თავს, მაგრამ გამოსავალს ვერ ვპოულობდი. გამოსავალი კვლავ მედეამ იპოვა.

ერთ საღამოს იგი ჩემთან სახლში მოვიდა. მე ადგილს ვერ ვპოულობდი ჩემი მდგომარეობის გამო, ამას მედეაც გრძნობდა და ამ ველურ პირობებში გაზრდილმა ქალმა ჩემ მშობლიურ ენაზე, რომელსაც მე მას ვასწავლიდი, შეეცადა გადმოეცა თავისი გრძნობები ჩემს მიმართ. ეს სიყვარულის ახსნა იყო. მე თავი ზღაპარში მეგონა, მას ისე კარგად შეუთვისებია ენა, ყოველ შემთხვევაში ის გადმოსაცემი აზრი, ჩემს მშობლიურ ქართულ ენაზე, რომ მე ღრმად ჩამწვდა გულში და საბოლოოდ დაამსხვრია ჩემში

დარჩენილი გაურკვევლობა. მედეასათვის უცხო არ იყო არც ნორმალური სიყვარული და არც ის განცდები, რომელსაც მე განვიცდიდი. მან თავისი აზრი ასე დაამთავრა, იგი მზად იყო გაეწია ჩემთვის თანაგრძნობა, რათა მე არ მეგრძნო თავი მარტო. შეექმნა ჩემთვის ისეთი პირობები, რომელიც დროებით დამავიწყებდა ჩემს ყოფას. გაეჩინა შვილები, რათა კუნძულზე ღირსეული მემკვიდრე მყოლოდა, რომელიც ჩემს შემდეგ გააგრძელებდა დაწყებულ საქმეს, თუ ღმერთი მოისურვებდა ჩემ დაპრუნებას სამშობლოში. ამ სიტყვების შემდეგ მე არ შემეძლო წინააღმდეგობის გაწევა, დამთავრდა ჩემი ყოყმანი, მე მას გადავეხვიე და მეორე დღეს ქორწილი გადავიხადეთ.

დიდი იყო სოფლის სიხარული, კუნძულის თვითეული მაცხოვრებელი დიდ სიყვარულს გამოხატავდა, რადგან გრძნობდნენ, რომ ჩვენი შეერთებით რაღაც ახალს ეყრებოდა საფუძველი. ახალ დინასტიასა და გვარს, რომელიც მათ სიხარულსა და ბედნიერებას მოუტანდა. ამ მივიწყებულ კუნძულზე განუმეორებელი და დაუვიწყარი იყო ჩვენი თაფლობის თვე. მედეას ველური სიყვარული, მისი ვნებიანი ტუჩები და სიყვარულით აღსავსე თვალები, კლდესავით ამობურცული მკერდი, გრძელი ფეხები და ვიწრო წელი მას განუმეორებელს ხდიდა. ერთი წლის თავზე მედეამ ვაჟი მაჩუქა. ჩვენ სახლს თანდათან მივეჩვიეთ. საქონელიც გავიჩინეთ და ჩვენი დამოუკიდებელი მეურნეობაც შევქმენით, სადაც ჩვენი საკმარისი სარჩო-საბადებელი მოგვყავდა.

ჩვენი მაგალითი სხვებმაც გადაიღეს, მათ ჩემი და მთელი სოფლის დახმარებით ჯერ მედეას ძმას ტოვას ავუშენეთ სახლი და შემდეგ კი დანარჩენებს, რომლებიც აუცილებლად მთავრდებოდა ქორწინებით. რა თქმა უნდა ერთ ცოლთან და არა რამდენიმესთან ერთად, როგორც წინათ იყო.

დრო კი მიდიოდა შეუჩერებლად, ველურებში ცივილიზაციის ელემენტები ძნელად იკიდებდა ფეხს, რამდენიმე

ათეულმა მომბაძა და ცალკე გამოეყო თემს და საკუთარ მეურნეობას მოკიდეს ხელი. მათ ცალკე ჰქონდათ სახნავ-სათესი მიწა და თავისი საქონელიც გააჩნდათ. დანარჩენები კი კვლავ ძველებურად ცხოვრობდნენ, ნადირობითა და თევზაობით ირჩენდნენ თავს. ჩვენს ვაჟს, ჩემი გადაწყვეტილებით გიორგი დავარქვით, წმინდა გიორგის საპატივცემლოდ. იგი არც შავი იყო და არც თეთრი, მულატი ცისფერი თვალებითა და ხუჭუჭა თმებით. გულმოდგინედ შევუდექი მის აღზრდას, მინდოდა გადამეცა მისთვის ყოველივე ის, რაც მე ვიცოდი. ვშიშობდი ველურ პირობებში ადამიანობა არ დაეკარგა. გულის კუნძულში იმედი მქონდა, რომ ოდესლაც აქაურობას თავს დავაღწევდი და გიორგის დიდ მიწაზე, ცივილიზებულ ქვეყანაში — საქართველოში მოუხდებოდა ცხოვრება.

დღეები ილეოდა, დღეებს თვეები მოსდევდა. ამ აღრიცხვას დიდი ხის ქერქზე აღვნიშნავდი დანით. ერთხელ დავითვალე და აღმოჩნდა, რომ მივიწყებულ კუნძულზე სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვიმყოფებოდი. ამან ძალზე ამაღლვა, რადგან ამ ხნის განმავლობაში ოკეანეში მოცურავე არაფერი შემინიშნავს ზვიგენებისა და დელფინების გარდა. ასე შეიძლება გაგრძელებულიყო მთელი ჩემი დარჩენილი ცხოვრება. და მე და ჩემი ოჯახი ვერასოდეს ვლირსებოდით დიდ ცივილიზაციაში დაბრუნებას.

ერთ დღეს ბელადის შეილი ტოგა მოვიდა ჩემთან. იგი სხვებთან შედარებით აზრიანი და მოხერხებული ახალგაზრდა იყო. ბევრი კარგი ისწავლა ჩემგან, მაგრამ ერთში მაინც არ მეთანხმებოდა, მაინც აგრძელებდა მრავალცოლიანობის დემონსტრაციას. ვერა და ვერ შევაჩვიე ჩემსავით თავდაჭერილ ცხოვრებას. მას ოთხ ცოლთან თორმეტი შვილი ჰყავდა. იმ დღეს იგი ძალზე აღელვებული ჩანდა. ცალკე გამიხმო და მითხრა, რომ კუნძულის სამხრეთით, იმ ადგილას სადაც ჩვენ ადრე ადამიანის ძვლების ნარჩენები ვნახეთ, ჩვენმა მეომრებმა შეამჩნიეს უცხო ნავები, რომლებიც ჩვენი

კუნძულის ნაპირებთან გაჩერდნენ და იქ სხვა ტომის ველურები გადმოსხდნენ. ადამიანთა მსხვერპლი შეწირეს იქვე დახოცეს ტყვევები და შეჭამეს. შემდეგ გაემგზავრნენ უკან. ამის გაგონებამ ჩემში ბავშვობაში წაკითხული გამახ-სენა. რობინზონ კრუზო და მისი კუნძული, სადაც ანალო-გიურად გადმოსხდნენ ველურები და სწორედ ამის შედეგად აღმოჩნდა რობინზონის გვერდით პარასკევა. ანალოგიური ხდებოდა აქაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მე მარტო არ ვიყავი და რა თქმა უნდა, ესეთ ვანდალიზმს არ დავუშვებდი, რადგან ვიცოდი, რომ კაციჭამიობა გადამდები სენი იყო და შეიძლება იგი კუნძულზეც გავრცელებულიყო. ასეთი ცნო-ბის შემდეგ მე გადავწყვიტე პირადად წავსულიყავი იქ და დამეთვალიერებინა ის ადგილი. მიმეღო ზომები, რათა მათი შემდგომ გამოჩენის შემთხვევაში ისინი ტყვედ ამეყვანა და მათგან შემეტყო ყოველივე, კერძოდ, სად მდებარეობდა მათი ქვეყანა და რას წარმოადგენდა მათი ტომი და მოსახლეობა. სასწრაფოდ შევქმენი შეირალებული რაზმი 150 მონადირე მებრძოლით, რომლებიც შევაიარალე შუბე-ბით, მშვილდ-ისრითა და რკინის ნაჯახებით. შეიარალებული მეომრები სამ ჯგუფად გავყავი და თითოს ხელმძღვანელი ჩავუყენე სათავეში, რომლებიც უსიტყვოდ მემორჩილებოდ-ნენ. თან რამდენიმე დღის საგზალი წავილეთ და გზას გავუდექით. კუნძული მოკლე გზით გადავკვეთეთ და მეორე დღეს ადგილზე ვიყავით. გამოჩენდა კუნძულის სამხრეთ სანაპირო. მთელი ნაპირი უკაცრიელი იყო. სანაპირო დავათვალიერეთ და ნაპირზე ადამიანთა დასახიჩრებულ გვამებს წავაწყდით, რომლებსაც ხორცები მთლად ამოჭ-რილი ჰქონდათ. იქვე დანთებული კოცონის ნაშთები იყო, რომლებზედაც ველურები ადამიანის ხორცს წვავდნენ და შემდეგ მიირთმევდნენ. ეს ცხადი იყო, რადგან იქვე დიდი ხნის შამფურები ეგდო. საკვირველი ის იყო, რომ ისინი ხორცს წვავდნენ და ისე მიირთმევდნენ, და არა უმად, როგორც ეს კაციჭამიებმა იციან საერთოდ.

ზღვის პირას ტყეში დავბინავდით, და ლოდინი დავიწყეთ, რატომდაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ველურები აუცილებლად გამოჩენდებოდნენ, სულ მოკლე ხანში. მათან შეხვედრის სურვილი დიდი მქონდა, რაღაც ახალს მოველოდი. თუმცა ეს არასასიამოვნო იქნებოდა. სამი დღის შემდეგ მართლა გამოჩენდნენ ველურები, ისინი ნიჩბიანი ნავებით სწრაფად მიემართებოდნენ ნაპირისაკენ. 18 ნავი დავითვალე. თითო ნავში 4 ველური იჯდა. ნაპირზე 72 კაცი გადმოვიდა. ისინი მაღალი და ფიზიკურად ძლიერები ჩანდნენ. ნავები ნაპირზე ამოათრიეს და ტყვეების გარშემო ჯგუფ-ჯგუფად შეგროვდნენ. მათ ერთი ახმახი ველური ხელმძღვანელობდა, რომლის ბრძანებებს დანარჩენები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. მთელი სხეული წითელ და ყვითელ ზოლებად ჰქონდათ აჭრელებული, შემდეგ ტყვეებიც გამოჩენდნენ. მათ ხელები შეკრული ჰქონდათ, ყელზე თოკი ებათ, რომლითაც მოათრევდნენ. ისინი 12-მდე იქნებოდნენ, მათ შორის უმეტესად ქალები იყვნენ. მსხვერპლად შესანირი ადამიანები კაციჭამიებმა ცალკე შეაქუჩის. ყარაულები მიუჩინეს, ხოლო დანარჩენები ცეკვას შეუდგნენ, ნაწილი კი კოცონის დასანთებად მოემზადა და ფიჩებისათვის ტყისკენ გამოეშურნენ, პირდაპირ ჩვენსკენ. მოქმედების გეგმა სწრაფად მოვხაზე გონიერაში. ტყეში მათი შეტყუება ნაკლებ საიმედო იყო, რადგან გაქცევის შესაძლებლობა მეტი ექნებოდათ. სანამ ისინი ტყეში შევიდოდნენ, მანამდე უნდა შემოგვერტყა მათთვის ალყა. მთლიანად დაგვეტყვევებინა და არ მიგვეცა ზღვით გაქცევის საშუალება. მებრძოლები სამ ნაწილად გავყავი. ტოგაის დავავალე ტყვეების გათავისუფლება, მეორე რაზმს მარცხნიდან შემოვლა და ნავებისკენ გზის გადაჭრა, რათა არ მიგვეცა გაქცევის საშუალება, მესამეს მე გავუძღვებოდი და მათ ტყეში გაჭრის საშუალებას არ მივცემდი. სამ მხრიდან შევიწროვებულებს სხვა გზა არ ექნებოდათ, თუ არა დანებება, ხოლო შემდეგ მათ სოფელში წავიყვანდით. ასეთი ჩანაფიქრი მქონდა,

მაგრამ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც მე მოველოდი. კაციჭამიებს საბრძოლო იარაღად შუბები და ნაჯახები ჰქონდათ და ფიზიკურად ძალზედ ძლიერები იყვნენ. ამან მაიძულა უსაფრთხოების მიზნით ტყეში მშვილდოსანთა 20 კაციანი რაზმი ჩამესაფრებინა და თუ კაციჭამიდან ვინმე მაინც გაიჭრებოდა ტყისკენ, ისინი ისრით უნდა დაეხოცათ. ყველა ჩემს ნიშანს ელოდა. მეც არ დავაყოვნე და ტყისკენ ნამოსულ ველურებს ანთებული ჩირალდნით გზა გადავუჭერი და ჩემი რაზმით წინ დავუდექი. საოცარი იყო მათი სახეები, როდესაც ჩვენ დაგვინაბეს. ისინი გაოგნებული შემოგვცეროდნენ და ერთ ადგილზე გაშეშდნენ. დანარჩენი კაციჭამიებს კი ჯერ ვერაფერი გაეგოთ. ისინი ველური ყოფინით ცეკვადნენ ტყვეების გარშემო. ტყისკენ მომავალი რაზმი სწრაფად მოეგო გონს და მათ საშინელი კივილი მორთეს, რომლის ხმამაც დანარჩენებიც ერთ ადგილას გააქვავა. მალე გამოფხიზლდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. თითქმის ყველა მხრიდან ალყაში აღმოჩნდნენ. ყველაზე პირველად კაციჭამიათა ბელადი მოეგო გონს და ველური ყიფინით ჩემსკენ გამოქანდა და თან მთელი ძალით სტყორცნა ჩემსკენ შუბი. ჩვენს შორის საკმაო მანძილი იყო. მაგრამ შუბი ისეთი ძალით იყო ნასროლი, რომ მან მე ტყვიასავით ჩამიარა და სადღაც შორს ხეებს შორის ჩაერჭო. მივხვდი, რომ ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი იქნებოდა და ასე ადვილად მათი ტყვედ აყვანა არ მოხერხდებოდა. მაგრამ ჩემმა ეშმაკურად დაგებულმა მახემ გაჭრა და მარჯვნიდან და მარცხნიდან გამოჩენილმა ჩემმა მეომრებმა, ისინი დააბნია და ველურები ჩვენს ალყაში აღმოჩნდნენ. ჩვენმა ჯგუფმა ისინი ნავებს მოწყვიტა და კაციჭამიებს ზურგიდან მიადგნენ. ჩვენც წინიდან მივიტანეთ იერიში და გაჩაღდა ცხარე ხელჩართული ბრძოლა. მიუხედავად ჩვენი იარაღის სარულყოფისა და მეომრების თავგანნირვისა, კაციჭამიები არნახულად მამაცი მეომრები გამოდგნენ. საოცრად მარჯვედ ხმარობდნენ თავიანთ შუბებს, მაგრამ ჩვენმა სიმრავლემ და

რკინის ცულებმა თავისი გაიტანა, თუმცა მსხვერპლი ჩვენს რიგებშიც იყო. ერთ ხელში დანა მეჭირა, მეორეში ცული. ორივე ჩემი გამოჭედილი იყო და თამამად მივიწევდი წინ, კაციჭამიების ბელადისაკენ, რომელმაც სამი კაცი მოგვიკლა და მეოთხეზე იყო სასიკვდილოდ აღმართული. როდესაც ჩემმა მოქნეულმა ცულმა მას შუბი გააგდებინა, უიარალოდ დარჩენილი გაშმაგებით მეცა და კისერში ხელი წამიჭირა. მან ჩემი დახრჩობა მოინდომა, მაგრამ ძალას მეც არ ვუჩიოდი და ველური მოგვერდით ზურგზე მოვიგდე. რაც ძალა და ღონე მქონდა მიწაზე დავანარცხე. იგი სწრაფად წამოხტა და კვლავ მეცა. აქ კი გამომადგა კრივის ცოდნა. საშინელი ძალით ვუთავაზე მუშტი ყბაში, რის შემდეგ იგი კვლავ მიწაზე აღმოჩნდა, მაგრამ იგი საოცრად გამძლე იყო, მიხვდა რა, რომ ხელით ჩემთან ვერაფერს გააწყობდა, იქვე დაგდებულ შუბს სტაცა ხელი. აქ კი ის გამოდგა უფრო სწრაფი და მან შუბით მკლავში დამჭრა. თუმცა მეც მოვას-წარი და ცულით დავჭრი თავის არეში, მაგრამ ის მაინც არ წაიქცა, ნავებისკენ გაძვრა და თვალს მიეფარა. ამ დროს მე სხვა ველურებთან მომიხდა ბრძოლა.

ომი მოგებული იყო, სულ 10 კაცი გვიწევდა წინააღმდეგობას, ისინიც ალყაში იყვნენ და თან დაჭრილები. დანარჩენებმა სცადეს ტყისკენ გაჭრილიყვნენ, რადგან ზღვისკენ გზა გადაკეტილი ჰქონდათ. ტყისკენ გაქცეულებს კი ჩემს მიერ წინასწარ ჩასაფრებულმა რაზმა მშვილდ-ისრებით მოუღეს ბოლო, მხოლოდ კაციჭამიების ბელადი არ ჩანდა არსად. იგი უფრო მოსაზრებული გამოდგა. მისი ნავი მოშორებულ ადგილას იდგა სხვებისაგან განცალკევებით და მან ნავთან მიღწევა მოახერხა და გაგვექცა და ჩემი დაუძინებელი მტერი შეიქმნა. ბრძოლის ველს გადავხედე და გული ლამის შემიღონდა. ზღვის სანაპირო დაჭრილებით და დახოცილებით იყო მოფენილი. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 17 ნავი, 30 ტყვე, აქედან 19 ქალი. ველური კაციჭამიას გვამები ერთ დღიდ თრმოში ჩავასვენეთ და მიწა მივაყარეთ. ჩვენს

დანაკარგს შეადგენდა 8 დალუპული და 4 დაჭრილი. ჩვენი მეომრებიც ცალკე დავმარხეთ და ტყვეები და დაჭრილები წამოვიყვანეთ. ნაწილი მეომრებისა ნავებში ჩავსვი და სანაპიროთი გავგზავნე ჩვენი სოფლისაკენ.

სოფელში მისვლისთანავე შეგვეგებნენ თანასოფლელები, მოგვესალმა ბელადი და გამარჯვება მოგვილოცა. ნავები და ქალები შეგვიქო, მაგრამ მათთან ურთიერთობა ძალზედ გამიჭირდა. ტყვეებს ჩვენი ეშინოდათ, ეგონათ, რომ ჩვენ მათ შევჭამდით და არ გვენდობოდნენ. რამდენიმე ქალს ხელ-ფეხი გავუხსენით, რის შემდეგ ისინი ღამით გაიპარნენ, მაგრამ რამდენიმე დღეში მშიერ-მწყურვალნი ისევ დაგვიბრუნდნენ. ტყვედ აყვანილი მეომრების დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ მათი სამფლობელო ჩვენი კუნძულიდან 2 ღამის დაცილებით იმყოფებოდა. ეს საკმაოდ შორი მანძილი იყო პატარა ნავებით სამოგზაუროდ. მათი განმარტებით, ამას ისინი ღმერთების დავალებით ასრულებდნენ. აღნიშნულ მსხვერპლშენირვაც ღმერთების ნებით ხდებოდა, რათა უბედურება აეცილებინათ. ყველაზე ძვირფასი საჩუქარი ჩვენი კუნძულის მამაკაცებისთვის ახალგაზრდა ტყვე ქალები იყვნენ, რომლებიც სწრაფად დაინაწილეს. ქალებიც კმაყოფილები იყვნენ თავისი ხვედრით, რადგან ცოცხლად შეჭმას ისევ მამაკაცებთან სქესობრივი ურთიერთობა ერჩიათ.

დრო გადიოდა, ტყვეები შეეგუენ თავის ახალ ყოფას და თავს კარგად გრძნობდნენ. ენა აითვისეს, თუმცა დიდი განსხვავება არ იყო ენის მხრივ, ისინი არაფრით გამოირჩეოდნენ ჩვენი კუნძულის მოსახლეობისაგან, რომელიც საგრძნობლად მატულობდა და 1000 კაცს გადააჭარბა. მოიმატა მოთხოვნამ კვების პროდუქტებზე. კუნძულის ბუნებას დიდი რესურსები გააჩნდა და ადვილად აპურებდა ყველას, მაგრამ მეურნეობა კუნძულზე ჩემ ყაიდაზე მაინც ვერ გარდავქმენი. ზოგიერთებმა მომბაძეს და გავიდნენ ცალკე, რომლებსაც თავისი მეურნეობა ჰქონდათ და

შედარებით კარგად ცხოვრობდნენ, მაგრამ კუნძულის მოსახლეობის უმეტესობა ძველებურად ცხოვრობდა. საერთო ოჯახები ჰყავდათ და მხოლოდ ნადირობითა დი შემგროვებლობით ირჩენდნენ თავს. რწმენითაც უმეტესობას თავიანთი ღმერთები სწამდათ, რომლებიც კლდეებში იყო გამოკვეთილი, ქრისტიანობისკენ მათი მოქცევა ძნელი საქმე აღმოჩნდა, თუმცა ზოგიერთი მე მბაძავდა და ჯვარზე და ქრისტეზე ლოცულობდა. ვცდილობდი ძალა და იძულება არ გამომეყნებინა ამ საქმეში. ჩემი მეუღლე მედეა საუკეთესო დიასახლისი და დედა გამოდგა. ჩემი დახმარებით მან სწრაფად შეითვისა ცივილიზებული ადამიანების ყოფა და ჩვევები. ეს იყო ქრისტიანობა, მეოჯახეობა, გემრიელი კერძების მომზადება, ენას სწრაფად ითვისებდა და რაც მთავარია, ამას ყოველივეს გადასცემდა ჩემს შვილს, პატარა გიორგის, რომელიც უკვე 5 წლის ხდებოდა.

ამ ამბების შემდეგ განვლო კიდევ ერთმა წელმა. ამ წელს კუნძულის მოსახლეობა თავისი ღმერთების საპატივცემლოდ ზეიმს აწყობდა. ამ ზეიმზე გადავწყვიტე კუნძულის მცხოვრებლებთათვის საჩუქარი გამეკეთებინა. კუნძულის სამხრეთით უკაცრიელ, მიუვალ ადგილზე ყურძენი ხარობდა. ჩვენებურ ყურძენთან შედარებით იგი უფრო მჟავე იყო. გადავწყვიტე მისგან ღვინო დამეყნებინა და ზეიმზე მიმერთმია მცხოვრებლებისათვის. ღვინო ქართული ტექნოლოგიით დავაყენე სპეციალურ თიხის ჭურჭელში, რომელიც მე დავამზადე, დიდი ქოთნები ცეცხლზე გამოვწვი. საქმეში მედეა და მისი ძმა ტოგაი დამეხმარა. შემდეგ ნესტიან ადგილას, სოფლის ახლოს მიწაში ჩავდე, როგორც ქვევრი, ყურძენი დავკრიფე და ფეხით საწნახელში დავწურე, რომელიც წინასწარ მქონდა მომზადებული დიდი ხის მორისაგან. დაწურული მაჭარი ქოთნებში ჩავასხი და ერთი თვე ურევდი. მაჭარი დალვინდა და გადავიდე, რის შემდეგ ის შესანიშნავ ღვინოდ დადგა. ზუსტად ამ ღვინით ვაპირებდი გამასპინძლებას ჩემი საყვარელი კუნძულის მოსახლეობისათვის,

რომლებიც ჩემთვის მეტად ახლობლები გახდნენ, მაგრამ რა ვიცოდი მე უბედურმა, რომ ამით მათთვის სასიკვდილო განაჩენი გამომქონდა.

დანიშნულ დროს კუნძულის ყველა მცხოვრებმა თავი მოიყარა ბელადის სახლის წინ. ბელადმა მოკლე სიტყვით მოულოცა მათ დღესასწაული და საქონელი დასაკლავად აკურთხა, როგორც ჩვენთან იციან. იქაც სხვადასხვა საკლავი შენირეს თავიანთ ღმერთებს. შემდეგ გაჩაღდა ზეიმი, სადაც პირველი ადგილი ცეკვებს ეჭირა, ასევე სიმღერებსა და სპორტულ თამაშებს. როდესაც აღნიშნულ დროს მსხვერპლშენირვის რიტუალი დამთავრდა და საზეიმო სუფრა გაიშალა. ამ დროს ღვინო თიხის ქოთნებში ჩასხმული შემოვიტანე და ასევე წინასწარ დამზადებულ თიხისავე თასებში ჩამოვასხი და იქ მყოფ დამსწრეს, როგორც ქალს ასევე მამაკაცს გადავაწოდე და პირველ რიგში ბელადს მივაწოდე. სადღევრძელო წარმოვთქვი და ღვინო ბოლომდე დავცალე. ანალოგიური გაიმეორა ბელადმა - მას სახე გაებადრა, შემაქო და დანარჩენი მაგიდის წევრებს სთხოვა ანალოგიური გაემეორებინათ. ასე მოიარა თასმა წრეში და ყველა მეომარმა შესვა. არ დარჩენილა არცერთი ადამიანი, რომ ჩემი დაწურული ღვინო არ გაესინჯა. არც მოხუცებმა მოიკლეს სასმელი, არც ქალებმა და ბავშვებმა. მოსახლეობას ღვინო ეკიდებოდა და სულ უფრო მატულობდა ცეკვა-თამაშის ვნებანი. ღვინით მთვრალი მამაკაცები და ქალები უსირცხვილოდ ეფერებოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს. რა თემა უნდა, ღვინით თრობა მათთვის უცხო, მაგრამ სასიამოვნო შეგრძნება იყო, რამაც მათში ვნებათა ღელვა გამოიწვია და მათი შეკავება უკვე შეუძლებელი იყო.

ზეიმა თავის კულმინაციას მიაღწია, როდესაც ჩემთან აღელვებული ტოგაი — ბელადის შვილი მოიჭრა და საშინელი ამბავი მაცნობა. კუნძულის სამხრეთის მხრიდან, სადაც ჩვენ ბრძოლა გადაგვხვდა მოემართება ჩვენკენ შეიარაღე-

ბული კაციჭამიათა საომარი რაზმები, რომლებსაც წინ  
მოუძღვდა ჩემს მიერ დაჭრილი კაციჭამიათა ბელადი.  
ტოგაი თვითონ იყო იქ, სადაც ჩვენი მცველები დატოვა  
სანაპიროს დასაცავად. მან საკვები წაულო და ზეიმი მიულო-  
ცა, მაგრამ იგი იქ რომ მივიდა, საშინელი სურათი დახვდა.  
კაციჭამიებს ჩვენი მცველები დაეხოცათ, მუცლები  
გამოეფატრათ და ხეებზე დაეყიდათ. მხოლოდ ერთი მცველი  
დაეტოვებინათ და ისიც აეძულებინათ, რათა მას ჩვენი  
სოფლის ადგილმდებარეობა ეჩვენებინა მათვის. საცოდავი  
დათანხმებულა და კაციჭამიებს წინ მოუძღვდა ჩვენი  
სოფლისაკენ, ამის შემყურე ტოგაიმ კუნძული მოკლე გზით  
გადაკვეთა და ყოველივე მე მაცნობა. საჩქაროდ რაიმე უნდა  
გვეღონა, რადგან წუთი წუთზე ველური კაციჭამიები  
ჩვენთან გაჩნდებოდნენ და ადვილი წარმოსადგენი იყო  
ამდენი უმწეო ადამიანი აღმოჩნდებოდა მათ ხელში, რომ-  
ლებიც ღვინისაგან გაბრუებულნი სრულიად უმწეონი იქნე-  
ბოდნენ. ცოცხალი ვერავინ გადაურჩებოდა მათ. სასწრა-  
ფოდ წამოვხტი, გადავხედე საზეიმოდ მორთულ ველურებს,  
რომლებიც ღვინისაგან მთვრალები ფეხზე ვერ იდგნენ.  
ბედისწერამ დამცინა, ჩემი ხელით მივართვი ამ უბედურებს  
საწამლავი, რითაც ისინი ბრძოლის უუნარონი გავხადე.  
საზეიმო სუფრაზე ავვარდი და საშინლად, არაადამიანურად  
დავიღრიალე. ჩემდა გასაოცრად ყურადღება არავინ მომაქ-  
ცია და კუნძულის მცხოვრები თავდავიწყებულ განცხრო-  
მას მისცემოდნენ. ღვინით გაბრუებულები არავინ მისმენდა,  
მედეას დავუძახე იგი იმ წამს ჩემთან გაჩნდა. ვუთხარი, რომ  
სასწრაფოდ გიორგი მოენახა და სახლში დამლოდებოდა,  
ჩემს მოსვლამდე არსად გასულიყო. ტოგაი და მე შევუდექით  
საბრძოლო რაზმების შედგენას, ვინც კი ოდნავ გონებაზე  
იყო და იარაღის დაჭერა შეეძლო, ყველა განზე გავიყვანეთ  
და იარაღი ჩავაბარეთ. ჩვენი ბელადი უგონოდ მთვრალი  
სახლში წავიყვანეთ. ტოგაიმ და მე სულ რაღაც 20 მეომარი  
ძლივს შევაგროვეთ. მათ კიდევ 10 ახალგაზრდა დაემატა,

რომლებსაც მშვილდ-ისრები დავურიგეთ, დანარჩენი მეომ-რები შუბებითა და ცულებით იყვნენ შეიარაღებული. რაც შეიძლება სწრაფად უნდა გვემოქმედა, რადგან წუთი-წუთზე იყო მოსალოდნელი კაციჭამიათა გამოჩენა. ისინი აუცილე-ბლად აქ მოვიდოდნენ, უდანაშაულო ხალხს დაუნდობლად ამოწყვეტდნენ და უნდა ჩავსაფრებოდით. კაციჭამიები სამხრეთიდან გამოჩნდნენ და ჩვენს სოფლის შემოსასვლელი დავიკავეთ სამხრეთის მხრიდან. მინდოდა შემეტყუებინა სოფელში და იქ მათთვის ბოლო მომედო, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. კიდევ ათი კაცი შემოგვემატა. მათაც დავურიგეთ იარაღი. ახლა ჩემს რაზმში 50 შეიარაღებული მეომარი იყო, მართალია ნახევარზე მეტი საკმაოდ ნასვამე-ბი იყვნენ და ბრძოლისუნარიანობას მოკლებულნი, მაგრამ იარაღის ხმარება შეეძლოთ. ათი მშვილდოსანი ხეებზე ჩავასაფრე, ათი კი სახლების სახურავებზე, დანარჩენები სახლებში დავიმალეთ. უმეტესი ნაწილი მოცეკვავე ქალე-ბისა და ბავშვების, გავიყვანეთ მოედნიდან. როდესაც სამხრეთის მხრიდან ხმაური შემოგვესმა.

კაციჭამიათა პირველი რაზმები გამოჩნდნენ და ცოფიანი ძალებით შემოვარდნენ შუა მოედანზე. ჩვენს თანასოფ-ლელებს შუბებითა და ქვის ცულებით დაერივნენ. მათ ჩემი ნაცნობი კაციჭამიათა ბელადი მოუძლოდა. ცოტა ვადრო-ვეთ, სანამ მოედანი კაციჭამიებით არ გაივსო და ჩემს ნიშანზე ჩვენი მეომრების პირველმა ისრებმაც დაისისინეს. ამას მეომრებმა შუბებიც დააყოლეს და ათობით კაციჭამია საშინელი ღრიალით მოცელილებივით დაეცნენ. ჩემს ნიშანზე მთელი ძალებით შეტევაზე გადავედით. გაჩაღდა საშინელი ხელჩართული ბრძოლა, მამაცურად იბრძოდნენ ჩემი მეომრები, მაგრამ მტრის სიმრავლეს, მეომართა დაღლილობამ და სიმთვრალემ თავისი გააკეთა. მათ ჯერ შეგვავიწროვეს, შემდეგ კი ალყაში მოგვაქციეს. დარჩენილი ათიოდე მეომარი შემოვიკრიბე და ალყის გარღვევას შევეცადეთ. ორივე ხელში ჩემს მიერ გამოჭედილი ხმალი

მეჭირა და წინ ვერავინ მიჩერდებოდა. გზას კაციჭამიათა ცხელრებზე მივიკვლევდი მარჯვნიდან და მარცხნიდან ყველა ავჩენებ და ალყა გავარღვიე. ის იყო უნდა გავცლოდით, რომ გზა კაციჭამიათა ბელადმა გადამიღობა, რაც ძალი და ღონე მქონდა მოვუქნიე ჩემი ხმალი, მან შუბი დამიხვედრა, რომელიც ნაფოტივით დავუმსხვრიე და დარტყმის ძალამ ბუჩქებში მოისროლა. მე კი გზა განვაგრძე, მას ყურადღება არ მივაქციე. კაციჭამიათა რაზმები კი მატულობდა და მატულობდა. მათ სიმრავლეს საზღვარი არ უჩანდა. ასამდე მეომარი უსულოდ ეყარა მოედანზე, მაგრამ ამდენივე ისევ გაჩნდა. ისინი უკვე სახლებში შეცვივდნენ, უდანაშაულო ხალხს დაერივნენ და ყველას ხოცავდნენ. პირველი რაც გამახსენდა, ეს ჩემი ცოლშვილი იყო და მეც სახლისაკენ გავიქცი. ჩვენს სახლს კვამლი მოსდებოდა. იგი შეუვალ ციხედ ექციათ ტოგაის და მედეას. სახლის ზღურბლთან კაციჭამიათა გვამები ეყარა. ტოგაი და მედეა ისრებით იგერიებდნენ მტერს და არ ნებდებოდნენ. კაციჭამიებმაც ხერხს მიმართეს და ანთებული მუგუზლები დაუშინეს სახლს. ჩემს ცოლ-შვილს ცოცხლად დაწვა ემუქრებოდა. გიუივით მივიჭერი კაციჭამიებთან და ხანჯლით მუსრი გავავლე, შემდეგ სახლში შევვარდი, პატარა გიორგი ხელში ავიყვანე, ხელი მედეას ჩავჭიდე და ფანჯრის მეორე მხრიდან გადავხტით. ტოგაიმაც მომბაძა, ტყეს მივეცით თავი. მინდოდა ცოლ-შვილი უსაფრთხო ადგილას დამებინავებინა. და შემდეგ მიმეხედა დანარჩენებისათვის. კუნძულის შუაგულისაკენ გავიქცით. იქ მთაზე ერთი გამოქვაბული მეგულებოდა, სადაც შეიძლებოდა თავის შეფარება. გზად ვინც კი შეგვხვდა, ყველა თან წავიყვანეთ. ძირითადად ქალები და ბავშვები იყვნენ, შემოგვხვდნენ დაჭრილი მეომრებიც. ყველა იარაღით იყო, გასაჭირმა ისინი გამოაფხიზლა. გულმა აღარ მომითმინა, შედარებით ბრძოლისუნარიანი მეომრებისაგან 10 კაციანი რაზმი შევადგინე და უკან ბრძოლის ველზე გავეშურე. ბავშვები და ქალები ცოლ-შვილთან ერთად ორ დაჭრილ მეომარს ჩავაბარე. გზად კიდევ რამდენ-

იმე უკან დახეული მეომარი შემოგვხვდა, ისინიც გავიყოლიე. სოფელს ფრთხილად ვუახლოვდებოდით, ირგვლივ საშინელი სიჩუმე სუფევდა. სულ რამდენიმე საათი იყო გასული იმ საშინელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ და ეს სიჩუმე საეჭვოდ გვეჩვენებოდა. თანდათან ვუახლოვდებოდით სოფელს, ფრთხილად მივიწევდით წინ. აი გამოჩნდა ნაცნობი ბილიკები, მაგრამ ისინი სულ თანასოფლელების გვამებით იყო მოფენილი, ნუთუ ყველა ამოულიტეს ამ კაციჭამია ურჩხულებმა?! ამ მნარე ფიქრებში ვიყავი, როცა სოფელში შევედით, იქ საშინელი სურათი დაგვხვდა. დამახინჯებული გვამებით იყო სავსე სოფლის მოედანი, სადაც ზეიმი გაიმართა. ქალი, ბავშვი და მოხუცი ყველა ერთად იყო აზელილი. გვამები დანაწევრებული იყო და კიდურები აქეთ-იქით ეყარა. ზოგიერთი გვამი გაფატრული იყო და ნაწლავები მიწაზე ეყარა, ეტყობა ასეთი საქციელი მათ დიდ სიამოვნებას ანიჭებდათ. ბელადის სახლში იქაც ამაზრზენი სურათი დაგვხვდა. ბელადის უთავო გვამი ოთახის შუაგულში ეგდო, მისი ცოლები და შვილები იქვე ეყარა, რომლებსაც ყელები ჰქონდათ გამოჭრილი. შემზარავი სურათის ყურება ვეღარ შევძელი და გარეთ გამოვედი. ტოვაის ვეძებდი, მაგრამ ვერ-სად ვნახე სასწრაფოდ გავეცალე ამ საშინელ ადგილს და უკან გამოქვაბულისაკენ გამოვპრუნდი. გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა, სად უნდა გამქრალიყვნენ ველური კაციჭამიები, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ისინი არსად ჩანდნენ და სწორედ ეს მაღლვებდა. გზაში რამდენიმე ჩვენი მეომარი შემოგვხვდა, რომლებმაც გვითხრეს, რომ კაციჭამიები ორ ნაწილად გაიყვნენ ერთი ნაწილი ტყვეებით უკან გაბრუნდა, საიდანაც მოვიდნენ, ხოლო მეორე ნაწილი გადარჩენილი ტყვეთა ნაწილის შესაწირად დასავლეთით წავიდნენ. სასწრაფოდ საჭირო იყო ქალებისა და ბავშვების გადარჩენა, რომლებიც შეიძლება კიდევ ცოცხლები იყვნენ და ჩვენც მათ კვალს გავუდექით, სულ 14 მეომარი ვიყავით, აქედან 4 დაჭრილი. გზად ქალებისა და ბავშვების ტირილი შემოგვესმა. მივუახლოვდით მთის ქვეშ მდებარე პატარა მდელოს და

შევნიშნეთ კაციჭამიათა 30 კაციანი ჯგუფი. მათ ქალები-სათვის ხელ-ფეხი შეეკრათ და რიგრიგობით აუპატიურებდნენ, ხოლო შემდეგ კლავდნენ გულ-ლვიძლს აცლიდნენ და შემდეგ სისხლიანს მიირთმევდნენ. ეს სანახაობა საშინელი იყო მით უფრო, რომ ყველაფერს ბავშვები უყურებდნენ, რომელთა ხვედრიც ნაკლები არ იქნებოდა. ჩვენ მათ მივუახლოვდით ისრის სასროლ მანძილზე. მათ წარმოდგენაც არ ჰქონდათ ჩვენი არსებობის შესახებ, რადგან სუყველა დახოცილი ვეგონეთ. ყველა ჩვენმა მეომარმა ნიშანში თითო კაციჭამია აიღო. ჩემს ნიშანზე იელვა ისრებმა და შებებმა, ათი კაციჭამია უსულოდ ეცა მიწაზე, დანარჩენებს ხანჯლებითა და ნაჯახებით დავერიეთ. ყველა გავანადვურეთ, არცერთი არ დაგვიტოვებია ცოცხალი, მაგრამ დანაკლისი ჩვენს მხარეზეც იყო. 5 მეომარი დავკარგეთ, გადარჩენილი ბავშვები და ქალები გავათავისუფლეთ და ყველამ ერთად გამოქვაბულისაკენ გავწიეთ.

მთელი ღამე ვიარეთ, გამთენისას ადგილზე ვიყავით ყველა. უვნებელი დაგვხვდა. გახარებული გადავეხვიე ჩემს ცოლ-შვილს, გიორგი და მედეა გულში ჩავიკარი. გამოქვაბულში 50 ადამიანმა მოიყარა თავი. აქედან 16 მამაკაცი ვიყავით, დანარჩენები ქალები და ბავშვები. გამოქვაბული დიდი იყო და მრავალი ოთახისაგან შედგებოდა. ყველა თავისუფლად განთავსდა. ეს ადგილი წმინდა ადგილად ითვლებოდა, სადაც კლდეში ნაკვეთი ღმერთები იყვნენ გამოსახულნი, ეს ადგილი უცნობი იყო კუნძულზე მყოფ აბორიგენებისათვის. ბელადის მიერ აკრძალული იყო, აქ ადამიანის ფეხის დადგმა, რადგან ეს ღმერთების რისხვას იწვევდა, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. გამოქვაბული სიცოცხლისათვის გამოსადეგი აღმოჩნდა, რადგან მთიდან ანკარა წყაროს წყალი გამოდიოდა. გადაწყვეტილი მქონდა გამოქვაბულიდან არ გამოვსულიყავით. მივდიოდით მხოლოდ სანადიროდ და საკვების მოსაპოვებლად, ისიც მცირე რაზმებით. დანარჩენ შემთხვევაში ნაბიჯს ვერავინ გაადგამდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ კაციჭამიები დიდხ-

ანს არ გაჩერდებოდნენ კუნძულზე, მაგრამ შევცდი, აქეთ მომავალთ ერთ-ერთ კაციჭამიას შევუნიშნივართ და უკან გამოგვყოლია. დაბრუნებულა და ყოველივე კაციჭამიათა ბელადისთვის მოუხსენებია. მან კი თავისი დარჩენილი მეომ-რები შემოიკრიფა, რომლებიც რიცხობრივად გაცილებით აღემატებოდნენ ჩვენს მეომრებს და მთელი სისწრაფით გამოეშურა ჩვენსკენ, რადგან ჩემთან ჰქონდა ანგარიში გასასწორებელი. ჩვენი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენი გამოქვაბული ყოველმხრივ ბუნებრივი ზღუდე-ებით დაცული იყო და მას მიუვალს ხდიდა. აյ მოახლოება მტრისთვის ძნელი საქმე იყო. კაციჭამიები ღამით გად-მოვიდნენ შეტევაზე, სიბნელეში მათი გარჩევა ადვილი არ იყო, მაგრამ ჩვენი მეომრები მაინც კარგად ანსხვავებდნენ და ისრებითა და შუბებით სათანადო პასუხს სცემდნენ. მათი ყოველივე შემოტევა მარცხით მთავრდებოდა და დიდი დანაკლისით უკან იხევდნენ. გათენდა თუ არა, გამოჩნდა გამოქვაბულისაკენ მიმავალი ბილიკი, რომელიც კაციჭამიე-ბის გვამებით იყო მოფენილი. ეს ეტყობა მათ არ აღელვებ-დათ, რადგან რიცხობრივად ისინი ბევრად აღემატებოდნენ ჩვენს მეომრებს და არავითარი დანაკლისი მათ არ აშინებ-დათ. დილით კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე და ჩვენც ისრე-ბი დავუშინეთ. 10 მეომარს მხოლოდ ცულები და შუბებილა დაგვრჩა, მაგრამ ჩვენ ქალებიც ამოგვიდგნენ გვერდით. მედეა გვერდიდან არ მცილდებოდა, მაგრამ მტრის შეჩერება სულ უფრო ძნელი ხდებოდა. გამოქვაბულის შესასვლელთან ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ეს იყო სამკვდრო-სასიც-ოცხლო ბრძოლა, რადგან დამარცხების შემთხვევაში ყველას ცოცხლად შეჭმა გველოდა, ამიტომ თავს არავინ ზოგავდა.

მე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი კუნძულის მცხოვრე-ბლების წინაშე, რადგან ჩემი წინდაუხედაობითა და დაუდევ-რობით პირველად დავალევინე ღვინო კუნძულის მცხოვრე-ბლებს და ამას სავალალო შედეგი მოჰყვა. ბრძოლისუნა-რიანობა დაეკარგათ ჩემს მებრძოლებს, მაგრამ ისინი შედა-რებით მალე მოეგნენ გონს. კუნძულის სამხრეთის საზღვრე-

ბისთვის მეტი ყურადღება უნდა დამეომო, რადგან მოსალოდნელი იყო კაციჭამიათა განმეორებითი შეტევა. ყოველივე ეს გულს მიღრღნიდა და მოსვენებას არ მაძლევდა, ამიტომ მწვავე და სახიფათო შეტაკებების დროს თავს არ ვზოგავდი და ბრძოლის ველზე სიკვდილს ვეძებდი, მაგრამ კრიტიკულ მომენტებში ჩემი ცოლ-შვილი მახსენდებოდა, ჩემი გიორგი და მედეა. საოცარია მაგრამ ციცინო, ჩემი პირველი სიყვარული, რატომდაც არ მაგონდებოდა, ალბათ იმიტომ. რომ საფრთხე არ ემუქრებოდა. სულ უფრო კრიტიკული მდგომარეობა იქმნებოდა. მტერი შეტევაზე გადმოვიდა და მეც გამოქვაბულის შესასვლელში თავგანწირვით ვეკვეთე მათ. ჩემს ირგვლივ კაციჭამიათა გვამების ხროვა ეყარა. ორივე ხელში მახვილი მეჭირა და კაციჭამიებს მუსრს ვავლებდი. ვატყობდი, როგორ მელეოდა თანდათან ძალა. დავიჭრი მკლავში და ფეხში, მაგრამ ბრძოლის ველს არ ვტოვებდი.

მზე მთებს ეფარებოდა და მასთან ერთად ვატყობდი, რომ ჩემი სიცოცხლის მზეც ესვენებოდა. ცხრა მთას იქით ვკვდებოდი ქართველი კაცი, ულმობელი ბედის მიერ, განწირული და ყველასაგან მიტოვებული. ველური კაციჭამიების ლუკმა უნდა გავმხდარიყავი ცოლ-შვილთან ერთად. რა უცნაურია ეს ცხოვრება, სადაური სადა ვკვდები? — გავიფიქრე მე. უკან მოვიხედე და შეშინებული გიორგის თვალებს წავალები წავალები. მედეას ერთ ხელში გიორგი ეჭირა, მეორეში კი ხანჯალი. ამ სურათმა გამაოგნა და თავში გამიელვა რა ეშველება ჩემს ცოლ-შვილს, მე თუ დავიღუპები, ნუთუ გიორგი ამ კაციჭამიების ლუკმა უნდა გახდეს?! — გავიფიქრე და ინსტიქტურად ზღვისკენ გავიხედე, რომლის იმედი ზებუნებრივი ძალის მიერ მქონდა შთაგონებული და თვალს არ დავუჯერე, ზღვის ჰორიზონტზე გემი მოჩანდა, დიდი გემი, რომლის მიღებიდანაც კვამლი ამოდიოდა. იგი წაპირს მიუყვებოდა და მისადგომს ეძებდა. ეს წარმოუდგენელი რამ იყო, მაგრამ ფაქტი. ხუთი წლის განმავლობაში არაფერი მინახავს. და აი ეხლა თითქმის კრიტიკულ მომენტში, იმედის სხივი ჩამესახა, ჩემი ოცნება ახდა გემი წაპირს უახლოვდებოდა და სწორედ

იმ დროს როცა ვიღუპებოდი კაციჭამია ველურებით გარს შემორტყმული. გავიფიქრე, მე ღმერთი არ გამწირავს, მან ნიშანი მომცა. ეს ნიშანი გემი იყო, ემოციები მოვთოკე და რამდენიმე წამის განმავლობაში ცივი გონებით ყოველივე ავწონ-დავწონე. რაღაც უნდა მომემოქმედებინა, რომ როგორმე გამერღვია კაციჭამიების ალყა და ჩემ ცოლ-შვილთან ერთად გემისკენ გავჭრილიყავი. მეორე ნიშანი უნდა მიმეცა გემისათვის. იმედი მქონდა, გემზე შემნიშნავდნენ და დახმარებას აღმომიჩენდნენ.

გადავწყვიტე როგორმე გამოქვაბულის სიღრმეში შემეტყუებინა კაციჭამიები, სადაც მრავალი საიდუმლო გასასვლელი იყო. მართალია, მეც არ ვიცოდი, რომელი გზა საით მიდიოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. რამდენიმე კაციჭამია ხანჯლით სასიკვდილოდ დავჭერი და ჩემ ცოლ-შვილთან გავჩნდი. გიორგის ხელი მოვკიდე და მედეასთან ერთად გამოქვაბულის ზემო კიბეზე ავედი. აქედან ზღვა ხელის გულივით ჩანდა. სასწრაფოდ რასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა ერთად დავახვავე და დავანთე. ჩემი დარჩენილი მეომრები მომეხმარნენ, რომლებიც თავგამოდებით მიცავდნენ. ცეცხლის დანთება და კაციჭამიების გამოჩენა ერთი იყო, ისინი თითქმის ფეხდაფეხ მომდევდნენ. კლდის ფერდობიდან სხვა გამოქვაბულში გადავედით. მივყევით ვიწრო გასასვლელს და ჩვენს წინ კლდეში გამოკვეთილი რამდენიმე ოთახი აღმოჩნდა. ერთ-ერთი ავირჩიეთ და შევედით, საშინელ სიბნელეში აღმოვჩნდით. თითს თვალთან ვერ მიიტანდი, ძლივს ვარჩევდით ერთმანეთს. დანთებული ცეცხლის იმედი მქონდა, იგი აუცილებლად უნდა შეენიშნათ გემიდან. ცეცხლი ჩვენი ხსნა იყო. მედეას ავუხსენი, რომ ჰორიზონტზე გემი გამოჩნდა და როგორმე უნდა ზღვის ნაპირისკენ გავჭრილიყავით. მას გაეხარდა და მომიგო, რომ გამოქვაბულში წინაპართა მუმიები იყვნენ, რომელთა სულები ჩვენ დაგვიცავდნენ ისე, როგორც კუნძულის საგანძურს, მაგრამ უმჯობესი იყო ადგილს სასწრაფოთ გავცლოდით, რათა მათი რისხვა არ გამოგვეწვია. სამწუხაროდ უკან დაბრუნება

შეუძლებელი იყო, რადგან მტერი ჩასაფრებული გველოდა ასასვლელთან.

— მე საიდუმლო გასასვლელი ვიცი, საწინააღმდეგო მხრი-დან, — მომიგო მედეას. ჩვენი წინაპრების მიცვალებულების სამარხები უნდა გავიაროთ, რომელიც საშიშია.

— ნუ გეშინია მედეა, — მივუგე მე. ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, დროს ნუ ვკარგავთ.

ის იყო გასვლა დავაპირეთ, რომ გამოქვაბულში ველური გამოჩნდა ჩირალდნით ხელში. მათ წინ კაციჭამიათა ბელადი მოუძლოდა, რომელსაც ჩემს მიერ მიყენებული ჭრილობა სახეზე საშინლად მოუჩანდა. მან შემამჩნია, ნაჯახით ჩემს-კენ გამოქანდა, ერთ ხელში ნაჯახი ეჭირა, მეორეში ანთებული ჩირალდანი. მას ხანჯლით ვეკვეთე, მაგრამ მან ჩირალ-დანი დამკრა ხელზე და ხანჯალი გამაგდებინა. ხელი დამეწვა და ჩირალდანიც ჩაქრა. გამოქვაბულის ნესტიანი სუნი დამწვარი ხორცის სუნმა შეცვალა. სიბნელე ჩამოწვა, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს მივაგენით. კვლავ ვეკვეთეთ და ძირს გავ-გორდით. ამ დროს მედეამ გამოქვაბულში შემოსული ერთ-ერთი კაციჭამია მოკლა. მე და კაციჭამიათა ბელადი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ვიყავით, როდესაც მედეას ხმა შემომესმა და გამაფრთხილა, რომ ჩვენ წმინდან წინაპართა აკლდამაში ვიმყოფებოდით. მართლაც შევნიშნე, რომ ბრძოლის დროს მიცვალებულთა გვამებს ვეჯახებოდი. მედეა მახ-სენებდა, რომ მოვრიდებოდი, რადგან მათი რისხვა არ გამოგვეწვია.

მყუდროების დამრღვევთ ღმერთების რისხვა დაგვატყდებოდა, მაგრამ შეჩერება შეუძლებელი იყო. კაციჭამია მთელი ძალ-ღონით მიტევდა ნაჯახით. სიბნელეში მას თვალი უფრო უჭრიდა ვიდრე მე. ბოლოს მედეა დამეხმარა და კაციჭამია ბელადს უკნიდან შუბი აძგერა მთელი ძალით. ამ დროს მან მოტრიალება მოასწრო და მედეას ცული მოუქნია. მედეამ დაიკვნესა და ჩემმა ნაჯახმაც იელვა. კაციჭამია ურჩეულს თავი ორად გადავუჩეხე. იგი მთელი ძალით მიაწყდა კედელს, რომელიც გაინგრა და ნანგრევებთან ერთად უფსკრულში

გადაეშვა. გამოქვაბულში დღის სინათლე შემოიჭრა და გაანათა. საშინელი სურათი ვიხილე, მედეა სისხლისგან იცლებოდა. მას ნაჯახი მკერდში მოხვედრია. იგი ერთი ხელით ჭრილობისაგან სისხლის შეჩერებას ცდილობდა, ხოლო მეორეთი გიორგი ეჭირა, რომელიც შეშინებული ტიროდა. ცრემლი მეც ვერ შევიყავე. მიკვდებოდა მეუღლე და ერთგული ადამიანი, რომელმაც მთელი აქ ყოფნის სიმძიმე გადამატანინა, მზრუნველობა და სიყვარული არ მომაკლო, ჩემს ცხოვრებაში მან წარუშლელი კვალი დატოვა. მედეამ ისლა მოასწრო, რომ ეთქვა ჩემთვის - გიორგის გავფრთხილებოდი. შემოსასვლელიდან კვლავ ხმაური ისმოდა. გაჩერება სახიფათო იყო. იქაურობა მოვათვალიერე და შემზარავ სურათს წავაწყდი. ბელადთა მუმიები აქეთ-იქით ეყარნენ, ისინი ცოცხლებივით იყვნენ შენახული, მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ წმინდა ადგილთა სიმდიდრე, რომელზედაც მელაპარაკებოდა მედეა, მთელ ქვის იატაკზე იყო მიმოფანტული და მზის შუქზე მათმა კაშკაშმა თვალი მომჭრა. ეს იყო ძირითადად ოქროს სხვადასხვა ზომისა და სიდიდის ზოდები და მისგან გამოჭედილი სამაჯურები, რომლებიც როგორც ჩანს, თიხის ჭურჭლებში ელაგა, ბრძოლის დროს ისინი დაიმსხვრა და იატაკზე მოიფანტა. დრო არ ითმენდა, გიორგის ვუთხარი მოეხსნა ზურგზე გადაკიდებული ტყავის ჩანთა, რომელშიც საჭმელი ჰქონდა. მას არ ესმოდა ჩემი, რადგან გულმოსკვნილი ტიროდა. ჩანთა მე ჩამოვხსენი, ძირს მოფანტული ოქროთი პირამდე ავავსე, თავი თოკით გავნასკვე და გარეთ გავიხედე.

კლდე ძალზე დამრეცი ჩანდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, ძველი გზით დაბრუნება სიკვდილს ნიშნავდა. გიორგი ხელში ავიყვანე და დაბლა დავიწყე ჩასვლა. ჭრილობებიდან სისხლი მდიოდა და თანდათან ძალას ვკარგავდი, როგორც იქნა გზაზე დავეშვი და ზღვისკენ მიმავალ ნაცნობ ბილიკს დავადექი. თვალი მოვკარი გემს, რომელიც ნელ-ნელა ნაპირს უახლოვდებოდა. ეტყობა კვამლი შენიშნეს კლდის ქიმზე. რაც ძალა და ლონე მქონდა გემისკენ მივრბოდი და

გიორგისა და განძს მივათრევდი. თვალთ მიბნელდებოდა, მაგრამ ცხადად ვარჩევდი, თუ როგორ ჩაუშვეს ღუზა, ნავი ჩამოუშვეს, ნიჩბების სწრაფი მოძრაობით ნავი ნაპირს უახლოვდებოდა. ბუნდოვნად მესმოდა უცნობი მეზღვაურების გადაძახილები. ვგრძნობდი, როგორ მელეოდა ძალლონე, მალე გონება დავკარგე.

გონს რომ მოვედი, უკვე გემზე ვიყავი. ვიღაც თეთრხალათიანი ექიმი მადგა თავზე. როგორც კი თვალი გავახილე იგი გარეთ გავიდა და ინგლისურად ვიღაცას დაუძახა. ოთახში მაღალი, ქერათმიანი მამაკაცი შემოვიდა და ინგლისურად მომმართა, რომ იგი გემის კაპიტანი იყო და აინტერესებდა ჩემი ჯანმრთელობა. მე მას დამტვრეული ინგლისურით მადლობა მოვახსენე და ჩემი შვილი გიორგი ვიკითხე. კაპიტანი გავიდა და გიორგი შემომიყვანა, იგი კისერზე მომეხვია და ლოყაზე მაკოცა. კაპიტანმა გიორგის ხელი გადაუსვა თავზე და მომიგო, რომ გემი ინგლისის კომპანიას ეკუთვნოდა და იქ ისინი შემთხვევით აღმოჩნდნენ. კუნძულის არსებობა არც იცოდნენ, რადგან იგი არცერთ რუკაზე არ იყო აღნიშნული. როდესაც კვამლი შენიშნეს, გადაუწყვეტიათ ნაპირზე გადმოსვლა, სადაც საშინელი სურათი უნახავთ: კუნძულის ნაპირები გვამებით იყო მოფენილი. ნაპირს გაყოლიან და ბავშვის ტირილი გაუგონიათ. ეს გიორგი იყო. იმ დროს მოსულან ჩვენთან, როცა ერთ-ერთი კაციჭამიას ჩემზე მახვილი აღუმართავს. მათ თოფის გასროლით დაუფრთხიათ იგი და მე და გიორგი გემზე აუყვანივართ. მეც მოკლედ მოვუყევი ჩემი უცნაური თავგადასავალი მივიწყებულ კუნძულზე. კაპიტანი ჩვენს მიმართ სიბრალულით განიმსჭვალა და ინგლისში წაყვანას შეგვპირდა. გიორგიმ ეშმაკურად თვალი ჩამიკრა და თავის ტყავის ჩანთაზე მიმითითა, რომელიც საწოლის გვერდით მედო. ბედის ბორბალი კი ტრიალებს, მე და ჩემი შვილი დიდ ცივილიზაციას ვუბრუნდებოდით. ჩვენი გემი თამამად მიაპობდა ოკეანის ბობოქარ ტალღებს.

## ჯარისპატის ბეჭი



ცხადად მახსოვს ჩემი სოფელი კახეთში, მამისეული სახლი, ჩემი პატარა დაძმა. მამა ბუნდოვნად მახსოვს, რადგან მაშინ, როცა იგი ავტოკატასტროფაში დაიღუპა, სამი წლის ვიყავი. მახსენდება როგორ შეუპოვრად ჩეხდა ზამთარში

ცულით შეშას, შემდეგ დაანთებდა ბუხარს და ჩიბუხს გააბოლებდა. უცბად ჩიბუხის კვამლივით გაქრა მამა ჩემი ცხოვრებიდან, მაგრამ დედა, საყვარელი ჩემი დედა, არასოდეს დამავიწყდება. არ დამავიწყდება მისი სიმღერა, ღიმილი და ცრემლები. გაჭირვებაში გვზრდიდა, ჩვენს პატარა მიწის ნაკვეთს გულდასმით ამუშავებდა და რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ვეხმარებოდით მას. ჩემი დაიკო ნატო, რომელსაც ათი წელი შეუსრულდა და თოთხმეტი წლის ძმა, გიორგი, მე მაშინ თვრამეტი წლის გახლდით.

დაძაბული დრო იყო მაშინ ქვეყანაზე, ყველაფერი დუღდა და ბობოქრობდა.

1939 წელი საქართველოსათვის, ისე, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, მძიმე იყო როგორც შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ასევე საგარეო მდგომარეობით. ჰიტლერული გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ასე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც მსოფლიოში მიღიონობით ადამიანს მოუტანა სიკვდილი, საშინელი ტანკება და წამება. ასეთი ვითარება არ შეიძლებოდა არ ასახულიყო ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაზე. საჭირო იყო ძალის მოხვეჭა, ორმაგი შრომა როგორც ფაბრიკა-ქარხნებში, ასევე მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. ჩვენს პატარა სოფელს თავისი წვლილი

შეჰქონდა ამ დიდ საქმეში. ჩვენს მშრომელ ოჯახს ეს კარგად ესმოდა და მეც ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, რათა ჩამორჩენილთა რიცხვში არ ვყოფილიყავი.

სკოლა 1940 წელს დავამთავრე და ძლიერ მიხაროდა, რომ დამოუკიდებელ ცხოვრების გზაზე გავდიოდი, ამავე დროს გული მწყდებოდა, რადგან შინაგანი ბუნებით ვგრძნობდი, რომ ეს წუთები, რომელიც გავატარე სკოლაში განუმეორებელია და დაუვინწყარი. დაუვინწყარი დარჩა ჩემს გრძნობებში ჩემი ისტორიის მასწავლებლის სიტყვები, რომელიც ეხლაც ჩამესმის ყურში, როგორც განაჩენი და ცხოვრების მანათობელი. აი ეს სიტყვები: „არ უნდა ჩაიდინო ის, რაც შემდგომში სანაენბლად გადაგექცევა და არ გაუკეთო სხვას ის, რასაც შენს თავს არ უსურვებდი“. სწორედ ეს სიტყვები ჩამესმის ახლა ყურში ისეთი ძალით, რომ არ ვიცი რით ვუშველო ჩემს თავს.

1941 წლის 22 ივნისის ლევიტანის ხმამ მთელს ქვეყანას ამცნო საშინელი უბედურება. ფაშისტურმა გერმანიამ ვერ-აგულად გადმოლახა საზღვარი და თავისი ურიცხვი ურდოებით ღრმად შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში. მაშინ უცხო ენათა ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი გახლდით და ნარმატებით ვსწავლობდი ფრანგულ ენას.

ოფიციალურ გამოძახებას ჯარში არ დაველოდე და მოხალისეთა რიგებში ჩავენერე. რა ვიცოდი მაშინ, რომ ეს ხალისით წასვლა დიდ ტანჯვად გადაიქცეოდა. მაშინ კი საგმირო საქმეებისაკენ მიმიწევდა გული, უკან არ ვიხედებოდი, ვტოვებდი ჩემს სამშობლოს, ავადმყოფ დედას, მცირენლოვან და-ძმას. - არ იდარდოთ, ვაწყნარებდი მე ჩემს მშობელს, მალე დავბრუნდები, დედაჩემის ცრემლიანი თვალები არა-სოდეს დამავიწყდება, იგი ასეთი დარჩა ჩემში სამუდამოდ, თითქოს გრძნობდა, რომ ვეღარ მნახავდა და მის თვალებში ამოვიკითხე ის, რასაც ჰქვია დედის მწუხარება. ჩემი და-ძმაც ტიროდა, მაგრამ იმათი ცრემლი ვერ შეედრებოდა დედისას. გასაცილებლად მოვიდა ჩემი თანაკურსელი ნათია,

რომლისადმი განსაკუთრებული გრძნობა მამოძრავებდა. ჩვენ ბევრი საერთო გვქონ და ხშირად დავდიოდით ერთად კინოში და თეატრში, იგი მე ნაზად და მეგობრულად მიყვარდა. გამომშვიდობებისას მან ლოყაზე მაკოცა. მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ამ კოცნის სიმხურვალეს დღესაც ვგრძნობ.

მატარებელი სულ უფრო და უფრო შორს მიმაქროლებდა სამშობლოსაგან, მშობლიური სახლისაგან. იგი მიქროდა დასავლეთის ფრონტისაკენ, უკრაინისაკენ, იქ, სადაც ყველაზე ცხელი წერტილი იყო მსოფლიოში.

რამდენიმე დღის შემდეგ, როგორც იქნა ჩავედით დანიშნულ ადგილზე. ეს იყო უკრაინის ერთ-ერთი სოფელი. მტრისაგან ჯერ ხელუხლებელი. იქ გამოგვაწყვეს სამხედრო ფორმაში და დაგვირიგეს იარაღი შაშხანა, რომელიც რამდენიმე ტყვიას ისროდა მხოლოდ. უძლიერესი მეგონა მაშინ ჩემი თავი. ასე მეგონა ამ შაშხანის ხიშტზე წამოვაცმევდი მთელ გერმანიას და გამარჯვებას მოვიპოვებდი. ორ თვეს გვამზადებდნენ. სულ უფრო ახლოვდებოდა ქვემეხების გრუსუნი, ფრონტი ახლო იყო. ერთ დღეს მეთაურმა დილით სასწრაფოდ აგვაყენა და გამოგვიცხადა - მტერმა რამდენიმე ადგილზე გაარღვია ჩვენი ჯარების თავდაცვა და საჭირო იყო მათი შეჩერება ერთ-ერთი მიმართულებით. ჩვენ სასწრაფოდ გავემგზავრეთ ჯერ მანქანით, ხოლო შემდეგ ფეხით გავიარეთ რამდენიმე უკაცრიელი სოფელი, საიდანაც მოსახლეობა უკვე გახიზინულიყო. მეთაურის მიერ დანიშნულ ადგილას სასწრაფოდ დავიწყეთ თავდაცვითი თხრილების გაკეთება, მეორე დღისათვის ველოდით მტერს და საჭირო იყო დილისათვის დაგვემთავრებინა ყველა სამუშაო, საღამო ხანს თხრილები უკვე დამთავრებული იყო.

დილის ექვს საათზე საშინელმა ხმაურმა გამომაღვიძა. მტერი ჩვენსკენ მოიწევდა, მათ შორიდანვე შეუნიშნავთ ჩვენი გამაგრება და სატანკო ქვემეხებიდან სროლა აგვიტებეს. დაუინებით ვიყურებოდი წინ, მაინტერესებდა რა ხდებო-

და იქ, საიდანაც ასეთი საშინელი ხმაური ისმოდა. მტრის მიმართულებით ძლიერი კვამლის გამო, ვერაფერს ვხედავ-დი. შევნიშნე ჩვენი აყირავებული ქვემეხი და ტყვიამფრქვევი. როგორც იქნა მტვერი გადაიწმინდა და გერმანელები დავინახე. მოტორიზებულ სამხედრო ტექნიკაში ჩამჯდარი მოემართებოდნენ ჩვენსკენ, მათ მოყვებოდათ ქვეით მეავტომატეთა ნაწილები. რაოდენ დიდი იყო ჩემი შეძრნუნება, როდესაც ეს ყოველივე ვიხილე, მაგრამ ყველაზე ძნელი გამოცდა თურმე წინ იყო. ჩვენმა გამოცდილმა მეთაურმა სწრაფად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა და ბრძანება გასცა წესრიგში მოეყვანათ საბრძოლო ტექნიკა, რომელიც საგრძნობლად დაზიანდა. ერთი ქვემეხი მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან, ხოლო ორი ისევ მრძოლისუნარიანი დარჩა. ორი ტყვიამფრქვევიც გამოსადეგი იყო. დაღუპული ჯარის-კაცების ადგილი სხვებმა დაიკავეს. მტერი წინ მოიწევდა. აგრუხუნდა ჩვენი ქვემეხები და გერმანელების რამდენიმე ტანკი კვამლში გაეხვია. გერმანელებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს, ჩვენს ირგვლივ მტვრის კორიანტელი დადგა. ძალები არათანაბარი გამოდგა, მტრის შეჩერება შეუძლებელი იყო. ჩვენი რიგები თხელდებოდა. სულ უფრო მატულობდა დაჭრილთა და დაღუპულთა რიცხვი და მე ერთმა საშინელმა აზრმა გამიელვა თავში - მოვიდა აღსასრული, სიკვდილი მოვიდა. იგი სულ ახლოს იყო, რა უდროო დროს მოდის. ცხრამეტი წლის ასაკში უნდა გამოვესალმო სიცოცხლეს, რატომ, რის ან ვის გულისთვის, სად არის სამართალი. ვიღაც ადამიანებმა და ჩემთვის უცხო ქვეყნებმა, ვერ გაიყვეს რაღაც და ამის გამო მილიონობით ადამიანი ნებით თუ ენებლიედ ჩაება ამ საშინელ სასაკლაო მორევში. აქ, უცხო მიწაზე უნდა დავლიო სული. სად არის სამართალი, სად არის ჩემი სამშობლო, ტანჯული საქართველო? რამდენ ქართველს შეუწირავს თავი უცხო მიწისა და ხალხისათვის, მერე-და ვინ დაუფასა ან ვინ უთხრა მადლობა, არავინ. უცხო ეთნოსი ყოველთვის უმადური იყო ქართველი კაცის მიმართ.

გამანადგურებელი ცეცხლი თანდათან ახლოვდებოდა, რაიმეს გარჩევა შეუძლებელი იყო, ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული. მე სადღაც შორს მომისროლა აფეთქებულმა ყუმბარამ და თვალთ დამიბნელდა, არც ყურში მეს-მოდა რამე. ასე მიწადაყრილი ვეგდე ალბათ დიდხანს, რადგან როდესაც გონს მოვედი ირგვლივ სრული სიწყნარე სუფევდა. გავახილე თვალი და დავინახე ცისფერი ცა, ხოლო როდესაც ირგვლივ მიმოვიხედე, საზარელი სანახაობა დავინახე. ვცადე წამოვმდგარიყავი, მაგრამ ვიგრძენი, რომ კიდურები არ მემორჩილებოდა. მაინც შევეცადე ამემოძრავებინა ხელი და შევძლი კიდეც, მეორეც დამემორჩილა, შემდეგ მარჯვენა ფეხიც ავამოძრავე, მაგრამ როდესაც მარცხენა ფეხზე მიდგა ჯერი საშინელმა ტკივილმა დამიარა ფეხში, მივხვდი რომ დაჭრილი ვიყავი. ცოცვით მივუახლოვდი ბრძოლის ადგილს და ვიხილე საშინელი სურათი, ცოცხალი აღარავინ იყო, დახოცილი მეომრები აქეთ იქით ეყარნენ, ხოლო სამხედრო ტექნიკა განადგურებული და გადათელილი იყო.

სროლის ხმა შორიდან მოისმოდა. ჩემთვის ცხადი იყო, რომ მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ვიმყოფებოდი. ცოცვით მივუახლოვდი ტყის პირს, ხის ქვეშ დავისვენე, შემდეგ კვლავ მოვიკრიბე ძალ-ღონე და ტყის სიღრმეში შევედი. ბედმა გამიღიმა, წყაროს წავანყდი, ხარბად დავეწაფე წყალს. არასოდეს ისეთი სიამოვნება არ განმიცდია ცხოვრებაში, როგორც მაშინ განვიცადე, როდესაც დაჭრილმა და ღონე მიხდილმა ცივი წყაროს წყალი ვიგემე. შემდეგ ჭრილობას მივხედე, ჭრილობა წყლით მოვიბანე, საშინელი ტკივილი გულს მიკლავდა, ჭრილობიდან სისხლი მდიოდა, ნაღმის ნამსხვრევი ძვალსა და კუნთს შორის იყო გაჭედილი. ნებისყოფა დავძაბე და დავფიქრდი, რით შეიძლებოდა მეშველა ჩემი თავისათვის. ირგვლივ არავინ იყო ჩემი დამხმარე, ისევ მე უნდა მეშველა ჩემი თავისათვის. დაყოვნება სიკვდილს უდრიდა, ყოველ წუთს შეიძლებოდა სისხლის

მოწამვლა დამმართვოდა. გამოსავალი კი ერთი იყო, როგორმე უნდა ამომელო ნაღმის ნამსხვრევი ფეხიდან, მაგრამ როგორ? ერთადერთი, რაც გამაჩნდა სამხედრო დანა იყო, რომელიც როგორც საოპერაციო იარაღი, ისე უნდა გამომეყენებინა. დიდი გამოცდილება არ მქონდა ასეთი საქმის, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ გადარჩენის ინსტიქტმა მიკარნახა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. ბედად ასანთი აღმომაჩნდა ჯიბეში, გავიხადე პერანგი და დავჭერი ნაჭრებად ბინტის სახით, დავანთე პატარა ცეცხლი და დანა გამოვწვი. ჭრილობა დავიბანე და დანა ნელ-ნელა ჭრილობაში შევიყვანე. არაადამიანურმა ტკივილმა გონება დამაკარგვინა, რამდენიმე ხანში გონს მოვედი. ტკივილს დიდ ხანს ვერ გავუძლებდი. საჭირო იყო ნაღმის ნამსხვრევის სწრაფი ამოღება. მთელი ძალით დანა ჭრილობაში შევიყვანე და მარჯვნივ გადავხარე, გამოჩნდა რკინის ნატეხი, არაადამიანურმა ტკივილმა ძალა შემძინა, ნახევარ გზაზე გაჩერება არ ივარგებდა და მეც უფრო მაგრად დავანექი დანასის ტარს მარჯვნივ - რკინის ნატეხი ჭრილობიდან ამოვიღე და გონება კვლავ დავკარგე. არ მახსოვს ასეთ ყოფაში რამდენ ხანს ვიწექი, მაგრამ გამოვფხიზლდი თუ არა ჭრილობა წყლით დავიბანე და ნაჭრით შევიხვიე, ნაღმის ნამსხვრევი კი ჯიბეში შევინახე. ტკივილმა იყუჩა და მეც ჩამეძინა.

როცა გამომელვიძა ირგვლივ უკვე სიბნელე სუფევდა. მაღლა ავიხედე და დავინახე ცა, რომელიც ვარსკვლავებით იყო მოჭედილი. მთელი სხეული მიხურდა, თვალთ მიბნელდებოდა, ასეთ ყოფაში მყოფს შემომესმა ტყიდან ხმაური შემომესმა, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ადამიანებს დავლანდე თვალი, მაგრამ ვერ ვარჩევდი, მოყვრები იყვნენ თუ მტრები. გაჭირვებით მოვახერხე იარაღში ტყვიების ჩადება და საბრძოლველად გავემზადე, მაგრამ უცბად შემომესმა რუსულად - რომელი ხარ მანდ! მივხვდი, რომ გადარჩენილი ვიყავი და გრძნობა კვლავ დავკარგე. გონს რომ მოვედი, ვიღაც უცნობის სახლში ვიწექი რკინის

საწოლზე, ხოლო გვერდით სკამზე უცნობი ახალგაზრდა გოგო იჯდა და რაღაცას ქსოვდა. გონს მოსული რომ დამინახა, გამიღიმა და რუსულად იკითხა, თავს როგორ ვგრძნობდი, რაზეც მე დადებითად ვუპასუხე. მისი სახე და ლამაზი ღიმილი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში, როგორც რაღაც ღვთაებრივი. მას ნადეჟდა ერქვა, იგი მომიყვა, რომ ჩემი გადამრჩენი მისი მამა, ივან ფიოდოროვიჩი იყო, რომელიც იმ საბედისწერო ჟამს თავს დამადგა.

ნადეჟდა და მამამისი ტყეში ცხოვრობდნენ სოფლისგან მოშორებით. ივან ფიოდოროვიჩი მეტყევე იყო. გერმანელებმა მას პარტიზანებზე თვალთვალი და ჯაშუშობა დაავალეს, მაგრამ ნადეჟდა და მამამისი პირიქით პარტიზანებს ეხმარებოდნენ. ჩემმა ჭრილობამ ნადეჟდას დახმარებით სწრაფად შეხორცება დაიწყო. ერთ კვირაში ჯოხითა და ნადეჟდას დახმარებით გავლა შევძელი. მე და ის ხშირად ვსეირნობდით ერთად ტყეში, მასთან გატარებული საღამოები დაუკიწყარია ჩემთვის, იმ საშინელების შემდეგ, რაც მე გადამხდა, თავი სამოთხეში მეგონა. სიმყუდროვე, სიმშვიდე და ახალგაზრდა ქალთან ყოფნა ძალას მმატებდა. ამ დროს ჩემგან უკვე შორს ქვეყნის სიღრმეში ინგრეოდა ქალაქები, იღუპებოდა ათასობით ადამიანი. სისხლისმღვრეველი ბრძოლების მიუხედავად მტერი გაშმაგებით მიიწევდა წინ. ამ მიყრუებულ ადგილას ასე უქმად გაჩერება აღარ შემეძლო და დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ დავკავშირებოდი პარტიზანებს. ამის შესახებ დახმარება ნადეჟდას და მის მამას, ივან ფიოდოროვიჩს ვთხოვე, რომლებმაც აღმითქვეს მათთან შეხვედრა.

ერთ დღეს ივან ფიოდოროვიჩი ტყიდან ვიღაც უცნობ კაცთან ერთად დაბრუნდა, ისინი ჩემს ოთახში შემოვიდნენ - ერთმანეთს გავეცანით, იგი აღმოჩნდა არტილერიის ოფიცერი, ლეიტენანტი სერგეი ივანოვიჩი. მან პარტიზანულ რაზმში ყოფნა შემომთავაზა, რაზეც დიდი სიამოვნებით დავთანხმდი.

შევთანხმდით, რომ სამი დღის შემდეგ ფილოროვიჩი მათთან დანიშნულ ადგილზე მიმიყვანდა, მანამდე კი ძალა მომექრითა. ვგრძნობდი, რომ წინ რთული პარტიზანული ცხოვრება მელოდა, მაგრამ ეს აზრი დიდად მახარებდა. ალბათ ასაკის ბრალი იყო, რომელიც არაფერს არ ეგუებოდა და ფათერაკის მოლოდინში იყო. იმავე საღამოს ნადეჟდამ გადაკვრით მითხრა, რომ მე მათ სახლს მალე დავტოვებდი და ალბად არასოდეს შევხვდებოდით ერთმანეთს. მე ყავარჯენი ავიღე და კოჭლობით გარეთ გავედი, ვთხოვე გამომყოლოდა. ზაფხულის სასიამოვნო საღამო იდგა, იგი მეტად მიმზიდველი ქალი იყო, ცისფერი დიდი თვალები ჰქონდა, ქერა თმა უმშვენებდა ლამაზ მოღერებულ ყელს, მაღალი კანჭები და ამობურცული მკერდი მის ტემპერამენტზე მეტყველებდა. მდინარისპირას ხის ქვეშ ჩამოვჯექით და გავაბით საუბარი, რომელიც ორივეს დიდ სიამოვნებას გვანიჭებდა, რადგან იგი გულახდილი და სასიყვარულო იყო. მის თვალებში სინაზესა და სიყვარულს ვკითხულობდი. მისი ყოველი სიტყვა მაღამოსავით მეფინებოდა გულზე, იგი ძლიერ განიცდიდა ჩემს წასვლას - მან თავი ნაზად მომაყრდნო მკერდზე, მე თავი ვეღარ შევიკავე და ტუჩებში ვაკოცე, ქალმა ასევე მიპასუხა. ამ დაუვიწყარ სიყვარულში ისე დაგვალამდე და დაგვათენდა, რომ ვერც კი გავიგეთ. დანიშნული დროც მოვიდა, დავემშვიდობე ნადეჟდას. მე და მამამისი პარტიზანებისაკენ მიმავალ გზას დავადექით. დილიდან შებინდებამდე ვიარეთ, ის იყო ვახშამისათვის მოვემზადეთ, როდესაც ტყიდან ძახილი შემოვესმა, ბუჩქიდან გამოვიდა ახალგაზრდა პარტიზანი, მან იცნო ჩემი გამყოლი და ჰკითხა თუ ვინ ვიყავი, როდესაც გაიგო, რომ საბჭოთა არმიელი გახლდით, გაგვატარა. სულ მალე პარტიზანთა რაზმის შუაგულში აღმოვჩნდი და ყოველი მხრიდან კითხვები დამაყარეს, მაგრამ საბედნიეროდ მალე ბრეზენტით გადაფარებულ სამხედრო კარავში, პარტიზანთა მეთაურთან შემიყვანეს.

ჩემს წინ სერიოზული სახის წარმოსადეგი რუსი ოფიცერი დავინახე, მან სკამზე მიმანიშნა, როდესაც ჩამოვჯექი, გამომცდელად დამაკვირდა. ჩვენს გარდა იქ იმყოფებოდა კიდევ სამი პარტიზანი, ორი ახალგაზრდა, ხოლო ერთი მოხუცი ჭალარაგარეული, რომელსაც სამხედრო ფორმა არ ეცვა. პირველი, რასაც შემეკითხა მეთაური, ის იყო, თუ რა რჯულისა ვიყავი, რომ გაიგო ქართველი ვიყავი, ესიამოვნა, უცებ ყველა იქ მყოფი კეთილად განეწყო ჩემდამი. დანარჩენი შეკითხვები ფორმალური ხასიათისა იყო, ჩემს შესახებ ყოველივე მოკლედ მოვუყევი, რის შემდეგ მეთაურმა მითხრა, რომ ჩარიცხული ვიყავი პარტიზანთა რაზმში და დანარჩენი ჩემი ვაჟკაცობა ბრძოლის დროს გამოჩნდებოდა. რაზმში სულ 30 კაცი იყო. ძირითადად რუსებისა და უკრაინელებისაგან შედგებოდა, რომლებიც სხვადასხვა ბრძოლების დროს იგვნენ დაცილებული თავიანთ ნაწილებს, რაზმი რამდენიმე თვე არსებობდა, მაგრამ უკვე მოესწროთ რამდენიმე მტრის დაჯგუფების განადგურება. ფრონტის ხაზს თანდათან ვშორდებოდით, რადგან მტერი წინ მოსკოვისაკენ მიიწევდა და ჩვენ გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვრჩებოდით.

ჩვენებთან კავშირი არ გვქონდა, ჩვენი მეთაური მოქმედებდა თავისი ინიციატივით. უკრაინის სოფლის მოსახლეობის განწყობილება სხვადასხვანაირი იყო, ზოგი თანაგვიგრძნობდა, ზოგი კი არა. ეს გარკვეულწილად გვირთულებდა მტრის წინააღმდეგ მოქმედებას, ერთი რამ უცილობლად იგრძნობოდა, რომ უკრაინის მოსახლეობას სურდა დამოუკიდებელი არსებობა ყოველგვარი რეჟიმის გარეშე. მიუხედავად საბჭოთა არმიის მედგარი წინააღმდეგობისა, მტერი წინ მოიწევდა. ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელობამ ამის დასაწყისში უკრაინის მიმართულებით თავი მოუყარა დიდ ძალებს, რომლებიც შედიოდნენ გერმანიის სამხრეთ არმიაში. მათ შემადგენლობაში იყო მე-6, მე-17 და მე-11 არმიები, პირველი სატანკო ჯგუფი მე-3 და მე-4 რუმინეთის

არმიები და უნგრეთის კორპუსი, აგრეთვე ამ მიმართულებით ომის დასაწყისში შემოყვანილი იქნა იტალიისა და სლოვაკიის კორპუსები. უკრაინის ომში 1941 წლის ზაფხულში მონაწილეობდა 40-ზე მეტი ქვეითი 7 სატანკო 5 მოტორიზებული გერმანელების არმიების დივიზიები, მოკავშირეების 14 ქვეითი დივიზია და 13 ბრიგადა. მთლიანად ამ მიმართულებით მტერს ჰყავდა 80 დივიზია. 1000 მეტი ტანკი და 1300 თვითმფრინავი. ასეთ ძალთა შეფარდებაში ჩვენს პატარა პარტიზანულ რაზმს შეეძლო მხოლოდ ძალზე მცირედი ზარალის მიყენება მტრისათვის, მაგრამ სიამაყით გვევსებოდა გული, როდესაც სულ მცირე ზარალს მაინც მივაყენებდით მათ.

სულ მალე ჩვენს რაზმს ახალი შევსება შეემატა, განსაკუთრებით გამახარა ქართველებთან შეხვედრამ, ერთი ბათუმელი მეზღვაური იყო, იგი ვანო ჩერქეზია გახლდათ. ახლოს გაცნობის შემდეგ მომიყვა თავის თავგადასავალს. ომის დაწყებამდე მან საზღვაო სასწავლებელი დაამთავრა და ერთ-ერთ სავაჭრო გემზე მეზღვაურად მსახურობდა, ომის დაწყებისას გაწვეულ იქნა შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტში და ერთ-ერთ სამხედრო გემზე მსახურობდა, როდესაც გერმანელებმა სევასტოპოლი აიღეს მისი გემით დაჭრილები გადაყავდათ. მტრის თვითმფრინავებმა გემს ჭურვები დაუშინეს, გემი ჩაიძირა და მისი 1000 მგზავრი გემის პირად შემადგენლობასთან ერთად ზღვაში აღმოჩნდა. გამხეცებული მფრინავები არც ამ ისე-დაც განწირულ ხალს ინდობდნენ, ჰაერიდან გამანადგურებელ ცეცხლს უშენებდნენ უსუსურად მოცურავე ადამიანებს, მხოლოდ შემთხვევამ იხსნა ვანო, იგი გემის ნამსხვრევს ჩაეჭიდა და თავი წყლის ზედაპირზე შეინარჩუნა. ამ მდგომარეობაში იგი რამდენიმე საათი იმყოფებოდა. როდესაც მტრის თვითმფრინავები გაფრინდნენ, ერთ-ერთმა სამხედრო საბჭოთა კატერმა იგი აიყვანა და უახლოეს ნაპირზე გადმოსვა, სადაც პატარა პარტიზანულ რაზმს

შეხვდა და ჩვენამდე მოალწია. მეორე ქართველი თბილისელი კბილის ექიმი - ნოდარ გურიელი იყო, ისიც მოხალისედ წამოსულა ომში და უკრაინაში ამოყო თავი, სადაც რამდენ-იმე მძიმე ბრძოლის შემდეგ მისი ბატალიონის ნაწილები განადგურებულ იქნენ, მან კი ტყეს შეაფარა თავი და ისიც შემდეგ ჩვენს რაზმს დაუკავშირდა.

მალე გერმანელების წინააღმდეგ რამდენიმე ბრძოლამ დაგვამეგობრა და შეგვყარა ერთმანეთს. სამივე ერთმა-ნეთის სიცოცხლით დავალებულნი გავხდით. ჩვენ ბევრჯერ გადავარჩინეთ ერთმანეთი სიკვდილს. მახსენდება: ერთხელ მეთაურმა სამივე ქართველი დაზვერვაზე გაგვაგზავნა, მტრის არმიის ნაწილების გადასროლა მიმდინარეობდა ჩვენი ქვეყნის სიღრმეში ეს ძირითადად რკინიგზით ხორ-ციელდებოდა. ჯარის ნაწილებთან ერთად გერმანელებს სამხედრო ტექნიკაც გადაჰქონდათ მატარებლით. მათ საკ-მაოდ კარგი დაცვა ჰყავდათ ადგილებზე. ამის გამო რკინიგზასთან მიახლოება საკმაოდ ძნელი და სახიფათო საქმე გახლდათ. ჩვენი მიზანი იყო მოგვენახა ყველაზე უხიფათო გზა რკინიგზის ასაფეთქებლად. ღამის პირველ საათზე გავედით დავალების შესასრულებლად, რამოდენიმე საათის შემდეგ რკინიგზის ლიანდაგთან ვიყავით, გერმა-ნელთა ლაპარაკი შემოგვესმა, იქვე ახლოს რუსული ოდა სახლი იდგა, საიდანაც გერმანული სიმღერის ხმა მოისმოდა. ჩვენთან ახლოს ღამის პატრული იდგა, როგორც ჩანდა, საყარაულო პუნქტს მივადექით. ოთახში სამი კაცი იმყოფე-ბოდა, ხოლო ორი ჯარისკაცი მოშორებით იდგა. უკან წამოსვლას ვაპირებდით, როდესაც სახლიდან ორი გერ-მანელი გამოვიდა, ისინი ბოთლიდან სვამდნენ და თან მღეროდნენ, შემდეგ იქვე ახლოს ხის კუნძზე ჩამოსხდნენ და საგზაო ჩანთიდან საჭმელი ამოალაგეს, იმ დროისათვის საკ-მაოდ მდიდრული სუფრა გაშალეს - ჩვენი რაზმი კი შიმში-ლობდა, სურსათი გაგვითავდა. გადავწყვიტეთ გაგვერისკა, მივეპარეთ და ავტომატის კონდახით ორივე ძირს გავშელა-

რთეთ, სასწრაფოდ მთელი სანოვაგე ჩანთაში ჩავალაგეთ და ის იყო უკან გამობრუნებას ვაპირებდით, როდესაც დაჭრილმა გერმანელმა გასროლით ვანო მხარში დაჭრა. სროლის ხმაზე დანარჩენი გერმანელი ჩვენსკენ გამოიქცნენ და თან სროლა აგვიტეხეს. საჭირო იყო ადგილის შეცვლა რაც სწრაფად გავაკეთეთ, მაგრამ ჩვენს უკან საიდანლაც სხვა გერმანელი აღმოჩნდა, რომელმაც ტყვია დაგვიშინა - ალყაში მოვექეცით, სამივე მხრიდან გვიტევდნენ. ამ შემთხვევაში საჭირო იყო ცალ-ცალკე გაფანტვა და ასეც მოვიქეცით, დავთქვით ადგილი, სადაც უნდა შევხვედროდით. რამდენიმე საათში დათქმულ ადგილზე ვიყავი. მაგრამ, ჩემი მეგობრები არ ჩანდნენ. სროლის ხმა მიწყდა, ერთ ადგილზე უქმად ვერ გავჩერდი და მათ საძებრად გავეშურე. გზაში ვანოს წავაწყდი, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა. მე მას ჭრილობა გადავუხვიე და ხესთან მივაწვინე. მე ნოდარის საძებრად გავეშურე, იგი არსად ჩანდა. მიუახლოვდი იმ ადგილს, საიდანაც ეს უბედურება დაიწყო, გარეთ არავინ ჩანდა. სახლიდან კი ხმები მოისმოდა. მივხვდი, ნოდარი ტყვედ ჰყავდათ გერმანელებს, მისი ყვირილიც შემომესმა. მას აწამებდნენ - გადაწყვეტილება სწრაფად მივიღე, ყუმბარითა და ავტომატით ხელში თავგანწირვით შევარდი სახლში, სამი გერმანელი იქვე მივაცხრილე კარებთან, მათ შემობრუნებაც კი ვერ მოასწრეს ჩემსკენ, ნოდარი გავანთავისუფლე და გარეთ გამოვედით. გასვლისთანავე დაჭრილმა გერმანელმა ცეცხლი გაგვისხნა და ორივე მსუბუქად დავიჭრით, მე მხარში, ნოდარი ფეხში. მიუხედავად ამისა, გერმანელის მოსპობა მაინც მოვახერხეთ. როგორც იქნა მივაღწიეთ ვანოს ოდგილსამყოფელამდე, იგი ძალზედ დასუსტებული გვეჩვენა. სამივემ დიდი წვალების შემდეგ ჩვენს რაზმს მივაღწიეთ და გონება დავკარგე. გონს რომ მოვედი, დავინახე, რომ სამივე ლოგინში ჭრილობებშეხვეულნი ვიწევით. მე სიცილი ამიტყდა ამის დამნახავს, იცინდნენ ჩემი მეგობრებიც, მაგრამ სულ არ ეცინებოდა ჩვენს

მეთაურს, მან სამივე მკაცრად დაგვტუქსა და მომავალში ერთად დაზვერვაზე წასვლა კატეგორიულად აგვიკრძალა.

დრო მიდიოდა, გერმანელები წარმატებით ვეღარ იპრ-ძოდნენ, მტერი მოსკოვის მისადგომებთან იქნა შეჩერე-ბული. ბოლო სტალინგრადთან ბრძოლის შემდეგ გერმანე-ლების ავტორიტეტი მთელს მსოფლიოში შეირყა. მთელს მსოფლიოში, მათ მიერ დაჩაგრულმა ერებმა დაიწყეს აქტიური ბრძოლა, გერმანელთა ფაშისტური აგრესის წინა-აღმდეგ. გერმანელების შეტევა კავკასიის მიმართულებით მათი მარცხით დამთავრდა - დაიწყო სამამულო ომის მეორე ეტაპი მტრის განადგურებისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორი-იდან განდევნისა. მიუხედავად ამისა, ფაშისტური გერმანის მთავარსარდლობა დაუზოგავად ერეკებოდა თავის ჯარის-კაცებს აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც ისინი მხოლოდ სიკვდილს პოულობდნენ. ფაშისტური გერმანის გენერლები და ოფიცრები ხარბად დაეტაკნენ ჩვენი მიწა-წყლის სიმ-დიდრეს, მათ გაძარცვეს მრავალი სახლ-მუზეუმი და ეკლე-სია, საბჭოთა მოქალაქეებს აგზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. ნაძარცვი სიმდიდრე საბჭოთა ტყვეებთან ერთად გერმანიაში იგზავნებოდა. მტერმა უკრაინისა და ბელო-რუსის ტერიტორიიდან შავი მიწის გაზიდვაც კი დაიწყო. ჩვენს პატარა პარტიზანულ რაზმაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეჰქონდა მტრის განადგურების საქმეში. ჩვენი რაზმის შემადგენლობა და შეიარაღება თანდათან იზრდებო-და, შემადგენლობამ 500 მებრძოლს გადააჭარბა. ჩვენმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა უფრო მაშტაბური ოპერა-ციის ჩატარება. დაზვერვის შედეგად დადგინდა, რომ უკრაინაზე გავლით, გერმანიაში მატარებლით საბჭოთა ტყვეების დიდი რაოდენობა უნდა გადაეყვანათ. ჩვენ მტკაცედ გადავწყვიტეთ მტრის ამ გადაწყვეტილებისათვის ხელი შეგვეშალა და საბჭოთა ადამიანები სიკვდილსა და წამებას გადაგვერჩინა.

ამოცანა ძალზედ რთული იყო, მატარებელს ძლიერი

დაცვა მოყვებოდა და რკინიგზაც საკმაოდ კარგად იყო დაცული. კიევიდან გასული მატარებელი შიტომირში შედიოდა. გზის შუა ნაწილში გადავწყვიტეთ თავდასხმა, ტყვეების გადასაყვანად ასობით ცხენის ოთხთვალა მოვამზადეთ, საგულდაგულოდ შევიარალდით და მთიდან ბარში დავეშვით. კარპატების საუკეთესო თავშესაფარი მივატოვეთ და მხოლოდ ლამე ვმოძრაობდით რკინიგზის მიმართულებით. ლიანდაგს მივუახლოვდით და საბრძოლველად განვლაგდით. ჩვენი მონაცემებით მატარებელს რამდენიმე საათში უნდა ჩამოევლო. ოთხასორმოცდაათი მებრძოლი ლიანდაგის გასწრივ ჩასაფრდა. საღამო ახლოვდებოდა, საფარიდან კარგად ჩანდა საგუშაგო პუნქტები და მოსიარულე ყარაულები. შერჩეულ იქნა ხუთი კარგი მზვერავი და მათ ლიანდაგის დანაღმვა დაევალათ, რაც ბრწყინვალედ შეასრულეს, მათ უხმაუროდ მოხსნეს დაცვა და ლიანდაგი დანიშნულ ადგილზე დანაღმეს. ჩვენთვის ცნობილი არ იყო, რომ მატარებლის პირველ და ბოლო ვაგონებში იყო შეიარაღებული დაცვა, შუა ვაგონებში კი პატიმრები იყვნენ. ჩვენი განლაგებაც ანალოგიურად მოხდა, მებრძოლები განაპირა მხარეებში მოექცნენ, ჩვენ ამაღლებული ადგილი გვეკავა, მატარებელი უფრო დაბლა ჩაივლიდა, სადაც მდინარე მიედინებოდა. როგორც იქნა გამოჩენდა მატარებელი, ასაფეთქებელს ზონარს მეთაურმა ცეცხლი წაუკიდა, ყველაფერი გამოთვლილი იყო. მატარებელი როგორც კი 500 მეტრით მოუახლოვდებოდა ასაფეთქებელ ადგილს, აფეთქება მაშინ უნდა მომხდარიყო, რადგან მას დამუხრუჭება მოესწრო, რათა არ გადაშვებულიყო ხევში და პატიმართა მსხვერპლი არ გამოეწვია. უცბად ჩაქრა ანთებული ზონა, სასწრაფოდ იქნა გაგზავნილი მზვერავი ცეცხლის მოსაკიდებლად, რაც მან სწრაფად გააკეთა, მაგრამ ძვირფასი წამები უკვე დაკარგული იყო, აფეთქება მატარებლიდან რამდენიმე მეტრში მოხდა და მატარებელმა დამუხრუჭება ვერ მოასწრო. ორთქმავალი და მომდევნო დაცვის ვაგონი ხევში

გადაეშვა, ხოლო დანარჩენი ვაგონები მას არ გადაყვა, რადგან გადაბმა ჩაწყვეტილი აღმოჩნდა. საშინელი გრიალის ხმა გაისმა - საქმე უფრო შეგვიმსუბუქდა, რადგან გერმანელთა დაცვის ვაგონი ლიკვიდირებული აღმოჩნდა. მე-თაურმა მხოლოდ მცირედი რაზმით გაგვაგზავნა ხევში, ცოცხლად დარჩენილი გერმანელები გაგვენადგურებინა. დანარჩენები ტყვეების განთავისუფლებას და დარჩენილი დაცვის განადგურებას შეუდგნენ. მე რამდენიმე მებრძოლთან ერთად ხევში ჩავედი. საშინელი სურათი გადაიშალა ჩემს თვალწინ, ორთქმავალი და ერთი ვაგონი მთლად განადგურებულ იყო, ასე გვეგონა, ცოცხალი აღარავინ იყო. დახოცილი გერმანელები აქეთ იქით ეყარნენ, დაჭრილები კი კვნესოდნენ. მიახლოვებისთანავე ტყვიები დაგვიშინეს და ჩვენც საპასუხო ცეცხლი გავუხსენით და დარჩენილი ოკუპანტები სიცოცხლეს გამოვასალმეთ, უკან ისევე სწრაფად გამოვბრუნდით.

ამ დროს დამტვრეული ვაგონიდან, ბავშვის ტირილი შემომესმა. ამხანაგები უკვე თვალს მიეფარნენ, როდესაც მე უკან გავბრუნდი და ვაგონში შევედი. საშინელი სურათი დავინახე, ადამიანთა დამახინჯებული გვამები აქეთ-იქით ეყარა. სისხლის აუტანელი, აყროლებული სუნი, სუნთქვის საშუალებას არ მაძლევდა, მაგრამ გაბედულად მივიწევდი საიდანაც ხმა მესმოდა. კუპეში შევედი, გერმანელ ოფიცრის გვამი უსულოდ ეგდო. გვერდზე კი ქალის ცხედარი იყო, რომელსაც თავი მთლად გაჩეჩქვილი ჰქონდა. უსულო მკერდში მას მაგრად ჰყავდა ჩაკრული პატარა ბავშვი. როგორც იქნა ბავშვი მიცვალებულს გამოვგლიჯე და იქვე საწოლზე დავაწვინე, იგი ოდნავ სუნთქავდა თანდათან ხმას კარგავდა, თავი და მკერდი დაზიანებული ჰქონდა, მაგრამ ვიფიქრე, რომ მისი გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა. მივტრიალდი და სუფთა ტილოს ნაჭრებს დავუწყე ძებნა, რათა მისთვის ჭრილობები გადამეცვია. ამ დროს მივაქციე ყურადღება იმას, რომ კუპე უჩვეულო იყო, იგი მთლიანად

პატარა რკინის უჯრებით იყო დაფარული. მივხვდი, რომ ეს სეიფი უნდა ყოფილიყო და ეტყობოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი გადაჰქონდათ. ამ პატარა სეიფებში შესაძლებელი იყო ჩვენთვის მნიშვნელოვანი საბუთები ყოფილიყო. დავუწყე უჯრებს გაღება, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ოფიცერი გავჩხრიკე და მას ჯიბეში გასაღებების გროვა აღმოაჩნდა. სწრაფად მოვარგე იგი რკინის ყუთებს და თითქმის ყველა გავხსენი, შემდეგ გამოვწიე სათითაოდ და შიგ ჩადებული შემადგენლობა გავჩხრიკე. რამდენიმე ყუთში მართლაც გერმანულ ენაზე რაღაც საბუთები იყო, მაგრამ დანარჩენი ყუთების შემადგენლობამ ჩემი გონება მთლად აამღვრია. ყუთებში აღმოჩნდა ადამიანის ოქროს კბილები, სხვადასხვა სამკაულები, ძვირფასქვიანი ბეჭდები და ყელსაბამები. ასეთი ყუთი ხუთი იყო. თითო ყუთი ნახევარი მეტრი სიგრძე-სიგანეს არ აღემატებოდა. მათი გადაადგილება არც ისე ადვილი იყო. ნანახმა გონება მთლად დამიბნელა და პატარა გადამავიწყდა. რაც ძალა და ღონე მქონდა დავავლე ერთ ყუთს ხელი. სეიფიდან გადმოვიდე და მატარებლიდან გარეთ წავათრიე. ასევე გამოვათრიე დანარჩენი ყუთები და შესაფერ ადგილს დავუწყე ძებნა, რათა ყუთები გადამემალა. ასეთ ადგილსაც სწრაფად მივაგენი. მატარებლიდან ახლოს ეკლესიის ნანგრევები მოჩანდა. ეკლესიის ნანგრევებიდან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით, ღრმა ორმო ამოვთხარე სამხედრო ნიჩბით და რკინის ყუთები შიგ ჩაუშვი. ბოლო ყუთი რომ ჩავდგი ბავშვი მაშინ გამახსენდა, ელდანაკრავივით წამოვხტი და ვაგონში შევვარდი. პატარა სულ ღაფავდა, ხელზედ აყვანილი გარეთ გამოვიყვანე, იგი უცნაურად მომაშტერდა და ჩემს მკლავებში დალია სული. ახალი ორმოს ამოთხრის თავი აღარ მქონდა, ისიც იმ ყუთში ბოლო ყუთისთავზე დავასვენე და მინა მივაყარე.

უცბად გერმანელების ლაპარაკი და ავტომატის სროლის ხმა შემომესმა. რაც ძალი და ღონე მქონდა ჩვენებისკენ გავიქეცი. ჩვენს პარტიზანულ რაზმს უკვე თავისი დაემთავ-

რებინათ და უკან ბრუნდებოდნენ. გერმანელები კი ახლომ-დებარე საყარაულოდან თავისიანების მოსახმარებლად მოსულიყვნენ და ჩვენებს დასდევნებოდნენ, მაგრამ ძალები უთანასწორო იყო და ისინი მალე ჩამოგვშორდნენ. მე რაზმს მალე დავეწიე. ჩემი თავგადასავალი არავინ იცოდა, მხო-ლოდ ერთმა მეომარმა მკითხა, თუ რაზე ჩამოვრჩი მათ, მე მას სიტყვა ბანზე ავუგდე. მეორე დღეს მონაწილეებს მად-ლობა გამოგვიცხადეს. ჩვენს პარტიზანულ რაზმს მებრძოლ-თა საკმაოდ დიდი ჯგუფი შემოემატა და ჩვენი შემადგენ-ლობა უკვე ათას კაცს ითვლიდა. ჩვენმა პარტიზანულმა რაზმმა მრავალი საგმირო და ღირსეული ბრძოლები ჩაა-ტარა ვერაგი მტრის გასანადგურებლად. დრო კი მიდიოდა, უკვე 1944 წლის გაზაფხული იდგა. დაიწყო გერმანელთა გან-დევნა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან.

1944 წელს დაიწყო დასავლეთ უკრაინის განთავისუფ-ლება. 1944 წლის მარტში შეტევაზე გადავიდა უკრაინის პირველი, მეორე და მესამე ფრონტები. ჩვენი პარტიზანული რაზმი დაიშალა და ყველა წითელი არმიის სხვადასხვა სამხე-დრო ნაწილებში მოვხვდით. მე, როგორც არტილერისტი, გამმაწესეს საარტილერიო ბატარეიაში, რომელიც განუწყ-ვეტლივ ცეცხლს უშენდა უკან გაქცეულ მტერს, მაგრამ აქაც დიდხანს არ გამაჩერეს. შეიტყო რა უფროსობამ ჩემი პარტი-ზანული გამოცდილება, გადაწყვიტა სპეცრაზმში ჩავერიცხე და ასე აღმოვჩნდი პოლონეთის ტერიტორიაზე.

ომის დამთავრებამ პოლონეთის საზღვარზე მომისწრო. დიდი იყო ყოველი ჩვენგანის სიხარული. ძლიერი მტერი შეუპოვარ ბრძოლაში თავისივე ბუნაგში იქნა განადგურებუ-ლი. დაიწყო საბჭოთა ჯარების სამშობლოში დაბრუნება. ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შესახებ, რომლებიც ფაქტიურად ოკუპირებული აღმოჩნდა საბჭოთა ჯარების მიერ. ვიცოდით მხოლოდ, რომ ყველგან საბჭოთა ჯარს სიხარულით ეგებებოდნენ, მაგრამ ყველას არ სურდა თურმე კომუნისტური რეჟიმის დამყარება

ევროპის შუაგულში. ამას მე მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, მაგრამ იმ დროს ეს თავში არავის მოსდიოდა. დიდი ესპანელის გოიას სიტყვებით რომ ვთქვათ - „გონების ძილი წარმოშობს ურჩხულს“. დიახ, ევროპის ხალხების გონების სიფხიზლის მოდუნებამ წარმოშვა კომუნისტური რეჟიმი ევროპის ქვეყნებში.

როგორც იქნა, სამშობლოში ჩემი გამგზავრების დროც დადგა. გამოვემშვიდობე თანამებრძოლებს და საქართველოსკენ გამოვემგზავრე. უცნაური გრძნობა დამეუფლა მატარებელში, ნუთუ ყველაფერი დამთავრდა და მაღე ვიხილავ საქართველოს, ჩემს ოჯახს, ჩემს დედასა და დაძმას, ჩემს შეყვარებულს. 19 წლის ყმაწვილი მოხალისედ წავედი ფრონტზე და ახლა უკვე 23 წლის გამოწრთობილი კაცი ვუბრუნდებოდი ჩემს კუთხეს. რით დამეწყო ჩემი საქმიანობა, რა უნდა მეკეთებინა ჩემს სამშობლოში, რაში გამოვადგებოდი ჩემს ხალხს. აი ეს ფიქრები, რომლითაც მაშინ ჩემი გონება იყო დაკავებული. ოჯახის შექმნაზეც ვფიქრობდი - ნათია, ჩემი მეუღლე უნდა გამხდარიყო, ასე მქონდა გადაწყვეტილი, თუმცა მისი წერილი უკვე კარგა ხანია არ მიმიღია, ჩემი ძმის წერილიც თითქმის წელიწადი ხდებოდა არ მიმეღო. მე კი მათ ხშირად ვწერდი. უმაღლესის დამთავრებაც მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი. განძის ამბავიც თავიდან არ მშორდებოდა. აღარ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. ერთი პირობა მისი ჩაბარებაც კი მინდოდა მთავრობისათვის, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან პატიმრობა არ ამცდებოდა. იმ დროს უსაფუძვლო დაპატიმრებები ჩვეული საქმე იყო, მაგრამ მისი გამოუყენებლობაც უსამართლოდ მიმაჩნდა. ჩვენი ძველი სახლი კი სოფელში აუცილებლად შეკეთებას მოითხოვდა. ასეთი ფიქრებით ვუახლოვდებოდი საქართველოს.

როგორც კი ფეხი მშობლიურ მიწაზე დავდგი, თავი სიზმარში მეგონა. უდარდელად მიმოდიოდა ხალხი სადგურის მოედანზე, ახალგაზრდა გოგოები და ბიჭები მხიარუ-

ლად მასლაათობდნენ ერთმანეთში. თითქოს მათ არ ეხებოდათ ახლახან გადატანილი მსოფლიო უბედურება. თბილისის ქუჩებში გავიარე. სამხედრო ფორმაში ვიყავი, მკერდი მედლებითა და ორდენებით მქონდა მოჭედილი, ზედ არავინ მიყურებდა, უცხო ვიყავი ყველასათვის. იმავე დღეს ჩემს მშობლიურ სოფელში გავემგზავრე. ავტობუსი გაჩერდა თუ არა, ჩამოვედი და სახლის გზას ფეხით გავუყევი. ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ოთხი წელი კი არა, მთელი საუკუნე გასულიყოს. რამდენჯერ წარმომიდგენია ჩემი სოფელი, მაგრამ არა ისეთი, როგორც ჩემს თვალწინ იყო გადაშლილი. სოფელი ნასოფლარს უფრო ჰგავდა, ძველებურად არ ისმოდა მხიარული ურიამული, ისეთი როგორც ჩემს ბავშვობაში მახსოვდა, საღამოობით მთელი სოფელი ცეკვა თამაშით იყო გართული... ბევრი სახლი ფიცრებით აჭედილი იყო, ალბათ პატრონმა ვერ გაუძლო სოფლის დუხჭირ ცხოვრებას და ქალაქისაკენ მიაშურა. თითქმის ყოველ მეორე კედელზე შავ ჩარჩოში ჩასმული ჩემი თანა-სოფლელები შემომცეკეროდნენ ნაღვლიანი თვალებით. თითქოსდა მეუბნებოდნენ, - შენ იცი და შენმა ბიჭობამ, მტრის ჯიბრზე ცოცხალი გადაარჩი. ჩვენც მანამდე ვიცოცხლებთ ვიდრე შენ გემახსოვრებით. მშობლიური სახლი გამოჩენდა, სინათლე ოდნავ ბუუტავდა მივხვდი, რომ ჩვენები სახლში იყვნენ. სახლის კარი გაიღო და იმნამსვე ვიცანი ჩემი დაიკო - ნატო, რომელსაც ძველი ქურქი ეცვა, იგი ჭისაკენ გაეშურა ჭიდან წყლის ამოღებას ცდილობდა. ჭიშკარს მივუახლოვდი, იგი ვერ მამჩნევდა. ჭიშკარი შევაღე და ეზოში შევედი, ხმაურზე ნატო შემოტრიალდა და გაოცებულმა შეჰკივლა, კოკა ხელიდან გაუვარდა და ნამსხვრევებად იქცა, გამოიქცა და კისერზე ჩამომეკიდა. როცა კოცნით გული იჯერა, მწუხრად განმიცხადა, დედა აღარა გვყავსო. ფეხები მომეკვეთა, სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი, ბრძოლებში არ მიგვრძნია ისეთი სიძაბუნე, როგორც იმუა-მად დამემართა. როგორც იქნა მღელვარება დავძლიე და

ნატოს სახლში შევყევი, სადაც ჩემი ძმა - გიორგი დამხვდა, ძლივს ვიცანი, ძალზე შეცვლილიყო, გაბადრული სახით შემომცქეროდა ბრგე ვაჟკაცი. იმ საღამოს ბევრი ვისაუბრეთ, გარიურაუმა ისე მოგვისწრო, ვერც კი შევამჩნიეთ.

ჩამოსვლის მეორე დღიდან თავს მრავალი პრობლემა დამატყდა - ოჯახი გაპარტახებული იყო, რაც კი რამ გასაყიდად გამოდგებოდა ყველაფერი გაეყიდათ ან გაეცვალათ საჭმელში. სახლში ნორმალური სკამიც არ მოიპოვებოდა, ადამიანი რომ დამჯდარიყო. სახლის ჭერი თავზე გვენგრეოდა, შინ და გარეთ ერთნაირად წვიმდა. და-ძმაც ჩემი სარჩენი და საპატრონებელი იყო.

ჩემი თავი დამავიწყდა, აღარც სწავლის გაგრძელება გამხსენებია, კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა, მაგრამ გაჭირვებას თავს ვერ ვაღწევდი. ფიზიკური შრომით ლუკმა-პურის შოვნა ძალზე ძნელი იყო საბჭოთა ქვეყნებში. კოლმეურნეობაში მუშაობის დროს ძალლონეს არ ვიშურებდი.

დღე დღეს მისდევდა, კვირა კვირას, მაგრამ ვერც ოჯახი დავაკმაყოფილე და მეც მუდამ მშიერი დავდიოდი. რაღაც უნდა მეღონა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემნაირების შრომით მხოლოდ სხვები ითბობდნენ ხელს და სუქდებოდნენ. თავმჯდომარის სახლ-კარი მუდამ სავსე იყო სურსათ-სანოვაგით, შესანიშნავად ჰქონდა ბინა მოწყობილი, ხოლო ეზოს საკუთარი მანქანა ამშვენებდა, ვხვდებოდი, რომ ეს ყველაფერი არა პატიოსანი გზით იყო შეძენილი. ასეთ გაჭირვებაში მყოფს აღარც ცოლის მოყვანის, აღარც სწავლის გაგრძელების თავი მქონდა. ომიდან დაბრუნების შემდეგ ნათიას მხოლოდ ერთხელ შევხვდი, ისიც შემთხვევით, რადგან იგი ჩემთან შეხვედრას ყოველთვის თავს არიდებდა. ერთხელ ტყის საქონელს ვწყემსავდი, კოლმეურნე ქალები იქვე მინდვრის სამუშაოებს ეწეოდნენ. უცბად ჩვენს ახლოს მანქანა გაჩერდა, საიდანაც ნათია და ბრიგადირი გადმოვიდნენ. მომუშავე ქალებისკენ გაეშურნენ და მათთან საუბარი

გააბეს. მეც მივუახლოვდი მათ, ნათიამ დამინახა თუ არა, სახე აელენა და წასასვლელად მოემზადა. მე მას ხელი მოვკიდე და განზე გავიყვანე. საუბარი გულახდილი გამოგვივიდა, მან კონკრეტულად მითხრა, რომ ჩვენი ადრინდელი ურთიერთობა მხოლოდ ბავშვური გატაცება იყო და მეტი არაფერი, რომ მას შეყვარებული ჰყავს, რომელიც ინუინრად მუშაობს მშენებლობაზე და ნათია საკუთარი მანქანით მიჰყავს სამსახურში, ხოლო მე მან მირჩია სწავლის გაგრძელება და ხალხში გამოსვლა, შავ მუშად მუშაობისათვის თავი დამენებებინა. ჩემთვის, ნახირის მწყემსისათვის, ყველაფერი გასაგები იყო და მას წარმატება ვუსურვე ცხოვრებაში.

ზაფხული ახლოვდებოდა - შვებულება ვითხოვე და როგორც იქნა სახლის სახურავი შევაკეთე. ჩემი და-ძმის მომავალი მაღლელვებდა. ნატო წყნარი და სათხო გოგო იყო, სახლში მოფუსფუსე. კარგი მეოჯახე, მაგრამ გიორგი უკვე ცხოვრების სარბიელზე გამოდიოდა და სწორი გზის არჩევაში უნდა დავხმარებოდი. მას სწავლის გაგრძელება სურდა და გული და სული თბილისისაკენ ჰქონდა. ერთ დღეს მე და ჩემი ძმა თბილისში გავემგზავრეთ. მოვინახულეთ ჩვენი ნაცნობ-მეგობრები, ნათესავები. შემდეგ ინსტიტუტში შევიარე, ვნახე ჩემი ყოფილი თანაკურსელები. ჩვენი ფაკულტეტის დეკანიც მოვინახულე, რომელსაც ჩემი დანახვა ძალზედ გაეხარდა და ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება შემომთავაზა. ჩემი ძმა შეაქო და მასაც ინსტიტუტში სწავლა უსურვა. სწავლის გაგრძელების სურვილი მართალია მაქვს, მივუგე მე, მაგრამ ოჯახი მანევს კისერზე და ამის დრო ნამდვილად არა მაქვს. მაგრამ ჩემს ძმას კი დავეხმარებოდი ამ საქმეში თქვენის თანადგომით მეთქი, რაზეც მან დადებითად მიპასუხა. მისალები გამოცდების ყველა პირობა გავიგეთ და გადავწყვიტეთ გიორგი კარგ სპეციალისტებთან მიგვეყვანა, რათა გამოცდებამდე დარჩენილი დრო მოსამზადებლად გამოეყენებინა. ჩემმა ყოფილმა დეკანმა

წერილი გამატანა თავის ნაცნობთან, რათა ჩემს ძმას დახმარებოდა. ამ წერილით მივადექით აღნიშნულ ბინას ვაკეში. კერძო სახლი იყო დიდი ეზოთი, რომელსაც პატარა ბრაზიანი ძალი დარაჯობდა. კარი მოხუცმა გაგვიღო და გვკითხა, თუ რა გვინდოდა. ჩვენ წერილი ვუჩვენეთ და ვთხოვეთ, რომ ბატონისთვის გადაეცა აღნიშნული ბარათი, მან ბარათი არ გამოგვართვა და სახლში შეგვიპატიუა. დიდებულ მდიდრულ სახლში აღმოვჩნდით, მდიდრულად მოწყობილ ოთახების სიმრავლემ დაგვაბნია მე და ჩემი ძმა. პროფესორს ვიღაც ჰყავდა და ჩვენ სასტუმრო ოთახში დალოდება გვთხოვეს. ჩამოვჯექით და თვალიერება დავუწყეთ კედელზე ჩამოვიდებულ ძვირფას სურათებს. თავი მუზეუმში გვეგონა. ჩემთვის გავიფიქრე, ეს ყველაფერი, ალბათ, დიდი ფული ღირს და პროფესორის ხელფასი ამას ვერ გაწვდება მეთქი. უცბად კარი გაიღო და სასტუმრო ოთახში ახალგაზრდა ქალიშვილი შემოვიდა. მას ქერა თმები და ცისფერი თვალები ჰქონდა, მოტკეცილი შარვალი ეცვა და მკერდზე ოქროს ჯვარი ეკიდა. იგი გიორგიზე უფროსი ჩანდა, ხოლო ჩემზე უმცროსი, ის დინჯად მოგვიახლოვდა და თავაზიანად გვკითხა, თუ რა საქმეზე ვიყავით მოსული - მე გულახდილად ვუთხარი საქმის ვითარება და წერილი გავუწოდე. ეშმაკურად გაეცინა და ლიმილით მითხრა, რომ ჩემი ძმა აუცილებლად მოეწყობოდა, თუ ჩვენი მხრიდან წინააღმდეგობას არ ექნებოდა ადგილი. გაკვირვებული დავრჩი მისი ნათქვამით - მოკრძალებით ვკითხე, თუ ვისთან გვქონდა საუბრის პატივი და რას ნიშნავდა, ჩვენის მხრივ წინააღმდეგობა. მან აუღელვებლად აგვიხსნა, რომ იგი პროფესორის უფროსი ქალიშვილია, რომელსაც ქეთინო ჰქვია, ხოლო „წინააღმდეგობა“ კი ნიშნავს იმას, რომ უმაღლეს სასწავლებელში მოსაწყობად საჭიროა გარკვეული თანხა და თუ ჩვენი მხრიდან აღნიშნულის მიმართ არ იქნებოდა დაბრკოლება, ასპროცენტიანი გარანტია იარსებებდა იმისა, რომ ნებისმიერი აბიტურიენტი ყოფილიყო ჩარიცხული. რა დაჯდება აღნიშნული

სიამოვნება - შევეკითხე აღელვებულმა, მან კი დინჯად მომიგო, რომ ეს სიამოვნება დაჯდებოდა ათი ათასი მანეთი. ჩემს ყურს არ დავუკერე, შემდეგ თავს ძალა დავატანე და თავშეკავებით მივუგე, რომ ჩვენ მოვიფიქრებდით მის წინადადებას და უმოკლეს დროში ვაცნობებდით, მაგრამ სასურველი იყო პროფესორთან შეხვედრა, რათა დაწვრილებით მოგველაპარაკა აღნიშნული საქმის თაობაზე. ქეთინო იმ წუთში შეიცვალა, იგი უფრო გულისხმიერი და თავაზიანი შეიქნა ჩვენს მიმართ. ყავა და კონიაკი შემოგვთავაზა, რამდენიმე ჭიქის შემდეგ, თითქოს ძველი მეგობრები ვიყავით, ისე ვსაუბრობდით. საკვირველია, მაგრამ მე მომენტონა ქეთინო თავისი გულახდილობით და სილამაზით, შეხედულებითაც სიმპათიური გოგო იყო, მას დიდი შავი თვალები ქონდა, გაშლილი თმა ლამაზად ეფებოდა მაღალ ყელს, ქართული სწორი ცხვირი და ვნებიანი ტუჩები ჰქონდა. იგი ოცდაორი წლისა იქნებოდა. მან მითხრა, რომ უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და თან ძალიან აინტერესებს მხატვრობა, სპორტი, კინო, ხელოვნება. ასეთ სასიამოვნო საუბარში ვიყავით, როდესაც კარი გაიღო და ბატონი პროფესორი გამოჩნდა, იგი ვიღაც ქალს მიუძღვოდა წინ, ქალბატონი გააცილა და შემდეგ ჩვენსკენ გამოემართა. ქეთინომ მოკლედ აუხსნა მას ჩვენი მოსვლის მიზეზი. ჩვენ მან კაბინეტში შეგვიპატიჟა, წერილი გახსნა, სწრაფად ჩაიკითხა, მე ირგვლივ მიმოვიხედე და წიგნების სიმრავლემ გამაოცა. ორი კედელი წიგნებით იყო მოჭედილი და ბიბლიოთეკას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამუშაო კაბინეტს. უზარმაზარ მაგიდაზე წიგნები უწესრიგოდ ეყარა. დაამთავრა თუ არა ბარათის განცობა, მომიბრუნდა და მკითხა, ვიცნობდი თუ არა იმ პირობებს, რომლითაც უნდა გადაგვეწყვიტა აღნიშნული საკითხი. მე მივუგე, რომ ძირითადად ჩვენ საქმის კურსში ვიყავით, მაგრამ ზოგი რამ დასაზუსტებელი იყო. მან აგვიხსნა, რომ სამი თვის განმავლობაში იგი ამეცადინებდა ჩემს ძმას და ამაში 1000 მანეთს ითხოვდა,

მაგრამ ჩაპარების გარანტიას არ იძლეოდა. 100%-იან გარანტიას ჩაპარებაზე იგი იძლეოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ იმ ათასი მანეთის გარდა გადავიხდიდით 10000 მანეთს. მამა-შვილმა ერთმანეთს გადახედა. გამაოცა მამა-შვილის ერთიანობამ. მე ვუთხარი, რომ ერთ კვირაში შევატყობინებდი ჩემს გადაწყვეტილებას, მან ტელეფონის ნომერი მომცა და მთხოვა დამერევა. ასე დავემშვიდობეთ ერთმანეთს. გარეთ რომ გამოვედით, ჩემმა ძმამ მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა, ამდენ ხანს სარგადაყლაპულივით იყო. არ ყოფილა ჩემი საშველი, შემომჩივლა მან, სად გვაქვს ამდენი ფული. არაფერია, ვუპასუხე, რაღაცას მოვიფიქრებთ.

რუსთაველის პროსპექტს ფეხით შევუდექით. უდარდელად მიდიოდა თბილისში ცხოვრება. გზაში ჩემი ამხანაგი, თანაკლასელი გია შემხვდა, გაიგო რა ჩემი თბილისში ჩამოსვლის მიზეზი, მე და ჩემი ძმა რესტორანში დაგვპატიუა, რათა ეს ამბავი აღგვენიშნა. რესტორანში შევედით, გიას იქ ყველა იცნობდა და პატივს სცემდა, იგი მდიდარი მამის შვილი იყო და მამის ფულებს თამამად აფრიალებდა. მაგიდას მისი ნაცნობი, რამდენიმე გოგო-ბიჭი მიემატა და გახურდა ქეიფი. მე ღვინოს მივეტანე, რათა ოდნავ მაინც ჩამეხმო ის დარდი, რაც გულს მიღრღნიდა. რა გზას დავდგო-მოდი აღარ ვიცოდი, ყველგან ფული იყო საჭირო და ნაცნობი, ისე ცხოვრების მაჩანჩალა იქნებოდი. ეს კარგად მესმოდა. ქეთინოს ლამაზი თვალები მაგონდებოდა და მისი მტკიცე განცხადება, რომ ამ საქმეს 10 ათასი მანეთი დასჭირდება. საიდანლაც ბავშვის ტირილი შემომესმა უცებ. გონება გამინათდა, ჩემს გონებაში ფულის შოვნის ვარიანტები ისახებოდა.

რაც ფრონტიდან ჩამოვედი, სიღარიბე და ჭირი არ მცილდებოდა. რა მეღონა, როგორ მოვქცეულიყავი, აღარ ვიცოდი. მეორე საღამოს სახლის სარდაფში შენახული ძველი სკივრი გავხსენი, სადაც ომიდან ჩამოტანილი სუვენირები მქონდა, აქ იყო ჩემი საბრძოლო ფოტოსურათები, სადაც

გამოსახული იყო ჩემი დაღუპული და ცოცხლად დარჩენილი მეგობრები სხვადასხვა ბრძოლების დროს, სუვენირებად წამოღებული ნივთები, ოქროს საათი და ჯვარი, საზღვაო დანა და გერმანული ვალტერი თავისივე ტყვიებით, მაგრამ ყოველივე ეს რომ გამეყიდა, ათას მანეთსაც ვერ შევაგროვებდი. ცხოვრება სხვა რამეს მიბიძგებდა და მე დავიწყე ფიქრი უკრაინის მივიწყებული სოფლის ახლოს ჩემს მიერ ჩაფლულ განძზე, ამაზე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. განძის ჩამოტანა და რეალიზაცია არც ისე ადვილი იყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. განძის ჩამოტანა იმდენად ძნელი არ მეჩვენებოდა, როგორც მისი რეალიზაცია და ფულად ქცევა. უცბად გონება გამინათდა, გამახსენდა, რომ ჩემი ფრონტის მეგობარი ნოდარ გურიელი ზუსტად ის კაცი უნდა ყოფილიყო, რომელიც ამ საქმეში დახმარებას გამიწევდა. ნოდარი ომამდე კბილის ექიმად, პროტეზისტად მუშაობდა და თუ იგი ამჟამადაც იმავე საქმეს ემსახურებოდა, შესაძლებლად მეჩვენებოდა მასთან საქმიანი ურთიერთობის დაჭერა. მე მისი სურათი მოვძებნე, რომელიც თვითონ მისახსოვრა, სურათის მეორე გვერდზე თავისივე ხელით ქონდა გაკეთებული წარწერა და თავისი თბილისის მისამართი. მართალია, ომის დამთავრებამდე ბოლო ერთი წელი, ჩვენ ერთმანეთის-თვის წერილი ადარ მიგვიწერია, რადგან ომში ხშირი გადაადგილების დროს დავკარგეთ ერთმანეთის კოორდინატები, მაგრამ ვიცოდი, რომ იგი ბოლო დროს ჭრილობის გამო მოწინავე ხაზზე აღარ იბრძოდა და იმედი მქონდა რომ ცოცხალს ვიხილავდი.

მეორე დღეს თბილისში გავემგზავრე, ავლაბრის ძველ უბანში როგორც იქნა მივაგენი ნოდარის სახლს და დავაკაუნე: კარი მოხუცმა ქალმა გამიღო. მე მას ავუხსენი, რომ ნოდარის ფრონტის მეგობარი ვიყავი და მისი ნახვა მსურდა. მოხუცმა გულლიად მიმიღო, იგი ნოდარის დედა აღმოჩნდა, სახლში შემიპატიუა. მან მითხრა, რომ ნოდარი

თავის პროფესიას დაბრუნებოდა და ერთ-ერთ პოლიკლინიკიში მუშაობდა, სადაც დილიდან საღამომდე რჩებოდა ხოლმე. შინ დაბრუნებისას ისეთი დაღლილი იყო, რომ დანაყრების და ძილის მეტი არაფერი შეეძლო. დედამისს აწუხებდა ასევე ის გარემოებაც, რომ ნოდარი ამდენ ხანს ცოლს არ ირთავდა და ამ მოხუცებულობაში კარგი იქნებოდა, რომ ახალგაზრდა ქალი შეშველებოდა საოჯახო საქმეებში. ამ საუბარში ვიყავით გართულნი, როდესაც ზარის ხმა გავიგონეთ, ქალბატონმა ეთერმა კარი სასწრაფოდ გააღოდა ზღურბლზე ნოდარი გამოჩნდა. იგი სრულებით არ იყო შეცვლილი, ულვაშები კვლავ ძველებურად ამშვენებდა მის შავგვრემან სახეს. დამინახა თუ არა, ადგილზე გაშეშდა, შემდეგ ერთმანეთს გადავეხვიეთ და დილამდე ლაპარაკითა და ღვინის სმით გული ვიჯერეთ. უკვე თენდებოდა, როდესაც მან მითხრა.

- ჩემო კარგო, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ტყუილად ვიპრძოდით, არავის ჭირდება ისეთი გამარჯვება, თუ ადამიანები ასე საზიზღრად იცხოვრებდნენო. დღე და ღამე ვმუშაობ და არაფერი ჩანს, ცოლიც კი ვერ მომიყვანია, უფულობის გამო.

- მეც მაგ დღეში ვარ, ჩემო ნოდარ, - ვუპასუხე მე. გამოსავალი ერთად უნდა ვეძებოთ.

- საჭირო სპეციალობა მაქვს და კარგი სტომატოლოგიც ვარ, მაგრამ აქაც მასალის უქონლობის გამო არაფერი გამოდის.

შევეკითხე, რომელ მასალაზე არის საუბარი. მან მომიგო. რომ ოქროს სიმცირის გამო მუშაობა გაჩერებულია. ძირითადად პაციენტებს ოქროს კბილების გაკეთება სურს, ხოლო მისი შოვნა კი არც ისე იოლია.

-ნოდარ, ოქროს მე გიშოვნი, - მივუგე მე. თანაც იმდენს, რამდენსაც შენ მოისურვებ.

- შენ ხუმრობ ალბათ, მიპასუხა მან გაოცებულმა. შენ ამდენი ოქრო საიდან გაქვს.

- მაქვს ნოდარ. მაქვს, ოღონდ ნუ მკითხავ საიდან. შენ ოღონდ იმუშავე, ოქროს მე არ მოგაკლებ.

დღის ორ საათზე დავცილდით ერთმანეთს. ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, გადაწყდა. კვირის ბოლოს მე და ჩემი ძმა ნოდარის მანქანით უკრაინაში გავემგზავრებოდით.

გარეთ გამოვედი, მაღლა ავიხედე, მზე იმედიანად მიღი-მოდა, რაღაც სიმსუბუქეს ვგრძნობდი. მართალი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს, ადამიანი იმედით ცოცხლობს. მომავლის იმედი მომეცა, არა ყბადაღებული კომუნიზმის, რომელსაც ასე გაჰკიოდა კომუნისტური პროპაგანდა, არამედ რეალური, უკეთესი მომავლის. რუსთაველს დაუყევევი, მიყვარდა ეს პროსპექტი. უცბად მოსაუბრე ახალგაზრდებში ქეთინო შევ-ნიშნე, პროფესორის ქალიშვილი, ახლოს მივედი და მივესალ-მე. ქეთინოს ძალზედ გაუხარდა ჩემი დანახვა. მე სამხედრო ფორმა აღარ მეცვა და იმ დროისათვის ურიგოდ არ გამოვი-ყურებოდი. ეტყობა ჩემმა შეხედულებამ იმოქმედა მასზედ, შემომთავაზა ყავის დასალევად წავსულიყავით. მე ძალიან მსიამოვნებდა მასთან ურთიერთობა. იგი მეტად განათლე-ბული და ზრდილობიანი გოგონას შთაბეჭდილებას ტოვებ-და. ეტყობოდა სითამამეც, რომელიც ალბათ, მისი ოჯახის დამსახურება იყო. კაფეში საამო სიმღერა ისმოდა, ყველა პრობლემა გადამავიწყდა, ყავა რომ დავლიეთ, ოფიციანტს კონიაკიც მოვატანინე. ქეთინო პირველად წინააღმდეგი იყო, ხოლო შემდეგ დამთანხმდა, რამდენიმე ჭიქის შემდეგ მან უფრო გულახდილად და თამამად დაიწყო საუბარი. გამომი-ტყდა, რომ სასიყვარულო რომანი ჰქონდა ერთ ახალგაზრდა კაცთან, მაგრამ მათი სიყვარული ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან ვერ გაუგეს ერთმანეთს. იგი თურმე ცხოვრებაში ისეთ კაცს ეძებდა, ვისაც ეყვარებოდა ხელოვნება, წიგნების კითხვა, მოგზაურობა და მატერიალურადაც უზრუნველყ-ოფილი იქნებოდა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მივუგე:

- ესეთი კაცი მე რომ ვიყო, ცოლად გამომყვებოდი?

ჯერ გაიცინა, შემდეგ კი სერიოზულად მითხრა.

- რა თქმა უნდა გამოგყვებოდი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეგეთი კაცი შენ არა ხარ, რადგან ჩამოთვლილი პირობებიდან აუცილებლად ერთ-ერთი დაგაკლდებაო.

- მაინც რომელი დამაკლდება, ჩავაცივდი მე.

- აი თუნდაც უკანასკნელი, მომიგო. შენ შენი ძმისთვის 10 ათასი ვერ გიშოვნია და ჩემნაირ მეუღლეს შენ ვერ შეინახავ.

- შენ მე ცოლად გამომყევი და დანარჩენი მე ვიცი, - პირ-დაპირ ვუთხარი.

- არა ძვირფასო, შენი მოსატყუებელი კბილი დიდი ხანია მოვიცვალე, ჯერ სათანადო ნიშნობა ჩაატარე, მერე ვნახოთ.

ჩვენი საუბარი საღამომდე გაგრძელდა, შემდეგ იგი სახლამდე მივაცილე და გამომშვიდობებისას ვუთხარი:

- ქეთინო ჩემი სიტყვა და საქმე ერთია, ამიტომ ჩემს სიტყვებს სერიოზულად მოეკიდე.

- შენც მაგას გირჩევ, მომაძახა და ლოყაზე მაკოცა.

შაბათ დილით მე და ჩემი ძმა, ნოდარის მანქანით თბილისიდან გავედით. გზა საკმაოდ გრძელი გვქონდა. საწვავი და საგზალი საკმაოდ მოვიმარაგეთ. ნოდარის „პობედა“, არც ისე ახალი იყო, მაგრამ საკმაოდ კარგად დადიოდა. მას უკან მისაბმელი ჰქონდა, რაც აუცილებლად გამოგვადგებოდა. ჯიბეში ომიდან ჩამოტანილი გერმანული ვალტერი მედო, ყოველ შემთხვევისათვის წამოვიდე, რადგან დიდ სიმდიდრესთან გვქონდა საქმე.

კიევამდე მშვიდობით ვიმებზავრეთ. გზაში ჩემს ძმას ომის ამბებს ვუყვებოდი. აღნიშნული განძის შესახებაც ვუამბე, რომელმაც საოცარი ზეგავლენა მოახდინა მასზე. იგი ჩემს თვალწინ შეიცვალა, უფრო ხალისიანი და მხიარული გახდა, უხაროდა განძის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც საკმაოდ მიმზიდველი იყო. კიევში სასტუმროში გავატარეთ ერთი ღამე, კარგად გამოვიძინეთ და დილით ადრე გავუდექით უიტომირის გზას. შუადღისთვის ადგილზე ვიყავით, არ გამიჭირდა მატარებლის აფეთქების ადგილის პოვნა, ყოველივე ისე შეუცვლელად გამოიყურებოდა,

როგორც ამ რამდენიმე წლის წინათ. მანქანა ტყის პირას გვერდზე მივაყენეთ და გზა ფეხით გავაგრძელეთ, ლიანდა-გიდან ხევში დავეშვით, სადაც მატარებელი გადაყირავდა. მცენარეულს დაეფარა ყოველივე, მატარებლის ნასახი არ იყო. გზები ერთიანად გაუწმენდიათ, არავითარი ნიშანწყალი კატასტროფისა, ცხადად გამახსენდა ყოველივე და უცბად ბავშვის ტირილი ჩამესმა ყურში, გამახსენდა, თუ როგორ ტიროდა პატარა, გაციებული დედის მკერდს ჩახუტებული. ხევიდან გზას მაღლა ავუყევი, სადაც განძი დავმარხე. გამოჩნდა პატარა ეკლესია, რომელიც აღდგენილი და თეთრად იყო შეღებილი. თანდათან ვუახლოვდებოდი განძის ადგილს და ბავშვის ტირილის ხმა უფრო მატულობდა ყურში. მღელვარებამ მოიცვა ჩემი ყოველი უჯრედი. ეკლესიიდან 40 მეტრზე შევჩერდი. გული საგულედან ამოვარდნას ლამობდა. პატარას ტირილი ცხადად მესმოდა, მეგონა გავგიუდებოდი. ძირს დავხედე მიწას, ზუსტად იმ ადგილზე ვიდექი, რომელიც საკმაოდ მაღლა ბალახს დაეფარა. გიორგიმ ხელი მხარზე დამადო და გამომაფხიზლა.

- რა მოგივიდა ძმაო, - მითხრა, ცუდად ხომ არ ხარ?
- არაფერია, გამივლის, - ვუპასუხე და გზა ეკლესიისკენ გავაგრძელეთ.

მივუახლოვდით თუ არა ეკლესიას, იქიდან ნაზი გალობა შემოგვესმა, შიგ შევედით და პირჯვარი გადავიწერეთ. ხანში შესული მღვდელი წირვას ასრულებდა, სანთლები დავანთეთ, ათასი რამ მიტრიალებდა თვალწინ, ღმერთს შენდობასა და პატიებას ვთხოვდი. ვლოცულობდი პატარას სულის მოსახსენებლად, რომლის უნებლიერ სიკვდილის მოწმე ვიყავი, შემეძლო კი მისი ხსნა, გადარჩენა. ვეძებდი პასუხს და გამოსავალს. ლოცვის შემდეგ თითქოს უფალმა შეისმინა ჩემი ვედრება, ყურში პატარას ტირილი აღარ ჩამესმოდა.

ლოცვა რომ დამთავრდა, მღვდელს გამოველაპარაკე და ვთხოვე, ამ ეკლესიის შესახებ მოეთხრო. მან მითხრა, რომ იგი რამოდენიმე წელია რაც ამ ეკლესიაში მოღვაწეობს,

ეკლესია საუკუნის დასაწყისში აუშენებიათ, ომის დროს იგი საკმაოდ დაზიანდა და მის აღსადგენად საკმაო თანხა დაიხარვა. ომის დროს, აღნიშნა მან, პარტიზანებს ცოტა მოშორებით მატარებელი აუფეთქებიათ და ჩვენი ტყვეები დაუხსნიათ, მატარებლის ნაწილი ხევში ყოფილა გადაჩე-ხილი და დახოცილი გერმანელები ერთ საერთო სამარხში დაემარხავთ, ხოლო მატარებლის ნარჩენები ჯართის სახით გაეტანათ. მას მე დიდი მადლობა მოვახსენე და დავემშვიდობე. მე და ჩემი ძმა გარეთ გამოვედით. დალამდა თუ არა საქმეს შევუდექით. მანქანა განძთან ახლოს გავაჩერეთ და ლამის 12 საათისათვის გათხრა დავიწყეთ. ერთი მეტრის გათხრილიც არ გვეონდა, რომ რკინის ნიჩაბი რაღაც მაგარს მოხვდა, მივხვდი, რომ რკინის ყუთი უნდა ყოფილიყო და უფრო სწრაფად დავიწყეთ გათხრა. ორმოს ლამის ფარანი გვინათებდა. ყუთის თავზე მთელ სიგრძეზე ბავშვის ჩონჩხი გამოჩნდა, საზარელი სანახავი იყო მთვარის შუქზე პატარას ჩონჩხი, იგი თეთრად ანათებდა, კვლავ ჩამესმა ბავშვის ტირილი, თითქოს იგი დახმარებას მთხოვდა და მსაყვედურობდა, რად არ დავეხმარე მას და იქროს დავხარბდი, (ვერც გავიხარე კიდევ იმ დაწყევლილი ოქროთი). ჩონჩხი გამზადებულ პატარა კუბოში ჩავდეთ და გვერდზე გადავდეთ დროებით, შემდეგ რკინის ყუთები ერთი მეორის მიყოლებით ამოვილეთ, ზუსტად 5 ყუთი იყო, იმდენი, რამდენიც ჩავმარხე. ერთი ყუთი გავხსენით და ოქროს კაშკაშმა მთვარის შუქზე თვალი მოგვჭრა, მაგრამ როგორც იქნა დავძლიერ ავ ცდუნებას. განდი წინასწარ გამზადებულ ტყავის ჩანთებში გადავიტანეთ და მანქანასა და მისაბმელში მოვათავსეთ. მანქანა საკმაოდ დამძიმდა, შემდეგ ყუთები კვლავ ორმოში ჩაუშვით და კუბო ბავშვის ჩონჩხით ზედ დავადეთ, მიწა მივაყარეთ და გზას გავუდექით. ლამის წყვდიადიდან, როგორც იქნა, ნათელ გზაზე ავედით და მთელი სისწრაფით თბილისისაკენ გავემართეთ.

გზაზე არც ერთი ხმას არ ვიღებდით, ორივე ჩვენს ფიქ-

რებში ვიყავით ჩაძირული, როგორც კი დაღლას შევატყობ-დით ერთმანეთს, საჭესთან ერთი-მეორეს ვცვლიდით. გზად არსად არ ვჩერდებოდით, მაგრამ დაღლილობამ თავისი გაი-ტანა, შუა გზაზე ლამე მანქანაში გავათიერ, ხოლო შემდეგ გზა გავაგრძელეთ. გზაში არც-ერთ მილიციის ინსპექტორს არ გავუჩერებივართ. თბილისში მშვიდობით ჩავედით, იქი-დან კი ჩვენ სოფელში სახლს მივადექით თუ არა, მანქანას მოვხსენით მისაბმელი და ცალკე მივაყენეთ. ნატო გახარე-ბული შეგვხვდა, მან ჩვენი საქმის არაფერი იცოდა. დაღამდა თუ, არა მთელი განძი ტყავის ჩანთებით სახლის სარდაფში გადავიტანეთ და სპეციალურად გაკეთებულ სამალავში შევინახეთ. განძის მცირედი ნაწილი, რომელიც ძირითადად ოქროს კბილებისა და ბეჭდებისაგან შედგებოდა, ტყავის ჩანთაში ჩავაწყე და მანქანაში შევინახე, რათა ნოდარისათ-ვის წამელო. მანქანით დილიდანვე თბილისის გზას დავადე-ქით, ნოდარი მხიარული შემხვდა, ჩანთა ხელში მეჭირა, მან-ქანის გასაღები ჩავაბარე და ვთხოვე მის კაბინეტში შევსუ-ლიყავით, შევედით თუ არა, ჩანთა გავხსენი და განძეული მის მაგიდაზე ზვინივით დავახვავე. ნოდარი თვალებს არ უჯეროდა.

- ამდენი მაინც საიდან შეაგროვე, შე ეშმაკო შენა, მომიგო გაოგნებულმა.

- ეგ შენ არ გეხება, ხუმრობით მივუგე და ვთხოვე საქმეს შესდგომოდა, რადგან ფული სასწრაფოდ მჭირდებოდა. ნოდარი ერთგული და საიმედო პარტნიორი აღმოჩნდა, ოქროს ნაწილი კარგ ფასად გაყიდა, ხოლო დარჩენილი ნაწ-ილისაგან თვითონ დაამზადა მსურველებისთვის ოქროს კბილები და თვის ბოლოს 100 ათასი მანეთი ნაღდი ფული უჯრაში ედო, ისე რომ ოქროს ნაწილი კიდევ სარეალიზაციო იყო. ამ საქმის განხორციელებას ორ კვირაზე მეტი მოვან-დომე და როგორც კი ყველაფერი მოგვარდა, თანხის მოგე-ბის 25%-ი ნოდარს დავუტოვე, დანარჩენი 150 ათასი მანეთი ნაღდი ფული ხელზე მქონდა.

კვირა დილით პატივცემული პროფესორის სახლს მივადე-ქი. კარი ქეთინომ გამიღო, იგი საკმაოდ ცივად შემხვდა, ძალდატანებით შემიპატიუა სახლში და მკვახედ მომიგო, თუ ფული არ მქონდა, რატომ ვატყუებდი პატიოსან ხალხს, მისი გულისათვის რამდენიმე ნალდ მსურველს უარი უთხრეს, იგი რაღაცას მსაყვედურობდა, რაღაცას მიმტკიცებდა, მაგრამ მე მას არ ვუსმენდი, რადგან სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. მიზიდავდა მისი გარეგნობა, განათლება, მეტყველება, ლამაზი სახლი, კარგი წრე და ის მდგომარეობა, რაც მის ოჯახს საზოგადოებაში ეკავა, ამიტომ ამ ყველაფრისაგან რაც ჩამოვთვალე ისე ვიყავი დაბრმავებული, დანარჩენს ვერაფერს ვგრძნობდი და აი ის დანარჩენი ყველაზე მთავარი ყოფილა, ამას მე სამწუხაროდ გვიან მივხვდი. ცოტა ხნის შემდეგ იგი დაწყნარდა და მკითხა რატომ ვარ ჩუმად, რატომ არ ვეუბნები არაფერს, იგი თურმე ჩემთვის ცდილობს, რომ მე საზოგადოებაში მიღებული ადამიანი ვიყო და ამისათვის საჭიროა არა მარტო განათლებაა, არამედ ფულიც, რომელიც მე სამწუხაროდ არ გამაჩინა. და ასე მთელი სიცოცხლე ცხოვრების მაჩანჩალა ვიქნები, თუ ხელი და თავი არ გავანძრიე, იგი თურმე ჩემზე სერიოზულად ფიქრობდა ერთი პერიოდი, მაგრამ დარწმუნდა, რომ მე მისი ღირსი არ ვიყავი, ვინ ვიყავი მე, ამჟამად არაფერი - ნაფრონტალი, უცოდინარი, უფულო, უსახლკარო, უმუშევარი და უპერსპექტივო. იგი გაჩერდა, სიგარეტს მოუკიდა და თვალებში ჩამხედა, მეც მას თვალი გავუსწორე და კბილებში გავცერი.

- თქვენ ცდებით, ძვირფასო, მე სულაც არ გახლავართ არაფრის მქონე, მე იმდენი ქონების პატრონი ვარ, რაც თქვენს მოდგმას ერთად აღებულს არასოდეს ჰქონია, ხოლო თქვენ კი ნამდვილად არა ხართ ჩემი ღირსი, რადგან მეშჩანი ფუფალა ხართ და მეტი არაფერი, - მეთქი.

ქეთინომ სიცილი დამაყარა და მკვახედ მომიგო.

- თქვენ თავისუფალი ხართ და გთხოვთ მე და ჩემს ოჯახს მეტად, ნუ შეგვაწუხებთ.

- თქვენ კვლავ რაღაც გეშლებათ, მივუგე. მე მამა-თქვენთან მაქვს საქმე და არა თქვენთან, მე მსურს ჩემი ძმის უმაღლესში მოწყობა და ამას გავაკეთებ თქვენი მამის დახ-მარებით.

ამ დროს კარი გაიდო და ქეთინოს მამა გამოჩნდა, იგი მო-მესალმა და ქეთინოს ჰერიტა, თუ რატომ ისმის ასეთი ხმაუ-რი ჩემი ითახიდან, ქეთინომ მკვახედ უპასუხა მას, ამ ვაჟბატონს სურს თავისი ძმა უმაღლესში უფულოდ მოაწყოს.

- ეს ასე არ გახლავთ, პატივცემულო პროფესორო, - მივუ-გე მე. გთხოვთ მაპატიოთ დაგვიანება, მაგრამ შეთანხმები-სამებრ დათქმული თანხა მოგიტანეთ, გთხოვთ საქმეს მსვლელობა მისცეთ. გავხსენი ჩანთა და შიგ რაც ფული იყო, მაგიდაზე დავახვავე. აქ შეპირებულზე მეტია და გთხოვთ დროზე იმოქმედოთ, შემოვტრიალდი და სახლიდან გამოვე-დი. ვგრძნობდი მამა-შვილის გაოცებულ მზერას და გუნება-ში მეცინებოდა. ეს ჩემი გამარჯვება იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ ჩემი ძმა უნივერსიტეტის სტუ-დენტი გახდა, იგი ძალზედ გახარებული იყო, მან შეიძინა ახალი მეგობრები და სოფელში იშვიათად ჩამოდიოდა. მე მას ბინა ქალაქის ცენტრში დავუქირავე, სულ მალე სოფელში ახალი ორსართულიანი სახლი წამოვჭიმე, სახლი გავმართე თუ არა, მოსკოვიდან იმპორტული ავეჯი ჩამოვიტანე, ოთა-ხები უცხოური ავეჯით გავაწყე, გარაჟში კი ახალი თეთრი ვოლგა შევაგრიალე. ჩემს დას ნატოს თავი სიზმარში ეგონა. მეზობლები გაოცებულნი იყვნენ, ნეტავი რა იშოვა ამ ბიჭმა ისეთიო, ამბობდნენ ჩუმად. მაჭანკლებიც ბევრი მოდიოდა, სხვადასხვა სოფლის ქალებს მთავაზობდნენ, მაგრამ თავი განზე მეჭირა, ჩემი ფიქრები თბილისისაკენ იყო მიპყრო-ბილი. ქეთინოზე ფიქრს თავს არ ვანებებდი. ხშირად ჩემს გარდაცვლილ დედაზე ვფიქრობდი, ნეტავ ქეთინო მას რომ ენახა, რას მირჩევდა დედის გული. ქეთინოსაც დედა ადრე გარდაეცვალა, მას მხოლოდ ერთად-ერთი და ჰყავდა, რომე-ლიც გათხოვილი იყო და ცალკე ცხოვრობდა. სოფელში

ტელეფონი გამოვიყვანე. ერთ საღამოს ვეღარ მოვითმინე და მას სახლში დავურეკე. ტელეფონი ქეთინომ აიღო. გაიგო თუ არა ჩემი ხმა, ჩემმდა გასაოცად, გაეხარდა და სახლში მიმიპატიჟა, თითქოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარიყოს. იმავე საღამოს სახლში ვეწვიე. მამამისი კარგად დამხვდა, მე მას მოულოდნელად ქეთინოს ხელი ვთხოვე, მამა-შვილი გაკვირვებული შემომცექეროდა, ისინი არ ელოდნენ ასეთ წინადადებას, მათი ჭოჭმანი შევატყვე, ვიცოდი რა მათი სუსტი ადგილი, ისარი ზუსტად იქით ვტყორცნე და მიზანშიც მოვარტყი. მშვიდად მივუგე.

- მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქეთინოს არაფერი მოაკლდება და მისი ბედნიერებისათვის არაფერს დავიშურებ, მათ შორის ცოდნას, გამოცდილებას და ფულს.

- თქვენს ცოდნასა და გამოცდილებაზე რა მოგახსენოთ, მომიგო მომავალმა სიმამრმა. ცოდნა თქვენ დასრულებული არა გაქვთ, მე მგონი თქვენ სწავლა არ გაგიგრძელებიათ ომის შემდეგ, ხოლო რაც შეეხება თქვენს გამოცდილებას, ომში მიღებული გამოცდილება მშვიდობიან დროს არა მგონია რამეში გამოგადგეთ. მშვიდობიან დროს სხვა ცოდნა და გამოცდილება საჭირო, აქ სხვა კანონებია გამეფებული, ზოგჯერ უფრო სასტიკიც კი, ვიდრე ომში და იმ განსხვავებით, რომ სროლის ხმა არ ისმის. აი, რაც შეეხება ფულს, იგი კი აუცილებლად გამოგადგებათ, მაგრამ განვდებით კი ქეთინოს მოთხოვნებს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ იგი მეტად განებივრებული მყავს და არ მემეტებაა პროვინციელი, უსწავლელი და უფულო კაცისათვის.

- თქვენ ცდებით, ბატონო პროფესორო, მე უფულო არ გახლავართ, ხოლო რაც შეეხება პირველ ორ ნაკლს თქვენი და ჩემი ფულის დახმარებით ორივეს მოვიპოვებ. მე ყველაფერს ვიყიდი, რაც საჭირო იქნება ქეთინოსა და ჩემი ბედნიერებისათვის.

- კეთილი, მომიგო მან, მე თანახმა ვარ მოგათხოვოთ ჩემი ქალიშვილი იმ პირობით, თუ თქვენ ქალაქის ცენტრში შეი-

ძენთ კერძო ბინას, რადგან სოფელში ვერ იცხოვრებს ჩემი ქალიშვილი, ხოლო მე ზედსიძობას ვერ ავიტან. ბინის შეძენისა და მისი კეთილმოწყობის შემდეგ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ნიშნობაზე. თუ თქვენ თანახმა ხართ ამ პირობებისა, დავამთავროთ ამით ლაპარაკი.

- მე თანახმა ვარ, მივუგე დაუფიქრებლად, რაზედაც ქეთინოს ეშმაკურად ჩაეცინა, მომავალ შეხვედრამდე ჩემს ახალ ბინაში, - მივუგე მე, თავი დაუკარი და გარეთ გამოვედი.

მხოლოდ ქეთინოზე ვფიქრობდი, ძალზე დიდი იყო მისი ფლობის სურვილი, გონება მაშინ დაბნელებული და დახშული მქონდა და ვერ ვხვდებოდი, რომ ის ჩემი შესაფერისი არ იყო, ამას მე მოგვიანებით მივხვდი, მაგრამ უკვე გვიან იყო. იმ დროს კი თავდავიწყებით ვიყავი ქეთინოზე შეყვარებული და წინ აღბათ ვერაფერი ვერ დამიდგებოდა და აკი ვერც დამიდგა. ახალგაზრდა კაცს, თანაც თავდავიწყებით შეყვარებულს, რომელსაც იმდენი ფული და ოქრო აქვს, რომ ანგარიშიც კი დაკარგა, აუცილებლად გონებასაც დაკარგავდა, და დავკარგე კიდეც გონება ქეთინოს შემყურემ.

სულ მალე თბილისის საუკეთესო მაკლერი დავიქირავე და მან ერთ კვირაში ვაკეში საუკეთესო კერძო ბინა შემირჩია შესაძენად, რომლის სანახავად ერთ მშვენიერ დღეს წავედით მე, ჩემი ძმა გიორგი და ჩემი და ნატო, აგრეთვე მაკლერი, რომელიც სომეხი კაცი იყო და სახელად გეორქა ერქვა. ჩემი მანქანით ვიმგზავრეთ და ვაკეში გასაყიდ სახლს მალე მივადექით. ადგილი მომენტა, სახლი უხმაურო წყნარ ქუჩაზე მდებარეობდა, მახლობლად სულ კერძო სახლები იყო, ყველას ცალკე შესასვლელი და ფართე ეზოები ჰქონდათ. ყველა სახლი ორ ან სამ სართულიანი იყო. ჭიშკარი გეორქამ გაგვიღო და მანქანით ეზოში შევედით. დიდებული ეზო გადაიშალა ჩვენს წინ, მაგრამ ეტყობოდა, რომ აკლდა გამრჯე მომვლელის ხელი. ხეივანში ვაზი იყო გაშენებული, რომელიც გასასხვლელი იყო, სარეველას დაეფარა მიწის

ნაკვეთი, რომელიც სახლის წინ იყო. ხეხილიც საკმაოდ ბევრი იდგა ეზოში, რომელიც შემოსაბარი და შესანამლი იყო. სახლს გავხედე, შესანიშნავი ორ სართულიანი აგურის სახლი იყო, რომელსაც დახვეული ფილაქნების კიბე აუდიო-და მეორე სართულზე. აივანზედ ავედით თუ არა, მოხუცი ცოლ-ქმარი გამოგვეგება, ისინი რა თქმა უნდა გველოდნენ და საქმის კურსში იყვნენ. მათ სახლში შეგვიპატიუეს, სახლში რომ შევდგი ფეხი ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ თითქოს ერთი საუკუნით უკან დავბრუნდით, სიძველის ხილვამ სხვა სამყაროში გადამიყვანა, ავეჯსა და სახლში არსებულ ყოველ ნივთს სიძველის ნიშანი ეტყობოდა. ძველებურ სკამებზე ჩამოვჯექით და მასპინძელმა მოკლედ აგვისნა სახლის გაყიდვის აუცილებლობა მათი ოჯახისათვის. ბინა ქართველ თავად-აზნაურის უძველესი გვარისა იყო, კომუნისტების მიერ გვარის განადგურებამ და ხელმოკლეობამ იძულებული გახადა ოჯახი, რომელიც მოხუცი ცოლ-ქმარისაგან შესდგებოდა, გაეყიდათ ბინა თავისი შემადგენლობით, სანაცვლოდ კი ისინი ერთ ოთახიან ბინას მოითხოვდნენ, რომელიმე ბაზართან ახლოს და ფულს.

- რა თანხაა ის, რომელსაც თქვენ მოითხოვთ ყველაფერ ამაში, - ვკითხე მე.

- 200 ათასი, - იყო პასუხი.

იმ დროისათვის ეს გაუგონარი ფული იყო. მოხუცს ეგონა, რომ მე შემაშინა თანხის სიდიდემ და იმ წუთში დაუმატა, რომ ვაჭრობა მხოლოდ ათი ათასის ფარგლებში შეიძლებოდა. უცებ გონებაში გამიელვა, რა მუხანათია ეს წუთისოფელი, როგორ უცბათ შეიძლება უკულმა დატრიალდეს ბედის ბორბალი. დიახ, ამ ოჯახის უღელი გადატრიალებული იყო და ამ საქმისათვის წერტილი მე უნდა დამესვა.

- თანახმა ვარ, - უპასუხე და ფეხზე წამოვდექი.

ჩემთან ერთად ყველა წამოდგა და მე მომაპყრეს მზერა, ისე გაკვირვებით მიყურებდნენ, შინაურიც და გარეულიც, თითქოს მათ წინაშე მე კი არა, გრაფ მონტე-კრისტო იდგა.

- თანხას ათ დღეში მიიღებთ თქვენს ერთ ოთახიან ბინასთან ერთად, მაკლერი იზრუნებს თქვენს დაბინავებაზე,
- ყოველივე ამის ხარჯი ჩემზე იყოს, ნასყიდობა ყოველივე ამის შემდეგ გაფორმდება. გამოვემშვიდობეთ მოხუცებს, რომლებიც გაკვირვებული თვალებით შემოგვცეროდნენ და გარეთ გამოვედით. გზაში მაკლერს ვუთხარი, რომ ყველაფერი დროზე მოეგვარებინა და ჩემგან ნაწყენი არ დარჩებოდა, შეპირებულ თანხაზე მეტს მიიღებდა. გზაში ნატომ მითხრა, დედა რომ ცოცხალი ყოფილიყო, როგორ გაიხარებდა, სამივეს თვალზე ცრემლი მოგვადგა. ნატო უკვე დიდი გოგო იყო, მასზე ზრუნვა ჩემი საფიქრებელი გახდა. სოფელში მისი მარტო დატოვება არაფრით არ შეიძლებოდა, რაღაც უნდა მომეფიქრებინა. მეორე დღეს ნოდარის გავუარე, მითხრა, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა, მისი კლიენტები კმაყოფილი იყვნენ და ახალ-ახალ შეკვეთებს იძლეოდნენ, მაგრამ იმ თანხის შეგროვება, რომელიც მე ვუთხარი, ათი დღის განმავლობაში, ცოტა გაჭირდებოდა. საჭირო იყო სხვა არხებზე გასვლა, ოქროს კბილებით შორს ვერ წავიდოდით და ჩვენც დავიწყეთ ახალი შემოსავლის წყაროს ძებნა. დიდხანს არ გვიძებნია. ნოდარმა დამაკავშირა თავის ნაცნობ ოქრომჭედელს, რომელიც კარგი ხელოსანი იყო და მუშტარი მუდამ ჰყავდა. იგი საიმედო კაცი აღმოჩნდა და მეც ვენდე. დასაწყისისათვის ჯართის სახით კილონახევარი ოქრო გადავეცი. გაკვირვებულმა შემომხედა და მითხრა, ორმოცი წელი ამ საქმეს ვემსახურები და ამდენი ოქრო ერთად არა-სოდეს მინახავს. რაც არ გინახავს ეხლა ნახავ, - მივუგე მე. იგი მალე შეუდგა საქმეს და შედეგიც სახეზე იყო. დათქმული თანხა დროზე შევაგროვე და აღნიშნული სახლი მთელი მისი ავლა დიდებით ჩემი საკუთრება გახდა, მაგრამ ესეც საკმარისი არ იყო, საჭირო იყო მისი კომფორტულად მოწყობა და გარემონტება, ამ საქმისათვის რამდენიმე თვე დამჭირდა. როდესაც ყველაფერი მზად იყო, გადავწყვიტე მომეწყონეულება და ქეთინო მამასთან ერთად დამეპატიუა.

აქ ცოტა ხნით, უნდა შევჩერდე და მკითხველს მინდა აცუხსნა ის საზიზღარი არაადამიანური ვითარება, რომელ-შიც ვიმყოფებოდით ეგრეთ წოდებული საბჭოთა ადამიანები. ომის შემდგომ პერიოდში, საქართველოში, ისევე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, თითქოს ომში გამარჯვებული, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერში დამარცხებული ადამიანები კომუნისტური პროპაგანდით გაბრუებულნი აშენებდნენ ეგრეთ წოდებულ სანატრელ კომუნიზმს და სინამდვილეში კი ანგრევდნენ უძველეს დროიდან დაწყებული ცხოვრებისეულ ადამიანურ კანონებსა და ნორმებს როგორც სულიერს, ასევე მატერიალურ ფასეულობებს. კომუნისტებმა კომუნიზმს ვერა, მაგრამ თავის მიზანს მიაღწიეს, მთელი ქვეყანა გაამათხოვრეს, გააღარიბეს, არაფრის მქონე დატოვეს, წაართვეს გლეხს მიწა და ძალათი გააერთიანეს ყმობის უსაშინლეს უღელში, რომელსაც კოლმეურნეობა უწოდეს. მუშა, როგორც მონა, ისე გამოამწყვდიეს ფაბრიკასა და ქარხნებში და მარქსის ზედმეტი ღირებულების კანონის საწინააღმდეგოდ მათ 8 საათს კი არ ამუშავებდნენ, არამედ მთელ 15 საათს და ასანაზღაურებლად უტოვებდნენ კომუნიზმის ნათელ მომავალს, რომლებშიც მათი შვილები იცხოვრებდნენ, თვითონ კი არაფრის არ იკლებდნენ. გაულეტილი და განადგურებული იქნა ინტელიგენცია ყველა ეროვნებაში, ცოცხლად გადარჩენილები კი თუთიყუშივით იმეორებდნენ ბელადის ბრძნულ აზრებს. მოუსპეს რა ადამიანებს ცეცხლითა და მახვილით რწმენა ღმერთისადმი, ხიშტითა და ძალადობით დანერგეს რწმენა ბელადისადმი. იმ პერიოდში ტუალეტის ქაღალდი დიდი დეფიციტი იყო და ადამიანები იძულებულნი იყვნენ ჩუმად, რომ არავის დაენახა, ვითომ ყველაზე პოპულარული და საყვარელი გაზეთი „პრავდა“ გამოეყენებინათ ტუალეტ-ში, მაგრამ ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან ასეთი საქციელისათვის შეიძლება პოლიტიკურ მტრად ყოფილიყვავი გამოცხადებული და გადასახლება არ აგცდე-

ბოდა. ჯაშუშთა ქსელი საგრძნობლად გაფართოვდა, ყველან და ყველაფერში ხალხის მტრებს ხედავდნენ, კომუნისტები ერთმანეთსაც არ ინდობდნენ.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ადამიანებმა ამოისუნთქეს, მაგრამ თავი იჩინა იმ საზიზღარმა შედეგებმა, რომელიც უსათუოდ უნდა მოყოლოდა დიქტატურულ რეჟიმს. იგრძნეს რა მასებმა რეჟიმის სიდამპლე, გადაგვარებული, მოტყუებული დამშეული ურნმუნო ხალხი გამოსავალს ეძებდა. გამოსავალი კი არ ჩანდა, კომუნისტურმა რეჟიმმა ხრწნა სწრაფად დაიწყო. მომრავლდნენ მექრთამები, გაიზარდა სახელმწიფო ქონების დატაცების ცდები, მომრავლდნენ ქურდები, ჯიბგირები, მეძავეები. ბიუროკრატიული აპარატი თვითონ იყო პირველი მაგალითის მიმცემი ყოველივე ცუდ საქმეში, მათ აღვირახსნილობას და უკანონობას საზღვარი არ უჩანდა.

ანალოგიური ვითარება სუფევდა, რა თქმა უნდა საქართველოშიც. მმართველი აპარატი კორუმპირებული იყო, ადამიანთა უფლებების შელახვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. ყველაფრით უიღბლო ადამიანებს ისლა დარჩენოდათ, ხმის ამოუღებლად მონებივით ემუშავათ, რათა გაემდიდრებინათ გაუმაძღარი თანამდებობის პირები, კომუნისტური მაფიის უმაღლესი და უმდაბლესი ფენა. ადამიანების ასეთი ტიპის ექსპლუატაცია, თვით მონათმფლობელურ სახელმწიფოებსაც კი, არ ახსოვს.

ასეთ ვითარებაში მომინია ცხოვრება იმ საშინელ პერიოდის საქართველოში. ჩემი ძლიერი იარაღი ნორმალური ცხოვრებისათვის, ჩემი სიმდიდრე იყო. ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა, ამაში თანდათან ვრნმუნდებოდი. იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო მომძლავრებული ანტი კომუნისტური მოძრაობა, ეროვნული მოძრაობა ჩამკვდარი იყო. ტოტალიტარულმა რეჟიმმა თავისი გააკეთა, ადამიანების გონება მიაძინა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო, მუდამ მნამდა, რომ ქართველი კაცი თავის სიტყვას აუცილებლად იტყოდა.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ ჩემს თავგადასავალს. ვაკის ბინა საკმაოდ კარგად შევაკეთე, მოვაწყვე თანამედროვე სტილში, გავხადე მეტად კომფორტაბელური, დავდგი იმპორტული ავეჯი, ეზოში თევზებისათვის აუზი გავაკეთე, რამაც ძალზე დაამშვენა იქაურობა. როდესაც ყოველივე მოვათავე, წვეულების სამზადის შევუდექი, სახლის მეორე სართულზე საკმაოდ დიდი სასადილო მქონდა. მას სასტუმროსა და შუშაბანდის ფართობიც ემატებოდა და ეს საშუალებას მაძლევდა საკმარისი რაოდენობის სტუმარი დამეპატიუა. ჩემი ვარაუდით 100 კაცს უნდა მოეყარა თავი, სტუმრების სიაც შევადგინე, რომელშიც საპატიო ადგილი ქეთინოსა და მის ოჯახის წევრებს ეჭირათ. ამ სიაში იყო ქეთინოს ძმა თავისი ოჯახით და მათი ახლო მეგობრები, ნათესავები, ჩემი მხრიდან ახლო ნათესავები და მეგობრები. მარტო, რა თქმა უნდა, ამდენ საქმეს ვერ გავწვდებოდი და მზარეული და მოახლე ქალი დავიქირავე, რომლებმაც დიდებული სუფრა გააწყვეს. ყველა სტუმარს მოსაწვევი გავუგზავნე, ამ საქმისათვის ნაცნობი საესტრადო ანსამბლიც კი დავიქირავე. ყველაფერი მზად იყო დანიშნული დღისათვის.

სტუმრები დანიშნულ დროს მოვიდნენ, ისინი აღტაცებულნი დარჩნენ ჩემი ბინითა და მარიფათით, განსაკუთრებით ქეთინოს ძმა იყო გაოცებული, სულ იმას მეკითხებოდა, თუ სად ვმუშაობდი და რამდენი მქონდა ხელფასი. აგრეთვე აწუხებდა და აინტერესებდა ის ამბავი, თუ როგორ მოვახერხე ხელფასით ამდენი ქონების შეძენა. ქეთინოს მამა ბატონი აპოლონი კმაყოფილი იყო, იგი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში და როდესაც ყველაფერი თავისი თვალით იხილა, შევატყვე ჩემდამი ნდობითა და პატივისცემით აღივსო, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ქეთინოსაც ეშმაკურად უუუუნებდა ლამაზი თვალები - მომავალმა სახლის დიასახლისმა თავისი სურვილები და შენიშვნები შეიტანა სახლის მოწყობის თაობაზე,

რაზედაც მე ვუპასუხე, რომ როდესაც იგი ამ ოჯახის დიასახლისი გახდება, ეს საკითხი მაშინ მოეგვარებინა, რაზედაც მან ყურში ჩამჩურჩულა, ძვირფასო ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. იმ დიდებულ სუფრაზე კარგი თამადაც ამშვენებდა, იგი საგანგებოდ შევარჩიე, ბატონი ლევანი ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი მწერალი და უურნალისტი გახლდათ, რომელმაც შესძლო სუფრაზე ჩატეხილი ხიდის გადება ინტელიგენციასა და გლეხებს შორის. მე მხედველობაში მაქვს ინტელიგენციისა ქეთინოს მხრიდან და გლეხი ხალხის ჩემი მხრიდან, მან ყველას თავისი საპატიო ადგილი მიუჩინა. ამ სუფრაზე გადაწყდა სამი ადამიანის ბედი - ჩემი, ჩემი ძმის გიორგის და ჩემი დის ნატოსი.

ეს ასე მოხდა, შუა ქეიფში ვეღარ მოვისვენე და ბატონ აპოლონს შევახსენე ჩვენი ადრინდელი საუბარი და ის პირობაც, რომელიც მან დამისვა, პირობა პატიოსნად შევასრულე.

- ახლა აღვნიშნე მე, - ბატონო აპოლონ, როდესაც თქვენი პირობა შესრულებულია, ჩემი და ქეთინოს ბედნიერებას წინ აღარაფერი დაუდგება. გთხოვთ ორი კვირის შემდეგ ნიშნობისათვის მოემზადოთ. მან გაიღიმა და მიპასუხა.

- შენ ღირსეული კაცი ხარ. მე თანახმა ვარ და პირობას არ გადაუვალ, მთავარია ქეთინო დაითანხმო.

- იგი თანახმაა, – ვუპასუხე მე.

- მაშ ორი კვირის შემდეგ გელი ჩემს სახლში, სიძე ბატონო, - მომიგო მან.

ქეთინო გვერდით მეჯდა და ყველაფერი ესმოდა და ეშმაკურად იღიმებოდა. შემდეგ ყურში ჩამჩურჩულა, შენ ძმას შეხედე რა კარგი გემოვნება ჰქონია. მაგიდას გავხედე და მართლაც, ჩემი ძმა ერთ ლამაზ სიმპატიურ გოგონას მიჯდომია მაგიდის კუთხეში და რაღაცაზე ცხარედ ესაუბრებოდა.

- ჩემი ბიძაშვილია ნანა, - მომიგო ქეთინომ, იგი უნივერსიტეტის სტუდენტია და ძალზე კეთილშობილი. კარგი აღზრდილი გოგონაა, ისე რომ შენი ძმა არ შეცდება, თუ მას

სერიოზულად შეხედავს. ბიძაჩემი საკმაოდ შეძლებული კაცი იყო. იგი ვაჭრობის სისტემაში მუშაობდა დიდი ხანი და საკმაო ქონებაც დააგროვა, მაგრამ მისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იგი მთლად შეიცვალა, მართალია უფროსი ქალიშვილი კარგად დააპინავა. სიძესა და თავის ქალიშვილს ცალკე ბინა უყიდა და მოუწყო. მაგრამ იგი შემდეგ ლოთობამ და მარტონობამ დაავადმყოფა, აგრეთვე მას საკმაოდ ვალიც დაედო რადგან ბოლო დროს ფულზე თამაშს მიჰყო ხელი, ასე რომ შენი დახმარებით ამ საქმის მოგვარება ადვილად შეიძლება, დანარჩენი ჩემზე იყოს, მიპასუხა ქეთინომ. ნანა, განაგრძო მან, ფაქტიურად ერთპიროვნული მბრძანებელია მამისეულ სახლში, რომელიც მილიონად არის შეფასებული, ისე რომ სჯობს იჩქაროს შენმა ძმამ, თორემ მთხოვნელი მას ბევრი ჰყავს. ქეთინოს სიტყვები ჭკუაში დამიჯდა და გადავწყვიტე ეს საქმე მომეგვარებინა. იმ საღამოსვე ჩემი ნათესავებიდან ყველაზე ახლობელმა ლაპარაკში შემაპარა, ნატოს საქმროს ამბავიც, მართალია ნატო 18 წლისაც არ იყო, მაგრამ მისი გათხოვება და დაბინავება სასურველად მეჩვენებოდა, რადგან ძმები, ჩვენ ჩვენი საქმით ვიყავით დაკავებულნი, ხოლო ნატოს ყურადღების მიქცევა ესაჭიროებოდა, მისი საქმრო ჩვენი სოფლელი ახალგაზრდა კაცი გახლდათ, შევათვალიერე, იგი მოშორებით იჯდა და ნატოსთან საუბრობდა. როდესაც შემდგომ გამაცნეს, მან პირდაპირ მითხრა, რომ მას უყვარდა ჩემი და, და მასთან ოჯახის შექმნა სურდა. მე მას თვალებში შევხედე და იმ წუთას გულში გამკრა, მისი ცივი თვალები და უგუნური მზერა არ მესიამოვნა, მე მას თხოვნაზე არაფერი ვუპასუხე. ნატო გვერდზე ედგა, შევხედე თვალებში და ვუთხარი, ნატო გენაცვალე, თუ შენ გული მიგინევს ამ კაცისადმი, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, რაზედაც მან თავი ჩაღუნა.

რამდენიმე კვირაში ნიშნობა გადავიხადე. ამისათვის სათანადოდ მოვემზადე. უპირველეს ყოვლისა ძვირფასი სამკაულების ისეთი შეკვეთა მივეცი, რომელზედაც არც-

ერთი ქვეყნის დედოფალი არ იტყოდა უარს, როდესაც ჩემი საგანძური მოვჩერიკე, იქ აღმოჩნდა მეტად ძვირფასი ბრილიანტის ხელსაბამი, რომელიც შუა საუკუნეების ოსტატთა ნახელავი იყო. შიგ ჩამჯდარი ბრილიანტები შავად ელვარებდნენ, დასამზადებელი იყო მხოლოდ დასანიშნი ბაჯალლოს ბეჭედი და ძვირფასი ქვების ბახჩა, რომლებიც ჩემმა მეგობარმა ოქრომჭედელმა ოსტატურად შეასრულა. როდესაც ყველაფერი მზად იყო, ძვირფასეულობა მდიდ-რულ საქორწილო კაბასთან ერთად დასანიშნად წავიღე. ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი ახლობლები, მათ შორის ჩემი ძმა თავის საცოლეთი და ჩემი და თავის საქმროთი. სახლში როდესაც მივედით, ყოველივეს საზეიმო ელფერი დაჰკრავდა. წინ ქეთინო და მამამისი შემომეგება, შემდეგ მათი ახლობლები, რომლებსაც მე უკვე ვიცნობდი. სანამ სუფრა გაიშლებოდა ყველა, რაღაცას ელოდა, მათ შორის ვერ ისვენებდა ჩემი საცოლე ქეთინო. მე მივხვდი რაც აღელვებდა ყველას და ვთხოვე ჩემს ძმას მოეტანა ნიშნობისათვის განკუთვნილი ძვირფასეულობა, როდესაც მან ეს შეასრულა, სახლში რატომღაც სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მოჯა-დოებული მისჩერებოდა არცთუ ისე დიდ ჩანთას, რომელიც მე მეჭირა. ქეთინოს ჩემთან ახლოს მოსვლა ვთხოვე, სტუმ-რები გარს შემოგვეხვივნენ. გავხსენი ჩანთა და ძვირფასი საქორწილო კაბა ამოვიღე, რაზეც ყველამ ერთად აღტა-ცების ამოძახილი ვერ დაფარა. ქეთინოს თვალები გაუბრ-ნყინდა, მაგრამ შევატყვე, რომ ეს მაინც არ იყო მისთვის მთავარი, მაშინ მე ჩანთიდან ლამაზი კოლოფი ამოვიღე, ამის დანახვაზე ყველამ მიატოვა კაბის დათვალიერება და მთელი ყურადღება ყუთზე გადაიტანეს, ნელა დავიწყე ყუთის გახს-ნა, ხოლო ერთი თვალით სტუმრებს გადავხედე, რომლებიც მთლად დაძაბული უყურებდნენ ყუთის სახურავის ახდას და არცერთი არ აღმოჩნდა იქ მყოფელთაგანი, რომელიც ამას ყურადღებას არ მიაქცევდა. ყველა იქ მყოფი სიმდიდრის მანიით იყო შეპყრობილი, მათ არ ესმოდათ, რომ ყველაზე

ძვირფასი ეს ოქრო და ვერცხლი კი არა, ადამიანი იყო, ჩემი და ქეთინოს სიყვარული იყო. ეს მათ არ უნდოდათ გაეგოთ. ისინი მთელი ყურადღების და მხედველობის დაძაბვით ყუთს მისჩერებოდნენ. მე განგებ ვაგვიანებდი, რაზედაც მათ მოთმინების ფიალა ევსებოდათ, შემეცოდნენ, ველარ ავიტანე მათი ტანჯვა და ყუთს სახურავი ბოლომდე გადავხადე - საოცარი სურათი ვიხილე. მე ყუთის შემადგენლობა კარგად ვიცოდი და შიგ არ ვიყურებოდი, უფრო ადამიანების ქცევა მაინტერესებდა და მართლაც, თქვენ წარმოიდგინეთ ეს ყველაზე საინტერესო წუთი იყო ჩემს ცხოვრებაში, მე იგი არასოდეს დამავინწყდება, რადგან განუმეორებელი იყო იმ ადამიანების სახეები, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ. მათი ცხოვრების მიზანი ყუთის შემადგენლობა იყო, იმ წუთში მათ თვალებში აღტაცება და სიხარული, შურისა და ღვარძლის ნაპერწკალი იგრძნობოდა. ქეთინოს ერთი ნათესავი ქალი უგრძნობლად გადაესვენა მეუღლის მკლავზე, როდესაც ქეთინომ ყუთის შემცველობის ამოლაგება დაიწყო, მეუღლემ იგი სასწრაფოდ ლოგინზე მიასვენა და თვითონ ძვირფას სამკაულებს დაუწყო თვალიერება, ეს მათი შეძრწუნება სულ რამდენიმე წუთს გაგრძელდა და ბოლოს, როგორც იქნა, თანდათან ყველა დაწყნარდა. გონს პირველი ქეთინო მოეგო, გამოფხიზლდა ყელზე შემომეხვია და გადამკოცნა. მე ჩემი ხელით გაუკეთე გულზე დასაკიდი ბრილიანტის სამკაული და საყურეები, თითზე ბეჭედი ჩამოვაცვი და სარკეში ჩავახედე, სარკიდან სიხარულით სავსე უგვირგვინო დედოფალი იცქირებოდა. ასევე დაუვიწყარი იყო ჩემთვის ჩემი დის საქმროს თვალები, რომელიც რაღაც არაადამიანური შურით იყო აღსავსე ბრილიანტებს რომ შესცქეროდა. ნიშნობამ მხიარულად ჩაიარა, ყველა კმაყოფილი დარჩა, განსაკუთრებით ჩემი სიმამრი, ბატონი აპოლონი.

სულ მალე ქორწილიც გადავიხადე, იგი ჩემს სახლში მოვაწყე. დიდებული სუფრა გაიშალა და პურ-მარილი რამდენიმე დღეს გაგრძელდა. სტუმარი და კეთილის მსურველი

არ ელეოდა ჩემს სახლს. ჩემი ქორწილის შემდეგ გადავიხადე ჩემი ძმის, გიორგის ქორწილი, იგი ქეთინოს ბიძაშვილ ნანაზე დაქორწინდა. ქორწილი სიმამრის სახლში გადავუხადე, ხარჯი მთლიანად ჩემი იყო. გიორგი სტუდენტი იყო და თავის-თავად მას ამდენი ხარჯის თავი არ ჰქონდა. პატარძალიც ჩემი ჩასაცმელი აღმოჩნდა, ძმის სიმამრის ვალებიც მე გავ-ისტუმრე, მხოლოდ ამის შემდეგ შეთანხმების თანახმად გიორგი სიმამრის ბინაში ჩაეწერა და ფაქტიურად მისი მფლობელი გახდა. გიორგის ქორწილში მთავარი ფიგურა მე ვიყავი. მეუღლესთან ერთად ქორწილში რომ მივედი, ყველა ფეხზე ადგომით შემეგება, მოვიდა ჩვენი „გრაფ მონტე კრისტო“, ასე მეძახდნენ შინაურები, მაგრამ ყველა გაკვირვებული დარჩა, რადგან ხელთ არაფერი მეჭირა, ხოლო ყველა ძვირფას საჩუქარს მოელოდა ჩემგან. როცა ნეფე დედოფლის სადღეგრძელო დავლიე, დავლოცე ისინი და დავა-მატე, რომ მართალია ჩემი საჩუქარი შეიძლება ჩაატიო ასანთის კოლოფში, მაგრამ დარწმუნებული ვარ იგი ახალ-გაზრდებს ოჯახისთვის გამოადგებათ, ჯიბიდან ახალი მანქანის „ვოლგა გაზ 21“ გასაღები ამოვილე, რომელიც წინა დღით ვიყიდე შავ ბაზარზე, ასანთის კოლოფში ჩავდე და გიორგის ვესროლე, რომელმაც ასანთი ხელით დაიჭირა. მოუთმენლად გახსნა და გასაღები ამოილო.

- რა არის ეს, ძმაო, რისი გასაღებია.

- ეს თქვენი ახალი მანქანის ვოლგის გასაღებია, რომელიც თქვენი სახლის ეზოში აყენია, - მივუგე მე.

გიორგი ჩემსკენ წამოვიდა და გულში ჩამეკრა. ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებ ძმაო და სიკეთით გადაგიხდი - „და გადამიხადა კიდეც არნახული დალატით“.

გიორგის ქორწილის შემდეგ ნატოს ქორწილიც გადავიხა-დეთ სოფელში. საჩუქრად სიძეს, როგორც აგრონომს, ახალი ვილისი ვუძღვენი, იგი მაინც უკმაყოფილო დარჩა, თავის ძმას ვოლგა აჩუქა, დას კი ვილისიო. ნატოს ჩვენი სოფლის სახლი დავუტოვე, რადგან მისი მეუღლე ვიწროდ ცხოვრობ-

და ძმებთან ერთად. წლისთავზე მათ შვილი შეეძინათ, ბიჭი. ასე მეგონა ბედნიერად ცხოვრობდნენ. ჩემს ძმას კი შეეძინა გოგონა. მხოლოდ მე არ მყავდა შვილი, ქეთინო წინააღმდეგი იყო, დისერტაცია მაქვს დასაწერი და მერე ვნახოთო.

თითქოს ჩემი და ჩემი და-ძმის ცხოვრება მშვიდად და კარგად მიდიოდა. ყოველ შემთხვევაში მე თავდაპირველად ასე მეჩვენებოდა, მაგრამ თანდათან ვატყობდი, რომ ყველაფერი ისე კარგად როდი იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ჩემი და ქეთინოს შეუღლების შემდეგ შეიცვალა ჩვენი ურთიერთობაც. ჩვენს შორის ურთიერთ-გაუგებრობა პირველი ღამიდანვე დაიწყო, როდესაც მე მასთან ვიცხოვრე და ის ქალიშვილი არ აღმოჩნდა. მან ეს ასე ახსნა, რომ მას ჰყავდა ადრე შეყვარებული, რომელმაც შეაცდინა და მიატოვა. მას შემდეგ იგი არავის გაჰკარებია, მე მაშინ დავიჯერე მისი და ამ საკითხს აღარ დავბრუნებივარ, ვინაიდან ჩავთვალე, რომ თუ ქალი გიყვარს, მის წარსულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მისი ერთგულების ღრმად მწამდა. შინაგანად ვგრძნობდი, შემთხვევა რომ მისცემოდა, მიღალატებდა.

სტუმრიანი ოჯახი მქონდა და ყოველთვის ჰურ-მარილი იშლებოდა. ყველას უხაროდა ჩემთან მოსვლა. ასე გავიდა ორი წელი.

ქეთევანმა მუშაობა დაიწყო კვლევით ინსტიტუტში და ხშირად გვიან მოდიოდა ხოლმე, დაღლილ-დაქანცულს ჭამის თავიც არა ჰქონდა, როდესაც ვეკითხებოდი თუ რატომ მუშაობდა ასე თავდადებით, იგი მპასუხობდა, რომ დის-ერტაციაზე მუშაობდა.

ჩემი ძმა გიორგი ადრე ხშირად მოდიოდა ჩემთან, მაგრამ ბოლო დროს იგი აღარ ჩანდა. ნანა, მისი მეუღლე, შემომჩივ-ლებდა ხოლმე, რომ გიორგი ხშირად გვიან ბრუნდებოდა შინ ნასვამ მდგომარეობაში და ოჯახზე გული ჰქონდა აცრუებული.

ერთ დღეს, როდესაც სახლში ადრე დავბრუნდი, კარი ქეთინომ გამიღო, რომელიც შემკრთალი მეჩვენა, არ მელო-და ასე ადრე.

- შენი ძმა არის ჩვენთან, კარგია ასე ადრე რომ მოხვედიდა ერთად ვივახშმოთ, თანაც მისი ოჯახის ამბებსაც მოვაგვარებთ, - მითხრა ქეთინომ.

გიორგი უხერხულად შეიშმუშნა ჩემს დანახვაზე. ვახშმობისას ვუთხარი, რომ მისი მეუღლე ჩიოდა, რადგან იგი სახლში გვიან მოდიოდა და მას აღარ აქცევდა სათანადო ყურადღებას. მან მიპასუხა, რომ ეს მისი პირადი საქმეა და მთხოვა მე არ ჩავრეოდი. გიორგი თვალებში ვერ მიყურებდა, მივხვდი რაღაც ანუხებდა. იგი ადგა და გარეთ გავიდა.

- უცნაური ბიჭია, - მომიგო ქეთინომ.

ერთ საღამოს ქეთინომ დაიგვიანა სახლში მოსვლა. უკვე თორმეტი ხდებოდა, მაგრამ იგი არა ჩანდა, საინტერესოა სად უნდა იყოს ვიფიქრე მე, გადავურეკე მის ნაცნობ მეგობრებს, მაგრამ უშედეგოდ. იგი არავისთან არ აღმოჩნდა. შემდეგ მის ბიძაშვილთან, ნანასთან დავრეკე და ვკითხე, ხომ არ გამოჩენილა თქვენთან ქეთინო, მან მიპასუხა, რომ იგი არ იყო მასთან და ისიც შეშფოთებულია, რადგან გიორგიც არ ჩანს. დავემშვიდობე და ვთხოვე მას, რომ გიორგის დაბრუნებისთანავე, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, დაერეკა ჩემთვის, რათა მისთვის ორიოდე სიტყვა მქონდა სათქმელი, ნანა დამეთანხმა. ღამის ორი საათი იყო, როდესაც ქეთინო სახლში დაბრუნდა. მე პირდაპირ შეტევაზე არ გადავსულვარ, ცოტა ხანი ვაცალე სულის მოთქმა, მან ფეხზე გაიხადა და ჩემს გვერდით დივაზზე ჩამოჯდა, ბარიდან კონიაკი მოიტანა, დაისხა და დალია, შემდეგ სიგარეტი გააბოლა და დინჯად მომიგო. - ჩემო ძვირფასო ვხედავ მიბრაზდები არა, მე ჩემს მეგობრებთან ვიყავი ოჯახში და ცოტა დამაგვიანდა, მე ვთხოვე მას რომ შემდეგში აღარ დაეგვიანა. ეს თხოვნა მან ყურად არ იღო და დაგვიანებები კვლავ გრძელდებოდა, ამის ატანა აღარ შეიძლებოდა.

ერთ საღამოს გაისმა ტელეფონის ზარი, ყურმილი ავიღე, გაისმა ოფიციალური ხმა: - ჩვენ მილიციის სამმართველოდან გირეკავთ, თქვენი მეუღლე და თქვენი ძმა ავტოკატას-

ტროფაში მოყვნენ და მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, გთხოვთ მობრძანდეთ ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

საშინლად ავღელვდი, აღარ ვიცოდი რა მექნა. დავურეკე ნანას და ეს საშინელი ამბავი შევატყობინე. შემდეგ საავადმყოფოში წავედი. შემძრა იქ ნანახმა. შემზარავად დამახინჯებული გვამები მაინც ამოვიცანი. მძიმე განსაცდელი დამადგა. ყურმი ბავშვის ტირილის ხმა ჩამესმა. დაკრძალვამდე გონს ვერ მოვდიოდი, მხოლოდ დაკრძალვის შემდეგ მოვიკრიფე გონება. ვთხოვე ჩემს ნაცნობ იურიდიულ პირს ამ ამბის გამოძიება. მანაც არ დააყოვნა და კარგი გასამრჯელოს ფასად მნიშვნელოვანი მასალა მომაწოდა ჩემი მეუღლისა და ძმის შესახებ. როგორც მასალებიდან გაირკვა, წელიწადზე მეტი ისინი ჰყვარობდნენ ერთმანეთს და ხვდებოდნენ ქალაქვარეთ ქეთევანის მამის აგარაკზე, რის გამოც ასე ხშირად აგვიანებდნენ სახლში. იმ უბედური შემთხვევის დღესაც ისინი ნასვამ მდგომარეობაში, იქიდან ბრუნდებოდნენ და გზაზე ხევში გადაიჩეხნენ. ამ მწარე სინამდვილემ ძლიერი სულიერი დარტყმა მომაყენა და რამდენიმე კვირის განმავლობაში სახლიდან არ გამოვსულვარ. ის იყო ამ შოკური მდგომარეობიდან გამოსვლა დავიწყე, რომ ახალი უბედურება დამატყდა თავს - ჩემი და ნატო ძალზე ცუდად გახდა და სასწრაფოდ საავადმყოფოში მოათავსეს, ამის შესახებ მისმა მეუღლემ შემატყობინა. საავადმყოფოში მივედი თუ არა, ნატომ გამიღიმა და მითხრა, რომ ყველაფერი კარგად არის, ეს უბრალოდ გადაღლის ბრალია. როდესაც ექიმს ვკითხე, თუ რა სჭირდა ჩემს დას, მან მიპასუხა, რომ სათანადო ანალიზების გარეშე დიაგნოზის დასმა უძნელდებოდა. მალე ყველაფერი გაირკვა. ნატოს თავში ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა, რომელიც დარტყმის შედეგად განუვითარდა, რა თქმა უნდა ჩვენ ეს მას არ გავუმხილეთ. ოდნავ მოკეთდა თუ არა, სახლში დავაბრუნეთ და მომვლელი მივუჩინეთ. ერთ საღამოს ტელეფონის ხმა გაისმა, ყურმილი ავიდე, მომვლელის შეშფოთებული ხმა იყო.

- გთხოვთ, სასწრაფოდ მობრძანდეთ, ნატოს მისი მეუღლე ეჩხუბება და აყენებს ფიზიკურ შეურაცხყოფას.

მე ყურებს არ დავუჯერე, ყურმილი დავაგდე და უმალვე ჩემი მანქანით სოფელში გავემგზავრე. მისვლისთანავე საშინელი სურათი ვიხილე, ნატოს ცხვირიდან სისხლი სდიო-და და ლოგინზე იწვა, ბატონი სიძე კი ნასვამ მდგომარეობაში იყო და მისკენ იწევდა. მე ნატოს მივვარდი და ვკითხე თუ რაში იყო საქმე.

შეშინებულმა მიპასუხა, - არ მინდოდა შენთვის მეთქვა ძმაო, მაგრამ სხვა გამოსავალი აღარ მაქვს, მინდა ყველაფერი იცოდე. იგი თითქმის ყოველ საღამოს ფიზიკურად მისწორდება, რათა მე შენ ფული გთხოვო, რომ მან იგი შემდეგ კარტში წაგოს, ამის თქმას მე შენ ვერ გიბედავდი, ხოლო ახლა იძულებული ვარ გითხრა.

საშინელი გააფრთხებით ვეცი ჩემს სიძეს და რაც ძალა და ღონე მქონდა მოვუქნიე ხელი, იგი გონდაკარგული დაეცა იატაკზე. ნატოს იქ დატოვება არ შეიძლებოდა. იგი შვილთან და მომვლელ ქალთან ერთად ჩავსვი ჩემს მანქანაში და ჩემთან წავიყვანე. რამდენიმე თვეს ჩემთან მშვიდად ცხოვ-რობდნენ, სიძე ჩვენ სახლში აღარ გაჩერებულა და თავისიანებთან წავიდა. ნატოს ავადმყოფობამ კვლავ გაუხსენა და ისევ საავადმყოფოში მოვათავსეთ, სადაც იგი თავში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

დედის სიკვდილის შემდეგ მესამედ უდიდესი ტრავმა მომაყენა ცხოვრებამ. დის დასაფლავების შემდეგ რამდენ-იმე ხანი არავის ვცემდი ხმას. არავითარი აზრი აღარ ჰქონდა ჩემს ცხოვრებას. ყოველთვის უბედურების დროს ყურში ბავშვის ტირილის ხმა რატომ ჩამესმოდა...

ერთ დღეს ეკლესიაში შევედი და სანთელი დავანთე, ირგვლივ არავინ იყო და წმინდა გიორგის ხატის წინ მუხლე-ბზედ დავემხე და მხურვალედ დავიწყე ლოცვა, არ ვიცი რამ-დენ ხანს ვიყავი ასე, მაგრამ სულ მაღე რაღაც შვება ვიგრძენი, თითქოს გულს რაღაც ლოდი მოეხსნა. ვგრძნობ-

დი, მიბრუნდებოდა სიხალისე და აზროვნება. გარეთ გამოვე-დი სულიერ და ფიზიკურ განწმენდას ვგრძნობდი, სკამზე ჩამოვჯექი და თითქოს ვიღაცის უხილავმა ხმამ ჩამძახა ყურში - უნდა დატოვო საქართველო.

მართლაც აღარაფერი მაკავებდა საქართველოში, რა აზრი ქონდა ჩემს სიცოცხლეს სამშობლოში, სადაც ამდენი უბედურება გადამხდა. დავიწყე სერიოზულად ფიქრი საზღვარგარეთ გამგზავრებაზე და იქ ცხოვრებაზე. გეგმის მონახაზი უბრალო იყო, დარჩენილი ქონება ზღვით გამეტანა საზღვარგარეთ. ამისათვის ჩემი ფრონტელი მეგობარი ვანო ჩერქეზი უნდა დამხმარებოდა. მისი ძებნა დიდხანს არ დამჭირვებია, ჩავედი თუ არა ბათუმში ნაცნობმა, დეტექტივმა იგი სწრაფად იპოვნა. ვანო დიდი კაცი გამხდარა, იგი ერთერთი დიდი გემის კაპიტანი იყო, რომელიც საზღვარგარეთ გადიოდა და სამრეწველო ტვირთი გაჰქინდა. მასთან პირდაპირ სახლში მივედი, ბედად სახლში დამხვდა. მან ერთ ხანს გაშტერებით მიყურა, ხოლო შემდეგ მომვარდა და თავის მძლავრ მკვლავებში მომიმწყვდია. ღვინის სმასა და წარსულის მოგონებებში ისე დაგვათენდა, ვერ გავიგეთ. მას ჩემი გაჭირვება მოვუყევი, რაზეც მას თვალზე ცრემლი მოადგა და ბოლოს დავძინე.

- ვანო უნდა დამეხმარო, თუ გინდა ჩემი უბედურება ოდნავ მაინც შემიმსუბუქო.

-მე ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემიძლება, - მომიგო მან. შენ მე სიკვდილს გადამარჩინე ფრონტზე, მე შენთან ვალში ვარ, მთხოვე რაც გინდა.

აღარ დავაყოვნე და პირდაპირ ვუთხარი, - საზღვარგარეთ უნდა გამიყვანო. იგი ჩაფიქრდა.

- მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი?

- კი, მივუგე მე. ისიც იცოდე, რომ ცარიელი ხელებით არ გავდივარ, გარკვეული რაოდენობის განძი უნდა გავიტანო.

-ამას ყველაფერს კარგი მოფიქრება უნდა, მართალია მე გემის კაპიტანი ვარ, მაგრამ ჩემი ძალაუფლება არ არის

ყოვლის მომცველი. არის საზღვაო პატრული და სუკის ჯაშუშები გემზე, თუმცა გარიგება შეიძლება, 90%-ში გაგიყვან. სად გინდა წასვლა, რომელ ქვეყანაში.

- საფრანგეთში, უფხარი მე, რადგან ფრანგული ენა იყო ჩემი საყვარელი ენა სკოლაში და მან განაპირობა ამ ქვეყნისადმი ინტერესი.

კეთილი, მარსელში სანდო კაცი მყავს, - მითხრა ვანომ, ისიც გემის კაპიტანია, აქ ჩემთან იყო სტუმრად, ჩვენ კარგი მეგობრები ვართ, იგი დახმარებას გაგინევს პირველ ხანებში, სანამ ფეხზე დადგები.

- შენ მე განდი გამატანინე და თუ გინდა აქეთ დავაყენებ ფეხზე, - ვუპასუხე მე.

- შევთანხმდით, ერთ კვირაში ჩემი გემი ბათუმიდან საფრანგეთისკენ გაემგზავრება. შენ ღამით გემზე ამოხვალ მუშის ტანსაცმელში გადაცმული და ჩანთა თან გექნება. გემზე ეცოდინებათ, რომ ჩემთან კაბინეტში წყლის ონკანის შესაკეთებლად ხარ მოსული. შენ იქ დაგმალავ, ხოლო შენს მაგივრად სხვა დაქირავებული პირი ჩავა გემიდან, ჩემს კაბინეტს არავინ შეამოწმებს. მარსელში ნებისმიერ დროს შეგიძლია გადახვიდე ხმელეთზე, ეს მისამართი და გვარი კარგად დაიმახსოვრე და მან ფურცელი გამომიწოდა. ამგვარად ჩვენ ყველაფერზე შევთანხმდით.

დანიშნული დრო ახლოვდებოდა. ჩემი დისშვილი ნინო და ძმისშვილი გიორგი ერთ სანდო ოჯახს ჩავაბარე სოლიდურ თანხასთან ერთად და ვთხოვე, ბავშვებისთვის არაფერი მოეკლოთ. მე კი სამზადისს შევუდექი, გამგზავრებამდე ერთი დღე მრჩებოდა. განდი ტყავის ჩანთაში ჩავდე და გასატანად მოვამზადე, რომელიც ჩემი მანქანით ბათუმში უნდა წამელო. გამგზავრების წინა საღამოს მოუსვენრობა დამეუფლა, ადგილს ვერ ვპოულობდი, რაღაც საფრთხეს ვგრძნობდი, ვერ მოვისვენე, ჩემი სეიფიდან გერმანული „ბრაუნინგი“ ავიდე, შიგ ტყვიები ჩავდე და ისევ სეიფში შევინახე, ჩემოდნები საგულდაგულოდ გადავინახე. უცებ მეორე

სართულიდან ფანჯრის გაღების ხმა შემომესმა. სასწრაფოდ ავედი მაღლა, გაკვირვებულმა მივაშურე გაღებულ ფანჯარას. კარგად მახსოვდა, იგი ჩემი ხელით დავკეტე და გამიკვირდა როგორ გაიღო. ამ ფიქრებში ვიყავი, როდესაც უკნიდან ბლაგვი საგანი მომხვდა თავში, გონიერად დავკარგე.

გონს რომ მოვედი, სავარძელში ვიჯექი და ხელ-ფეხი მქონდა შეკრული. ჩემს წინ ჩემი სიძე იდგა, ცალ ხელში იარაღი ეჭირა. მეორეში სიგარეტი და დამცინავად დამყურებდა.

- გაები ჩიტო მახეში, აბა თქვი, სადა გაქვს ოქროები, თორემ გაგათავე, - მომაძახა მან.

იმ წუთებში საშინელი სიძულვილი ვიგრძენი ამ პირუტყვის მიმართ და ერთი პერიოდი სიმწრისაგან ხმას ვერ ვიღებდი. გაოგნებული შევცქეროდი.

-რას გაჩუმებულხარ, ხმა ამოიღე! - დამჩხავლა მან და გამეტებით გამარტყა სახეში.

- სჯობს მომკლა.

- არა, ვაუბატონო, შენთვის სიკვდილი დიდი ნეტარება იქნება, ჯერ უნდა განამო სასტიკად, შემდეგ გათქმევინო, სადა გაქვს გადამალული შენი სიმდიდრე. განა ვერ ვხვდებოდი, მოპარული განძით, რომ გამდიდრდი. მე მთელი ორი წელი გაკვირდებოდი და შევისწავლე შენი ყოველი ნაბიჯი და დავრწმუნდი, რომ მოპარული ოქროთი ვაჭრობ. შე ბინძურონ ნაძირალავ, თქვი, სადა გაქვს განძი, სულერთია გავიგებ.

- სჯობს მომკლა, - კვლავ ჯიუტად ვუპასუხე, რაზეც მან ისევ ფიზიკური შეურაცხყოფით მიპასუხა. ამ ფიზიკურმა შეურაცყოფამ გონება გამინათა, მივხვდი, რომ ამ პირუტყვთან ჯიუტობა არ გამომადგებოდა და ეშმაკობა ვიხმარე. თანახმა ვარ, - ვუპასუხე მე, განძი სეიფში მაქვს. შევატყვე, რომ თვალები გაუბრწყინდა. მომვარდა და ფეხები გამინთავისუფლა, ხოლო ხელები შეკრული დამიტოვა.

- წინ წაეთრიე, ერთად წავიდეთ სარდაფში.

- სურათის უკან სეიფია, - მივუგე მე.

სურათი ჩამოხსნა. - გახსენი, მომიგო მან.

- როგორ შეკრული ხელებით?

მან ხელები გამინთავისუფლა, იარაღი ზურგზე მომადო.

- სწრაფად გახსენი!

მე დინჯად დავიწყე სეიფის გახსნა. შიფრი ავკრიფე და სეიფის კარის ნელ-ნელა გამოღება დავიწყე. ისე იყო აღფრთოვანებული, რომ ყურადღება მოადუნა, იარაღი დაუშვა. ამ დროს სეიფის კარი სწრაფად გამოვაღე, მარჯვენა ხელი სეიფში შევყავი, იარაღი ამოვიღე, რომელიც უკვე შეყენებული მქონდა და სწრაფად შევტრიალდი. იგი განძს ელოდა და იარაღი რომ დაინახა, მოულოდნელობისაგან დაიბნა, ნაბიჯი გადადგა, იარაღის დამიზნება სცადა, მაგრამ დაიგვიანა.

- ეს ჩემი დის გაუბედურებისათვის, შენ ძალლიშვილო! შევძახე და იარაღმაც დაიჭექა. ტყვიამ მას შიგ გულში გაუარა და იგი უსულოდ დაეცა.

ყველაფერი ისევე მივატოვე, განძი სამალავიდან გამოვიღე, მანქანაში ჩავდე, იარაღი უბეში შევინახე და ბათუმის გზას დავადექი.

მეორე დღეს დანიშნულ დროს მუშის ტანისამოსში გამოწყობილი გემს მივადექი, ჩემი დიდი ჩანთით. გემზე გაფრთხილებულნი იყვნენ და თავისუფლად გამატარეს. შევედივანოს კაბინეტში. რომელიც უკვე მელოდა, იქ დამხვდა ჩემი ორეულიც, რამდენიმე წუთში ჩავიდა გემიდან ჩემს მაგივრად. ზუსტად დილის რვა საათზე გემმა დატოვა ბათუმის პორტი და მარსელისაკენ აიღო გეზი.

გემი თამამად მიაპობდა ტალღებს. მივდიოდი ჩემთვის უცხო ქვეყანაში და უცნაური გრძნობა მეუფლებოდა. მართალია გაურკვეველი იყო, ჩემი მომავალი, მაგრამ მე მწამდა და მჯეროდა ჩემი ბედის ვარსკვლავისა.

მგზავრობამ მარსელამდე უხიფათოთ ჩაიარა. კაპიტნის ფართო კაბინეტში თავს მშვიდად ვგრძნობდი, მე და ვანომ მთელი გზა მარსელამდე ღვინის სმასა და მოგონებებში

გავატარეთ. რამდენიმე დღეში მარსელში ვიყავით პორტში ლამით შევედით, ქალაქი მთლიანად სინათლეებით იყო გაჩაღჩაღებული. იქ სიცოცხლით სავსე ცხოვრება ჩქეფდა. გულმა ბაგაბუგი დამიწყო, უცხო ქალაქი ძალზედ მიზიდავდა.

შუა ლამე იყო, როდესაც ვანოს გამოვემშვიდობე, ჩემი ჩანთით გემიდან შეუმჩნევლად ჩავედი და ვანოს მიერ მოცემულ მისამართს დავადექი. ტაქსი დავიჭირე, რომელმაც აღნიშნულ მისამართზე სწრაფად მიმიყვანა. ვანოს კოლეგის სახლი ქალაქის გარეუბანში მდებარეობდა, კერძო სახლი გახლდათ და მაღალი, აგურით ნაშენი ღობით იყო შემორტყმული, რომელსაც დიდი რკინის კარები ამშვენებდა. მანქანა გავუშვი თუ არა, კარს მივადექი და ზარი დავრეკე, ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც წვერიანმა კაცმა გააღო კარი. მე მას ბარათი გავუწოდე, რომელიც ფრანგულად იყო დაწერილი. მან ბარათი გამომართვა და კარი კვლავ ჩემს წინ დაიხურა. მე არ გამკვირვებია რადგან, შუა ლამე უკვე გადასული იყო, რაც ცხადია ოჯახის უფროსის თანხმობის გარეშე სტუმრობა არ შედგებოდა. ცოტა ხნის შემდეგ წვეროსანი კვლავ გამოჩნდა კარებში, ამჯერად მან ზრდილობიანად შემიპატიუა და სახლისკენ გამიძღვა. სახლი ოთხ სართულიანი იყო და მრავალი ოთახისგან შედგებოდა, ჩემმა მასპინძელმა ერთ-ერთ ოთახში მომათავსა და ძილინებისა მისურვა ფრანგულად. მივხვდი, რომ მასპინძლებმა ჩემი გაცნობა დილისთვის გადადეს. მე ფართე საძინებელ ოთახში აღმოვჩნდი, სადაც მდიდრულად გაშლილი ლოგინი მელოდებოდა. მე არ დავაყოვნე და დაღლილ დაქანცულმა ლოგინს მივაშურე. ის ლამე მკვდარივით მეძინა, მეორე დღეს გავიღვიძე თუ არა, უჩვეულო სიხალისე ვიგრძენი. ვგრძნობდი, რომ ჩემთვის ახალი ცხოვრება იწყებოდა. ფანჯარაში გავიხედე და მივხვდი, რომ შუადღე იქნებოდა, სწრაფად ავდექი, ტანთ ჩავიცვი და ხელ-პირი დავიბანე, მოვწესრიგდი და მოუთმენლად დავიწყე ლოდინი, რომელიც დიდხანს არ დამჭირდა. კარი გაიღო და გუშინდელი ჩემი მასპინძელი

შემოვიდა. იგი მომესალმა და ფრანგულ ენაზე შეეცადა ჩემთვის აეხსნა, რომ ოჯახის უფროსი სახლში არ იყო, მაგრამ მისი მოხუცი დედა გამიწევდა მასპინძლობას, იგი სასა-დილო ოთახში მელოდებოდა და მთხოვა, რომ მას გავყოლო-დი. ოთახების მორთულობამ გამაოცა, თავი მეფის სასახ-ლეში მეგონა, როგორც იქნა მივედით სასადილო ოთახის შუა გულში. დიდი სავარძელი იდგა, ხოლო შიგ სანდომიანი სახის ხნიერი მანდილოსანი იჯდა, მან მთხოვა გვერდით დავჯდო-მოდი და ჩემს შესახებ უფრო დაწვრილებით მომეთხორო, მე რამდენადაც შემეძლო დამტვრეული ფრანგულით შევეცადე ამეხსნა მისთვის ვიზიტის არსი.

ჩემი შვილი ამჟამად პარიზში გახლავთ, - მომიგო მან. რამ-დენიმე დღეში დაბრუნდება, ხოლო მანამდე კი ჩვენ გიმას-პინძლებთ.

შემდეგ სადილად მიმიპატიუა. სადილმა მხიარულად ჩაიარა, მოხუცი საკმაოდ ერუდირებული და მხიარული ქალი აღმოჩნდა, იგი საკმაოდ დაწვრილებით და დიდხანს მელა-პარაკა შვილებსა და ნათესავების შესახებ, თავისი უმცროსი ვაჟის შესახებ. რომელთანაც ამჟამად იმყოფება, მისი ნიკო-ლა. სადილის შემდეგ მე მომეცა სრული თავისუფლება, მოხ-უცმა თავის მძლოლს დაავალა ჩემთვის ქალაქის გაცნობა და ჩვენც მანქანით გავემგზავრეთ. მარსელი შესანიშნავი ქალაქი აღმოჩნდა. მე ბევრი მსმენია მის შესახებ, მაგრამ ნანახმა ყველაფერს გადააჭარბა. მართალია ერთ დღეში შეუძლებელი იყო ყველაფრის დათვალიერება და აღთემა, მაგრამ რაც ვნახე, ეს საოცრება იყო, ყოველივე დაუ-ჯერებელ ზღაპრად მეჩვენებოდა, ლამაზი ქუჩებისა და მაღაზიების სიმრავლემ თვალი მოჭრა. მაღაზიის დახლები სურსათ-სანოვაგით იყო სავსე, ხოლო თვით ადამიანები მხი-არულნი და სიცოცხლით სავსენი იყვნენ. ასე მეგონა მათვის არავითარი ცხოვრებისეული პრობლემა არ არსებობდა, მარტო ცეკვასა და სიყვარულში ატარებდა ეს ხალხი დროს. ჩემს თავს ჩავეკითხე, საიდან ეს ყოველივე, როგორ შეძლეს

ფრანგებმა ასეთი ქვეყნის აშენება, სულ ცოტა ხნის წინ ამ ხალხმა ფაშიზმის ტირანია გადაიტანა. ნუთუ არ დაეტყოთ ეს უბედურება ან ასე მაღლე როგორ შეძლეს აღედგინათ დანგრეული ეკონომიკა და თავისუფლად ამოესუნთქათ. დიახ ვფიქრობ, რომ შესძლეს. მაგრამ ჩვენ, ქართველებს, რა გვიშლიდა ხელს, რატომ ჩვენ ვერ ვუთანაბრდებით ფრანგებს კულტურაში, ეკონომიკაში, ნუთუ ისინი ჩვენზე მაღლა დგანან ინტელექტით, სად არის ძალლის თავი დამარხული?

აღსანიშნავია, რომ ფაშისტური რეჟიმი საქართველოს არ შეხებია და არც გერმანელის ჩექმას გაუთელავს ჩვენი მინდორ-ველი, და მე მივხვდი ყველაფრის მიზეზს, დიახ გერმანელის ჩექმას არა, მაგრამ უარესი მტარვალის და საშინელ ურჩხულის კლანჭებში ვიყავით მთელი ორასი წელი, ეს ურჩხული რუსეთის იმპერია იყო. მან სისხლისაგან დაცალა საქართველო, მოუსპო დამოუკიდებლობა და მასთან ერთად ნორმალური განვითარების ყველა გზა გადაჭრა. აი სად იყო ძალლის თავი დამარხული, სტალინის სოციალიზმმა მრავალმილიონიანი სახელმწიფო გაღატაკების გზაზე მიყვანა, ეგრეთწოდებულ საბჭოთა ადამიანებს წაართვა რა ღმერთის რწმენა. ამით მათ სული ამოაცალა, ხოლო წაართვა რა კერძო საკუთრება, ამით ისინი მატერიალურად და ეკონომიკურად გაანადგურა, ხოლო სულიერად და ეკონომიკურად განადგურებული ადამიანი სასიკვდილოდ არის განწირული. ეს ყოველივე ფრანგებმა თავიდან აიცილეს და ამიტომ განსხვავდებიან ისინი ჩვენგან, მათ მონობის უღელი არ დაიდგეს.

მაგრამ მე მაინც შინაგანად ვგრძნობდი, რომ მთლად ისე არ იყო საქმე საფრანგეთში, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. საფრანგეთში, ისე როგორც ყველგან იყო მდიდარი და ღარიბი და ამ მოჩვენებითი კეთილდღეობის უკან იყო არაადამიანური შრომაც და გაჭირვებაც.

მარსელის გაცნობას რამდენიმე საათი მოვანდომეთ, დღის ბოლოს ვთხოვე მძღოლს ეჩვენებინა ქალაქის საუკე-

თესო საიუველირო მაღაზიები, მან თხოვნა შემისრულა და მე აღმოვჩნდი შესანიშნავ საიუველირო მაღაზიაში. მდიდრული მაღაზიის ვიტრინაში ათასფერად ბრწყინავდნენ ბრილიანტები და სხვა ძეგლფასი ქვები, მათი ელვარება თვალს ჭრიდა მნახველს. მაღაზიის პატრონი შემოგვეგება და გაგვეცნო. მე მას ჩემი საგანძურიდან ერთი ნივთი შევთავაზე, რომელმაც იგი ძალზედ დააინტერესა. მან აღნიშნა, რომ ბეჭედი ძველებური იყო და საკმაოდ ძვირადლირებული ბრილიანტი ჰქონდა ჩასმული. მე მას ყიდვა შევთავაზე, ნივთის ყიდვა მან შესაძლებლად მიიჩნია იმ შემთხვევაში, თუ იგი არ იყო მოპარული. აგრეთვე აღნიშნა, რომ ნივთის ღირებულება საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა და მის შესაგროვებლად დრო იყო საჭირო. მე მას თანხმობა განუცხადე და ვუთხარი, რომ რამდენიმე დღეში შევუვლიდი. სახლში როდესაც დავბრუნდი, იქ სიურპრიზი მელოდა, პარიზიდან ნიკოლა დაბრუნებულიყო. ვანოს კოლეგა - გემის კაპიტანი. მან თბილად მიმიღო, გაცნობის შემდეგ მას ვანოს-გან მოკითხვა გადავეცი დამტვრეული ფრანგულით, შემდეგ იგი ვანოს ბარათს გაეცნო და მხიარულად მომიგო.

- მე და ვანო, კარგი მეგობრები ვართ და მე მზად ვარ მის ახლობელ ადამიანისათვის ყველაფერი გავაკეთო, იმედია ჩვენც კარგი მეგობრები გავხდებით. შემდეგ ჩაფიქრდა და სერიოზული ტონით განაგრძო. იქ, საბჭოთა კავშირში ადამიანის უფლებები ძალზე ცუდად არის დაცული, თქვენ რკინის გალიაში ხართ ჩაკეტილი და ამ გალიიდან თავის დაღწევა არც ისე ადვილია. მე შევეცდები თქვენ სამსახური მოგინახოთ. ჩემი უმცროსი ძმა სერუი პარიზში მანქანების ცნობილ ფირმას ხელმძღვანელობს და აუცილებლად დაგეხმარებათ. თქვენ, სად მუშაობდით საქართველოში, მკითხა მან მოკრძალებით.

მე არ მოველოდი ასეთ შეკითხვას და დამტვრეული ფრანგულით მიუგე, რომ კონკრეტული პროფესია არ მქონდა, მაგრამ ყველაფრის გაკეთება მეხერხება.

- ძალიან კარგი - მომიგო მან. ქარხანაში ჯერ-ჯერობით მუშად მოგაწყობთ, ხოლო შემდეგ თქვენს შესაძლებლობაზე იქნება დამოკიდებული. მანამდე კი თქვენ ჩემი სტუმარი ბრძანდებით და გთხოვთ თავი ისე იგრძნოთ, როგორც საკუ-თარ სახლში.

ჩემდამი კეთილად განწყობილ მასპინძლებთან დრო სწრაფად გადიოდა. ნიკოლიმ აცნობა ჩემს შესახებ თავის ძმას, სერქს, რომელიც თანახმა იყო, რათა სამსახური დამეწყო მასთან ქარხანაში. რამდენიმე დღეში პარიზში უნდა გავმგზავრებულიყავი და მეც მზადება დავიწყე. მართალია მუშად მუშაობა ვერაფერი სახარბიელო იყო ჩემი ქონების პატრონისათვის, მაგრამ ჩემს მასპინძლებს არ შევეკამათე, არ მინდოდა რაიმე გაეგოთ განძის შესახებ. პარიზში სანამ განძის რეალიზაციას შევუდგებოდი და ჩემს კაპიტალს დავაგროვებდი, მანამდე საჭირო იყო ერთგვარი გაცნობა გარემოსი და ამაში სწორედ დამეხმარებოდა აღნიშნული სამსახური. პარიზში გამგზავრების წინ მარ-სელში ჩემს ნაცნობ იუველირთან გავიარე, რომელიც ჩემი საგანძურიდან ერთ-ერთი ბრილიანტის ყელსაბამის შესყიდ-ვაზე დამთანხმდა. მაღაზიაში შევედი თუ არა, მან იმწამსვე მიცნო - თითქოს მელოდაო და გვერდით ოთახში შემიპა-ტიჟა. მკითხა, ხომ არ გადავიფიქრე აღნიშნული ნივთის გაყიდვა, მე მას ვუთხარი, რომ იგი თუ სათანადო ფასს შემომთავაზებდა, რომელიც დამაკმაყოფილებდა, იმ შემთხ-ვევაში მზად ვიყავი, ნივთი დამეთმო მისთვის. მან მთხოვა მისთვის მეჩვენებინა ყელსაბამი, მეც არ დავაყოვნე და ჩანთიდან ამოვიღე და მაგიდაზე დავუდე ძვირფასი ნივთი. იგი ლუპით კარგა ხანს სინჯავდა და შემდეგ მომიგო, რომ მეტად იშვიათი ნამუშევარია, მისი სიძველე და ბრილიანტე-ბის ხარისხი მას მეტად ძვირფასს ხდის, რაზეც ვუპასუხე, რომ ნახევარ მილიონ ფრანკად მზად ვიყავი დამეთმო მისთვის. მან კიდევ ერთხელ შეათვალიერა აღნიშნული საგანი და თანხმობა განმიცხადა. თან დააყოლა, - თუმცა

მეძვირება, მაგრამ იგი ჩემს კოლექციას ნამდვილად დაამშვენებს, მე მის ხელიდან გაშვებას ვერ ავიტან. მე მას ვთხოვე, რომ აღნიშნული თანხა ჩემს სახელზე ბანკში შეეტანა და ნივთს მაშინ მიიღებდა. იგი დამთანხმდა, მოვილაპარაკეთ, რომ მეორე დღეს ბანკში შევხვდებოდით ერთმანეთს და გარიგებაც იქ მოხდებოდა. მეორე დღეს დათქმულ დროს იუველირი მარსელის ერთ-ერთ პრესტიულ ბანკის შესასვლელში დამხვდა. ბანკში შევედით, მე მას ბრილიანტი გადავეცი, მან კი აღნიშნული თანხა ბანკში ჩემს სახელზე შეიტანა. ნახევარი მილიონი ფრანკის კანონიერი მფლობელი გავხდი. სწრაფი მატარებელი პარიზისაკენ მიმაქროლებდა, მატარებელი სპეციალურად ავირჩიე, რათა უფრო კარგად გავცნობოდი საფრანგეთის სოფლებსა და ქალაქებს, ჩემი თვალით მენახა ყოველივე. კმაყოფილი მივემგზავრებოდი, რადგან ერთ ჯიბეში ნიკოლას ბარათი მიმქონდა მისი ძმის, სერჟის სახელზე, სადაც იგი ძმას ჩემს სამსახურში მოწყობას თხოვდა, მეორეში კი მარსელის ბანკის ქვითარი ნახევარ მილიონ ფრანკზე და ამ თანხას სადაც მინდა, იქ ავიღებდი. ხელში კი ჩემი განუყრელი ჩანთა მეჭირა, რომელიც დიდი სიმდიდრით იყო სავსე, მაგრამ ამის შესახებ არავინ იცოდა, ალბათ მთელს მატარებელში არავინ იქნებოდა ჩემზე მდიდარი მგზავრი. კუპეში ჩემი მეზობლები საშუალო ასაკის ფრანგი ცოლ-ქმარი აღმოჩნდა, რომლებიც პარიზში ნათესავებთან მიემგზავრებოდნენ, მათთან საუბარში დრო მალე გადიოდა. გზად საინტერესო სანახაობანი იშლებოდა. საფრანგეთი მეტად მდიდარი იყო ისტორიული ძეგლებით, ძველებური სიმაგრეებით, რომლებიც ხშირად გვხვდებოდა. პარიზში ნისლიანი ამინდი იდგა, მატარებლიდან ჩამოვედი თუ არა, იმ წუთში ვიგრძენი არაჩვეულებრივი განწყობა. იგრძნობოდა დიდი და ლამაზი ქალაქის ძლიერი მაჯისცემა. მარსელი პარიზთან შედარებით პატარა დაბა იყო. ტაქსი გავაჩერე და სერჟის სახლს მივადექი, იგი რა თქმა უნდა, უკეთესი იყო, ვიდრე ნიკოლას სახლი მარსელში. მას საკმაოდ დიდი ტერი-

ტორია ეჭირა პარიზის პრესტიულ უბანში. ზარი დავრეკე თუ არა ზანგმა მოახლემ გამიღო კარი და მოკრძალებით მკითხა, თუ ვინ მინდოდა. მე მას დამტვრეული ფრანგულით ავუხსენი, რომ მარსელიდან ვარ და სერჟის ნახვა მინდა. მან სახლში შემიპატიუა და მთხოვა მოსაცდელ ოთახში დამეცა-და. სულ მალე ოთახში ენერგიული ახალგაზრდა კაცი შემოვიდა, მივხვდი რომ სერჟი იყო, იგი ძალზედ ჰგავდა თავის ძმას. მას ნიკოლას ბარათი გავუნოდე და უთხარი, რომ მე მისი მეგობარი ვარ. კეთილი, მომიგო მან. მე დამირეკა თქვენს შესახებ ნიკოლომ და გელოდით, შემდეგ ბარათი გადაიკითხა და მომიგო, რომ იგი ყველაფერში დამეხმარე-ბოდა. მართლაც ძმასავით ამომიდგა გვერდში, თავის საავ-ტომობილო ქარხანაში მომაწყო მუშად და ხელფასიც რიგიანი დამინიშნა, ბინაზეც მასთან გავჩერდი. მალე დროებითი მოქალაქეობაც მივიღე ნიკოლოსა და სერჟის დახმარებით. დრო გადიოდა, თანდათან ჩემი ფრანგული მეტყველება დაიხვენა. გამიჩნდა მეგობრები, მართალია უმეტესობა ფრანგი პროლეტარი იყო, მაგრამ ბევრ სერჟის ამხანაგსაც ვიცნობდი. ხშირად ჩემს მეგობრებთან ერთად დავდიოდი კინოსა და თეატრებში. ჩემზე დიდი შთაბეჭ-დილება დატოვა ვერსალის ფრანგ მეფეთა სასახლემ. დავრ-წმუნდი, რომ ერის კეთილდღეობის სათავე მისი წარსული-დან მოდის, ხოლო ფრანგებს ღირსეული წინაპრები ჰყო-ლიათ, რომლებმაც ხალხს დიდი კულტურა არა მარტო დიდებული ტაძრებისა და ციხე სიმაგრეების სახით დაუ-ტოვეს, არამედ სისხლით გადასცეს შთამომავლობას ღირ-სეული ერის უკვდავი კულტურა.

ერთხელ ჩემმა მეგობარმა ლუისმა მსახიობთა კლუბში შემიყვანა, მას იქ ბევრი ნაცნობი ჰყავდა. შევედით თუ არა, მისი ნაცნობი ქალი შემოგვეგება, ლუისმა მას ჩემი თავი გააცნო, იგი დაინტერესდა ჩემით და ძალზედ გაუკვირდა, რომ მეგობარი ქალის გარეშე ვიყავი და გადაწყვიტა ჩემთვის მისი მეგობარი გოგო გაეცნო. ჩემს თანხმობას არც კი

დაელოდა და გაემართა მის მოსაყვანად. სულ მალე იგი ახალგაზრდა გოგოსთან ერთად დაბრუნდა, იგი 24 წლის იქნებოდა, ცისფერი თვალები და ქერა თმები ჰქონდა.

- მე ანა მქინა, მომიგო მან.

ლუისმა მაგიდაზე მიიპატიუა და ჩემი თავი წარუდგინა. მე და ანამ საერთო ენა სწრაფად გამოვნახეთ. იგი საინტერესო გოგონად მომეჩვენა და არც შევმცდარვარ. იმ დღის შემდეგ ჩვენ კიდევ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს. ერთ საღამოს ის მე სახლში გავაცილე, საღამო კარგად გავატარეთ და არ გვინდოდა ერთმანეთთან დაცილება. მან ეს იგრძნო და მთხოვა მასთან სტუმრად წავსულიყავით. მე დავთანხმდი. სახლში ვისკით და ყავით გამიმასპინძლდა, შემდეგ კი მე და ანა დილამდე, სიყვარულის მორევში გადავეშვით. დილას თითქოს ჩვენს შორის არაფერი მომხდარიყოს, ოფიციალურად ყავით, გამიმასპინძლდა და შემდეგ ეშმაკურად, თვალის ჩაკვრით მომიგო, გუშინდელი ღამის კმაყოფილი თუ ხარო, მე მას ლოყაზე ვეამბორე. ანა ჩემი უახლოესი მეგობარი გახდა. ჩვენ გადავწყვიტეთ პარიზის გარეუბანში გვეყიდა სახლი, თუმცა ჩემს შესაძლებლობებში მას ეჭვი ეპარებოდა. ერთხელ ხუმრობით მკითხა, რომ ჩემი ხელფასით ვაპირებდი სახლის ყიდვას, თუ სხვა შესაძლებლობები მქონდა. მე მას არაფერი ვუპასუხე. ჩემი საიდუმლო არ გავანდე. როგორც იქნა შევარჩიეთ სათანადო ბინა პარიზის გარეუბანში, შენობა ორსართულიანი იყო, თითო სართულზე 6 ოთახით, პირველი სართული ძირითადად სათავსოებს ეკავა. სართულებს შორის ხვეული კიბე ადიოდა. სახლი ფართე, ხეხილიან ეზოში იდგა, რომელსაც აუზი ამშვენებდა. ადგილი მყუდრო და სასიამოვნო იყო. ის რაღაცით თბილისის ბინას მაგონებდა. ბინის ყიდვის შემდეგ, მე და ანა გადავსახლდით. ანა კარგი დიასახლისი გამოდგა. გემრიელ კერძებს ამზადებდა, ჩემი დახმარებით ქართული საჭმელების გაკეთებაც მაღლე აითვისა. იგი ბევრს შრომობდა და მაღლე ჩვენი ბინა პატარა სამოთხეს დაემსგავსა. ჩვენი

მომავალი გეგმების განხორციელებას, ჩემი სამსახური ხელს უშლიდა, რადგან მოგზაურობისათვის საჭირო იყო დრო, რომელიც არ მქონდა, ამიტომ ჩემს მფარველებს დიდი მადლობა გადავუხადე ყველაფრისათვის, სამსახურს თავი დავანებე და მოგზაურობისათვის მზადებას შევუდექი. ბავშვობიდან მიზიდავდა ზღვა, მიტაცებდა მისი განუმეორებელი სურნელი. საიდუმლოებით მოცული სივრცეები. და აი ახლა დადგა დრო ოცნების შესრულებისა. მაგრამ რითი დამეწყო, ამის იდეა ანამ მომანოდა. მან მითხრა, რომ მისი ერთი მეგობრის მამა პარიზში სიძველის მუზეუმში მუშაობს და საინტერესო მასალები და გამოკვლევები აქვს ზღვებისა და ოკეანების საიდუმლო რუკების შესახებ. მე დავინტერესდი ამით და ერთ დღეს ანასთან ერთად პარიზში გავემგზავრე. ანას მეგობრის მამას პოლი ერქვა. მან თავაზიანად მიგვიღო და ჩვენს შორის გულახდილი საუბარი გაიმართა. მან ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა ზღვებსა და ოკეანეთა საიდუმლოებათა შესახებ. საუბრის ბოლოს კი ეშმაკურად შემომაპარა სიტყვა საიდუმლო რუკების შესახებ, კერძოდ მან მითხრა, რომ მას გააჩნია რამდენიმე ძველი საზღვავო რუკა, რომელზედაც აღნიშნულია ძველად და თანამედროვე პერიოდშიც ჩაძირული გემების ადგილმდებარეობა. მყარი წყაროებით ცნობილია, რომ ამ გემების რკინის საცავებში იმყოფებოდა განძი: ამ რუკებში ის საკმაოდ დიდ საზღაურს ითხოვდა, როგორც იქნა ფასზეც შევთანხმდით. მან რუკები გამოიტანა. მე და ანა გულდასმით ჩავუკვირდით მათ, ჩვენი არჩევანი ერთი იყო, გადაწყდა ეს იყო ატლანტიკის ოკეანეს შუაგული. შევთანხმდით, რომ იგი რუკას გადმომცემდა და საზღაურსაც მაშინ მიიღებდა, როდესაც ჩვენ ზღვაში გასასვლელად ვიქებოდით მზად. მაგრამ ეს ადვილი საქმე არ იყო. პირველ რიგში შესაძნი იყო გემი და ასეთი მოგზაურობისათვის საჭირო ყველა მოწყობილობა. მე და ანამ შევარჩიეთ მარსელში მდგარი ერთი ლამაზი და გამძლე გემი, რომლის პატრონიც არც თუ ისე

ძვირად აფასებდა მას. მაგრამ საქმე ის იყო, რომ გემი იალქ-ნიანი იყო. მას სამი ანძა ქონდა და რა თქმა უნდა ქარის იმე-დით შორს ვერ გავიდოდით. გადავწყვიტეთ მასზედ ძრავი დაგვემონტაჟებინა. პატრონს მოურიგდით და გემი შევისყიდეთ. სასწრაფოდ დავიქირავე ინუინრები და ძრავის დაყენება ვთხოვე. ეს მეტად ძნელი და ძვირად ღირებული საქმე გამოდგა, მაგრამ გემი ერთ თვეში მზად იყო. ლამაზად ირწეოდა ჩემი ოცნების იალქნიანი გემი, იგი არც ისე დიდი იყო, მაგრამ ძალზედ ტევადი და მოხერხებული გამოდგა. მოტორისა და იალქნების შემწეობით გემი უფრო საიმედო გახდა. შიდა სალონი უფრო კომფორტაბელური გავხადეთ. დავამატეთ სასადილო და საძინებელი ოთახები, ბარი, ბიბლიოთეკაც არ გამოგვრჩენია. გემზე დამონტაჟდა ორი ნავი, ერთი მოტორიზებული, ხოლო მეორე ნიჩბიანი, გემი აღვჭურვეთ გადასარჩენი ყველა საშუალებებით, არ გამოგვრჩენია წყალში საყვინთი კოსტუმებიც. გემზე შევიტანეთ საჭმელი და სასმელი, საბრძოლო და სანადირო იარაღები, თოფები თავისი ვაზნებით, სხვადასხვა თევზსაჭერი საშუალებები, ანკესები, ბადეები. ყოველივე ამას ორი კვირა დასჭირდა, მაგრამ მთავარი ჯერ კიდევ მოუგვარებელი გვრჩებოდა, საჭირო იყო გამოცდილი კაპიტანი და ასეთივე მეზღვაურები სულ ათი კაცი. მე და ანამ გამოვაცხადეთ კონკურსი და ერთი კვირის განმავლობაში ვირჩევდით კაპიტანსა და მის ეკიპაჟს, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, შერჩევა არცთუ ისე ადვილი საქმე იყო, რადგან ასეთ მოგზაურობაში ყველანაირად გამოცდილი ადამიანები იყვნენ საჭირო, ისევე პოლი დაგვეხმარა ამ საკითხის გადაჭრაში. მან თავისი მეგობარი, ძველი მეზღვაური და გამოცდილი კაპიტანი ჰენრი გვირჩია, რომელიც ინგლისელი იყო და საქმე კარგად იცოდა, მან თვითონ შეარჩია ეკიპაჟი.

გასასვლელად მზად ვიყავით, რუკაც შევიძინეთ პოლის-აგან და მისი შესწავლა დავიწყეთ, აღმოჩნდა, რომ ჩვენი მოგზაურობის მიზანი იყო ატლანტიკის ოკეანის აზორის

კუნძულები. ამერიკის აღმოჩენის შემდეგ, ესპანელები საკ-მაოდ ინტენსიურად ეზიდებოდნენ სხვადასხვა სიმდიდრეს ამერიკის კონტინენტიდან ევროპის კონტინენტზე, კერძოდ ესპანეთში. ველურ ტომებს საკმაო ოქრო აღმოაჩნდათ და მათ ესპანელი კოლონიზაციონები უმოწყალოდ ძარცვამდნენ. XVI საუკუნის დასაწყისში სამი ესპანური ხომალდი ნაძარცვით დატვირთული გამოვიდა ბაგამის კუნძულებიდან და აზორის კუნძულებთან წანებდა წყალქვეშა რიფებს, ამ გემების საგანძურო უნდა გვეპოვა ჩვენ, განედის  $40^{\circ}$  და გრძედის 30 გრადუსის გადაკვეთაზე.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენი ოცნების გემი თავისი გაშლილი ლამაზი იალქნებით მარსელიდან ხმელთაშუა ზღვაში გავიდა, ხელს უქნევდით ნაპირზე მდგომ ჩვენს მეგობრებს, რა ვიცოდით, რომ საბოლოოდ ვეთხოვებოდით ევროპის კონტინენტს და რომ ჩემი საყვარელი ზღვა დიდ ტანჯვასა და უბედურებას მოგვიტანდა, რომელიც არც ადრე მაკლდა, რომ იგი უფრო დამაშორებდა ჩემს ქვეყანას, საქართველოს, სადაც სისხლის სამართლის დამნაშავედ ვიყავი გამოცხადებული. ეს ვანომ აცნობა ნიკოლას, რომელიც მე გამგზავრების წინა დღით ვნახე.

ამინდები კარგი გამოდგა, ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა. ვიცოდი, რომ მოგზაურობის ხარჯები გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე შესაძლებელი განძის პოვნით მოპოვებული სიმდიდრე, მაგრამ ოცნების ასრულებაც ხომ ფული ლირდა, მეც არ ვიშურებდი მას. ეკიპაჟის ჯამაგირის თანხის გარდა სხვა სახარჯო თანხაც მიმქონდა. გემზე ყველას თავისი საქმე ჰქონდა, ყველა დასაქმებული იყო, მე და ანას კი ერთი საზრუნავი გვქონდა - ეს იყო ველური სიყვარული, ამ ბრწყინვალე მოგზაურობის დროს ყოველივე განცდილი გადამავიწყდა, ანნა ის ქალი გამოდგა, რომელზეც მთელი სიცოცხლე ვოცნებობდი, მასში იყო შერწყმული განათლება და კულტურა, სიყვარული და სამართლიანობა, მეოჯახეობა და სიკეკლუცე, მეგობრობა, ერთგულება და

რაც მთავარია, მასთან არ მოიწყენდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გარს მხოლოდ ზღვა გვერტყა, დღეებს მეტად საინტერესოდ ვატარებდით, ანნას შედარებაც კი არ შეიძლებოდა ჩემს ყოფილ მეულლესთან, ქეთინოსთან, რომლის გახსენებაც საშინელ ტანჯვას მგვრიდა. ცხადად შევიგრძენი, რომ ბედნიერება, ეს საყვარელი ადამიანის სიახლოვეა, ანას ჩემი წარსული ხელის გულივით გადავუშალე, რამაც ისე იმოქმედა, რომ მას რამდენიმე დღე თვალი არ მოუხუჭავს. ლამე მისი ტირილი გამაღვიძებდა ხოლმე და მის ცრემლიან თვალებში, მხოლოდ სიყვარულსა და თანაგრძნობას ვხედავდი. ჩემი გრძნობა და სიყვარული გაორმაგდა, როდესაც გავიგე, რომ იგი ჩემგან ფეხმძიმედ იყო.

დღე დღეს მისდევდა და ჩვენ მოგზაურობის მიზანს ვუახლოვდებოდით. გავიარეთ რა გიბრალტარის სრუტე, ჩვენმა გემმა გეზი პირდაპირ აზორის კუნძულებისკენ აიღო, ეს თითქმის ატლანტიდის ოკეანის შუაგული იყო. საინტერესო ქალთან და ეკიპაჟთან დრო სწრაფად გადიოდა. ჩვენ არ ვიკლებდით ბანაობას, თევზაობას და სპორტს, ცეკვასა და კითხვას. მივუახლოვდით რა კუნძულებს, გემის კაპიტანთან, ჰენრისთან ერთად, დავაზუსტეთ ჩვენი მოქმედების გეგმა. ღუზა ერთ-ერთ კუნძულთან ჩაუშვით, ჩვენი ვარაუდით ეს ზუსტად ის ადგილი უნდა ყოფილიყო, სადაც 400 წლის წინ ოქრო ვერცხლით დატვირთულმა გემმა კატასტროფა განიცადა. ერთი კვირის განმავლობაში ეკიპაჟის წევრები საინტერესო გამოკვლევებს ეწეოდნენ აღნიშნული კუნძულის ახლოს ფსკერზე, მაგრამ ამას წარმატება არ მოჰყოლია. შემდეგ სხვა კუნძულების ახლო-მახლო განვაგრძეთ ჩვენი გამოკვლევები, ამასაც რამდენიმე დღე მოვანდომეთ. ერთხელ მე და ანაც ჩავედით წყლის ქვეშ. გამაოცა წყალქვეშა ბუნების სილამაზემ, მდიდარმა მცენარეებისა და თევზების სხვადასხვაობამ და მრავალფეროვნებამ, მაგრამ სანატრელი გემის ნარჩენები თავისი განძით არ ჩანდა. ისევ შევიცვალეთ ადგილი და როგორც იქნა ერთ-ერთი

წყალქვეშა დაზვერვის შემდეგ ჩვენმა მყვინთავებმა ამოიტანეს რამდენიმე ხის საგანი, რომელიც გულდასმით გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა ძველებური გემის ნარჩენები, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ სწორედ იმ გემის ნამსკვრევები ყოფილიყო, რომელსაც ჩვენ ვეძებდით. ამის შემდეგ იმ ადგილას უფრო ინტენსიურად დავიწყეთ წყალქვეშა გამოკვლევები და შედეგიც სახეზე იყო. გემის ხის ნაწილებთან ერთად ამოღებული იყო რამდენიმე ოქროს მონეტა და ნივთი, მონეტები ესპანური ნარმოშობის იყო და XV საუკუნით თარიღდებოდა, ხოლო ოქროს ნივთები კი ნამდვილი აღმოჩენა იყო, ეს იყო ძველ ინდიელთა ტომის ოქროს კერპი. იგი ნახევარი მტკაველისაც არ იქნებოდა, ქალის გამოსახულება ჰქონდა და მწოლიარე მდგომარეობაში იყო, ხელები და ფეხები ერთად ჰქონდა შეტყუპებული და ხელში მას რაღაც ნივთი ეჭირა, თავდაპირველად ვერ გავარკვიე ეს რა საგანი იყო. ნაპოვნმა ისეთი დიდი გამოცოცხლება ჰპოვა გემზე, რომ ნივთზე დაკვირვების საშუალება არ მომეცა. იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. განსაკუთრებით უხაროდა ანას, სამწუხაროდ შემდგომში წყალქვეშა ძიებამ შედეგი არ მოგვიტანა და ჩვენ მეორე დღეს ღუზა ავუშვით და მორიგი კუნძულის ახლოს გადავინაცვლეთ. ამ დროს ცა საშინლად მოიღრუბლა, შავმა ღრუბელმა დაფარა არე-მარე. კაპიტან ჰენრის შევხედე, მაგრამ მის გაქვავებულ სახეზე ვერაფერი ამოვიკითხე. მის მიერ გაცემულმა ბრძანებებმა მიმახვედრა, რის მოლოდინში უნდა ვყოფილიყავით. - მოსალოდნელია ქარიშხალი, - მითხრა მან. ჩვენი წყალქვეშა გამოკვლევები დროებით უნდა გადავდოთ და სასწრაფოდ გავეცალოთ კუნძულებს, რაც შეიძლება შორს სიღრმეში უნდა გავიდეთ, რადგან ქარიშხალის დროს ადვილი შესაძლებელია წყალქვეშა კლდეს წავაწყდეთ. კაპიტანმა, იალქენების ჩამოხსნის და ძრავის ამუშავების ბრძანება გასცა. გემი ნელი სვლით ცილდებოდა აზორის კუნძულებს, ქარიშხალი კი მატულობდა და მატულობდა.

საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, რამდენიმე საათის წინ წყნარად მოკრიალებული ოკეანეს ზედაპირი ჯოჯოხეთად გადაიქცა, არნახული სიმაღლის ტალღები აგორდა და ჩვენი გემი ნაფოტივით აათამაშა. გემიც და ეკიპაჟიც საშინელი გამოცდის წინ აღმოჩნდა. ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ გემმა ვერ მოასწრო სახიფათო ზონიდან გასვლა. რაც გემს რეალურ საშიშროებას უქმნიდა, წყალქვეშა რიფებზე დაჯახებით. კაპიტან ჰენრის სახეზე კვლავ არ ეტყობოდა ნერვიულობის ნიშანი, მაგრამ ეს მოჩვენებითი იყო, იგი უძლური იყო ბუნების სტიქიის წინაშე. საშინელმა დაჯახებამ შეარყია ჩემი ოცნების იალქნიანი გემი. ანა შეშინებული ჩამეკრა გულში, ჩვენ ქვედა კაიუტაში ვიყავით და ზემოთ რა ხდებოდა არ ვიცოდით.

- ჩქარა ჩაიცვი საშველი ჟილეტი, - მიუგე ანას. ამის თქმა და კაიუტაში წყლის შემოვარდნა ერთი იყო, როგორც იქნა მოვახერხეთ მაღლა ამოსვლა. იქ ყველაფერი ბობოქრობდა, გამდვინვარებულმა სტიქიამ ზემო ბაქანზე, ყოველივე დაანგრია. არც-ერთი ანძა ადარ იყო მთელი, საშველი ნავები დაჯახების ძალამ ზღვაში მოისროლა. გემის წინა ნაწილი საგრძნობლად დაზიანდა, რადგან სწორედ წინა ნაწილით დაეჯახა წყალქვეშა კლდეს. კაპიტანი ჰენრი უკვე სახეშეშლილი, რაც ძალა და დონე ჰქონდა გაჰყვიროდა, რომ ყველას საშველი კოსტიუმები ჩაეცვათ და ზღვაში გადამხტარიყვნენ. ვისაც როგორ შეეძლო, ისე უნდა ეშველა თავისათვის. მე მოვასწარი ჟილეტის ჩაცმა და ანას მაგრად ჩავჭიდე ხელი, მან ვერ მოასწრო საშველი ჟილეტის ჩაცმა, მაგრამ ოქროს კერპის წამოღება არ დავიწყებია, იგი მაგრად ჩაეკრა მკერდში და შველას თხოვდა მას, რომელმაც დაგვატეხა ეს უბედურება. მე დავაკვირდი კერპს, მისი სახე თითქოს მეცნო. დიახ ეს იმ ქალის სახე იყო, რომელსაც გაციებულ მკერდიდან მომაკვდავი ბავშვი გამოვგლიჯე ოდესლაც და სასიკვდილოდ გავიმეტე, დავაკვირდი კერპს კარგად და დავინახე ცხადად, რომ მას ხელში პატარა ყუთი ეჭირა და

შიგ ბავშვი ესვენა, ეს იყო ის, რაც მე მთელი ცხოვრება თან მსდევდა და უბედურება მოჰქონდა ჩემთვის და ჩემი ახლობლებისათვის. მისმა წყევლამ, ამ აბობოქრებულ შუაგულ ოკეანეშიც მომისწრო. ზეციდან ზარების რეკვის ხმა ჩამესმა და ბავშვის ტირილი ცხადად გავიგე, ეს ის ტირილი იყო, რომელიც მტანჯავდა მთელი ცხოვრება და მოსვენებას არ მაძლევდა. ანას კერპი მკერდში ქონდა ჩაკრული ისე, როგორც იმ დედაკაცს თავისი შვილი და მე შემომცეროდა. მე მას კერპი ხელიდან გამოვგლიჯე და შორს ბობოქარ ზღვის წყვდიადში გადავისროლე. ამ დროს საშინელმა დაჯახებამ გემს საბოლოოდ მოულო ბოლო, დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ ანნა ხელიდან გამომგლიჯა და წყლის წყვდიადში შორს მოისროლა, მე კი საწინააღმდეგო მხარეს აღმოვჩნდი. ამ თავსხმასა და არეულობაში საშინლად ვყვიროდი და ანას ვეძახდი, მაგრამ ქარიშხლის მეტი არაფერი ისმოდა, მხოლოდ აბობოქრებული ოკეანე და მე - სხვა არაფერი ჩანდა. არ ვიცი ასე რამდენ ხანს ვიყავი, გაოგნებული თითქოს ყველაფერს ვხედავდი, მაგრამ არაფერი მესმოდა. ამ ვითარებაში გონება დავკარგე. გონს რომ მოვეგე რომელილაც მეთევზის ქოხში ვიწექი, თავზე ზანგის ქალი მადგა და თავზე სველ ტილოს მადებდა.

- სად ვარ, - ვიკითხე მე, მაგრამ ჩემი არავის ესმოდა, თანდათან ყველაფერი გამახსენდა, მივხვდი რაც დამემართა მე, გემსა და ეკიპაჟს. გემი და ეკიპაჟი დაიღუპა, სიკვდილმა მარტო მე დამინდო, რათა უფრო ცხადად შემეგრძნო ჩემი უბედურება, რომელიც ბედმა მარგუნა ამ ქვეყანაზე. გემთან ერთად დაიღუპა ჩემი იმედი, ჩემი სიყვარული, ეს ანა იყო, იმედი კი ჩვენი ბავშვი, რომელსაც განგებამ დღის სინათლის ნახვა არ აღირსა. ამ დღიდან ამ ყველასაგან მივიწყებულ კუნძულზე ვარ. ბედის განგებას გვერდს ვერ აუვლის ადამიანი, ჩემი ხვედრი ამ ქვეყანაზე მხოლოდ ცოდვების მონანიებაა. ამ მივარდნილ, ღმერთისგან დავიწყებულ კუნძულზე უცხო ველურ ტომს შორის.

## ჟილბლო სიყვარული



გუჯეჯიანების გვარი განთქმული იყო ზემო სვანეთში. ამ გვარის წინაპრები გამოირჩეოდნენ თავისი ვაჟკაცობითა და სიმამაცით. არც სანდრო გუჯეჯიანის ოჯახი იყო გამონაკლისი. იგი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო და ომი-დან მკერდდამშვენებული ჩამოვიდა სხვადასხვა ხარისხისა და ღირსების ორ-დენებით, მაგრამ ომგადახდილსა და შინ დაბრუნებულს, არ ეწერა დიდი ხნის სიც-ოცხლე. ჯიხვებზე მეზობლებთან ერთად სანადიროდ წა-სულს მეზობლის ტყვიამვე მოუღო ბოლო, მიზეზი ყველა-სათვის უცნობი დარჩა. მაშინ ბესო ორი წლის თუ იქნებოდა, დედამისი - სანდროს მეუღლე დარეჯანი - შავებით შეიმოსა და სიკვდილამდე არ გაუხდია. დიდი შუღლი ჩამოეარდა მაშინ ორ გვარს გუჯეჯიანებსა და ლიპარტელიანებს შორის, რომელსაც უსისხლოდ არ ჩაუვლია. სანდროს უფროსმა ძმამ ჯონდომ დაიფიცა ძმის საფლავზე სამაგიეროს გადახდა და სისხლის აღება, აიღო კიდეც. ძმის მკვლელს მთის მდინა-რეზე კალმახებზე მოთევზავეს წაასწრო და ნაპირზე ბადით ამოსროლილ ჯერ კიდევ ცოცხალ კალმახებს მათი დამჭერი „ბერდენკით“ ზედ დააკლა. ამის შემდეგ აღარ ედგომებოდათ სოფელში სანდრო გუჯეჯიანის ოჯახს, რადგან მოკლულის ხუთი ძმა გუჯეჯიანებზე სანადიროდ გამოვიდა. ბესო დედა-მისმა შორს მთაში თავის ნათესავებთან გადამალა, იქვე მძიმედ ავად გახდა და გარდაიცვალა.

დრო მიდიოდა ბესო მეცხვარეებთან გაიზარდა იგი კარგი ვაჟკაცი და მონადირე დადგა. 1941 წლის ივნისი იდგა. ბესო 19 წლის ვაჟკაცი იყო. იგი თავისი დედის შორეული ნათესა-

ვის გვარს ატარებდა, სახელი კი უცვლელად დაიტოვა. მისი აღმზრდელი სარდიონი მწყემსი გახლდათ, იმ დროისათვის იგი განათლებულ კაცად ითვლებოდა მთაში. ბესოს მან წერა-კითხვა ასწავლა. მათ ქოხში კედელზე დიდი მსოფლიოს რუკა ეკიდა. ბესო თერთმეტი წლისაც არ იყო, რომ რუკაზე ყველა ქვეყნის ჩვენება შეეძლო და დედაქალაქსაც დაგისახელებდათ. ძირითად დროს ბესო და სარდიონი მწყემსობაში ატარებდნენ. ბესოს ბუნება ძალზედ უყარდა და სანადიროდ წასულს ხშირად უხეტიალია ტყეში ბუნების სიყვარულით გატაცებულს. მონადირე ჩინებული იყო, მან სვანეთის მთების ყოველი სანადირო ადგილი და სავალი ბილიკი იცოდა. მიუხედავად ამისა, ბესოს გულის სიღრმეში ყოველთვის რაღაც აწუხებდა. მშობლებისა და ახლობლების სითბოს მოკლებულს ზედ ქალის სიყვარულის შეუცნობლობაც ემატებოდა. ბესო უკვე მომწიფული ვაჟუაცი იყო, როდესაც მწყემსები გაიხუმრებდნენ ქალზე მას სიწითლე გადაჰკრავდა ხოლმე.

ერთხელ ერთმა მწყემსმა გაზაფხულზე ქალაქიდან რაღაც უურნალი ამოიტანა, რომელშიც მსახიობი ქალების სურა-თები იყო გამოქვეყნებული. ბესომ უურნალი დიდხანს ათვალიერა, მაგრამ ვერაფერი გაიგო. იგი გერმანულ ენაზე იყო დაბეჭდილი, მას მხოლოდ ერთი ქალის სურათი მოეწონა. ბესოს ძალიან უნდოდა იმ სურათის ამოჭრა და სახსოვრად დატოვება, მაგრამ პატრონს ხათრით ვერაფერს ეუბნებოდა. იმ ღამეს ბესოს თვალი არ მოუხუჭავს სულ იმ სურათს დასცექეროდა და ეფერებოდა.

დილით გაიღვიძეს თუ არა მისმა მეგობრებმა, რომლებიც მათთან სტუმრად იმყოფებოდნენ, ბესო უურნალის პატრონს თავზე დაადგა და ჯერ კიდევ ნახევრად გამოფხიზლებულს უურნალი სთხოვა, ხოლო სანაცვლოდ ჯიხვს შეჰპირდა. მეგობარმა გაულიმა, მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: ჯიხვიც შენი იყოს და ეგ უურნალიცო, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა. ბესოს სიხარულს საზღვარი არა

ჰერონდა ლამე ჭრაქის შუქზე ხშირად შეჰყურებდა თავის შეყვარებულს ქერათმიან გოგონას. მას ძალიან დიდი სურვილი ჰერონდა ამოეკითხა ყოველივე რაც ეწერა უცხო უურნალში, მაგრამ კმაყოფილდებოდა იქ გამოსახული სურათებით, ძვირფასი მანქანებით, კოხტად მოწყობილი სახლებით. მას სვანეთის მთების გარდა არაფერი ჰერონდა ნანახი და ეს ყოველივე ძალზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. მაგრამ ყველაზე ძალიან მაინც მას ჯიხვებზე ნადირობა იტაცებდა. მამაპაპური კარაბინი, მას მემკვიდრეობით შეხვდა. ბესოს მამას რომ ჰერონდა სანადიროდ და რომლითაც დაიღუპა. შემდეგ ამ თოფითვე იქნა მოკლული ბესოს მამის მკვლელიც, შემდეგ იარაღი ბესოს დედამ დარეჯანმა, სარდიონს ჩააბარა თავის უსაყვარლეს შვილთან ერთად. ბესოც იარაღს.

საგანგებოდ უვლიდა დღე არ გავიდოდა, რომ იგი არ გაენ-მინდა. საჭირო სურათსა და ნივთებს სარდიონი და სოსო ქალაქიდან ამოსულ ვაჭრებთან ცხვარში გაცვლით შოულობდნენ. ერთხელ ასეთი გაცვლის დროს ბესოს ცხვარში ოპტიკური სამიზნე შესთავაზეს, ბესო უყოყმანოდ დათანხმდა, რადგან სამიზნის საშუალებით კარაბინი სრულყოფილი და ზუსტი იქნებოდა. მისგან ნასროლი ყოველი ტყვია მიზანს აუცდენლად მოხვდებოდა.

იდგა 1941 წლის 22 ივნისი. ბესო 19 წლის იყო. მისთვის ეს დღე ჩვეულებრივად დაიწყო. ცხვრები საბალახოდ გარეკა. ამ დროს ქალაქიდან

ამოსულმა ბესოს მეგობარმა ჯონდომ ხმამაღლა დაიძახა - ძმებო ომი დაიწყო - ომი.

ბესომ ყურს არ დაუჯერა და იქით გასძახა:

- რაო ჯონდო ხომ არ გადაირიე, რეებსა ბოდავ, რა ომი რის ომი?!

- ფაშისტური გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს - ყვიროდა ჯონდო.

ბესო გაშეშდა ფიქრებში წავიდა, თავისთვის წაილაპარა-

კა, ეხლა კი გამოჩენდება ჩემი ვაუკაცობა. ჯონდო კი საოცარი ამბების თხრობას განაგრძობდა. დილის ოთხ საათზე გერმანელებმა საზღვარი გადმოლახეს და ანადგურებენ ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს. საბჭოთა ჯარები მათ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ მტერი შეუპოვრად წინ მოიწევდა. იმ დამით არავის ეძინა. ყველა რაღაცის მოლოდინში იყო.

ამ ამბის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა, მთაში თითქოს არაფერი შეცვლილა. სვანეთის მთები ამაყად გადმოჰყურებდნენ ჩვენი ქვეყნის სოფლებსა და ქალაქებს და თითქოს ყველას ამშვენებდნენ თავიანთი მედიდურობით. მტრის ჩექმა მართლაც წარმოუდგენელი იყო ჭალარა მთებისათვის. საუკუნების განმავლობაში მათი მყუდროება არავის დაურღვევია და ნუთუ ახლა უნდა დაასხან თავს ლაფი ჭალარა მთებს. არამც და არამც, ეს არ შეიძლება მოხდეს აქ მტერს არავინ მოუშვებს, ფიქრობდა თავისთვის ბესო. თავს შევაკლავ მტერს, მაგრამ არ დავუთმობ ჩემს სამშობლოს.

შორს ევროპის დასავლეთში, საშინელი ამბები ხდებოდა. იწვოდა ქალაქები და სოფლები, იღუპებოდა ათასობით უდანაშაულო ადამიანები. მტერი წინ მოიწევდა, მათ სურდა ერთ თვეში ბოლშევიკური რუსეთი მოესპოთ. წააწყდნენ რა დიდ წინააღმდეგობას მოსკოვთან, ჰიტლერმა გადაწყვიტა შეცვალა მთავარი დარტყმის მიმართულება და მთელი ძალები სტალინგრადის მიმართულებით გადაისროლა. ეს ძალისხმევა საბედისწერო აღმოჩნდა ფაშისტებისათვის, რადგან სწორედ სტალინგრადთან განიცადეს გერმანელებმა საშინელი დამარცხება. სტალინგრადის პარალელურად მიმდინარეობდა კავკასიის გმირული დაცვა.

1942 წლის 24 ივლისს როსტოვის აღების შემდეგ, გერმანელებს გზა გაეხსნათ კავკასიისაკენ. ამ მიმართულებით გერმანელებმა თავი მოუყარეს 25 დივიზიას და 100 თვითმფრინავს. ხუთ აგვისტოს მათ აიღეს სტავროპოლი. აგვისტოს შუა რიცხვებში გერმანელები კავკასიის მთავარ ქედს

მოადგნენ, მათ გადმოლახეს ქლუხორის, სანჩაროსა და მარუხის უღელტეხილები და საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ. აფხაზეთის ქალაქ სოხუმს საფრთხე დაემუქრა. იალბზზე ნაცისტური გერმანიის დროშა აფრიალდა. ჰიტლერელები ცდილობდნენ ბაქოს ნავთობისაკენ გაჭრილიყვნენ კავკასიის გავლით.

ერთ დღეს მთაში მეცხვარეებთან წითელი არმიის ოფიცრები ჩამოვიდნენ. ისინი შეხვდნენ ადგილობრივ მოსახლეობას და კრება ჩაატარეს, ამ კრებას ბესოც ესწრებოდა. ოფიცრებმა მოკლედ დაახასიათეს საომარი ვითარება კავკასიაში და დასახეს კონკრეტული ამოცანები, რა უნდა განეხორციელებინა ადგილობრივ მოსახლეობას. მართალია, აღნიშნეს მათ, რომ მტერი მათი სოფლიდან შორს ოყო, მაგრამ ადვილი შესაძლებელი იყო მტრის ცალკეული დაზვერვისა და დივერსიის ჯგუფების შემოსვლა მათ ტერიტორიაზე. ამისათვის მოსახლეობა მზად უნდა ყოფილიყო, რათა საკადრისი პასუხი გაეცა მათთვის. მთის მოსახლეობისაგან მათ შექმნეს ცალკეული საბრძოლო ჯგუფები. დაურიგეს იარაღი ვისაც არ ჰქონდა და გარკვეული წვრთნის შემდეგ ყველას თავიანთი სადარაჯო ადგილი მისცეს. აღნიშნული ჯგუფის მონაწილეები ჯარში გაწვევისაგან თავისუფლდებოდნენ. ერთ-ერთი სადაზვერვო უბანი ბესოსაც ერგო. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

დღე დღეს მისდევდა და კვირა კვირას, მაგრამ სვანეთის მთებში არაფერი იცვლებოდა. არც ბესოს ცხოვრებაში მომხდარა რაიმე მნიშვნელობანი. იგი ჩვეულებრივ განაგრძობდა, როგორც თავისი პატარა მეურნეობის გაძლოლას, ასევე მთაში თავის საგუშაგოს ფხიზლად დარაჯობას. მას უკვე იმედი გადაეწურა, რომ ოდესმე მტერთან შეხვედრა მოუწევდა და და თავს გამოიჩინდა. დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ მოხალისედ წასულიყო ომში მონინავე ხაზზე, მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგანაც ადგილობრივი ხელმძღვანელობა ამაზე არ წავიდოდა. სადაზვერვო მონაცემების

საფუძველზე მტრის გამოჩენა მოსალოდნელი იყო მათ ტერ-იტორიაზე. გარდა ამისა, სარდიონიც არ ურჩევდა ბესოს აჩქარებას.

ერთ დღეს ბესო ჩვეულებრივად ადგა, ჩაიცვა და თავის ქოხიდან გავიდა. იმ დროს სარდიონი სხვაგან გადასახლდა, რადგან მისი სათვალთვალო უბანი იქ იყო, ბესოს იშვიათად ხვდებოდა. იმ დილით ბესოს რაღაც სხვანაირად უცემდა გული, თითქოს მოულოდნელის მოლოდინში იყო. თავის იარაღს გადახედა, კედლიდან ჩამოხსნა, დაშალა, დაზეთა და ისევ ააწყო. სამიზნე დაუყენა 8 კარაბინის ტყვია გადათვალა და მჭიდში აუჩქარებლად სათითაოდ ჩაუშვა. ფანჯარა გამოაღო და თოფის სამიზნით ახლო-მახლო მთები დაზვერა. საოცრად ახლოს მოჰქონდა ყოველი საგანი ოპტიკურ სამიზნეს. ბესო ისედაც კარგად ისროდა, მაგრამ ახლა ამ სიახლით უფრო თავდაჯერებული იყო, რადგან უზუსტობა სროლის დროს, თითქმის გამორიცხულ იყო.

ბესომ გადაწყვიტა სანადიროდ წასვლა. საგზალი ჩაა-ლაგა, თოფი აიღო და გზას გაუდგა. აი უკვე მერამდენედ მიუყვებოდა არა ერთხელ გავლილ ბილიკს და ხელცარიელი არასოდეს დაბრუნებულა. რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ მიუახლოვდა სანადირო ადგილს. ბესომ საფარი მოამზადა და ნადირს დაუწყო ლოდინი. სამალავიდან ხელის-გულივით ჩანდა წინმდებარე ხეობა, რომელიც თეთრად გადაპენტილიყო.

1942 წლის ნოემბერი იდგა მთაში უკვე საკმაოდ ციონდა. ბესომ გასახურებლად არაყი გადაჰკრა, ნადირი კი არა და არ ჩანდა. მზე უკვე ამოიწურა, როცა ხეობაში რამდენიმე ადამიანს მოჰკრა თვალი. ბესომ თვალს არ დაუჯერა. რა უნდოდათ ხეობაში ადამიანებს? მწყემსებს ისინი არ ჰგავდნენ, მაშინ უნდა ყოფილიყვნენ? მან კარაბინი მოიმარჯვა და ოპტიკურ სამიზნეში გაიხედა ცხადად დაინახა მის წინ მომავალი გერმანელი ოფიცერი.

გერმანელები დაზვერვის მიზნით მცირე რაზმებს გზა-

ვნიდნენ მთებში, ერთ-ერთ ასეთ რაზმს წააწყდა ბესო. გერმანელ ოფიცერს ექვსი გერმანელი ჯარისკაცი მოჰყვებოდა. მათ მთას შემოუარეს და ბესოს მიმართულებით წამოვიდნენ. ბესომ მტკიცედ გადაწყვიტა შებრძოლებოდა მათ. მას არ აფრთხობდა მტრის სიმრავლე. მას სხვა რამე აწუხებდა, კერძოდ ის, რომ წადირის მაგივრად ადამიანი უნდა მოეკლა, ეს მისთვის უჩვეულო იყო. ამ უცხო ადამიანებს პირადად მისთვის არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ ბესომ იცოდა, რომ გერმანელმა ჯარისკაცებმა გაანადგურეს ევროპის ულამაზესი ქალაქები, დახოცეს მილიონობით ადამიანი, ასეთივე ბედი მოელოდა საქართველოსაც. ამიტომ გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, მტერი გაენადგურებინა. მან მტრის საპირისპიროდ კარგი სამალავი აირჩია. მტერი ვერ ხედავდა, სამაგიეროდ მისი სამალავიდან ხელის გულივით ჩანდა მტერი, რომელიც წინ ფრთხილად მოიწევდა. როგორც კი გერმანელები ასი მეტრით მოუახლოვდნენ ბესომ სამიზნეში პირველი გერმანელი ოფიცერი ამოიღო. მაგრამ სროლას არ ჩქარობდა, ისეთ მომენტს ელოდებოდა, როდესაც შვიდივე გერმანელი მისი ხედვის არეში მოქქცეოდა, რათა გაქცევის საშუალება არ მისცემოდათ. სულ მალე ასეთი მომენტიც დადგა. მან კარაბინის ჩახმახს თითო გამოჰკრა და გერმანელი ოფიცერი მოცელილივით დაეცა. თოფის ხმაზე გერმანელები ერთ ადგილზე გაშეშდნენ და შემდეგ მიმალვა სცადეს. ბესომ აღარ აცალა ზედიზედ გაისმა კიდევ ექვსი გასროლა. გერმანელები ბუჩქებში ხვლიკებივით ცდილობდნენ მიმალვას, მაგრამ ვერ შესძლეს. ბესო ყველას ხედავდა და, ტყვიას არ აცილებდა. ხუთი გერმანელი კიდევ იმსხვერპლა მხოლოდ მეექვსემ, რომელსაც ზურგჩანთით რაღაც ჰქონდა აკიდებული, შესძლო მიმალვა, მაგრამ ბესომ მასაც ზურგში დაახალა კარაბინი. ჯარისკაცი გვერდზე გადახტა, მთას ამოეფარა და თვალს მიემალა, მაგრამ ბესოს ეს არ აღელვებდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მას იპოვნიდა და ბოლოს მოუღებდა. ბესო სამალავიდან გამოვიდა და ბორცვს საწინააღმდეგო მხრიდან შემოუარა, რათა გაქცეული

გერმანელი ეპოვა. გულდასმით დაათვალიერა მიდამო და იქ მივიდა, სადაც მან ჯარისკაცს ესროლა. იქვე მოშორებით პატარა ხევში გერმანელი ჯარისკაცი პირქვე ეგდო გაუნძ-რევლად. ბესო ახლო მივიდა, ჯარისკაცი თავისკენ გად-მოაბრუნა, რომელსაც ქუდი მოეხადა და ოქროსფერი კულ-ულები ჩამოეშალა.

ბესოს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მის წინ ახალ-გაზრდა ლამაზი სახის ქერათმიანი ქალიშვილი იწვა, რომელ-საც ბესოს ნასროლმა ტყვიამ მხარი დაუზიანა და გონება დააკარგვინა. ბესოს თავი სიზმარში ეგონა, რადგან მან საო-ცარი მსგავსება აღმოაჩინა მის სახლში ჩამოკიდებულ სურათსა და ამ ნაცისტურ ფორმაში ჩაცმულ ქალიშვილს შორის. ბესომ შუბლზე ხელი დაადო, იგი თბილი ოყო. ქალიშვილს სასწრაფოდ შველა ესაჭიროებოდა. ქალიშვილს ზურგიდან რაცია მოხსნა, რომელმაც იგი აშკარა სიკვდილს გადაარჩინა, ბესოს ნასროლ ტყვიას ძალა დაუკარგა და სასიკვდილო ჭრილობა ვერ მიაყენა. მან ქალის მარჯვენა ბეჭთან სისხლის ლაქა შენიშნა. იგი სისხლისაგან იცლებოდა. ბესომ არ დააყოვნა, ქალიშვილი ზურგზე მოიკიდა თავის კარაბინს დაავლო ხელი და რაც ძალა და ღონე ჰქონდა სახლისაკენ გზას გაუდგა. გზად მიმავალმა შენიშნა მის მიერ მოკლული გერმანელების გვამები, რომლებიც უსულოდ ეყარნენ აქეთ-იქით. მხოლოდ ერთი ჩანდა დაჭრილი, იგი კვნესოდა და შველას ითხოვდა, ბესო მისკენ გაეშურა. გერ-მანელმა დაინახა თუ არა ბესო, რომელსაც ზურგზე აკიდე-ბული ქალიშვილი ჰყავდა, იარაღი მოიმარჯვა და ისროლა. ბესო ბუჩქებს ამოეფარა, გოგონა გვერდზე გადააწვინა, თავის კარაბინი მოიმარჯვა და დაჭრილი მტრისკენ ფოფხ-ვით წავიდა. ოც ნაბიჯში მან გერმანელი ჯარისკაცი შენიშნა, რომელსაც ავტომატი ჰქონდა მომარჯვებული და ბესოს გამოჩენას ელოდა. ბესომ მტერი მიზანში ამოიღო, გერმა-ნელმა ოდნავ წამოყო თავი და ბესოს კარაბინმაც იგრიალა. გერმანელი ჯარისკაცი თავგახვრეტილი გადავარდა ბუჩქებში. ბესო ქალიშვილს მოუტრიალდა კვლავ ზურგზე მოიკიდა

და რაც შეეძლო სწრაფი ნაბიჯით გააგრძელა გზა. სახლი-საკენ მიმავალი გზა მას უსასრულოდ ეჩვენებოდა. ქალი-შვილი კვლავ გონებაზე არ იყო, მაგრამ ბესო გრძნობდა მისი გულის ცემას. როგორც იქნა გამოჩნდა მისი ღარიბული კარმიდამო, ბესოს გზად თავისი ერთგული ნაგაზი მურა შეე-გება, ძალლი ცმუკავდა და თითქოს პატრონს გამარჯვებას ულოცავდა. ბესომ კარი შეაღო და თავისი ნანადირევი იატაკზე დაფენილ დათვის ტყავზე დააწვინა. სიბრალულის გრძნობა უღრღნიდა გულს. მის წინ მტერი კი არა, დაჭრილი ქალიშვილი იწვა, რომელსაც შველა ესაჭიროებდა. მან სასწრაფოდ გახადა ქურქი, შემდეგ ფორმის საკინძე შეუხსნა და მკვლავები გაუთავისუფლა. პირქვე გადააბრუნა და ზურგზე ჭრილობა გაუსინჯა.

ცხადი იყო, ტყვია მარჯვენა ბეჭის ძვალში იყო გაჭედილი და თუ მას ბესო არ ამოიღებდა, ქალიშვილი ვერ გადაურჩე-ბოდა სიკვდილს. ბესომ იცოდა ასეთ შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყო, ცეცხლზე გამოწვა სანადირო დანა, არყით მოუბანა ჭრილობა, შემდეგ ნატყვიარში დანის წვე-რით შევიდა და ტყვია დიდი სიფრთხილით ამოიღო. ქალი-შვილმა უღრღნოდ ამოიკვნესა და გონზე მოუსვლელად თავი გვერდზე გადააგდო. ბესომ მას ჭრილობა მობანა, შეუხვია. მძიმე სამხედრო ჩექმები ძლივს გააძრო და თავის საწოლზე მიაწვინა. შემდეგ ბუხარი დაანთო და ფიქრებს მიეცა.

უჩვეულო მდგომარეობაში იყო ბესო. მის მიერ დახოცილი გერმანელების გვამები ტყეში ეყარა. მან ისინი დაუნ-დობლად გამოასალმა სიცოცხლეს, რადგან ისინი, მისი სამშობლოს მტრები იყვნენ. მხოლოდ ერთი დაინდო, გადა-არჩინა, მოუარა და თავის სახლში მოიყვანა. რატომ გააკეთა მან ეს არ იცოდა. ეს ქერათმიანი ქალიშვილიც ხომ ისეთივე მტერი იყო, როგორც დანარჩენები. ამჟამად რომ უცოდ-ველი კრავივით იწვა ბესოს ლოგინზე, იგი ალბათ ერთი წუთითაც არ დაინდობდა მას. მაშ რატომ დაინდო იგი ბესომ?! ნუთუ მარტო იმიტომ, რომ იგი ქალი აღმოჩნდა. მაგრამ ნაცისტი გერმანელი ქალებიც ხომ ისეთივე მკვლე-

ლები იყვნენ როგორც გერმანელი მამაკაცები ჯარისკაცები. მაში რაში იყო საქმე?! ეკითხებოდა თავის თავს და პასუხს ვერ პოულობდა. მიუახლოვდა ქალიშვილს, იგი კვლავ უგონოდ იწვა, მხოლოდ ფერზე მოსულიყო და უფრო ლამაზი ეჩვენა. ქერა თმები გადაშლოდა და მის ლამაზ სახის ნაკვთებს, ბუხრის შუქზე სასიცოცხლო ელფერი დასთამაშებდა. კედელზე ჩამოკიდებული გერმანული ჟურნალიდან ამოჭრილ სურათს დახედა და გასაოცარი მსგავსება აღმოაჩინა. ბესო სურათზე გამოსახულ ქალიშვილზე შეყვარებული იყო. მას იგი თავის ოცნების ქალად ექცია, ფანტაზიით სად არ ყოფილა მასთან ერთად. მაგრამ ეს ხომ მხოლოდ ფანტაზია იყო და მეტი არაფერი. რეალობაში განუხორციელებული სიყვარული. განგებამ ისმინა ვედრება და მას ხორციელი, იმავე სახისა და ეროვნების ქალიშვილი მოუვლინა მტრის ფორმაში გადაცმული. თუმცა ეს ლამაზი გერმანელი ქალიშვილი სულაც არ იყო მოფრენილი ანგელოზი. გონზე მოსვლის შემდეგ არავინ იცოდა რას მოიმოქმედებდა იგი, შესაძლებელი იყო, რომ იარაღს აიღებდა და მისივე გადამრჩენს დაახლიდა, ბესო ამასაც არ გამორიცხავდა. მან მტკიცედ გადაწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა, ქალიშვილი კეთილად განეწყო. ამიტომ სათანადო ზომები მიიღო. მთლიანად გაჩერიკა ქალიშვილის ტანსაცმელი, რომელსაც სამხედრო ფორმაში პირადობის საბუთები აღმოაჩნდა. სამხედრო ბილეთიდან ნაცისტურ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა ოფიცერი ქალი იმზერებოდა, ტანსაცმლის სხვა ჯიბეებიც შეამოწმა. ფორმის ერთ-ერთ ჯიბეში რევოლვერის ტყვიებით სავსე მჭიდი აღმოჩნდა, იარაღი კი არსად ჩანდა. გაახსენდა, რომ გოგონას შარვალი გაუჩერეკელი დარჩა, რომელიც მან არ გახადა. იარაღი შესაძლებელი იყო მას ქამარზე ეკეთა და იგი ბესოს უნდა აეღო, სანამ გოგონა გამოფხიზლდებოდა, რადგან მტრისგან ყველაფერი იყო მოსალოდნელი. საწოლს მიუახლოვდა, გოგონა უგრძნობლად იწვა, საბანი გადახადა და მართლაც ქამარზე ჩამოკიდებულ ტყავის ბუდიდან გერმანული

იარაღის ტარი მოჩანდა. იარაღი ამოიღო, ტყვიები ამოაცალა და ისევ ადგილზე ჩაუდო. ქალი შეირხა, ტუჩები აამოძრავა, რაღაც წარმოთქვა გერმანულად. ბესომ სიტყვები ვერ გაიგო, მაგრამ მიხვდა, რომ ქალიშვილს წყალი სწყუროდა. მან წყალი მოუტანა და თვითონვე დაალევინა. ქალმა რამდენიმე ყლუპი მოსვა, შემდეგ ხარბად დაეწაფა და ფიალა მთლიანად გამოცალა. თვალი გაახილა და კაცს უცნაურად მიაშტერდა. ბესომ მას თვალი თვალში გაუყარა, ზურგით შეტრიალდა და ჭიქა დადგა, შემდეგ ხელი კარაბინისაკენ წაიღო, მოიმარჯვა, შემოტრიალდა და ლოგინზე უკვე წამომჯდარ ქალიშვილს დაუმიზნა. გერმანელ ქალიშვილსაც მოესწრო თავის იარაღის ამოღება, რომელიც ბესოსკენ იყო მიმართული. ასე იარაღშემართულები ისინი ერთმანეთს კარგა ხანს შეჰყურებდნენ, შემდეგ ბესომ იარაღი ზურგზე გადაიკიდა, შეტრიალდა და კარისკენ გაემართა. გოგონამ რაღაც შესძახა გერმანულად და იარაღის ჩახმახის ტკაცუნი გაისმა. ქალი მიხვდა იარაღში ტყვიები არ იყო. ბესო მას მიუახლოვდა, იარაღი ხელიდან გამოგლიჯა და მაგიდაზე მოისროლა. ქალი გაკვირვებული უყურებდა. იგი განიარაღებული, დაჭრილი და უსუსური იყო. მიხვდა, რომ კაცთან ვერაფერს გააწყობდა და უღლონოდ მიეყუდა საწოლის კიდეს. ბესომ აუღელვებლად ჩაალაგა ტყვიები ბრაუნინგში და ქალიშვილს დაუმიზნა. ქალიშვილს შიშისაგან თვალები გაუფართოვდა და ბედს დამორჩილდა მოემზადა სიკვდილისათვის. მაგრამ ბესომ გასროლის მაგივრად იარაღი ჯიბეში ჩაიდო, ქალიშვილს მიუახლოვდა. კედლიდან უურნალიდან ამოჭრილი სურათი ჩამოხსნა და შეშინებულ ქალიშვილს აჩვენა. გოგონა გაოცებული შეჰყურებდა ხან სურათს, ხან კი ბესოს და ვერაფერი გაეგო. სურათის მსგავსება უცბად დაინახა და ბესოს რაღაც ჰქითხა. შემდეგ სურათი გამოართვა და ყურადღებით დაათვალიერა. გერმანულად დაწერილი უცბად გადაიკითხა და თითქოს რაღაც დიდი ლოდი მოეხსნა გულზეო, შვებით ამოისუნთქა. ბესოს გერმანულ ენაზე კითხვები დააყარა, ბესოს არაფერი გაეგებოდა

მისი. მან კარაბინი და ბრაუნინგი აიღო და გარეთ გავიდა. სახლის წინ მდგარ ხის ქვეშ მოკალათდა და სახლის კარს თვალს არ აცილებდა. კარებში მაღლე გერმანელი ქალიშვილი გამოჩნდა. იგი ულონოდ მიეყრდნო გაღებული კარის სახ-ელურს და გაოცებული შეჰყურებდა არემარეს და კარმი-დამოს, შემდეგ ხის ქვეშ ბესო შენიშნა. მათ ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს და ასე შორიდან კარგა ხანს უყუ-რეს ერმანეთს, შემდეგ ქალიშვილი უკან შეტრიალდა.

ბესოს ის ღამე სახლში არ გაუთენებია. მან მთელი ღამე ხის ქვეშ გაატარა. დილით სახლში შევიდა. გოგონა საწოლზე იჯდა და ჭრილობას იხვევდა. ერთმანეთს უხმოდ გადახედეს. კაცმა მის გამოხედვაში რაღაც ახალი შენიშნა, ქალიშვილის თვალებში უნდობლობა აღარ იგრმნობოდა. ბესომ რძე დაუსხა, ყველი დაუჭრა და ყოველივე ეს პურთან ერთად მია-წოდა. ქალიშვილმა გაუღიმა და ხარბად მიეტანა საჭმელს. მის შემყურე ბესოსაც მოშივდა. მან გვერდით ოთახიდან დამარილებულ ჯიხვს კარგა მოზრდილი ნაჭერი გამოიტანა ჩამოათალა დანით ნაწილი და არაყთან ერთად ყოველივე მაგიდაზე დააწყო, შემდეგ არყის ორი ჭიქა გადმოიღო, დაასხა და ერთი ჭიქა გოგონას გაუწოდა. მან ბესოს ჭიქა ჩამოართვა, ბესომ რაღაც სადღეგრდელოს მაგვარი წაიბურ-ტყუნა და არაყი სულმოუთქმელად გადაჰკრა. ქალიშვილმაც რაღაც გერმანულად წარმოთქვა და არყის ჭიქა სანახევროდ გამოცალა. ძლიერმა არაყმა ქალიშვილს ყელი დასწვა და მას ხველა აუტყდა. ბესომ წყალი მიაწოდა და ღიმილით ზურგზე ხელი დაჰკრა. ორივეს გაეღიმა, ერთმანეთის მიმართ უნდობლობა თანდათან ქრებოდა. ბესომ მეორე ჭიქა დაისხა და მასაც დაუსხა. გოგონამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

- მე, ბესო მქვია.
- შენ რა გქვია, - ჰკითხა ბესომ ქართულად.
- გოგონამ ბესოს სახელი გაიმეორა. იგი თითქოს მიხვდა ბესოს რაც აინტერესებდა და თავის სახელი წარმოსთქვა.
- ქეთრინ.
- ესე იგი ჩვენებურად ქეთინო - აღნიშნა ბესომ. ერთმა-

ნეთის უნდობლობა ყოველ საათს ქრებოდა. ბესოს ენის უცოდინარობის გამო უჭირდა ურთიერთობა, მაგრამ ქეთინო უფრო ახერხებდა ხელის უესტებითა და ნახატების საშუალებით გამოეხატა თავისი აზრი, იგი შესანიშნავად ხატავდა. დღეები გადიოდა და ახალგაზრდები ეჩვეოდნენ ერთმანეთს. ბესო ქეთინოს დახმარებით აქტიურად ცდილობდა ენის შესწავლას და რამდენიმე კვირის შემდეგ მან უკვე რამდენიმე ათეული სიტყვა იცოდა გერმანულად.

ქეთინომ კი მალე დაივიწყა თავისი უჩვეულო მდგომარეობა და ბესოს სახლის საქმეებში ეხმარებოდა. ბესო ღამეს იატაკზე დაგებულ ტყავზე ათევდა. წაიხურავდა საბანს და თითქოს ეძინა. სინამდვილეში კი ქეთინოზე ფიქრობდა და მხოლოდ დილას ჩაეძინებოდა ხოლმე. ქეთინოს კი ბესოს ლოგინში ეძინა. ერთ სადამოს, როდესაც საქმე მოითავეს, ქეთინომ რაღაცის ხატვა დაიწყო. ბესოს დაუძახა და სურათის ახსნა დაუწყო, ამ დროს მათი თითები ერთმანეთს შეეხო. ბესომ მისი ნაზი ხელის მტევანი თავის ძლიერ ხელის გულში მოიქცია და ოდნავ მოუჭირა. ჭეთინომ მას თვალებში ჩახედა, ბესომ ვედარ გაუძლო მის ნაზ შემოხედვას და ეამბორა. გოგონა არ განძრეულა. იგი თითქოს ელოდა ამას ბესოსგან, რომელმაც კოცნა გაიმეორა. ქეთინომაც უპასუხა კოცნით. კაცს არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა ქალთან ურთიერთობაში. ამას პირველი კოცნისთანავე მიხვდა ქეთინო, როგორც მას ბესო ეძახდა. მიხვდა და მასში გაიღვიძა ქალურმა ინტერესმა გამოუცდელი მამაკაცის მიმართ. მან თავისი სასიყვარულო ფანტაზიით ბესოს თავგზა აუბნია. ბესო თოთო ბავშვს დაემსგავსა გამოცდილი ქალის ხელში. იგი დამჯერი თოჯინასავით იქცეოდა და ქეთინოს სულ თვალებში შეჰყურებდა. ქეთინომაც აღარ დააყოვნა და დასავლეთ ევროპის თანამედროვე სექსუალური ყველა ილეთი გამოიყენა, რის შემდეგ ჩვენი გმირი სამი დღე გონზე ვერ მოვიდა. უფრო სწორედ უჩვეულო მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და ჩვენი ბესოც მიეჩვია თავის უჩვეულო მდგომარეობას. იგი უან-

გარო წრფელი სიყვარულით იყო შეყვარებული მტერზე, რომელიც უცოდველი კრავივით იქცეოდა.

დღები კი გადიოდა. ბესო ქეთინოს უკვე ყველაფერში ენდობოდა. ბესო სანადიროდ მიდიოდა, საქონელს უვლიდა, სახლის საქმეებს კი ქეთინო აკეთებდა. მართალია კერძები უმეტეს შემთხვევაში ევროპული სტილისა იყო, მაგრამ ბესოს მოსწონდა. მას ყველაფერი მოსწონდა ქეთინოსი. ქეთინო მის თვალში მსოფლიოში ყველაზე ლამაზი და დიდებული ქალი იყო. ქალმა ყველის ამოყვანაც ისწავლა და ჭაჭის დალევაც. მათი ურთიერთობის ერთი თვის თავზე ენობრივი ბარიერი ნაწილობრივ გადალახული იყო. ადრინდელთან შედარებით უფრო უადვილდებოდათ ურთიერთობა.

ერთ საღამოს ქეთინომ ჰკითხა ბესოს, თუ რა ბედი ეწია მის რაზმს. ბესომ პირდაპირ ახალა, რომ მან ისინი დახოცა. ქეთინო რაღაცაზე დაფიქრდა და შემდეგ ფურცელზე თავისი თავი დახატა ზურგჩანთით, შემდეგ ზურგჩანთა შემოხაზა და ზედ კითხვის ნიშანი დაახატა. ბესომ ხელი მთისაკენ გაიშურა და მიუგო, რომ მისი გადამცემი იქ იყო მთაში, ხომ არ მოგენატრა?

- კი მიუგო ქეთრინმა. სიმღერის მოსმენა შეიძლება მისი საშუალებით და ძალიან თუ არ არის დაზიანებული, შეგვეძლო მისი შეკეთება.

- კარგი, მიუგო ბესომ, ამ დღეებმი იქით მივდივარ და შენ რაციასაც წამოგიღებ. ამაზე ქეთინომ კოცნით უპასუხა. ოღონდ იცოდე, დააყოლა ბესომ, რომ იგი საკმაოდ დაზიანებული დავტოვე, ალბათ ჩემმა ნასროლმა ტყვიამ დააზიანა.

- მაგაზე ნუ იდარდებ, მე მას შევაკეთებ, - უპასუხა ქეთინომ. ბესოს ქეთინო თავდავიწყებით შეუყვარდა. იგი ხომ მისი ოცნების ქალიშვილი გახლდათ, რომელიც თავდაპირველად სურათით გაიცნო, ხოლო შემდეგ კი ცხადად გამოუგზავნა მას განგებამ და მას ყოველივე გადაავიწყა. მან დაივიწყა, რომ მსოფლიოში მიმდინარეობა საშინელი სისხლისმღვრელი ომი, რომლის სასიკვდილო სუნთქვამ ამ მიუწვდომელ მთებშიც ამოაღნია. მილიონობით ადამიანი შეიწირა ამ ომის

მანქანამ. ყოველივე ეს ბესოს აღარ აღელვებდა. გუშინდელი ტყვე და მტერი მას თავდავიწყებით შეუყვარდა და ყველა-ფერში ენდობოდა. არც გადამცემის მოტანაზე უთხრა უარი ბესომ გერმანელს.

ერთხელ სანადიროდ წასულმა იქით აიღო გეზი, სადაც მას გერმანელებთან მოუხდა შეტაკება. იგი იმ საბედისწერო ადგილს ფრთხილად მიუახლოვდა, რაც უფრო უახლოვდებოდა შეტაკების ადგილს, მას თანდათან უჩვეულო არასასი-ამოვნო გრძნობა ეუფლებოდა. აი გამოჩნდა ის ადგილიც, საიდანაც მან პირველად გერმანელები შენიშნა და სროლა აუტეხა. იგი იმ ბორცვთან იყო, სადაც ჩასაფრებული 100 მეტრში გერმანელი ოფიცერი დაინახა, რომელიც ბესოს პირველი მსხვერპლი შეიქმნა. იგი გზას გაუყვა და სულ მალე ოფიცრის გვამს წააწყდა, რომელიც საშინლად იყო დამახინ-ჯებული. წადირმა თავისი ავი საქმე გააკეთა - გაიფიქრა მან. შემდეგ იმ ადგილს მიადგა, სადაც მან ქეთინო დაჭრა. იქვე ახლოს ზურგჩანთაში გადამცემი ეგდო. ბესომ იგი მხრებზე მოიგდო, უკან გამობრუნდა. გზაში სხვა გვამებსაც მოკრა თვალი, რომელიც ასევე დამახინჯებული იყვნენ. ერთ გვამთან ზურგჩანთა ეგდო, ბესომ გახსნა იგი. იქ მხოლოდ წადირის მიერ დაგლევილი კონსერვები იყო. ერთ კუთხეში შენიშნა ჯარისკაცის პირადობის მოწმობა, როგორიც ქეთინოს ჰქონდა. მოწმობა ჯიბეში ჩაიდო და წამოვიდა. ქეთინო მას გზაში შეხვდა. გადამცემის დანახვამ ძალზე გაახარა. ბესოს გამოართვა, სახლში შეიტანა და შეკეთება დაუწყო. ბესოს ტყვიას იგი საგრმნობლად დაეზიანებინა. მაგრამ ქეთინომ რამდენიმე საათის წვალების შემდეგ გადამცემს ხმა ამოაღებინა. ბესოს პატარა ქოხში ლევიტანის ბოხი ხმა გაისმა, რომელიც ქვეყანას რუსულად ამცნობდა, რომ გერმანელებმა სტალინგრადთან საშინელი მარცხი გან-იცადეს და საბჭოთა მეომრებმა გერმანელ ჯარისკაცთა 350 ათასიანი დაჯგუფება გაანადგურეს. ამ ხმამ და მიღებულმა ინფორმაციამ თითქოს გამოაფხიზლა, ილუზია გაქრა და ისინი რეალურ ფაქტის წინაშე დადგნენ.

მსოფლიომი სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობდა და ისინი რამდენიმე ხნით მოწყვეტილი აღმოჩნდნენ რეალურ სამყაროს. რეალური სურათი კი არ იყო სახარპიელო. ბესო თითქოს გონის მოვიდა და მისთვის ცხადი გახდა, რომ ქეთინოს მფარველობით იგი საფრთხეში იგდებდა თავს. აუცილებელი იყო მას დროზე ეცნობებინა სათანადო ორგანოები-სათვის მის სადაზვერვო უბანში მომხდარი ამბავი. შესაძლებელი იყო ქეთინოს მნიშვნელოვანი მონაცემები ჰქონდა მტრის განლაგებასა და შემდგომ მოქმედებაზე. წესით მას ქეთინო უნდა დაეპატიმრებინა და მიეყვანა სამხედრო კომისარიატში, მაგრამ ბესომ ეს არ გააკეთა. იგი მტერთან ინტიმურ კავშირში იმყოფებოდა, რითაც არღვევდა წესრიგს, ამას არ აპატიებდნენ და ადრე თუ გვიან პასუხს მოსთხოვდნენ. მაგრამ ქეთინო მას დასაპატიმრებლად არ ემეტებოდა, რადგან უყვარდა და არავის დაუთმობდა, მაგრამ რა მოჰყვებოდა მათ საქციელს, ალბათ ორივეს დაპატიმრება. ბესო ორ ცეცხლს შუა იყო: მძიმე და სევდიანი ფიქრებისაგან ისევ ქეთინომ გამოიყვანა. მან ბესოს ხელი გადახვია და ტუჩებში ნაზად აკოცა. შემდეგ ერთი ხელი გადამცემს მოკიდა მეორე ბესოს გადახვია და სახლისკენ წაიყვანა. ქალმა სწრაფად დაიჭირა გადამცემის საშუალებით საესტრადო სიმღერა. ბესოს მოეხვია და ისინი ნელა დაეშვნენ ოთახში დაგებულ დათვის ტყავზე და სიყვარულის მორევში ჩაიძირნენ. ჩემს სიყვარულს არავის დავუთმობ სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს - ფიქრობდა ბესო. ქეთინოს ყურში უჩურჩულებდა და უინიანად კოცნიდა ვნებიან ტუჩებს. ქეთინოც იხტიბარს არ იტეხდა და ისიც გერმანულად რაღაცას ნაზად ეჩურჩულებოდა ყურში, მაგრამ რას, არვინ იცოდა - სიყვარულს თუ მტრობას.

ასე გავიდა კიდევ რამდენიმე დღე. ერთ დღეს ქეთინომ ჩვეულებრივ ჩართო თავის გადამცემი და ოთახში გერმანული მელოდია გაისმა. უცბად მოეშვა და სკამზე ჩამოჯდა. ბესო გაკვირვებული ადევნებდა ქეთინოს საქციელს თვალს. ქალი ფიქრებში ჩაიძირა და თვალებზე ცრემლი მოადგა.

გადამცემში ჰიტლერის ხმა გაისმა. იგი რაღაცაზე ცხარედ ორატორობდა. ყოველი მისი წინადადების შემდეგ, გერმანელების ტაში და ოვაციები გაისმოდა. ქეთინო მთლად დაიძაბა, იგი დაჭიმულ სიმს დაემსგავსა, რომელიც ეს ეს არის უნდა გამწყდარიყო. ფეხზე წამოდგა და სიგარეტი გააბოლა: მას თვალზე ცრემლი მოადგა ჰიტლერის გამოსვლამ მას სალერლელი აუშალა. ბესოს არაფერი გაეგებოდა იმ სიტყვების კორიანტელისა, მაგრამ აშკარა იყო, რომ პირველი ნაცისტის სიტყვებმა ქეთინოზე გამანადგურებლად იმოქმედა. ბესომ გადამცემი გამორთო, შორს ოთახის კუთხეში მოისროლა და მკაცრად უბრძანა გადამცემი აღარ ჩაერთო. ამ ინცინდენტის შემდეგ თითქოს მათ შორის რაღაც ბზარი გაჩნდა. ქეთინო ბესოს თვალს ვეღარ უსწორებდა, მას თითქოს რაღაც ღრღნიდა და აწუხებდა. ძალზე მოუსვენარი გახდა. ბესოს არ გამოპარვია მისი ასეთი ცვლილება და ცდილობდა გაერკვია მიზეზი მისი ასეთი ყოფისა, მაგრამ უშედეგოდ. ქეთინო მას დუმილით პასუხობდა.

ერთ დღეს ქეთინო დილით ადრე ადგა და წასასვლელად სამზადისს შეუდგა. ბესოსაც გაეღვიძა, ქეთინოს ყურება დაუწყო, რომელიც თითქოს არც ამჩნევდა. თავისი სამხედრო ჩექმები ჩაიცვა, ზემოდან ბესოს მიერ ნაჩუქარი ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ქურთუკი მოისხა. მხარზე ნიჩაბი გაიდო და ბესოს დამტვრეული რუსულით მიუგო.

- იქ მივდივარ, სადაც გერმანელთა დაუმარხავი გვამებია, უნდა დავმარხო. გავიდა ისე რომ უკან არც მოუხედავს.

ბესო წამოხტა, დაედევნა და მიაძახა, რომ ისიც წაყვება და მიეხმარებოდა მას.

- არა, - მიუგო ქეთინომ, - ისინი შენ დახოცე და ჩემი ვალია რომ დავმარხო და გზა გააგრძელა.

ბესო მარტო დარჩა. ადგილს ვერ პოულობდა მთელი დღე მოუსვენრად იყო, ბრაზობდა თავის თავზე, რომ არ გაჰყვა ქეთინოს. ყველაზე ძალიან ქეთინოს დამტვრეულმა რუსულმა გააოცა, მას ადრე არასოდეს დასცდენია რუსულად არცერთი სიტყვა. ისიც კი გაიფიქრა, რომ შეიძლება ქე-

თინომ იგი მოატყუოს და ისევ გერმანელების მხარეზე გადა-  
ვიდეს. მაგრამ ეს აზრი იმწუთშივე უარყო, რადგან იცოდა,  
რომ გერმანელებმა სტალინგრადის ბრძოლის შემდეგ უკან  
დაიხიეს და ახლა ფრონტის საზღვარი საკმაოდ შორს იყო  
მათი მთებიდან.

საღამოს როგორც იქნა დაბრუნდა ქეთინო, დაღლილი,  
ჭუჭყიანი ტანსაცმლით. ნიჩაბი გვერდზე ისროლა და დაქან-  
ცული სკამზე დაეშვა. შემდეგ დამტვრეული რუსულით  
ბესოს მიუგო.

- ხუთივე ჩემი ხელით დავმარხე, მე ვალდებული ვიყავი,  
რომ დამემარხა. ისინი ლირსი იყვნენ ამისა, რადგან ჩემი  
სისხლი და ხორცი იყვნენ. მე სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი.  
მან დამარხულ გერმანელების პირადობის მოწმობები მაგი-  
დაზე დაყარა. აქ ოთხია მეხუთე ვერ ვიპოვე.

- აი მეხუთეც, - მიუგო ბესომ და მაგიდაზე გერმანელის  
პირადობის მოწმობა დააგდო.

ქეთინომ თავი ჩაღუნა და ქვითინი დაიწყო.

- კარგი, კმარა - მიუგო ბესომ, გლოვით საქმეს ვერ უშვე-  
ლი. ომში ყველაფერი ხდება, ზოგი იღუპება, ზოგი კი ცოცხ-  
ალი რჩება. ალბათ ისინიც არ იყვნენ უცოდველები სანამდის  
ამ მთებთან მოვიდოდნენ. ვინ იცის რამდენი ადამიანის  
სისხლი აქეთ დაღვრილი. ჩემს ადგილზე ისინიც ასე  
მოიქცეოდნენ. ჩემთვის ძალზე ძნელი იყო ადამიანზე ხელის  
აწევა მისი სიცოცხლის ხელყოფა, მაგრამ მე მოვალე ვიყავი  
გამეკეთებინა ის, რაც გავაკეთე. ასე იქცეოდნენ ჩემი წინაპ-  
რებიც.

- მე რატომ დამინდე. მეც ხომ მტერი ვიყავი, - მიმართა  
აღელვებით ქეთინომ.

- შენ სხვა ხარ.

- დარწმუნებული ხარ მაგაში, რომ მე სხვა ვარ, - მიუგო  
ქეთინომ.

- დიახ, შენ სხვა ხარ, განგებამ შენთან შემახვედრა.  
შეგხვდი როგორც მტერს, მაგრამ შემიყვარდი თავდავინ-  
ყებით. შენთვის მე ყველაფერს გავაკეთებ და მუდამ ჩემთან

იქნები. მე შენ არასოდეს არ გაგიშვებ. წავიდეთ სამხედრო კომისართან, მე მას ყველაფერს ავუხსნი და ისინი ჩვენ გაგვიგებენ. ხელს მოვაწერთ და კანონიერი ცოლ-ქმარი ვიქ-ნებით.

- რა მიამიტი ხარ, - უპასუხა ქეთინო. თქვენს ქვეყანაში ადამიანებს სრულიად უმიზეზოდ ხვრეტენ და შენ გგონია შენი კომისარი მე ესე ადვილად გამომიშვებს შენთან ერთად?! ცდები ძვირფასო, მე სპეცსამსახურის გერმანელი ოფიცერ ვარ, შენს ქვეყანაში მხოლოდ სიკვდილი მელის. ისინი შენც არ დაგინდობენ და ორივეს დაგვხვრეტენ. სჯობს სანამ დროა გავცილდეთ აქაურობას გერმანელების მხარეზე გადავიდეთ. შენ წარმოდგენაც არა გაქვს რა საინტერესო ცხოვრებაა ამ მთებს იქით. სადაც ჩემი სამშობლოა. ნუთუ მარტო უურნალში ნანახი გაკმაყოფილებს. ეს ყოველივე შეგვიძლია ჩვენი თვალით ვნახოთ და განვიცადოთ. ევროპაში მდიდარი და ლამაზი ქვეყნებია, რომლის მფლობელებიც გერმანელები ვართ. ეს საქმე მე მომანდე, ყველაფერს მოვაგვარებ.

- სისულელეა, უპასუხა ბესომ. ჩემს სამშობლოს ვერ ვუღალატებ.

- ჩვენ რუსეთსა და ბოლშევიკებს ვებრძვით. შენი სამშობლო რუსეთი არ არის. შენი სამშობლო საქართველოა. ჩვენ საქართველოს არ ვერჩით.

- მაშ რამ მოგიყვანათ აქ, - მიუგო ბესომ.

- ჩვენ გვინდა თქვენ კომუნისტური მონობისაგან გაგანთავისუფლოთ. - ისე როგორც გაათავისუფლეთ ნახევარი ევროპა. რომელიც დაანგრიეთ და მილიონობით ადამიანი ამონტვიტეთ, - მიუგო ბესომ. ისინი არ იყვნენ სრულყოფილი ადამიანები - უთხრა ქეთინომ.

- მერე თქვენ ვინ მოგცათ უფლება იმისა, რომ განსაზღვროთ, ვინ სრულყოფილია და ვინ არა. აქედან გამომდინარე ზოგი ადამიანი გაანადგუროთ და ზოგს სიცოცხლე შეუნარჩუნოთ. ეს განგების ნებაა და არა ნაცისტური გერმანიის. შენ ბრალი არაფერში მიგიძლვის. ეს ყველაფერი ჰიტლერისა

და მისი ხროვის ბრალია. მათ გააჩალეს ომი და სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთმანეთს მიუსიეს და ერთმანეთს ახოცინებენ. შენ გაგამართლებენ, მე ყველაფერს ავუხსნი და შენ არავინ არაფერს გავნებს. მოდი ჩვენი სიყვარულის სადღეგრძელო დავლიოთ და ყველაფერი გაგივლის. შენი მეგობრების დაკარგვამ ძალზე იმოქმედა შენზე და ეს არც არის გასაკვირვი.

ბესო პატარა ოთახში შეტრიალდა არაყის გამოსატანად. ამ დროს ქეთინომ სწრაფად მიირბინა საწოლთან თავისი ბრაუნინგი ლოგინიდან გამოიღო ტყვიები გასინჯა. იარაღი გადატენა და ჯიბეში ჩაიდო. ბესო შემოვიდა, ჭიქებში არაყი ჩამოასხა და სიყვარულით ანთებული თვალებით ქეთინოს შეხედა. ამ დროს მისმა ძალლმა მურიამ საშინელი ყეფა ატეხა, მაგრამ ბესომ მას არ მიაქცია ყურადღება.

- ქეთინო

- მე შენ მიყვარხარ.

ამ დროს ქეთინოს იარაღმაც იგრიალა ბესო ტყვიამ კედელს მიანარცხა და იგი სამუდამოდ დადუმა. ქეთინომ იარაღი გვერდზე მოისროლა და ქვითინი დაიწეო. რამდენიმე ხანს ასე ტიროდა, შემდევ იგი რაღაც ხმაურმა გამოაფხილა. ჯერ ვერ მიხვდა რაში იყო საქმე. ხმაური თანდათან ახლოვდებოდა. გარეთ რომ გავიდა იქ უფრო მძლავრად ისმოდა შემზარავი ხმა. მთისკენ გაიხედა და შიშისაგან სახე დაემანჭა. მთიდან უშველებელი ზვავი პირდაპირ მისკენ მოჰქროდა. ერთი კი დაიკივლა რაღაც გერმანულად და მისი ხმა უზარმაზარმა თოვლის ზვინმა დაფარა.

სვანეთის მთებმა არ აპატია გერმანელ ქალს ჩადენილი საშინელი დანაშაული.

# დიდი სასტუმროს გაფარა დიასახლისი



მეორე მსოფლიო ომმა ტრაგიკული დაღი დაამჩნია მსოფლიოს და კერძოდ ევროპისა და აზიის ქვეყნებს, მან ამ ქვეყნების მცხოვრები მილიონობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ზოგი გადარჩა და სამუდამოდ ხეიბარი დარჩა, ზოგი კი უცხო ქვეყნებში დამკვიდრდა. ბედის ბორბალი ულმობელად ტრიალებს ადამიანების თავზე, ზოგს ცხოვრებითა და მდგომარეობით მაღალ სიმაღლეზე აიყვანს, ზოგს კი ქვესკნელში ამოაყოფინებს თავს. ჩვენი მოთხოვნა ერთ ადამიანს ეხება, რომელიც უნებურად საოცარ სათავ-გადასავლო ამბებში აღმოჩნდა გახლართული. მაგრამ მან თავი ადვილად დააღწია ცხოვრების სირთულეებს და უცხოეთის ერთ დიდ ქვეყანაში ღირსეული კაცი გახდა, იმ კაცთან შეხვედრამ და მისმა საოცარმა თავგადასავალმა გადამაწყვეტინა კალამი ამელო და ყოველივე ფურცელზე გადამეტანა და მომეთხოვ მკითხველისათვის. მე ერთ-ერთი გემის კაპიტანი გახლდით და 80-იან წლებში შევხვდი ამ პიროვნებას ამერიკაში და მასთან საუბრისას სრულიად შემთხვევით აღმოვჩნდი საინტერესო ამბების სამყაროში. ამერიკის ერთ-ერთ შტატში იგი დიდი სასტუმროს მეპატრონე გახლდათ და მასთან სტუმრად სულ ოთხი დღე გავატარე. განსაკუთრებით ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მისმა მეუღლემ, პატარა და კოხტა ქალბატონმა, რომელსაც მეუღლე ასე ეძახდა: „დიდი სასტუმროს პატარა დიასახლისი“.

1944 წლის მაისის თვეში რუსეთის სადესანტო გემი

კანარის კუნძულებს მიუახლოვდა, რათა აღმოსავლეთ კუნძულზე გადაესხა დესანტი და ხელსაყრელი სტრატეგიული კუნძული ხელთ ეგდო,. მაგრამ იქ მიახლოებისას რუსების სადესანტო გემი გერმანელების წყალქვეშა გემის ტორპედომ ააფეთქა და მთელი ეკიპაჟი წყალქვეშ აღმოჩნდა. საბედნიეროდ კუნძული ახლოს იყო, მაგრამ მტრის თვითმფრინავებმა გადარჩენილი მეზღვაურები ჰერიდან ტყვიამფრქვევებით დაცხრილა, მე სასწაულით გადავრჩი და ნაპირზე გამოვცურე. ზღვის წყალქვეშა თბილმა ნაკადმა ნაპირისკენ ცურვა გამიადვილა, ნაპირზე გამოვედი თუ არა პირქვე დავემხე ქვიშაში. თბილმა ქვიშამ და მზის სხივებმა მალე მომაკეთა, გონზე მოვედი თუ არა ზღვას გავხედე და დავინახე, რომ ზღვის მოქცევას გემის დამსხვრეული ნაწილი ნაპირისაკენ გამოერიყა. იგი კლდეებს შორის გაჭედილიყო, აღარ დავაყოვნე და იქით გავცურე, გემის ფსკერის ნამსხვრევი იყო საკმაოდ დიდი მოცულობის და წყალში საკმაოდ ღრმად ჩასულიყო. ჩავყვინთე და მის ფსკერში საკმაო რაოდენობის იარაღი და ტყვია-წამალი აღმოვაჩინე, ხის ფიცრებით პატარა ტივი შევკარი და ზედ ტყვიამფრქვევი და რამდენიმე შაშხანა დავდე. ტყვიაწამალიც დავამატე და ნაპირისაკენ გამოვცურე. დიდი წვალებით მოვახერხე ყოველივეს ნაპირზე გადმოტანა. ზღვის პირას საკმაოდ მრუდე კლდე იყო აღმართული, რომელიც კარგი თავდაცვისა და სათვალთვალო პუნქტი ჩანდა, ყოველივე იქ ავიტანე და საბრძოლოდ განვალაგე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მათი გამოყენება აუცილებლად მომიხდებოდა. კლდეში ნაპრალი აღმოვაჩინე, რომლითაც ადვილად ჩავედი ზღვის ნაპირას, გადავწყვიტე კუნძული დამეზვერა და მის შუაგულისკენ გავწიე. კუნძულის შუაგულში ადგილობრივი მცხოვრებლები დამხვდნენ, ისინი შავკანიანი ზანგები იყვნენ, რომლებიც ნადირობით და თევზაობით ირჩენდნენ თავს. მათ კარგად მიმიღეს და თანაგრძნობაც გამოხატეს ჩემი დაღუპული მეგობრების მიმართ, მე მათი ენა არ მესმოდა, მათ კი ჩემი,

მაგრამ უესტების საშუალებით ერთმანეთის მაინც გვესმოდა, მათ ერთი კარავი დამითმეს, სადაც ჩემი იარაღი შევინახე. იგი გემიდან გადარჩენილი შაშხანა იყო. უწყინარ ადამიანებთან მქონდა საქმე. ხშირად ვნადირობდი და ვთევზაობდი მათთან ერთად. ასე გავიდა სამი თვე. ერთ დილას საშინელი ყვირილის ხმა შემომესმა კარვიდან, გავიხედე და საშინელი სურათი დავინახე, გერმანელები კუნძულს სამხრეთიდან უტევდნენ, მშვიდობიან მოსახლეობას კი ყველას ერთიანად სპობდნენ. ჩემთან ერთმა ახალგაზრდა ზანგმა მოირბინა და გერმანელების თავდასხმა შემატყობინა, მაგრამ მე უკვე ყოველივე ვიცოდი, შაშხანით ხელში გარეთ გამოვვარდი და პირდაპირ ორ გერმანელს შევეჩეხე, სანამ ისინი გონს მოვიდოდნენ, შაშხანით ორივე სიცოცხლეს გამოვასალმე. სროლის ხმაზე გერმანელები სხვადასხვა მხრიდან ჩემკენ წამოვიდნენ და ჩემი ალყაში მოქცევა მოინდომეს, მეც არ დავაყოვნე და გადავწყვიტე ზღვის ნაპირისაკენ გავჭრილიყავი, სადაც კლდეზე ტყვიამფრქვევი მეგულებოდა. შაშხანის სროლით გზას მივიკვლევდი და კლდეს უახლოვდებოდი, მალე ტყეს შევაფარე თავი, გერმანელები ფეხდაფეხ მომდევდნენ, რომლებსაც სროლით ვიგერიებდი. თავშესაფარს სწრაფად ვუახლოვდებოდი, მალე ნაცნობ ციცაბო კლდეს ნაპრალიდან შევუყევი და სულ მალე კლდის თავზე აღმოვჩნდი. მსხვილ კალიბრიანი ტყვიამფრქვევი გერმანელებს დავუმიზნე, რომლებიც კლდეზე დაბლიდან მოცოცავდნენ და ცეცხლი გავუხსენი, ისინი შეჩერდნენ, ასეთ ძლიერ ცეცხლს არ მოელოდნენ და ნელ-ნელა უკან დაიხიეს, დატოვეს რა რამდენიმე გერმანელი მკვდარი, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი წარმატება იყო. ჩემს ახლოს ძლიერი აფეთქების ხმა გავიგე, ზღვისკენ გავიხედე, საიდანაც სროლის ხმა შემომესმა და თვალებს არ დაუჯერე, კუნძულს გერმანელების სადესანტო გემი მოსდგომოდა და დესანტი უკვე ნაპირზე იყო გადმოსული, ხოლო გემიდან ჩემს მიმართულებით ზარბაზნებს ისროდნენ. გამოუვალ

მდგომარეობაში აღმოვჩნდი, ორ ცეცხლს შორის მოვექეცი და მიქელ გაბრიელმაც თვალებში ჩამხედა, მაგრამ ღმერთი ჩემსკენ იყო, ალექს ვიწროვდებოდა, მე არ დავიბენი და უკვე ნაცად კლდის ხვრელიდან დავიწყე ჩასვლა. თან შაშხანას სავსე მჭიდით გავიყოლე. ნაპრალმა ზღვის მხარეს, ქედის პირას გამომიყვანა. აქედან კარგად ჩანდა როგორც ჩემი ყოფილი ადგილმდებარეობა, ასევე გერმანელი დესანტის განლაგება. გერმანელები ზღვიდან და ხმელეთიდან უტევდნენ ჩემს ყოფილ სამალავს, მათ რატომდაც მრავალრიცხოვანი ეგონათ ჩემი განლაგება, მე კი ვერავინ მამჩნევდა, უცბად ჩემს ახლოს გერმანელი გამოჩნდა, რომელსაც გადაწყვეტილი ქონდა კლდეზე იმ ადგილიდან ასვლა, სადაც მე ვიმყოფებოდი. მომიახლოვდა თუ არა სამალავიდან გამოვედი და თავში შაშხანის კონდახი მთელი ძალით ჩავცხე. იგი უგრძნობლად დაეცა, მე ერთმა აზრმა გამიელვა თავში, გერმანელს ტანთ სწრაფად გავხადე ტანსაცმელი, ჩემი სწრაფად გავიძრე და გერმანელის ფორმა ჩავიცვი. ამ დროს შეტევა რატომდაც შესუსტდა, გერმანელი ოფიცერი ნაპირზე გამწარებით რაღაცას გაჰკიოდა, შეტევაზე გადასული გერმანელები სწრაფად მოტრიალდნენ და ნაპირისკენ გაიქცნენ. გერმანელები გემიდან ნაპირზე მყოფთ რაღაცას ატყობინებდნენ. მე ჯერ ვერ გავიგე ვერაფერი, მაგრამ შემდგომ მივხვდი, რომ გერმანელების გემს საფრთხე ზღვიდან ემუქრებოდა. ეს იყო ინგლისელების ორი გემი, რომლებიც ჰორიზონტზე გამოჩნდნენ და გერმანელების გემებს სწრაფად უახლოვდებოდნენ, გასაგები იყო გერმანელების შეშფოთებაც. მათი გემი სწრაფად უნდა გაცლოდა საბედის-წერო ნაპირს, მე არ დავაყოვნე, გერმანელებს სწრაფად შევუერთდი. ეს ნაბიჯი იძულებული ვიყავი გადამედგა, რადგან ისინი მე ყოველ მხრიდან მეხვივნენ, მაგრამ მათ ფორმაში გადაცმულ მტერს ვერ ამჩნევდნენ, მათთან ერთად ნავში აღმოვჩნდი, რომელმაც კურსი გემისკენ აიღო. ასე აღმოვჩნდი გერმანელების სადესანტო გემზე, თავიდან ვერ-

ავინ მამჩნევდა, ყველას ყურადღება მოახლოებული ინგლი-სელების გემებისკენ ქონდა გადატანილი და ისინი თავდაც-ვისათვის ემზადებოდნენ. ჩემთვის არავის ეცალა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, გერმანელი ოფიცრები რაღაც ბრძანებებს იძლეოდნენ და ყველამ თავის დანიშნულ ადგ-ილს მიაშურა, ერთი მარტო მე დავბორიალობდი გემბანზე სულელივით. გემი სწრაფად დაიძრა ადგილიდან და შეეცადა ინგლისელებს დასხლტომოდა, მაგრამ ინგლისელებმა შენიშნეს რა მტრის სადესანტო გემი, მას სროლა აუტეხეს. ჩვენს ახლოს ზღვაში ყუმბარები ფეთქდებოდა. ამ დროს ერთმა გერმანელმა ოფიცერმა შემამჩნია, მომიახლოვდა და რაღაც გერმანულად დამიყვირა, მე არ მესმოდა მისი და გაშეშებული ვიდექი ერთ ადგილზე, იგი მთლად გაცოფდა და ყვირილით რაღაცს მანიშნებდა. მე მისი არაფერი გამეგებო-და, ბოლოს მიხვდა რაღაცას, ახლოს მომიახლოვდა, ქუდი მომხადა და რაღაც საშინლად დაიღრიალა. იარაღი ამოიღო და მე დამიმიზნა. ჩემი წუთები დათვლილი იყო, მაგრამ ამ დროს გემზე საშინელი აფეთქების ხმა გაისმა. ინგლისე-ლების გასროლილმა ნაღმმა გერმანელების გემი ააფეთქა, ხოლო აფეთქების ტალღამ ზღვაში მომისროლა, მაგრამ გონება არ დამიკარგავს. აღმოვჩნდი რა წყალში, რაღაც მცურავ ხის საგანს მაგრამ ჩავჭიდე ხელი და გერმანელების გემისაკენ გავიხედე, რომელიც ცხვირით თანდათან ზღვის ფსკერისკენ ეშვებოდა. ცოცხლად დარჩენილი გერმანელები საცოდავად ფართხალებდნენ. მათ ინგლისელების გემე-ბიდან ჩამოშვებულ ნავებში სწრაფად ატყვევებდნენ. მალე ასეთი ბედი მეც მეწვია. ასე აღმოვჩნდი ჯერ გერმანელების ხელში, ხოლო შემდეგ ინგლისელების ტყვე. ინგლისელებს იტალიელი ვეგონე, გერმანელებს კი ინგლისელი აგენტი, არავის სჯეროდა, რომ ერთი საცოდავი საბჭოთა ჯარისკაცი ვიყავი საქართველოდან.

როგორც გერმანელი ტყვე ალჟირში ჩამიყვანეს და ტყვეთა ბანაკში მომათავსეს, ქალაქთან ახლოს რაღაც

სტრატეგიული მნიშვნელობის ნაგებობას ვაშენებდით და დღე და ღამე ვმუშაობდით. მალე მოკავშირეებმა მეორე ფრონტი გახსნეს ჩრდილოეთ საფრანგეთში და გერმანელები ყველა მიმართულებით მარცხს მარცხზე განიცდიდნენ, განსაკუთრებით მათ დიდი მარცხი რუსეთში განიცადეს. ერთ დღეს ალჟირის ნავსადგურს ამერიკული დიდი გემი მოადგა. იყო ნახევრად სამხედრო, ნახევრად სამოქალაქო იყო, მის გემბანზე მრავალი ხალხი ირეოდა. ალჟირელი ფრანგები ჩქარობდნენ გემზე ასვლას, მათ ამერიკა უფრო პერსპექტიულ ქვეყანად ეჩვენებოდათ, ვიდრე საფრანგეთი. გემი მეორე დღეს დილით გადიოდა ამერიკაში. ყოველივე ეს მე ახლად მოყვანილი ტყვეებისგან შევიტყვე. გადავწყვიტე რაც არ უნდა დამჯდომოდა ამ გემით გავქცეულიყავი, სხვა გამოსავალი მე მაინც არ მქონდა, გერმანელი ტყვეები ჩემზე ნადირობდნენ, ჩემი მოკვლა უნდოდათ, მათ მოგზავნილი აგენტი ვეგონე. ისინი ამ ჩანაფიქრს ადრე თუ გვიან მაინც აღასრულებდნენ. ამიტომ უნდა მეჩქარა. ან ეხლა, ან არასოდეს, ან გამარჯვება, ან სიკვდილი. შუალამით ავდექი, როდესაც ყველას ეძინა, კარისაკენ გავემართე, მორიგეს ჩასძინებოდა, გასაღები დიდი სიფრთხილით ავაცალე, გავაღე კლიტე და მძინარე მცველს გასაღები კვლავ ჯიბეში ჩავუდე. გარეთ კიდევ იყვნენ ღამის დარაჯები. ისინი მთელ ბანაკს პროჟექტორებით ზემოდან დაჰყურებდნენ. ბანაკს გარშემო რკინის ეკლიანი მავთული გასდევდა, სასადილო შენობას ამოვეფარე და ლოდინი დავიწყე. პროჟექტორი მთლიანად ანათებდა ბანაკის ღობეს, ეს პერიოდულად ხდებოდა და მეორე განათებამდე რამდენიმე წუთი იყო, ამ დროს უნდა მომესწრო და საჭრელით გადამეჭრა მავთული, საჭრელი ჩემი დამზადებული იყო და დიდი იმედი არ მქონდა მისი. ხელსაყრელი დროც დადგა და მეც ერთ მხარეს გავიქეცი და მავთულს ვეცი, რამდენიმე ადგილას გადავჭერი და შიგ გავძვერი, ჩემი გაძრომა და პროჟექტორის განათება ერთი

იყო. ბედზე გავასწარი და ბუჩქებში მივიმალე, ხოლო შემდეგ რაც ძალი და ღონე მქონდა ნავსადგურისკენ მოვაურცხლე, სადაც ამერიკული გემი იდგა, ნავსადგურში რომ მივედი უკვე თენდებოდა, ნაპირთან დიდი გემი იდგა, რომელიც მთლად ნათურებით გაჩახჩახებული იყო. შევყურებდი მას და თან მასზედ მოხვედრას ვნატრობდი, მაგრამ ეს არც ისე ადვილი ჩანდა, სანამ მთლად გათენდებოდა და მასზედ მგზავრების ასვლა დაიწყებოდა მანამდე უნდა მომემოქმედებინა რამე. ბევრი ალარ მიფიქრია. გემს, საიდანაც ლუზა ქონდა ჩაშვებული იმ მხრიდან წყალში ჩუმად შევედი და ჩაშვებულ ლუზისკენ გავცურე რამდენიმე ხანში ხელები დიდ რკინის ჯაჭვს მოვხვიე, დავეჭიდე და მასზედ ავედი. ხელფეხი ცურავდა, მაგრამ მაინც ნელ-ნელა ზევით მივიწევდი. მე არავინ მამჩნევდა, ნაპირზეც არავინ ჩანდა, ნახევარი გზა უკვე განვლილი მქონდა და ძალზედ დავიღალე. ცოტა ხნით შევისვენე და კვლავ განვაგრძე გოლგოთას გზა. მაღლა გემბანისაკენ დარჩენილი მანძილი დიდი გაჭირვებით გადავლახე. საბედნიეროდ გემბანზე ასვლა შემთხვევით ვიღაცის მიერ გადმოკიდებულმა ბანარმა გამიადვილა, ასე აღმოვჩნდი ამერიკული გემის ბაქანზე, რომელზედაც არავინ ჩანდა. მე გემის კაუტებისკენ გავემართე და სალონში შევედი, სადაც მარცხნივ და მარჯვნივ საძინებელი ოთახები იყო განლაგებული, რამდენიმე კარი მოვსინჯე ხელით, მაგრამ ყველა დაკეტილი აღმოჩნდა, მხოლოდ ერთი კარი გაიღო ჩემი ხელის მიწოლით და მეც ბევრი არ მიფიქრია. ოთახში შევედი, საკმაოდ დიდ ოთახში აღმოვჩნდი, რომელშიც სასტუმრო და საძინებელი ერთად იყო მოთავსებული. ოთახში არავინ იყო, კუთხეში ნახევრად დაცლილი ბოთლი იდო. მის გვერდზე კი ხელუხლებელი საუზმე, შიმშილისაგან გული მიმდიოდა და ის იყო საჭმლისაკენ გავიწიე, რომ კარებთან ლაპარაკის ხმა შემომესმა, ცხადი იყო ეს ოთახის პატრონი იყო. მე სწრაფად შევძვერი საწოლის ქვეშ და გულისფანც-ქალით დავიწყე ლოდინი, მალე კარი გაიღო და ოთახში

მამაკაცი და ქალი შემოვიდა. მე მათი მხოლოდ ინგლისური ლაპარაკი მესმოდა, ხოლო საწოლის ქვეშიდან კარგად გაპრიალებული მამაკაცისა და ქალის ფეხსაცმელები მოჩანდა. ქალი და მამაკაცი ეტყობოდა შეყვარებულები იყვნენ. მამაკაცმა ქალს შამპანური დაუსხა და თვითონაც დაისხა, ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს და გამოცალეს, შემდეგ კოცნის ხმა გავიგე, შემდეგ საწოლზედ დაეშვნენ, რომლის ქვეშაც მე ვინექი სულგანაბული. ისინი სიყვარულს მიეცნენ, მე კი ამ დროს საწოლის ქვეშ მათ სასიყვარულო საქმეებს ძალაუნებლიერ ვუსმენდი. საწოლიდან ქალის და კაცის სასიყვარული უღურტული მესმოდა, ხოლო საწოლს კი ჭრაჭა-ჭრუჭი გაპქონდა. ასეთ ვითარებაში მომინია ყოფნამ ერთი საათი, შემდეგ ორივენი ადგნენ, შამპანური დალიეს, ჩაიცვეს და ოთახიდან გავიდნენ, მე დრო ვიხელთე, გამოვძვერი ჩემი სამალავიდან და საჭმელებით გაწყობილ მაგიდას მივუახლოვდი და გემრიელად შევექეცი მაგიდაზე დატოვებულ საჭმელს, არც სასმელი დამიკულია, როცა კარგად გამოვძეხი და სასმელით შევზარხოშდი, ოთახის დათვალიერება გადავწყვიტე, აღმოჩნდა, რომ იგი საკმაოდ კომფორტაბელური იყო, შემდეგ კარადა გამოვალე და შიგ შევიხედე, იქ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელი იყო, უჯრებში კი — სხვადასხვა ძვირფასეულობა. იქვე იდო დოლარების დიდი დასტაც. მალე გემი დაიძრა და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ აიღო გეზი, წინ ატლანტიკის ოკეანის გადალახვა გველოდა. ჩემი ყოფა მეტად არასახარბიელო იყო, რადგან ცხოვრება საწოლისქვეშ მეტად რთული აღმოჩნდა, კაიუტის მფლობელი მდიდარი ამერიკელი იყო, რომელსაც მაიკლი ერქვა. იგი მეტად გარყვნილი და ქალების მოყვარული მამაკაცი გამოდგა, მას ყოველ ღამით სხვადასხვა ქალი შემოჰყავდა და ისინი ჩემს თავზედ ახდენდნენ სექსუალურ აქტებს, რაც მე ძალზედ მაღიზიანებდა. დღისით მაიკლი გადიოდა კიაუტიდან და, ალბათ, სადღაც ერთობოდა, ღამით კი ბრუნდებოდა, როგორც წესი, ახალ

ქალბატონთან, რომელიც უმეტესად მთელი ღამე რჩებოდნენ.

როგორც კი მაიკლი გავიდოდა, მაშინ მომეცემოდა ამოსუნთქვის საშუალება, ჩემი სამალავიდან გამოვცვრებოდი და პირველ რიგში დარჩენილ საჭმელს მივირთმევდი, პირს ვიბანდი, მისი საპარსით ვიპარსავდი, აბაზანის მიღებაც არ მავიწყდებოდა, ზოგჯერ თაროზე დაწყობილ წიგნებსაც ვკითხულობდი, მაგრამ ამას ისე ვახერხებდი, რომ მას ეჭვი არაფერზე აეღო, ასე გადიოდა დრო, ორ დღეში ერთხელ ვიღაც დამლაგებელი შემოდიოდა, ზერელედ მიალაგებდა და იმ წუთში გადიოდა, მე მას საწოლის ქვეშიდან ვადევნებდი თვალს. ასეთ ვითარებაში გადავლახე ოკეანე. ჩვენი გემი კი ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ნიუ-იორკს მიუახლოვდა. იმ ღამით ჩვენს კაიუტაში საშინელი დრამა გათამაშდა. მაიკლი ვიღაც ქალთან ერთად ღამის ორ საათზე შემოვიდა, მათ თან ბევრი სასმელი ჰქონდათ. მაიკლი ძალზედ ნასვამი ჩანდა. ქალმა მას სასმელის დაძალება დაუწყო და ორივემ შამპანურების დალევა გააგრძელეს, შემდეგ საწოლზედ სიყვარულით დაეშვნენ. შუალამე კარგა ხანის გადაცილებული იყო, როდესაც კარზე კაკუნის ხმა გაისმა, მაიკლს ღრმა ძილით ეძინა, ქალი წამოდგა, კართან მივიდა და ჰკითხა: თუ ვინ იყო, მე ოფიციანტი ვარ, მაიკლმა დამავალა ამ დროისათვის შამპანური მომეტანა, გთხოვთ გააღოთ, იყო პასუხი. დასწყევლოს ეშმაკმა, ამდენი შამპანური, რა ჯანდაბად გვინდა მაიკლ, შენ შეუკვეთე? ჰკითხა მან, მაგრამ მაიკლი გვერდზე გადაბრუნდა და ხვრინვა ამოუშვა, კარგით მაშინ შემოიტანეთ — უთხრა ქალმა და კარი გააღო. კარის გაღება და ვიღაც ნიღბიანი ყაჩაღის შემოვარდნა ერთი იყო. მოძალადემ ქალს შამპანურის ბოთლი თავში ჩასცხო. მან ერთი შეჰკივლა და ხალიჩაზე უსულოდ გაიშოტა. მძარცველი მძინარე კაცს მივარდა, ლოგინიდან წამოაგდო და ცემა დაუწყო. კაცი გამოფხიზლდა და შეჰკივირა, ვინ ხარ, რა გინდა, ფული მინდა ფული, სადა

გაქვს. აი იქ უჯრაში არის აიღე და წაეთრიე დაუყვირა  
მაიკლმა. მძარცველი უჯრას ეცა და იქიდან დიპლომატი  
ამოიღო, გაშალა და შიგ მართლაც დიდძალი ფული  
აღმოჩნდა, მაგრამ ამ დროს მაიკლი მას მივარდა და ყელში  
წაუჭირა ხელი, მძარცველმა დანა იშიშვლა და მას გულში  
ჩასცა, მაიკლმა ერთი დაიყვირა და ადგილზედ ჩაიკეცა, ამ  
დროს მძარცველმა დრო იხელთა და დიპლომატს წავლო  
ხელი. გარეთ უნდოდა გაქცევა, მაგრამ დიპლომატი ხელი-  
დან გაუვარდა და დოლარები ხალიჩაზე გაიფანტა და ერთი  
შეკვრა დოლარების ჩემთან ახლოს დაეცა, საწოლის ქვეშ. მე  
მას ხელი ვტაცე და შევინახე. მძარცველმა ფული სწრაფად  
აკრიფა. წაწილი ჯიბეებში ჩაიდო, წაწილი კი ჩანთაში და  
კაიუტიდან გავარდა. მე საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნ-  
დი. ორი გვამი ჩემს გვერდით ეგდო, ოთახში კი მარტო მე  
ვიყავი, გამოქცეული სამხედრო პატიმარი და ყველაფერში  
ბრალი ალბათ, მე დამედებოდა. სამალავიდან გამოვძვრი  
და ოთახი შევათვალიერე. საშინელი სურათი გადამეშალა  
თვალწინ, კარებთან თავგატეხილი ქალი ეგდო სისხლში  
მოსვრილი, ოთახის შუაგულში კაცი გაშელართულიყო,  
რომელსაც გულმკერდი სისხლით ქონდა მოსვრილი, სისხ-  
ლის ლაქები ხალიჩასაც ეტყობოდა, უკვე დილა იყო, მე არ  
დავიბენი, ოთახში ჩემი შესაფერი მაიკლის ტანსაცმელი  
მოვძებნე, მოვირგე შარვალი, კოსტუმი, თეთრი პერანგი,  
ფეხსაცმელები, ფული ჯიბეში ჩავიდე და გარეთ გამოვედი.  
იქ დარჩენა მართლაც საშიში იყო. გემი ნიუ-ორკის პორტში  
შედიოდა და მგზავრები გასასვლელისკენ მიიწევდნენ. მეც  
მათში შევერიე. ის იყო უნდა ნაპირზე გადავსულიყავი, რომ  
ამ დროს გემზე განგაში ატყდა, რამდენიმე პოლიციელმა გზა  
გადამიჭრა. გემზე მოხდა მკვლელობა, გემიდან არავინ  
გაუშვათ, საბუთები შეუმონმეთ ყველას, გაისმა კაპიტნის  
ხმა, შავი დღე დამადგა, აღარ ვიცოდი რა მომექმედებინა,  
ვიღაცამ ზურგზე ხელი დამკრა. მოვტრიალდი და პოლი-  
ციელი დავინახე, თქვენი საბუთები — მითხრა მან ინგლისუ-

რად. ჩემი ვინაობა სწრაფად გამომუდავნდა, სმიტის შარ-ვალ-კოსტიუმში გამოწყობილს მის მკვლელობაში სწრაფად დამდეს ბრალი და გემიდან პირდაპირ ჯერ ნიუ-იორკის ციხეში მიკრეს თავი, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ სამუ-დამო პატიმრობა მომისაჯეს და ამერიკის ყველაზე საშინელ ალკატრასის ციხეში ამომაყოფინეს თავი. ალკატრასი ესპა-ნურად ფრინველს ნიშნავს, ეს კუნძული ესპანელებმა 1775 წელს აღმოაჩინეს.

იგი მდებარეობს სან-ფრანცისკოს მახლობლად. ამ ერთ-ერთ მიუდგომელ კუნძულზე ინგლისელმა კოლონიზატო-რებმა თავის დროზე დიდი ციხე-სიმაგრე ააშენეს, შემდგომ-ში კუნძული ხელიდან ხელში გადადიოდა და მას სხვადასხვა დროს სხვადასხვა პატრონი ჰყავდა. მეოცე საუკუნის დასაწ-ყისში იგი ამერიკის შეერთებული შტატების საკუთრებად იქცა და შტატების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა აღნიშნუ-ლი ციხე-სიმაგრე საპატიმროდ გამოეყენებინა. სათანადო აღჭურვის შემდეგ მასზე საშიში პატიმრების პირველი პარ-ტია 1930 წელს ჩაიყვანეს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამ ციხეში იყო მოთავსებული კოზა ნოსტრას ერთ-ერთი განგ-სტერი ჯუზებე, რომელსაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, მისი გარეთ დარჩენილი მეგობრები ეწეოდნენ დაუნდობელ ბრძოლას, ერთის მხრივ პოლიციის, მეორეს მხრივ კი კონკურენტი განგსტერების წინააღმდეგ, რომ-ლებიც მათ ტერიტორიაზე ზეგავლენის მოსაპოვებლად არაფერს იშურებდნენ.

ერთ ზაფხულის საღამოს ნიუ-იორკის ერთ-ერთ ოფისში რამდენიმე განგსტერი შეკრებილიყო და წინა ღამით მომხ-დარ თავდასხმას იხილავდნენ, რომელიც მათმა მოწინააღმ-დეგებმა განახორციელეს მათ კაზინოზე, იქ მათ სამი კაცი დაეღუპათ. განგსტერთა შეფი ჯოვანი ცოფებს ყრიდა — ვერ წარმომიდგენია ამბობდა იგი თუ როგორ შეეძლოთ ამ ღლაპებს ჩემს წინააღმდეგ ხელის აწევა, მათ მე სამი კაცი მომიკლეს და საუკეთესო კაზინო დამირბიეს ნიუ-იორქში. მე

მათ ამას არ შევარჩენ და ყველას გავანადგურებ. ისინი ამას ვერ გაბედავდნენ, ჯოვანი, მათ ვიღაც ეხმარებათ თქვა როზანამ, იგი მაღალი, ტანმორჩილი ახალგაზრდა ქალი იყო 27 წლის. მას ქამარზე იარაღი ეკიდა. ვინ ეხმარება, ვინ, დამიდგინეთ ისინი და მე მათ მოვუვლი. ჩვენ ამისათვის ძალები არ გვეყოფა მიუგო როზანამ, მაშინ დაიქირავეთ ვინმე, ყვიროდა ჯოვანი, სხვის დაქირავებას ჯობია ჯუზეპე გამოვიყვანოთ ციხიდან. იგი უკვე ერთ წელზე მეტია ალკატრასის ციხეში იტანჯება, შენ მას შეპირდი ერთ თვეში გამოგიყვანო და სიტყავს კი არ ასრულებ. ჯოვანი უცბად დაცხრა, თითქოს რაღაც გაახსენდა, როზეტა შენ მე მგონი მართალი უნდა იყო, ჯუზეპე მართლაც ის კაცია, რომელიც ამ ხროვას ანდერძს აუგებს, ჯუზეპე უნდა გავათავისუფლო. როზანა შენ და სმიტს გავალებთ ჯუზეპეს გათავისუფლებას და აქ მოყვანას. ორ დღეში შეიმუშავეთ მისი ციხიდან გაქცევის გეგმა და მომახსენეთ, ეხლა კი თავისუფალი ხართ, მარტო დამტოვეთ, ძალზე დავიღალე.

როზანა გამოვიდა თუ არა ჯუზეპეს კაბინეტიდან იმ წუთ-შივე სმიტს დაუკავშირდა და თავისთან დაიბარა. მალე ისინი შეხვდნენ. სმიტი როზანას კაბინეტში შევიდა და მას მიესალმა, სმიტი ახოვანი ვაჟკაცი იყო, ბევრ განგსტერულ ბრძოლებში გამობრძმედილი, სახეზე ნაიარევი ეტყობოდა. იგი როზანასთან ახლოს მივიდა, ვისკი დაისხა და სავარძელში მოკალათდა, სიგარა ამოილო და გააბოლა. აბა გისმენ როზანა რა საქმე გაქვს, შეფრთხოების დაგვავალა ერთი საქმე და უნდა გავაკეთო, მიუგო როზანამ. რა საქმე? ჯუზეპე გახსოვს ალბათ, დიახ მას რა დამავიწყებს. მე მან სიკვდილს გადამარჩინა, ჰოდა ახლა შენი ჯერია სმიტ ჯუზეპე გადაარჩინო და ციხიდან გამოიყვანო. ეს შეფრთხოებაა, იგი ჩვენ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ძალზე გვჭირდება. რას ამბობ როზანა, ალკატრასის ციხიდან ჯერ არავინ გაქცეულა, ეს შეუძლებელია. არაფერია შეუძლებელი, მოდი ერთად მოვიფიქ-როთ და ავწონ-დავწონოთ ყველაფერი.

საზღვაო პატარა კატარლა თამამად მიაპობდა ზღვის აქოჩრილ ტალღებს. მასზე ხუთი კაცი იყო, როზანა სმიტი და სამი დამხმარე ეკიპაჟის წევრი, კატარლას მექსიკის ყურის-კენ ჰქონდა აღებული გეზი, კონკრეტულად კი ალკატრა-სისაკენ, რომელიც უკვე გამოჩნდა ჰორიზონტზე. რა ლამა-ზია ეს ურჩხული — წამოიძახა როზანამ და ხელი ციხისკენ გაიშვირა. მართლაც იგი შორიდან დაკლაკნილ დრაკონს მოაგონებდა ადამიანს, რომელიც ზღვაში დასასვენებლად მთელს სიგრძეზე განილილიყო და თავის მსხვერპლს ელოდებოდა. ჰო — ლამაზია და მეტად საშიშიც, არავის უსურვებდი მის ხახაში მოხვედრას, მცველები თუ არ მოვისყიდეთ არაფერი გამოგვივა, მიუგო სმიტმა, ნუ გეშინიან სმიტ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს. მალე თავის მთელი დიდებით და სილამაზით მათ წინ აღიმართა ძველი დიდებული ციხესიმაგრე. იგი ზღვიდან ამოსულ და კლდეზე აღმართულ დაკლაკნილ ზღვის გველეშაპს მიაგავდა, რომელიც თავისი ხორკლიანი ტანით კუნძულს ყველა მხრი-დან შემოხვეოდა რკალად, მისი თავი კი თითქოს ციხე-სიმა-გრის შესასვლელში აღმართულ კოშკში იყო დამალული. კატარლა ნაპირს მიუახლოვდა და ღუზა ჩაუშვა, შემდეგ გემიდან პატარა ნავი ჩაუშვეს ზღვაში, შიგ როზანა და სმიტი ჩაჯდა და ნავმაც კლდოვანი ნაპირისაკენ აიღო გეზი. მალე ნაპირს მიაღწიეს, ნავი ნაპირზე ამოათრიეს, როზანა და სმიტი მაღლა ციხისაკენ დაიძრნენ, როზანამ სმიტი შეაჩერა და უთხრა, შენ აქ დარჩი, მე მარტო ნავალ, ყოველივეს გავარკვევ და მალე გნახავ. დამიჯერე ასე ჯობია, არ მინდა შენთან ერთად დამინახონ. კარგი აქ დაგელოდები იყო პასუხი. როზანამ მარტომ გააგრძელა გზა. იგი ლამაზად იყო ჩაცმული, შავი გაშლილი თმები მხრებს უმშვენებდა, ტანზე მოჭერილი შარვალი ეცვა, მკლავზე ტყავის ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული.

როზანა ციხის უფროსთან შეხვედრას მოსაცდელში მოუთმენლად ელოდა, იქვე ახლოს მდივანი ქალი გამნარე-

ბული რაღაცას ბეჭდავდა. როდის გათავისუფლდება თქვენი უფროსი, ჰკითხა როზანამ მდივანს. არ ვიცი ქალბატონო, თათბირი მცველებთან ეს-ესაა დაიწყო და როდის განთავისუფლდება ვერ გეტყვით, ჩვენ აქ სასადილო გვაქვს, შეგიძლიათ იქ ყავა მიირთვათ, ხოლო როდესაც უფროსი გათავისუფლდება მე შეგატყობინებთ. კეთილი მიუგო როზანამ და გარეთ გავიდა, სასადილოს წინ გაჩერდა და სიგარეტი გააბოლა. რა უნდა უთხრა ამ ციხის ვირთხას ფიქრობდა თავისთვის როზანა, ხოლო მათ შორის ტყვია-გაუმტარი შუშაა, ასეთ პირობებში შეუძლებელი იყო რაიმე ინფორმაციის მიწოდება, მაშ რა ვიღონო. როზანა სასადილოში შევიდა, იქ ერთ მაგიდასთან რამდენიმე მცველი ყავას მიირთმევდა, როზანა მათ შორიახლოს დაჯდა და ყავა შეუკვეთა. მცველთა საუბარი მას კარგად ესმოდა. ერთი მცველი მეორეს რაღაცს გამწარებული უმტკიცებდა. ამ ციხეში ამბობდა ის მეც თავი პატიმარი მგონია, შესაძლებლობა რომ მქონდეს სადმე რანჩის შეძენის, ცოლშვილს იქ წავიყვანდი და წავიდოდი საცხოვრებლად, აბა აქ რა ხეირია, უყარაულე ამ პატიმრებს მთელი თვე და შემდეგ მხოლოდ ორი დღით გვიშვებენ სახლში, ჯამაგირიც მეტად მცირეს საარსებოდ. ძლივს ყოფნის ჩემს ოჯახს, მეუღლე რომ მუშაობდეს, კიდევ კარგი, მაგრამ სამსახური ვერ იშოვა, აბა ეს ცხოვრებაა. განა ჩვენც მაგ დღეში არა ვართ, მაიკლ, მაგრამ შენსავით არ ვწუნუნებთ. რა განა არ იცოდი აქ რა პირობებიც იყო, სამსახურში რომ ეწყობოდი? ვიცოდი როგორ არა, გაჭირვებამ მომიყვანა აქ, თორემ ეს რა სამსახურია. წავიდეთ დროა, თქვა ერთმა მცველმა და ამით მათ საუბარი დაამთავრეს. მაიკლი მაგიდასთან დარჩა. იგი ჩაფიქრებული სიგარეტს ეწეოდა, როზანამ დრო იხელთა და მას გვერდით მიუჯდა, მაიკლ გამარჯობა, მაიკლმა გაკვირ-

ვებით შეხედა როზანას და გამარჯობა უთხრა, მე თქვენ არ გიცნობთ. მეც ეხლა გაგიცანით მიუგო როზანამ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე აქ პატიმრის სანახავად ვარ მოსული. რომლის — ჯუზეპესი? ჰო ვიცი, მაგარი კაცია, ყველა პატიმარს მაგის შიში და რიდი აქვს, აღნიშნა მაიკლმა. როზანამ მას პირდაპირ უთხრა — მაიკლ დამეხმარე მის განთავისუფლებაში და შენ რომ წელან რანჩო ახსენე, ჩათვალე რომ უკვე ნაყიდი გაქვს, ფული შენი რანჩოსი თან მაქვს. მაიკლი დაიბნა, აქეთ-იქით გაიხედა და როზანას მიუგო. თქვენ ალბათ ვიღაცაში გეშლებით ქალბატონო. არა არ მეშლებით, მე ვიცი შენ ის კაცი ხარ ვინც მე ჯუზეპეს გათავისუფლებაში მომეხმარება. არა ქალბატონო, ეს შეუძლებელია. არაფერია მაიკლ შეუძლებელი, აბა დაფიქრდი შენ მორიგეობის დროს ლამე ვერ შენიშნავ ჯუზეპეს, რომელიც შენს სამორიგეო ზონაში ამოსასვლელი კიბით ამოვა მაღლა და კედლიდან შენს მიერ წინასწარ დამაგრებულ თოკით მარცხენა მხარეს დაეშვება, შენ თუ თოკს მოხსნი და გადაუგდებ მას ამით შენკენ მიმავალ კვალსაც წაშლი. ჯუზეპე თოკს დაკეცავს, ჩანთაში ჩადებს და ნავით გემს მიაღწევს, რომელიც მას სამშვიდობოზე გაიყვანს, ვერავინ მიხვდება, რომ ხელის შემწყობი შენ იყავი, შენ შენს ფულს აიღებ და ბედნიერად იქნები შენს რანჩოში. ჯუზეპე კი ნანატრ თავისუფლებას ელირსება. ამ ჩანთაში შენი წილი ფული დევს, აიღე მაიკლ. მაიკლი გაკვირვებული უყურებდა უცნობ ლამაზ ქალს და ვერ მიმხვდარიყო, ის მოგზავნილი ანგელოზი იყო თუ ეშმაკი, შემდეგ კბილებში გამოსცრა, მე თქვენ არ გენდობით. მე კი გენდობით მიუგო როზანამ, ტყავის ჩანთა გახსნა და მაიკლს წინ დაუდო, რომელიც გაკვირვებული უყურებდა ჩანთის შემადგენლობას. მანდ იმდენია, შენ რომ ერთი კი არა ორი რანჩო იყიდო, წაიღე და წადი. რომ მოგატყუო? ჰკითხა მაიკლმა — აი, ამას ხომ ხედავ და როზანამ ქამრიდან იარაღის ტარი დაანახა, მიმიხვდი, ვერსად გამექცევი. მიგიხვდი, იყო პასუხი. მაშ როდის გაქვს

მორიგეობა. ზეგ 12 საათიდან ლამის 3 საათამდე. მაგ დროს ჯუზეპე შენს სადარაჯოზე გაივლის, თოკი მზად უნდა გქონდეს, მე მას ციხის მარცხენა მხარეს დაველოდები. აბა შენ იცი, მშვიდობით მიუგო როზანამ, იგი წამოდგა, მაკლს ჩანთა მიაჩეჩა და სასადილოდან გავიდა. იგი უფროსის მოსაცდელში დაბრუნდა, რომელიც ციხის დაცვის ოფიცრებით იყო სავსე. თათბირი უკვე დამთავრებულიყო და როზანა უფროსთან შეუშვეს. გამარჯობათ სერ. გაგიმარჯოთ, მიესალმა ფორმიანი კაცი, რომელიც გრძელი მაგიდის ბოლოში იჯდა. როზანა ფართე კაბინეტში აღმოჩნდა, კედლის თაროებზე წიგნებით და სიგარებით — სავსე ყუთები ელაგა. მაგიდის თავში იჯდა ციხის უფროსი, იგი სქელი და მელოტი კაცი იყო, პირში დიდი სიგარა გაერჭო და აბოლებდა. ლამაზი ქალის დანახვაზე წვრილი თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, სერ ეს თქვენ ჩვენი კომპანიისაგან და როზანამ მას სიგარების დიდი შეკვრა გადასცა. გმადლობთ ქალბატონო, ეს რომელი კომპანიაა თქვენი? ტურისტული სერ. რაზე გარჯილა ასეთი შესანიშნავი ქალბატონი, ამ სიშორეზე რამ მოგიყვანათ. სერ მე მოგზაური და მწერალი გახლავართ და მინდა ვისარგებლო შემთხვევით და განთქმული განგსტერი ჯუზეპე მოვინახულო, მე მასზედ ბევრი რამ გამიგია და პირადად მინდა გავესაუბრო. ქალბატონო ეს შეუძლებელია სათანადო ნებართვის გარეშე, იგი საშიშ დამნაშავედ ითვლება და მე არ მაქვს უფლება ყველა დაუშვა მის სანახავად, აქ ხომ ზოოპარკი არ არის, მერე შეიძლება პატიმარმაც არ მოისურვოს თქვენთან შეხვედრა. ამაზე ნუ იდარდებთ სერ, ჩემნაირი ქალის ნახვა ყველა პატიმრის დიდი სურვილია, მე თქვენ ძალიან გთხოვთ. ამ სიტყვებით როზანამ დოლარების დიდი შეკვრა მაგიდაზე დააგდო. უფროსს თვალები სულ დაუპატარავდა, მან ღიმილით ფული უჯრაში ჩადო და როზანას უთხრა, რადგან ასე ძალიან გსურთ, შეგიძლიათ ნახოთ, ისიც დღეს და მხოლოდ ერთი საათით. გმადლობთ სერ. იმედია ჩვენი სიგარები

მოგეწონებათ, მიაძახა როზანამ. იმედია ქალბატონო გაღი-  
მებულმა უპასუხა ციხის უფროსმა. როზანა გავიდა, მას  
უფროსმა თვალი ვნებიანად გააყოლა. ერთი საათის შემდეგ  
როზანა პატიმართა შესახვედრ ადგილზე ჯუზეპეს ელოდე-  
ბოდა. კარი გაიღო და ჯუზეპე შემოვიდა, იგი შეხვედრის  
ადგილზე დაჯდა როზანას წინ და ყურმილი აიღო, ყურმილი  
როზანამაც აიღო. გამარჯობა ჯუზეპე მიესალმა როზანა,  
ორივე ერთმანეთს დიდი ხნით ჩაცერდნენ თვალებში,  
რომლებშიც უსიტყდვოდ იყითხებოდა ერთმანეთის დიდი  
სიყვარული, პატივისცემა, ნდობა და იმედი. ბოლოს  
როზანამ დაარღვია სიჩუმე. შენს მეგობრებს ახსოვხარ და  
მოკითხვას გითვლიან. მადლობა გადაეცი მოკითხვისათვის,  
მაგრამ შეეძლოთ მოსულიყვნენ და ვენახე, ამით არაფერი  
დაშავდებოდა. ნუ ღელავ ჩემო მეგობარო, მიუგო როზანამ,  
ჩვენ ვიზრუნებთ შენზედ და ფანჯარას ხელის გული დაადო,  
რომელზეც ჯუზეპემ ნახაზი და წარწერა დაინახა. ახლოს  
დაიხარა ხელთან და იგი უცბად ყველაფერს მიხვდა. „ხვალ  
ღამის პირველ საათზე ციხის მარცხენა სადარაჯოსთან შენი  
მეგობრები გელიან, დაცვა ჩვენია“. ყველაფერი გასაგებია  
მიუგო ჯუზეპემ, ამ დროს როზანამ ხელი შუშას მოაცილა.  
როზანა რომ იცოდე როგორ მომენატრე. მეც ძვირფასო.  
ჯუზეპე სიმპატიური, წარმოსადეგი მამაკაცი იყო, ხუჭუჭი  
თმით და ოდნავ კეხიანი ცხვირით, მარცხენა თვალი დაშა-  
ვებული ჰქონდა, მას ნაიარევი ეტყობოდა, მაგრამ ეს უფრო  
ვაჟკაცურ იერს აძლევდა მის სახეს. აბა კარგად იყავი,  
გისურვებ გამარჯვებას — მადლობთ როზანა. ქალი გარეთ  
გამოვიდა. დანიშნულ დროს როზანა ციხე-სიმაგრეს მარცხ-  
ენა ციცაბო კლდის ძირას იყო, ქვემოთ უძირო ხევი მოჩანდა,  
რომელსაც ზღვა ესაზღვრებოდა, უცბად ზემოდან ვიღაცამ  
თოკი გადმოაგდო, როზანა მიხვდა რომ ეს მაიკლის მიერ  
გადმოგდებული თოკი იყო, სადაც არის პატიმარიც უნდა  
გამოჩენილიყო. ჯუზეპე არ ჩქარობდა, პირველი საათი იყო,  
როდესაც ის ადგა, თავის მძინარე პატიმრებს გადახედა, მათ

ყველას ეძინათ, ჩუმად წამოდგა და გასასვლელისკენ გაემართა. უცბად ერთი პატიმარი სწრაფად წამოდგა საწოლიდან, მას კარებთან დაეწია, მკლავში ხელი ჩასჭიდა და უთხრა, სადაც შენ, იქაც მე, ვიცი გასაქცევად მიდიხარ და მე შენთან ერთად უნდა წამოვიდე, თუ არა და არ გაგიშვებ და ხმაურს ავტეხავ. ჯუზეპემ გამჭოლი მზერა ესროლა და კბილებში გამოსცრა, კარგი წამოდი, მაგრამ იცოდე ეს არჩევანი შენ თვითონ გააკეთე, ახლა კი დროა წავიდეთ და ორივე გასასვლელისკენ გაემართა, ჩუმად მიიპარებოდნენ. მარცხენა საგუშაგოსთან აღმართული ქვის კიბეებით სწრაფად მაღლა ასვლა დაიწყეს, მცველებმა ისინი რატომდაც ვერ შენიშნეს. ჯუზეპე თოკთან მივიდა და ქვემოთ ჩაშვება დაიწყო. მას მეორე პატიმარი მიყვა უკან, ქვემოთ რომ ჩამოვიდნენ მათ როზანა დახვდათ, რომელმაც მეორე პატიმრის დანახვაზე ჯუზეპეს გაკვირვებულმა კითხა — ეს ვინდა არის? ძალით წამომყვა. იქ მას ვერ მოვიცილებდი, როზანას ჩაეცინა, კარგი მაგას ჩვენ მოვულით, გაუშვი წამოვიდეს. სამივე გემისაკენ გაემართნენ, სმიტი მათ უკვე უცდიდა. როგორც კი სუყველა ნავში აღმოჩნდა, მათ ნიჩბების მძლავრი მოსმით ნავი გემისკენ წაიყვანა, ათიოდე წუთში ისინი უკვე გემზე იყვნენ, ღუზა აუშვეს და გემი უკვე სწრაფად მიაპობდა ღამის წყვდიადში ზღვის ტალღებს. გათენდა თუ არა ისინი უკვე სამშვიდობოს იყვნენ. სმიტმა და როზანამ მეორე პატიმარს დახედეს, რომელიც უშფოთველად ხვრინავდა. მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ მეორე პატიმარი ჩვენი მოთხოვნის მთავარი გმირი, ქართველი სამხედრო ტყვე იყო. ჯუზეპე კი უკვე ფეხზე იყო და წვერს იპარსავდა. გააღვიძე ეს ვაჟბატონი, უთხრა როზანამ სმიტს, რომელმაც ერთი კარგი მუჯლუგუნი უთავაზა მძინარე ყოფილ პატიმარს, იგი როგორც იქნა შეიშმუშნა და გამოფხილდა. თვალი გაახილა და ფეხზედ წამოდგომა დაიწყო, მაგრამ სმიტმა მას წამოდგომა არ აცალა და მეორედ უფრო მაგარი მუჯლუგუნი უთავაზა. იგი ნავის კიდეს მიაწყდა და

გაკვირვებულმა შეხედა სმიტს. რაო რას მომჩერებიხარ უთხრა სმიტმა, რა გაკვირვებული მიყურებ, ეს ჩვენ უნდა ვიყოთ გაკვირვებულები, რატომ გამოყევი ჯუზეპეს, ვინ გეპატიუებოდა ვაჟბატონო. მე თავისუფლება მინდა. შენ რა გქვია, კითხა როზანამ — მას ჯაშუშთა ვირთხა ქვიან, დინ-ჯად უპასუხა ჯუზეპემ და პირის პარსვა გააგრძელა, ერთი მითხარი შე ჯაშუშთა ვირთხავ, რისი იმედი გქონდა აქ რომ მომყვებოდი, მე რა ვალდებული ვარ შენნაირ ვირთხებს თავისუფლება მივანიჭო. მე ვიფიქრე რამეში მაინც გამო-გადგებოდი, მე შენ არაფერში მჭირდები, მოუჭრა ჯუზეპემ. როზანამ იარაღი ამოიღო და პატიმარს დაუმიზნა, ეხლავე ჩაგაძალლებ და ზვიგენებს გადაუგდებ შენს სხეულს საჭმელად ისე რომ შენგან არაფერი დარჩეს, არა არ მესრო-ლოთ, მე თქვენ გამოგადგებით. რაში, რა შეგიძლია გააკეთო, ყველაფერს რასაც კი დამავალებთ. რას იტყვი ჯუზეპე? დაეკითხა როზანა — ჩაგაძალლე — იყო პასუხი, მეტის ლირსი ეგ არ არის და გემზე გასროლის ხმა გაისმა, პატიმარი ჩაი-კეცა, რის შემდეგ იგი ზღვაში გადააგდეს, ძალლი ძალლური სიკვდილის ლირსია, თქვა ჯუზეპემ და პირის პარსვა გააგრძელა. ეს პატიმარი რა თქმა უნდა ჩვენი გმირი იყო, რომელიც სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. იგი მეთევ-ზებმა სროლის შემდეგ სულ მალე ამოიყვანეს წყლიდან და გადაარჩინეს. მას შემდეგ იგი ჯუზეპესა და როზანას დაუძინებელი მტერი შეიქმნა. იგი მათ ყოველ ნაბიჯს აკონ-ტროლებდა და შესაბამის დროს ეძებდა შურისძიებისათვის.

ნიუ-იორკის ერთ-ერთ მდიდრულ ოფისში ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის დედაქალაქის განგსტერების შეფი ჯო-ვანი და ჯუზეპე. მათ შეხვედრას რამდენიმე მათი დამქაში ესწრებოდა, მათ შორის იყო როზანაც. ჯუზეპე ძვირფასო, მოხარული ვარ შენი ნახვით. მეც, უპასუხა ჯუზეპემ და ორი ძველი მეგობარი განგსტერი ერთმანეთს გადაეხვია. მაპატიე ძმობილო, ადრე რომ ვერ მოგხედე, ხომ იცი რამდენი საქმე მაქვს, მაგრამ ჩემი დანაპირები ცოტა დაგვიანებით, მაგრამ

მაინც შევასრულე და შენც სამშვიდობოზე ხარ. ჯუზეპე ამ ნაძირალებმა ძალზედ შემოგვიტიეს, ჩვენი ტერიტორიების დაპატრონება სურთ, ზოგი კიდეც წაგვართვეს და საუკეთესო კაზინო აგვიფეთქეს. ბევრი დაგვიხოცეს და კიდევ არ ჩერდებიან, მათ მხოლოდ ერთ რამ სურთ — მოსპონ ჩემი საქმე და მეც მომიღონ ბოლო, თქვენთან ერთად, რა თქმა უნდა. ჩვენი სიმწრით შექმნილი იმპერიის დამხობა და ჩვენი მთელი ქონების მითვისება სურთ, განა ეს სამართალია. მე კი ამ დროს მათვის არაფერი დამიშავებია. მყაცრად ვიცავდი ამ ორი წლის წინ დადებულ ხელშეკრულებას მათთან და ომს თავს ვარიდებდი, მაგრამ პირველებმა მათ დაარღვიეს ზავი და პასუხი მათ უნდა აგონ. შენი იმედი მაქვს, ჩიკაგოში უნდა წახვიდე და იქ მათი ბუდე უნდა დაარბიო. მე შენ საუკეთესო ხალხს გაგაყოლებ, დაწვრილებით გეგმა შეიმუშავე და ხვალე წარმომიდგინე, ახლა კი თავისუფალი ხარ. ყველანი წადით, მარტო დამტოვეთ. ყველა გამოვიდა. ჯუზეპე და როზანა ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში შევიდნენ, შეკვეთა მისცეს და საუბარი გააძეს. რას იტყვი ჯუზეპე ამ საქმეზე. როზანა შენ იცი ჩემი შენდამი დამოკიდებულება და ის გრძნობაც რაც შენდამი გამაჩინია. მე შენი დიდი მადლობელი ვარ, ციხიდან ვიცი შენ მიხსენი, მაგრამ ვფიქრობ აქ საზარბაზნე ხორცად ვუნდივართ, მეტად რთულ საქმეს მავალებს ჯოვანი. ეს იგივეა რომ კაცს სიცოცხლე აჩუქო და მეორე წუთში ომში გაგზავნო, იქ ჩიკაგოში მეტად ძლიერი ბიჭები არიან, ისინი უკან არაფერზე დაიხევენ. რაღაც ხდება სათავეში, ვიღაცას ჯოვანი აღარ აწყობს, მეც ასე ვფიქრობ, მიუგო როზანამ, იგი განწირულია და მას სურს რომ ჩვენ ყველა ამ სასაკლაოში ჩაგვითრიოს. ჩიკაგოდან რომ ჩამოვალ, ამაზე მერე ვიღაპარაკოთ, ჩემს არ ყოფნაში შენ ჯოვანის ანგარიშები ბანკებში დაადგინე და თუ საჭირო გახდა გადაარჩინე მისი ქონება და შემდეგ მეც შემოგიერთდები. კარგი ყველაფერს გავაკეთებ ჩვენი სიყვარულისთვის.

მეორე დღეს ჯუზეპე ხუთ კაცთან ერთად ჩიკაგოში

ჩავიდა და სამუშაოს იმდღესვე შეუდგა. მან უპირველეს ყოვლისა თავის აგენტებს მისცა დავალება. უმოკლეს დროში დაედგინათ მოწინააღმდეგე მხარის შესაძლებლობები, რამდენად საშიშნი იყვნენ მათი კონკურენტები, სად არიან გამა-გრებულები, რამდენი პირისაგან შედგებიან, ვინ ხელმძღვა-ნელობს მათ, ვისთან აქვთ კავშირები, კერძოდ მაფიის რომელი ოჯახები, უჭერენ მათ მხარს. ამის ყველაფრის გარკვევას რამდენიმე კვირა დასჭირდა. ამ ხნის განმავლო-ბაში ჯუზებე რამდენჯერმე გავიდა სასტუმროდან და ყოველთვის გრძნობდა რომ ვიღაც უთვალთვალებდა მას. როდესაც ყველა მონაცემი მას ხელთ ჰქონდა, მას მიეცა უკვე საშუალება ვითარების გაანალიზების და აღმოჩნდა, რომ ამერიკის განგსტერთა დიდი ოჯახების უმეტესი ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი ჯოვანისადმი. ამ პერიო-დისათვის კოზა ნოსტრა ნარმოადგენდა 25 ოჯახს, რომლებ-საც ძირითადად ერთნაირი სტრუქტურა ჰქონდათ, მისი ბირთვი დაახლოებით შედგებოდა ხუთი ათასი კაცისაგან. ამ ბირთვის ყველაზე დიდ რაოდენობას სიცილიელი იტალი-ელები წარმოადგენდნენ. ამ ოჯახებს შორის ატეხილ უთანხმოებებს არეგულირებდა სპეციალური კომისია. ეს კომისია ყალიბდება ყველაზე ძლიერი ოჯახებისაგან, ფ.ბ.რ. მონაცემებით იმ დროისთვის კომისია შედგებოდა ცხრა ბოსისაგან, ხუთი აქედან ეკუთვნოდა ნიუ-იორკის ოჯახებს და თითო ფილადელფიდან, ბუფალოდან, დეტროიტიდან და ჩიკაგოდან. თვითონულ ოჯახს ყავდა 600-მდე ჯარისკაცი, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი ბოსისათვის ყველაფერი გაეკეთებინათ, რომ როგორმე ესიამოვნებინათ მისთვის. აღნიშნულმა კომისიამ ჯოვანის სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მიზეზი როგორც ჯუზებემ გაარკვია იყო ის, რომ ჯოვანი უნიათოდ ხელმძღვანელობდა იმ ობიექტებს, რომლების ძირითადი წყარო კაზინოები იყო და, სადაც ნარკოტიკები ვრცელდებოდა. ჯოვანის ძირითადი ნაკლი მისი სიხარუ იყო. იგი ხარბი იყო თვით ამ გავლენიანი

ოჯახებისათვისაც და არავითარ დათმობებზე არ მიღიოდა  
მათთან. ყველანაირად ხელს უშლიდა მათ მუშაობაში, ყოვე-  
ლივე ამან ჯუზეპე დააფიქრა, ამ ოჯახების წინააღმდეგ  
ბრძოლა ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო. ჯოვანი გან-  
წირული იყო და ყველას მასთან გვერდზე მყოფებს სიკვდი-  
ლი ელოდათ. გადაწყვეტილება სასწრაფოდ იყო მისაღები.  
იგი ან უნდა დარჩენილიყო თავის შეფთან და ეწარმოებინა  
უსარგებლო ბრძოლა, ან უნდა გასცლოდა მას. საღამოს იგი  
თავის სასტუმროს რესტორანში შევიდა და ჩვეულებრივ  
მაგიდას მიუჯდა. მისი დაცვა გვერდით მაგიდაზე მოკალათ-  
და, ამ დროს რესტორანში უცხო პიროვნებები შემოვიდნენ,  
რამდენიმე ახალგაზრდა ქალი მის დაცვას მიუჯდა. უცბად  
ჩანთებიდან იარაღი ამოიღეს და დაცვის ბიჭებს შუბლზე  
მიადეს, რომლებსაც მომღიმარე სახე უცბად შეეცვალათ.  
მისი დაცვა განიარაღებული იყო. სამი პიროვნება ჯუზეპეს  
მაგიდას მიუახლოვდა და მის დაუკითხავად მაგიდას მიუჯ-  
და. სამივე შავ კოსტუმებში იყვნენ გამოწყობილი. ერთ-  
ერთი, რომელიც შედარებით უფროსი ჩანდა და ჭალარა  
თმები ჰქონდა, ჯუზეპეს დაელაპარაკა. ჯუზეპე ჩვენ გიც-  
ნობთ შენ და შენს შესახებ სათანადო ინფორმაცია  
გაგვაჩნია, შენ ჯოვანისთან მუშაობ, მისი მარჯვენა ხელი  
ხარ და ჩვენ გასანადგურებლად ჩამოხვედი აქ. ჩვენ ისიც  
ვიცით, რომ შენ ჩვენს შესახებ ინფორმაციას აგროვებდი.  
ჩვენ შეგნებულად მოგეცით ამის საშუალება, რათა საქმის  
ვითარება აგენტონ-დაგენონა და სწორი დასკვნები გამოგე-  
ტანა. შენ მიხვდებოდი, რომ ჯოვანი განწირულია და მის  
ბიზნესს ნიუ-ორკში და აქ ჩიკაგოში ბოლო მოეღება. ყვე-  
ლაფერი მისი, გახდება ჩვენი. ვინც მის მხარეზე იქნება  
გავანადგურებთ, ვინც ჩვენთან ითანამშრომლებს, იმათ  
ჩვენს რიგებში მივიღებთ, ვფიქრობთ შენი შესაძლებლო-  
ბების კაცი ჩვენ საქმეს გამოადგება, უკმაყოფილო არ  
დარჩები თუ არა და გაგანადგურებთ, არჩევანი შენზეა და  
იგი ახლავე უნდა მიიღო. ჯუზეპე ჩაფიქრდა, უცბად ყოვე-

ლივე ცხადად წარმოიდგინა თუ როგორ გასწირა იგი ჯოვანიმ ამ ერთი წლის წინ და ციხეში ამოაყოფინა თავი და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა და რომ არა როზანა ალბათ იგი ახლაც ალკატრა-საში იქნებოდა გამომწყვეტილი. ეხლა მას მისთვის თავი უნდა გაეწირა, ღირდა კი ჯოვანი ამად. რა თქმა უნდა არ ღირდა და ჯუზეპემ მიიღო გადაწყვეტილება, მე თანახმა ვარ თქვენთან ვითანამშრომლო, მაგრამ ეს ჩემი გადაწყვეტილებაა და არა თქვენი, იცოდეთ.

ჭკვიანური გადაწყვეტილებაა ჯუზეპე, ჯოვანის შენ დაარწმუნებ რომ აქ ყველაფერი წესრიგშია. იქ ჩასვლის-თანავე ჩვენ ხელს შეგვიწყობ მის განადგურებაში. მას მე თვითონ მოვუვლი, მე მასთან პირადი ანგარიშები მაქვს, თქვენ დანარჩენებს მოუარეთ, მიუგო ჯუზეპემ. ჯერ-ჯერობით კი ეს ჰონორარი იკმარე, და ჭალარა თმიანმა დოლარების შეკვრა მაგიდაზე ისროლა, ხოლო იარაღმო-მარჯვებულ ქალებს თვალი ჩაუკრა, ამის შემდეგ შენ დაცვა აღარ დაგჭირდება, გაისმა სროლის ხმა და ჯუზეპეს ორი მცველი მოცელილივით დაეცა იატაკზე. ეს ფული უკან აიღეთ. მე ფულზე არ ვიყიდები, მიუგო ჯოვანიმ.

ჯუზეპე ნიუ-იორქში სასწრაფოდ ჩავიდა და როზანას შეხვდა. როზანა მას გადაეხვია და კითხა თუ როგორ იყო საქმეები ჩიკაგოში. მართალი გითხრა ძალზედ ვლელავდი შენს გამო, უთხრა როზანამ. ჰო, სანერვიულოდ მართლაც გვაქვს საქმე. შენი ვარაუდი გამართლდა ჯოვანი განწირულია. ჩვენ მას უკვე ვერაფერში დავეხმარებით და ჩვენს თავს კი საფრთხეში ჩავიგდებთ, მათი გამარჯვება ეჭვს არ იწვევს. მათ მხარეზე დიდი ოჯახებია, გესმის, ისინი მე შემხვდნენ და ორი მცველი მომიკლეს. მათ თანამშრომლობაზე დავთანხმდი, მაგრამ ეს ჩემი ნება იყო და არა მაგათი. შენ ხვალ უნდა დამეხმარო იმაში, რომ დავარწმუნო ჯოვანი რათა მათთან საბრძოლველად მთელი ჩვენი ხალხი ჩიკაგოში ჩავიყვანოთ, სადაც არის განლაგებული ჩვენი მოწინააღმდეგის მთავარი

ძალები. იქ მათ ყველას ჩავაბარებთ ჭალარას. აქ კი ჯოვანი მარტო აღმოჩნდება და მისი განადგურება დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენს, აღნიშნა ჯუზეპემ. ჯუზეპემ და როზანამ როგორც იქნა დაარწმუნა ჯოვანი რომ მთელი ძალები მას ჩიკაგოში გადაესროლა კონკურენტთა ნინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებსაც ჭალარა ხელმძღვანელობდა. ჩიკაგოში ასამდე სხვადასხვა რანგის მკვლელი და განგსტერი იქნა გაგზავნილი, მაგრამ უშედეგოდ. მათ იქ ძალზედ ინფორმირებული და პროფესიონალი ხალხი ხვდებოდა, რომლებიც ცოცხალს იქიდან არავის უშვებდნენ. ეს ხოცვა-ულეტვა ერთ კვირას გაგრძელდა და ჯოვანის ხალხის სრული განადგურებით დამთავრდა, მოწინააღმდეგებ შემდგომი დარტყმა ნიუ-ორკში ჯოვანის ფირმებზე და ორგანიზაციებზე გადაიტანა. ჯოვანიმ სასიკვდილო საფრთხე იგრძნო და როზანა დაიბარა, როზანა უთხრა მან, ჩვენ ჩიკაგოში დავმარცხდით და მგონი აქაც იგივე ბედი გველის, საჭიროა რაც დაგვრჩა ის გადავარჩინოთ, მე მხოლოდ შენ გენდობი. აი ამ ორ დიპლომატში ათი მილიონი დოლარია, აიღე და სასწრაფოდ გაქრი აქედან, ჩახვალ ბრაზილიაში და ბუენოსს აირესში ყველაზე კარგ სასტუმროში დაბინავდები, იქ მე შენ გიპოვნი. აქ მე ჯერ ზოგიერთ მოღალატეს უნდა გავუსწორდე. ვისზე გაქვს ეჭვი, უთხრა როზანამ, არ დაგიმალავ და გეტყვი, რომ ჯუზეპეზე მაქვს ეჭვი, მან რატომდაც ბევრი შეგნებული შეცდომა ჩაიდინა, რომელიც ჩვენთვის სასიკვდილო აღმოჩნდა. მას მე გავუსწორდები, შენ კი ახლავ ე წადი. მანქანა ქვევით გიცდის. მან როზანას აკოცა და დაითხოვა. როზანა სასწრაფოდ გაემგზავრა ბრაზილიაში, მაგრამ გამგზავრებამდე ჯერ რა თქმა უნდა ჯუზეპე მოინახულა.

ამის შემდეგ ჯოვანიმ სასწრაფოდ შეკრიბა დარჩენილი თავის ერთგული თანამებრძოლები, რომელთა შორის ჯუზეპეც იყო. ოცამდე კაცმა ჯოვანის დიდ ოთახში მოიყარა თავი. ჯოვანი პირდაპირ საქმეზე გადავიდა, მეგობრებო

მიმართა მან შეკრებილთ, ათ წელზედ მეტია ჩვენი ბიზნესი ჩემი ხელმძღვანელობით დიდ წარმატებებს აღწევდა, მაგრამ ბოლო დროს ზოგიერთი მოღალატის დახმარებით მტერმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია და მთელ რიგ ჩვენ-თვის სასიცოცხლო ობიექტებზე ჩვენ სასიკვდილო მარცხი განვიცადეთ, მათ ჩვენ წაგვართვეს ნიუ-იორკში და ჩიკაგოში სათამაშო ბიზნესი, ბორდელები და ნარკოტიკების გავრცელების ჩვენ არხებს გზა გადაუჭრეს. დავკარგეთ ასობით საუკეთესო მეგობარი და თანამებრძოლი. მაგრამ ჩვენ თუ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით და არ დავიშურებთ ენერგიას და ძალისხმევას ჯერ კიდევ შევძლებთ გადა-ვარჩინოთ ჩვენი ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩვენ სანამ მოვმაგრდებით უნდა გადავიდეთ არალეგალურ მდგო-მარეობაზე, ვინც ჩემს აზრს იზიარებს, გთხოვთ ხელი აწიოთ. ამ დროს ერთ-ერთი განგსტერი წამოდგა და ჯოვანის პირდაპირ კითხა, სანამ ჩვენ ამ თქვენს გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, აუცილებელია ვიცოდეთ იმ მოღალატის სახ-ელი ვინც ჩვენ ამ დღეში ჩაგვაყენა, წინააღმდეგ შემთხ-ვევაში ჩვენს ბრძოლას აზრი არა აქვს. ამ დროს სხვებმაც წამოიყვირეს, ჩვენ გვინდა ვიცოდეთ ვინ არის მოღალატე. ჯოვანი დაასახელეთ იგი. ის უნდა მოკვდეს ისმოდა აქეთ იქიდან. კარგით მე მას დავასახელებ, ეს არის კაცი, რომელ-საც თქვენ კარგად იცნობთ. იგი წლების მანძილზე ჩვენს გვერდით მუშაობდა და ყველას პატივისცემას იმსახურებდა, მაგრამ ამავე დროს მთელი ამ ხნის განმავლობაში მტრის მხარეს მუშაობდა. იგი უბადრუკი მოღალატე აღმოჩნდა. იგი ახლაც ჩვენს გვერდით იმყოფება, გვითხარი ვინ არის ის გაისმა ხმები, ვინ არის და მოღალატე ჯუზეპე, წამოიყვირა ჯოვანიმ, უცბად ყველას გაოცების შეძახილი აღმოხდა პირიდან. ჯუზეპეს წარბი არ შეურხევია. ამაყად დაჰპურებ-და ყველას. იგი ელოდა ამას და მომზადებული შეხვდა ყოვე-ლივეს. იგი დინჯად წამოდგა და ხელის აწევით დაამშვიდა კოლეგები, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მისი ავტორი-

ტეტი განგსტერებში ძალზე დიდი იყო, რომ მისთვის სიტყვა არ მიეცათ. მეგობრებო გთხოვთ ყოველი ჩემი სიტყვა აქ წარმოთქმული გულდასმით აწონდაწონოთ და დასკვნა შემდგომ გააკეთოთ. განაჩენიც იმას გამოუტანოთ ვინც მართლა ამ საშინელ დღეში ჩაგვყარა. თხუთმეტი წელია მე თქვენთან ერთად ვიბრძვი ჩვენი ორგანიზაციის სიძლიერისა და კეთილდღეობისათვის, მრავალჯერ თითქმის ყოველი თქვენგანი სიკვდილს გადამირჩენია, ჩვენი მტრები, პირა-დად ურიცხვი რაოდენობით მიხოცია. ჩემი ხელები მათი სისხლით არის მოსვრილი, მაშ როგორ გგონიათ, მე შემეძლო თქვენი ღალატი? რა თქმა უნდა არა, მაგრამ ჯოვანის და ხელი ჯავანისკენ გაიშვირა, მართლაც გამყიდველურმა საქმიანობამ, მისმა გაუმაძლრობამ ჩვენი საქმე კატასტრო-ფამდე მიიყვანა, იგი ჩვენ ყველას გვატყუებდა, მისი გაუმაძლვრობის წინააღმდეგ საბრძოლველად აღდგნენ სიცილიური მაფიის უძლიერესი ოჯახები ნიუ-ორკში და ჩიკაგოშიც და ამიტომაც იგი დამარცხდა. მივხვდი რა უაზრო ბრძოლაში ჩაგვაბა მან. მე უარი ვთქვი მასთან მუშაობაზე. მან თავის გადასარჩენად უაზრო მსხერპლი გაწირა და ეხლაც მოგიწოდებთ ამისაკენ, განა შეიძლება ენდო ადამიანს, რომელმაც ციხეში გამოგამწყვდია და მას როდესაც დასჭირდი, მაშინ გამოგიშვა. ყოველი თქვენგანის ფული მას მითვისებული აქვს. ეხლა როდესაც ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ჩვენი ბიზნესის გადარჩენაზე და ეს კაცი ერთგულებას გეფიცებათ, იგი მხოლოდ თავის ტყავის გადარჩენასა და ჩვენი კუთვნილი მილიონების მითვისებაზე ფიქრობს. მას სურს ყველა მოგვატყუოს და თვითონ რომე-ლიმე ნეიტრალურ ქვეყანაში მშვიდად იცხოვროს ჩვენი ფულით. თუ ჩემი არ გჯერათ, მაშინ თვით ჯოვანის კითხეთ სად არის ჩვენი ორგანიზაციის ფული, რომელ ან ვის ანგარიშზე არის იგი ამჟამად. ამას იგი თქვენ ვერ გეტყვით, რადგან ეს თანხა მან უკვე დიდი ხანია სადღაც გადამალა. მაშ ვინ არის მოღალატე მე თუ ჯოვანი, გადაწყვიტეთ და

განაჩენიც მოლალატეს თქვენ გამოუტანეთ. უცბად საშინელი ყვირილი ატყდა, ოთახში განგსტერები ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. ბოლოს ერთი ხანშიშესული მამაკაცი წამოდგა და მიმართა ჯოვანის. ჯოვანი მართალია თუ არა რასაც ამბობს ეს კაცი, ჩვენ გვაინტერესებს სად არის ჩვენი საერთო თანხა. ჩვენ ახლავე უნდა ვიცოდეთ ეს. ჯოვანი დაიბნა იგი არ ელოდა საქმის ასეთ შემობრუნებას, მან ჯუზეპეს გამჭოლი მზერა ესროლა და დაიღრიალა, ვისაც ჩემი სჯერა და მენდობა და ჩემს მხარეზეა გვერდზე ამომიდგეს და მან იარაღი ამოიღო და ჯუზეპეს პირველმა ესროლა, რომელმაც სროლითვე უპასუხა, უცბად იქ მყოფნი ორ ჯგუფად გაიყვნენ ჯოვანისა და ჯუზეპეს მომხრებად, და ერთმანეთს საშინელი სროლა აუტეხეს. ამ არეულობაში ძნელი დასადგენი იყო ვინ ვის ესროდა. ადამიანები სამი მეტრიდან დაუნდობლად ხოცავდნენ ერთმანეთს. ოთახი გვამებით აივსო. უცბად ჯოვანი სადღაც გაქრა, დაჭრილი ჯუზეპე მას დაედევნა, მაგრამ მან მოასწრო და მანქანით გაურკვეველი მიმართულებით მიიმაღა. ჯუზეპემ სასწრაფოდ დატოვა საშინელი ადგილი, რომელსაც უკვე პოლიციის მანქანები სირენების ყვირილით უახლოვდებოდნენ.

ჩიკაგოს ერთ-ერთ სასტუმროს დიდ დარბაზში ათამდე კაცი შესანიშნავ ვახშამს მიირთმევდა. მათ შორის შავ კოსტუმში გამოწყობილი ჯუზეპეც იჯდა და წითელ ღვინოს მიირთმევდა. ამ დროს ჭაღარათმიანი კაცი წამოდგა, ჭიქა აიღო და სიტყვა წარმოთქვა, სამართლიანობამ გაიმარჯვა მეგობრები. ორგანიზაცია, რომელიც წლების განმავლობაში თესდა შუღლს და ბოროტებას, განადგურებულია, ამაში დიდად შეგვიწყო ხელი ჩვენმა მეგობარმა მისტერ ჯუზეპემ, რომელსაც სამართლიანად ეკუთვნის ჩიკაგოს ორგანიზაციის ზედამხედველის და მმართველის თანამდებობა. ჯუზეპე გილოცავ, შენ წამდვილად დაიმსახურე ეს თანამდებობა სხვებმაც მიულოცეს ჯუზეპეს ეს ამბავი. მაგრამ ჯუზეპე უკმაყოფილო ჩანდა. იგი ადგა და

სიტყვა ითხოვა, მე კოლეგებო დიდი ხანია ასეთი საქმეებით ვარ დაკავებული და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ეს ჩემი მოწოდება არ იყო. მე თქვენ ხელი შეგინყეთ წარმატებაში და ჩემი მისია ამით ამოიზურა, მე უარს ვამბობ ამ თანამდებობაზე, რადგან მგონია რომ ჩემი გადადგომის დრო დადგა, გთხოვთ გამიშვათ თქვენი ორგანიზაციიდან, მჯერა თქვენში მრავალი მოიძებნება ვინც ამ საქმეს ჩემზე უკეთესად გაუძლვება. იქ მყოფთაგან ყველას გაუკვირდა მისი ნათქვამი, მაგრამ საბოლოოდ დაეთანხმნენ მას და ჯუზეპე გაუშვეს თავის რიგებიდან. მალე ჯუზეპემ როზანას დეპეშა მიიღო, სადაც იგი სთხოვდა მას ბრაზილიის დედაქალაქ ბუენოს-აირესში ჩამოსვლას. ჯუზეპეს მეტი რა დარჩენოდა, იგი ელოდა ამას და სასწრაფოდ გაფრინდა და დილით უკვე როზანასთან სასტუმროში იყო. სასტუმროს ნომრის ღილაკს ხელი დააჭირა სადაც 44 ციფრი იყო გამოსახული. როზანამ კარი გააღო და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ჯუზეპემ პირველად ცხოვრებაში იგრძნო თავი ნამდვილად ბედნიერ და თავისუფალ ადამიანად. მან როზანა ხელში აიტაცა და ძვირფას ნოხზე დააწვინა, და სიყვარულით ყურში ჩაუჩურ-ჩულა, ჩემო ძვირფასო როგორ მომენატრე რომ იცოდე. მეც ძვირფასო, იყო პასუხი. მითხარი როგორ არის იქ საქმეები. ჯოვანი ცოცხალია, სამწუხაროდ გამასწრო იმ ნაძირალამ, მაგრამ მისი ორგანიზაცია აღარ არსებობს. ხოლო მე კი ყოველგვარი მოვალეობისაგან თავისუფალი ვარ. ისე რომ პენსიაზე ვარ, მაგრამ პენსიის დანიშვნა დაავიწყდათ, ნუ გეშინია ძვირფასო ჩვენი ფული საიმედო ადგილზეა და იგი ჩვენ ორივეს სამარადუამოდ გვეყოფა, ისე რომ არავის პენსია ჩვენ არ გვინდა. როზანა სანამ ჯოვანი ცოცხალია, ის ასე ადვილად თავს არ დაანებებს თავის ფულს. ისე რომ ფრთხილად უნდა ვიყოთ გული მიგრძნობს ის აქ მალე გამოცხადდება მოპარული მილიონების წასალებად და შენ იცოდე საფრთხეში იმყოფები, მან იცის შენ სადაც ხარ, მე შენთან აღარ გამოვჩინდები, რომ მან ეჭვი არ აიღოს, მაგრამ

მუდამ ფარულად შენს გვერდით ვიქნები და შორიდან გით-ვალთვალებ. როგორც კი გამოჩნდება მაშინ ვიმოქმედებთ, შენ არაფერი შეიმჩნიო მისი გამოჩენის შემთხვევაში სწრა-ფად დამიკავშირდი და მე მაგას ავუგებ ანდერძს.

მალე როზანას გვერდით ვიღაც მოხუცი ჭალარათმიანი და წვერებიანი მამაკაცი დასახლდა. იგი დიდ და შავ სათ-ვალეს ატარებდა, თან კოჭლობდა და ამიტომ თავის ჯოხს არასოდეს იცილებდა, მას ამერიკელი გადამდგარი ოფიცრის სამხედრო ფორმა ეცვა და მკერდზე ორდენები ეკიდა, იგი როზანას ყოველთვის გულისხმიერად ესალმებოდა.

ერთხელ მან როზანა ყავაზეც კი დაპატიჟა, მაგრამ უარი მიიღო. ერთ საღამოს იგი როზანასთან დაუკითხავად შევი-და. კარები როგორდაც გააღო და ჩუმად სასტუმრო ოთახში შეიპარა, ამ დროს როზანა სააბაზანოდან ნახევრად შიშველი გამოვიდა და მის ოთახში უცხო მამაკაცი რომ დაინახა ოდნავ შეკრთა, მაგრამ იგი მალე მოეგო გონს და გაბრა-ზებით კითხა დაუპატიჟებელ სტუმარს. თქვენ აქ დაუკით-ხავად რატომ შემოხვედით. ამის უფლება თქვენ ვინ მოგცათ, მოხუცი ძალზე დამაჯერებლად იქცეოდა, შიშველ როზანას ღიმილით უყურებდა, შემდეგ სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტი ამოიღო და გააბოლა, იქვე მაგიდაზე დადებულ ჭიქაში ვისკი დაისხა და მოსვა, არ გერიდებათ ქალბატონის რომელიც ნახევრად შიშველი დგას თქვენს წინაშე, კითხა როზანამ გამომწვევად. მაგ ქალბატონს ზურგზე ხალი ხომ არა აქვს, გამომწვევად უბასუხა მოხუცმა, ამ სიტყვებმა როზანა დააბ-ნია. მას მართლაც ქონდა ზურგზე ხალი, მაგრამ ამ მიხრ-წნილმა მოხუცმა ეს საიდან იცის გაიფიქრა მან. შემდეგ იგი ყურადღებით დააკვირდა მას. საოცრად ნაცნობი ნაკვთები დაინახა, მაგრამ სანამ იგი გონს მოვიდოდა უცნობმა მოხუც-მა ნიღაბი მოიხსნა და როზანამ მასში ჯოვანი ამოიცნო. რაო არ მელოდი ქალბატონო, ალბათ ჯუზეპეს ელოდი. ძვირ-ფასო როზანა თამაში დამთავრებულია, სად არის ჩემი ფული, მე ჩემი ფულისათვის მოვედი, ხომ გითხარი რომ

მოვიდოდი. მაგრამ არ შეგეძლო მასკარადის გარეშე გაგეკეთებინა ეს? მე შენი ფულის მიტაცებას არ ვაპირებდი თორემ აქ არ დაგვხვდებოდი, მე მეგონა ჩვენ ორნი ამ ფულით ბედნიერნი ვიქნებოდით — მიუგო როზანამ, გეყოფა თამაში, ვიცი ჯუზეპესთან ხარ შეერული იმ ნაძირალაზე როგორ გამცვალე, შე მოღალატე ბოზო, მან იარაღი ამოიღო და როზანას დაუმიზნა, თან კბილებში გამოსცრა, თქვი ფული სად არის. იგი საიმედო ადგილზეა საცავში, უჩემოდ ვერ აიღებ, თითის ანაბეჭდია საჭირო და არა მარტო თითის, აღნიშნა როზანამ. აბა სხვა რისი. იქ რომ მივალთ მაშინ გეტყვი. ჩაიცვი და წავიდეთ, მიუგო ჯოვანიმ. როზანამ ამოისუნთქა, ძვირფასი წუთები მოგებული იყო, მის სასარგებლოდ, ახლა მთავარი იყო როგორმე ჯუზეპესათვის ეცნობებინა, მაგრამ როგორ? ჯოვანი თვალს არ აცილებდა, ტელეფონით დარეკვა კი შეუძლებელი იყო. რაღაც უნდა მოეფიქრებინა, მაგრამ რა, ჯერ არ იცოდა მან. როზანამ სწრაფად ჩაიცვა და ტუალეტში შევიდა, იქ ტუალეტის ქაღალდზე პომადით სწრაფად რამდენიმე სიტყვა დაწერა. ვაგზალი, ის იქ იქნება. წერილი ჯიბეში ჩაიდო და გამოვიდა, ნომრიდან ორივე სწრაფად გამოვიდნენ, დაბლა ჩამოვიდნენ და როზანამ ნომრის გასაღები შვეიცარს დაუტოვა. მასთან ერთად მან წერილიც გადასცა ჩუმად. ამის შემდეგ ჯოვანი და როზანა სწრაფად გავიდნენ სასტუმროდან. ისინი რკინიგზის ვაგზალის სადგურში მივიდნენ. როზანა არ ჩქარობდა. მან შემოვლის გზით ატარა ჯოვანი, რომელსაც ჯიბეში იარაღი ქონდა როზანაზე მომარჯვებული. ბოლოს როზანა ერთ სეიფს მიადგა და შრიფტის აკრეფა დაიწყო. შემდეგ ხელი მიადო რაღაცას და მარცხენა თვალით ჩახედა შიგ. გაისმა ჩხაკუნი და სეიფი გაიღო. მასში ორი დიპლომატი იდო. გახსენი უთხრა ჯოვანიმ. როზანამ გახსნა და ორივე დიპლომატი დოლარებით გატენილი აღმოჩნდა. ეხლა წავიდეთ და ჯოვანიმ ხელი დასტაცა დიპლომატებს. სად მივდივართ? ჩემი მანქანით გავისეირნებთ ცოტას. მიუგო

ჯოვანიმ და როზანას უბიძგა? რკინიგზის სადგურის მანქანების სადგომთან მივიდნენ. ჯოვანიმ თავის მანქანის საბარგულში დიპლომატები მოათავსა და როზანა წინ ჩასვა მანქანაში. ის იყო თვითონაც უნდა ჩამჯდარიყო, რომ მას წინ ვიღაც აეტუზა და გზა გადაუღობა. ჯოვანიმ აიხედა და ჯუზეპე დაინახა. გამარჯობა ჯოვანი, საით მიგეჩარება. ჯოვანიმ იარაღზე იტაცა ხელი, მაგრამ ამ ჯერად ჯუზეპემ დაასწრო და რამდენიმე გასროლით მიწაზედ უსულოდ დასცა იგი. შემდეგ მანქანაში როზანას მიუჯდა, რომელმაც იგი გადაკოცნა. როზანა ახლა კი ჩვენს ბედნიერებას არავინ დაარღვევს, მანქანა დაიძრა და ბედნიერი წყვილი გაურკვეველი მიმართულებით წავიდა.

ყოველივე ზემოთ მოთხრობილის შესახებ ცნობები ერთგულმა მეგობრებმა გადმომცეს, რომლებიც ჯუზეპესა და როზანას გვერდით მოღვაწეობდნენ. აღნიშნა ჩემმა მასპინძელმა

მას შემდეგ, რაც სასწაულად ჯუზეპესა და მის დამქაშებს გადაურჩი, მათ თვალს არ ვაშორებდი. განგსტერთა ბრძოლას ყურადღებით ვადევნებდი თვალს და შესაბამის დროს ვეძებდი შურისძიებისათვის. განსაკუთრებით როზანას ვუთვალთვალებდი და გამიმართლდა, როზანა მთავარი პირი აღმოჩნდა ამ მაფიოზთა ორომტრიალში. სარწმუნო წყაროებიდან დანამდვილებით ვიცოდი, რომ მას დიდძალი ფული ჰქონდა მითვისებული. იმ სასტუმროში, სადაც ბოლო მოვლენები მოხდა, მეც გახლდით, ჯოვანის მკვლელობა კარგად დავინახე. მე მათ მანქანას უკან გავყევი, მალე ისინი ქალაქებარეთ ერთ სასტუმროში შეჩერდნენ. ვიცოდი, რომ ფული მანქანის საბარგულში ქონდათ. მათ დიპლომატები მანქანის საბარგულიდან გადმოიღეს და სასტუმროში შეიტანეს, მათ მეც შევყევი. სასტუმროს ბანკში მათ ფულის შეტანა განიზრახეს, ეს კი მე ძალზედ გამიძნელებდა საქმეს, მაგრამ უცბად რატომდაც გადაიფიქრეს და დიპლომატებით სასტუმროს ერთ-ერთ ოთახში შევიდნენ, მალე ჯუზეპე ნომ-

რიდან გამოვიდა და მანქანით სადლაც გაემგზავრა. სასტუმ-რო ოთახში როზანა თავის მილიონებით მარტო დარჩა. სასწრაფოდ უნდა მემოქმედა. სწრაფად ვიშოვე ოფიციანტის ფორმა და გადავიცვი, შემდეგ მისატანზე დადებული შამპანურით № 55 ოთახის კარს მივუკაუნე, თქვენმა მეგო-ბარმა შამპანური გამოგიგზავნათ, როზანამ კარი გააღო და უფლება მომცა შამპანური მაგიდაზე დამედგა. თვითონ წინ გამიძლვა, მე უკნიდან შამპანურის ბოთლი როზანას თავში მაგრად ჩავცხე, იგი იატაკზე გაიშხლართა, ესეც შენ, სამ-აგიერო, მივაძახე და ოთახი სწრაფად გავჩხრიკე, დიდხანს ძებნა არ დამჭირვებია. ორივე დიპლომატი კარადაში იდ. გავხსენი და ისინი დოლარებით იყო გაჭედილი. სასწრაფოდ ოფიციანტის ფორმა გავიხადე. ჩემი ტანსაცმელი ჩავიცვი, რომელიც სპორტულ ჩანთით მქონდა მხარზე გადაკიდებუ-ლი. სპორტულ ჩანთაში ორივე დიპლომატის შემადგენლობა გადავიტანე. გარეთ გამოვედი, ლიფტით სწრაფად დავეშვი და სასტუმროდან გამოვედი, გამოსვლის დროს ჩემს წინ მან-ქანა გაჩერდა და იქიდან ჯუზეპე გადმოვიდა და სასტუმროში შევიდა. მე მის მხარეს გადავაფურთხე და ჩემთვის ჩავილაპარაკე, ესეც შენ, შე მართლა ვირთხა შენა. კანადაში უკვე რამდენი თვე იყო რაც ჩავედი და ფულის დაბანდების საკითხებზე ვმუშაობდი, კერძოდ მინდოდა ერთ კარგ ადგილას სასტუმრო ამეშენებინა. ასეთი ადგილი მონ-რეალი მივიჩნიე, მაგრამ ბოლოს მაინც უარი ვუთხარი მაკ-ლერებს, რადგან იქ არ იყო ჩემი საყვარელი ზღვა. ამიტომ არჩევანი მაინც ა.შ.შ. ის დასავლეთით წყნარ ოკეანის სანაპიროზე დიდ ქალაქ სან-ფრანცისკოზე შევაჩერე. სან-ფრანცისკო დიდი ქალაქი იყო და სასტუმროებიც საკ-მარისზე მეტი ქონდა, მაგრამ ქალაქიდან ცოტა მოცილებით ზღვის სანაპიროზე, მართლა მივაგენი სათანადო ადგილს, ეს პატარა დაბა იყო და იქ კი მომცრო კაფე-ბარის მეტი არაფერი იყო, რომელშიც ოციოდე კაცი თუ დაეტეოდა, იმ კაფეში ძალიან მიყვარდა ყოფნა და ჭიქა ყავის დალევა.

ფული საიმედო ბანკში მქონდა შენახული და არ ვჩეარობდი  
მის რეალიზაციას და გადავწყვიტე სასტუმრო ამ კაფეს ადგ-  
ილას ამეშენებინა. უფრო სწორედ ცოტა მოშორებით პატარა  
დასახლებასა და ამ კაფეს მიმდებარე ტერიტორიას შორის,  
სადაც საკმაოდ დიდი ადგილი იყო დიდი მშენებლობისათვის.  
ასევე გავითვალისწინე ისიც რომ სანაპირო ზოლი საკმაოდ  
განიერი და გრძელი იყო, რომელზედაც ლამაზად ციმ-  
ციმებდნენ ოქროსფერი ქვიშის წვრილი ნამცეცები. ყოვე-  
ლივე ეს ძალზე მიიზიდავდა ტურისტებს, ამ ადგილზე  
პატარა სასეირნო კატერებისა და ნავებისათვის მყუდრო  
ნავსაყუდელი ჩანდა. ნაპირი შეღრმავებული იყო შიგნით,  
რაც ხელს უწყობდა იმას, რომ რანაირი ღელვაც არ უნდა  
ყოფილიყო ნავებისა და ადამიანებისათვის უხიფათო იყო,  
რადგან ღელვა იქ არ იგრძნობოდა. ერთი სიტყვით  
გადავწყვიტე ფული ამ საქმეში ჩამედო, რომელი ჩემის  
აზრით კარგ მოგებას მომცემდა, ჩემი მდგომარეობა ამ  
პერიოდისათვის საკმაოდ მყარი იყო. მე უკვე ოცდაათი წელი  
შემისრულდა და ამერიკის მოქალაქედ ვითვლებოდი,  
საბუთებით ირლანდიელი ემიგრანტი ვიყავი, ასეთი კონ-  
სპირაცია აუცილებელი იყო, რადგან მე ნამდვილი გვარით  
გაქცეული პატიმარი ვიყავი, რომელსაც სამუდამო პატიმ-  
რობა ქონდა მისჯილი, მართალია ეს უსამართლო ბრალდება  
იყო, მაგრამ მისი უარყოფა მე სამწუხაროდ არ შემეძლო.  
ამიტომ სხვისი გვარით და სახელით, ჩემი ფულის  
დახმარებით, მივიღე ამერიკის მოქალაქეობა და საკმაოდ  
გავლენიანი პირი გავხდი. მე თამამად შემეძლო ლეგალური  
ბიზნესის წარმოება. მალე დავიქირავე არქიტექტორები და  
მშენებლები პროფესიონალებთან ერთად შევადგინე ბიზნეს  
გეგმა. დავისახე კონკრეტული ამოცანა და საქმის განხორ-  
ციელებას შევუდექი, პირველი მილიონებიც ჩავდე  
აღნიშნულ სასტუმროს მშენელობაში. მშენებლობას თვალს  
ყურადღებით ვადევნებდი, ხშირად ჩემს საყვარელ კაფე-  
ბარში ვიჯექი და იქიდან ვუთვალებდი სასტუმროს

მშენებლობას, რომელიც დღითი-დღე წინ მიიწევდა, შენდებოდა და მშვენდებოდა, საქმეს პროფესიონალი მშენებლები უძღვებოდნენ, რომლებიც ძალ-ლონეს არ იშურებდნენ აღნიშნული საქმისათვის. მე ამ კაფეში რა თქმა უნდა მიცნობდნენ, მაგრამ არა როგორც მომავალ სასტუმროს პატრონს, არამედ როგორც უბრალო მოქალაქეს, რომელიც მათი ბარის ხშირი სტუმარი იყო. ამ ბარში ხშირად ვხედავდი ერთ ახალგაზრდა გოგონას, რომელიც ჩემის აზრით მხატვარი უნდა ყოფილიყო. იგი მეტად სიმპატიური შავგვრემანი ლამაზთვალება ქალბატონი იყო. მის მაღალ კისერს შავი გრძელი თმა ამშვენებდა. იგი სიმაღლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სამაგიეროდ მისი მოხდენილი ჭანი და კოხტა ფეხები, ყველა იქ მყოფთა აღტაცებას იმსახურებდა. იგი 25 წლის იქნებოდა. მუდამ სპორტული სტილის ტანსაცმელი ეცვა, ზურგზე ჩანთა ქონდა გადაკიდული, რომელშიც ფანქრები და საღებავები ქონდა. იგი კაფეში ხშირად რაღაცებს ხატვადა, მას ძალზე უხდებოდა სიცილი. ერთხელ ერთ მაგიდასთან აღმოვჩნდით და მე მას გამოველაპარაკე. სახელი ვკითხე, მე ჯულიეტა მქვიან, შენ რა გქვიან მკითხა მან. მე ჯორჯი მქვია და ირლანდიიდან ვარ წარმოშობით. თქვენ? ვკითხე მე, მე პოლონელი ვარ, ჩემი მშობლები ომის შემდეგ ჩამოვიდნენ ამერიკაში. პროფესიით მხატვარი იქნებით და ხანდახან სპორტითაც ერთობით არა? ვკითხე მე, თქვენ ძალზედ დაკვირვებული ბრძანდებით. დიდი დაკვირვება არ ჭირდება თქვენში მხატვრისა და სპორტის მოყვარული ადამიანის ამოცნობას, თქვენ კაფეში ხშირად გხედავ ხატვით გართულს და სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილს. აი ხომ ხედავთ რა ადვილია თქვენი ამოცნობა. დიახ თქვენ მართალი ხართ, მე სამხატვრო სკოლა დავამთავრე ნიუ-იორკში და ამჟამად იქ ვცხოვრობ მშობლებთან, თქვენ რას საქმიანობთ. მკითხა მან. გამოგიტყდებით, რომ ერთი ფირმის აგენტი ვარ და ამჟამად ვისვენებ, ხანდახან შევყურებ ამ სასტუმროს მშენებლობას და წარმოიდგინეთ ვერთობი

კიდეც, მაინცდამაინც კარგი გასართობი ვერ შეგირჩევიათ, აღნიშნა მან. ეტყობა ამ სასტუმროს პატრონი ერთი უგე- მოვნო ვინმე იქნება, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს სილა- მაზეზე. კი მაგრამ რატომ? გავიოცე მე. აი სასტუმროო თქვენ ბრძანეთ, ნუთუ დარწმუნებული ხართ, რომ ვიღაც იქ სასტუმროს აშენებს. მე მგონი იგი უფრო დიდ ბოსელს აშენებს საქონლისათვის, ვიდრე სასტუმროს ადამიანები- სათვის. კი მაგრამ ასე რატომ ფიქრობთ? აღვშფოთდი მე. რა არ მოგწონთ? — კეთილი აგიხსნით. აი დააკვირდით? სას- ტუმროს ძირითადი ხედი უნდა შეყურებდეს ზღვას, მზეს და იმ ლამაზ მთებს. ამ სასტუმროს კი ხედი ზღვის საწი- ნააღმდეგო მხარეს აქვს. აბა ეს ნორმალურია? ან შეიძლება პლიაზზე გასასვლელი არ ქონდეს სასტუმროს ან აუზი, ან ლამაზი ბალი, ან სპორტული მოედნები და მანქანის სადგო- მი. თქვენ ცდებით მივუგე მე, მანქანის სადგომი განსაზღვ- რული არის. რაღაც ეჭვი მეპარება. მისი სიტყვები გულში ლახვარივით მომხვდა, ის მართალი იყო ზოგ რამეში. მას შესანიშნავი მხატვრული ხედვა ქონდა. რატომ მოიწყინეთ? სერ, თქვენი ახლობელი ხომ არ არის მისი პატრონი? მკითხა მან. არა, მაგრამ თქვენს სიტყვებში მე მგონი არის ჭეშმარი- ტების მარცვალი და თქვენ რომ დაგიჯეროთ ამ სასტუმროს პატრონმა აუცილებლად ბევრს მოიგებს. ნამდვილად ეგრეა, მაგრამ სამწუხაროდ ფულით გატენილ ტომარას გემოვნება არა აქვს. ასეთებს აქვთ ფულიც და ბედიც, შეიძლება ჩაფიქრებულმა წარმოვთქვი და დინჯად დავუმატე, ფული შეიძლება ქონდეს მაგრამ ბედისა რა მოგახსენოთ, ახლა უნდა წავიდე, გთხოვთ მაპატიოთ, სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა, სიცილით მომიგო მან. ნახვამდის ჩემთვისაც მეტად სასიამოვნო და სასარგებლო იყო თქვენი გაცნობა. ამით დავშორდით, მაგრამ მე სასოწარკვეთილებამ მომიცვა და იმ წუთში გავვარდი სასტუმრო მშენებლებთან. მთავარი არქიტექტორი დავიბარე და ნახაზში ცვლილებების შეტანა კატეგორიულად მოვთხოვე, ისე როგორც ჯულიეტამ

მითხრა. სერ ეს დამატებით ხარჯებს გამოიწვევს, ჯანდაბას, გამოიწვიოს, მთავარია რომ ჩვენ სასტუმრო თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ავაშენოთ. ეს ყოველივე თქვენ უნდა გაგეთვალისწინებინათ ნახაზში. ეს შეცდომები სწრაფად გამოასწორეთ თორემ დაგითხოვთ, ხოლო ხარჯებს თქვენ დაგაფარვინებთ. კეთილი სერ ვეცდები ყოველივე გამოვასწორო. გავიდა ხანი და მე და ჯულიეტა კაფეში კიდევ შევხვდით ერთმანეთს. თბილად მომესალმა, მეც გულისხმიერება გამოვიჩინე და ჩემს მაგიდასთან შევთავაზე ადგილი. იგი სიამოვნებით დამთანხმდა. როგორ არის თქვენი საქმეები ვკითხე მე, ძალიან კარგად. იმ კვირას ჩემი სურათების გამოფენა-გაყიდვა იქნება სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ დარბაზში. გთხოვთ მოპრძანდეთ და მან ჩანთიდან მოსაწვევი ამოიღო და მე გადმომცა, აუცილებლად გეახლებით დავპირდი მე. შემდეგ მან სასტუმროს მხარეს გაიხედა და გაკვირვებულმა წამოიძახა, ნახეთ მისტერ ჯორჯ, სასტუმროს პატრონს რეები ჩაუდენია, თითქოს მან ჩვენს საუბარს მოკრა ყური, ჩემი მაშინდელი კრიტიკა გაიგო და ის ხარვეზები რომელიც დაშვებული ქონდა, მშენებლობის დასაწყისში, გამოასწორა. აი იქ ალბათ დიდ აუზს აშენებს, დიახ ვუთხარი მე და რაც მთავარია ცენტრალური ხედი ზღვას და მთებს შეჰყურებს, შენიშნეთ? დიახ შევნიშნე მიუგე მე, გემ-საყუდელიც, ავტოსადგომიც შენდება, იქით გაიხედეთ, მისტერ ჯორჯ დიახ, დიახ ვხედავ. საოცარია პირდაპირ, აღვნიშნე მე, როგორ გაიგო ნეტავ ეს თქვენი შენიშვნები ტელეფონით ხომ არ დაურეკეთ ჯულიეტა. მე არა, როგორ გეკადრებათ, მე მას არც კი ვიცნობ, მაგ მილიონერს, რომელსაც ალბათ ცოლი არა ყავს? თორემ ქალის ყურადღებიან თვალს ასეთი ხარვეზები არ გამორჩებოდა. დიახ, ქალები ხომ ასეთი დახვეწილი გემოვნებიანები ხართ. მაპატიეთ მისტერ ჯორჯ, მეჩეარება, უნდა გამოგემშვიდობოთ, გამოფენაზე აუცილებლად მეწვიეთ, იმედია კმაყოფილი დარჩებით. ამ სიტყვებით ის დამემშვიდობა. გამოფე-

ნა სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ დიდ საგამოფენო დარბაზში გაიმართა. იქ მარტო ჯულიეტას სურათები არ იყო. იქ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მხატვრებიც თავის ნამუშევრებით. მე ლამაზად გამოწყობილი ვიყავი და დანიშნულ დროს გამოფენაზე მივედი. ჯულიეტა მეტად ლამაზად და მხიარულად გამოიყურებოდა. მის შესანიშნავ ღიმილს ნაკვერჩხალივით შავი მოელვარე თვალები ამშვენებდა. გამარჯობათ, მისტერ ჯორჯ, დღეს მე თქვენთვის სურპრიზი მაქვს, იმედია მოგენონებათ. ნეტა რას მიმზადებთ ჯულიეტა ვკითხე მე. ეს ჯერ საიდუმლოა, მიპასუხა მან. ახლა კი მოდით ჯერ ჩემს მშობლებს გაგაცნობთ. კუთხეში მის სურათებთან მეტად სანდომიანი სახის ხანში შესული მამაკაცი და ასევე ქალბატონი იდგა. ჯულიეტამ ისინი გამაცნო და შემდგომ შამპანური შემოგვთავაზა. სურათების დათვალიერებამ მეტად საინტერესოდ ჩაიარა, ბევრი მისი მეგობარი და ნათესავი იყო იქ. მისმა სურათებმა ჩემზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მისი ნახატები აღსავსე იყო ცხოვრებისეული რეალური სურათებით, სხვადასხვა ადამიანების პორტრეტებით, პეიზაზებით, რელიგიური ხასიათის ნამუშევრებით, განსაკუთრებით გამაოცა მისმა პორტრეტებმა, რომლებშიც კაფეში ნანახი ადამიანები ამოვიცანი, შესანიშნავი ნახატებია ვუთხარი მე ჯულიეტას და მის მშობლებს, რომლებიც იქვე იდგნენ, შორინახლოს. მათში ნამდვილი ჭეშმარიტი შემოქმედის ნიჭი იგრძნობა, დიას მომიჯო მისმა მამამ ბ.-ნ ჟორჟმა, ის ჩემს ბაბუას ჰეგავს, რომელიც კარგი მხატვარი იყო. მას მისი ნიჭი გამოყვა. ეხლა კი მისტერ ჯორჯ შეპირებული სიურპრიზი. იგი აქეთ, ცალკე ოთახშია და ჯულიამ ჩვენ ცალკე ოთახში გაგვიყვანა და ხელი მაღლა კედელზე ჩამოკიდებულ სურათისკენ გაიშვირა. მე ზემოთ ავიხედე და გაოცებული დავრჩი, ზემოდან ჩემი ორეული დამცქეროდა და იღიმებოდა, მას ჩემი პორტრეტი დაუხატავს და საკმაოდ კარგად, მაგრამ ყველაზე ძალიან გამაოცა პორტრეტის იქითა ხედმა.

სურათში მე კაფეში ვიჯექი და ზღვას გავცექეროდი, ნაპირზე კი შესანიშნავი სასტუმრო იყო აშენებული, ელეგანტური თანამედროვე შენობა, ლამაზი ბალებით, შადრევნებით, შესანიშნავი მოწყობილი სანაპიროთი, სპორტული მოედნებით და ნავსადგომში მდგომი შესანიშნავი პატარა გემებით, ხოლო სასტუმროს სულ მაღლა ოქროს ასოებით მოჩანდა სასტუმროს სახელი „ვირუნია“. ეს ხომ გამარჯვებას ნიშნავს, გავიფიქრე მე. როგორ მოგწონთ მისტერ ჯორჯ ის სასტუმრო, რომლის გამოც ჩვენ ასე ხშირად ვკამათობდით. მე ის ასე წარმოვიდგინე დასრულების შემდეგ, შესანიშნავია, მე პირდაპირ სიტყვები არ მყოფნის ჯულია (მოფერებით მე მას ასე ვეძახდი), ეს ნახატი თქვენია, მისტერ ჯორჯ, მე მას თქვენ გჩუქნით. დიდი მადლობა ჯულია. ამას მე თქვენ არ დაგივიწყებთ და ამ სიურპრიზს იცოდეთ სიურპრიზით გადა- გიხდით, ისეთით რომელიც მართლა ძალზედ გაგაოცებთ. ვნახოთ მისტერ ჯორჯ, ღიმილით მომიგო მან. გამოფენის შემდეგ მე ჯულია სან-ფრანცისკოს ლამაზ და მდიდარ რესტორანში დავპატიუე. იქ შესანიშნავი მუსიკა უკრავდა და ჩვენ ორნი, ის და მე, მყუდრო, მაგრამ მდიდრულად გაწყო- ბილ სუფრას უჯექით, ტკბილად ვსაუბრობდი. გულახდი- ლად მითხარით, ვინ ხართ, თქვენ, მისტერ ჯორჯ მკითხა ჯულიამ, გეტყვით იმას რომ მე, ომგადახდილი და განსაც- დელ გამოვლილი ადამიანი ვარ, მაგრამ მუდამ მჯეროდა გამარჯვებისა, სიმართლისა და ღმერთიც მუდამ მფარვე- ლობდა, ამჟამად მე არსად არ ვმუშაობ და რაიმე კონკრე- ტული პროფესია არ გამარინია, მაგრამ ჩემი დანაზოგი საკ- მარისზედ მეტია და ჩემს მოთხოვნებს აკმაყოფილებს. ჯერ- ჯერობით ვცხოვრობ სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ სასტუმ- როში და ვაპირებ სახლის ყიდვას. მიყვარს ხელოვნება, ლიტ- ერატურა, თეატრი. მშობლები მე არ მყავს, არც ახლობლები, ომმა ყველას დამაცილა, მაქვს დიდი სურვილი ჩემი ოცნების ქალიშვილთან ოჯახის შექმნისა, გულახდილად გეტყვით ძვირფასო ჯულია, რომ მე თქვენდამი გულგრილი არა ვარ,

დაგინახეთ თუ არა ბარში ძალიან მომენტონეთ და თუ თქვენი გული თავისუფალია და ჩემს მიმართ რაიმე გრძნობა გაგაჩნიათ, მაშინ ჩვენ შეგვიძლია კარგი მეგობრები გავხდეთ, რომელიც ალბათ მომავალში დიდ სიყვარულში გადაიზრდება და ოჯახის შექმნით დამთავრდება. წინასწარ რაიმეს თქმა ძალიან მიჭირს, მისტერ ჯორჯ, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ არც მე გახლავართ გულგრილი თქვენს მიმართ, იმედიანად შევყურებ მომავალს და ბევრი სიკეთის გაკეთების იმედი მაქვს თქვენთან ერთად. ამ საუბარმა ჩემში წარუშლელი კვალი დატოვა და გადავწყვიტე ჯულია ცოლად მომეყვანა, მაგრამ ჯერ დიდი საქმე იყო გასაკეთებელი, ჩემი დიდი სასტუმროს მშენებლობა უნდა დამემთავრებინა და შემდეგ ჯულია დიდი სასტუმროს პატარა დიასახლისი უნდა გამეხადა. აი ეს იყო ჩემი სურპრიზი მისთვის. წლის ბოლოს სასტუმროს მშენებლობა დამთავრდა. მის გახსნაზე მოსაწვევები დავარიგე, პირველი მოსაწვევები ჯულიას და მის მშობლებს გაუუგზავნე სასტუმროს პატრონის ჯორჯ სმიტის სახელით.

სასტუმროს გახსნაზე ბევრი ხალხი მოვიდა, ქალაქის მერი, ბიზნესმენები, ბანკირები, ტურისტული და სხვადასხვა ფირმების წარმომადგენლები, სასტუმროს მშენებლობა 6 მილიონი დოლარი დამიჯდა, თუმცა ჩემი ანგარიში ბანკში ამ თანხას რამდენადმე აღემატებოდა. სასტუმროს პერსონალი კონკურსის შედეგად უკვე შერჩეული იყო და სტუმრებს ემსახურებოდა. სასტუმროს შესასვლელში დიდი დარბაზი იყო, რომლის ზემოთ დიდი ბროლის ჭალი ეკიდა, ბოლოში სცენა იყო გაკეთებული, მიკროფონებით აღჭურვილი — იქვე ორკესტრი იყო განთავსებული, სტუმრებს 20 ოფიციანტი ემსახურებოდა, მე იმ დღეს სხვადახსვა ადამიანებისაგან მრავალი მილოცვა და საინტერესო საქმიანი წინადადებებიც მივიღე. ისინი ყველა პარტნიორობას მთავაზობდა, მაგრამ მე ყველას თავდაჭერილად უარს ვეუბნებოდი. არავის ვენდობოდი, ერთი ადამიანის გარდა,

რომელსაც გულის ფანცქალით ველოდი. ისიც ცოტა  
დაგვიანებით გამოჩნდა და დარბაზში შემოვიდა მშობლებ-  
თან ერთად. მე მათ მივეგებე, ჯულია გადავკოცნე და  
ლიმილით უთხარი, აბა ძვირფასო მოემზადე, დღეს ჩემი  
სიურპრიზის ჯერია, წამობრძანდით ჩემთან ერთად, სად  
მიგყევართ მისტერ ჯორჯ, ეს სიურპრიზია ძვირფასო, ვუპა-  
სუხე მე, მისტერ ჯორჯ, მე ვხვდები, რომ სასტუმროს  
პატრონი თქვენი მეგობარი უნდა იყოს, მასთან მიგყევართ,  
მე ვიცი, და კიდევ, იცით რა, მისტერ ჯორჯ, მე რომ სურათი  
გაჩუქეთ იქ სასტუმროს ხედი იყო ასახული, თუ გახსოვთ იგი  
ძალზე წააგავს ამ სასტუმროს ხედს. ის სურათი ალბათ,  
თქვენ მეგობარს აჩვენეთ და მან ზუსტად ისეთი მოდელი  
გადაიღო, მისტერ ჯორჯ, გესმით ჩემი, ეს საოცარია. მე კი ამ  
დროს ჩემი ფერია მიკროფონთან მიმყავდა და აი ჩვენ სცე-  
ნაზე ვართ და საპატიო სტუმრები ჩვენ ტაშის გრიალით  
შეგვხვდნენ. ყოველი მხრიდან ტაშით მხვდებოდნენ, ყოველი  
მხრიდან მოლოცვები გაისმოდა ჩემს მიმართულებით. ყოვე-  
ლივე ეს აოცებდა ჯულიას. მას უკვე ენა ებმებოდა — მის-  
ტერ ჯორჯ, თქვენ ვინა ხართ, მისტერ ჯორჯ, თქვენ რატომ  
გიკრავენ ტაშს, რატომ გილოცავენ, ან რას გილოცავენ, მის-  
ტერ ჯორჯ, არაფერი მესმის. იგი სცენაზე ავიყვანე, პატარა,  
ლამაზი, ოდნავ შემკრთალი, იგი შესანიშნავი და განუმეორე-  
ბელი იყო. მე მიკროფონი ავიღე ხელში და ხმამაღლა გან-  
ვაცხადე შემდეგი: ძვირფასო მეგობრებო, მე თქვენ ყველას  
მოგესალმებით, ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის ამ  
შესანიშნავ დღეს დიდ მადლობას გიხდით მობრძანები-  
სათვის და იმ ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ გამოი-  
ჩინეთ ჩემდამი და ჩემს მიერ აშენებულ სასტუმროსადმი. მე  
ვისწავლე ერთი რამ, რომ ადამიანი ყველაფერს მიაღწევს თუ  
მას მიზანი აქვს. ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც ადამიანს ოცნე-  
ბა რეალობად ექცევა. ყველას, ვისაც აქვს უშრეტი გრძნობა  
გამარჯვებისა და ენერგია. ეს სასტუმროც ამის მაგალითია.  
იგი მრავალ ადამიანს მოუტანს შვებას, სიამეს, სიხალისეს

და სიყვარულს. დარწმუნებული ვარ ადამიანების სიცოცხლე აქ ყოფნის დროს უფრო ლამაზი და საინტერესო გახდება. ამისათვის მე და ჩემი კოლეგები ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ადმიანებს აქ ყველა პირობა ქონდეთ ღირსეული დასვენებისა, ეხლა კი ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ჩემი საცოლე ჯულია, რომელიც სულ მალე ამ დიდი სასტუმროს პატარა დიასახლისი გახდება, სწორედ მას მიუძღვის დიდი წვლილი ამ სასტუმროს თანამედროვე დიზაინის შექმნაში, ამ სიტყვის შემდეგ მე ნიშანი მივეცი და დარბაზის თავზე აბრჭყვიალდა მრავალი ნათურის ფერებში სასტუმროს სახელწოდება „ვირუსინია“ — გამარჯვება. ჯულიამ მაღლა აიხედა და მის თვალებში უდიდესი გაოცება და ბედნიერება ამოვიკითხე. იგი გულში ჩამეკრა და ყურში ჩამჩურჩულა, ძვირფასო ჯორჯ, შენ პრინცი ხარ, მე კი კონკია, რომელიც ზღაპრულ სასახლეში მოხვდა და ოცნება აუხდა. ამ დროს ტაში და აქეთ იქიდან შეძახილები გაისმა, გაუმარჯოს ჯორჯ სმიტს. ორკესტრმა შესანიშნავი მელოდია დაუკრა და მე ჯულია საცეკვაოდ დავპატიუე. ეს წამები ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დაუკინყარი იყო. მე ჩემი ცხოვრების მწვერვალზე ვიყავი, გვერდში კი საყვარელი ადამიანი მედგა, მაგრამ თურმე დიდი ბედნიერებიდან დიდ უბედურებამდე ერთი ნაბიჯი ყოფილა. ოფიციანტმა თევზით წერილი გადმომცა. მე გავჩერდი და ბარათი გადავიკითხე და გული შემეკუმშა, რადგან ბარათში შემდეგი ენერა:

გილოცავ მკვდრეთით აღდგომას ვირთხავ,  
შენი ძველი მეგობრები ციხე ალკატრასიდან  
იმედია მალე შევხვდებით

ჯუზეპე და როზანა

ცივმა ოფლმა დამასხა. დარბაზში მიმოვიხედე და ჯუზეპეს და როზანას მოვკარი თვალი, რომლებიც ერთმანეთს ეცეკვებოდნენ და მე ირონიული ღიმილით შემომცქე-

როდნენ, ხოლო ჯუზეპემ მრავალმნიშვნელოვნად ჩამიკრა თვალი.

ყოველივე ეს ჩემმა მასპინძელმა მეოთხე დღეს მიამბო და თან დასძინა, რომ ამ წერილის მიღებიდან ერთი თვე გავიდა ჩემი საპატიო სტუმრები ჯერ არ გამოჩენილან, მაგრამ ის მათ ყოველდღე ელის, მასპინძელმა ყველა უსაფრთხოების ზომა მიიღო, მაგრამ აღნიშნა მან მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი საინტერესო თავგადასავალი ჯერ არ დამთავრებულა და ყველაზე საინტერესო ჯერ კიდევ წინ არის. მალე მე ჩემს მასპინძელს და მის ლამაზ მეუღლეს დიდი სასტუმროს პატარა დიასახლისს გულისტკივილით დავემშვიდობე, სამუდამოდ დამამახსოვრდა ამ ქალის ეშხიანი თვალები, რომელშიც იგრძნობოდა ძლიერი ნებისყოფა და შემართება. მე მათ გამარჯვება ვუსურვე და გულდამძიმებული დავბრუნდი სასტუმროში, გადავწყვიტე ეს საინტერესო ამბავი აუცილებლად სამშობლოში გამომექვეყნებინა, რადგან დარწმუნებული ვარ მკითხველი გულგრილი არ დარჩება, ჩვენი თვისტორის საოცარი თავგადასავალის მიმართ.

## შურისძიება



გვიანი შემოდგომის ერთ ღრუბლიან დღეს თბილისში, მტკვრის სანაპიროს ერთ-ერთ სკვერში სკამზე ჩამომჯდარი შუახნის კაცი შევნიშნე, ჩაფიქრებული სიგარეტს ეწეოდა, რაღაც უხილავმა ძალამ გამაჩერა. იქვე, მის ახლოს, სკამზე ჩამოვჯექი და უცნობი უფრო ყურადღებით შევათვალიერე. მას კოსტიუმის საყელო აენია, წვერი მოშვებული ჰქონდა, ჭაღარაგამორეული თმები შუბლზე ჩამოშლოდა, ფეხი ფეხზე გადაედო და ნაღვლიანი თვალებით მტკვარს გასცეკეროდა, რაღაც მეცნო ამ კაცში, კვლავ ყურადღებით დავაკვირდი და მასში ჩემი თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარი ზურაბი ამოვიცანი. თვალს არ ვუჯერებდი, ნუთუ ის იყო, ძალზე შეცვლილი და მოტეხილი მეჩვენა. ენის ბორძიკით გაუბედავად გამოველაპარაკე, გამარჯობა ზურაბ — მან თავი ჩემსკენ დინჯად მოატრიალა. მე გურამი ვარ, შენი ძველი მეგობარი, ვერ მიცანი? იგი უცბად ვერ მიხვდა, თუ ვინ ვიყავი და რა მინდოდა. თანდათან ფიქრებიდან გამოერკვა, ყურადღებით შემათვალიერა და თითქოს რაღაცა გაახსენდაო, მითხრა.

გურამ შენა ხარ? გამარჯობა, მაპატიე, უცბად ვერ გიცანი და ძველმა მეგობრებმა ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და გადავეხვიეთ. 20 წელზე მეტია ერთმანეთი არ გვინახავს, ზურაბ, როგორ ხარ? სპორტს დაანებე თავი? ვკითხე მე.

სპორტს დიდი ხანია თავი დავანებე, ამჟამად არსად არ ვმუშაობ, შენ როგორა ხარ — არამიშავს ერთ-ერთ გამომცემლობაში ვმუშაობ. ეგ კარგია, მიპასუხა მან. ბედნიერი კაცი ხარ, გურამ. ალბათ, ცოლ-შვილიც გყავს. კი, მყავს. მე

და ჩემს მეუღლეს ორი ბიჭი და ერთი გოგო შეგვეძინა — ლმერთმა სიკეთე მოგცეს, ჩემო გურამ. შენ არ დაოჯახდი, ზურაბ? მე მარტოხელა კაცი ვარ, ამ ქვეყანაზე არავინ არ გამაჩნია. ეგ როგორ? დიდი ისტორიაა, გურამ სჯობს სხვა დროს ამის შესახებ. ისევ ძველ ბინაში ცხოვრობ, გურამ? დიახ, ისევ იქა ვარ. გამომიარე, როცა მოიცლი, აუცილებლად გამოგივლი, გურამ. კვლავ გადავეხვიეთ ერთმანეთს და დავშორდით. ამ შეხვედრის შემდეგ კარგა ხანმა განვლო და ერთ მშვენიერ დღეს ზურაბმა დამირეკა და მთხოვა, საღამოს მასთან მივსულიყავი. ყველა საქმე გადავდე და მასთან დანიშნულ დროს მივედი. იგი „ნაძალადევში“ ცხოვრობდა, კერძო სახლში, რომელსაც დიდი რკინის ჭიშკარი ჰქონდა. იგი ლია დამხვდა, სახლის კარიც ლია იყო, შინ შევედი და რამ-დენჯერმე ზურაბს დავუძახე, ხმა არავინ გამცა, მეორე სართულზე კიბით ავედი — პირველად დიდ ოთახში შევიხედე, რომლის ერთ-ერთ კუთხეში დიდი საწოლი იდგა და ზურაბი შიგ მწოლიარე დავინახე, იგი სიგარეტს ეწეოდა და იღიმებოდა, აი, ხომ ხედავ, გურამ, რა მდგომარეობაში ვარ. მას ხველა აუვარდა, რა მოგივიდა ზურაბ, ასეთი რა განუხებს, ამ ახალგაზრდა კაცს? ძალზე ცუდად ვარ, ძმაო, ვკვდები და სიკვდილის წინ მინდა რაღაც გითხრა, და თან გთხოვა... გპირდები, გურამ, თხოვნას შეგისრულებ, მაგრამ ჯერ მითხარი ასეთ დღეში ვინ ჩაგაგდო, ან ასეთ მდგომარეობამდე რამ მიგიყვანა. რამ და, ჩემო გურამ, უაზრო, ბრმა სიყვარულმა ქალისადმი, რომელსაც ვაღმერთებდი. მე საწოლთან ახლო მდგარ სკამზე ჩამოვჯექი და ყურადღებით ვუსმენდი მას... გახსოვს, სკოლა რომ დავამთავრეთ, რა ბედნიერები ვიყავით. მე კი ყველაზე ბედნიერი ვიყავი, იმიტომ, რომ შეყვარებული ვიყავი ნათიაზე. გახსოვს ნათია? მახსოვს, როგორ არ მახსოვს, ჰო და ეგ იყო ჩემი დამლუპველი. მაშინ ყველაფერს ვარდის ფერებში ვხედავდი და ნათიასაც როგორც ქალღმერთს, ისე შევცქეროდი, ქვეყანას მერჩია მისი ერთი ღიმილი, ასე მეგონა, უსაზღვრო და უსასრულო იყო ჩვენი სიყვარული. მერე ქორწილისათვის დავიწ-

ყეთ მზადება. ჩემს მშობლებს ძალიან მოსწონდათ ნათია, განსაკუთრებით დედას, რომელსაც ერთი სული ქონდა, სანამ იგი ჩვენს დიდ ოჯახში შემოვიდოდა. ოჯახი კი, შენც კარგად მოგეხსენება, დიდი და ბარაქიანი მქონდა. მამა ვაჭ-რობაში მუშაობდა და ჩვენ არაფერი გვაკლდა. მე ფიზიულ-ტურის ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი, ნათია — უნივერ-სიტეტის. მას დედ-მამა ადრე დაეღუპა და მამიდა ზრდიდა. სულ მალე ჩემი ბედის ბორბალი უკულმა დატრიალდა. ქორ-ნილის წინა დღეს არაკაცებმა გაძარცვეს და შემდეგ მომიკ-ლეს ჩემი ნათია. საპატარძლო კაბით მივაბარე მიწას ჩემი ერთადერთი სიყვარული და საფლავზე დავიფიცე მის მკვლელზე შურს ვიძიებდი.

მას შემდეგ სულ შევიცვალე, სწავლასა და სპორტს თავი დავანებე, განვმარტოვდი. გულჩათხრობილი, ენაძუნწი და კაცომოძულე გავხდი. შინაურები ვეღარ მცნობდნენ, მალე მშობლებიც დამეღუპა და დავრჩი მარტო. მხოლოდ ერთი რამ მამოძრავებდა, როგორმე მეპოვა ნათიას მკვლელი და სამაგიერო გადამეხადა, მაგრამ ეს არც ისე ადვილი აღმოჩნდა, პოლიციამ ამ საქმეზე ხელები დაიბანა, ვერაფერი გაარკვია და ვერც ვერავინ დაიჭირა. გადავწყვიტე, თავად მემოქმედა და მარტომ დავუწყე მკვლელებსა და ბანდიტებს ძებნა. იქამდე მივედი, რომ ქუჩაში გვიანობამდე დავეხეტებოდი, იქნებ ვინმეს გადავყროდი მოძალადეს, რათა ჯავრი მეყარა, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, აქაც არ მიმართლებდა და არავინ მეკარებოდა. იმ პერიოდში საქართველოს სხვა-დასხვა კუთხეებში, დიდ თუ პატარა ქალაქებში, ხშირი იყო ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობა. ეს ყოველივე ჩემს ირგვლივ ხდებოდა, ხოლო მე სულელივით დავეხეტებოდი, თითქოს ჩემი ეშინოდათ და არავინ მეკარებოდა.

ერთ საღამოს იმედგაცრუებულმა გადავწყვიტე კუკიის სასაფლაოზე წავსულიყავი, რათა კიდევ ერთხელ დამეღ-ვარა ცრემლი ნათიას საფლავზე. სასაფლაოს ქვებზე სხვადასხვა გვარის ადამიანების წარწერებმა გამიტაცა. მიც-ვალებულის ერთ გვარს მეორე ცვლიდა, მაინც რამდენი იყვ-

ნენ ეს საცოდავები, რომლებიც ერთ დროს მჩქეფარე სიცოცხლით ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, რაღაც უხაროდათ და სწყინდათ. ყველა თავის განუმეორებელი ცხოვრებით ცხოვრობდა და საბოლოოდ განსასვენებლად აქ, სასაფლაოზე მოეყარათ თავი, რარიგ სწრაფმავალია და უაზრო, ფუჭი ადამიანის ცხოვრება, განსაკუთრებით ჩემი. ამ ფიქრებში გართულმა ვერც კი შევნიშნე, ისე მივადექი ნათიას საფლავს, მუხლებზე დავიჩინქე და მწარედ ავტირდი. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასეთ მდგომარეობაში, როდესაც ქალის ტირილის ხმა შემომესმა. ამან გამომაფხიზლა. გვერდზე გავიხედე, შორიახლოს, ერთ საფლავთან უცნობი ქალი ცხარე ცრემლით დასტიროდა შვილის, ახალგაზრდა კაცის საფლავს. უცბად ვიღაცის ხმები შემომესმა, დავინახე, რომ, სამი ახალგაზრდა იმ მტირალ ქალს მიუახლოვდა და რაღაცაზე დაუწყეს საუბარი, ქალი შეკრთა, წამოდგა და წასვლა დააპირა, მაგრამ ერთმა მათგანმა მას მაჯაში ხელი წავლო, მეორეთი კი გულზე დაკიდებული ოქროს ჯვარი ჩამოგლივა, ქალი ატირდა და მოძალადეებს ხვეწნა დაუწყო, რომ მისთვის თავი დაენებებინათ. საცოდავს გაძარცვა არ აკმარეს და გაუპატიურება მოუნდომეს. ჩემი მოთმინების ფიალაც აივსო, შესაძლებლობა მომეცა, ნაძირლებისათვის სამაგიერო გადამეხდა. ერთ მოძალადეს უხმოდ მივუახლოვდი თმებით დავითრიე და თავი საფლავის წვეტიან მოაჯირზე დავარტყყმევინე. შუბივით შემართულმა რკინის შვერილმა თავის ქალა გაგლივა და მეორე მხარეს გავიდა. იგი უსულოდ დაეკიდა საფლავის მოაჯირს, ეს ისე სწრაფად მოვიმოქმედე, რომ დანარჩენმა მოძალადეებმა ხელის განძრევაც ვერ მოასწრეს და გაოგნებულებმა გაქცევით სცადეს თავის შველა, იქვე დაგდებული რკინის მილი შევნიშნე, ხელი დავავლე, გაქცეულს საფლავის მეორე მხარეს დავხვდი და მაჯის სისხო რკინა, რაც ძალა და ღონე მქონდა, თავში ჩავცხე. იგი თავგაჩეხილი უსულოდ ჩაიკეცა საფლავთან. ერთილა დამრჩა, რომელმაც დაინახა რა ბედი ეწია მის ამხანაგებს, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, მაგრამ მე ვერსაით

გამექცეოდა, საფლავებს შორის გაიჭედა და გზას ვერ იკვლევდა. მხოლოდ ერთი გზა რჩებოდა — უკან, ჩემკენ და ისიც თავგანწირვით წამოვიდა. თან ჯიბიდან დანა ამოიღო, გაშალა და ჩემსკენ გამოქანდა, დანა მეც ამოვიღე და მშვიდად ვუცდიდი მის მოახლოებას. როგორც არასდროს, ისე ვიყავი ჩემს თავში დარწმუნებული, რომ გამარჯვება ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაპრძოლაში მე დამრჩებოდა. მთელი სისწრაფით გამოქანებულს მთელი ძალით მოქნეული დანა შიგ გულში ჩავეცი. ის იქვე უსულოდ ჩაიკეცა. გაოგნებული ქალი კაბაანეული მომშტერებოდა და არ იცოდა რა ექნა, ეყვირა თუ ეტირა, მე სწრაფად გავეცალე იქაურობას.

ეს ჩემი პირველი გამარჯვება იყო ბოროტებაზე. ერთხელ, თბილისის ქუჩებში სიარულისას, ძველი ნაცნობი შემხვდა და უსიამოვნო ამბავი შემატყობინა: ჩვენი ოჯახის ერთ ახლობელს შვილი მოუკლეს, რამაც ძალზე ამაღელვა. იმავე დღეს წავედი მათ ოჯახში და ყოველივე გავარკვიე. თურმე დედა — შვილს მკვლელები სადარბაზოში დახვდნენ ძარცვის მიზნით, ორივესათვის მძიმე ბლაგვი საგანი თავში ჩაურტყამთ. დედა გადარჩა, მაგრამ მისი ვაჟიშვილი ვერაფრით გადაარჩინეს, თუმცა ბევრს ეცადნენ, იგი თავში მიღებული ტრამვისაგან დაიღუპა. ჩემი უბედურობით გამწარებული, ამ ამბავმა მთლად გადამრია. გადავწყვიტე ყველა საშუალება მეხმარა მკვლელების საპოვნელად და დასასჯელად. იმედი მქონდა ცხელ კვალზე მოძალადეებს აუცილებლად მივაგნებდი. როგორც ყოველთვის, პოლიცია სრულ უუნარობას იჩენდა, გამომძიებლები უცოდინარი და არაპროფესიონალი ადამიანები იყვნენ, თან ამას ემატებოდა მათი გამომძალველობა და მექრთამეობა. ისინი გარკვეულ თანხას ითხოვდნენ მკვლელის პოვნაში. გადავწყვიტე კვლავ მარტოს მემოქმედა. ფაქტების ანალიზის შედეგად მივედი დასკვნამდე, რომ თავდასხმა უნდა გამეორებულიყო, მიზეზი შემდეგში მდგომარეობდა, გადარჩენილი ქალბატონი მუშაობდა ვალუტის გადამცვლელ პუნქტში. იმ უბედურების დღეს მას საკმაო ნავაჭრი ჰქონდა, დაახლოებით სამი ათასი დოლარი. ამ

თანხით იგი სახლში ბრუნდებოდა. ეს იცოდნენ ყაჩაღებმა და მას სახლში გაჰყვნენ. გზაში მას შვილი შეხვდა, რომელმაც დედა სახლამდე გააცილა, მაგრამ სახლის მესამე სართულზე მათ თავს დაესხნენ, ერთი თავდამსხმელი ნაგვის ბუნკერთან იმალებოდა, მეორე ზემოთა სართულიდან ჩამოდიოდა, მე-სამე კი ქვემოდან ამოყვა კიბეს. სამივე მოძალადემ უსუსური დედა — შვილი ალყაში მოიქციეს. სასიკვდილოდ სცემეს. ვაჟი სასიკვდილოდ დაიჭრა თავში, მაგრამ დედა გონებაზე იყო, მან ჩანთა მიუგდო მძარცველებს და ისინიც გაუჩინარდნენ, რაც მთავარია ფული ჩანთაში არ იდო, იგი უბეში ჰქონდა დამალული ქალბატონს. ეს იმედს მაძლევდა, რომ ხელმოცარული მძარცველები თავდასხმას გაიმეორებდნენ. ყოველივე ეს თბილისის ერთ ძველ უბანში, ავლაბარში მოხდა. მეც ამ უბანში ვიყავი გაზრდილი. გადავწყვიტე გამევლო და შავი სამყაროს ძველი ნაცნობები მომენახულებინა და ზოგი რამ გამერკვია. ავლაბარი ნახევრად დანგრეული და ხალხისაგან დაცლილი დამხვდა. ლუკმა-პურის საშოვნელად ძველი ავლაბრელების უმრავლესობა სხვადასხვა ადგილებში იყვნენ გადახვეწილნი. უმეტესად იქ სომხები ცხოვრობდნენ, რომლებიც ძირითადად ხელოსნები იყვნენ და უფრო ხშირად რუსეთში მიდიოდნენ სეზონურ სამუშაოებზე. მაგრამ, ძველი მეგობრებიდან მაინც ვნახე რამდენიმე კაცი, რომლებიც პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ უბანში, მათ ვკითხე მომხდარის შესახებ. მათ იცოდნენ ამ უბედურების შესახებ და გაოცებულნი იყვნენ, იმ განუკითხაობით და სისასტიკით, რომლითაც გამოირჩეოდა ბოროტმომქმედთა ამჟამინდელი სამყარო საქართველოში. საშინელი დრო დადგა, ჩემი ძმაო, მიპასუხა ერთმა, შვილი მამას არ ინდობს, ძმა კი ძმას, ჩვენ სიტუაციას ვერ ვაკონტროლებთ. ერთხელ არაკაცები ჩემს სახლშიც კი შემოვიდნენ ლამით და ორმხრივი სროლის დროს ფეხშიც დამჭრეს. მანვე მიმანიშნა, რომ ყაჩაღთა უმრავლესობა იარაღის ხმარებაში დაოსტატებულია და რომ ეს, ალბათ, აფხაზეთის ომის გამოძახილია. ბევრი ნაძირალა არ

ღალატობს თავის ტრადიციას და, ომში ფსიქიურად მოშლილი, ყველაფერზე მიდის და არავის ინდობს. ჩემთვის ყველაფერი ცხადი შეიქნა. ასეთ საქმეებში არც პოლიცია და არც შავი სამყარო მე არ გამომადგებოდა. გადავწყვიტე ჩემი გეგმით მემოქმედა, რომელიც მეტად მარტივი იყო. მე შევთავაზე ჭირისუფალს — ქალბატონ ნანას ძალ-ღონე მოეკრიბა და შვილისათვის ორმოცის გადახდის შემდეგ, სამსახურში როგორმე კვლავ გასულიყო და იგივე გაემეორებინა, რაც იმ საღამოს გააკეთა, კერძოდ, ნავაჭრი ფული ყველას თვალწინ დაეთვალა, ჩანთაში ჩაედო და სახლისკენ წასულიყო, სადარბაზოსთან კი მე დავხვდებოდი და მისი შვილის მაგივრად მე გავაცილებდი სახლის კარებამდე და ასე გამეორდებოდა მანამ, სანამ მკვლელი თავის დანაშაულს კვლავარ არ გაიმეორებდა. ეს აზრი მოეწონა ქ.-ნ ნანას და ჩვენც საქმეს შევუდექით. აღნიშნული საქმისათვის სათანადოდ მოვემზადეთ, მე ორი იარაღი შევიძინე, ერთი — „ტეტე“ და მეორე „მაკაროვი“, შედარებით პატარა ზომის იარაღი ნანასაც ჩავუდე ჩანთაში. შვილის ორმოცის გასვლის შემდეგ, ქ-ნი ნანა სამსახურში გავიდა. მისი სახლი მეტროსთან ახლოს იყო და ხალხიც ბევრი ირეოდა. დოლარები, რომელიც მას ჩანთაში ჰქონდა, ყალბი იყო. მან შეგნებულად, ყველას დასანახად ჩაალაგა ჩანთაში ყალბი დოლარები და სახლისაკენ გზას დაადგა. მე მას სადარბაზოსთან შევხვდი და კიბით სახლამდის ავაცილე. სამწუხაროდ, იმ საღამოს საეჭვო ჩვენს ახლო-მახლო არავინ გამოჩენილა. ყოველ საღამოს დათქმულ დროს ვაცილებდი ნანას სახლში, მაგრამ არავინ გვეკარებოდა. უკვე ორი კვირა გავიდა და თავდამსხმელები არა და არ ჩანდნენ. ერთ საღამოს ნანა ჩვეულებრივ ჩანთაში ყალბი დოლარებით და იარაღით გამოვიდა სამსახურიდან, მე მას მეტროსთან დავხვდი და სახლში გავაცილე. სადარბაზოში რომ შევედით, უკრაურმა გრძნობამ მოიცვა ჩემი არსება, ასე მეგონა, ვიღაც გვითვალთვალებდა. კიბეს ნელა შევუყევით, ნანა წინ მიდიოდა, მე უკან მივყვებოდი. ნოემბერი იყო, საწვიმარი მეცვა და ჯიბეებში გატენილი ორი

იარაღი სასროლად მქონდა მომარჯვებული, იარაღები გადატენილი იყო, ორივეს დამცველი გავათავისუფლე. შინაგანად ვგრძნობდი, რომ დღეს უნდა ალსრულებულიყო შურისძიება, ნანას არაფერი ვუთხარი. ჩვენს ქვემოთ უკვე მესმოდა ვიღაცის ფეხის ხმა, ფეხის ხმა ზემოთა კიბიდანაც გაისმა, ყაჩაღთა ხელწერა მეორდებოდა, ესე იგი, მესამე სანაგვე ბუნკერთან იმალებოდა, მაგრამ რომელ სართულ-ზე? უკვე მეორე სართულზე ვიყავით, შემდეგ მესამეც ავიარეთ, ფეხის ხმები ზემოდან და ქვემოდან ახლოვდებო-და, მაშასადამე, მეოთხე სართულზე უნდა დაგვსხმოდნენ თავს, როგორც ადრე დაესხნენ უმწეო დედა-შვილს. მეოთხე სართული დაიწყო, ყველაზე საშიში ნაგვის ბუნკერი იყო, რადგან იქიდან ყველაზე ადვილი იყო უკნიდან თავდასხმა. პირველ დარტყმას მეც იქიდან ველოდი, შემდეგ, რა თქმა უნდა, საქმეს ქვემოდან და ზემოდან მომავალნი დაას-რულებდნენ. წინათგრძნობა და ვარაუდი გამართლდა. ძალზე დაჯერებული ვიყავი საკუთარ თავში. ყოველი მოძრაობა გათვლილი მქონდა, პატარა შეცდომა ან დაგ-ვიანება სასიკვდილო იქნებოდა ჩვენთვის — როგორც მოვე-ლოდი, პირველი თავდამსხმელი ნიღბით ნაგვის ბუნკერიდან გამოვიდა, რაღაც მძიმე საგნით ხელში და დასარტყყმელად ხელი აღმართა. მეორე ქვემოდან გამოჩნდა ისიც ნიღბით. მესამე ზემოდან გვიახლოვდებოდა იარაღით ხელში — მოქმედების დრო დადგა და ორივე ჩემმა იარაღმა ერთ-დროულად იჭექა ორ-ორი ტყვია ნაგვის ბუნკერიდან გამო-სულს და ქვემოდან ამომსვლელს დავახალე და ორივე იქვე სასიკვდილოდ ჩაიკეცნენ, მესამემ პირი იბრუნა და ზემოთ კიბეებს თავპირის მტვრევით აუყვა, მაგრამ არ ვაცადე მიმალვა, დავედევნე, სასროლ მანძილზე დავეწიე და ორივემ ერთდროულად ვისროლეთ. მე ტყვია ამცდა, მაგრამ ჩემმა ნასროლმა მიზანს მიაღწია, თავდამსხმელი მუცელში იყო დაჭრილი, იგი კიბეზე დაეცა და იარაღი ხელიდან გაუვარდა, მეორე ხელით მუცლიდან გადმოხეთქილ სისხლს იკავებდა, თავზე დავადექი ხელით ნიღაბი ჩამოვგლიჯე, ნათურის

შუქზე ახალგაზრდა კაცის ტკივილისგან დამანჭული სახე საცოდავად შემომცეროდა. მან რამდენჯერმე გამიმეორა, გთხოვთ, ნუ მომკლავ, ჩვენ შენ არაფერს გერჩოდით იარაღი აღვმართე და თავში დავუმიზნე. ეს შენ ნათიასა და ნუკრისათვის და იარაღმაც იგრიალა. ამის შემდეგ ნანასთან სწრაფად დავბრუნდი. იგი შიშისაგან ცახცახებდა და ხმას ვერ იღებდა. სახლამდე მივაცილე და დავარიგე, ვისაც არ უნდა ეკითხა მისთვის, ამ ამბის შესახებ მას არაფერი ეთქვა. მე კიბეზე სწრაფად დავეშვი და სადარბაზოდან გამოვედი. იქვე ვიღაც ახალგაზრდა მოუსვენრად ტრიალებდა, გვერდზე მანქანა იდგა, ძველი ვოლგა. ის მანქანაში მსხდომთ მიუახლოვდა, გავიგონე, შენუხებულმა როგორ უთხრა, „მაღლა სროლის ხმა გავიგე და ჩვენს ბიჭებს რამე ხომ არ დაემართათ“. შემდეგ მანქანაში ჩაჯდა და გამწარებულმა სიგარეტს მოუკიდა, მე აღარ დავაყოვნე. გასაგები იყო, რომ ისინი ერთად იყვნენ და უცდიდნენ თავდამსხმელებს. ჯიბიდან ყუმბარა ამოვილე, რომელიც ყოველშემთხვევისათვის მაინც წამოვილე. ერთმა აზრმა გამიელვა თავში, სიგარეტის, ღერი პირში ჩავიდე, შემდეგ ყუმბარა მოვიმარჯვე სასხლეტი ავხსენი, ისე, რომ ხელი არ გამიშვია. მანქანას სწრაფად მივუახლოვდი, რომელშიც ყაჩალთა დამქაშები ისხდნენ. ფანჯარაზე მივუკაუნე და სიგარეტზე მოკიდება ვთხოვე, ფანჯარა ჩამოუშვეს და სანთებელა მომაწოდეს. ერთი ხელით სიგარეტს ვუკიდებდი და წამებს ვითვლიდი, რადგან მეორე ხელში უკვე ასაფეთქებლად გამზადებული ყუმბარა მეჭირა, სიგარეტს მოვუკიდე და სამი წამი გავიდა, ყუმბარის ასაფეთქებლად ოთხი წამი რჩებოდა. სანთებელა მანქანის ღია ფანჯრიდან სწრაფად მივაწოდე და ყუმბარაც ზედ მივაყოლე, რომელიც მათ ფეხებთან დაეცა. ეს ჩემგან თქვენ, ბიჭებო, ირონიულად მივაყოლე და იმ ადგილს სწრაფად გავეცალე. რამდენიმე წამში საშინელი აფეთქების ხმა გაისმა, მაგრამ მე მოვასწარი უხილათო ადგილზე მისვლა და უკან მივიხედე. ძველი ვოლგა ნახევრად დანგრეული სანთელივით იწვოდა. მანქანის მხარეს გადავაფურთხე და გზა

განვაგრძე. ეს ჩემი მეორე გამარჯვება იყო ბოროტებაზე.

დრო კი მიდიოდა, ჩემს ცხოვრებაში არაფერი იცვლებოდა, გული კვლავ დამძიმებული მქონდა, უკმარისობის გრძნობა მტანჯავდა, რადგან ჩემ ნათიას მკვლელებს ვერა და ვერ მივაგენი. მალე ბედმა გამიღიმა, რამდენიმე ისეთ პიროვნებას დავუახლოვდი, რომლებიც ქურდობით ირჩენდნენ თავს. მათი ნდობა რომ დამემსახურებინა, რამდენჯერმე საქმეზეც კი გავყევი, მაგრამ ყოველივე ჩემი მცდელობით უშედეგოდ მთავრდებოდა. მათ ეჭვი ჩემზე არ აუღიათ. განსაუთრებით ერთს დავუახლოვდი, თენგიზი ერქვა, იგი ცხოვრების უკულმართობის გამო დასდგომია ცუდ გზას, მაგრამ ცუდი ბუნების კაცი არ ჩანდა. ერთხელ ყურადღებით დამაკვირდა და მითხრა, გატყობ, რაღაც დარდი განუხებს, სულ დაღვრემილი დადიხარ, თქვი, იქნებ რამეში დაგეხმარო. კარგი, გეტყვი, თენგიზ, რაც მაწუხებს. იქნება მართლაც დამებმარო, იმ ტერიტორიაზე, სადაც თქვენ ქურდობთ, ერთი ოჯახი ცხოვრობდა, მათ ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდათ, რომელსაც ნათია ერქვა, ამ რამდენიმე წლის წინ, ნათიას ვიღაც თავს დაესხა, მოკლა და გაძარცვა. ჩემი ახლობლის ოჯახია და მაინტერესებს ხომ არავის იცნობ, ისეთს, რომელმაც ეს ჩაიდინა. რომ გითხრა კიდეც, შენ რაში გაინტერესებს ეგ ამბავი, რა, სამაგიერო გინდა გადაუხადო? იქნებ შეყვარებული იყავი იმ გოგოზე, ეგეც მითხარი. არ დაგიმალავ თენგიზ, ჩემი შეყვარებული იყო. იმ დღეებში ჯვარი უნდა დაგვეწერა, მაგრამ ნაძირალას ხელმა მას სიცოცხლე მოუსწრაფა. მას შემდეგ ვეძებ ჩემი ნათიას მკვლელს და ვერ მიპოვნია. არ ვიცი, ძმაო, ნამდვილად არ ვიცი, ვინ ჩაიდინა ეს ბოროტება. ამით დამთავრდა ჩვენი საუბარი, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავდი, რომ აუცილებლად მივაგნებდი მკვლელს და ანდერს ავუგებდი, ამიტომ იძულებული ვიყავი მათთან კავშირი არ გამეწყვიტა. ერთხელ თენგიზმა და მისმა დამქაშებმა ერთი მდიდარი კაცი გამოიჭირეს და დაემუქრნენ ამა და ამ დღეს მოვალთ და ფული სახლში ჩემოდნით დაგვახვედრე, თორემ ოჯახს ამოგიწყვეტთო. ეს

საქმე თავიდანვე არ მომენტონა და თენგიზს ვურჩიე ის კაცი დანიშნულ დროს სახლში ფულს კი არა პოლიციას დაგახვედრებთ და ყველას დაგიჭერენ. ვიცი, რომ დაგვახვედრებს, ჩვენ ამისათვის მზად ვართ, შენ ქვევით იჯექი მანქანაში, თუ დაგვიჭერენ, წახვალ და მორჩა, ჩვენ შენ არ გაგყიდით. დანარჩენი ჩვენ ვიცით. დარდი ნუ გაქვს, ძმაო, დარწმუნებული ვარ, ყველაფერი კარგად დამთავრდება და ჩვენ დანაპირებ თანხას მივიღებთ. მაინც რა თანხაზეა ლაპარაკი, შევეკითხე მე. 100 ათას დოლარზე, საიდანაც შენი 10% იქნება, თანახმა ხარ? თანახმა ვარ, ვუპასუხე მე. დათქმულ დროს საქმეზე სამი კაცი წავედით; თენგიზი პოლიციის პოლკოვნიკის ფორმაში იყო გამოწყობილი, მისი ამხანაგი — რიგითი პოლიციელის ფორმაში. სახლის წინ მანქანა გავაჩერეთ, დანამდვიღებით ვიცი, თქვა თენგიზმა, რომ იმ კაცის სახლში პოლიციის ოთხი თანამშრომელია ჩასაფრებული, ფულის გადაცემის დროს უნდა აგვიყვანონ, მაგრამ პოლიციის ფორმით რომ გვნახავენ თავისიანები ვეგონებით ადვილად განვაიარალებთ და ფულსაც წამოვიღებთ. ეს არის ჩვენი გეგმა, მარტივი, მაგრამ საიმედო. ისინი მანქანიდან გადავიდნენ და სადარბაზოში შევიდნენ, მე დრო დავინიშნე, წუთები გადიოდა, რომელიც უსასრულოდ მეჩვენებოდა, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი და ყოველ წუთს საათს დავყურებდი, ყველაფერი 20 წუთში უნდა დამთავრებულიყო. უკვე 25 წუთი იყო გასული, ისინი რატომდაც იგვიანებდნენ, როგორც იქნა თენგიზი გამოჩნდა, ძლივს მოდიოდა, ერთ ხელში დიპლომატი ეჭირა, მეორეში კი იარაღი. პერანგი სისხლით ქონდა გასვრილი. ეტყობოდა, დაჭრილი იყო. მანქანიდან სწრაფად გადმოვედი და ჩაჯდომაში მოვეხმარე. სწრაფად გარეკე... სად არის გია? ვკითხე მე. დაიღუპა, მიპასუხა თენგიზმა და მთხოვა სწრაფად გავცლოდით იქაურობას. მანქანა ადგილიდან მოვწყვიტე და სხვა მანქანების ნაკადს შევუერთდი. რა მოხდა თენგიზ აღარ იტყვი? თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა; მოტყუვდენ, და კარი გამიღეს, შემდეგ ოთხივე პოლიციელი განვაია-

რაღეთ, ხელ-ფეხი შევუკარით, ფული ავიღეთ და კარისაკენ წავედით. ამ დროს მეხუთე პოლიციელმა საპირფარეშოდან სროლა აგვიტება. ჩვენ ის სათვალავში არ გვყოლია, გია იქვე დაიღუპა, მე კი დავიჭერი, მაგრამ გასროლა მაინც მოვასწარი და ის პოლიციელი ადგილზე მოვკალი. სახლის პატრონიც მივაყოლე. ქალაქებარეთ, წინასწარ გამზადებულ ბინაში მივედით. თენგიზი მანქანიდან ძლივს გადმოვიყვანე, სახე ტკივილისგან ემანქებოდა, მაგრამ დიპლომატს ხელიდან არ უშვებდა. სახლში შევიყვანე და საწოლზე დავაწვინე კოსტუმი და პერანგი გავხადე, აღმოჩნდა, რომ ორი ჭრილობა ჰქონდა, ერთი — მხარში, მეორე — მუცლის არეში. ჭრილობა საშიში მეჩვენა. თენგიზ, ექიმს უნდა გამოვუძახოთ, რას ამბობ, ხომ იცი, რომ ეგ არ შეიძლება. ექიმი არ მჭირდება. გჭირდება სისხლისგან იცლები. უცხო ექიმის გამოძახება ჩემი ციხეში მიყვანის ტოლფასია. ჯერ-ჯერობით გადამიხვივე, შემდეგ კი, ერთი ნაცნობი ექიმი მყავს. სჯობია ის გამოვიძახოთ. მან ტელეფონის ნომერი მომცა და მეც დავრეკე, მაგრამ ექიმი სახლში არ აღმოჩნდა, თენგიზი კი სისხლისაგან იცლებოდა. მე ჭრილობა გადავუხვივე, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. იგი თანდათან სუსტ-დებოდა, მან დამიძახა: ჩამოჯექი გურამ საწოლზე, ვგრძნობ ჩემი საშველი არ არის, ვკვდები, მოვიდა ჩემი აღსასრულის დრო. ეს ფული შენ გრჩება და ღმერთმა სიკეთეში მოგახმაროს. ერთი რამ უნდა გითხრა, არ მინდა ეს ამბაქვი სამარეში ჩავიტანო, ეს შენ უნდა იცოდე, გახსოვს ის გოგო, ნათია რომ ახსენე, მე ცივმა ოფლმა დამასხა. ის გოგო მე შემომაკვდა, ზურაბ, რაც არ უნდა მწარე იყოს შენთვის ეს, შენ სიმართლე უნდა იცოდე. ნათია ჩემი საყვარელი იყო, მე და ის სამი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს, ბოლოს მე დამიჭირეს ქურდობაზე. რომ გამოვედი ციხიდან და ვნახე, მითხრა, რომ თხოვდებოდა და ესეც დააყოლა: მართალია, ჩემი მომავალი მეუღლე მე არ მიყვარს, მაგრამ მას მდიდარი მშობლები ჰყავს და მისი ცოლობა ურჩევნია ქურდის ცოლობას. იგი სამუდამოდ განშორებას მთხოვდა. მე მის

შესაშინებლად იარაღი ამოვილე და დავუმიზნე, თუ შენ მე თავს დამანებებ, ჩვენს ურთიერთობას შენს საქმროს გავაგებინებ, მივუგე მე. ამის გაგონებაზე გიჟივით მომვარდა და იარაღის წართმევა მომინდომა, შემთხვევით იარაღი გამივარდა და ტყვიამ მას გულში გაუარა. ღმერთია მოწმე, მისი მოკვლა არ მინდოდა. გაოგნებულს თავის მოკვლაც კი მინდოდა, იმიტომ, რომ მიყვარდა. შემდეგ მას მაჯიდან ოქროს საათი შევხსენი და სახსოვრად დავიტოვე, მუდამ თან დამქონდა. აი, ისიც და მან ნათიას ოქროს საათი მომაწოდა. აიღე, ვიცი, შენი ნაჩუქარია ის მე აღარაფერში გამომადგება. ამ სიტყვების შემდეგ, მას ხველა აუვარდა, თითქოს რაღაცის თქმას კიდევ აპირებდა, წამოინია ლოგინზე და შემდეგ უსულოდ დაეცა... შეძრწუნებული ვიდექი ნათიას მკვლელის გვამის წინაშე და არც ვიცოდი, რა გამეკეთებინა — მეტირა თუ მეცინა... სიმართლე მეტად მწარე აღმოჩნდა, გამოდის, ნათიას არ ვყვარებივარ და ანგარებით მომყვებოდა ცოლად. მე კი მისი სიყვარულისა და ხსოვნისათვის რა არ გავაკეთე. მისი მკვლელის ძებნაში რა არ მოვიმოქმედე, ტყუილად გავრჯილვარ და ყველაფერი უაზრობა ყოფილა. ნათია ლირსი არ იყო არც ჩემი სიყვარულის და არც შურისძიების. ჩემმა სიცოცხლემ აზრი დაკარგა, აი, აიღე, გურამ, ეს თანხა და ჩემი თხოვნაა იგი უსახლკარო ბავშვებს გადასცე — ზოგი შენც გამოიყენე და მან ფულით სავსე დიპლომატი გადმომცა. მე კი, ჩემო მეგობარო, დროა ყოველივეს წერტილი დავუსვა. ამ სიტყვებით მან ბალიშიდან იარაღი გამოიღო და ტყვია შუბლში დაიხალა, ჩემ წინ საწოლზე თავგახეთქილი მეგობრის გვამს გაოგნებული შევყურებდი. შემზარავი სანახაობა იყო, მან ტრაგიკული ცხოვრების გზა განვლო და სიცოცხლე ასე უაზროდ დაასრულა. ასე დამთავრდა ერთი უგონოდ შეყვარებული კაცის შურისძიების ისტორია.

## ქცნაური სიყვარული



მოსვენებას არ მაძლევდა ჩემი მეგობრის უცნაური სიკვდილი. და როდესაც ერთ-ერთი რაიონის გამომძიებლად დავინწყე მუშაობა, შესაძლებლობა მომეცა უფრო მეტი ყურადღებით გავცნობოდი საგამომძიებო მასალას. მე და მორისი ერთად ვსწავლობდით სკოლაში, იგი თავიდანვე ხელოვნებაზე იყო შეყვარებული — მხატვრობაზე, ისტორიაზე, არქეოლოგიაზე. ჩემი გატაცება კი სხვა იყო, მუდამ დეტექტიური ლიტერატურის ძიებაში ვიყავი, არ დამრჩენია ამ დროის არც ერთი წიგნი, რომელიც არ წამეკითხა და შედეგმაც არ დააყოვნა — სკოლის დამთავრების შემდეგ მე იურიდიულზე ჩავაბარე, მორისმა კი ისტორიულზე — არქეოლოგიის განხრით. შემდეგ მე დავვოჯახდი, მორისი კი არ ჩქარობდა ოჯახის შექმნას. ჩვენ უკვე იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს, მაგრამ მის შესახებ ყველაფერი ვიცოდი. უმაღლესის დამთავრების შემდეგ მას დედ-მამა გარდაეცვალა და ძველებურ სახლში ვერაზე მორისი მარტოდ-მარტო დარჩა. მერე კი სულ არქეოლოგიურ ექსპედიციაში იყო, შემოიარა მთელი საქართველო და თავის საქმეებში მთლიანად ჩაიძირა, ისე რომ ამხანაგებისათვის აღარ ეცალა.

ერთ მშვენიერ დღეს კი მეგობრებმა მაცნობეს, რომ მორისი აღარ არის, იგი უეცარი სიკვდილით გარდაიცვალა. ამან საშინლად შემძრა და გადავწყვიტე გულდასმით გავცნობოდი მისი უცნაური სიკვდილის ამბავს, მაგრამ საქმე უკვე დახურული იყო. სამედიცინო ექსპერტიზამ თავისი სიტყვა თქვა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ მორისს სუსტი გული ჰქონდა და მან თავისი გამოფენის გახსნისას

საკმაოდ ბევრი დალია, რის შედეგად იგი გულის ინფარქტით გარდაიცვალა. ამ დასკვნაში თავიდანვე შევიტანე ეჭვი, მორისს გული არასოდეს აწუხებდა, და სასმელსაც არ ეტანებოდა. მაშ რამ, ან ვინ მოკლა ჩემი მეგობარი მორისი, ამის გამოძიება გადავწყვიტე და შევუდექი ძიებას.

დავიწყე მისი საყვარელი საქმით, რომელიც მას უყვარდა და ერთგულად ემსახურებოდა, ეს იყო მისი სამსახური, არქეოლოგიური ცენტრი, სადაც ბოლო წლებამდე მოღვაწეობდა. გამოირკვა, რომ მას ბოლო დროს საკმაოდ საინტერესო მასალა დაუგროვდა, მორისს ნაწილი თავისი ნამუშევრებისა სახლში ჰქონდა კოლექციის სახით, რას არ შეხვდებოდით აქ: რესტავრირებულ ძველ შრომისა და ბრძოლის იარაღებს, თიხის ქოთნებს პირადად მის ნახატებსა და ნაძერწებს. ბოლო დროს იგი ნარიყალას ციხის გამოკვლევასა და გათხრებში მონაწილეობდა, იქ აღმოჩნდა უძველესი ადამიანის თავის ქალებისა და ძვლოვანი ნაშთების დიდი სამარხები. მან დიდი წვლილი შეიტანა იმის დადგენაში, თუ ვის ეკუთვნოდა სამარხები.

ვისი შთამომავლები იყვნენ პირველი თბილისელები და მათი შორეული მემკვიდრეები თბილისის რეგიონიდან ანთროპოლოგების განკარგულებაში 58 თავის ქალა იყო რესტავრირებული და შესწავლილი, აქედან 42 ადრე ბრინჯაოს და შუაბრინჯაოს პერიოდის დედაკაცის თითო თავის ქალით იყო ნარმოდგენილი. სწორედ ერთ-ერთ თავის ქალას დაახარჯა მორისმა დიდი ენერგია და დრო. აღდგენილი იქნა არა მარტო თავის ქალა, არამედ მისი ჩონჩხიც. შემდეგ მან თიხის საშუალებით ადამიანის თავის ქალა და ჩონჩხი შეავსო, სათანადო შემოსა და მიიღო შესანიშნავი ახალგაზრდა ქალის ქანდაკება. მან იგი თავის ოთახში დადგა, მნახველები აღტაცებას ვერ მალავდნენ ასეთი შესანიშნავი ქმნილების გამო.

რაიონის მილიციის უფროსს ჩემი ეჭვები გავუზიარე. შევეცადე ამეხსნა მისთვის, რომ მორისის უეცარ სიკვდილ-

ში ბევრი რამ იყო ამოუცნობი და გასარკვევი. მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო ის, რომ მორისი ჯანმრთელი იყო და გულს არ უჩიოდა არასოდეს, არც სასმელს ეტანებოდა. ეს იმის საფუძველს იძლეოდა, რომ შესაძლებელი იყო იგი თავის სიკვდილით კი არ იყო მკვდარი, არამედ ვიღაცამ მოკლა. მე მას ვთხოვე ეს საქმე ჩემთვის მოენდო და იგი დამთანხმდა.

მეორე დღეს ბინის გაჩერეკვის ორდენით ხელში მორისის სახლს მივადექი. კარები დალუქული დამხვდა, ლუქი ფრთხილად მოვხსენი და სახლში შევედი. ბინა ვერაზე მდებარეობდა, მეორე სართულზე, იგი სამი ოთახისაგან შედგებოდა ორი ოთახის ფანჯრები ბაღში გადიოდა. ბინაში ყველაფერს სიძველის ნიშანი დაჰკრავდა, ძველებური ავეჯით იყო გაწყობილი, საწოლი ოთახი არეული იყო, სამივე ოთახში მრავლად იყო წიგნების თაროები, რომლებიც სხვადასხვა წიგნებით იყო სავსე, ბინაში დახუთული ჰაერი იდგა. ფარდები გავწიე და ფანჯრები გავხსენი, ოთახები განათდა, საწოლი ოთახიდან გასასვლელი პირდაპირ ორ დიდ ნათელ ოთახში გადიოდა, ორივე ოთახში მისი ნამუშევრები იყო გამოფენილი. რას არ შეხვდებოდით აქ — მის მიერ შესრულებულ ნახატებს, თიხისგან გამოძერწილ სხვადასხვა ქანდაკებებს, არქეოლოგიურ ექსპედიციებში აღმოჩენილ სხვადასხვა საუკუნეების შრომისა და ბრძოლის იარაღებს, და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანს და საინტერესოს ჩემთვის - ადამიანის თავის ქალებს და მის მიერ აღდგენილ და ძეგლად ქცეულ ადამიანის ჩონჩხს. შევხედე თუ არა, ლამის გონება დავკარგე. თვალს არ ვუჯერებდი ჩემს წინ ჩემი გარდაცვლილი თანაკლასელისა და მორისის შეყვარებული ლალის ქანდაკება იყო. საოცარი ოსტატობით იყო შესრულებული აღდგენილი თავის ქალის სახე, თვალები, წამნამები, ცხვირი, ნიკაპი, ტუჩები, თმები თითქოს ჩემს წინაშე ლალის ორეული ყოფილიყოს. მხოლოდ ტანთ შემოსილი იყო შუა საუკუნეების ტანსაცმლით. ბავშვობისას ლალი მორისს

ძალიან უყვარდა, მაგრამ ლალი მშობლებთან ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა და მორისი ამას ყოველთვის საშინლად განიცდიდა. აღნიშნული ძეგლი მიფარებულ ადგილას იყო ფანჯარასთან, მას შავი ტილო ჰონდა გადაფარებული. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ვიღაცას განზრახ მოფარუბულ ადგილას დაედგა, მაგრამ დასადგმელი, რაზეც ქანდაკება უნდა ყოფილიყო დასადგმელი, ოთახის შუაგულში იდო. მორისი მის ახლოს ნახეს მკვდარი. რამ შეაშინა იგი, რამ გაუხეთქა მას გული, ეს ეჭვები არ მას-ვენებდა. საწერ მაგიდას მივუახლოვდი, რომელიც საწოლ ოთახში იდგა, გამოვალე სათითაოდ ყველა უჯრა და გავსინჯე. აქ აღმოვაჩინე მორისის ოჯახის სურათების ალბომი. ალბომის გვერდით ქაღალდში გახვეული რაღაც შევნიშნე. გავხსენი და შიგ ლალის სურათები აღმოჩნდა. სურათები სხვადასხვა დროს იყო გადაღებული, ლალი ამ სურათებში ძალზე ლამაზად გამოიყურებოდა, შესაძლებელი იყო, რომ მორისი ამ სურათებს იყენებდა ძეგლის სახის აღსადგენად. ერთ-ერთი სურათი ავიღე და ქანდაკებას მივუახლოვდი, შევადარე სურათი და აღდგენილი თავის ქალა, საოცარი მსგავსება შევნიშნე. მორისს ყველაფერი გაეკეთებინა იმი-სათვის, რომ ლალი გამოესახა თავის ქმნილებაში, ცხადი იყო მას ლალო სიკვდილის შემდეგაც უყვარდა. და მან შექმნა თავის შეყვარებულის მსგავსი ხელოვნების ქმნილება, რომელსაც იგი, როგორც ცოცხალს, ისე ეთაყვანებოდა და დიდ სიამოვნებას ღებულობდა.

ბინაში საეჭვოდ მივიჩნიე ის, რომ ქანდაკების დასადგმელი შუა ოთახში იყო. მასზე ქმნილება არ იდგა, იგი თითქოს განზრახ გადადგა ვიღაცამ შედარებით მიფარებულ ადგილას. მორისი კი ნახეს მკვდარი ოთახის შუაგულში, სადაც ქანდაკება უნდა მდგარიყო. შემდეგ დღეებში მეზობლებიც დავკითხე, მათ მნიშვნელოვანი ვერაფერი მითხრეს, ყველა აღნიშნავდა, რომ მორისი კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, თუმცა ერთმა

მეზობელმა გოგონამ საგულისხმო ფაქტი გაიხსენა. იმ ღამეს, როდესაც მორისი გარდაიცვალა, მას ძალზედ ცუდად ეძინა და ღამე სამზარეულოში გავიდა ძილის წამლის მისა-ღებად, უნებლიერ ფარჯარაში გაიხედა და უცნობ ახალ-გაზრდა გოგონას მოჰკრა თვალი, მას შევი კაბა ეცვა და ღამეში უჩვეულოდ გამოიყურებოდა. იგი შეშფოთებული ჩანდა და აქეთ-იქით იყურებოდა თითქოს ვიღაცას ემალე-ბოდა, მას თავზე ხილაბანდი ჰქონდა მოსხმული და სახე არ უჩანდა.

მორისის სამსახურში კიდევ ერთხელ გავიარე და ვთხოვე დირექტორს მორისის შესახებ გაეხსენებინა ყველა წვრილ-მანი, რომელსაც გამოძიებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნე-ბოდა. ბევრს ვერაფერს გეტყვით, მომიგო დირექტორმა, მო-რისი შესანიშნავი ადამიანი იყო და კარგი სპეციალისტი, იგი დიდი გულისყურით ეკიდებოდა თავის საქმეს, განსაკუთრე-ბით ბოლო არქეოლოგიურ გათხრების დროს მან ძალზე დიდი მონდომება გამოიჩინა და შედეგიც მიიღო.

- როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მორისს ქალების მიმართ?! - ვკითხე მე.

ძალიან კარგი, მომიგო მან, იგი უცოლო კაცი გახლდათ და მოგეხსენებათ ამ შემთხვევაში მისდამი ინტერესი გაუთხო-ვარი ქალებისა მეტი იყო, მაგრამ იგი საკმაოდ თავდაჭრი-ლად იქცეოდა და არავისთან განსაკუთრებულ დამოკიდე-ბულებას არ იჩენდა. თუმცა, იგი გადაჭარბებულ ყურად-ღებას ერთ ახალგაზრდა გოგონას მიმართ ამჟღავნებდა, მაგრამ მორისმა ამ ცდუნებასაც გაუძლო. კარგია თუ არა ეს, ვერ მოგახსენებთ. ეს ალბათ მათი გადასაწყვეტი უფრო იყო.

- ვინ არის ის ახალგაზრდა ქალი, - ვკითხე მე.

- ჩვენი თანამშრომელი ხათუნაა, რომელიც მორისზე თავდავიწყებით იყო შეყვარებული.

- სად არის იგი ეხლა და შეიძლება თუ არა მისი ნახვა? - ვკითხე მე.

- იგი ამჟამად მოსკოვში იმყოფება დედასთან, ამ რამდენ-

იმე დღის წინ გაემგზავრა. უხელფასო შვებულება აიღო იმ მიზეზით, რომ დედა შეუძლოდ ჰყავდა და მას ყურადღება ესაჭიროება. გულმა აჩქარებით დამიწყო ცემა. ინსტინქტით ვიგრძენი, რომ კვალს მივაგენი.

- თუ შეიძლება მისი მისამართის გაგება თბილისში? - როგორ არა, ჩვენ კადრებში ყველას მისამართი გვაქვს, მომიგო მან და დაავალა მდივანს, ხათუნას მისამართის დადგენა. მისამართი შემომიტანეს, მე დავემშვიდობე დირექტორს და ხათუნას ბინის ჩხრეკვის ორდერის ასაღებად გავემგზავრე. ერთ საათში ბინის გაჩხრეკვის ორდერი ხელთ მქონდა. იგი ავლაპარში ცხოვრობდა მარტო, ერთ ძველ ოროთახიან სახლში. კარები მოწმეებთან ერთად გავაღე და მე და ორი მილიციის თანამშრომელი სახლში შევედით. მეორე სართულზე იყო მისი ბინა, ცალკე სადარბაზოდან ჰქონდა შესასვლელი, ოთახებში ცალ-ცალკე იყო შესასვლელი, დიდი შუშაბანდი გადიოდა ქუჩის მხარეს, ბინა მყუდრო იყო. საძინებელი ოთახი არეული დამხვდა, კარადიდან გამოლებული ტანსაცმლის ნაწილი ლოგინზე ეყარა; მეორე ოთახში შედარებით სისუფთავე და წესრიგი სუფევდა, საწერ მაგიდას მივუახლოვდი, უჯრები ჩაკეტილი აღმოჩნდა, გასაღები მოვარგე და გამოვაღე. ძველუბური საწერი მაგიდა იყო, 7 უჯრისაგან შედგებოდა, გასაღები მხოლოდ შუა უჯრას ჰქონდა, რომელიც კეტავდა და აღებდა ყველა დანარჩენს. რიგრიგობით დავიწყე დათვალიერება, ერთ-ერთ უჯრაში აღმოვაჩინე ოჯახის ალბომი, სადაც ხათუნას მშობლების სურათებიც იყო, შემდეგ ცალკე პირადად მისი სურათების ალბომი ვნახე, იგი მეტად სიმპატიური ქალბატონი აღმოჩნდა, ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა. შემდეგ ამავე ალბომის ბოლოს მორისის სურათებს წავაწყდი, საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა მორისის სურათები, სადაც იგი სხვადასხვა დროსა და ადგილზე იყო გადაღებული: საწერი მაგიდის ერთ უჯრაში წერილები აღმოვაჩინე, წერილი მორისის იყო, გადავიკითხე და ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა.

მორისი წერილში სთხოვდა ხათუნას, რომ თავი დაენებებინა, წერილს მორისი ასეთი ფრაზით ამთავრებდა „რაც იყო იყო, ჩვენ ერთმანეთისთვის არ ვართ დაბადებული, გთხოვ დამი-ვიწყო“. ცხადი იყო ხათუნას გრძნობები მორისისადმი, მან უარყო მისი სიყვარული, ხოლო უარყოფილი სიყვარული ყველაზე საშინელია ქალისათვის და განსაკუთრებით ისეთი ქალისათვის, როგორიც ხათუნა ჩანდა, იგი ასე ადვილად ვერ შეურიგდებოდა თავის გრძნობების შეურაცხყოფას. წერილი და მორისის ფოტოები ჯიბეში ჩავიდე, დანარჩენი არაფერი იყო საინტერესო ბინაში. იგი კვლავ დავლუქე და სამსახურ-ში გავემგზავრე, ანალიზისთვის საკმაო დრო და მასალა გამაჩინდა, მე ფაქტები და მოვლენები დავუპირისპირე და ლოგიკური აზროვნებით შემდეგი სურათი დაიხატა:

მორისს ბავშვობიდან უყვარდა ლალი — იგი გარდაიცვა-ლა უეცრად, მორისს კი სიკვდილის მიუხედავად — ლალი კვლავ უყვარდა, მან გამოაქანდაკა ლალის მსგავსი ქანდაკე-ბა, დადგა თავის ოთახში და მას ეთაყვანებოდა. მორისი კი სხვა ქალს შეუყვარდა, მაგრამ იგი უარყოფილია მორისის მიერ, შესაძლებელია შეურაცხყოფილმა ქალმა შური იძია მორისზე.

რადგან, მსოფლიო დანაშაულთა პრაქტიკიდან გამომდ-ინარე, ყველაზე საშიშ დამნაშავეებად აღიარებულნი არიან მარტოხელა ქალები, რომლებსაც არც მეგობრები ჰყავთ და არც ახლობლები და მითუმეტეს, საშიში ხდებიან საზოგა-დოებისათვის თუ მათი გრძნობები შეურაცხყოფილია, ასე-თი ქალი გახლდათ ხათუნა. მაგრამ როდის ან როგორ მოახ-ერხა მან ეს გაურკვეველი იყო, მორისს ძალადობის ნიშნები არ ეტყობოდა, მაშ რამ გაუხეთქა მას გული, ნუთუ მის წინ მდგარმა ლალის უსულო ქანდაკებამ? თუმცა, ეს ქანდაკება ყოველთვის შუა ოთახში იდგა, ხოლო მორისის სიკვდილის შემდეგ იგი ოთახის კუთხეში აღმოჩნდა. გარდაცვალების მომენტში მორისის სახე გაკვირვებასა და შიშს გამოხატავ-და. იგი ოთახის შუაგულში ქანდაკების დასადგმელთან

ნახეს მკვდარი. რა დაინახა მორისმა იქ? რამ შეაშინა იგი ასე? ცხადი იყო, რაღაც ნერვიულმა სტრესმა გამოიწვია მისი გულის გაჩერება, რა იყო ეს, რამაც მოსვენება დამიკარგა?!

ქანდაკება ფეხს ხომ ვერ აიდგამდა? ეჭვს იწვევდა ჩემში ის ქალი, რომელიც მორისის მეზობელმა ქუჩაში დაინახა შავებში ჩაცმული. ვინ იყო ის, ან რა უნდოდა იმ დროს ზუსტად იქ, სადაც მორისი ცხოვრობდა და მოკლეს? შესაძლებელია, ის მორისის სახლიდან გამოვიდა, რადგან ფოსტალიონმა კარები ლია ნახა. კარი ლია იყო და ქალს იქიდან გამოსვლა ადვილად შეეძლო, თავზე ჩამოფარებული ჰქონდა მოსასხამი. ესე იგი მას არ სურდა, რომ ვინმეს ეცნო – ეს ქალი ხათუნა ხომ არ იყო? რომელიც ძალზე წააგავდა იმ ქალს, რომელიც მორისის მეზობელმა შენიშნა თავისი სარკმლიდან. ყველა ეჭვი ხათუნასთან მიდიოდა, მაგრამ რა უთხრა მან მორისს ისეთი, რით შეაშინა იგი, ძალადობის ფაქტს არ ჰქონია ადგილი, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მორისის ასე შეშინება განზრას მკვლელობის ტოლფასი იყო. გადავწყვიტე მოსკოვში ჩავსულიყავი და დამეკითხა ხათუნა.

მგზავრობის ნებართვა და ხარჯები ორ ლლეში მოვაწეს-რიგე. დავადგინე ხათუნას დედის მისამართი მოსკოვში. თითქმის ყველაფერი მზად იყო, მაგრამ მსურდა მეტი ფაქტები მქონოდა მის წინააღმდეგ და ამიტომ მოსკოვში მგზავრობა გადავდე. გადავწყვიტე კიდევ ერთხელ მენახა ხათუნას სახლი: მარტო გავემგზავრე, საღამო ხანი იყო, სახლში უხმაუროდ შევედი, სინათლე არ ავანთე და გულდას-მით დავიწყე სახლის დათვალიერება, რატომლაც მჯეროდა, რომ ამჯერად რაღაც მნიშვნელოვანს მივაგნებდი. სახლი გულდასმით გავჩერიკე, ამან ორ საათზე მეტი დრო წაიდო, მაგრამ ახალი ვერაფერი ვნახე. ძველებური სახლი იყო სქელი, განიერი კედლებით. კედლებში ჩასმული იყო წიგნის თაროები და ტანსაცმლის კარადა. გულდასმით დავათვალიერე

წიგნის თაროები, იქ საეჭვო ვერაფერი შევნიშნე, შემდეგ  
მივადექი ტანსაცმლის კარადას. ყურადღებით დავათვა-  
ლიერე იგი, გამოვალაგე ყველაფერი, რაც შიგ იყო. ჩემი  
ყურადღება მიიქცია შავმა მოსასხამმა, რომელიც შეიძლება  
ის მოსასხამი ყოფილიყო, რომელიც ხათუნას ემოსა მორი-  
სის, სიკვდილის დღეს. კარადის დაბლა ფეხსაცმლის ადგილი  
იყო, მაღლა კი ქუდების. გვერდებში კარადას ხის ფიცრები  
ჰქონდა. ხელით მივაკაკუნე. მარჯვნივ ყრუ ხმა გაისმა, მარ-  
ცხნივ კი სიცარიელე იგრძნობოდა. დავუკვირდი კედლის  
ფიცარს, იგი იხსნებოდა, დანის წვერით გამოვალე და იქ  
საცავი აღმოჩნდა. ავანთე ხათურა და ნივთები გამოვიდე. აქ  
იყო ლალის ფოტოსურათები, რომელმაც ძალზედ გამაოცა,  
აქვე იყო ხათუნას დღიური, რომელსაც იგი ყოველდღე  
ავსებდა, შავი თმის პარიკი. დღიური გადავიკითხე და კიდევ  
ერთხელ დავრჩმუნდი, რომ ხათუნას სიყვარული ფანატიზ-  
მში იყო გადასული, ხათუნა ყოველდღიურად აფიქსირებდა  
თავის გრძნობებს მორისის მიმართ და დღიურიდან ჩახდა,  
რომ ხვდებოდა მორისის უცნაურ სიყვარულს გარ-  
დაცვლილი ქალისადმი - ქანდაკებისადმი და უფრო იტანჯე-  
ბოდა. სამწუხაროდ ბოლო გვერდები აკლდა დღიურს და  
გაუგებარი იყო რას უმზადებდა მორისს, მაგრამ ჩემთვის  
უკვე ცხადი გახდა ყველაფერი. გადავწყვიტე ისე მემოქმედა,  
როგორც ამას სინდისი და სამართლიანობა მკარნახობდა და  
ხათუნას წინააღმდეგ გამომეყენებინა ის იარაღი, რომელიც  
მან მორისის წინააღმდეგ იხმარა.

მოსკოვში გასამგზავრებლად ყველაფერი მზად იყო,  
ჩემთან ერთად მოდიოდა მილიციის თანამშრომელი მადონა.  
ორ საათში მოსკოვში ვიყავით. ერთ-ერთ სასტუმროში  
გავჩერდით და იმავე დღეს ხათუნას დედასთან გავემგზავ-  
რეთ. მრავალსართულიანი სახლი აღმოჩნდა მოსკოვის  
ცენტრში. დავიწყეთ ბინის თვალთვალი, მოსკოვის „მურის“  
ოპერატიული მანქანა ჩვენ განკარგულებაში ოყო, მეგობ-  
არი კოლეგები დაგვეხმარნენ. სახლს რიგ-რიგობით ვდარა-

ჯობდით. დავადგინეთ ხათუნას დედის სამსახურიც, სადაც ხათუნა აკითხავდა ყოველდღე. იგი ექიმად მუშაობდა ბავშვთა ერთ-ერთ პოლიკლინიკაში. ხათუნა უკვე მეორე კვირაა მასთან იმყოფებოდა. ხათუნას მამის გარდაცვალების შემდეგ დედამისი მოსკოვში დაბრუნდა, იგი რუსი იყო, ხოლო ხათუნას მამა კი ქართველი, რომელიც სამხედრო ნაწილში მუშაობდა.

ერთ დღეს, როდესაც ხათუნას დედა სამსახურში იმყოფებოდა, ხოლო თვითონ ხათუნა გასული იყო ქალაქში რაღაც საქმეზე, მე და მადონა მათ სახლში ავედით. გასაღები მოვარგეთ კარს და უხმაუროდ შევედით შიგ. მადონას უსიტყვოდ ვანიშნე, რომ საქმეს შესდგომოდა, მან ტანთ გაიხადა და შესაფერისი ტანსაცმლით შეიმოსა სათანადო გრიმი გაიკეთა და პარიკი მოირგო. რამდენიმე წუთში ის ისე შეიცვალა, რომ მისი გამოცნობა შეუძლებელი იყო, ჩემს წინ ცოცხალი ლალი იდგა, ის ლალი, რომლის უსულო ქანდაკება თბილისში მორისის სახლში იდგა. მე საძინებელ ოთახში გავედი მაგნიტოფონი მოვამზადე. მადონა ფარდას ამოეფარა გაისმა გასაღების ხმა, მე მაგნიტოფონი ჩავრთე. კარი გაიღო, ხათუნა შემოვიდა და სინათლე აანთო. შემდეგ სასტუმრო ოთახში შემოვიდა, ამ დროს ფარდა გაიწია და მის წინ მკვდრეთით აღმდგარი, ანუ ლალის ტანსაცმელში გამოწყობილი მადონა, ხათუნას წინ აღემართა.

- რატომ მოკალი მორისი, რა დაგიშავა მან?! შეყვირა მადონამ, გაოგნებულ და თვალებგადმოკარკლულ ხათუნას, რომელიც საცოდავ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მას ხელიდან გაუვარდა ყველაფერი, რაც კი ეყიდა და ფერდაკარგული, ცოცხალ-მკვდარი, გაოგნებული, უმწეოდ შეჰყურებდა მადონას.

- მე მორისი სიცოცხლეს გამოვასალმე იმიტომ, რომ მან შენი თავი მე მაჯვობინა, - აღმოხდა მას. შენ გადაგვეღობე, წყეულიმც იყავ, შე საზიზლარო, დაიღრიალა ხათუნამ და მადონას თმებში წვდა.

მას მხოლოდ მაღონას პარიკი შერჩა ხელში, ამ დროს მეც მეორე ოთახიდან გამოვედი. ხათუნა მიხვდა და უღონოდ დაეშვა სკამზე.

- მე იგი ისე უცნაურად მიყვარდა, როგორც მას ლალი უყვარდა, ლულლულებდა ის. მე თქვენ ყოველდღე გელოდით, ვოცოდო, რომ ადრე თუ გვიან მაინც ყველაფერი გამოაშკარავდებოდა. ეს ყოველივე უარყოფილი სიყვარულის ბრალია. მას მე არ ვაპატიე მკვდარი ქალის სიყვარული და ცოცხლის უარყოფა. ერთ საღამოს მის სახლში შევედი, გასაღები წინასწარ მქონდა მორგებული, მორისი სახლში არ იყო, ვიცოდი ეთაყვანებოდა ლალის ქანდაკებას, ეფერებოდა, ეალერსებოდა მას და გადავწყვიტე მისი ადგილი მე დამეკავებინა, ქანდაკებას სამოსი გავაძრე და მე ჩავიცვი, პარიკი თან მქონდა, შესაფერისი გრიმი გავიკეთე და ლალის დავემსგავსე. ქანდაკება კარადის უკან გადავდგი, მე კი გადასაფარებელი გადავიფარე და მისი ადგილი დავიკავე. ლოდინი დიდხანს არ დამჭირდა, მორისი სახლში ადრე დაბრუნდა, კარი გააღო და სახლში შემოვიდა, დაღლილი ჩანდა. შემოვიდა თუ არა, ტანთ გაიხადა და აბაზანა მიიღო, შემდეგ გადაიცვა და ოთახში შემოვიდა. სინათლე არ აანთო, გარს შემომიარა და უცნაურად მაკვირდებოდა, მაგრამ საფარს არ მხსნიდა. კარადიდან კონიაკის ბოთლი გამოიღო და სამჯერ ზედიზედ პატარა ჭიქით დალია, შემდეგ სიგარეტი გააბოლა და მე მომიახლოვდა. საღამო ხანი იყო და სინათლე საკმარისად არ ანათებდა ოთახს. იგი საეჭვოს ვერაფერს ამჩნევდა, მან კიდევ რამდენჯერმე დალია კონიაკი და თავისითვის დაიწყო ლაპარაკი, იგი ერთი და იგივეს იმეორებდა, რომ იგი ყკელაზე უბედურია ამ ქვეყნად, რადგან შეყვარებული მას ხმას არ სცემს და არ ეფერება, შემდეგ მე მომიახლოვდა და საფარი ჩამომხსნა. მან მოფერება დამინყო, მე თავი ვეღარ შევიკავე, მოფერებით ვუპასუხე და ვეამბორე ტუჩებში. მორისის საპასუხო რეაქცია უეცარი არ იყო, ჯერ ვერ ხვდებოდა რაში

ოყო საქმე, მაგრამ გონს თანდათან მოვიდა, დამაკვირდა, სახე შეეცვალა, შემდეგ ხმამაღლა დაიღრიალა და უსულოდ დაეცა ჩემს ფეხებთან. თან მიხაროდა და თან გული მწყდებოდა, რომ ასე ტრაგიკულად დამთავრდა ჩემი და მორისის სიყვარული. შემდეგ სასწრაფოდ შევიცვალე ტანსაცმელი, ქანდაკება კვლავ ძველებურად შევმოსე, ჩემი ტანსაცმელი ჩავიცვი და გარეთ გამოვედი, შემდეგ თქენთვის ყელაფერი ნათელია.

იმავე დდეს თბილისში ჩამოვთრინდით, ხათუნას საქმე სასამართლოს გადაეცა. მე კი ერთ მშვენიერ დღეს ყვავილებით ხელში მორისის საფლავზე ავედი. უცნაური გრძნობა დამეუფლა, როდესაც მორისის საფლავს მივუახლოვდი, რადგან ჩემი მეგობარი ასეთი უცნაური სიყვარულის მსხვერპლი გახდა. ჩემი ვალი მოვიხადე მეგობრის წინაშე, მორისის საიდუმლო სიკვდილს ფარდა აეხადა.

## პლი



თბილისში იმ საღამოს უჩვეულოდ ცხელოდა, დიდი სურვილი გამიჩნდა, სადმე ქალაქების გავსულიყავი, დამესვენა, სუფთა ჰაერი ჩამესუნთქა და ბუნების მშვენიერებით დავმტკბარიყავი. თვალი ირმის რქებზე ჩამოკიდებულ ჩემს თოფს შევავლე, გული სიხარულით ამევსო და ნადირობის ჟინიც აღმეძრა. გადავწყვიტე მეგობრებისათვის დამერეკა და მწყერზე ნადირობა შემეთავაზებინა. დავრეკე თუ არა, დათომ აიღო ყურმილი. მისალმების შემდეგ ჩემი იდეა გავუზიარე, რომელიც ძალიან მოეწონა. შევთანხმდით, რომ შაბათს დილით მისი მანქანით გავემგზავრებოდით. მამაშენს, ბ.-ნ გივის და შენს ძმას ლევანს სთხოვე, რომ აუცილებლად ჩვენთან ერთად წამოვიდნენ, თქვენი ძალლი ჯეკა არ დაგავიწყდეს, ვთხოვე მე. კეთილი, აუცილებლად ყველას წამოვიყვან — მიპასუხა დათომ. კარადის უჯრა გამოვწიე, სადაც ნადირობისათვის საჭირო ნივთები მეწყო. ტყვიანამალი შევათვალიერე, საჭირო ზომის საფანტი და დენთი საკმარისი მქონდა და გადავწყვიტე ვაზნები დამეტენა. რამდენიმე ხანში ვაზნების მასრა დატენილი ტყვიებით გავავსე, საფანტის ტყვიებს რამდენიმე ჟაკანის ტყვიაც მივაყოლე მსხვილი ნადირისათვის, რა იცი, ტყეში რა ხდება, — გავიფიქრე გუნებაში, — იყოს, არ დამამძიმებს. ზურგჩანთაში სანოვაგე ჩავალაგე და ადრე დავწექი დასაძინებლად. მეორე დღეს, დილით ადრე, დათოს მანქანა ჩემი სახლის წინ გაჩერდა. მე მას უკვე გამზადებული ველოდებოდი. კიბეზე სწრაფად დავეშვი, სანადიროდ აღჭურვილი მანქანაში მსხლომთ თავზე დავადექი. უკვე მელოდებოდნენ დათოს ძმა —

ლევანი და მათი მამა — ბატონი გივი, რომელთა ნახვა ძალზე  
გამეხარდა, რადგან სანადიროდ ერთგულ ადამიანებთან  
წასვლა ყოველთვის საიმედოა, თანაც განსაკუთრებით ისეთ  
გამოცდილ მონადირესთან, როგორიც დათოს მამა, ბატონი  
გივი იყო. გარდა ამისა, მასთან არ მოიწყენდი. საინტერესო  
ამბების მოყოლაც იცოდა. მანქანაში ჩავჯექი, მეგობრებს  
გულთბილად მივესალმე, მანქანაც დაიძრა. მეძებარი ჯეკი  
სიხარულს ვერ მალავდა. მალე თბილის გავცდით და ჩვენს  
თვალინი, სულ მალე, ივრის ხეობაც გადაიშალა, რომელსაც  
ამშვენებდა მწვანედ აბიბინებული მინდვრები. ერთ-ერთი  
დიდი მინდორი ავირჩიეთ და მანქანა ხის ქვეშ დავაყენეთ.  
ყველამ თოფები ავაწყეთ და მინდორში სანადიროდ მწკრი-  
ვად შევედით, დაგეშილი ჯეკი წინ მირბოდა, დიდხანს  
სიარული არ დაგვჭირვებია. უცბად ძალლი შედგა, წინა თათი  
ასწია, ცხვირი წაიგრძელა და ერთი ნახტომით რაღაცას  
დააცხრა. ყანიდან ორი მწყერი ამოფრინდა, ჩვენც არ  
დავაყოვნეთ და დათოსა და ჩემი ნასროლის შემდეგ მწყრები  
მინდორში ჩაცვივდნენ, რომელიც ჯეკიმ სწრაფად მოგვირ-  
ბენინა. ძალლი გეშს შეუცდომლად იღებდა და მწყერს  
ლამაზად გვიფრენდა, ჩვენ ხან ცალ-ცალკე, ხან კი ერთად,  
სროლას ვერ ავუდიოდით და ხშირად კამათიც მოგვდიოდა,  
არა ჩემი-ნასროლით ჩამოვარდა მწყერი და არა ჩემითო.  
შუადღისას მხოლოდ ერთხელ შევისვენეთ და საღამომდე  
ისე გავერთეთ, რომ დაღლა არ გაგვხსენებია, მაგრამ  
ფიზიკურმა დატვირთვამ, სუფთა ჰაერმა და შიმშილმა  
საღამოჟამს თავისი ქნა და ჩვენც პურის საჭმელად დიდი  
მუხის ქვეშ შევჩერდით. თითოს ოც-ოცი მწყერი მაინც გვე-  
ქნებოდა და ჩვენც ნადირობა დასრულებულად ჩავთვალეთ.  
არაფერი შეედრება ნადირობის შემდეგ პურის ჭამას, ყველამ  
ჩვენ-ჩვენი სურსათ-სანოვაგე ამოვალაგეთ და გემრიელად  
შევექეცით ვახშამს, თამადობა ბატონ გივის ვთხოვეთ,  
რომელმაც პირველად ნადირობის ქალღმერთ დალის სად-  
ღეგრძელო დალია და დაამატა, რომ სწორედ მისი დამსახ-

ურებაა, ამდენი ფრინველი, რომ დავხოცეთო. სადღეგრძელო ყველამ ვთქვით და ცივი კახური ლვინო დავაყოლეთ. შემდეგ, სიტყვამ მოიტანა და ბატონმა გივიმ ალიც ახსენა. ალი, მისი თქმით, ტყის ქალია, წითური თმებით და დიდი ფრჩხილებით. მას წყლის ახლოს ჰყვარებია ბინის დადება და გზააბნეულ მონადირეებს ხშირად ტყეში იტყუებს, სიყვარულით ათრობს, ხოლო შემდეგ კლავს. მრავალი მონადირე გამქრალა ასე უგზო-უკვლოდ. ერთხელ, გააგრძელა გივიმ, ალი, ტყის ეს ველური ქალი, მარტოხელა მონადირეს შეყვარებია, მისთვის ფრჩხილები დაუჭრია და მოუშინაურებია, სახლში წაუყვანია და ცოლად შეურთავს, მათ ორი ვაჟი შესძენიათ, ალი შესანიშნავი დედა და მეუღლე დამდგარა, მაგრამ, ერთხელ, როდესაც მისი ქმარი სახლში არ იყო, თავისი დაჭრილი ფრჩხილები უნახავს, მის ქმარს ჰქონია შენახული ერთ-ერთ უჯრაში, ცხვირსახოცში გახვეული, განრისხებულა ალი და ისევ გაველურებულა, კვლავ ტყის ქალად ქცეულა. თავისი პატარა შვილები თავის ხელით მოუხვრჩია და ტყეში გაქცეულა. იმ საღამოს გივიმ მრავალი სხვა საინტერესო ამბავი გვიამბო, რომელიც მონადირეებს გადახდომიათ თავს, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ალზე მონაყოლი იყო. მალე გამგზავრების დროც მოვიდა. ჩვენც მანქანაში მყუდროდ მოვთავსდით. ნანადირევი ფანჯრებზე ჩამოვკიდეთ და გეზი თბილისისაკენ ავიღეთ. უკვე საკმაოდ ჩამობნელებულიყო და მანქანა ფარების შუქზე გზას ტყეში ნელა მიიკვლევდა. ამ დროს ჩვენს წინ საოცარი რამ მოხდა. ლევანმა, რომელიც მანქანის საჭეს მისჯდომოდა, უცბად დაამუხრუჭა და ხმამაღლა შესძახა: ალი, ალი, ნამდვილი ალი! ნახევრად მძინარენი, შეზარხოშებულები, უცბად ვერ გავერკვიეთ, რა ხდებოდა, მაგრამ მანქანის უეცარმა დამუხრუჭებამ და ლევანის ყვირილმა გამოგვაფხილა.

გაოცებულები მანქანის წინ მდგომ უცნაურ არსებას მივაჩერდით, იგი საშინლად გამოიყურებოდა, ფეხები განზე

გაეჩაჩხა, ნახევრად შემოხეული წითელი კაბა ეცვა, უღალი წითური თმები გაწენოდა, ხელები აენია და დაჭყეტილი თვალებით მანქანას შეჰყურებდა. მანქანა მის ფეხებთან შეჩერდა, რამდენიმე წამი გაოცებული შეცყურებდით ერთ-მანეთს — ის და ჩვენ. შემდეგ უცნაურმა არსებამ ძლიერი ნახტომი გააკეთა, გზის ნაპირა ბუჩქებს გადაევლო და ტყეში მიიმალა. დათოს დიდხანს არ უფიქრია, თოფს დასტაცა ხელი, მანქანიდან ისკუპა და უცხო არსებას დაედევნა. — მერაბ, მიყევი, — მთხოვა გივიმ და დააყოლა: შვილს დამიღუპავს ეგ ეშმაკის ნაშიერი. მეც დიდხანს არ მიფიქრია, თოფს ხელი დავტაცე და დათოს გამოვუდექი. წინ ალი მიჰქროდა, ქარივით ბუჩქებს და მიწათხრილებს ევლებოდა, მას დათო მისდევდა, ხოლო დათოს მე, დამძიმებული თოფითა და ტყვია-წამლით. ყოველივე ეს ახლა სასაცილოდ მეჩვენება, მაგრამ მაშინ, იქ, ჩაბნელებულ ტყეში, რაღაც საშინელი არსების დევნა, რბილად რომ ვთქვათ, არც ისე სასიამოვნო რამ იყო, ტყეში, თანდათან, წყვდიადი ჩამოწვა და სირბილი ძნელი და საშიშიც ხდებოდა. როგორც იქნა, დათოს დავენიე, ხოლო იმ ქაჯმა ორივე საკმაო მანძილით ჩამოგვიტოვა. მართალია, დათო კარგი სპორტსმენი და მოქმედი მოკრივე იყო და არც მე გახლდით ჯაბანი, მაგრამ იმ უცნობმა არსებამ დაგვლალა და სირბილში ორივე დაგვჩაგრა. ძალ-ღონე მოვიკრიბეთ და კვლავ დავედევნეთ. იმ ქაჯის განენილი თმები ხანდახან გაიელვებდა წინ, ტყეში, ხეებს შორის და უცბად უჩინარდებოდა. ბოლოს მდინარეს მივადექით. ის ალქაჯი ერთი ნახტომით გადაევლო მდინარის კლდიან ნაპირს და მეორე მხარეს ამოყო თავი, ერთი შემოგვხედა უკან, დაჭყეტილი, გიჟური თვალებით და ტყეში გაუჩინარდა. უნდა მივყვეთ, მე მას მაინც დავიჭერ — არ ცხრებოდა დათო. უნდა გავიგო ვინ არის ის, ადამიანი თუ ბოროტი არსება — ავი სული. ჯანდაბამდის გზა ჰქონია მაგ სატანას, — მივუგე დათოს. თავი დავანებოთ, რა ძალა გვადგია, თუ ძმა ხარ, ვერა ხედავ, როგორ დარბის, ჩვენ მისი

დამწევი არა ვართ. სწორედ ეგ მაგიუებს — მიპასუხა დათომ, ქალმა როგორ უნდა გვაჯობოს, ქალი კი არა ქაჯია, ვერ ხედავ, დათო. ჯობს თავი დავანებოთ, — ვთხოვე მე. რაღაც ცუდ საქმეს გადაგვიდებს ეგ წყეული — არა მე მისი არ მეშინია, — მომიგო მან და ადიდებულ მდინარეში თამამად შევიდა, მდინარის იქით დაბურული ტყე მოჩანდა. ხეებს შორის შევნიშნე, როგორ ბოროტად ელავდა ვიღაცის მხეცური თვალები, დათო დატენილი თოფით ხელში მდინარის ცივ და მჩქეფარე წყალს მიაპობდა, მეც იძულებული ვიყავი ფეხდაფეხ მივყოლოდი, შუაგულ მდინარეს ძლივს მივუახლოვდით და წელამდე წყალში ვიდექით, შეფები სახეს გვისველებდა, ამ დროს წინ ტყიდან საშინელი კივილი შემოგვესმა, ორივემ თოფები ნაპირის მიმართულებით ბუჩქებისაკენ მივმართეთ და ორ-ორჯერ ზედიზედ ვისროლეთ, შემდეგ თოფები დავტენეთ და მეორე ნაპირზე მშვიდობით გავედით. მაგრამ იქ არავინ დაგვხვდა, არც ცოცხალი და არც მკვდარი. დათო, ასე სველები შორს ვერ წავალთ, გავიყინებით, სადმე უნდა შევისვენოთ. კარგი, შევისვენოთ, დამეთანხმა დათო და იქვე ხის ქვეშ მოვთავსდით, კოცონი დავანთეთ და სველ ტანსაცმელს გაშრობა დავუწყეთ, მონადირის ჩანთიდან, რომელიც თან გამომყოლია, არაყი, მშრალად მოხარშული ხორცი და პური ამოვალაგე და ვახშამს შევუდექით, ორ-ორი ჭიქის შემდეგ ცოტათი შევთბით და საღი გონებით ჩვენი მდგომარეობა გავაანალიზეთ. ეს რა გვემართება, დათო, როგორ გავძრიყვდით და ალქაჯს გამოვეკიდეთ, არა, მიპასუხა მან. ჩვენ სწორად მოვიქეცით, უნდა გაირკვეს ყველაფერი. ასეთი საოცრება ჯერ არ მინახავს, მაინც რას ჰგავდა ის ოხერი, ჯობს ღამე აქ გავატაროთ, ხოლო დილით კვლავ შევუდგეთ ძებნას. გაგიუდი? მამაშენი და შენი ძმა დაგავინწყდა? ისინი ხომ დარდით არ მოისვენებენ მივუგე მე. ისინი შორს არ წავლენ, ჩვენს კვალს გამოყვებიან და ადრე თუ გვიან შეგვხვდებიან, ამ ლაპარაკში ვიყავით გართული, რომ ტყიდან რაღაც ხმაური შემომესმა და მეც

იქით გავიხედე. ამ დროს დათო გემრიელად ილუკმებოდა და ამ ხმაურს ყურადღება არ მიაქცია, მე კი საოცარი რამ დავინახე: მოშორებით, ხის გვერდით, ის ქაჯი იდგა და ნახევრად შიშველი ჩვენ შემოგვცეკეროდა. თვალები სიბნელეში ნაკვერჩხლებივით უელავდა და მას რაღაც ფანტასტიურ იერს აძლევდა. პირში ლუკმა გამეყინა და აღარ ვიცოდი, რა მეღონა, დათო კი გემრიელად მიირთმევდა ხორცს და უცნობ არსებას გულიანად აგინებდა. გონს სწრაფად მოვეგე. ყოველივე ავნონ-დავნონე და დათოს მშვიდად მივუგე, დათო ზედმეტი ემოციებისა და მღელვარების გარეშე უნდა შეხვდე იმას, რასაც ახლა გეტყვი, შემპირდი რომ არაფერს მოიმოქმედებ და თოვით ტყეში არ გავარდები, რას როშავ, რომელ აღელვებაზე მელაპარაკები. რომელზე და იმ არსებაზე, რომელსაც ჩვენ დავედევნეთ. ის აქ არის, ახლოს, ჩვენს გვერდით. რას ამბობ, თვალები დააჭყიტა დათომ და თოვს ხელი წამოავლო. დიახ, აქ არის, ახლოს, მაგრამ თოვს თავი დაანებე, იგი არაფერს გვავნებს. შენ რა იცი. ვიცი, რადგან ავი საქმე რომ სდომებოდა, აქამდის ჩაიდენდა. ის, მე მგონი, უფრო მშიერ ადამიანს ჰერავს, ვიდრე ალქაჯს. რას მიედ-მოედები, მითხარი კონკრეტულად, თუ კაცი ხარ, რა გაქვს მხედველობაში. მხედველობაში ის ალქაჯი მყავს, რომელიც ჩემს უკან, ხის გვერდით დგას და მშიერი ჩვენ შემოგვცეკერის. დათომ მზერა ჩემს უკან რამდენიმე მეტრზე მდგარ ხეზე გადაიტანა და გაოცებულმა პირი დააღო. ვხედავ, იქ დგას და ჩვენ შემოგვცეკერის, არ დააფრთხო, დათო. მოდი, ხორცის ნაჭერი გადავუგდოთ. მე ხორცის ნაჭერი ხის მიმართულებით ვისროლე, ალქაჯი ჯიქურ დააცხრა მას, ერთბაშად გადასანსლა და ტყეში მიიმალა. ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა ცხადი იყო, თუ სიზმარი? ცხადი იყო, დათო, ის ადამიანია — მშიერი, საცოდავი, ადამიანი. გამოვუდგეთ და დავიჭიროთ, მომიგო დათომ და ფეხზე წამოხტა, თავი დაანებე, ხომ იცი, ვერ დაიჭერ, ამ სიბნელეში უშარვლოდ შორს ვერ წავალთ, ჯობს გათენებას დაველოდოთ, დარწ-

მუნებული ვარ, იგი კვლავ გამოჩნდება მივუგე მე, გადავწყ-  
ვიტეთ ღამე იქვე გაგვეთია, შეშა საკმაოდ მოვიმარაგეთ  
ლამისათვის, დიდი კოცონი დავანთეთ და მორიგეობით  
ვიძინებდით, მაგრამ დილისთვის ორივეს მაინც ჩაგვეძინა,  
დილით ადრე მე პირველს გამომელვიძა, ტანსაცმელიც  
გამშრალიყო, სწრაფად გადავიცვი და პირის დასაბანად მდი-  
ნარისაკენ წავედი, რომელიც მაღალი კლდის ძირში ჩამოე-  
დინებოდა. ხელ-პირი ცივი ანკარა წყლით დავიბანე და  
ნელში გავიმართე, ჩემს ზემოთ აღმართულ მთას ავხედე და  
კვლავ ვიხილე საოცრება, მთის დამრეც კლდოვან ნაპირთან  
ის იდგა. ის გამოუცნობი არსება, მთლად შიშველი. ყურად-  
ღებით დავაკვირდი და ჩემ წინ საოცარი სილამაზის ქალი  
ვიხილე, იგი სულაც აღარ ჰგავდა სიბნელეში ნანას ალქაჯს,  
შოლტივით მოქნილ კუნთოვან ხორბლისფერ ტანს მაღალი  
კისერი და ჯეირანივით მოღერებული კოხტა თავი ამშვე-  
ნებდა. მას, მზის სინათლეზე ცეცხლივით ელვარე თმები  
მხრებზე გრძლად ჩამოშლოდა, ცალი ფეხი წინ გადაედგა,  
ხელები ფართოდ გაეშალა და ამობურცული მკერდი და  
ლამაზი სახე მზისკენ მიეშვირა. იგი. ეტყობა, მზის ამოსვლას  
ასე ეგებებოდა. დრო ჩემთვის უცბად გაჩერდა და ვინატრე,  
შეჩერდი წამო, რათა უსასრულობას მიეცეს შესანიშნავი  
ულამაზესი სანახაობა, ეს მართლაც იშვიათი სანახაობა იყო.  
იგი აღტაცებაში მოიყვანდა ნებისმიერ ადამიანს, თვით ყვე-  
ლაზე ბოროტებსაც კი. მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელე-  
ბულა. სწრაფად გამოვერკვიე ამ უცნაური ბურანისაგან და  
ჩემ მეგობარს სწრაფად მივაშურე. დათოს შორიდანვე  
დავუძახე და თან აღტაცებას ვერ ვმალავდი. დათო, ის, დღეს  
დილას აი იქ, კლდის ქიმზე ვნახე და ხელით ვანიშნე, მთლად  
შიშველი ახლაც იქ დგას და მზის ამოსვლას ეგებება. დათო  
წამოხტა და ჩვენ ერთად, ფრთხილად მივუახლოვდით იმ  
ადგილს. ტყის ქალი კვლავ იმ მდგომარეობაში იდგა  
გაუნძრევლად, როგორც ქანდაკება მარმარილოსი. სწრაფად  
უნდა ვიმოქმედოთ, მითხრა დათომ, რა გაქვს მხედველო-

ბაში? — ვკითხე მე. იგი უნდა შევიპყროთ და საბოლოოდ გავარკვიოთ, ვინ არის, ახლა მისი ყურების დრო არ არის, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა დავიჭიროთ, აღელვებით მიპასუხა დათომ. კი მაგრამ, როგორ? როგორ და კლდეზე ასასვლელი, როგორც ვატყობ, მხოლოდ ერთი ბილიკი უნდა იყოს. რადგან სხვა მხრიდან ამ მთას ვერ მიუდგები. დასასვლეთის მხრიდან უფრო არის შესაძლებელი იქ ასვლა, რადგან დაქანება არ უნდა იყოს დიდი და ჩვენ სწრაფად იქით გავემართეთ. მართლაც აღმოვაჩინეთ ბილიკი, რომელიც მთის მწვერვალისკენ მიდიოდა. ამავე ბილიკით ის უკან ჩამოვა, მითხრა დათომ. მერე როგორ აპირებ მის დაჭერას? ბადეში გაახვევ, თუ ხაფანგს დაუგებ? — ვკითხე მე, დრო არა გვაქვს, თორემ ორმოს ამოთხრა მართლა შეიძლებოდა ბილიკზე. ზედ ფიჩხს დავაყრიდით, შემდეგ ბალახს და უხილავი გახდებოდა, საკმარისი იქნებოდა, რომ მას ზედ ფეხი დაედგა და ის მახეში აღმოჩნდებოდა, აღნიშნა დათომ. შენ გვინია, ისეთი მიამიტია, რომ ამ ვიწრო გასასვლელში ამოთხრილ ორმოს და ხელოვნურად დაყრილ ბალახს ვერ შენიშნავს, შევეწინააღმდეგე მე. მაშ რას მირჩევდი, რას და, საბედნიეროდ, თოკის წამოლება მოვასწარი და ჩანთიდან თოკი ამოვილე. აქვე, ბუჩქის ძირას დავიმალოთ. შენ იქით მხრიდან დაიმალე, მე კი აქედან ჩავუსაფრდები. როგორც კი გამოჩნდება და ახლო ჩაგვივლის, სამალავიდან თავს დავესხათ და თოკით ხელ-ფეხი შეუკრათ, მე მგონია ორი კაცი ერთ ქალს მოვერევით, რა ძლიერიც არ უნდა იყოს, მაგრამ მოვერევით კი? ნახე, რა ტანი ჰქონდა? დაკუნთული, თან რა სწრაფია და საკმაოდ გრძელი ფრჩხილებიც აქვს, დაამატა დათომ. მაშ გადავწყვიტეთ, დავიმალებით აქვე, გამოჩენისთანავე თავს დავესხმებით და შევიპყრობთ. თანახმა ხარ, დათო? ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი, მიპასუხა დათომ. ბილიკთან ახლოს ბუჩქებში დავიმალეთ და ალქაჯის გამოჩენას დაველოდეთ. მართლა არ გასულა 15-20 წუთი, რომ ზემოდან ფრთხილი ნაბიჯების ხმა შემოგვესმა,

ჩვენი ვარაუდი გამართლდა. იგი იმ ბილიკით ბრუნდებოდა კლდიდან, სადაც ჩვენ ვიყავით ჩასაფრებული, გული ლამის საგულედან ამომივარდა, მალე ტყის ქალი მაღლა, დამრეც კლდეზე გამოჩნდა და ბილიკს დაადგა. ცივმა ოფლმა დამასხა, თოფს ოფლიანი ხელი მაგრად ჩავჭიდე და თავპედს ვიწყევლიდი, ამ ახირებულ წამოწყებას, რომ მხარი ავუბი, თუმცა, ჩემდა უნებურად, ყველაფერი ბუნდოვანი და გაურკვევლი იყო. დარწმუნებული არ ვიყავით, რასთან ან ვისთან გვქონდა საქმე, ვინ იყო ეს არსება, მისგან ხომ ყველაფერი იყო მოსალოდნელი. ამ ფიქრებში ვიყავი, რომ იგი სულ ახლო გამოჩნდა და ჩვენ გაგვისწორდა. შემდეგ ფრთხილად შედგა ერთ ადგილას, თითქოს რაღაც შენიშნა და თავი დათოსკენ მიატრიალა, დათომ აღარ აცალა გონს მოსვლა, ბუჩქებიდან პირდაპირ მისკენ ისკუპა და ზედ თავზე დაახტა, კაცი და ქალი ძირს, მიწაზე გაგორდნენ ბურთივით, ერთმანეთში ჩახლართულ-გადახლართული, მე მაყურებლის როლში აღმოვჩნდი. ისე სწრაფად ვითარდებოდა მოვლენები, რომ ვერაფრის გაკეთებას ვერ ვასწრებდი, ორთაბრძოლა ცხარე ხასიათს იღებდა, ხან დათო იყო ზემოდან, ხან კი ის ალქაჯი, რომელიც ძალზე ძლიერი აღმოჩნდა. და იგი საკმაო წინააღმდეგობას უწევდა ფიზიკურად ძლიერ მამაკაცს. ყოველივე ეს ბილიკის დასაწყისში ხდებოდა პატარა მდელოზე, რომელიც თითქოს სპეციალურად ამ ორთაბრძოლისათვის შეუქმნია ბუნებას. ალქაჯი შიშველი არ ჩანდა. მას ტანზე რაღაც კაბისმაგვარი ემოსა, მაგრამ ფაქტობრივად მაინც შიშველი იყო. დათო ჩემებით და იარაღასხმული, ფეხშიშველ ქალს თავგამოდებით ებრძოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა მის დამარცხებას. ბოლოს, როგორც იქნა ალქაჯი დაუსხლტა დათოს ძლიერ მკლავებს და ფეხზე წამოხტა. გაავებული კაცი და ქალი პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს ბრძოლის ჟინით შეპყრობილი უცქერდნენ. მე რატომდაც ყურადღებას არცერთი არ მაქცევდა და მეც, ჯერ-ჯერობით, თავს ვიკავებდი ჩარევისაგან, რადგან

დარწმუნებული ვიყავი დათოს გამარჯვებაში. თან ყოველივე ამას საინტერესო სპორტულ სანახაობად აღვიქვამდი და მონუსხულივით ვუყურებდი ორივეს. მათ საკმაო ხანს ზვერეს ერთმანეთი და კვლავ სამკვდრო — სასიცოცხლოდ ეკვეთნენ ერთმანეთს. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ადამიანთან გვქონდა საქმე, უფრო ზუსტად, გაველურებულ ქალთან, თუმცა ძალიან ძლიერსა და შეუპოვართან. იგი თავის გრძელი ფრჩხილებით ცდილობდა დათოს წვდომოდა ყელში. რამდენჯერმე სახე და მკლავები დააკანრა კიდეც. იგი თავის ძლიერ და გრძელ ფეხებსაც იშველიებდა, მაგრამ დათოსტატურად არიდებდა თავს, ქალი დაიღალა და დათოსაც აევსო მოთმინების ფიალა, ერთხელაც ქალი კვლავ ეცადა კისერში წვდომოდა დათოს თავის გრძელი ფრჩხილებით, მაგრამ დათოს ძლიერმა შემხვედრმა მუშტმა ალქაჯი მიწაზე დასცა, დარეტიანებული ძლივს წამოდგა, დათომ მეორედ შემართა მუშტი დასარტყმელად და მას საბოლოოდ გათიშვადა, მაგრამ აქ უკვე მე ვიმარჯვე და თოკით ხელში მივვარდი ალქაჯს, გაოგნებულს და დარეტიანებულს ტანზე შემოვახვიე, იგი წინააღმდეგობას მაინც ახერხებდა, მაგრამ დათოც მომეხმარა, ორივემ გაკვოჭეთ და ხესთან დავაწვინეთ. სული მოვითქვით და ყურადღებით შევათვალიერეთ, ჩვენს წინ მწოლიარე უცნობი არსება. რა ძლიერი ყოფილა ეს ოხერი, მუშტი რომ არ მეხმარა, ყელს გამომლადრიდა. როგორც იქნა, ხმა ამოიღო დათომ. მართალია, მაგრამ არ დაგავიწყდეს ჩვენ წინ ქალია, საცოდავი ქალი და არავითარი ალი. ნეტავ რამ მიიყვანა ეს უბედური ამ მდგომარეობამდე, სულ ახალგაზრდა ჩანს ალბათ 22-23 წლის თუ იქნება, მართალი ხარ, მიპასუხა დათომ. ახალგაზრდა ჩანს, ეტყობა, მძიმე ცხოვრებას მის სახის ნაკვთებზე წარუშლელი კვალი დაუტოვებია, არც შენ დააკელი, გახეთქილი ტუჩიდან ქალს სისხლი სდის, განა შეიძლება ქალის ასე გამეტება? ვუსაყვედურე დათოს, ეტყობა შეეცოდა, თავი დამნაშავედ დახარა, აბა რა მექნა, ისე ვერ ვაკავებდი. ჯობს გამოველაპარაკოთ,

მივუგე მე. მე მას რამდენიმე სიტყვას ვეტყვი იქნებ გამოგვე-ლაპარაკოს. ვკითხე, თუ რა ერქვა, მაგრამ იგი მხოლოდ ყრუ ხმებს გამოსცემდა და თვალებს მიბრიალებდა. უცებ ტყიდან ძალის ყეფა შემოგვესმა და მალე ტყიდან ჯეკი გამოჩნდა, რომელსაც გივი და ლევანი მოყვებოდნენ. მოდით, მოდით სწრაფად, გივი ბატონო, შევეხმიანე მე. ჩვენი ალი გაკოჭილი ხის ძირში დავსვით, მეტისმეტი აგრესიულობის გამო იძუ-ლებული ვიყავით ხელ-ფეხი შეგვეკრა მისთვის. გივი და ლევანი მოგვიახლოვდნენ და გაოცებული შეჰყურებდნენ გაკოჭილ, ნახევრად შიშველ ქალს, ძალის ყეფამ იქაურობა აიკლო. ჯეკი მთლად გადაგვერია და ვეღარ ვაჩერებდით. მასაც ჩვენსავით არ ენახა ასეთი საოცრება ადრე. ბიჭოს ეს რა ჩაგიდენიათ თქვე მამაძალლებო თქვენა, ალი როგორ შეიპყარით. იგი ხომ დაუმორჩილებელია, წამოიწყო გივიმ, არავითარი ალი, ბატონო გივი, ეს საცოდავი, უბრალოდ გაველურებული ქალია, შეიძლება სულით ავადმყოფიცაა, ყოველივე ამას დაზუსტება სჭირდება, აღვნიშნე მე. მკერდზე მგონი რაღაც აქვს ჩამოკიდებული, წამოიძახა ლევ-ანმა, ახლოს მივიდა და ყელიდან ტყავის თასმაზე შებმული მედალიონი ჩამოხსნა. მან ხელის გულზე უცნაური მედა-ლიონი დაიდო და ყველა მას დავაცქერდით და დავუწყეთ თვალიერება, უცებ ხელის დაჭრით მედალიონი გაიხსნა და შიგ სურათი გამოჩნდა, პატარა გოგონას სურათი იყო შიგ ჩასმული. ნეტა ვინ არის ეს პატარა გოგონა ამ საცოდავის, წარმოთქვა გივიმ და ამ დროს ქალმა უცნაურად დაიღმუვ-ლა. ამოიღეთ სურათი თქვა გივიმ, და ლევანმა სურათი ფრთხილად ამოიღო. მეორე მხარეს გადაატრიალა, სადაც წარწერა შევნიშნეთ და ერთობლივი ძალისხმევით ასეთი რამ ამოვიკითხეთ:

„სახსოვრად თ. ნაკაშიძეს ნანასაგან. 1991 წელი, ქ. სოხუ-მი“. ამ წარწერიდან ძნელად თუ გაარკვევს რამეს ადამიანი. აღნიშნა ლევანმა. არც ისე უიმედოდ არის საქმე, როგორც შენა გგონია, ლევან, მივუგე მე. ყოველშემთხვევაში ჩვენ

ხელთ გვაქვს გარკვეული ინფორმაცია, რომლითაც შეიძლება ამ ქალის ვინაობის დადგენა. ყველაფერს აჯობებს ეს საცოდავი თბილისში ჩავიყვანოთ და პოლიციას ჩავაბაროთ, ხოლო ამ წარწერით შესაძლოა მათ ამ გაუბედურებულის ასავალ-დასავალი გაარკვიონ. ხელფეხშეკრული ველური ქალი მანქანაში ძლივს ჩავსვით და თბილისის გზას დავადექით, თუმცა ამის გაკეთება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მანქანამდე მიყვანა გაგვიძნელდა, მაგრამ ხელოვნურმა საკაცემ საქმე გაგვიადვილა. ისე ვიყავით გადაღლილები, რომ ხმის ამოლების თავიც არ გვქონდა. მანქანაში მხოლოდ ველური ქალის ყმუილი და ძაღლის ყეფა ისმოდა. თბილისში ჩემოვედით თუ არა, ჩვენი ქალბატონი ერთ-ერთი რაიონის ნაცნობ პოლიციის უფროსთან მივიყვანეთ, რომელმაც გაოცება ვერ დამალა და შეგვპირდა, ყველაფერს გააკეთებდა, ამ უბედურის ვინაობის დასადგენად. დაგვპირდა, რომ ყოველივეს შეგვატყობინებდა. იმავე საღამოს ტელევიზიით გადმოიცა ჩვენი ნაცნობი ველური ქალის სურათი, პოლიცია სთხოვდა მოსახლეობას ეცნობებინათ მათვის ამ ქალის შესახებ დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია, ასევე თ. ნაკაშიძეს სოხუმიდან სთხოვდნენ გამოხმაურებას ამ საქმესთან დაკავშირებით. მესამე დღეს პოლიციიდან შეგვატყობინეს, რომ ველურ ქალს პატრონები გამოუჩნდნენ, და ჩვენც ყველა სასწრაფოდ, დანიშნულ დროს პოლიციაში გამოვცხადდით. იქ უკვე გველოდებოდა პოლიციის უფროსი რამდენიმე ჩვენთვის უცხო პიროვნებასთან ერთად. პოლიციის უფროსმა მათ წარუდგინა ჩვენი თავი. აი ისინიც, ნანას მპოვნელები, ხოლო ესენი თქვენი უცნობი ქალის ახლო ნათესავები არიან და პოლიციის უფროსმა შუახნის ჭაღარაგამორეულ ქალბატონსა და ორ დარბაისელ მამაკაცზე მიგვითითა. მათ უცბათ ჭაღარათმიანი ქალბატონი გამოეყო და ჩვენკენ წამოვიდა. სათითაოდ ყველას გადაგვეხვია და დიდი მადლობა გადაგვიხადა. ჩემო ძვირფასებო, აღნიშნა მან, ვერ წარმოიდგენთ, რარიგად გაგვახარეთ ნანას

პოვნით. ჩვენ იმ საცოდავის ახლო — ნათესავები ვართ. გთხოვთ ყველას ჩემს მაგიდასთან დაბრძანდეთ, გვთხოვა პოლიციის უფროსმა და თვითონაც სავარძელში მოკალათ-და. გთხოვთ, ქალბატონი თამარ, ჩვენს მეგობრებს უამბოთ საცოდავი ნანას ნაღვლიანი ისტორია. ქალბატონი თამარი ის ნაკაშიძე გახლავთ, მეგობრებო, — მოგვმართა პოლიციის უფროსმა, — ვისი წარწერაც თქვენ სურათზე აღმოაჩინეთ. ჩვენ ცნობისმოყვარეობით შევყურებდით უცნობ ქალბატონს. დიახ, მეგობრებო, დაინყო ქალბატონმა თამარმა, ის საცოდავი ჩვენი დეიდაშვილია. ჩვენ ყველა სოხუმში ვცხოვრობდით, ნანას შესანიშნავი მშობლები ჰყავდა, ისინი ექიმები იყვნენ და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მთელს ქალაქში. ნანა სიყვარულით გათხოვდა და სოხუმში ერთი ქართული ლამაზი და კარგი ოჯახი შექმნა. მეუღლეს იგი გაგიჟებით უყვარდა და ყველაფერს აკეთებდა მისი ბედნიერებისათვის. ნანამ წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი, მას სპორტშიც შესანიშნავი წარმატებები ჰქონდა, მან არაერთხელ ასახელა თავისი ქვეყანა საერთოშორისო ჩემპიონატებში სპორტულ ტანვარჯიშში (ამ სიტყვებზე მე დათოს გადავხედე, რომელსაც ულვაშებში ჩაეცინა). მალე მათ გოგონა შეეძინათ, რომელსაც სახელად ნინო დაარქვეს, ბედნიერი ოჯახი იყო. მაგრამ სულ მალე ეს ბედნიერება ოჯახს უბედურებით შეეცვალა, აფხაზეთში ომი დაინყო, თამაზი, ნინოს მეუღლე, ომში დაიღუპა, დედ-მამა მოძალა-დეებმა ნინოს თვალწინ დახვრიტეს. თვითონ მან კი სოხუმის აეროპორტამდე ბავშვთან ერთად ძლივს მიაღწია. როგორც იქნა, ბავშვი თვითმფრინავში ჩასვა და მეზობლის ბავშვების ამოსაყვანად მანქანისკენ სწრაფად გაემართა, აფხაზი და ჩეჩენი ბოევიკები აეროპორტს უტევდნენ და ყოველი მხრი-დან ნაღმებს უშენედნენ მას, უცბად საშინელი აფეთქების ხმა გაისმა. ერთი ნაღმი იმ თვითმფრინავს მოხვდა, რომელ-შიც ნანას შვილი იჯდა. ნანა შეშინებული შემოტრიალდა თვითმფრინავისკენ და საშინელი სურათი იხილა. თვით-

მფრინავის ნამსხვრევები ჰაერში გაფანტულიყო, ხოლო მას, რაც მიწაზე დარჩა, საშინელი ცეცხლი მოსდებოდა. ნანამ ერთი შეჰკივლა ვაიმე შვილოო, და გონება დაკარგა, ასე გონდაკარგული იგი შემდეგ სხვა საშუალებებით თბილისში ჩამოიყვანეს, ბევრი ვუმკურნალეთ, მაგრამ გონებაზე ვერ მოვიყვანეთ. ბოლო დროს ის ჩემთან ცხოვრობდა სახლში. მე მას ყველანაირად ვუვლიდი და ვმკურნალობდი, მაგრამ გონება და მეხსიერება არ უბრუნდებოდა. ერთხელ მისი შვილის — ნინოს სურათი ვაჩვენე, რომელიც მან მაჩუქა 1991 წელს ომის დაწყებამდე, რომელზედაც თქვენთვის უკვე ცნობილი წარნერა გაუკეთა, მან სურათი გულში ჩაიკრა, შემდეგ ეს სურათი მედალიონში მოვათავსე და გულზე დავკიდე. იგი მას არასოდეს იშორებდა. ერთ დღეს ისე მოხდა, რომ ნანა მარტო დავტოვე სახლში სასწრაფო საქმის გამო. საღამოს, როდესაც დავპრუნდი, ნანა სახლში აღარ დამხვდა, ბევრი ვეცადეთ, იქნებ სადმე მისი კვალისთვის მიგვეგნო, მაგრამ თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, ვერსად მივაგენით. მას შემდეგ ნახევარ წელზე მეტი გავიდა და უკვე იმედი დავკარგეთ, რომ ცოცხალს ვიხილავდით, მაგრამ, თქვენი წყალობით, ნანა კვლავ ვიხილეთ. თქვენ რომ არა, მის კვალს, ალბათ, დიდხანს ვერ მივაკვლევდით. ახლა იგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება და ექიმები იმედს იძლევიან, რომ გონება დაუბრუნდება. თქვენ კი, მეგობრებო, დიდ მადლობას მოგახსენებთ ამ კეთილი საქმისათვის, ღმერთმა დაგლოცოთ, კეთილო ადამიანებო. ის გამოგვემშვიდობა, გადაგვკოცნა, ალის საიდუმლოებას ფარდა აეხადა. იგი ცხოვრებისაგან განამებული ავადმყოფი ქალი აღმოჩნდა, მაგრამ აეხდება კი ფარდა ოდესმე სოხუმის ტრაგედიის საიდუმლოებას, ვინ დგას ამ ფარდის უკან, ვინ არის დამნაშავე საცოდავი ნანას და ათასობით ნანასნაირების ტრაგედიაში. აი, ამ დამძიმებული ფიქრებით ვტოვებდით პოლიციის უფროსის ოთახს.

## ექსპურსია უჯარმაში

თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეები, გაზაფხულის ერთ კვირა დღეს საექსკურსიოდ, ისტორიულ ციხე-ქალაქ უჯარმაში გაემგზავრნენ. ნუკრი და ნინო სიხარულს ვერ ფარავდნენ. მათ ძალზედ ეჩქარებოდათ ციხე-ქალაქის ნანგრევების ნახვა. ყოველივე გაკვეთილზე მოსმენილი ახლა ცხადად უნდოდათ ეხილათ თავისი თვალით. მალე მთელი კლასის მოსწავლეები, რამდენიმე მშობელი და ისტორიის მასწავლებელი ავტობუსით გზას გაუდგნენ უჯარმისაკენ. ნუკრიმ ჰქითხა ნინოს, თუ რა იცოდა მან უჯარმის შესახებ, რაზეც ნინომ უპახუხა, რომ უჯარმის შესახებ არსებობს როგორც წერილობითი, ასევე ნივთიერი წყაროები, ჩვენი მასწავლებლის გადმოცემით, XVIII საუკუნის ისტორიკოსი — ვახუშტი ბატონიშვილი ხშირად იხსენებს უჯარმას, როგორც გეოგრაფიულ და ისტორიულ ადგილს. მაგრამ პირველი ცნობა უჯარმის შესახებ მოგვეპოვება III საუკუნის პირველი მეოთხედის ამბებთან დაკავშირებით; ქართლის ცხოვრებაში მოცემულია, რომ მირდატის შემდეგ მეფობდა მისი ძე ასფაგური, რომელმაც ააშენა ციხე-ქალაქი უჯარმა. მე კი მგონია, რომ უჯარმა ვახტანგ გორგასლის მიერ არის აშენებული, მიუგო ნუკრიმ, სჯობს მასწავლებელს ვკითხოთ. თბილისიდან ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ციხის ნანგრევებიც გამოჩნდა. ავტობუსიდან ჩამოსულები სუსკელა მაღლა ციხისკენ მიმავალ ფერდობს შეუყვნენ. წინ ისტორიის მასწავლებელი ბატონი მერაბი მიდიოდა, შემდეგ მთელი კლასი, ხოლო ბოლოს მშობლები მიჰყვებოდნენ. მაღლა კლდის ფერდობიდან მოსწავლეების



თვალწინ ულამაზესი ივრის ხეობის ხედი გადაიშალა. ეს ადგილმდებარეობა, აღნიშნა მერაბ მასწავლებელმა, შემთხვევით არ იყო შერჩეული ჩვენი წინაპრების მიერ. ივრის ხეობის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობები, და თვით ციხე ქალაქის მდებარეობა, ძალზე ხელსაყრელი იყო ძველი საქართველოს სამხედრო ადმინისტრაციული საერისთაოებისათვის; როგორებიც იყო კახეთი, კუხეთი და ჰერეთი, რომლებიც საზღვართა მიჯნაზე მდებარეობდა. ციხის დათვალიერების შემდეგ, ბავშვები მასწავლებელს შემოეხვივნენ და მოსასმენად მოემზადნენ. მან აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს რომელიმე ისტორიული ძეგლის შესასწავლად ისტორიულ წყაროებს. ისტორიული წყაროები ძირითადად შვიდი ტიპისაა: ეს არის ნივთიერი, ეთნოგრაფიული, ზეპირი, ენობრივი, წერილობითი, კინო ფოტო და ფონო მასალები. ჩვენ, ჩემი მეგობრებო, ამ ისტორიული ძეგლის, ციხე-ქალაქის ისტორიის უკეთ შესწავლის მიზნით, გავეცნოთ მასთან დაკავშირებულ ნივთიერ და წერილობით წყაროებს. უჯარმის შესახებ არსებობს მრავალი ნივთიერი და წერილობითი წყარო, პირველ ცნობას, როგორც ეს თქვენთვის უკვე ცნობილია, მემატიანე მესამე საუკუნის პირველ მეოთხედში გვაწვდის, სადაც აღნიშნულია, რომ მირდატის მეფობის შემდგომ მეფობდა მისი ძე ასფაგური, რომელმაც ააშენა ციხე-ქალაქი უჯარმა. ასევე ქართლის ცხოვრების მემატიანე ცნობებს გვაწვდის მეფე მირიანის მოღვაწეობის შესახებ, სადაც მოცემულია, რომ მირიანმა თავის ძეს რევს საუფლისწულოდ მისცა კახეთი და კუხეთი და დასვა იგი მეფედ უჯარმაში. IV საუკუნიდან უჯარმის შესახებ ჩნდება დამატებითი ცნობები, ქართლში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით მემატიანეს მიხედვით, წმინდა ნინოს მოღვაწეობა მცხეთის შემდეგ ძირითადად ვითარდება შიდა და გარე კახეთში — უჯარმაში, ბოდბეში, კაწრეთში. ნინოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, უჯარმა იხსენიება მცხეთის გვერდით როგორც სამეფოს

მეორე მნიშვნელობის ცენტრი. ქართლის ცხოვრების მემატიანე მოგვითხრობს — „მაშინ შეიძრნეს ორივე ეს ქალაქი: მცხეთა და უჯარმა და ყოველი ქართლი“. განსაკუთრებული ღვაწლი უჯარმის მშენებლობაში მიუძღვის სახელგანთქმულ სახელმწიფო მოღვაწეს — ვახტანგ გორგასალს.

V საუკუნეში იწყება სასანური ირანის შემოსევა საქართველოში. კახეთის მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო, რადგან კახეთი ტყით იყო დაფარული და შეუვალი იყო მტრის მიერ. ამიტომ აქცია კახეთი და ჰერეთი ვახტანგ გორგასალმა ირანთან ბრძოლის ძირითად საყრდენად. ამასთან დაკავშირებით, მეფემ თავის რეზიდენცია გადმოიტანა მცხეთიდან უჯარმაში. ამგვარად, უჯარმა მცირე დროით გახდა ქართლის სამეფოს დედაქალაქი. მატიანე მოგვითხრობს „და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმასა და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“. როგორც ჩანს უჯარმა იყო გარშემორტყმული ძლიერი გალავნით. აქ, ამ ადგილას, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, ხელ-მარცხნივ მოსჩანს ძველი ეკლესის ნანგრევები. იგი ოდესლაც მოქმედი იყო. უჯარმა, ამ ჰერიოდში მრავალრიცხოვანი ქალაქია, სადაც ცხოვრობდნენ ხელოსნები, ვაჭრები და სხვადასხვა წოდების ადამიანები. აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თვით მეფეც — ვახტანგ გორგასალი. აქვე უჯარმაში, როგორც გადმოგვცემს მემატიანე, თვით აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათა“. მეფემ გადასახადებისაგან ანუ ჯარიმისაგან გაანთავისუფლა მოსახლეობა და უჯარმაც იმიტომ ეწოდა მას. 502 წელს ვახტანგ გორგასლის გარდაცვალების შემდეგ მემატიანე ხშირად იხსენებს უჯარმას, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მნიშვნელობით. ასე მაგალითად, მურვან ყრუს მოახლო-ებასთან დაკავშირებით, არჩილ მეფე კახეთში უჯარმის მახლობლად მაღავს სახელმწიფო საგანძურს, ძირითადად ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელს: „ხოლო არჩილ დაჰფლა საგანძური უფროსი ხევსა კახეთსა, ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანი ხევსა უჯარმისასა“.

1950 წელს, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ინიციატი-  
ვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ისტორიის  
ინსტიტუტის მონაწილეობით, დაიწყო უჯარმის არქე-  
ოლოგიური გათხრები, რომელიც სამი საველე კომპანიის  
განმავლობაში გაგრძელდა, ექსპედიციამ გაასუფთავა და  
გამოავლინა ციხე-ქალაქის თითქმის ყველა ნაგებობა.  
როგორც ცხადი გახდა, ამ გათხრების შედეგად, უჯარმის  
ციხე-ქალაქი, მისი კოშკები და სისტემა შექმნილია ერთ-  
დროულად ვახტანგ გორგასლის ეპოქაში, ერთიანი გეგმით  
და შესანიშნავი ოსტატობით. იგი იმ პერიოდის საქართ-  
ველოს ერთ-ერთ შესანიშნავ ძეგლად შეიძლება ჩაითვალოს  
მცხეთის ჯვრის, წრომის და სამწერლისთან ერთად.

მერაბ მასწავლებელო, მემატიანეს ზემოთ მოყვანილი  
ცნობის თანახმად, უჯარმის მშენებლობა უკვე III საუკუნეში  
უნდა დაწყებულიყო, რამდენად სარწმუნოა ეს ცნობა და  
თქვენს მიერ აღნიშნულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა თუ  
დაადასტურა რაიმე ნივთიერი მასალა, კითხვა დაუსვა  
მასწავლებელს ნუკრიმ.

ყოჩაღ ნუკრი, რომ ასეთი ყურადღებიანი ხარ და არ  
გამოგრჩა ეს მნიშვნელოვანი დეტალი. მთელი გათხრების  
მანძილზე, აღნიშნა მერაბ მასწავლებელმა, ექსპედიცია  
ეძებდა და იმედი ქონდა, რომ მიაგნებდა გორგასლამდელი  
ეპოქის მშენებლობის რაიმე კვალს, მაგრამ უშედეგოდ, არც  
ნაგებობანი, არც მათ კულტურულ ფენებში მოპოვებული  
მასალა ამის საფუძველს არ იძლევა. ივრისპირა ცენ-  
ტრალური კოშკის ფენებში აღმოჩენილ იქნა სასანური ვერ-  
ცხლის ფული — პერიოდის დრაქმა, მაგრამ პერიოზ მეფე ხომ  
გორგასლის თანამედროვეა და მონეტა სწორედ ამ ხანზე  
მიუთითებს.

მაშ სად არის მასწავლებელო, ჰკითხა ნინომ, ასფაგურის  
დროინდელი უჯარმა?

შესაძლებელია, ჩემო პატარა მეგობრებო, უპასუხა  
მასწავლებელმა — არქეოლოგიურმა გათხრებმა ვერ მიაკვ-

ლიეს უძველეს ფენებს ან ვახტანგ გორგასალმა თავის მიზნების განხორციელებისათვის ააგო თავისი ციხე-ქალაქი, სტრატეგიულად უჯარმის ადგილას, ხოლო ძველი უჯარმა სადმე სხვაგან მდებარეობს. ვ. მუსხელიშვილის აზრით, ქალაქი დღევანდელი უჯარმის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, რაზედაც იქ აღმართული დიდი ბორცვი უნდა მიუთითებდეს, რომელიც შესაძლებელია ძველ ნამოსახლარ მთას ნარმოადგენს.

მე რომ გავიზრდები, უთხრა მასწავლებელს ნუკრიმ, არქეოლოგი გავხდები და აუცილებლად მივაგნებ ასფაგურის უჯარმას და არჩილ მეფის მიერ გადამალულ საგანძურსაც.

მერე რას უზამ ამდენ სიმდიდრეს? — ჰკითხა ნინომ ნუკრის. რას ვუზამ და საქართველოს მოვახმარ, როგორც ეს ერთ დროს მეფე ფარნავაზმა გააკეთა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ღმერთმა გისმინოთ, ჩემო პატარა მეგობრებო და იქნებ მართლაც ოცნება ცხადად აგიხდეთ.

## თავისუფლების საჭყისებთან



იდგა 1987 წელი. მაისი იწურებოდა. ი. ჯავახიშვილის ქ. №1-ში (ამჟამად ზანდუკელის ქუჩა) იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის კვლევითი ინსტიტუტი ფუნქციონირებდა. აღნიშნულ ინსტიტუტში ჩავაბარე საკანდიდატო მინიმუმი გამოცდები პედაგოგიკის თეორიაში და დისერტაციის დასაცავად ვემზადებოდი. ინსტიტუტს შესანიშნავი ბიბლიოთეკა ჰქონდა და ხშირად მივდიოდი იქ სამუშაოდ. ინსტიტუტის ეზოში უჩვეულო სიტუაცია დამხვდა. გარეთ სკამზე ჩემი ნაცნობი მეცნიერები ისხდნენ და რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. მე მათ მივესალმე, ესენი იყვნენ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი აკაკი ნარგიზიშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი კარლო მაჭარაშვილი და დოცენტი ილია მახარაძე. მოდი მერაბ ჩამოჯექი ჩვენთან, მითხრა ბატონმა აკაკიმ, მე ჩამოვჯექი. იცი მითხრა მან შენი სეხნია მერაბ კოსტავა გამოვიდა ციხიდან. ის ამ სახლში ცხოვრობს და მან ხელი ინსტიტუტის ბალის წინ პირველ სართულზე მდგომ პატარა სახლისკენ გაიშვირა სადაც ამჟამად მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმია. იგი სულ ახალგაზრდა ყმანვილი იყო როცა ის ჩვენ გავიცანით. მერაბ კოსტავა გამიგია ვუპასუხე მე, მან და ზვიად გამსახურდიამ 1975 წელს არალეგალური უურნალი ოქროს საწმისი შექმნეს. დიახ მიპასუხა ილია მახარაძამ არა მარტო ეგ არამედ ჰელსინკის ჯგუფიც ჩამოაყალიბეს მათ. მათი მოღვაწეობა უფრო ადრე იწყება სკოლის მერხიდან, აღნიშნა კარლო მაჭარაშვილმა. ზვიადი და მერაბი აარსებენ პირველ პატრიოტულ ახალგაზრდულ

ორგანიზაციის -გორგსლიანს-. ორგანიზაციამ გაავრცელა რუსთაველსა და პლეხანოვის გამზირებზე იმ დროისათვის არნახული პროკლამაციები, ასეთი მოწოდებით - ძირს პირ-სისხლიანი კომუნისტები, გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს. დიდი გახმაურებული ამბავი იყო, ისინი სკო-ლის მერხიდან პირდაპირ საპყრობილები მოხვდნენ. მართა-ლი ხარ აღნიშნა აკაკიმ, მახსოვს ეგ ამბავი. მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია ერთად დააპატიმრეს მერაბს 3 წელი მიუსაჯეს ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის და -ოქროს საწმისის გამოცემისათვის. 1980 წელს იგი გასახლებული იქნა ირკუტსკის ოლქში. ამა წლის 30 აპრილს კოსტავა 10 წლიანი პატიმრობის შემდეგ სახლში დაბრუნდა. დღეს მერ-აბის სახლში ზეიმია, ის და მისი მეგობრები საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ. საოცარია დასძინა ილია მახარაძემ ზვიადი ამჟამად ლიტერატურის ინსტი-ტუტის რუსთველოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელია, მერაბ კოსტავა კი ბარნოვის ქუჩაზე მდე-ბარე მუსიკალურ შვიდწლედში მუსიკის მასწავლებლად მუშაობს და მათ უნდათ ქვეყანა გადაატრიალონ. მაშინ მე ვერც კი წარმოვიდგენდი რომ რამდენიმე წლის შემდეგ ისინი ქვეყანას მართლაც გადაატრიალებდნენ. უცბათ ეზოში მერაბ კოსტავა გამოჩნდა მოგვესალმა და მეც-ნიერებს მიმართა - გილოცავთ საქართველოს დამოუკიდე-ბლობის დღეს. მადლობათ მერაბ მიუგო ილია მახარაძემ ჩვენც გილიცავთ, ეს თარიღი მე 5 კლასის სასკოლო სახელ-მძღვანელოში - საქართველოს მატიანეში - შევიტანე, მოსწავლეები მას მალე გაეცნობიან. გაიხარეთ ბატონო ილია ნამდვილი პატრიოტი ბრძანდებით, აღნიშნა მერაბმა. მაგრამ, ეს თქვენი პარტიულობა ხელს ხომ არ გიშლით მუშაობაში. არა ბატონო მერაბ კი არ მიშლის პირიქით, პარ-ტიული რომ არ ვიყო ასეთ მნიშვნელოვან საქმეს არ მომან-დობდნენ. კომუნისტები მუდამ ებრძოდნენ ინტელიგენციას, თქვენ ეს ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, ამიტომ მათი მხრი-

დან გამორიცხვული არ არის რეპრესიები, აღნიშნა მერაბმა. წავიდა ის დრო ბატონო მერაბ 37 წელი აღარ გამეორდება. ეხლა მეტი თავისუფლება აქვს ხალხს. დასძინა აკაკიმ. კომუნისტური რეჟიმის დროს შეუძლებელია თავისუფალი იყოს ადამიანი და საზოგადოება დემოკრატიულ პრინციპებზე განვითარდეს. არ ცხრებოდა მერაბი. ლაპარაკში კარლო მაჭარაშვილი ჩაერთო- მიუხედავად ამისა საზოგა- დოება და ქვეყანა მაინც განვითარდა და საქართველო ეკონომიკურად და კულტურულად განვითარებული ქვეყანაა და სხვა ქვეყნებს არაფრით ჩამორჩება. ამ დროს ბალში ზვიად გამსახურდია გამოჩნდა. სად ხარ მერაბ ამდენ ხანს მიმართა მან მერაბს, მოდი სტუმრები გველოდებიან. ზვიად მოდი აქ, სთხოვა მერაბმა. ესენი ჩემი მეგობრები, პედა- გოგიკის კვლევით ინსტიტუტის მეცნიერები არიან. ზვიადი მოგვიახლოვდა და მოგვესალმა. აი ჩვენ, დასძინა მერაბმა კამათი გვაქვს აქ, საქართველოს აწმყოსა და მომავალზე. საინტერესოა მიუგო ზვიადმა, მაგრამ წარსულმა რაღა დააშავა, განა ღირსეული და საამაყო წარსული არ გვქონდა ქართველებს. ნამდვილად ღირსეული წარსული და წინაპრე- ბიც გყვავდა. დაეთანხმა აკაკი, ახლო წარსულს თუ გავიხსენებთ მარტო ერეკლე ილია და ნოე ჟორდანიაც საკ- მარისია. ერეკლემ გადაწყვიტა რუსეთთან გეორგიევსკის ტრაქტატი გაეფორმებინა, რასაც დადებითი შედეგები მოჰყვა. არ მგონია რაიმე დადებითი შედეგი მოჰყოლოდა აღნიშნულ ტრაქტატს, აღელვებით წარმოსთქვა ზვიადიმ. ასპინძის ომში რუსმა გენერალმა ტოტლებელმა გვიღალატა და ბრძოლის დროს გაიქცა, ხოლო გეორგიევსკის ტრაქ- ტატის შემდეგ რუსებმა ერეკლე კრწანისის ომის დროს გამძვინვარებულ აღა -მაჰმად -ხანთან პირისპირ დატოვეს და დახმარების პირობა არ შეასრულეს, რის შემდეგ ერეკ- ლემ და საქართველომ დიდი მარცხი განიცადა. რუსებმა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები დაარღვია და საქართ- ველოში მეფობა გააუქმა. ეს ჩვენი დამოუკიდებლობისათვის

დიდი დარტყმა იყო, ამიტომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება. საქართველოს დამოუკიდებლობა ახსენეთ ბატონო ზვიად, ჩაერთო კამათში აკაკი, თქვენ საქართველოს ისტორია შესანიშნავად იცით, გადახადეთ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე, განა ეს ოდესლაც აყვავაებული ქვეყანა სავალალო მდგომარეობაში არ იყო? ოსმალებისა და სპარსელების მიერ ათასჯერ განადგურებული და აოხრებული საქართველო სულს ძლივს ღაფავდა, ტერიტორიულად დაქუცმაცებული ქვეყანა ეკონომიურ და პოლიტიკურ იზოლაციაში იყო მომწყვდეული. რომ არა რუსეთი დღეს საქართველო მუსლიმანური ქვეყანა იქნებოდა. 1801 წლის მანიფესტით საქართველო რუსეთს შეუერთდა. რის შემდეგ ქვეყანამ ამოისუნთქა, შეწყდა სამუდამოდ მუსლიმანურ ქვეყანათა აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. განა ეს დადებითი მოვლენა არ იყო ბატონო ზვიად. ჯობდა ჩვენი დამოუკიდებლობა და ქრისტიანობა ჩვენივე ძალით დაგვეცვა-აღნიშნა ზვიადიმ. ჯობდა, როგორ არ ჯობდა ბატონო ზვიად, მაგრამ ეს ძალა რომ არსად ჩანდა, ქვეყანა კი შველას ითხოვდა აღნიშნა ილიამ. თქვენი აზრით ბატონო ილია საქართველოს რუსეთთან შეერთება დადებითი მოვლენა იყო, ჰკიოთხა მერაბიმ ილიას. მე ბატონო მერაბ ამ კითხვაზე ასე გიპასუხებდით. კაცს მისდევენ დანით მოსაკლავად, მან კარი გააღო შიგ შევარდა და ციხეში აღმოჩნდა, დიახ რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო და კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა დაპყრობილ ქვეყნების მიმართ, მაგრამ რჯულის გადაგდებას არ გვთხოვდა მუსლიმანური ქვეყნებისგან განსხვავებით, რადგან თვით იყო მართმადიდებელი ქვეყანა. ქრისტიანული საქართველო გადარჩა, განადგურებული ქვეყნითა და 700 ათასი მაცხოვრებლით შევიდა რუსეთის შემადგენლობაში, ხოლო გამოვიდა იქიდან კულტურულ და ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნად, რომლის მაცხოვრებლები 5 მილიონს შეადგენდა. განა ეს დადებითი მოვლენა არ იყო ბატონო მერაბ. რუსეთის მართველობის

დროს საქართველომ ტერიტორიები დაკარგა, დაკარგა ავტოკეფალია, მიმდინარეობდა რუსიფიკაციის პოლიტიკა, გაცხარდა ზვიადი. ბატონო ზვიად ჩაერთო კამათში კალო მაჭარაშვილი ამაზე მე გაგცემთ პასუხს, საქართველოს რუსეთთან შეერთებას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. მუსლიმანური სამყაროს მხრიდან გამუდმებული თავდასხმები შეწყდა. მოისპო ქვეყნის პოლიტიკური დაქუც-მაცებულობა და საქართველოს მინა-წყალი გაერთიანდა. უზრუნველყოფილი იქნა საქართველოს საზღვრების უშიშ-როება თურქეთისა და ირანისაგან. ყოველივე ამან შექმნა ხელსაყრელი პირობები ქვეყნის ეკონომიკური და კულტუ-რული განვითარებისათვის. 1828 წელს დაიწყო რუსეთ - თურქეთის ომი, რომელიც დამთავრდა რუსების გამარჯ-ვებით და ანდიანოპოლის ხელშეკრულების საფუძველზე დ რუსეთმა შემოიერთა საქართველოს ქალაქები როგორიც არის: ფოთი, ახალციხე, ახალქალაქი, და მიწები სამცხე საა-თაბაგო, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, აწყურის, ძეროკისის, ქვაბლიანის, აბასთუმნის, ფორცხისის და ჩილ-დირსის. 1877-1878 წლების რუსეთ თურქეთის ომის დროს, რომელიც დამთავრდა 1878 წელს სანსტეფანოს ხელშეკრუ-ლებით, რუსეთმა შემოიერთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამხ-რეთ აღმოსავლეთ საქართველოსი, კერძოდ: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი, ოლტისი, ქალაქი ბათუმი. რაც შეეხება ავტოკეფალიის დაკარგვას ეს მართლაც უარყო-ფითი მოვლენა იყო, და რუსეთმა 1811-1814 წლებში აღმო-სავლეთ და დასავლეთ საქართველოში გააუქმა კათალიკოს პატრიარქის ტახტი. ქართული ეკლესია რუსეთის სინოდის საეგზარქოსოდ გადაიქმნა, მაგრამ ქვეყნისათვის ერთმორწ-მუნე მართლმადიდებლური ეკლესიის მართლმადიდებლობა ჯობდა მუსლიმანობას, როგორც ამას აგრესორი მუსლიმა-ნური მეზობელი ქვეყნები მოითხოვდნენ. ქართული სკო-ლების გარდა გაიხსნა საქართველოში რუსული სკოლები. რუსეთის მეშვეობით ქართულ საზოგადოებაში ვრცელდე-

ბოდა ევროპის განმანათლებელი იდეები. მრავალმა ქართველ მამამულიშვილმა მიიღო რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლება და თავის ქვეყანას ღირსეული სამსახური გაუწია, ასეთები იყვნენ იღია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი და მრავალი სხვა. ქართველ და რუსი ხალხების ერთობლივ ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი და სახელოვანი ტრადიცია აქვს. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ჩვენი სასიქადულო მწერალი და საზოგადო მოღვაწე იღია ჭავჭავაძე წერდა: „გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომარ ველზე და მისი წინამძღოლობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია სისხლი რუსეთთან ერთად“. არ მგონია მე რომელიმე თქვენგანი ერეკლეზე ან იღიაზე მეტი პატრიოტი იყოთ. ბატონებით თქვენ ცდებით, გაცხარდა მერაბ კოსტავა, მრავალი ჭეშმარიტი მამულიშვილი შეეწირა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, მათ გზას ჩვენ გავაგრძელებთ და ბოლომდე მივიყვანთ. საქართველო ადრე თუ გვიან განთავისუფლდება რუსეთის კლანჭებისაგან და ქვეყანა შვებით ამოისუნთქავს, ამისათვის ჩვენ სიცოცხლესაც არ დავზოგავთ. რუსებმა 1921 წლის თებერვალში ნოე ჟორდანიას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაამხეს და მეორეთ მოახდინეს საქართველოს ოკუპაცია. ჩვენ ამას ვერ შევეგუებით, თქვენ კი დარწმუნებული ვარ ამ ბრძოლაში გვერდზე გადგებით, რადგან ქვეყნის დამოუკიდებლობა რუსეთის გარეშე ვერ წარმოგიდგენიათ. ჩვენი თაობა ძველი თაობაა, აღნიშნა იღიამ, რომელიც ერეკლეს, იღიას და იაკობის გზას ადგას, თქვენ თაობას უნდა საქართველო ამ გზას ააცილოს, რაც დადებითს არაფერს მოუტანს ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას, რომელსაც სამხრეთით მუსლიმანური სამყაროს ოკეანე ესაზღვრება, ჩრდილოეთით მართმა-დიდებლური რუსეთი. ამ ორ გზას შორის მოგიწევთ არჩევანის გაკეთება, რადგან მესამე გზა ევროპისკენ და

ამერიკისკენ ჩვენმა წინაპრებმა არ აირჩიეს. გახსოვდეთ რუსეთის იმპერიას დიდი დრო არ უწერია და იგი დაინგრევა, თუ თქვენ თაობას მოუწია საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსვლა, გთხოვთ იმპერიის ნანგრევებში არ მოაყოლოთ ჩვენი ქვეყანა, ხოლო მესამე გზის ძიებას თავი დაანებეთ, ეს გზა ჩვენ ტაძრამდის არ მიგვიყვანს. ნურც კომუნისტებს მოისვრით ისტორიის სანაგვებზე, მათში ხომ ბევრი პროფესიონალია, რის გარეშეც გაგიჭირდებათ ქვეყნის მართვა. რაც შეეხება 1921 წლის თებერვლის საქართველოს ოკუპაციას, თქვენ კარგად მოგეხსენებათ რომ რუსეთის ჯარს მოღალატე ქართველები მოუძღვნდნენ წინ, სწორედ მათი დამსახურებაა საქართველოს ოკუპაცია, ისინი მომავალში თქვენც არ დაგინდობენ და გირჩევთ მოერიდოთ მათ. მოვერიდებით ბატონი ილია, ქვეყანასაც იმპერიის ნანგრევებში არ მოვაყოლებთ და მესამე გზასაც გამოვნახავთ ცივილიზებურ ქვეყნებისკენ, სიცილით აღიშნა ზვიადიმ, რომელიც ევროპაზე გადის. ჩვენ იმპერიის ნანგრევებზე ახალ დამოუკიდებელ საქართველოს ავაშენებთ, რომლისთვისაც მზე ჩრდილოეთიდან აღარასდროს ამოვა და ქვეყანა ბუნებრივ განვითარების გზას დაადგება. ხოლო ხელისუფლების სათავეში ჩვენ ახალგაზრდა თაობას მოვიყვანთ. მოსემ 40 წელი ატარა თავისი ხალხი აღთქმულ ქვეყანაში მისაყვანად, ეს იმიტომ გააკეთა, რომ მონობაში გაზრდილი თაობა თავისუფლებაში დაბადებული თაობით შეეცვალა. მოსემ იცოდა რომ ხოხვისთვის გაჩენილი ვერასდროს იფრენს. ბატონმა ილიამ გაუღიმა ზვიადის და დასძინა, მოსეს ქვეყნისაგან განსხვავებით ჩვენ თქვენ აშენებულ ქვეყანას გიტოვებთ და გთხოვთ არ დაანგრიოდ იგი, ხოლო რაც შეეხება ევროპას, ჩვენ შუმერთა ცივილიზაციის შთამომავლებს ევროპელები სასიკეთოს ვერაფერს გვასწავლიან. არა ბატონი ილია ჩვენ ქვეყანას არ დავანგრევთ, პირიქით ავაშენებთ და ამაში ევროპის ქვეყნების გამოცდილებას და ცოდნას გავიზიარებთ.

აღნიშნა ზოიადმა, ილიას ხელი ჩამიართვა და ყველას დაგვემშვიდობა, მას მერაბიმაც მიბაძა. ასე დამთავრდა ეს საუბარი.

მას შემდეგ 26 წელი გავიდა. ამ საუბრის მოწმე ჩემს გარდა აღარავინ დარჩა ცოცხალი. მერაბ კოსტავა 1989 წლის 13 ოქტომბერს სოფელ ბორითთან ავტო-კატასტ-როფაში დაიღუპა და ვერ მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას. ზოიად გამსახურდია 1991-92 წლებში იყი საქართველოს პირველი პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1993 წლის 31 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში. აღარ არიან ცოცხალი ჩემი მეგობარი მეცნიერები, მაგრამ დარჩა ჩემს ხსოვნაში საუბარი, რომელიც გაიმართა, საქართველოს თავისუფლების საწყისებთან, ერთ პატარა ბაღში, ძველსა და ახალ თაობას შორის. რომელი თაობა იყო მართალი ეს თვით მკითხველმა განსაჯოს.

## სარჩევი

ზღვის რაინდი .....	3
იმპერატორის ქალიშვილი .....	34
საქართველოს უკანასკნელი დედოფალი .....	95
მივიწყებული კუნძული .....	127
ჯარისკაცის ბედი .....	182
უიღებლო სიყვარული .....	250
დიდი სასტუმროს პატარა დიასახლისი .....	270
შურისძიება .....	312
უცნაური სიყვარული .....	325
ალი .....	337
ექსკურსია უჯარმაში .....	351
თავისუფლების საწყისებთან .....	356

ტირაჟი 200 ეგზემპლიარი  
ფასი - სახელშეკრულებო.  
2015 წ.

